- სამართლებრივი ზემოქმედების მაქსიმალური ეფექტურობა
- უკანონო ქმედებათა ჩამდენ პირთა ორი ჯგუფი:
- სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა დიფერენცირება

§3. ნარკოტიკულ სამართალდარღვევათა ინდივიდუალური პროფილაქტიკა 470

- ინდივიდუალური პროფილაქტიკის შემადგენელი ელემენტები
- მოცემული კატეგორიის პირების გამოვლენის ადგილი
- პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე აყვანის საფუძველი
- პროფილაქტიკას დაქვემდებარებულებთან მუშაობის პირობები
- ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობის სახეები

დასკვნა 474

თემატური და საბაზისო ლიტერატურა 480

ნ ა წ ი ლ ი მ ე რ ვ ე

ნარკოკონტროლის ფილოსოფია

თავი I. საერთაშორისო თანხმობა – კრიზისების გადაჭრის სწორი სტრატეგია

§1. გრძელი და მძიმე გზა თანხმობისკენ 482

- ნარკოტიკები და საერთაშორისო ორგანიზაციები
- უდიდესი სარგებელი და კორუმპირებული ელიტა
- *ცის გზირების* ნარკოტიკი – მძლავრი იმპულსი

- კონტრაბანდის აღზევების ხანა
- ყაყაოს ჩალიდან მორფინის ინდუსტრიამდე
- ევროპული მოდელის კოპირება იაპონიის მიერ
- საიდუმლოდ დამანული ჩინეთი

§2. 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ..... 493

- ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის კოლეგია (INCB)
- ახალი დოკუმენტების სრული პაკეტი – საერთაშორისო თანამშრომლობის გარანტი
- პირველი მრავალმხრივი კონვენცია
- ერთა ლიგის დე ფაქტო გარდაცვალება
- ცივი ომი: ნარკოტიკები – საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

§3. 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ 496

§4. 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 498

თავი II. კონვენციებიდან სახელმწიფო პროგრამამდე

§1. ახალი დამატებითი ზომები 503

- საერთაშორისო მექანიზმების შექმნა

§2. გაეროს პროგრამები 505

- ვმართოთ საზოგადოების ანტინარკოტიკული მოძრაობა
- CMO - სამი კონვენციის ლოგიკური დანამატი

§3. კომპლექსური ეროვნული გეგმა – პროგრამები 508

- სახელმწიფო პროგრამა:
 - ვალდებულებები
 - ტიპური გეგმები
 - არალეგალური ბრუნვა – საერთაშორისო კრიმინალური საქმიანობა

§4. მსოფლიოს სხვადასხვა მრავალმხრივი ორგანიზაციები 511

თავი III. რეპროცესული და მკერპროცესული პროგრამები

§1. ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებისა და გამოყენების წინააღმდეგ მიმართული CICAD-ის პროგრამა 513

§2. ინტერამერიკული პროგრამები 519

- სამი სააგენტო ერთ ოპერატიულ სამსახურში
- რეგიონულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სტრატეგია
- ნარკოტიკების კათედრა *ჯაკარტაში*
- *პომპიდუს* ჯგუფი
- სასწავლო ცენტრი *მანილაში*
- სამკურნალო რეაბილიტაციის ცენტრი *ბუენოს-აირესში*
- პროფილაქტიკური ცენტრი *კარაკასში*
- დოკუმენტაციის ცენტრი *ბუენოს-აირესში*
- ნარკოტიკების ლეგალური გამოყენების მართვის ცენტრი *სანტ-აგოში*
- ცენტრალური ამერიკის მუდმივი კომისია

§3. ხუთი პრიორიტეტული მიმართულება 520

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

- სან ხოსე – კოსტა რიკაში შემუშავებული პროგრამის ასპექტები:
 - 1988 წლის კონვენციის რეალიზაციის საფუძვლები
 - სასამართლო განაჩენთა სრულყოფა
 - ადეკვატური სანქციები
- ქვეყნებსშორისი თანამშრომლობა
- მართვის ახალი მარეგულირებელი მოდელი
- ამოგებული სარგებლის კონფისკაცია
- სამხილების შეროვება
- პოლიციის სწავლება

პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სისტემის შექმნა

- გარდაქმნები განათლების სისტემაში
- რეგიონული და ქვერეგიონული მექანიზმები
- ოთხი ინტერამერიკული საშუალო შეხვედრა
- ქვიტოს პროგრამა
- კავშირი მასმედიასა და საზოგადოებას შორის
- არგენტინა – ურუგვაის ორმხრივი პროგრამა
- ანდების ქვეყანათა ქუჩის ბავშვები
- ახალგაზრდობა იბრძვის
- ცხოვრება ნარკოტიკების გარეშე

საზოგადოების მობილიზება

- პრიორიტეტული მიმართულება არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის
- მასშტაბის მაღალ ეშვლონებში
- არგენტინული სტრატეგია
- ბრავილიური მიხატვა
- ლათინო-ამერიკული საკომუნიკაციო ცენტრები
- კომპიუტერული ქსელის როლი

ერთგვაროვანი სტატისტიკური სისტემა

- მონაცემთა ბანკის შექმნა
- ორი ქვერეგიონული სტატისტიკური ცენტრი

ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმეთა საინფორმაციო სისტემა

- **RIO** – სარეკომენდაციო პროგრამა
- ინტერამერიკული დოკუმენტაციის ცენტრი
- აუდიო-ვიდეო მასალის შეგროვება
- ინსტალაციის ტიპი და სტრუქტურა
- მორალური პრიორიტეტები
- ერთობლივი დაპროგრამების მექანიზმი

დასკვნა	527
თემატური და საბაზისო ლიტერატურა	528

ზოგადი დასკვნები	532
ანბანი (ქართული, ლათინური)	542
ბიბლიოგრაფია	543
დოკუმენტური ლიტერატურა	562
საცნობარო ლიტერატურა	577
თერმინთა განმარტებანი	580
სახელთა განმარტებანი	627
თვალსაზრისწებვა (რუკები, გრაფიკები, სქემები, ცხრილები და ფოტომასალა)	654
დანართი ინგლისურ და რუსულ ენებზე	662

შემოკლებაში

- ABI** – საზოგადოება, რომელსაც აკონტროლებდნენ ამერიკელი ნარკომოვაჭრე *ანდონიანები*.
- AEB** – ბანკი ნიუ-იორკში.
- AID** – ინტერნაციონალური განვითარების ამერიკული სააგენტო.
- AK-47** – ავტომატი – ცეცხლსასროლი იარაღი.
- AMGOT** – გასული საუკუნის 40–იან წლებში იტალიის მაფიასთან მჭიდროდ შეკრული სამხედრო ადმინისტრაცია, რომელიც მაფიოზთა მაღალ პოსტებზე დანიშნისათვის იღწევდა.
- ASEAN** – რეგიონული მექანიზმი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპების შემუშავების საქმეში; 1985 წელს მას ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმეებში ASEAN-ის *უმაღლესი პირები* უწოდეს.
- ASEP** – დასავლეთ ნახევარსფეროში პირველი რეგიონული ინიციატივა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ.
- BCCI** – ბანკი ფლორიდაში.
- BDAC** – აშშ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების კონტროლის ბიურო, 1966-1968 წლებში მას ჯონ ფინლეთორი ხელმძღვანელობდა.
- BNDD** – ნარკოტიკებისა და საშიში პრეპარატების წინააღმდეგ მებრძოლი ბიურო, შეიქმნა 1968 წელს, დაფუძნებულია *ჯონსონის* ადმინისტრაციის მიერ FBN-ისა და BDAC-ის კონსოლიდაციის შედეგად.
- BNL** – პოლიტიკური კორუფციისა და ფულის ტრანზიტის მთავარი ბანკი იტალიაში.
- BS** – ბანკი მონტევიდეოში.

bp (burden of proof)	– მტკიცებულებათა ხვედრი (<i>ამერიკული იურიდიული ტერმინი</i>).
CARICOM	– კარიბის ზღვის სანაპირო ქვეყნების გაერთიანებულ მთავრობათა მეთაურების სამდივნოს მრავალმხრივი სამოქმედო პროგრამა.
CAPCOM	– მაკლერთა საზოგადოება.
Capo di capi	– თავი და თავი (ამბობენ, რომ გაეტანო ბადალამენტი სიცილიური მაფიის <i>ოჯახების C di c იყო</i>).
CCC	– საერთაშორისო საბაჟო ურთიერთთანამშრომლობის საბჭო.
CCP	– ცენტრალური ამერიკის მუდმივი კომისია, დაფუძნდა 1990 წლის დეკემბერში, <i>სახელმწიფო პოლიტიკისა და ნარკობიზნის პრობლემების გაერთიანების პირველი ცდა</i> .
CEIB	– ბანკი უნგრეთში.
CIDRE	– რეგიონული ინვესტირების ცენტრი ბოლივიაში.
CICAD	– ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის ინტერამერიკული პროგრამის კომისია; შეიქმნა რიო-დე-ჟანეიროში 1986 წელს.
CIA	– აშშ დაზვერვის ცენტრალური სამმართველო.
CIECC	– ნარკოტიკებზე კონტროლის ინტერამერიკული პროგრამის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საბჭო.
CIESPAL	– ლათინური ამერიკის უმაღლესი საკომუნიკაციო სასწავლო ცენტრი ქვიტოში (<i>ეკვადორი</i>).
CIS	– დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ).
CMO	– ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის პირველი გლობალური პროგრამა ამერიკის კონტინენტზე.
COLOMBO/PLAN	– პირველი რეგიონული ფართო ანტინარკოტიკული პროგრამა (<i>სამხრეთ ამერიკაში</i>).

შემოკლებანი

-
- CORAH** – კოკას წარმოების შემცირებაზე კონტროლის ალტერნატიული პროგრამა უალაგას ხეობაში (*კოლუმბია*).
 - CRI** – ნიდერლანდების პოლიციის კვლევითი ცენტრი.
 - CSA** – კონტროლზე აყვანილი სუბსტანციების აქტი; მიიღო აშშ კონგრესმა 1970 წლის 27 ოქტომბერს.
 - DA (Drug Act)** – კანონი ნარკოტიკების შესახებ, მიღებული აშშ კონგრესის მიერ 1986 წელს.
 - DAP** – გაეროს ნარკოტიკების საკონსულტაციო და სათათბირო პროგრამა; იგი მოიცავს კანონის აღსრულებას, გაფრთხილებას, მომარაგების შემცირებას, დანაშაულის აღკვეთა-აცილებას, მკურნალობისა და რეაბილიტაციის სფეროებს.
 - DAS** – ნარკოტიკებთან ბრძოლის სამსახური კოლუმბიაში, ხელმძღვანელი გენერალი მაზა მარკესი (90-იანი წლები).
 - DEA** – აშშ ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი სამართალდამცავი ადმინისტრაცია.
 - DND** – გაეროს ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისია, რომელიც სამდივნოს როლს ასრულებდა.
 - DSB** – ბანკი ჰამბურგში.
 - DOB** – სინთეზური ნარკოტიკი.
 - EIC** – კომპანია *ისტ ინდია კომპანი*, რომლის პრეზიდენტი რობერტ ქლაივი ბენგალიაში ინგლისის სამხედრო ინტერვენციას ხელმძღვანელობდა.
 - ECS** – ერიტროქსილონი.
 - EPL** – ეროვნული პარტიების ლიდერები პერუში.
 - FAO** – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის კომისია.

- FARC** – კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები, კომუნისტური გერილა ანუ უბრალოდ *მარტიზანული რაზმი*.
- FBN** – აშშ ნარკოტიკებთან ბრძოლის ფედერალური ბიურო (1930-1968წწ.).
- Gmm** – ცეცხლსასროლი იარაღის მარკა. იგი 80-იან წლებში კოლუმბიის *შე ძაზრზე 200* ამერიკული დოლარი ღირდა – რამდენჯერმე მეტი, ვიდრე მაგალითად, სალვადორში.
- GOB** – ბანკი უენეციაში.
- Groupier** – ოპერაცია, რომელიც **DEA**-მ ჩაატარა კოლუმბიელ ნარკომოვაჭრეთა წინააღმდეგ, გრძელდებოდა სამი წელი და 1981 წლის მარტში წარმატებით დამთავრდა, დააკავეს 14 უდიდესი ნარკოლიდერი, რომლებზეც აშშ-ში შეტანილი მარინხუნას 40 პროცენტი მოდიოდა.
- HONLEA** – სახელმწიფო კანონის ცხოვრებაში გამტარებელ სააგენტოთა ხელმძღვანელობა, მისი პირველი სტრუქტურა 1974 წელს ჩამოყალიბდა *აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონებისათვის*, ხოლო 80-იანი წლების ნახევრიდან იგი დამკვიდრდა *აფრიკის, ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვისა და ევროპის რეგიონებისათვის*.
- IADIS** – ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმეთა ინტერამერიკულ საინფორმაციო სისტემაზე მუშაობის პროგრამა.
- ICAA** – ალკოჰოლისა და ნარკოტიკების საერთაშორისო საბჭო, რომელიც სისტემატურად გამოყოფს სახსრებს სახელმწიფოთაშორისი გამოცდილების გაზიარების დასაფინანსებლად.
- ICPO/INTERPOL** – პოლიციის ურთიერთთანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია.
- IDB** – პროგრამა, რომლის მიზანია ბრძოლა ნარკოტიკების პრობლემების წინააღმდეგ *ანდების ქვეყანათა ქუჩის დაეშვებში*. პროგრამა მიზნად ისახავს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ახალგაზრდობის ჩაბმას დღევით – *ახალგაზრდობა იბრძვის (Youth Echcouters)*.

შემოკლებანი

-
- ILANUD** – გაეროს ლათინურ-ამერიკული ინსტიტუტი, რომელიც დანაშაულის პროფილაქტიკისა და დანაშაუთა დაკავების მიზნით ჩამოყალიბდა.
- ILO** – საერთაშორისო ლეიბორისტული ორგანიზაცია.
- IMF** – საერთაშორისო სავალუტო ფონდი.
- INCB** – ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის კოლეგია, გაეროს შიგნით არსებული მრავალმხრივი ორგანო.
- INM** – აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკობიზნესის საქმეთა ბიურო.
- inter alia** – ქვეკომისია ახლო და შუა აღმოსავლეთისათვის, იგი მოიცავს HONLEA-ს ფუნქციებს სხვა რეგიონებში.
- ITP** – საერთაშორისო საწვრთნელი პროგრამა, რომლის მიზანია სამართალდამცავების ქმედითუნარიანობის ამაღლება საერთაშორისო დონეზე მოქმედებისათვის.
- JC-Just Cause** – სამხედრო ოპერაცია პანამაში, ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვების წინააღმდეგ – დააკავეს გენერალი ნორიეგა.
- კბა** – კოსოვოს გათავისუფლების არმია.
- KKY** – ბირმის პოლიციის სექტორაუსი, რომლის ქედება KMT-ს წინააღმდეგ იყო მიმართული და იმავედროულად, ეთნიკურ ამბოხებათა წინააღმდეგ საბრძოლველადაც გამოიყენებოდა.
- KMT** – ნარკოტიკულ ინდუსტრიაში ჩართული ჩინეთიდან დევნილი ადგილობრივი ნაციონალისტური ჯგუფები ბირმის ცენტრში. 1973 წელს KMT დაიშალა და მის ადგილზე აღმოცენდა MTA (მონგ ტაის არმია), რომელიც მთლიანად ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩაუვლო.
- LAW** – პანამის *ოფშორული სამოთხის* მსგავსი მოდელით შექმნილი პირველი გენერალური კორპორაცია.

- MAL** – ნარკოტიკების პრობლემების წინააღმდეგ მებრძოლი დამცავი მოდელი.
- MRTA** – ბირმელი *ოპიუმის მეფის* კუნ სას ყველაზე მეამბოხე დაჯგუფება, 20 ათასიანი პარტიზანული რაზმი.
- MDA** – სინთეზური ნარკოტიკი.
- MDMA** – სინთეზური ნარკოტიკი.
- MI-8** – ვერტმფრენის ტიპი, რომლითაც ჩინებს აფხაზური კონფლიქტის დროს ნარკოტიკები გადაჰქონდათ ვედენოს რაიონიდან ახალი ათონის საფრენ მოედანზე.
- MTA** – მონე ტაის არმია – კუნ სას ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩაფლული ორგანიზაცია.
- M-19** – მემარცხენე ნაციონალისტური მოძრაობა პერუში.
- NADDIS** – საინფორმაციო სისტემა ნარკოტიკებისა და საშიში პრეპარატების შესახებ ამერიკის კონტინენტზე.
- NATO** – ჩრდილო-ატლანტიკური კავშირი **OTAN** (ფრ.).
- NATI** – უალაგას ხეობაში *სანტა ლუჩიას* ბაზაზე პენტაგონთან კონტრაქტით მოქმედი კერძო კომპანია; მას **DEA**-ს *პერუელი ვიტრინა* უწოდეს.
- NICB** – გაეროს საერთაშორისო ნარკოკონტროლის საბჭო, დაფუძნდა 1961 წელს.
- NCO** – *ნუოვა კამორა ორგანიზაცია* – იტალიური მაფიის ოჯახების მშვენიება, 70-იანი წლების სისხლიანი შეტაკების ერთ-ერთი მონაწილე, დაპირისპირებული იყო ნეაპოლელი კარმინ ალფეირის *ნუოვა ფამილიასთან*, ჯგუფს გლეხის შვილი რაფაელ კუტოლი ხელმძღვა-ნელობდა, ზედმეტ-სახელად *პროვინციელი*.
- OAS** – ამერიკის ქვეყნების ორგანიზაცია (*სამხრეთ ამერიკის, კარიბის ზღვის, ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები*), რომელმაც 1986 წელს რიო-დე ჟანეიროში

შემოკლებანი

პირველი ინტერნამერიკული პროგრამა მიიღო და მის სისრულეში მოსაყვანად შექმნა ინტერამერიკული პროგრამის კონტროლის კომისია – **CICAD**.

- OGD** – საფრანგეთის ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია.
- UN** – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.
- PANO** – პან ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაცია.
- PCB** – ბირმის კომუნისტური პარტია, რომელიც *ბანდ დე კუატრეს* პოზიციაზე გადავიდა და ნარკოტიკების ქსელუბის დაცვას უზრუნველყოფდა.
- Los Pepes** – *ჰაბლო ესკობარის მიერ დეენილები* – ასე იწოდებოდა შეიარაღებული ფორმირება, რომელიც ნამდვილი *სიკვდილის რაზმი* იყო.
- PKK** – *ოქროს გზაჯვარედინის* მბრუნავ ლერძზე განლაგებული დაჯგუფება თურქეთში, გერმანიაში და სხვ. იგივე – ქურთთა მუშათა პარტია.
- PNUCID** – გაეროს სტრუქტურა, რომელმაც ავღანეთში ნარკოტიკების მოყვანაში ყველა ეჭვმიტანილ პროვინციაში პირველი აღწერა ჩაატარა და ავღანეთი ოპიუმის წარმოებით ბირმაზე წინ დააყენა.
- POLARCAP** – *ფულის გათეთრების* წინააღმდეგ მიმართული და შემდეგ ჩამორთმეული თანხების განაწილების ოპერაცია, რომლის განხორციელების შედეგად 112 მლნ ამერიკული დოლარი ამოიღეს.
- Reverse** – 80-იან წლებში დამკვიდრებული პირველი ნოვატორული იდეა *შენიღბული საქმე*, რომელ სიტუაციაშიც საიდუმლო აგენტი იცვლის ფუნქციას და ნარკოტიკების მყიდველის ნაცვლად მოქმედებს. ასეთი ტაქტიკის დროს უმნიშვნელოვანესია *კონტროლის* როლი, რათა *სპეცაგენტი* პირადად არ იქნეს ჩათრეული ნარკოტიკების გავრცელებაში.

- RIO** – რიო-დე-ჟანეიროში ხანგრძლივი თანამშრომლობისათვის შემუშავებული შიდაამერიკული სამოქმედო ნარკოტიკებთან ბრძოლის პროგრამა.
- RBNBY** – ბანკი *ნიუ-იორკში*.
- SDCE** – საგარეო დოკუმენტაციის სამსახური და კონტრაშპიონაჟი.
- S.L.** – *სენდერო ლუმინოსო*, პარტიზანული სამხედრო ორგანიზაცია *პერუში*. *მფარველობდა ნარკოტიკების წარმოებას და ვაჭრობას*.
- SLORC** – სახელმწიფო კანონმდებლობისა და წესრიგის აღდგენის საბჭო, 1988 წელს ბირმაში სამხედრო გადატრიალებისას შექმნილი დიქტატურის ახალი ვერსია.
- SSA** – ნაციონალისტი *სანები*, რომელთა მიერ გაკონტროლებული ტერიტორიიდან კუნ სა თავის კუთვნილ წილს განუწყვეტილად იღებდა.
- TCO** – ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციები.
- THC** – ტეტრაჰიდროკანაბინოლი. მარიხუანას აქტიური ალკოლოიდი. იგი განაპირობებს მარიხუანას ხარისხს.
- TIR** – საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებში სატვირთო მანქანის ტიპი, რომელსაც დიდი მოცულობის ნარკოტიკების ტრანზიტში იყენებენ.
- Totea-pads** – (ძირითადად, მარიხუანას) კაფე-მოსაწევი.
- UMOPAR** – მობილური პოლიციის სპეცკორპუსი *უალაკაში*.
- UNDCP** – გაეროს საერთაშორისო ნარკოკონტროლის პროგრამა, რომელიც დაარსდა 1990 წლის 21 დეკემბერს, ხოლო 1991 წელს ოპერატიულ სამსახურად გადაკეთდა; იგი *გაეროს* სამი ერთეულის ერთ მთლიან ოპერატიულ მექანიზმში გაერთიანების შედეგად შეიქმნა; პროგრამის პირველი ხელმძღვანელი იყო მისივე აღმასრულებელი დირექტორი, გენმდივნის თანამემწე ჯორჯო ჯაკომელი.


შემოკლებანი

-
- UNDP** – გაეროს განვითარების პროგრამა, რომელმაც ნარკოტიკ-საწინააღმდეგო პროექტები სისრულეში მოიყვანა.
- UNESCO** – გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია.
- UNFDAC** – გაეროს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის ფონდი, რომელიც სამოქმედო პროგრამებს აფინანსებდა; დაარსდა 1971 წელს.
- USAID** – ამერიკული დახმარების პროგრამა; აფინანსებდა ალტერნატიულ პროგრამებს.
- UWSA** – შეიარაღებული დაჯგუფება ბირმაში.
- WB** – მსოფლიო ბანკი.
- WF** – ბანკი ლოს-ანჯელესში.
- WHO** – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 60-იან წლებში გაეროს პირველადი დანაყოფი; შეიმუშავა ნარკოტიკების კომისიისა და INCB-ს როგორც ტექნიკური მრჩევლის საგანგებო პროგრამა.
- 14-K** – ხუთი ძირითადი ჯგუფიდან ერთ-ერთი კრიმინალური ორგანიზაცია პონკონგში.

ნაკრებიული პლანეტა



წარმოებული და მოხმარებული მცენარეები		ბუნებრივ მდგომარეობაში მოხმარებული მცენარეები				
პროლუკის სახე	მცენარეები	კანაბასი	კოკი	ყაიზი	პალუცინოგენური სოკოები	კაცელის რივის
	მცენარეები ამოსული ბუნებრივ პირობებში					
	მოხმარება					



ბუნებრივ და გარდაქმნილ მდგომარეობაში მოხმარებული მცენარეები

მცენარეები

ველურ მდგომარეობაში
იზმოცენებული მცენარე

ყოკი



სეკალი



რევერია



მოხმარება ბუნებრივ
მდგომარეობაში



ყოკის
ფოთლო



ობსუბი



მცენარეთა ქიმიური
გარდაქმვა



გარდაქმნილი ნაწარმის
მოხმარება



ყოკიანი კრეცა

ქეროიანი

რეველიანი

სინთეტიური ნარკოტიკები

წარმოება



მოხმარება



ნაწილი პირველი

ნარკოტიკები დროსა და სივრცეში

„ყოველ ერს თავისი
საკუთარი სახე აქვს, . . .
თავისი ღირსება. ამაების
შეგინება . . . გონებაგახსნილს
ადამიანს არ ეპატიება,
არ შეენდობა“.

ილია

ქვათა ღაღადი

თავი I

ნარკოტიკების ისტორია

§1. ელმესინის სინდრომი

დროის დიდ მონაკვეთში იწერებოდა ნარკოტიკების ისტორია.

ადამიანები ყოველ კულტურასა და ცივილიზაციაში მიმართავდნენ მაგიურ მცენარეებს, მაგრამ არა საკვებად!

ისინი მათ *სიზარულის მცენარედ* მოიხსენიებდნენ და სიამოვნების წყაროდ მიაჩნდათ. მცენარეები ზეგავლენას ახდენდნენ ადამიანების გუნება-განწყობილებაზე, ხალისი შეჰქონდათ მათ სიზმარ - ოცნებებში, განმუხტავდნენ, რათა დროებით მაინც გარიდებოდნენ უღმობელ გარესამყაროს ან პირიქით – აზრი მოეკრიფათ, მხნეობა შემატებოდათ და წინ აღდგომოდნენ ცხოვრებისეულ ორომტრიალს.

ისტორიამ აჩვენა, რომ *მაგიურ მცენარეთა* ხმარება მუდმივად დაკავშირებულია *ბალხთა კულტურებთან* და მათი ტრადიციებიდან გამომდინარე *სუბიექტურობასა და რწმენებთან*, არაიშვითად, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ეფექტით.

იგივე ისტორიის დასტურით როგორც არ უნდა ყოფილიყო ნარკოტიკი – მცენარეული თუ სინთეზური, მამაპაპისეული თუ მოდური, ინექცია თუ მედიკამენტი, დამამშვიდებელი თუ აღმგზნები – იგი არასდროს ყოფილა ნეიტრალური.

ადამიანის სულის, გონებისა და მოძრაობის გარდამქმნელის – ნარკოტიკის მოხმარებას ყოველთვის განსაზღვრავდა დრო და სივრცე!

ეს ორი კატეგორია განაპირობებდა ნარკოტიკის მიღებას თუ უარყოფას, კანონიერსა თუ უკანონო პრაქტიკას მისი დინამიურობისა და ცხოვრებასთან იძულებითი ადაპტაციის ინტენსივობის მიუხედავად.

ფარაონებიდან მოყოლებული დღევანდელ მედიცინამდე *ელვისონისა და შუა საუკუნეების მისტერიებზეა გადებული ნარკოტიკების ძნელადსავალი გზა*. დიდი ხნის მანძილზე ეპყრათ მათ მაგიური თუ სამედიცინო სწავლულთა მონოპოლია, თუმცა ამ ცნებებს არაფერი ჰყოფდა ერთმანეთისაგან.

როდესაც ნარკოტიკებზე ვსაუბრობთ, შეიძლება ითქვას, რომ აქ საქმე ეხება ადამიანის ფუნდამენტურ აქტივობას, ზოგჯერ ისეთსავე უძველესს, როგორც მისი სოციალური ქმედებებია. ამის მოწმეა უძველესი წერილობითი ძეგლები – *შუმერთა ლურსმული ფირფიტები*.

აღნიშნულს ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა ელინურ ხანაში ნარკოტიკების შესახებ გავრცელებული ერთი მითოსური ისტორიის გახსენება:

ძვ. წ. IV საუკუნეში ოლიმპოს მთაზე აღმართული *დემეტრესადმი* მიძღვნილი *ელვისონის ტაძარი* მაშინდელი სულიერი განცდებისა და მისტიკურ ენებათა ცენტრად იქცა. ტაძარში სამი ღმერთი მეფობდა: *დემეტრე – ნაყოფიერების ღმერთი*, ორგიული თავაწყვეტით ცნობილი *დიონისე* და *სიფერულის წამლების* მოყვარული *ორფეოსი*. ტაძარში ვითომდა განწმენდისა და ასკეტიზმის მოსურნეთა კურთხევის მისტიკურ რიტუალებს თან *ორგიული დროსტარება* ახლდა, თუმცა ტაძრის მსახურები ცდილობდნენ თანამედროვეების მახვილ თვალთაგან ფარდა არ აეხადათ ბანგის საიდუმლოებისათვის, რამაც ისტორიკოსების წინაშე გარკვეული ჯებირები აღმართა ტაძრის მსახურთა საქმიანობის გამოფერვაში, რომელიც *ორგიულ ჯოჯოხეთში რიტუალური ჩაძირვის ფასად* იმქვეყნიურსა და სიკვდილის მიმზიდველობასაც კი ქადაგებდა. ტაძრის მსახურნი *თვითგანწმენდის აბსოლუტურ საჭიროებად ტკბობის სიამოვნებასა და ტრანსავგრესიას მიიჩნევდნენ*.

გამოხდა ხანი, მაგრამ ამ მითოსმა შეუპოვარი ჯიუტობით განაგრძო სიცოცხლე დიკენსის, ბოდლერისა და კოკტოს ნაწერებში, უკვდავების გზაზე ახლანაზნ გამდგარი უდიდესი ამერიკელი პროზაიკოსის არტურ მილერისა თუ თანამედროვე ინგლისურ-ამერიკული კოსმოპოლიტიზმის სიმბიოზური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლის ჯეკ კოლინზის თხზულებებში. ისინი ზომ პირადად განცდილ ნარკოტიზირებულ ტკბობაზე მოგვითხრობენ.

ელევსინის მისტერიებმა წარმართული სამყაროდან დღემდე ქარცეცხლში გამოატარეს ნარკოტიკული პრაქტიკის არსი.

იგივე ისტორიამ დაადასტურა, რომ თუ ერთ ცივილიზაციაში ნარკოტიკული პროდუქტი დადებითად იყო მიღებული, მეორეში იგი *მკნეღ*, უკანონოდ მიიჩნეოდა და განიდევნებოდა; ერთი ცივილიზაცია *ხოტბას* ასხამდა მას, ხოლო მეორე *ბოროტების სიმბოლოდ* თვლიდა და ხშირად ის, რაც კანონიერი იყო წარმოების დონეზე, აკრძალული იყო მოხმარებისათვის.

მაგრამ ნარკოტიკი ყველა ცივილიზაციაში არსებობდა როგორც *კულტურული, მერკანტილური და პოლიტიკური სამიზნე*; იგი ყოველთვის ტრიალებდა მედიცინისა და მეცნიერთა ფიქრის შუაგულში, ძალაუფლების სტრატეგიებში, ადამიანთა საზოგადოებების ისტორიის წიაღში.²


სწორედ ამიტომაც მისდია საოცარი სიმსუბუქითა და სახეცვლილებით ნარკოტიკმა სამყაროს მუტაციებს და სწორედ ამიტომ არის საინტერესო და აუცილებელი ქრონოლოგიური თუ თემატური მიდგომით მივუჩინოთ მას ადგილი *გეოპოლიტიკურ კონტექსტში*, რათა თვალნათლივ დავინახოთ ნარკოტიკულ მცენარეთა კულტურის ზონები, მისი კომერციის ვექტორები, გავეცნოთ მათი წარმოშობის ისტორიას, რისთვისაც მთელს სივრცეზე უნდა გავუყვეთ იმ საქარაგნო გზებს, რომელიც ამ სიხარულის მცენარის მოპოვების მიზნით გაკვალულია *შუმერების, ბერძნების, ეგვიპტელების, სპარსთა, არაბთა მოძრაობებით* და ინდუიზმის, ბუდიზმისა და ისლამის მუდმივად თანამდევი ფაქტორია.

ისტორიის ფოლიანტებში ასახული ნარკოტიკული აკრძალვები *თვისებრივად* შორს რჩებოდა დასახული მიზნის მიღწევისაგან და მიზანში მხოლოდ ერთს ურტყამდა – *ნარკოტიკების მოხმარების აფეთქებას*.

ისტორიული მომენტი – კოლონიურ მსოფლიოსა და თანამედროვე ქვეყნებს შორის, მაგიურ მედიცინასა და ქიმიურ რაციონალიზმს შორის, *წარსულრელიგიურ რწმენასა და თანამედროვეობის მიმზიდველ ამორალურ ამბოხს* შორის გვაძლევს გასაღებთა სერიას, რათა შედარებით იოლად და ბოლომდე შევიცნოთ ნარკოტიკთან დაკავშირებული *თანამედროვე ფენომენი*.³

მაგრამ ნარკოტიკის თანამედროვე ფენომენის გახსნამდე აუცილებელია ჟამთასვლის დაუსრულებელ გზაზე შემდგარი მცენარეული ნარკოტიკის *სამი ოჯახის წარმომადგენელთა* ისტორიას გადავხედოთ. ესენია – კანაფი, ყაყაჩო და კოკა – მსოფლიოს კულტურები, რომლებიც დროსა და სივრცეში *სიხარულის მცენარედ, ადამიანთა თანამდეგად, ყავისფერ თუ მწვანე ოქროდ* მოინათლა.

რეკლიმბია და ნარკოტიკული სამყარო



მუსულმანები და გულისტამი ნარკოტიკული კულტურის არეალუმი:

გულისტამი:

- XI ს.
- XII-დან XV ს.-მდე
- XVI-დან XIX ს.-მდე

ბუღბუღები:

- იმერეთის წამბოშის კრა მე. II ს., ბუღბუღის მე. VI ს.
- ბუღბუღისა და იმერეთის გუგუნი
- კანაფის მოხმარების დროების თარიღები

§ 2. სისხარულის მცენარე – კანაფი

მცენარე კანაფი *კლანეტაზე ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი ნარკოტიკია*. ამჟამად იგი კულტივირებულია მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანაში.

საინტერესოა *კანაფის* გავრცელების ისტორია, იგი თანმდევია ხალხთა მიგრაციებისა, რისთვისაც მცენარეს *ადამიანების მღვდარი* შეარქვეს. კანაფის აკვანი *თურქისტანის* იმ სტეპებში დაიწა, რომელიც დღეს ცენტრალური აზიის რესპუბლიკებსა და ჩინეთის დასავლეთს უჭირავს. ამ ადგილებში ძვ. წ. IV საუკუნეში კანაფის ფიბრის (*ნართის*) ნაკუწებია ნაპოვნი, ხოლო დღეს *აზახეთსა და ყირგიზეთში* – ჩუის დაბლობზე მცენარე 150 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული.

კანაფის პირველსახის მოხმარება ძვ. წ. 2 700 წლით თარიღდება.


იმპერატორ ჩენ-ნონგის ფარმაკოთერაპიაში მემატრიანე მას ტკივილდამაყუჩებლად და ფსიქიკური აშლილობის საწინააღმდეგო საშუალებად მოიხსენიებს.

ძვ. წ. III საუკუნის მიწურულს 1300 წელს ქერელმა – იგივე კანაფმა *კასპიის ზღვით* ინდოეთის ჩრდილოეთში შეაღწია, სადაც იგი *კეთილშობილ ფსიქოტროპად მოიხსენიება (ათპარავავედა, ერთ-ერთი ოთხ წმინდა წიგნთაგანი)*.

ძვ. წ. 1300 წელს დაწერილი ეს წიგნი ხოტბას ასხამს ქერელის *მასტი-მულირებელ და ეიფორიულ* თვისებებს: მასში აღნიშნულია, რომ საუკუნეთა მანძილზე საღებები მცენარის *ყვავილოვან კენწეროებს ახმობდნენ, მტვრად აქცევდნენ და საკვებში ურევდნენ*.

ინდურ-ევდიკურ კულტურაში კი მნიშვნელოვანი ადგილი სხვა ფსიქოტროპს – ღვითურ რანგში აყვანილ მიქსტურას ეჭირა. მისი ბუნება იდუმალებით იყო მოცული, მაგრამ შემადგენლობით მაინც დადგენილია, რომ იგი *ქერელი* უნდა ყოფილიყო და *ნახარშის* სახით გამოიყენებოდა.

ცენტრალური ევროპის რამდენიმე წერტილში აღმოჩენილია დეკორატიული თიხის (კერამიკის) საგნები, რომლებიც ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება და მათზე *კანაფის თესლით სავსე კოლოფები ან კალათებია* ამოტვიფრული.



კანაფი

არქეოლოგებმა რუმინეთის ყორღანებში აღმოაჩინეს ძვ. წ. III საუკუნის ძეგლი, რომელშიც კანაფის დასაწვავი *მაყალი*, *კანაფის თესლით სავსე თასი* და *ჩიბუხი* იყო; დეკორაციაში შესულია ახალი სტილი *კორდე* – *გრეხილი თოკი*, რომელიც ქერელის ბაწრის აპლიკაციას წარმოადგენს.

ქერელის თოკდაგრეხილი ქაშრებით დამშვენებული ბნელი წარმოშობის მომთაბარე მწყემსები იმავე ეპოქაში სახლობდნენ *რუსეთში*, *აღმოსავლეთ საფრანგეთში*, *შვეიცარია* – *სკანდინავიაში*. ზოლო *ქერელის სავაჭრო ვექტორები* აკავშირებს პირველი ცივილიზაციის კერებს: ნილოსი – ცენტრალური აზია, ნოყიერი სივრცე (*თანამედროვე ურაყი და სირია*) – ინდუსი. ამ გაცვლა-გამოცვლით შეიცნო *კანაფი* ძლიერმა *ეგვიპტემ*.

ძვ. წ. XVI საუკუნეში ამენხოტეპ I-ის მეფობის დროს *კანაფი* დასახელებულია *თებეში* დაწერილ *ჰაპირუსში*, სადაც იგი საკმეველში შერეულ ბანგად მოიხსენიება.

ძვ. წ. IX საუკუნეში ქერელმა ფესვები ირანის პლატოს ჩრდილოეთით გაიდგა, აქაც იგი საკმეველში შესარევედ გამოიყენებოდა. თურქეთში, ანკარის სიახლოვეს ჩატარებულმა გათხრებმა *ქერელის ფიბრის* ხმარების შემთხვევები დაადასტურეს.

ძვ. წ.-მდე მეორე ათასწლეულში ვოლგის ნაპირებზე კანაფის კულტურას არალის ზღვით გადმოსული ირანელი მებრძოლები აშენებდნენ. მათ ბალახი *ბალკანებამდე*, *კიევიამდე*, *ბაეარიაამდე* და *ჩრდილოეთ იტალიამდეც* კი მიჰქონდათ.

ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ნახევრად ფენხმოკიდებულ კანაფს შავი ზღვის ჩრდილოეთით აღწერს; აქ მას სკვითები *ორთქლის აბაჯანის* დროს იღებდნენ, მარცვლებს გაფარვარებულ ქვებზე აბნივდნენ და დაბანგული გონებით მისტიკურ ორგებში გადაეშვებოდნენ. „ეს *ორთქლის აბაჯანები* სკვითებს *სიხარულის ყვირილს აღმოხდის ზოლმე*,“ – წერდა ჰეროდოტე.

ძვ. წ. IV საუკუნეში *ალტაის* მთების დასავლეთსა და *ყაზახეთში* ნაპოვნია კანაფის თესლით სავსე *სპილენძის სავნები*.

ჰომეროსის ილიადაში აღწერილია, თუ როგორ შეასვა ელენემ მეუღლეს ნეპენტეზი, კაეშნის მომხსნელი და ტკივილგამაყუჩებელი სითხე.⁴

ძვ. წ. II - I საუკუნეებში *რომაელები* გემების შესაკრავად ფართოდ იყენებდნენ ქერელს – როგორც *სათოკე მასლას*. მათ *კანაფი გალიაში*, კერძოდ, *ელზასში* გაჰქონდათ და კეისრის ლეგიონებში არიგებდნენ – დღესასწაულებზე *კარვ ტონად* ითვლებოდა კანაფის *თესლის ჩამორიგება*, რომელიც აღვზნებასა და ეიფორიას იწვევდა.

175 წელს ექიმი კლავდიუს გალენუსი აფრთხილებდა ადამიანებს არ გამოეყენებინათ მარცვლები ბოროტად და არ შეერიათ ისინი ცომში, რამეთუ მათ ჰქონდათ „*თვისება დაკოლოს ტვინი თუ გადაჭარბებით მიიღებენ*“.

ძვ. წ. III ათასწლეულში ბჰანგის სახელით ცნობილი *კანაფი* ინდოიზმის მიმდევარ *ბრაჰმანთა* სასულიერო კასტის *მედიტაციის* განუყოფელი ნაწილი გახდა. მისი მოხმარება განსაკუთრებით შივას კულტანაა დაკავშირებული.

ძვ. წ. VI საუკუნეში ინდოეთში გამოჩენილი ბუდიზმის მიმდევარი *ბრაჰმანები* დიდ მიდრეკილებას იჩენდნენ კანაფისადმი. თვითონ ბუდა დღეში ერთ მარცვალ ქერელს მაინც ღებულობდა, ხოლო აზიაში ახალი რწმენის გასავრცელებლად წასულ *მისიონერებს* ეს წმინდა მარცვლები თან მიჰქონდათ – ისინი კანაფის გამხმარ ფოთლებს ფშვნიდნენ და ჩიბუხით ეწეოდნენ.

ძვ. წ. II საუკუნეში ბუდიზმმა მოიცვა *ინდონეზია* და *ჩინეთი*. შესაბამისად კანაფი ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრი გახდა.

ძვ. წ. XVII საუკუნეში ბუდისტებმა კანაფი *იაპონიაში* შეიტანეს, ხოლო ძვ. წ. VII საუკუნიდან კანაფი მთავარ როლს ასრულებს ახალ დამპყრობლურ *ისლამურ რელიგიაში*.

ძვ. წ. XI საუკუნიდან ლიტერატურული ტექსტები ქერელის მოხმარებას ახასიათებენ მუსულმანური სამყაროს *სიამოვნების* წყაროდ, იგი ლიმიტირებულია მხოლოდ ელიტისათვის, რომელსაც *საკეებში* ურევენ. მოვიგონოთ „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები, რომელიც ქერელით შეზავებული სიყვარულის ბანგის რამდენიმე რეცეპტს გვაწვდის და ძვ. წ. 1000 - 1700 წლებითაა დათარიღებული.⁵

კანაფი მხოლოდ XIV საუკუნიდანაა ცნობილი დღეს ფართოდ პოპულარული სახელით – ჰაშიში (არაბულად *ძალაზი*). ზოგიერთი ავტორის მიხედვით არაბული სამყარო *ჰაშიშის* მოწვევას მხოლოდ XII საუკუნის შუა წლებიდან იწყებს – ეპოქაში, როცა *სუფიზმმა* თავის აპოგეას მიაღწია. ეს პრაქტიკა ეგვიპტეში *სირიელმა სუფისტებმა* შეიტანეს, რომლებიც *ირანის* გავლით *ინდოეთიდან* გადმოვიდნენ.

სხვა წყაროები ირწმუნებიან, რომ პირველი მწვეკლები მონღოლი დამპყრობლები იყვნენ, რომელთაც XII საუკუნეში *ბაღდადი* აიღეს და გამარჯვება გამაბრუებელთა თრობით იზეიმეს.

XIV–XV საუკუნეებში მოსაწვევი ლიმიტირებული იყო საძმოთა წევრებისათვის (*ჰადავას საძმო მაროკოს ჩრდილოეთში*), სადაც ათასობით მოხეტიალე ასკეტი გათანგული იყო *კიფიანი* თუ *სებისსური* ჩიბუხისგან.

1090 – 1272 წლებში *სპარსეთში, ერაყსა და სირიაში* წარმოჩინდა *სეპტენტრიონული* სექტა. ეს ჯგუფი დაფუძნებული იყო სპარსი *ჰასან იბნ-ელ-საბაჰის* მიერ. ისინი კანაფით გაბრუებულნი *მკვლელობათა სერიებს* აწყობდნენ ბაღდადის სუნიტური ძალაუფლების წინააღმდეგ. მათ ხელს უწყობდათ ფატიმიდები (ისლამურ-შიიტური დინასტია, რომელიც *ეგვიპტეში* 969-1171 წლებში ბატონობდა).

ცნობილი იტალიელი მწერალი და მოგზაური მარკო პოლო 1275 წელს *სპარსეთში* მოგზაურობის დროს მოგვითხრობს, თუ როგორ მოიყვანა საკუთარმა პატრონმა *აღვზნებაში* ჰაშიშისტები, როცა მათ „*სასმელი დააღვენა, რომელმაც*

ისინი მაშინვე დააძინა“. მოგზაური აღწერს, რომ იმხანად თითქმის ყველა ისმალელი და სუმიტი კანაფს მოიხმარდა. ზედმეტი სახელი – *ჰშიში სირიაში* ასოცირდებოდა, როგორც *ზიზლის გამომხატველი* ამ სექტის *ფანატიზმის* მითითებით – *თაიანთი ღმერთისგანვე ინტოქსირებული*.

XII საუკუნის მიწურულს, მას შემდეგ რაც ფატიმიდებმა *ქაირო* აიღეს, *სუნიტებმა* კანაფის მოხმარების შეჩერება სცადეს, მათ *მწევლებს კბილები დააგლოჯეს*, მაგრამ *ამაო!* ეგვიპტეში კანაფის მოხმარება *თაშესაქცევი* გახდა და ყველა სოციალური ფენა მოიცვა.

XIV საუკუნიდან *არაბი* და *ბერძენი* ვაჭრები *ჰშიშის* კომერციას მთელს მუსლიმანურ სამყაროში ეწეოდნენ.

მუსლიმი ვაჭრები ასევე მამოძრავებელ როლს ასრულებდნენ *შავს აფრიკაში* კანაფის გასავრცელებლად, რომელიც I საუკუნის მიწურულში აღმოსავლეთიდან დაიწყო.

ინდოელებმა, სპარსელებმა და სამხრეთის არაბებმა სანაპიროს გასწვრივ *სალაროები* დააფუძნეს. კანაფი კი გაცვლა-გამოცვლის ცენტრში აღმოჩნდა, რომელიც *აღმოსავლელებსა და ბანტენგელებს აერთიანებდა* – მოხდა სამხრეთის კანაფით ექსპანსია.

აფრიკაში მცენარეს ბჰანგი (**bhangi**) უწოდეს. მისი მოხმარების უძველეს კვალს წყლის გამაცხვლებელ ღუმელებში მიაგნეს, რომელთა მოძიება *კენის* ჩრდილოეთისა და *ეთიოპიის* სამხრეთში XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება.⁶

XV საუკუნის შუა წლებში კანაფმა *სამხრეთი აფრიკა* დაიპყრო, სადაც მას *დაგა (dagga)* უწოდეს.

დასავლეთისკენ კანაფი შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა. *სეპატილი* ვაჭრების მიერ შემოტანილ კანაფს *ზაირში, კონგოსა და ანგოლაში* მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიცნობენ რიამბას, ლიმბას ან დიამბას სახელით. *ტრანსსაჰარის* გაცვლა-გამოცვლის ვექტორების ადრეული შენების მიუხედავად, დასავლეთი აფრიკა ქერელს არ იცნობდა *ნიგერიელი* და *განელი* ჯარისკაცების დაბრუნებამდე. იმ ჯარისკაცებისა, რომელთაც *ბრიტანული ღროშის ქვეშ* იბრძოლეს *აზიაში*. ამ რეგიონებში კანაფი ვერ ეგუებოდა ისეთ ადგილობრივ პროდუქტებს, როგორცაა *დატურა, იბოგა და კოლას კაკალი კონგოსა და გაბონში*.


აფრიკის ზოგიერთ რეგიონში *კანაფური ტრადიცია* XX საუკუნის დასაწყისით თარიღდება. აქ კულტურა უმთავრესად *ჰენის* პოპულარობასთან ასოცირდება და იგი *ეგვიპტიდან* გამოსულმა მომთაბარე მწყემსებმა გაავრცელეს *საჰარულ აფრიკაში*.

ამ დროიდან კანაფი და ქერელი ერთად გაუყვა *ერთმანეთის დაცილებულ* გზებს და როგორც ბოტანიკოსებს დიდხანს სჯეროდათ, ისინი *თითქოს ორი სრულიად განსხვავებული* მცენარე იყო, მაგრამ ისტორიამ და თანამედროვეობამ

დაადასტურა მათი *ნარკოტიკული ეფექტის* იდენტურობა.

მცენარე კანაფი გამოირჩევა ყოველგვარ პირობებთან შეგუების შესანიშნავი უნარით – სხვადასხვაგვარად იქცევა კლიმატისა და ნიადაგის შესაბამისად: ზომიერ ზონებში იგი ამრავლებს ფიბრებს და ამცირებს ფისის შემცველობას, ცხელ რეგიონებში კი გამოყოფს ბევრად მეტ *აქტიურ მარტივ სხეულებს* ფიბრების საზიანოდ.

კანაფის გადამუშავებისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მიღების სქემა⁷



§ 3. მარის'უანა

დღეს მსოფლიოში *Cannabis sativa* კანაფის ტიპისა და კანაფისებრთა ოჯახის წარმომადგენლის ბოტანიკური სახელწოდებაა. იგი მაღალი, ერთწლიანი, ხისმაგვარი ოროჯახა ბუჩქოვანი მცენარეა, რომელსაც უფრო მარიხუანას სახელით იცნობენ.⁸

ტერმინი მარიხუანა განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით მოიცავს ყველა ამ ტიპის მცენარეს, იმის მიუხედავად იგი ზრდის პროცესშია თუ არა. ტერმინი მოიცავს აგრეთვე, თესლს და იმ ფისს, რომელიც მისგან მიიღება – გამოიწოვება, იგი გულისხმობს მარილის დერივატებსაც და ასევე ნაერთებს – მომზადებულს ამ მცენარის ბაზაზე.

ექსპერიმენტებმა დაადასტურეს, რომ ამ მცენარეზე ზეგავლენას ახდენს ქვეყნის გარემო პირობები – ნიადაგის ქიმიური შედგენილობა, ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა, რის შედეგადაც წარმოიქმნება მარიხუანას ჯიშის მცენარის სახესხვაობა. კლასიფიკაციის უნივერსალური სისტემის მიღებამდე ამ მცენარის სახეობებს სხვადასხვა სახელი უწოდეს. ცნობილი ბოტანიკოსები ამჟამად აღარ



ცნობენ ამ განსაზღვრებებს და ახლა ყველაზე მისაღებ სახელწოდებად აღიარებულია **Cannabis Sativa**.

კანაფის მცენარე რამდენიმე აქტიურ ალკალოიდს შეიცავს. მათგან უმთვერესია ტეტრაჰიდროკანაბინოლი (**Tetrahydrocannabinols -THC**), სწორედ იგივე ყველაზე აქტიური ალკალოიდი და როგორც მეცნიერები ფიქრობენ, იგი ისეთ რეაგენტებს შეიცავს, რომლებიც ჰალუცინაციებს იწვევს. ალკალოიდთა უმეტესობა იკარგება გახმობისას, მაღალ ტემპერატურაზე შენახვისას ან დაბალ ტემპერატურაზე მცირე ხნით შენახვის შედეგადაც. ისინი შედარებით მდგრადები არიან ზომიერ ტემპერატურაზე.

საუკუნეების მანძილზე ადამიანები აშენებდნენ მცენარეს და აგროვებდნენ მის ბოჭკოს ზეთისა და ფსიქოაქტიური ფისის გამო.

ბუნებაში გვხვდება კანაფის მცენარის ორი ჯიში: ერთი არის *ფისის გამოძყოფი*, მეორე – *ბოჭკოს მწარმოებელი*. **THC** უმეტესად გვხვდება მცენარის ზემოთა ნაწილში, ყვავილის გარშემო განლაგებულ ფოთლებში (*გვირგვინში*), აგრეთვე იმ ყვავილებში, რომლებიც ფისს იძლევიან.


მარიხუანას თაღდაპირველი სახელის კვალ – კანაფი ჯერ კიდევ *ანტიკურ ხანაში* დაიკარგა. ცნობილი ექსპერტი მ. გრეი აღნიშნავს, რომ ბერძნულში იგი სპარსულიდან, კერძოდ, სიტყვიდან **Kanab** არის შემოსული.

მსოფლიოს უმეტეს ადგილებში აგროვებენ ამ მცენარის წვეროებსა და ფოთლებს, რომელთა გახმობის შემდეგ მას სიგარეტში ახვევენ და ეწევიან.

ინდოეთსა და ცენტრალურ აზიაში დაუმუშავებელი *ფისი* მიიღება მცენარის გაყვავილებული წვეროებისაგან, შემდეგ მას აძლევენ პატარა ჯოხების ფორმას ან ურევენ სხვადასხვა საწვავებს, რომლებსაც *ჩაროზს* უწოდებენ – მას ან ეწევიან ან ჭამენ. *ფოთლებს* ძირითადად *ფქეკვენ* და *ურეკვენ* *სანელებლებს*, *თაფლს* ან *წყალს*. ამ ნარევს ბანგი ეწოდება და მასაც ჭამენ ან სვამენ.

ჩრდილოეთ აფრიკაში გამხმარ და დაფქულ წვეროებს თამბაქოში ურევენ და ჩიბუხით ეწევიან. *ტუნისში* მას მომხმარებელი **Takrouri** - ს ეძახის, *მაროკოში* კი – კიფს.

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებსა და სპარსეთის ყურის არაბულ სამყაროში დაუმუშავებელი ფისი, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაყვავილებული წვეროებისაგანაა მიღებული, იფხენება; მასას ეწევიან, როგორც სიგარეტს და *ხირას* ეძახიან. ზოგჯერ ამ მასას *ჯოხების ფორმას* აძლევენ, რომელსაც ძირითადად *ჭამენ*. იგივე ტერიტორიაზე გაყვითლებულ წვეროებს *კარაქსა* და *წყალში* ალბობენ, შემდეგ *ნუშსა* და *თაფლში* ურევენ და ისე მიირთმევენ როგორც ტკბილეულს. ამ ნარევს თურქები „majoun“-ს ან „esrar“-ს უწოდებენ. სამხრეთ აფრიკაში ეწევიან *დიამბასა* და *დაგას* (**djamba, dagya**). ეს არის დაფშენილი ფოთლებისა და გაყვითლებული წვეროებისაგან დამზადებული ნარევი.



მარიხუანას ნათესები



დამუშავებული მარიხუანა



ტაილანდური ჯოხები

1900–1937 წლებში კანაფის ფისის შემცველი ფარმაცევტული პროდუქცია თავისუფლად იყიდებოდა როგორც *ტკივილდამაყუჩებელი* და *დამამაშვილებელი* საშუალება. მაგრამ სულ ცოტა ხანში სამედიცინო საზოგადოება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ პრეპარატების გამოყენებას თან უარყოფითი გვერდითი მოვლენებიც ახლდა.⁹

მარიხუანას კულტივაცია ხდება სამი მიზნით:

– უპირველესად იმ ბოჭკოსათვის, საიდანაც *თოკი*, *თასმა*, *ნაჭერი* და *ძაფი* მიიღება;

– მარიხუანას თესლისაგან მიღებული *ზეთი* ფერწერაში გამოიყენება. იგი არის სელის ზეთისა და სხვა ზეთების შემცველიც;

– მარიხუანას აშენებენ იმ რეაგენტის შეგროვების მიზნით, რომელსაც გაყვითლებული წვეროსა და ბუტკოსაგან დამზადებული ფისი შეიცავს და განზავებულ ნაერთს ხშირად იყენებენ ანტიგენურ საშუალებად იმ პაციენტთა მკურნალობისათვის, რომლებიც ალერგიულიები არიან ამა თუ იმ მცენარის მიმართ.

ამ მცენარეს ადვილად გამოარჩევთ სხვა მცენარეებისგან თავისი წებოვანი ღეროთი და დიდი ფოთლებით, რომლებსაც 3-7 წარმონაქმნი აქვს, დამახასიათებელი სუნით.

როგორც ყველა მცენარე, *მარიხუანაც ორსქესიანია* – *დედალი* და *მამალი*. როგორც წესი, *მდედრი* მცენარე უფრო დაბალია და ყვავილის გამოღების შემდეგ სწრაფად ხმება, ხოლო *მამრი* მცენარე დამტვერვის შემდეგ შეასრულებს რა თავის მისიას, სწრაფად ხმება და კვდება.

მარიხუანას გამოყენება და ეფექტი: მარიხუანას მოხმარებას სხვადასხვაგვარი *სულიერი* და *ფიზიკური* ეფექტი აქვს, რომელიც მისი სისტემატური მიღების შემთხვევაში თანდათანობით შესამჩნევი ხდება. მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციამ – WHO აღწერა მარიხუანით ინტოკსიკაციის სურათი: *მისი მოხმარებისას ძირითადად აღენიშნებათ უყურადღებობა, ეიფორია, მხიარულება, მგრძობელობისა და შემეცნების უნარის დაქვეითება, გაღიზიანება და კონფუზია.*

შედარებით ცოტა არის ცნობილი კანაფის *ტოქსიკური* შედეგების შესახებ, ამ მიმართულებით მუშაობა ახლაც მიმდინარეობს. მთავარი შემადგენელი ელემენტი *ტეტრაჰიდროკანაბინოლი* ზემოქმედებას ვერ ახდენს უმაღლეს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ის წარმოქმნის *მოზღვავებული ფიზიკური ენერჯიის შეგრძნებას* და *საერთო ეიფორიას*. წარმოსახვითი სამყაროს სტიმულაციის შედეგად მომხმარებელს უჩნდება ისეთი გრძობა თითქოს იგი კალეიდოსკოპში იხედება. ასეთი ბოღვითი მდგომარეობის დროს მას უჭრება დროისა და სივრცის აღქმის უნარი – საგნები პატარად ეჩვენება, წამები აღიქმება წუთებად, წუთები საათად და საათი დღედ. ბოღვითი მდგომარეობა განსხვავებულია დოზების ოდენობის მიხედვით. თუ დოზა საკმარისია ორგანიზმის საერთო სისუსტეს თან სდევს *თვლმა, დაღლა და ძილი.*

მომხმარებელს კვამლის შესუნთქვის შემდეგ ეუფლება შინაგანი *მაყორული* განწყობილება. ეს *მხიარულების* შეგრძნება თან ახლავს ნებისმიერი ოდენობით ნარკოტიკის მოწევას. ეს მდგომარეობა ითვლება როგორც ყოფნა მაღლა, მოგზაურობა – კაიფი. თუკი მომხმარებელი *მარტოა*, ის შეიძლება იჯდეს *წვარად* და თვალს ადევნებდეს მის *წარმოდგენაში მიმდინარე ფერთა გამას*, ფერად წარმოსახვებსა და ხატებს. კამპანიამში კი ის განსაკუთრებით ენაწყლიანი ხდება. მას ექმნება *დაქვეითებული* კოორდინაციის უნარი, თუმცა ამას იგი ხშირად ვერც კი ამჩნევს. მისი ინტელექტუალური თვისებები, განსაკუთრებით ისინი რაც სინქარესა და კორექტულობას ეხება, შესამჩნევად სუსტდება. ინდივიდის ძირითადი პიროვნული თვისებები უცვლელი რჩება, იცვლება მისი *ბიჰევიადური* რეაქციები. *მას აქვს მომატებული თვითდაჯერება და გამბედაობა* – ეს უკანასკნელი ერთ - ერთი დამახასიათებელი მომენტი. მომხმარებელი მეტ-ნაკლებად კარგავს თავშეკავების უნარს.

„მოგზაურობისას“ მსჯელობისა და მეხსიერების უნარი ქვეითდება. მომხმარებელი *სწრაფად ღიზიანდება*, იგი *არეული* ან *შეშინებულია*. მისი ქცევა *იმპულსურია*, ხასიათი კი *სწრაფად ცვალებადი*. არც თუ ისე იშვიათად მომხმარებელი განიცდის *ფანტასმაგორიას* – შეგრძნებას, თითქოს საგნები დიდი სისწრაფით მოექანებიან მისკენ და მიახლოებასთან ერთად თანდათან იზრდებიან.

მარიხუანათი *„მოგზაურობა“* საერთო ჯამში 3 - 5 საათამდე გრძელდება, რის შემდეგაც მომხმარებელს ეუფლება *შიმშილის* ძლიერი შეგრძნება და *ეძინება*.

მცენარეში აქტიური ინგრედიენტის არამდგრადი ბუნების გამო ლაბორატორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელი ხდება დადგინდეს ეიფორიული მდგომარეობისათვის საჭირო დოზა. ამ მცენარით ზემოქმედებაზე გავლენას ახდენს *სხეულის ფსიქოლოგიური აღქმის უნარი, ემოციური სტაბილურობა, პიროვნული თვისებები, სოციალური გარემო*. ყოველივე აღნიშნული თავის გავლენას ნარკოტიკის ზემოქმედების ხანგრძლივობაზეც ახდენს.

ჩვეულებრივი დოზა სხვადასხვა ადამიანისათვის სხვადასხვაა. იგი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ მწველად მიიჩნევს ესა თუ ის პიროვნება თავს – არის ის ექსპერიმენტატორი (სოციალური) მწვეველი თუ მხოლოდ წვეულებაზე, კამპანიაში ეწევა ნარკოტიკის ხასიათზე მოსასვლელად; არის ის უქმების, რეგულარული, თუ მძიმე (*გამოუსწორებელი*) მწვეველი.

დღეს *კანაბისის – მარიხუანას* ნაწარმის მოხმარების *პირველი* ბაზარი *ამერიკის შერთებული შტატებია*: 1997 წლის მონაცემებით 19,4 მლნ ამერიკელი წელიწადში ერთხელ მაინც მოიხმარდა მას, 7 მლნ-ზე მეტი – კვირაში ერთხელ ეწეოდა და 5 მლნ-მდე – ყოველდღიურად.

ასევე მკვეთრი ტემპებით იზრდება *კანაბისი – მარიხუანას* მოხმარება ევროპაში, სადაც პირველობის პალმა ჰოლანდიას ეკუთვნის. იქ სათბურებში გამოყვანილი მარიხუანას უდიდეს რაოდენობას აწარმოებენ, რომელიც *ძლიერი ეფექტით* გამოირჩევა და *ევროპის ქვეყნების* ძირითადი მომმარაგებელია.

საქართველოში კანაბისი (*ერთწლიანი მცენარე*) კანაფის სახელითაა ცნობილი. სიმაღლეში იგი 1-დან 3 მეტრამდე და უფრო მეტსაც აღწევს, აქვს ვიწრო, გრძელი, დაკბილული ფოთლები, რომლებიც მარაოსებრად იზრდება. თვით ფოთლები მზინავი და წებოვანია, ხოლო ზედაპირი დაფარულია მოკლე ბუსუსებით.


ჰაშიში: *სინონიმი: ანაშა, კანაბისი.*

ჰაშიში, ანუ როგორც ეს მედიცინასა და კანონმდებლობაშია ცნობილი – კონცენტრირებული კანაფი, უბრალოდ *მარიხუანასგან* მიღებული კონცენტრირებული ფისია. აღიარებულია, რომ *ჰაშიში* მოქმედების სიძლიერით ჩვეულებრივ „*კომერციულ*“ *მარიხუანაზე* 8 - 10-ჯერ ძლიერია. მასში **THC**-ს შემცველობა ძირითადად 2-დან 22 პროცენტამდე მერყეობს.

ისტორია მოგვითხრობს, რომ *მალაიზიელ* თავზუნელალებულ მკვლელებს, რომლებსაც ამოკს (*amok*) ეძახდნენ, სისტემატურად ამარაგებდნენ *ჰაშიშით*. ცნობილია ისიც, რომ ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლი მაჰმადიანები *საიდუმლო მკვლევლობებს* სწორედ *ჰაშიშის ზემოქმედების ქვეშ* მყოფნი ასრულებდნენ. ის გამბედაობა და დაუნდობლობა რაც ამ მკვლელობებს ახასიათებდა, სწორედ *ჰაშიშით* გაბრუებიდან იღებდა სათავეს. მკვლელებს კი უწოდებდნენ „*ჰაშიშინ*“ (*haschichin*), „*ჰაშიჰაშ*“ (*hashihash*) ან „*ჰაშიში*“ (*hashishi*). ლინგვისტები ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ „სიტყვიდან წარმოიშვა *მკვლელისა* და *მკვლელობის* გამომხატველი ინგლისური ვარიანტები – **assassin**.

ჰაშიშის უმთავრესი მწარმოებელი ქვეყნებია *ინდოეთი, აზლო აღმოსავლეთი, მაროკო, პაკისტანი, მექსიკა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები*.¹⁰

ჰაშიში მყარი ფორმის, *მღოვიის-ფერიდან ყვითფრამდე* ფერის ნივთიერებაა. არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება *ჰაშიშის ფერის* შესახებ. ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ თუ ჰაშიშს *ღია* შეფერილობა აქვს, ის *სუსტია* და თუ იგი *მუქი* ფერისაა, მასში *ჭარბი* ოდენობითაა **THC**. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრება ეწინააღმდეგება ამ ვერსიას. ჰაშიშის *პროფესიონალი* მომხმარებლები




ჰაშიში

აზლო აღმოსავლეთსა და აზიაში აცხადებენ, რომ როგორც მარიხუანას, ისე ჰაშიშის სიძლიერე იცვლება *პარტიიდან პარტიამდე*, ყოველი პარტიის სიძლიერე კი დამოკიდებულია იმ მარიხუანაში **THC**-ს შემცველობაზე, რომლისგან გამოყოფილი ფისისგანაც არის მიღებული ჰაშიში.

ჰაშიშს ჩვეულებრივ ან *ენვეიან* ან *ჭამენ*. მოსაწვეად იყენებენ ჰაშიშის ჩიბუხს ან ჩვეულებრივ ჩიბუხს. *ჰაშიშის ჩიბუხს* აქვს ძალიან პატარა თასი, რომელსაც შიგნით შეიძლება ჰქონდეს ეგრეთ წოდებული – ცხავი. იგი გამოიყენება ჰაშიშის გაფილტვრის მიზნით, რათა ჰაშიშის მასის ნაწილი არ მოხვდეს მწვეველის ორგანიზმში. ბევრი მწვეველი *ალუმინის ფოლგისაგან* ამზადებს *ფირფიტას*, რომელსაც ნემსისტოლა ნახვრეტები აქვს გაკეთებული. ეს ფირფიტაც ერთგვარი ფილტრის როლს ასრულებს, რათა ჩიბუხი ჰაშიშის ფისით არ დაჭუჭყიანდეს. ზოგიერთი მწვეველი ნარკოტიკის გასაძლიერებლად ერთმანეთში ურევს მცირე **THC**-ს შემცველობის *ჰაშიშსა* და *მარიხუანას*. თუკი მოწვევის მომენტში ხელმისაწვდომია, *მცირე* ოდენობის ჰაშიში თავსდება *თუთუნზე*, რომლის წეის პროცესში მწვეველი თამბაქოს კვამლთან ერთად ჰაშიშის კვამლსაც შეისუნქთავს.

როგორც ზემოთ ითქვა *ჰაშიშს* *ჭამენ* კიდევაც. ძირითადად მას ტკბილეულს ურევენ. მაგალითად *შოკოლადი* კარგად ახშობს ჰაშიშის სუნსა და გემოს, ამავე დროს ჰაშიშის ზემოქმედება იგივე რჩება.

ნარკოტიკის მომხმარებელთა უმეტესობა უპირატესობას ჰაშიშს ანიჭებს, რაც განპირობებულია იმით, რომ ჰაშიშის ზემოქმედება საკმაოდ *ძლიერი* და *სწრაფია*, ხოლო მოხმარება - *მოსახერხებელი*.



ჰაშიშის ზეთი მოთავსებული
მინის საზომ ჭურჭელში

ვიდრე *კომერციული* ტიპის მარიხუანა. იგი იმდენად *სქელი* სითხეა, რომ *შეთბობას* მოითხოვს. მას ნაირგვარი შეფერილობა აქვს, მაგრამ გამოარჩევენ *სპილოსძვლისფერს, მუქ მწვანეს, ყავისფერს* ან *შავს*. ეს ნარკოტიკი ძალზე პოპულარულია ამერიკაში და იგი აღიარებულია ერთ - ერთ *ძლიერ ჰალუსინოგენად*. მისი საშუალო *სიძლიერე* 20-დან 50 პროცენტამდე მერყეობს და სიძლიერით გასაყიდად გამიზნულ სუფთა **THC**-ს უახლოვდება.

პრაქტიკაში *ჰაშიშის ზეთი* პერმეტულად დახურულ კონტეინერებში ინახება – სინათლისაგან და სიციხისაგან დაცულ პირობებში. *ჰაერი, მაღალი ტემპერატურა და სინათლე* ზეთის ისეთ გამაგრებას იწვევს, რომ იგი გამოსაყენებლად *უვარვისი* ხდება.

ნარკოტიკების გამაგრებლებმა კარგად გააანალიზეს, რომ ასეთი ნარკოტიკის ტრანსპორტირება არ უკავშირდება დიდ რისკს – შესანახად და გადასატანად მოხერხებულია, ფინანსური მოგება კი ერთობ მაღალი.

ზეთის მიღების პროცესი ძალზედ წააგავს ყავის გაწურვის პროცესს და მის მისაღებად სულაც არ არის საჭირო ლაბორატორიის არსებობა. სწორედ ამიტომ, ამჟამად მსოფლიოში შექმნილია ერთგვარი *იატაკვეშა* სისტემა, რომელიც *ჰაშიშის ზეთის* მიღებით არის დაკავებული.

მას ძირითადად *ჰაშიშის ზეთით გაყვლილი* თამბაქოს ნაწარმით ეწვეიან.⁸

§ 4. სისხლისშემრი ყაყაჩოდან ყავისშემრი ოპიუმად



ოპიუმის ყაყაჩო

ყაყაჩოს პირველი კვალი ნეოლითურ ხანას ეკუთვნის. მისი განსაკუთრებული თვისებების გამო ეს მცენარე ძლიან ადრე გაიცნეს. ისტორიკოსი ლევეინი აღნიშნავს, რომ „კატობრიობის ისტორიასთან ერთად ჩაისახა ყაყაჩოს ისტორიაც. ადამიანები მას ეძალებიან რაღაც გარდამავალი მდგომარეობის. სასიამოვნო ეიფორიისა და კომფორტის სუბიექტური კეთილდღეობის განცდის მიზნით“.

ყაყაჩოს პირველი მარცველები ნაპოვნია XI საუკუნეში ევროპული სოფლების დატბორილ ადგილებში (*შვეიცარია, იტალია, გერმანია*), ხოლო მცენარის მოშენება ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. არქეოლოგმა გლინერმა *გრენადასთან* ახლოს ესპანეთში, *აღბურილის* სამარხ მღვიმეში ძვ. წ. 4200 წლით დაათარიდა საგნები, რომლებიც ოპიუმის გამოსაწვეად იხმარებოდა; აღმოჩენილია ყაყაჩოს თესლით სავსე ურიცხვი საგანი. უფრო მოგვიანებით კი ნაპოვნია კვალი, რომელიც *რკინის ზანით* თარიღდება და ამტკიცებს *სამხრეთის* ყაყაჩოს *ჩრდილოეთისაკენ* გავრცელებას.

ძვ. წ. 3000 წელს ყაყაჩოს შესახებ აღბეჭდილია პირველი ცნობა *თიხის ფილაზე*, რომელიც შუმერთა სულიერ დედაქალაქში – ნიპურში *ლურსმული* დამწერლობითაა შესრულებული. ამ ძეგლში საუბარია ყოველ დილით ყაყაჩოს წვეინს კოვზით მიღებაზე, რომელსაც შუმერები *ჟილს* ანუ *სიხარულს* უწოდებდნენ.

მოგვიანებით, შუმერთა ცივილიზაციის შთამომავალნი ყაყაჩოს *სპარსეთამდე* ავრცელებენ, მათ ყაყაჩო *სიხარულის მცენარედ* მონათლეს.

ძველ საბერძნეთში ნაპოვნია ქალღმერთ *ნიბასას* გამოსახულება ყაყაჩოს ყლორტებით. თუმცა ეს არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სპარსელები *ოპიუმის* დიდი მომხმარებლები იყვნენ, მათ *კანაფი* ერჩივნათ. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ბერძნებისაგან განსხვავებით სპარსელები არ ცნობდნენ ყაყაჩოს *მრავალსახოვნებას*.

ოპიუმის წარმომავლობა *ბერძნულ მითებში* იძირება – მისი კვალი ძვ. წ. VIII საუკუნეში *ჰესიოდეს* „თეოგონიაში“ რჩება, ხოლო ძვ. წ. VII

საუკუნეში – *პომეროსის* „ილიადასა“ და „ოდისეაში“. ბერძნული ღმერთები – ჰიპნოსი (*ძილი*), თანატოსი (*სიკედილი*) და ნიქსი (*ღამე*) ყაყაჩოს გვირგვინებით არიან შემკულნი ან ხელში უჭირავთ იგი. *სიმღერის* ღმერთი – ორფეუსი ყოველ საღამოს მოკვდავთა თავზე ყაყაჩოს არხევდა, რათა მათთან მოსვენება და თავდავიწყება მიეგვარა. ხორბალთან ერთად ყაყაჩოა დემეტრეს ოჯახური ღვთაების სიმბოლო, რომელიც ყაყაჩოს *წვეს ტანჯვის განქარვების* მიზნით სვამდა, როცა მას *პლუტონმა* ქალიშვილი – *პერსეფონე* მოსტაცა. ძველ ბერძნებში *ხორბალი* *სიცოცხლისა* და *მოსავლის* სიმბოლოს ნიშნავდა, ხოლო *ოპიუმის ყაყაჩო* – *ზამთრის ლეთარგიულ ტკობას*.

ძვ. წ. 460-377 წლებში *ჰიპოკრატე* აღწერს *ელევისინის* ტაძრის დიონისურ ორგიებს, სადაც გამოქანდაკებულ ღვთაებებს ხელში *ყაყაჩო* ან *ხორბალი* უჭირავთ. არისტოლედც ხშირად მოიხსენიებს ყაყაჩოს *სამკურნალო* მცენარედ.

ანტიკური ხანის არქეოლოგები ადასტურებენ, რომ *საბერძნეთი* ყაყაჩოს იცნობს *მინოელთა* ცივილიზაციიდან მოყოლებული *დიავორასა* და *თეოკრიტმდე*.

ძვ. წ. XI საუკუნით თარიღდება ყაყაჩოებიანი ქალღმერთის პატარა ფიგურა, რომელიც ამ მცენარის ილუმალებასა და ეკლესიურობაზე მიანიშნებს.

ძვ. წ. VIII საუკუნეში ყაყაჩო *წამლად* იხმარება, რომელიც ცხადია არ გამოიციხავს ყაყაჩოს მოხმარებას *ფსიქოტროპის* როლში – მას ხსნიდნენ ღვინოში და სხვადასხვა მცენარულ გამონაწურში ურევდნენ.¹²

XX საუკუნის დასაწყისში *სპარსეთში*, ისევე როგორც ძვ. წ. 2200 წელს, ყაყაჩოს *თაფლისა* და *ფისის სიროფში ჩაზღლილს* მოიხმარდნენ.

დამწიფებასთან ერთად ყაყაჩოს თესლის კოლოფი *ისერება*, რათა იქედან *წვენი* გამოიყოს. როდინში ინაყება თავები და ფოთლები, რომლებიც *ეკონინს* წარმოქმნიან, ხოლო ეს უკანასკნელი სიროფად და აბებად გარდაიქმნება.

აღსანიშნავია, რომ *სიგუს* მსგავსად *ყაყაჩოც* დიდ დოზებში ევთანაზიის პრაქტიკაში გამოიყენებოდა (*ევთანაზია – განუკურნებელი ავადმყოფის მოკლის თეორია*).

ამ მიზნით რამდენიმე ჭურჭელს იყენებდნენ – *ლარნაკს* ორი გვერდითი *საბირთი* და *გრძელ ქინძისთავებს*. ამგვარი ქინძისთავები *ჩიბუხთან* ერთად ნაპოვნია მისენე III-ის სამეფო საფლავშიც.

ანტიკური ხანის საბერძნეთში *მინონური კრეტიდან* დაწყებული და *მედეას კოლხეთამდე* დამთავრებული, ყველა ცივილიზაცია შეიცნობდა ყაყაჩოს. მას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა *მაკედონიაში* – იგი *კოზანაში* ორნამენტის სახით *ფილიპეს* პატივსაცემად აგებულ *ოლიმპოზე* გვხვდება. არქეოლოგიურ მუზეუმში დათარღებულია *ფესვგადგმული გოლიათი* ყაყაჩოს

თესლით სავსე კოლოფებით. ალექსანდრე დიდი მიგრენის საწინააღმდეგოდ და ნადიმის დროს ოპიუმს ხმარობდა.

მაკედონიელმა დამპყრობლებმა ოპიუმი ცენტრალურ აზიასა და ინდოეთში შეიტანეს, ხოლო ძვ. წ. 326 წელს ინდუსზე გაშენებულ ქალაქს ალექსანდრია ოპიუმსა დაარქვეს. თუმცა არსებობს სხვა წყაროებიც, რომლებიც ყაყაროს პირველ კულტურებს ინდოეთს მიაწერენ, კერძოდ, სპარსეთის მეფის დარიოსის ეპოქას (ძვ. წ. 521-785 წწ.).

ძვ. წ. XV საუკუნეში კვიპროსელმა ვაჭრებმა ყაყაროსგან ნაწარმოები გვირგვინის აბები და თესლის მარცვალი ეგვიპტეში შეიტანეს, რასაც არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის ყაყაროს თესლით სავსე ლარნაკი ადასტურებს.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბერძნეთი და მცირე აზია ყაყაროთი ვაჭრობდნენ და მას საიდუმლოდ ფარაონთა მაღალი იერარქიისათვის ხმარობდნენ.⁸

XVIII დინასტიის სამეფო საფლავში აღმოჩენილია კიდევ ყაყაროს ზეთოვანი მალამო, რომელიც მორფინს შეიცავდა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ეგვიპტელი ქურუმები ოპიუმის მიტოვებას (დღევანდელი გაგებით – გადაგდებას) ცდილობდნენ.

ძვ. წ. 1500 წელს ყაყარო მოხსენიებულია სეტერ-სერეფის სახელით, რაც უეჭველია კვიპროსის ოპიუმს ნიშნავს.

ზოგიერთი ეგვიპტელისთვის ყაყარო ასოცირებულია ეგვიპტის ღმერთის თოტის მითთან, რომელმაც მოკვდავთ ოპიუმის მომზადება ასწავლა.


ძვ. წ. XIII საუკუნეში ყაყაროს კულტურა მოაშენეს ეგვიპტის სამხრეთ ნაწილში – თებეში. ამას ადასტურებს XVIII დინასტიის ორგიული რიტუალებისა და დღესასწაულების აღწერითი მასალა. XVIII დინასტიის მუმები ყაყაროს ფოთლების და ყვავილების გვირგვინებითაა მორთული, ხოლო ძვ. წ. VI საუკუნეში ეგვიპტური ტრაქტატი ხოტბას ასხამს ოპიუმის ხმარებას ჭირვეული ბავშვების დასაწყნარებლად.

ეს არის ეპოქა, როცა თებეს ყაყარო თავს მშვიდად გრძნობს კართაგენში, საბერძნეთში და შესაძლოა გალიამდეც კი.

ელბინური საბერძნეთი კვლავ დაუბრუნდა ოპიუმის საიდუმლო მოხმარებას, რომელიც მყარადაა დამკვიდრებული პტოლომეოსის დინასტიაში, ხოლო რომი ბერძნულ ყაყაროს ფქვილს მარცვლეულის ღონეზე იღებს, როგორც სუბსიდირებულ პროდუქტს, რათა რომაელი მოქალაქენი სპეკულაციის მსხვერპლნი არ შექმნილიყვნენ.¹⁴

როცა ისლამისა და არაბული კომერციის განვითარებას აზიაში ოპიუმის მოხმარების ფართო გავრცელება მოჰყვა, არც ევროპა ჩამორჩა ფაშთა სვლას. ევროპაში XI საუკუნიდან ოპიუმის კომერციის ვექტორები გაიჭიმა, მაგრამ

ოპიუმი ნეოლითიდან ანტიკურობამდე



ერთი შენიშვნით: ავიცენა ოპიუმს ხოტბას ასხამდა როგორც ფალარათისა და თვალების დაავადების სამკურნალო საშუალებას, ხოლო ევროპელები თითქმის XVI საუკუნემდე ოპიუმს ემპირიულად მიმართავდნენ – იგი გამოწერილია ფიტოთერაპიისა და ჯადოქართა ელექსირის ბნელით მოცულ საზღვრებში, ისევე როგორც მანდრავორი ან გამხმარი გომბეშო. ალქიმიკოსები ოპიუმს კაბალისა და აფთიაქარის საიდუმლოებათა გამოსამზეურებლად იყენებდნენ, რათა გულუბრყვილო კლიენტურა მიეჩვიათ და მიეჯაჭვათ. რენესანსის ეპოქაში ოპიუმი ტოტალურად შეიჭრა ევროპის ფარმაკოთერაპიაში. ექიმი ალბან პარასელი (1490-1540 წწ.) მას ურიცხვ შენაერთებში ხმარობდა, ხოლო პოლანდიელი ექიმი სილვიუს დე ბოე პირდაპირ აცხადებდა, რომ ოპიუმის გარეშე მას მედიცინაში მოღვაწეობა არ შეეძლო.

ევროპაში, ისევე როგორც აზიაში თავისი იშვიათი თვისებების გამო ოპიუმი უფლისწულთათვის სანუკვარი ბანგი იყო, ხოლო ელიტას უკვე კარგად ჰქონდა იგი გათვითცნობიერებული თავშესაქცევ ყოფაში.


ევროპული აღმოჩენების ერაში ოპიუმით ვაჭრობის გზები რადიკალურად შეცვალა დასავლეთის ვაჭრობის განვითარებამ, რომელიც ნელ-ნელა აზიისკენ მიიწეოდა. ევროპელები ოპიუმით საერთაშორისო კომერციაში ჩაერთო, რომელშიც განსაკუთრებით ხმელთაშუაზღვისპირეთის როლი გამოიკვეთა, პოლარიზებული გახდა გაცვლა-გამოცვლა ევროპასა და აზიას შორის, რომელიც ამჯერად ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა. შეიქმნა მსოფლიო საზღვაო კომუნიკაციის ახალი სისტემა, რომელმაც ტრანსოკეანური კომერციის სამკუთხედის სახე მიიღო – ალკოპოლი და იარაღი მონების სანაცვლოდ, მონებისა – თამბაქოზე და ა.შ.; ამ სისტემამ, რომელმაც იმ დროიდან ოპიუმიც ჩაითრია, აზიური ოპიუმის ბაზრის ჩამოყალიბებას დაუდო სათავე.

ბოტანიკა, წარმოება. დაუმუშავებელი ოპიუმი – (ნედლეული). იმისათვის, რათა სრული წარმოდგენა შეგვექმნას ოპიუმისა და მისგან ნაწარმოების ფიზიკური, ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებების შესახებ, ჯერ უნდა განვიხილოთ და დავახასიათოთ, თუ რას წარმოადგენს ოპიუმის ყაყაჩო (**Papaver Somniferum**). სიტყვა **Papaver** ბერძნულიდან მოდის და ყაყაჩოს ნიშნავს. **Somniferum** ლათინური სიტყვაა და ძილსა და ოცნებას ნიშნავს. ოპიუმის ყაყაჩო მსოფლიოს მრავალ კუთხეში ხარობს.

ამჟამად მსოფლიოში ცნობილია ოპიუმის ყაყაჩოსებრთა 60-მდე სახეობა, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია მრავალსაუკუნოვანი სელექციის პროცესში გამოყვანილი ძილისმომგვრელი, გვირგვინის სქელკედლიანი და დიდთავიანი სახეობის ყაყაჩო, რომლის მთავარი დანიშნულება ოპიუმის მიღება იყო სამედიცინო მიზნებისთვის. იგი მოსახერებელია ნედლ თავთავზე ჭრილების გასაკეთებლად,

საიდანაც რძისფერი ნაჟური წვეთავს. ცნობილია ასევე 100-მდე სახეობის ყაყაჩო, რომელიც იძლევა *თესლს – ზეთის დიდი შემცველობით (ზეთოვანი ყაყაჩო)*. ყველა ეს სახეობა განსხვავებული თანაფარდობით შეიცავს ოპიუმის ალკალოიდებს. ყაყაჩო მთელს პლანეტაზეა გავრცელებული – *სამხრეთში, ჩრდილოეთში, შორეულ აღმოსავლეთსა და ამერიკის კონტინენტზე*. მსოფლიოში გამოარჩევენ იმ უმთავრეს არეალს, სადაც ეს მცენარე განსაკუთრებული სიჭარბით არის წარმოდგენილი. ეს ტერიტორიებია: ცნობილი ოქროს სამკუთხედი (*ლაოსი, ბირმა, ტაილანდი*), ოქროს ნახევარმთვარე (*ავღანეთი, პაკისტანი, ირანი*) და მექსიკა.


მცენარე, როგორც წესი, 30 სმ-დან 1,5 მ-მდე სიმაღლისა იზრდება და თვალისმომჭრელი სილამაზის ყვავილი აქვს. ყვავილის ფერი იცვლება *თეთრიდან მეწამულისფერამდე*. ყვავილის ფურცლებს წითელი და ფორთოხლისფერი ხაზები დაყვება. მას შემდეგ, რაც ყვავილს ფურცლები ჩამოცვივდება, მიიღება *დასამუშავებელი ოპიუმი*. ეს ხდება *ვერტიკალური* ან *ჰორიზონტალური ჭდეების* საშუალებით. ამ ჭდეებიდან გამოყოფილი რძისმაგვარი სითხე, სწორედ გამონაჟური სითხე – დაუმუშავებელი ოპიუმი. ასეთ ჭდეებს უმთავრესად შუადღისას აკეთებენ, მეორე დღეს კი გამოყოფილი *გამხმარი* სითხის შეგროვება ხდება. ამის შემდეგ შეგროვებულ მასას *ბურთის* ან *მრავალკუთხა ნაჭრების* ფორმას აძლევენ. იგი წონით ნახევარი კილოგრამიდან 1 კგ-მდე აღწევს. გამზადებული მასა შემდგომი გადამუშავებისათვის ქიმიკოსს ეგზავნება, რომელიც *დაუმუშავებელი ოპიუმიდან* მორფინის მიღებას ახდენს. ერთ - ერთი ჯიშის ოპიუმის ყაყაჩო 3-დან 5 კგ-მდე გადაუმუშავებელ ოპიუმსაც კი იძლევა.



ყაყაჩოს თესლით სავსე „თაეთაეები“



ბუნებრივი ნარკოტიკის ძირითადი წყარო



რძისმაგვარი სითხე წვეთავს თესლის პარკიდან



ოპიუმის მიღების უძველესი ხერხი

ოპიუმი და მისი პროდუქტები

XIX საუკუნის დასაწყისში (1803 - 1805წწ.) გერმანიაში *ოპიუმისაგან* გამოაცალკევეს მორფინი. ეს მეცნიერების უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. მოგვიანებით მორფინი *ყველაფრის სამკურნალო* პრეპარატად იქცა. სწორედ ამან დაუღო დასაბამი მის ნარკოტიკად გამოყენებას 1832 წელს გამოცალკევებული იქნა კოდეინი, სულ ცოტა ხანში კი მისი სხვა პროდუქტებიც.¹⁵

თავდაპირველად ოპიუმი და მისგან *ნაწარმოებები* გამაყურებელ პრეპარატებად ითვლებოდა. ცოტა იყო ცნობილი მათი ფარმაცოლოგიური და ტოქსიკოლოგიური თვისებების შესახებ. ბევრმა ამ ნივთიერების ქებადიდება და მისი ნარკოტიკად გამოყენება დაიწყო. *ევროპის ქვეყნებში* დიდი სისწრაფით იზრდებოდა ამ ნივთიერების მომხმარებელთა რიცხვი.

1853 წელს ჰიპოთერმული ნემსის გამოგონებამ გადატრიალება გამოიწვია მედიცინაში. ამ გამოგონებამ შესაძლებელი გახადა ნარკოტიკის პირდაპირ სისხლძარღვებში მოხვედრა, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ნარკოტიკის უფრო სწრაფ *აბსორბციას* და ზემოქმედებას.

რაც შეეხება ნარკოტიკებს, ზოგიერთს მართლაც სჯეროდა, რომ ინექციის გზით მიღებული ნარკოტიკი გაცილებით *ნაკლებ* საშიშროებას უქმნიდა ადამიანის ორგანიზმს, ვიდრე მისი *პერორალური* გზით მიღება.

1875წელს ორმა ინგლისელმა ქიმიკოსმა შეიმუშავეს ქიმიური შენაერთი – დიაცეტილმორფინი (*diacetylmorphine*). ამ შენაერთის ფიზიოლოგიური თვისებების დასადგენად ევროპაში ფართო სამეცნიერო კვლევა გაიშალა. 1898 წელს გერმანულმა ქიმიურმა ფირმამ „ფრიდრიხ ბაიერმა“ (**Friedrich**


Bayer) ამ ნაერთს პეროინი უწოდა. ამავე კომპანიამ *ოპიუმსა* და *მორფინზე* დამოკიდებულების მავნე ჩვევისაგან განკურნების მიზნით ამ ახალი პრეპარატის ფართო რეკლამა დაიწყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პრეპარატის სისტემატური გამოყენება მავნე ჩვევაში არ გადაიზრდებოდა.


1923 – 1940 წლებში *ოპიუმისგან* სხვა *ნაწარმოებები* და ისეთი *სინთეზური ნარკოტიკები* იქნა მიღებული, რომლებსაც სამედიცინო პრაქტიკაში ახლაც იყენებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ასეთი სინთეზური ნარკოტიკებიდან მეტადონი (**Methadone**) იყო. ეს პრეპარატიც *გერმანიაში* მიიღეს, მოგვიანებით *მეტადონი პეროინზე დამოკიდებულების* მავნე ჩვევის მოსახსნელად – *სამკურნალოდ* გამოიყენეს. თუმცა სულ ცოტა ხანში მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ ახალი პრეპარატის ვითომდა სამკურნალო მიზნებით გამოყენება თავისთავად კვლავ ნარკოტიკის ბოროტად გამოყენება იყო.

ყაყაჩოს ნამჯა – სინონიმი: კოკარი.

ყაყაჩოს ნამჯა მცენარის *ყველა ნაწილისაგან* მიიღება რომლებიც ოპიუმის ნარკოტიკულად აქტიურ ალკალოიდებს შეიცავენ (*მთელი თუ დაქუცმაცებული, გამომშრალი თუ ნელლი*). მცენარის მხოლოდ მომწიფებული თესლი არ ვარგა ყაყაჩოს ნამჯის მისაღებად. ყაყაჩოს ნამჯის ფერი შეიძლება მერყეობდეს *ღიაღან მუქ მწვანემდე* და *ღია ყვითლიდან ყავისფრამდე*.

ყაყაჩოს გადამუშავებისა და ნარკოტიკულ საშუალებათ მიღების სქემა





ოპიუმი

ოპიუმის და ყაყაჩოს ნამჯის ექსტრაქტი – სინონიმი უცნობია.

ოპიუმის ან ყაყაჩოს ნამჯის ექსტრაქტი არის ნივთიერება, რომელიც მიიღება ყაყაჩოს ნამჯიდან ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდების წყლით ან ორგანული გამხსნელებით ექსტრაქციის გზით.

გარეგნული სახე: მყარი უფორმო გუნდები, აბები, სითხე. აბებისა და გუნდების ფერი: ღია ყავისფრიდან შავამდე, სითხისა – ღია ყავისფერიდან

მუქამდე.

მოხმარების ხერხი: ინექცია, მოწევა, პერორალურად გადაყლაპვა.

აცეტილირიბული ოპიუმი – სინონიმი უცნობია.

ნახევრად სინთეზური საშუალება, რომელიც მიიღება ოპიუმის ან ყაყაჩოს ნამჯის ექსტრაქტის აცეტილირების გზით და მონოაცეტილმორფინს, დიაცეტილმორფინს, აცეტილკოდეინს ან მათ ნარევს შეიცავს.

გარეგნული სახე: მუქი ყავისფერი ან ყავისფერი, მოყვითალო ფერის სპეციფიკური სუნის მქონე სითხე.

მორფინი – გადაუმუშავებელი ოპიუმი როგორც წესი იძლევა 10 % მორფინს, 1/2 % კოდეინს, 1/5 % ტებაინს (**thebaine**), 1% პაპავერინს. გარდა ამისა ის მცირე რაოდენობით შეიცავს 35 ტიპის ალკალოიდს.

ოპიუმიდან მორფინის ექსტრაქცია შემდეგ პროცესს მოიცავს: წყალი ცხელდება საჭირო ტემპერატურამდე, შემდეგ მას ერევა გადაუმუშავებელი ოპიუმი, წარმოიქმნება ოპიუმის ფისისმაგვარი მასა, რომელსაც 5-6-ჯერ აურევენ, წყალი თითქმის კონდენსირებულია. ამ მომენტში ამატებენ ქიმიურ სასუქს, რომლის შემდეგ ცარცისმაგვარი თეთრი მასა თავს იყრის წყლის ზედაპირზე. შემდეგ ქიმიკოსი ხსნარს სხვა ჭურჭელში ასხამს. მას სპეციალურ ნაჭერში ფილტრავენ. ამის შემდეგ მორფინს ამრობენ და ის მზად არის ტრანსპორტი-

რებისათვის. ხშირად გამოძმრალ მორფინს კვადრატების ფორმა აქვს, რომელთა ზომები 7,5 - 8 სმ-ია, თითოეული 300 - 400 გრამს იწონის. არაიშვიათად მასზე მოთავსებულია აღნიშვნები 999 ან AAA. ერთი კილო მორფინის მისაღებად საჭიროა 10 კგ გადაუმუშავებელი ოპიუმი.

შემდგომ მორფინი უფრო კარგად აღჭურვილ ლაბორატორიაში იგზავნება, სადაც მორფინის ჰეროინად გარდაქმნა ხდება.

პრონი. ჰეროინი (დიაცეტილინმორფინი) ყველაზე ფართოდ გამოყენებული ნარკოტიკია. ჰეროინის მისაღებად ქიმიკოსი ერთმანეთში თანაბარი რაოდენობით მორფინსა და ძმრის ანჰიდრიდს ურევს. ნაერთს ექვსი საათის განმავლობაში 185°-მდე აცხელებენ. მორფინი და მჟავა ქიმიურად შეერწყება ერთმანეთს. ამის შემდეგ ქიმიკოსი ცდილობს მიღებული ნაერთს წყლისა და ქლოროფორმის მეშვეობით მინარევებისაგან გაასუფთაოს. წარმოიქმნება მაღალი ხარისხის დიაცეტილმორფინი. მომდევნო ეტაპზე ხსნარს სხვა კონტეინერში გადაასხამენ და ნატრიუმისნახშირმჟავას მარილს უმატებენ. მიღებული ნაერთიდან წნევის ქვეშ ფილტრება ჰეროინი. მიღებულ პროდუქტს დამატებით წმენდენ ალკოჰოლისა და აქტივიზებული ხის ნახშირის ხსნარით. ნაერთს შემდეგ მანამდე ათბობენ, სანამ ალკოჰოლი აორთქლებას არ დაიწყებს. კონტეინერში შედარებით სუფთა ჰეროინი რჩება.

ბოლო საფეხურზე წარმოიქმნება წმინდა თეთრი ფხვნილი, აქ კი საჭიროა იმუშაოს მაღალი კვალიფიკაციის ქიმიკოსმა. ჰეროინს ათავსებენ ღიდ მათარაში და მას ალკოჰოლით ხსნიან. როდესაც ხსნარს ეთერს და ჰიდროქლორიდის მჟავას ამატებენ წარმოიქმნება (ფთქის მსგავსი) პატარა ბურთულები. ბურთულებს წნევის ქვეშ ფილტრავენ და სპეციალური პროცესის გამოყენებით აშრობენ. რჩება თეთრი დაფხვნილი ნივთირება, რომლის სიწმინდე 80-100% -ს აღწევს. ასეთი სიწმინდის მაჩვენებელი, როგორც წესი ოქროს სამკუთხედისა და ოქროს ნახევარმთვარის ტერიტორიის წარმომავლობის ოპიუმს აქვს. მექსიკის ოპიუმი იშვიათად აღწევს ასეთ მაჩვენებელს. მექსიკის შემთხვევაში სიწმინდის მაჩვენებელი 60 პროცენტამდეა.

როგორც ვნახეთ, ჰეროინი მომხმარებლამდე საკმაოდ რთულ და ძნელ საფეხურებს გაივლის. როგორც წესი დიღერი ზედმეტ ხარჯებს თავს არიდებს და თავს იკავებს სუფთა ჰეროინის გავრცელებისაგან. ძირითადად ისინი სუფთა ჰეროინს სხვა შემავსებლებს უმატებენ.

ასეთი შერევის პროცედურა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ხდება. ყველაზე უფრო გავრცელებულია ჰეროინში ლაქტოზის (რძის შაქრის) შერევა. ჰეროინის წილი შერევის პროცესში თანდათან მცირდება და საბოლოოდ

მისი სიწმინდის მაჩვენებელი 1-დან 3 %-მდე მერყეობს.


ხშირად შერევის პროცესმა, თუკი მინარევად *ლაქტოზისაგან განსხვავებული* პროდუქტი იქნება გამოყენებული, შეიძლება საფრთხე შეუქმნას პოტენციურ მომხმარებელს. ეს უფრო ხშირად ქუჩებში ხდება. ქუჩებში მოქმედი *დილერი* თავს არ იწუნებს შესაფერისი მინარევის შებენისათვის და *ნებისმიერი სახის თეთრ ფხვნილს* იყენებს, რომელსაც გასაყიდად გამზადებულ *ჰეროინს* უმატებს. ასეთი თეთრი ფხვნილი შეიძლება იყოს *სოდა, დაფქვილი შაქარი, რძის ფხვნილი, თოთო ბავშვის საკვები, ნამცხვრის ფქვილი, ყავა, ჩაი და კაკაო*.

იმისდა მიხედვით თუ სადაური წარმომავლობისაა, ჰეროინს სხვადასხვა ფერი აქვს. *სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის* წარმომავლობის *ჰეროინს* აქვს თეთრი ან ძალზედ ფითქინა თეთრი ფერი, მას ოდნავ *რუხისფერი* დაკრავს. *სამხრეთ-დასავლეთი აზიის ჰეროინი* ღია რუხი ფერისაა, მაგრამ *ზოგჯერ* თეთრი ფერის ჰეროინიც გვხვდება. *მექსიკის ჰეროინის* ფერი უმთავრესად თეთრიდან ყველაფრამდე ან შავამდე ვარირებს. *კონსისტენციით* იგი არის წმინდა ფხვნილი და წახნაგოვანი. *ხარისხის* მაჩვენებლად არ შეიძლება ჩაითვალოს ჰეროინის ფერი და მასა.

ჰეროინის გამოყენების მეთოდები. ჰეროინის მოხმარება სხვადასხვაგვარად ხდება. მას იღებენ *ჰერორალურად, ინჰალაციის გზით, ინექციით ან ეწვეიან* (ამ პროცესს დრაკონზე გამოდევნებას უწოდებენ). უკანასკნელ ხანებში ნარკობიზნესის სფეროში მომუშავე სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ ხშირად *ჰეროინს* *კოკაინზე* დამოკიდებულებიდან, ეგრეთ წოდებულ, *ქვევით ჩასასვლელად* იყენებენ. *ჰეროინის* მოწვევა განსაკუთრებით პოპულარულია ელიტარულ წრეებში, *მაგალითად, კოლიეუდში*. ისინი ფიქრობენ, რომ *ჰეროინის* მოხმარებამ არ შეიძლება ისინი *დამოკიდებული* გახადოს ამ ნარკოტიკზე.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ინექციის მეთოდი. მომხმარებელი დასაწყისში ნარკოტიკს ნეუსით უშვებს *ხელის შიდა მხარეს* განლაგებულ ვენებში (*იდაყვის საპირისპიროდ*). მას შემდეგ რაც ხშირი მოხმარება ვენებს დააზიანებს, იგი გადმოინაცვლებს *ხელის ზედა მხარეს*, დაზიანდება რა ხელის *ზედა ვენები* და აგრეთვე იმისთვისაც, რათა *დაიფაროს* დაზიანებული წერტილები, მომხმარებელი გადაინაცვლებს *ფეხის ვენებზე, ტერფებზე*, შემდეგ თანდათან *ადის ზემოთ* – *ბარძაყის ვენებზე* და უფრო *ზემოთაც*. არის შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკი შეჰყავთ *ენაში*. როცა ყველა ვენა დამწვარია, მომხმარებელი ნარკოტიკს *სასქესო ორგანოს ირგვლივ* განლაგებულ *ვენებში* იკეთებს.


ჰეროინი არის ცენტრალური ნერვული სისტემაზე მოქმედი ყველაზე ძლიერი დეპრესანტი. ჰეროინზე სხეული *მომენტალურად* რეაგირებს –



მშრალი პერონი



აზიური პერონი



რაფინირებული აზიური პერონი



მექსიკური პერონი

ინერტული ზდება სხეულის ყველა ფუნქცია. მომხმარებელს უჩნდება სიამოვნების ან ეიფორიის შეგრძნება (ეს შეგრძნება თვისებრივად ხშირად სექსუალურ ორგაზმს უტოლდება). ზემოქმედება გრძელდება რამდენიმე წუთის განმავლობაში და თითქოს თავს იყრის მუცლის მიდამოებში. ამ დროს ეიფორიული შეგრძნების ხარისხზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი. ძირითადად ეს არის გამოყენებული ნარკოტიკის დოზა და ხარისხი. თუკი მომხმარებელი მიჩვეულია 5%-იან პერონის და იკეთებს 1%-იანს, რა თქმა უნდა რეაქცია უფრო სუსტი იქნება. თუკი მომხმარებელი იყენებდა 1% ან 3%-იან პერონის, 5%-იანი პერონის გამოყენების დროს სხეულის რეაქცია უფრო ძლიერი იქნება. თუკი პირველად

დამწყები მომხმარებელია, მისი რეაქციები ამ ნარკოტიკზე უფრო ძლიერი იქნება. სისტემატურ მომხმარებლებს სხეულში უჩნდებათ ტენეის შეგრძნებები, ნარკოტიკის გამოყენების მომენტში მათ უკვე აღარა აქვთ ძლიერი სიამოვნების გრძნობა. ნარკოტიკი მათ უბრალოდ სჭირდებათ წამლად – უყურებს ამ ტკივილებს და უწყნარებს ნერვულ სისტემას, აძლევს მათ საშუალებას დაივიწყონ საკუთარი პრობლემები და მოვალეობანი. ზოგიერთი მომხმარებელი ნარკოტიკის ზემოქმედების პროცესში თავს თავისუფლად, მზიარულად გრძნობს. ისინი არიან თბილები და ენაწყლიანები.

ფიზიოლოგიური ეფექტები. მოხმარებას თან ახლავს სამი ძირითადი ელემენტი: ტოლერანტობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება.

ტოლერანტობა არის ერთი და იგივე ნარკოტიკის სისტემატური გამოყენების შედეგად ეფექტის შემცირება. მომხმარებელი იძულებულია საჭირო ეფექტის მისაღწევად დოზა გაზარდოს.

ფიზიკური დამოკიდებულება ეს არის ის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რაც ყალბდება ნარკოტიკის სისტემატური გამოყენების შედეგად. სხეულში ტკივილის შეგრძნების გასაქრობად მომხმარებელი იძულებულია გააგრძელოს ნარკოტიკის მიღება.

ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ნიშნავს ერთგვარი ჩვევის ჩამოყალიბებას.



მომხმარებელს უჩნდება ემოციური მოთხოვნილება ნარკოტიკის კვლავ მიღებისათვის.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფიზიოლოგიური ეფექტების ნუსხა, რასაც *პერიონის* მომხმარება იწვევს:

- *კვალი (პიპოთერმიული შპრიცი ვენებზე ტოვებს კვალს და იწვევს უჯრედების კედომას).*
- *შევიწროვებული გუგები.*
- *შენელებული ფიზიკური აქტივობა.*
- *მეტყველების შენელება.*
- *კანი იღებს ცისფერ შეფერილობას (სისხლში ჟანგბადის მიწოდება შენელებულია ციანოზი).*
- *მშრალი კანი და მოლურჯო ფრჩხილები.*
- *პირის გაშრობა (რადგან სხეულში ფერხდება სითხის მიწოდება).*
- *ძირს ჩამოწეული თვალის ქუთუთოები.*
- *იმის გამო, რომ სისხლში გაძნელებულია ჰაერის მიწოდება ჩნდება კომპრესიის შეგრძნება (პიპოქსია).*
- *ტკივილის შეგრძნება კანზე.*
- *კანის ტემპერატურა დაბლა იწვევს – კანი ცივია (პიპოთერმია).*
- *შენელებული სუნთქვა.*
- *ხმის გაბოხება, დარბილება.*
- *წამოწითლებული სახის კანი (სახის კანზე სისხლძარღვთა მოქმედება უფრო აქტიურია).*
- *კუჭ-ნაწლავის მოქმედების შენელება.*
- *ხშირი ვალიზიანება.*
- *შენელებული გულისცემა (ბრადიკარდია).*
- *დაბალი სისხლის წნევა (პიპოტონია).*
- *ჰაერის ნაკლებობა ფილტვებში (პულმონარული ვენტილაცია).*
- *პულმონარული კაპილარების გაზრდილი გამტარიანობა.*
- *შენელებული მაჯისცემა.*
- *სისხლში შაქრის მომატება (პიპერგლიკემია).*

ყველაზე ფართოდ გავრცელებული ნიშნები:

პერიონის მომხმარებელთა უმეტესობას არასტერილური ან დაზიანებული ნემსის, ან საერთოდ ნემსის სისტემატური გამოყენების შედეგად ვენებზე უჩნდებათ ნიშნები, ნაწიბურები. ჩხვლეტის მომენტში, ნაჩხვლეტის ირგვლივ კანი მომენტალურად წითლდება. ზოგჯერ ის ამოიბურცება, აივსება სითხით ან სისხლით. ამ სფეროსმაგვარი ფორმის ამობურცული ნაწილის შუაში აშკარად

ჩანს პაწაწინა ხერელო, რომელზეც არცთუ იშვიათად შეამჩნევთ მიმხმარ სისხლს. ინფექცია იჭრება 24 საათის განმავლობაში, ერთ-ორ დღეში წარმოქმნილი კოლტი რეაქციაში შედის სისხლის შრატთან და ჩამოყალიბდება წყლული. წყლულის ასაკი შეიძლება დადგინდეს მისი ზანგრძლივობის მიხედვით. სამი ან ოთხი დღის შემდეგ წყლული ფორთოხლისფერ შეფერილობას იღებს. რაც უფრო მუქია წყლული, მით უფრო დიდი ხნისა იგი. წყლული შეიძლება არ გაქრეს რამდენიმე კვირის, კერძოდ, ორი ან სამი კვირის შემდეგაც. ზოგჯერ წყლულზე ბლავი ჰიპოთერმიული ნემსის გამოყენების გამო შესამჩნევია აქერცლილი კანი. ზოგჯერ ამ ნიშანს ტატუირების მსგავსი შესახედაობა აქვს, ის შეიძლება იყოს მუქი ლურჯი ან ჩაშავებული. ეს ძირითადად განპირობებულია არასტერილური, ჭუჭყიანი ნემსის გამოყენებით. ნარკოტიკთან ერთად სხეულში ხვდება ჭუჭყი და ნახშირადის დეპოზიტები. ამგვარ ნიშნებს ფართოდ გავრცელებული ტერმინით ტატუირებას უწოდებენ. რამდენჯერმე განმეორებული ინექციის დროს ნიშნები, რომლებიც ნახვლეტის გარშემო წარმოიქმნება ერთგვარად ხმება და წარმოიქმნება კოყრები. განმეორებითა ინექციამ აგრეთვე შეიძლება კენების დახეთქვა და კენის მთლიანად დაფარვა გამოიწვიოს. როდესაც მომხმარებელი ამ კენის საშუალებით ვეღარ უშვებს ორგანიზმში ნარკოტიკს, ის სხვა კენის ძებნას იწყებს.

ძალიან ინტენსიური მოხმარების შემთხვევაში მომხმარებელი იმ მდგომარეობამდე მიდის, რომ მთელი კანი აქვს დაფარული ამ ნიშნებით.

გუგების რეაქცია. ჩვეულებრივ გუგების დიამეტრი 2, 9 მმ-დან 6,5 მმ-დეა. გუგები რეაგირებს სინათლის ცვალებადობაზე. კაშკაშა შუქზე ვიწროვდება, სიბნელეში ან ბინდში პირიქით, ფართოვდება. ჰერონომანის გუგები ზომით შედარებით პატარა, 3 მმ-ია, რაც ჰერონის ზემოქმედების შედეგია. გუგების დავიწროვებას საძილე საშუალებების გარდა სხვა გარემო პირობებიც იწვევს.


კუნთის რეაქცია. იმის გამო, რომ საძილე საშუალებანი ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებენ, მომხმარებლის მოძრაობა, როგორც წესი, ჩვეულებრივზე მეტად შენელებულია. ამის გარდა მომხმარებელს უჩნდება კანის ტეხვის შერძნება, რომელიც ხშირად ტკივილში გადაიზრდება. ასეთი შერძნება უმეტესად ცხვირის არეში აქვთ, სწორედ ამიტომ მომხმარებელთა უმეტესობა ხშირად უნებლიედ, ფრჩხილებით ან ხელით იქავეს, კაწრავს ცხვირის მიდამოებს.

საძილე საშუალებანი კუჭის მოქმედებაზეც ახდენენ გავლენას. სწორედ ამიტომ მომხმარებელი უჩივის უმადობას და იკლებს წონაში. მომხმარებელთა უმეტესობა გამხდარი და გამოფიტულია, მაგრამ არის იშვიათი გამონაკლისი, როდესაც მომხმარებელი ფერხორციანია. ჩვეულებრივ, რეპროდუქციული სისტემა შესუსტებულია, ან საერთოდ პასიური. მომხმარებელ ქალებს მალე უქრებათ მენსტრუაციული ციკლი. საერთოდ, საძილე საშუალებები ასუსტებენ სექსუალურ მოთხოვნილებას.

ქაყანოს მსოფლიო
პოტენციალი
(ტონებში)



4 ათასობით ტონა



შეფუთვა.

ჰეროინის გავრცელებისა და შენახვისათვის ყველაზე ფართოდ იყენებენ პრეზერვატივს. პრეზერვატივში ყრიან 2-დან 10 გრამამდე *ჰეროინს*, მჭიდროდ უკრავენ თავს და მალავენ სხეულში. ქუჩებში *ჰეროინს* სხვაგვარად ინახავენ. ეს ხდება უმეტესად პატარა გასახეირი ბუშტების საშუალებით. თითოეულ ბუშტში იდება მეოთხედი გრამი *ჰეროინი*, თუმცა უფრო ხშირად ლაბორატორიული ანალიზისათვის წარდგენილ ნიმუშებში გრამის მეათედი და მეოცედი *ჰეროინიც* გვხვდება.⁵⁶

დღეს მსოფლიოში არსებული *სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური* და სხვა მოვლენების ფონზე მკვეთრად იმატა *ჰეროინის* მომხმარებელთა რიცხვმა. განსაკუთრებით *ჰეროინის* ბევრი მომხმარებელია *ამერიკის შეერთებულ შტატში, აზიაში, ევროპის ქვეყნებიდან – იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, კოლანდიაში* უმწვავესად დგას *ჰეროინის* პრობლემა, ასევე *გერმანიაშიც*. მკვეთრად იმატა მისმა მოხმარებამ, *პოსტკომუნისტური სივრცის* ქვეყნებში.

§5. შვსკვამდგარი მცენარე – კოკა


სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრები გვიდასტურებენ კოკას ფოთლის ძველთა ძველ ისტორიას. მაგიური ფოთლის უძველესი კვალი მოკვლეულია *ვალკილას დაბებში, ეგვიპტორზე და უაკა პრიეტას ჰერუში*, რომლებიც შესაბამისად ძვ. წ. 2000 და 2500 წლებით თარიღდება. სხვადასხვა საგნებმა და პატარა ფიგურებმა კოკას ხმარების მინიმუმბანი დაგვიტოვა ძვ. წ. IX საუკუნემდე, ხოლო *სან-ავგუსტინესა და კოლუმბიაში* ჩვ. წ. I ათასწლეულამდე.

ბოტანიკური კვლევების შედეგად აღრიცხულია კოკას ოთხი ნაირსახეობა, რომელთაგან თითოეული ზუსტ ეკოსისტემას შეესაბამება. ადაპტაციისა და სელექციის პროცესებიდან გამომდინარე კოკას სახეთა ეს სიმრავლე მოფენილია *ესპანეთის, არგენტინის, ნიკარაგუასა და კარიბის ზღვის სანაპიროს ტერიტორიებზე*. და მაინც, კოკას *სიჭრელეს* ერთი გამაერთიანებელი ნიშანთვისება აქვს – ბანგი, ტკბობის სიღრმე და განუმეორებელი თრობის სინდრომი.

კოკაზე მრავალი ლეგენდაა შექმნილი, გაცეცნოთ ერთ-ერთ მათგანს:

„კოკა თურმე ქალის სახელი ყოფილა – ულამაზესი და უმშვენიერესი ქალისა, რომელსაც თვალები ნადვლით სავსე, კოკას ფერისა ჰქონია. ეს ახალგაზრდა ინდიელი ქალი კოლასუის ქოხში ცხოვრობდა და პატივმოყვარე, დამცინავი და ეგოისტი იყო. ქალი თურმე დიდი სერიოზულობით თავს ვერ მოიწონებდა და მარტო გართობაზე ზრუნავდა – უანგაროდ უნაწილებდა ყველას სიყვარულს და ვინც ხელს სთხოვდა, სხეულს სთავაზობდა. მას ცხოვრებაში გაჭირვება არასოდეს შეხვედრია და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მხოლოდ იმ დავალებას

მეტიური კოკა



ასრულებდა, რაც ყველა გოგოსა და ქალის წილზედრია. კოკას ეკელუცობა სხეულის შეთავაზების მომენტში ხშირად ზღვარგადასული იყო და მთავრდებოდა იმით, რომ ალერსის შემდეგ მოტრფიალე მამაკაცს თავიდან იცილებდა. სწორედ ეს ქცევა გამხდარა კოკას დრამის მიზეზი. მთელს ინკაში დაირჩა ხმა კოკას ინტიმური ისტორიებისა და ტრავიკული დასასრულების შესახებ. სამღვდლოება საპასუხოდ კოკას დასჯას, მის შეწირვას მოითხოვდა. კოკას ყოფნა - არყოფნის არჩევანი იმპერატორის გადასაწყვეტი გამხდარა, რომელიც, თურმე თავადვე ეტრფოდა ქალს, მაგრამ იმპერატორის ვნებანი მინც ვერ დადგა სახელმწიფოზე მაღლა - ქურუმებმა იგი იმპერიის საშინელი კატასტროფებით დააშინეს. დასველიანებულმა იმპერატორმა მოაყვანინა ქალი, საზეიმო ცერემონიის თანხლებით კოკას ოთხ ნაწილად დაჭრილი ლამაზი სხეული ეკლესიის მსახურთა მერ მინიშებულ სხვადასხვა ადგილზე ჩამარხვინა. გავიდა ხანი და ყველა მათგანზე ბუჩქი ამოიზარდა - ძალიან მშვენიერი თეთრი ფოთლებით. ბუჩქებს კოკა უწოდეს - ახალგაზრდა შეწირული ქალის მოსაგონებლად.

კოკამ ამჯერადაც შური იძია მამაკაცებზე - ბუჩქის ფოთლებს მის სხეულში დაბუდებული ვნებასა და სიყვარულით თრობისადმი განუმეორებელი ლტოლვა გამოაყოლა¹⁷.

ასეთია მითი კოკას შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს და სიყვარულისაგან გათანგული, თუ ცხოვრებაში გზაარეული ადამიანების მიზიდვას.

კოკა უმთავრესად ანდების ქვეყნებში მოჰყავთ, ხოლო აქტიური ალკალიდების შემცველი ფოთლების წარმოება სულ ახლო დროით თარიღდება.

კოკას მოხმარების ხერხი 5 000 წლიდან ისტორიულად თითქმის არ შეცვლილა, მას ძველი ინდიელების მსგავსად დღესაც ღეჭავენ, თან ძალიან ნელა, სანამ პირში ბურთულა არ წარმოიქმნება, რომლისგანაც მათრობელა წვენი გამოიჟონება.

კოკას ფოთლის ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია ინკას იმპერიასთან ერთად შეიცვალა. ესპანური რეჟიმის დამყარებისა და იძულებით შრომასთან ერთად აკულიკუს (ღეჭვის) ფუნქცია ახალ განზომილებაში გადავიდა. სამუშაო პირობების რადიკალურმა ცვლილებებმა კოკას ფოთლოს გონებრივად დამხმარეს ფუნქცია შესძინა. კოკას მოხმარებამ ნელ-ნელა დაკარგა ხმარების კომპლექსური ბუნება და იგი დუალობის სასარგებლოდ - წინააღმდეგობასა და მორჩილებაში განაწილდა. ესპანელები სწორედ ამ თრობითი, საძრახისი თვისებების გამო კოკას არა თუ განადგინან, პირიქით, აღრმავებენ კიდევ მის წარმოებას.

მშვიდობიან დროს კოკა მნიშვნელოვან ეკონომიკურ იარაღად რჩებოდა - იგი იწვევდა წარმოების განვითარებას, აძლიერებდა ვაჭართა კლასს და ფინანსური რესურსებით ამარაგებდა სახელმწიფოსა და ეკლესიას. ინდიელთა ამბოხებების დროს კოკამ ნარკოტიკის ყველა თვისება შეიძინა: ის ორივე



კოკას მინდორი



კოკას ყვავილი და ფოთოლი



კოკას ფოთოლი



კოკას ნაყოფი



კალათები კოკას ფოთლებით

ბანაკის მებრძოლებს საშუალებას აძლევდა დაეძლიათ დაღლილობა და გადაეტანათ გაჭირვების სიმძიმე, პარალელურად ომის მსვლელობას საჭირო ფინანსებით ამარაგებდა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ კოკას პროდუქცია შეიჭრა ლათიფუნდიების ეკონომიკაში, რომელიც მთელი ლათინური ამერიკის ტერიტორიაზეა გადაჭიმული.¹⁸

XIX საუკუნის მეორე ნახევარში *კოკაინის* აღმოჩენის შემდეგ *კოკაინის აკლიმატიზაცია* სხვა სივრცეში განხორციელდა. ეს ცდა მოკლე პერიოდში მხოლოდ *იავაზე* დაგვირგვინდა წარმატებით. ასე რომ, ძირითადად *კოკას მომხმარებლად ისევ ანდელი მოსახლეობა დარჩა.*¹⁹

ესპანელების მოსვლასთან ერთად *კოკაინის გეოგრაფია* ახალ დინამიკას განიცდის – იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება, მაგრამ ამჯერად არა ხალხის, არამედ კოლონიზატორთა სასარგებლოდ.

XVI საუკუნეში კოკას ფოთოლი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში კამათის საგნად იქცა. სამღვდელოება მასში ეშმაკის თილისმას ხედავდა და მის *ამოძირკვას* მოითხოვდა, რაც ეკლესიას ხელს არ უშლიდა *გადასახადი* დაედო კოკას პროდუქციაზე. მეორეს მხრივ, მესაკუთრეებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს ესმოდათ კოკას პროდუქციის ფასი და ცდილობდნენ სამღვდელოების თვალსაზრისის შეცვლას.

კოკას ფოთოლმა უზარმაზარი ბაზარი შექმნა. იგი უკვე სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პროდუქტად აღიარეს.

მაგრამ სხვა სიტუაცია იყო ქალაქურ ზონებში – აქ კოკას ფოთლის ტრადიციული მოხმარება *თავშესაქცევი*, ქალაქის ახალგაზრდობისა და *ელიტარული* მასის *რიტუალური ბანგია*, რომელსაც შეეძლო მსხვერპლის გათიშვა და მისი *არაამქვეყნიურ სამოთხეში გადასმა*, *რათა დაწაფებოდა ცხოვრების შინაარსს, ქალსა და თრობას*. კოკას *ელიტარული ქალების მოსაწევსაც* უწოდებდნენ.

როგორც ჩანს ეკლესიის პოზიციები კოკას მიმართ მხოლოდ პრაქტიკული იყო და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა ეკონომიკურ ინტერესებთან.

ზოგ რაიონში მცენარის კულტურა სრულიად გაქრა. მაგალითად, *ეკვატორის ტერიტორია*, განზე დარჩა *ამაზონეთი*, მაგრამ განჩნდა ახალი ზონები – *გავიხსენოთ კუალაბამბას* შემთხვევა (მალაიზია).

1573 წლიდან ტომებს შორის გადასახადი კოკას ფოთლებით ხდებოდა.

XVII საუკუნის დასასრულს *კოკას ფოთლის* მასიურმა წარმოებამ დაიწია, რის გამოც გაიზარდა გადასახადი, მან 5 პროცენტს მიაღწია. გლეხობამ *კოკას* ახალი პლანტაციების გაშენების უფლება მიიღო.

XVI - XVII საუკუნეებში *ესპანელი ქორონიკონი* ხაზს უსვამს ამ მცენარის მნიშვნელობას ინკას იმპერიაში. კოკა იმ ხანის 18 დიდი ქორონიკონიდან 13-ჯერ მოიხსენიება. დადგენილია, რომ *გვალების პერიოდში ან დიდი წვიმების დროს ადამიანები ვარსკვლავებს ევედრებოდნენ და საქონლის ქონსა და კოკას ფოთოლს სწირავდნენ. გარდაცვლილებს პირს კოკას ფოთლით უვსებდნენ, რადგან იგი სხვა სამყაროში გადადიოდა. ქალის ხელის მთხოვნელები, როცა ქალის მშობლებთან მიდიოდნენ, ამ უკანასკნელთა თანხმობას კოკას ღეჭვით იღებდნენ. მომავალი სასიძობიცი თანხმობის ნიშნად კოკას ღეჭვითვე უპასუხებდნენ ხოლმე.*

მცენარე კოკა ძირითადად მაღალი მთების ფერდობებსა და ტერასებზე, ტროპიკული ან ნახევრადტროპიკული კლიმატის ისეთ პირობებში იზრდება, რომელშიც სხვა მცენარე ძნელად ხარობს. კოკა საშუალოდ 30 - 40 წლის განმავლობაში ცოცხლობს. არის შემთხვევები, როდესაც მცენარე საუკუნესაც კი უძლებს.

კოკას კულტივაციის დროს *თესლისა და მარცვლის* შეგროვება იმ მცენარეებიდან ხდება, რომელთა ასაკი 2 - 3 წელს აღწევს. როგორც წესი, *კოკას ბუჩქი* წელიწადში ოთხჯერ იხსამს ფოთოლს. კოკას ზრდასრული მცენარე *ჯაგნარის* მსგავსი ბუჩქია, რომელიც 1,5 - 3,5 მეტრამდე იზრდება, არის ფართოდ დატოტვილი, რომლებზეც ყლორტებია განლაგებული. ტოტების ბოლოებში ფოთოლთა სიხშირე მატულობს. ყოველ დონეზე გვხვდება დაახლოებით 7-8 გლუვი, ოვალური ფორმის ფოთოლი, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ნარკოტიკულ საშუალებას განეკუთვნება. კოკას ფოთოლი *პრიალა, მწვანე ფერისაა*, სწორი კიდეებით, მისი ზომა მერყეობს 2,5 -დან 7,5 სმ-მდე. კოკას ფოთოლს აქვს *დამახასიათებელი სუნი*, რომელიც რაღაცით ჩაის ფოთლის სუნს წააგავს. 10 მილიონი ძირი 30 წლიანი კოკას მცენარე დაახლოებით 700 000 კგ კოკას ხარისხიან ფოთოლს იძლევა.

კოკას ფოთოლი საშუალოდ 0,5 -დან 1 პროცენტამდე *კოკაინის* ალკალიდს შეიცავს. ფოთლის ამ შემცველობაზე გავლენას შემდეგი ფაქტორები ახდენს: *ატმოსფერული წნევა და გარემო პირობები, მცენარის ასაკი, ნიადაგის ხარისხი, გამოყენებული სასუქის ტიპი, კულტივაციისა და მოსავლის აღების დრო, გამოშრობის პროცესი და ა.შ.* დადგენილია რომ ადამიანს დღეში 30 კგ ფოთლის შეგროვება შეუძლია.

ფოთლის გამოშრობის პროცესი საბოლოო პროდუქტის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადიაა და მას საშუალოდ *ორი დღე* მაინც სჭირდება, ამასთან, თუ დღის განმავლობაში მზე სულ ცოტა სამი საათით მაინც ანათებს.

გამოშრობის შემდეგ *კოკას ფოთოლს* პრესავენ და 30 - 50 კგ-იან დასტებად აფასობენ.

კოკას ფოთლიდან კოკაინის ექსტრაქციისათვის ქიმიური პროცესების

კოკაინის სინთეზი

ეკგონინი → **მეთილ** → **ბენზოილური** → **კოკაინი**
ორიდი → **ანჰიდრიდი**

სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ, რაც პრაქტიკაში როგორც ლეგალურად, ისე არალეგალურად ხდება.²⁰

კოკაინის წარმოება

1. გამომშრალ *კოკას ფოთოლზე* მოქმედებენ ქიმიური პროცესის გამოყენებით: მჟავას ხსნარს, უმთავრესად გოგირდმჟავას, ასხამენ ფოთლებს და იღებენ *გადაუმუშავებელ კოკაინს* ან *კოკას პასტას*. კოკას პასტა, რომელიც შეიცავს დაახლოებით 7%-იან კოკაინს, მონაწილეობს მეორად პროცესში ჰიდროქლორატის მჟავასთან (**Hydrochloric acid**) ერთად და წარმოიქმნება ჰიდროქლორატის მარილი ან კოკაინის ჰიდროქლორიდი, რომელიც იხსნება წყალში. ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და მის დასრულებას ხშირად ერთი ან ორი კვირა სჭირდება. ამ ქიმიურ პროცესს კოკაინის როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური მწარმოებლები მიმართავენ.

2. გამომშრალი *კოკას ფოთოლი* ნატრიუმის მარილთან (**Sodium Carbonate**) ერთად მონაწილეობს ქიმიურ პროცესში, რის შედეგადაც მიიღება *გადაუმუშავებელი კოკაინი*. მიღებული პროდუქტი ჰიდროქლორატის მჟავასთან ერთად მონაწილეობს მეორად ქიმიურ პროცესში, რომელიც იძლევა ჰიდროქლორატის მარილს ან კოკაინის ჰიდროქლორიდს. ამ პროცესს შედარებით ნაკლები დრო სჭირდება ვიდრე პირველ პუნქტში განხილულ პროცესს, ამიტომაც კოკაინის არალეგალურად მწარმოებელთა უმეტესობა სწორედ ამ პროცესით სარგებლობენ.


3. მესამე პროცესი ნაკლებ თანამედროვეა და მისი ჩატარებისათვის მარტივი ტექნიკა გამოიყენება. ამ პროცესის უპირატესობა კი ის არის, რომ მიღებული პროდუქტი გაცილებით მეტია. გამომშრალ კოკას ფოთოლს, რომელიც კოკაინის შემცველ სხვადასხვა ალკალოიდს შეიცავს, ამტკვრევენ კოკაინის მოლეკულის უმთავრეს ელემენტამდე – *ეკგონინამდე* (**ecgonine**), *ეკგონინზე* ბენზოილური ანჰიდრიდით მოქმედებენ. ამ ქიმიური პროცესის პროდუქტი სუფთა კოკაინია.

კოკაინის პასტა *კოკას ფოთლების* კოკაინად გადამუშავების პროცესის შუალედური პროდუქტია. პასტაში კოკაინის კონცენტრაცია შეიძლება 90 პროცენტს აღწევდეს, მაგრამ როგორც წესი, პრაქტიკაში იგი პასტის წონის 40-50 პროცენტს შეადგენს.

პრამპი მიიღება კოკაინის პიდროქლორიდიდან. ამ პროცესის შემდეგ მიიღება კოკაინის ფუძე მსხვილი კრისტალების სახით. კრეკი სუფთა კოკაინი არ არის. იგი სინთეზური ნარკოტიკია, რადგან მისი დამზადების პროცესში გამოყენებულია საჭმელი სოდა, იგი მარილის სახით რჩება და კოკაინის პიდროქლორიდის სისუფთავეს ამცირებს. კოკაინის ამ ფორმის პოპულარობა გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის მისი მოწვეისა და შესუნთქვის გზით მოხმარების შესაძლებლობით, შენახვისა და გადაზიდვის სიადვილით, მოქმედების დაწყების სისწრაფით და შეღარებითი სიიარაღით.

კოკაინის სინონიმები: მედიცინაში მრავლად გვხვდება.

ფხვნილი ან პასტა მიღებულია მზარდი კოკას ფოთლებიდან სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ცეილონსა და სამხრეთ იაპონსა კუნძულებზე. ფხვნილი – თეთრი ფერისაა,



კრეკი



პასტა – თეთრი ან ჩაღისფერი. იგი კოკას ფოთლების ძირითადი ალკალოიდია, რომელიც კოკას ფოთლებიდან ქიმიური გზით გამოიყოფა და თოვლის მსგავს თეთრ, მსუბუქ, კრისტალურ ფხვნილს წარმოადგენს, აქვს მწარე გემო, გასინჯვისას იწყვეს ენის დაბუჟებას. ფხვნილის სახით შეიძლება მისი შესუნთქვა, ხოლო ხსნარის სახით – ვენაში შეყვანა. *ბენზოლმეთილ ეკგონინი* – თეთრი კრისტალური ალკალოიდია, რომელიც კოკას ბუჩქის ფოთლებში (*ერიტროქსილუმ კოკა - Erythroxylon coca*) გვხვდება. ეს ნივთიერება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს როგორც *სტიმულატორი*.

ჩვეულებრივ ერთი 1 კგ კოკაინის მისაღებად საჭიროა 125 კგ მშრალი ფოთოლი.²¹

კოკაინის გავრცელება (ტრანსპორტირება). კოკას ფოთლიდან კოკაინის ლეგალურად წარმოებული პროდუქტი ძირითადად სამედიცინო მიზნებისათვის იგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.


მედიცინაში კოკაინს ადგილობრივი *ანესთეზიისათვის* ხმარობენ (*საჭირო აღარ არის ინექცია, დაზიანებული ადგილის გაუტკივარება კანის ზედაპირზე პრეპარატის წასმით ან მისხურებით ხდება*). ექიმთა უმეტესობა ადგილობრივი ანესთეზიისათვის ამ პრეპარატს უპირატესობას მისი სისხლძარღვთა შევიწროების უნარის გამო ანიჭებს (*პრეპარატი ანელებს სისხლის ნაკადის მოძრაობას*).

სხვა ნარკოტიკების მსგავსად, არალეგალურად გავრცელებული კოკაინიც გაივლის მარშრუტით *კულტივატორიდან მომხმარებელამდე*. თავდაპირველად პროცესს იწყებს *ფერმერი*, რომელიც დაკავებულია მცენარის კულტივაციით, *აშრობს* მას და ნედლეულს *საიდუმლო ლაბორატორიებში* აგზავნის. საიდუმლო ლაბორატორიებში *ქიმიური ხერხებით* ფოთლიდან 90 - 100 პროცენტია კოკაინის ექტრაქცია ხდება. ლაბორატორიიდან კოკაინს კონტრაბანდისტი ან *ბითუმად მოვაჭრე* ყიდულობს. *ბითუმად მოვაჭრე* ნარკოტიკით კოკაინის *მსხვილ დისტრიბუტორს* ამარაგებს. ბითუმად მოვაჭრესა და დისტრიბუტორს შორის მოხდება გარიგება პარტიის ფასის შესახებ. დისტრიბუტორი ახდენს კოკაინის შემდგომ გასაღებას, მისი კლიენტები ეგრეთ წოდებული დილერები არიან. დისტრიბუტორმა შეიძლება გაყიდოს *სუფთა* კოკაინი ან მეტი მოგების მიზნით მოახდინოს მისი *განზავება*. დილერს ჰყავს უფრო *წვრილი დილერიც*. კოკაინს *უშუალოდ მომხმარებელს ქუჩის მოვაჭრე* აწვდის, რომელთანაც კოკაინი *გრამებად* დაფასობული მიდის.

კოკაინის *განმზავებელ რეაგენტებად* ძირითადად გამოიყენება:

- პროკაინი, ფხვნილის სახის სინთეზური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ადგილობრივი ანესთეზიის დროს;
- მენტი, შაქარი, ტკბილი ნივთიერება, საფაღარათო პრეპარატი, რომელსაც იტალიაში ამზადებენ;

კოკაინის ჰიდროქლორიდი



დაფასოებული კოკაინი



- მენიტა, მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში წარმოებული რძის შაქარი;
- ლაქტოზა ან დექსტროზა, - თეთრი რძის შაქრის ფხვნილი;
- დაფშენილი მეთამფეტამინი, რომელსაც იცნობენ როგორც (მოქმედების) დამაჩქარებელს;
- ეპსონის მარილები;
- ქინაქინა;
- ნებისმიერი დაფშენილი ვიტამინი;
- ნებისმიერი ხსნადი ფხვნილი.

კოკაინს ინახავენ გრილ ადგილას, მაგალითად, მაცივარში ან კარა-დაში, რაიმე მუქი ფერის ჰერმეტიკად დახურულ ჭურჭელში. ასეთი გზით შენახული კოკაინი დიდხანს ინარჩუნებს თვისებებს. დილერთა განცხადებით კოკაინზე, კერძოდ კი მისი ზემოქმედების უნარზე გავლენას ახდენს დრო, ნესტი, სითბო, ჰაერი და მზის სხივები.

გამოყენების მეთოდები. კოკაინი ძალზედ ძვირადღირებული სიამოვნებაა. მისი მაღალი ფასის გამო ამ ნარკოტიკის მოხმარებას ხშირად მეფთვა ჩვევას უწოდებენ. კოკაინის პოპულარობა განსაკუთრებით უკანას-კნელ წლებში გაიზარდა. მისი ძირითადი მომხმარებელი უმეტესად სუტენი-ორები, მეძაგები, მუსიკოსები და შეძლებული ფენაა. კოკაინის მიღება პერორალურად, დაფენით, ინექციით და შესუნთქვით ხდება.

პერორალური გზით. კოკაინის მიღებისას მას სითხეში ან რაიმე რბილ ნივთიერებაში ურევენ. კოკაინის ფხვნილს ზოგჯერ კაფსულაში ათავსებენ და როგორც აბს ისე ყლაპავენ. მომხმარებელთა უმეტესობა აცხადებს, რომ პერორალურად მიღებული კოკაინი ზემოქმედებას მისი მიღებიდან 3 - 5 წუთის შემდეგ იწყებს და გრძელდება 15 - 30 წუთის განმავლობაში. მომხმარებელს ეუფლება ეიფორიის გრძნობა, თუმცა იგი ისეთი ძლიერი არ არის, როგორც ინექციისა და შესუნთქვის დროს.

დაფენა (აპლიკაცია). ზოგიერთი მომხმარებელი კოკაინს ათავსებს საღებუ რეზინზე ან პირდაპირ იყრის მას ენის ქვეშ, თვალის ქუთუთოებზე. მამაკაცები კოკაინს სასქესო ორგანოზეც იყრიან. ცნობილია კოკაინის მოხმარების არაორდინალური მეთოდები ქალების მხრივაც.

ინექცია. ზოგიერთ მომხმარებელს კოკაინი ინექციით პირდაპირ ვენაში შეჰყავს. კოკაინის ზემოქმედება პერიოდის ზემოქმედების მსგავსია. კოკაინი ინექციის დროს მომენტალურად მოქმედებს მომხმარებლის ორგანიზმზე, იწყებს მძაფრი ეიფორიის შეგრძნებას. მომხმარებლები აცხადებენ, რომ კოკაინის

ზემოქმედება ინექციის დროს 45 - 90 წუთის განმავლობაში გრძელდება.

კოკაინის ინექციის დროს ნემსის ნაჩხველეთი ლურჯ შეფერილობას იღებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ კოკაინი და ნემსი ქიმიურად ზემოქმედებენ ერთმანეთზე.

კოკაინის შესუნთქვა. დღესდღეობით კოკაინის მიღების ყველაზე გავრცელებული და *პოპულარული ხერხია* მისი ცხვირის ნესტოებით *შესუნთქვა*. შესუნთქვის დროს, მომენტალურად, დაახლოებით 30 წამში ჩნდება *ეიფორიის* და *მოზღვავებული ენერგიის* გრძნობა, რომელიც 30 - 90 წუთის განმავლობაში გრძელდება. შესუნთქვის შემდეგ გაჩენილი მოზღვავებული ენერგიის გრძნობა ისეთი ძლიერი არ არის, როგორც ეს ინექციის დროს ხდება ხოლმე, მაგრამ მომხმარებელთა უმეტესობა მაინც ამ მეთოდს ანიჭებს უპირატესობას.

ერთ ჯერზე მომხმარებელს შეუძლია 1/10 -დან 1/2 გრამამდე კოკაინი შეისუნთქოს, ხოლო ის მომხმარებელი, რომელსაც მუდმივად *ძალა ყოფნა* სურს მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე იმეორებს ამ პროცესს.

კოკაინის შესუნთქვის დროს ერთი ნაწილი თანდათან გადადის ყელში, მეორე ნაწილი კი წვრილი კაპილარების მეშვეობით ლორწოვან გარსში ხვდება, მთელს ორგანიზმში ვრცელდება და აღწევს ადამიანის ტვინის უჯრედებამდეც.

შესუნთქვის რამდენიმე *სტანდარტული* მეთოდი არსებობს:

– მომხმარებელი მცირე ოდენობით კოკაინს მოათავსებს *დანის წვერზე* ან *დანისფორმის მსგავსი საგნის კიდეზე*, მიიტანს მას ნესტოსთან ახლოს და შეისუნთქავს;

– მომხმარებელთა უმეტესობა იყენებს ეგრეთ წოდებულ *კოკას კოეზს*, რომლებიც იყიდება;

– კოკაინის შესუნთქვისათვის ხშირად საწრუპავ ჩხირს ან ჩხირის მსგავს საგანს იყენებენ;

– კოკაინის შესუნთქვა ხდება წვრილი სინჯარის ან წვრილი მილის გამოყენებითაც;

– კოკაინის შესუნთქვის კიდევ ერთი ხერხია პაწაწინა წვრილთავიანი ბოთლის გამოყენება;

– ზოგჯერ კოკაინის მომხმარებელს სპეციალურად მოზრდილი აქვს *ნეკა თითის ფრჩხილი*, რომლითაც ხდება კოკაინის შესუნთქვა.

კოკაინის ზემოქმედების დიაპაზონი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კოკაინის შესუნთქვიდან ან ინექციიდან 3 - 5 წუთის შემდეგ კოკაინის მომხმარებელს მოზღვავებული ენერგიის შეგრძნება უჩნდება (*სწრაფი, ძლი-ერი*

ეიფორიული შეგრძნება). ენერჯის მოზღვავება ინექციის დროს მომენტალურად ხდება, შედარებით მეტი დროა საჭირო შესუნთქვის დროს, და კიდევ მეტი კოკაინის პერორალური გზით მიღების შემთხვევაში. უცახელი ეიფორია, რომელიც *რამდენიმე წამს ან ნახევარ წუთს* გრძელდება, თანდათანობით გადადის სასიამოვნო გრძნობაში, რომელიც საშუალოდ 30 წუთის ხანგრძლიობისაა.

ფსიქოლოგიური ეფექტი.

დამახასიათებელი ნიშნები, რაც კოკაინმიღებულ მომხმარებელს გამოარჩევს, შემდეგია:

- კოკაინის მომხმარებელს, როგორც წესი, აქვს სულიერი და ფიზიკური სტიმულაციის შეგრძნება, ეიფორიის, თვითკმაყოფილებისა და კომფორტის გრძნობა. იგი ფიქრობს, რომ გადალახავს ნებისმიერ, ძალზედ რთულ დაბრკოლებასაც კი; ძალზედ მხიარული გამომეტყველებითაა;

- მომხმარებელი შეიძლება აქტიური და ენაწყლიანი იყოს, უქვეითდება მახსოვრობის უნარი, თუმცა ამ დროს იგი ენერჯის მოზღვავებას გრძნობს. მომხმარებელ მუსიკოსთა უმეტესობა აცხადებს, რომ კოკაინის ზემოქმედების ქვეშ ისინი გაცილებით უკეთ ასრულებენ თავიანთ პარტიებს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მომხმარებელი დეპრესიამდეც ვარდება;

- კოკაინის ზემოქმედების შედეგად ზოგიერთმა მომხმარებელმა შეიძლება ისეთი რამ ჩაიდინოს, რასაც ჩვეულებრივ არ გააკეთებდა. სწორედ ამიტომ ხშირია მომხმარებელთა მონაწილეობა დანაშაულში;

- ზოგიერთი მომხმარებელი აცხადებს, რომ კოკაინის ზემოქმედების გამო მათი მგრძნობელობა ისეთ სიმაღლეს აღწევს, რომ ზებუნებრივი ხმები ჩაესმით (სმენითი ჰალუცინაციები);

- კოკაინის მომხმარებელები *ამტკიცებენ*, რომ კოკაინი როგორც *სტიმულატორი* მოქმედებს არამარტო მათ ნერვულ სისტემაზე, არამედ სექსუალურ ლტოლვაზეც, მაგრამ დაკვირვება ცხადყოფს, რომ კოკაინის მოქმედებას არაფერი აქვს საერთო სექსუალურ სტიმულირებასთან;

- შიგადაშიგ კოკაინის მომხმარებელს პარანოიის შეგრძნება უვითარდება, რაც რალაციტ *მეთამფეტამინის* მოხმარების ეფექტს წააგავს. ასეთი პიროვნება, როგორც წესი ეჭვიანი და ფრთხილია;

- კოკას მომხმარებელს შეიძლება ხედვითი ჰალუცინაციები გაუჩნდეს – ფერადი ხატები. ზოგჯერ მომხმარებელი კანის ქვეშ მწერის, ფრინველის ან სულაც გველის მოძრაობას შეიგრძნობს. მათი სხეული მოტეხილია, კანი კი ხორკლით დაფარული;

- ზოგი მომხმარებელი აცხადებს, რომ კოკაინის გამოყენების დროს მათ ისეთივე გრძნობა უჩნდებათ, როგორც *ამფეტამინის* მოხმარების შემთხვევაში.

ოლონდ კოკაინის შემთხვევაში ეს შეგრძნება შედარებით ხანმოკლეა. ზოგიერთები კოკაინის ზემოქმედებას ალკოჰოლის ზემოქმედებას ადარებენ.

კოკაინი ფსიქოლოგიურად *ტოლერანტულია* – ამ ნარკოტიკის მოხმარება სულ მალე ჩვევაში გადადის. როდესაც წყდება კოკაინის ზემოქმედება, მომხმარებელს *მოუსვენრობის* გრძობა იპყრობს – მას უჭირს კონცენტრირება, *ჩხუბობს უმიზეზოდ*, ვარდება *დეპრესიაში* და სასოწარკვეთილია. არაიშვიათად მის სულიერ მდგომარეობას ამძაფრებს ფიზიკური მდგომარეობაც: *იგი უჩივის ყაბზობას, აქვს კრუნჩხვები და გულისრევა*. როგორც წესი, მისი დეპრესია თანდათან მძაფრდება და მას *ეკარგება ცხოვრების ინტერესი*, უჩვეულო არ არის თვითმკვლელობის სურვილიც. ასეთი დეპრესიის დროს მომხმარებელი თითქოსდა გრძობს *სიკვდილის მოახლოებას*, იგი უსიცოცხლოა და *კამპანიაში* ყოფნას *განმარტობას* ამჯობინებს. ამ დროს ხშირია *ქარანოიდული ჰალუცინაციები*, ეჩვენებათ, რომ მათ *ვიღაც დევნის* და *ავიწროვებს*. ასეთი გრძობის ჩახშობის მიზნით მომხმარებელი უმატებს ღოზას, მას უჩნდება კოკაინის მუდმივი მიღების სურვილი. დეპრესიის გრძობას ეიფორია ენაცვლება. მწვავე შეგრძნების მისაღწევად ღოზა თანდათან იზრდება და მომხმარებელი კოკაინზე უკვე ფსიქოლოგიურადაა მიჯაჭვული.

აღსანიშნავია, რომ კოკაინის მოხმარებით გამოწვეულ დეპრესიას ხშირად კოკაინურ სევდას უწოდებენ.

ფიზიკური ეფექტი. კოკაინი ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორია, რაც ნიშნავს იმას, რომ კოკაინი მოქმედებს *ზურგის ტვინზე, ბერხემალსა და თავის ტვინზე*. კოკაინი ზემოქმედებს აგრეთვე *ნერვულ დაბოლოებებზე*. იგი აფერხებს *სისხლის მიმოქცევასაც*, რაც *შეგრძნების უნარის დაქვეითებას იწვევს*. კოკაინი, როგორც სტიმულატორი აძლიერებს შეგრძნებას, მაგრამ როგორც ანესთეზიური საშუალება იმავედროულად აქვეითებს კიდევ მას. სწორედ ამიტომ კოკაინის მიღების დროს მომენტალურად იქმნება ეიფორიის შეგრძნება, რასაც თანდათან ორგანიზმის გაშეშება, გაყინვა მოსდევს.

კოკაინის ზემოქმედება დიდად არის დამოკიდებული *განმზავებელ ნივთიერებაზე, სიწმინდეზე, ღოზაზე და კოკაინის მიღების სიხშირეზე*.

კოკაინი აჩქარებს *პულსს, მაღლა სწევს სისხლის წნევას და ახშირებს სუნთქვას*. იგი აძლიერებს *ფიზიკურ აქტივობას, მატებს ენერჯიას და ამძაფრებს რეფლექსებს*:


- იწვევს *თვალის გუგების გაფართოებას*. გუგები სინათლეზე ძნელად რეაგირებენ;

- ზემოქმედების დროს მომხმარებელს აქვს *უმაღობა*. კოკაინის სისტემატურად მომხმარებელი, როგორც წესი, *ფერმკთალი, გამხდარი და გამოფიტულია*;

- მომხმარებელი უჩივის *უმაღობასა და უძლურებას*. მას უჭრება ყველანაირი *საჭიროებისა და სურვილის* გრძნობა;
- მომხმარებელი ხშირად უჩივის *სასუნთქი გზების დაზიანებას, ცხვირში სისველეს, ყურებში ხმაურს*;
- დროდადრო მომხმარებელს *მოვლითი ტკივილები აქვს მუცლის არეში*, რაც სისტემატური მოხმარების პირობებში ყაბზობაში გადაიზრდება;
- მომხმარებელს აქვს *მუდმივი წყურვილის* გრძნობა;
- მომხმარებელს ხშირად ეუფლება *საკუთარი სხეულის გლეჯვის* სურვილი (*ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის ეს ფსიქოლოგიური ზეგავლენის შედეგია თუ ფიზიკურისა*);
- მომხმარებელს არა აქვს *დროისა და სიერცის აღქმის* უნარი;
- კოკაინის ხშირი მიღება იწვევს *ენისა და ტუჩების გამოშრობას, ტკივილებს შუბლისა და კისრის* მიდამოებში;
- პერორალური გზით მიღების დროს *ენაში* ჩნდება *ჩხვლეტის* შეგრძნება. ამ დროს *შრება ტუჩები და ყელი*, რის შედეგადაც კოკაინმა შეიძლება ყელის გაღიზიანება გამოიწვიოს; დროის რაღაც ინტერვალში, დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში მომხმარებელს ენა და ტუჩები *დაბუყებული* აქვს. იმ პირებს, რომლებიც პერორალურად სისტემატურად იღებენ კოკაინს ენასა და *კბილებზე რუხი ფერის ნაღები* უჩნდებათ. მათ არაიშვიათად *დამსკდარი ტუჩები* და დაზიანებული პირის ღრუ აქვთ;
- კოკაინის მყნოსველებს ხშირად *ულიზიანდებათ ნესტოები*. მათ უჩივთლდებათ და *უმუწუკდებათ ცხვირი, ნესტოებს ყვითელი ფერი დასდევს*;
- ინექციის დროს *ზიანდება ვენები*, ნემსის ნაჩხვლეტი იღებს *ღურჯ* შეფერილობას. *ჰეროინის* მსგავსად *კოკაინის* ინექციაც ასეთივე კვალს ტოვებს ორგანიზმზე;
- მომხმარებელს პერიონომანთან შედარებით *სუსტი* ტეხვის შეგრძნება აქვს. მას შემდეგ, რაც მომხმარებელი მიეჩვევა კოკაინის გარკვეულ დოზას, მას *იპყრობს სასოწარკვეთა* და ისეთი *ფიზიკური* მოვლენები, როგორცაა კუჭის მოქმედების შეფერხება, კერძოდ, *ყაბზობა*. ჯერ-ჯერობით *ბოლომდე* არ არის გამორკვეული *ტოლერანტობის* მოვლენა – იწვევს თუ არა კოკაინის ხშირი მიღება მომხმარებლის ისეთივე დამოკიდებულებას ნარკოტიკზე, როგორც ჰეროინის შემთხვევაში;
- ხშირად კოკაინის ის მომხმარებელი ვინც უპირატესობას ინექციას ანიჭებს, *უჩივის სისხლის მოწამვლას*, ზოგჯერ სისუსტესა და *ანემიას*. სისტემატურ მომხმარებელს, როგორც წესი, *ავადმყოფური გამომეტყველება* აქვს და *გაყვითლებულია*;



კოკას ფოთლის
მსოფლიო
პოტენციალი
(ტონებში)



– კოკაინის მოხმარებას შეიძლება შედეგად მოყვეს *გულისრევის შეგრძნება, თავბრუსხვევა, მოვლითი ტკივილები მუცლის არეში*; მომხმარებელი გრძნობს *კუნთების თამაშს საზეზე*. მათი ცხვირი ჩვეულებრივ ცივია, ლოყები კი *ფერმკრთალი*. ამ სიცოცვეს *გაყინვას* ეძახიან. კოკაინის ინექციას თან სდევს *ჰაერის უკმარისობის* შეგრძნება, *ტკივილი მკერდის მიდამოებში, თავის დამძიმება და ტკივილი*. საერთო დისკომფორტის გრძნობა კი მომხმარებელს იოლად აგდებს დეპრესიაში;

– კოკაინის ზედმეტი დოზის მიღების შემდეგ მომხმარებელი *აგრესიული* ხდება. იგი უჩივის *უძილობას, თავის ტკივილსა და კიდურების დამძიმებას*.

კოკაინის სასიკვდილო დოზაა 20 მილიგრამიდან 1,2 გრამამდე წმინდა კოკაინი. *კოკაინის ზედმეტი დოზის მარევენებელია სხეულის კანკალი, სულის შეხუთვა და კონვულსია.*²²

კოკაინის უკანონო წარმოების, ტრანსპორტირებისა და მოხმარების მასშტაბებმა მკვეთრად იმატა 80-იანი წლებიდან, რამაც საერთაშორისო საზოგადოებრიობას სერიოზული კონტრზომების მიღება აიძულა, თუმცა შედეგობრივი ეფექტი ჯერ-ჯერობით საკმაოდ დაბალია, რადგან დღევანდელ მსოფლიოში უდიდესია *კოკაინის წარმოების პოტენციალი*.

კოკაინის ყველაზე დიდი მომხმარებელი დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატებია. დიდი მასშტაბებითა და ტემპებით იზრდება კოკაინის გამოყენება ევროპაში. აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში *აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოსახლეობა*, რასაც ხელი შეუწყო ქვეყნებსა და ხალხებს შორის ბარიერების მოხსნამ, სასაზღვრო რეჟიმის ლიბერალიზაციამ და უმთავრესმა - კოკაინის უკანონო ვაჭრობის შედეგად მიღებულმა უდიდესმა მოგებებმა.

თავი II

ლეგალიზება – გამოსავალი თუ ჩიხი?!

„სამართალმა პური ჭამა!..“
ქართული ანდაზა

§1. საუბარი სტატიისტიკის ენაზე

ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემა საქართველოში უაღრესად გამწვავებულია და ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებმა, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა და სხვა სახის სიძნელებმა ახალი ბიძგი მისცა ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბებს, მისი ჩქარი ტემპებით ზრდას და ამ ფონზე ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებელ პირთა მატებას.

განსაკუთრებული საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა 1999 - 2001 წლებში, როდესაც მკვეთრად იმატა უკანონო ბრუნვიდან განსაკუთრებით ძლიერი ნარკოტიკების – *ოპიუმისა და ჰეროინის ამოღების ფაქტებმა*.²²

დღეისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით 12000-მდე ნარკომანი და ნარკოტიკების მომხმარებელია, რაც ვერ ასახავს რეალურ სურათს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, დღეს საქართველოში სავარაუდოდ 200000-მდე ნარკომანი და ნარკოტიკების მომხმარებელია.

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ სახეზეა ნარკოტიკების მომხმარებელთა გაახალგაზრდაების ტენდენცია; სერიოზულად იჩინა თავი *ქალთა* ნარკომანიის პრობლემაც.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ პირთა სოციალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმეტესი ნაწილი *უზუშევრები* არიან. წლიდან წლამდე იზრდება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით გასამართლებულთა რაოდენობა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებთან მათი დაკავშირება და საქართველოში წარმოქმნა საერთაშორისო ნარკობიზნესთან ინტეგრირებული ორგანიზებული დაჯგუფებები, რომელთაც მყარი საერთაშორისო დანაშაულებრივი კავშირები ჩამოაყალიბეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ნარკომანიით უაღრესად მძიმედ დაზიანებული ქვეყნის კლასიკური ნიმუშია.

30336 0333020



სამართალდამცავი ორგანოებისა და სამედიცინო სამსახურების მუშაკთა აზრით, რასაც თეორეტიკოსებიც იზიარებენ, ქვეყანაში ნარკომანიის ხაზით მოსალოდნელია *სიტუციის კიდევ უფრო გართულება* თავისი სხვა ახალი გამოვლინებებით, რასაც შედეგად ნარკომანთა რიგების ახალი ნაკადით შესვება მოჰყვება. ამას ხელს უწყობს საერთაშორისო ნარკობიზნესისათვის საქართველოს უადრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მისი დაუცველი საზღვრები, მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარება და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ის გარემოება, რომ ჯერჯერობით ქვეყნის გარკვეული ტერიტორიები სამართალდამცავი ორგანოების კონტროლსმიღმა დარჩენილი.

წლების განმავლობაში ამ პრობლემასთან მიმართებაში არაადეკვატურმა მოქმედებამ, ნარკობიზნესთან ბრძოლის მსოფლიო სისტემიდან თვითიზოლაციამ კომუნისტურ რეჟიმგამოვლილი ქვეყნები მძიმე სიტუაციაში ჩააგდო. ცნობილი ჩეხი ექსპერტი პაველ ბემი თავის ერთ-ერთ გამოვლვაში აღნიშნავს: *„პოსტკომუნისტურ სივრცეში იზიარებდნენ იმ იდეოლოგიას, რომ ნარკოტიკების არადეკალური გავრცელება და ტრანსპორტირება დამახასიათებელი იყო მხოლოდ კაპიტალისტური საზოგადოებისათვის. ასეთმა იდეოლოგიამ გამოიწვია ის, რომ ამ ქვეყნების პოლიცია, ჯანმრთელობის სფერო, ფინანსური წრეები ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოუძაადებლნი აღმოჩნდნენ. წინა მთავრობების დროს გარკვეულ სოციალურ საკითხებზე შეგნებულად ხუჭკვდნენ თვალს და მათ პრობლემებად არ აღიქვამდნენ. ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაც ასეთ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. ახლა, როცა თავისუფალ საბაზრო სისტემას ვეცნობით, ვხედავთ, თუ როდენ გამოუცდელები ვართ ნარკოტიკების ბოროტად მოხმარებისა და ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლაში“²⁴*

საქართველოს სპეცსამსახურებს გააჩნიათ ინფორმაცია, რომ საერთაშორისო ნარკობიზნესმენები სულ უფრო და უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი, რათა სამართლებრივი სისტემის სუსტი კონტროლის პირობებში ჩვენი ტერიტორია ნარკოტიკების სატრანზიტო სივრცედ გამოიყენონ და ჩვენთან შესაბამისი კანონების არარსებობის გამო, *გააკეთილშობილონ* ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით მიღებული დიდი მოგებები, რაც, საერთო ჯამში, საქართველოსთვის რასაკვირველია, პოლიტიკურადაც წამგებიანი იქნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და სხვა მოსაზრებათა გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე საკამათოდ მიგვაჩნია ზოგიერთი მეცნიერისა და საზოგადოების გარკვეული ფენის მოსაზრება პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგების ან პრეკურსორების მცირე ოდენობით უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების თაობაზე.

სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არსებული

ნორმები ძირითადად მიმართულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ, რასაც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნები პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებს.

კანონსწინააღმდეგო ქმედებები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში სერიოზულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს შემდეგ მოსაზრებათა გამო:

პირველი – ნარკოტიკი ალკოჰოლი ან თამბაქო არ არის და მათი ბრუნვა შიდასახელმწიფოებრივსა და საერთაშორისო კონტროლს ექვემდებარება;

მეორე – ნარკოტიკის მიღება დამლუპველია ადამიანის ორგანიზმისათვის და მისი დიდი მასშტაბებით გავრცელებამ შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს მთლიანად მოსახლეობის ჯანმრთელობას, რაც ნებისმიერი საზოგადოებისათვის ძლიერ საშიშია;


მესამე – ნარკოტიკების მოხმარება თითქმის ყოველთვის ჯგუფურ ხასიათს ატარებს, რაც განაპირობებს ნარკომანიაში მოქალაქეთა სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა, მათ შორის, ძირითადად, ახალგაზრდებისა და არასრულწლოვნების ჩართვას.

ცნობილია, რომ დამნაშავეობა ეს არის ადამიანების სოციალურ ქცევათა ერთობლიობა, რომელიც არღვევს საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას და გამოიხატება დაწესებული სამართლებრივი ნორმების დარღვევაში.²⁵ პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულს თავისი რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთლიანად დანაშაულის საერთო მოცულობაში. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს არა მარტო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის ზრდას, არამედ ნარკოტიკების ზეგავლენით ჩადენილი დანაშაულის ზრდასაც.


ცნობისათვის: *დანაშაულის საერთო სტრუქტურაში ქონებრივი დანაშაულის 32,2 პროცენტი ჩადენილია ნარკოტიკებთან უკანონო შეხებაში მყოფი პირების მიერ, ხოლო მძიმე სახის დანაშაულის 16,8 პროცენტი უშუალოდ ნარკოტიკული თრობის ქვეშ.*²⁶

სწორედ ამის გამო, არსებული სამართლებრივი ნორმა, რომელიც პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალებების დამზადება-შექმენა-შენახვისათვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის, სისხლისსამართლებრივსა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, მოსახლეობის ნარკოტიზირებისაგან შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს და რაც მთავარია, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ასევე მთლიანად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საქართველოში ნარკოტიკების უპანონო ბრუნვის საზიით აღქრული სისხლის სამართლის საქმეები



სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა



§2. სამართაშორისო საპანონმდებლო პრაქტიკა

ჩვენი აზრით, ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება ფაქტობრივად გზას გაუხსნის ნებისმიერ პიროვნებას მისი მოხმარებისაკენ და არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ იგი ნარკოტიკებზე მოთხოვნის გაზრდას და საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით მცენარეული სახის ნარკოტიკების შიდაწარმოების ბაზრის ჩამოყალიბებას გამოიწვევს.

ეს ლოგიკურიც არის, რადგან ქვეყანაში ნარკოტიკების ლეგალიზების ან მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის კანონის შეზღუდვების აკრძალვის შემთხვევაში სახელმწიფო მოვალეა მიაწოდოს იმ 200000 მომხმარებელს ნარკოტიკი ე.ი. თვითონვე აწარმოოს ან შეისყიდოს მათთვის ნარკოტიკული საშუალებები. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით დღეს კოლანდიაში 50000-ზე მეტი სათბურია მოწყობილი, სადაც უმაღლესი ხარისხის მარიხუანა მოყავთ და რითაც დიდად არის შემფოთებული ევროპის თანამეგობრობის ქვეყნები.

საქართველო ალბათ არ უნდა წავიდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისა და მსოფლიო ცივილიზებული სამყაროს მიერ აღებული კურსის საწინააღმდეგოდ. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, გარდა *რუსეთისა* და *გერმანიისა*, არც ერთ ქვეყანას არ შეუსუსტებია კანონი ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მიღებისათვის და არ *წასულა დეკრიმინალიზაციის* გზით. პირიქით, შეიძლება ჩამოვთვალოთ მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ასეთი კანონები მოქმედებს:

იაპონიაში – *ეგრეთ წოდებული, რბილი ნარკოტიკების მიღება (მარიხუანა) ისჯება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო ძლიერი ნარკოტიკების მიღება (ჰეროინი, კოკაინი) 10 წლამდე.*

ტაილანდში – *შესაბამისად 1 და 10 წლით;*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალური დაცვის ინსტიტუტის მონაცემებით ანალოგიური კანონის ნორმები მოქმედებს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა:

საფრანგეთი – *თავისუფლების აღკვეთა 2 თვიდან ერთ წლამდე ან ჯარიმა 50 - დან 5 ათას ფრანკამდე;*

ახალი სამხრეთ უელსი (ავსტრალია) – *თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე, ან ჯარიმა 2 ათასი ავსტრალიური დოლარი;*

შვეიცარია – *თავისუფლების აღკვეთა 3 თვემდე ან ჯარიმა (კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებული იქნას პირობითი სასჯელიც კი, ან საქმის განხილვის გადავადება);*

თურქეთი – *თავისუფლების აღკვეთა 3 - დან 5 წლამდე;*

ბელგია – ნარკოტიკების ჯგუფური მიღება კვალიფიცირდება როგორც დანაშაული და იწვევს თავისუფლების აღკვეთას 3 თვიდან 5 წლამდე;

გაერთიანებული სამეფო – სისხლის სამართლის კანონმდებლობით მკაცრად ისჯება ოპიუმის მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე;²⁷

ლუქსემბურგი – ნარკოტიკულ საშუალებათა არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება ქმნის დანაშაულის განსაკუთრებულ შემადგენლობას და იწვევს სასჯელს: ინდივიდუალური მოხმარების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთას ვადით 3 თვიდან 3 წლამდე და ჯგუფური მოხმარების, რეციდივისა და ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე მოხმარებელთა შემთხვევაში ვადით 1-დან 5 წლამდე;

პორტუგალია – ნარკოტიკების მოხმარება ისჯება 3 თვემდე თავისუფლების აღკვეთით, ან 30 დღით საზოგადოებრივ - სასარგებლო შრომაში ჩაბმით;

ფინეთი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე;

აშშ – ნარკოტიკების მიღებისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მთელ რიგ შტატებში.

ცალკე საკითხია ეგრეთ წოდებული პოლანდიური სამოთხე. პოლანდიაში ნარკოტიკების, კერძოდ, მარიხუანას მოხმარებისათვის მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ლიბერალური კანონები მოქმედებდა.

ცხადია, საქართველო ვერ წავა პოლანდიური სამოთხის გზით! რადგან მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების და ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი მიუთითებს, რომ ყოველი ქვეყანა თავისი ტრადიციებისა, გეოპოლიტიკური მდებარეობის და რაც მთავარია საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ისეთ კანონებს იღებს, რომელიც განვითარების ამ ეტაპზე მოცემული ქვეყნისათვისაა საჭირო.

§3. სარისკო მესაპირიშენი

წინა პარაგრაფში აღნიშნულის გარდა, ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზებას ნიშნავს, რაც ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს, როგორც ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ისე სამართალგამოყენებით პრაქტიკაში.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: მოქმედი კანონმდებლობით მუხლი 272 – ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება მეტად მკაცრად ისჯება (მაქსიმალური სასჯელი 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), ასევე მკაცრად ისჯება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული

ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა – მუხლი 271, მაქსიმალური სასჯელი 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება კანონის ამ ნორმებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, პირველ რიგში, მისი პრევენტიული მნიშვნელობიდან გამომდინარე. საქმე გვაქვს იურიდიულ ნონსენსთან – ნარკოტიკების მოხმარებისათვის (ან შენახვისათვის) არ დაისჯება ადამიანი, ხოლო მის მოხმარებაზე დაყოლიება ან ამ მიზნით ბუნაგის მოწყობა და შენახვა, მძიმე დანაშაულს წარმოადგენს.



აქ არ შემიძლია არ მოვიტანო რუსეთის ფედერაციის მაგალითი, სადაც 1991 წლის 5 დეკემბერს გააუქმეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის და რამაც ამ ქვეყანაში უმძიმესი ნეგატიური შედეგები გამოიწვია.²⁸ კერძოდ, ნარკომანიის აფეთქება სწორედ 1992 წელს მოხდა, როდესაც გაუქმდა პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის.²⁹ რუსეთში დღეს ბევრი იურისტი, მათ შორის ადვოკატები, საკითხს ასე სვამენ: *თუ ნარკოტიკების მიღება დაშვებულია, მაშინ არ უნდა იყოს პასუხისმგებლობა პირადი მოხმარებისათვის, მისი დამზადებისა და შენახვისათვის, რაც ლოგიკურია.*

სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დღეს რუსეთი ევროპაში ნარკომანიით ერთ - ერთი ყველაზე მძიმედ დაზიანებული ქვეყანაა, ხოლო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბებით მან ტრადიციულად დაზიანებულ მრავალ ქვეყანას გაუსწრო.

ამ აზრს ადასტურებს 1999 წლის 29 ივნისის რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოთქმული მოსაზრება, რომ უკანასკნელ 5 წელიწადში რუსეთში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი 3,6-ჯერ გაიზარდა და 2000 წლისათვის მათი რიცხვი წინასწარი პროგნოზით 3 მილიონ ადამიანს გადააჭარბებდა. სამწუხაროდ ეს პროგნოზი მართლდება.³⁰

§4. რას გვმუშენება ისტორია

ნარკოტიკების გავრცელების მსოფლიო ისტორია გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის უფლებას, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, მათ შორის პოლანდიას ჰქონდა ნოყიერი წინაისტორიული პირობა რათა ქვეყანაში ნარკოტიკებისადმი გარკვეული ლიბერალური დამოკიდებულება გამოეჩინათ. სწორედ ისტორიის ფილოსოფიური ხედვა მიგვანიშნებს, რომ უმიზეზოდ ბუნებასა და სასოციალურობაში არცერთი მოვლენა არ ხდება.



რას გვეუბნება ისტორია?

საინტერესოა *ნიდერლანდების* დამოკიდებულება მცენარე *კოკასა* და *კოკაინის* მიმართ. ჯერ კიდევ 1854 წელს დოქტორმა ჰასკარლიმ მთავრობის დაკვეთით ლათინურ ამერიკაში *კინაქინის* მცენარე და მარცვლები შეიტანა. მოგზაურობის დროს მან *ანდელ* მოსახლეობაში *კოკას ფოთლისადმი* ტრადიციული დამოკიდებულება გამოავლინა. თავისი მისიის ანგარიშში იგი *ზოტას* ასხამდა *ღვთიური მცენარის* ღირსებებს და თავისი ქვეყნის ხელისუფალთ *კოლონიურ იავაზე მისი გაშენება* შესთავაზა. ხელისუფლებამ მეცნიერს უარით უპასუხა ისევე, როგორც ადრე *ყაყაჩოს კულტურასთან* მიმართებაში მოიქცნენ; მათ იფიქრეს, რომ იავაზე ახალი *მასტიმულირებლის* ყავაზე დამატება ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამლუპველ შედეგს გამოიღებდა. მათ მიიჩნიეს, რომ „*იამაიკელთა მორალური მდგარდობა არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რათა თავი შეეკავებინათ კოკას გადაჭარბებული მიღებისგან, როცა ამ მცენარის მაგიურ თვისებებს შეიგრძნობდნენ*“.

იმ წლებში *ნაკლებად კეთილსინდისიერმა* ინგლისელებმა *ციელონსა* და *ინდოეთში* (კერალის შტატი) ორი სახეობის *კოკა* შეიტანეს – *ტრუქსილო* და *ჰუნაკო*.

1903 წელს კოლანდიელი ტრომბ დე ჰაასი ნაშრომში „*ტასმანია*“ ინგლისელთა ამ გადაწყვეტილებას ნაწილობრივ უარყო: „*ამით ინგლისელებს შესაძლებლობა მიეცათ მაშინვე წამოეწყათ კოკას კულტურის ციელონზე მოყვანა, როგორც კი ამ პროდუქტის თერაპევტული ღირსება შეიცნეს*“.

მოგვიანებით *კოლანდიურმა* მთავრობამ შეხედულება შეიცვალა და დოქტორ ჰასკარლის წარმოების გაშლაზე დაეთანხმა; იგი აქამდე ლიმიტირებული იყო მხოლოდ *ნიდერლანდელი* ბოტანიკოსების საკვლევი სამუშაოებისათვის.

სწორედ ციელონიდან, ქიუს ბოტანიკური ბაღიდან გაიგზავნა 1870 წელს *იავასათვის* განკუთვნილი პირველი *კოკაიერი* და სწორედ ამ პირველი ტვირთიდანაა მიღებული შემდგომში იქ მოშენებული ყველა მცენარე.³¹ 1876 წელს კომპანია „*ჰერმან ლინდერის*“ მიერ უკვე მცენარის რამდენიმე საექსპერიმენტო ექსპონატი ახალი მიზნისთვის *ამსტერდამში* გაიგზავნა. შედეგი: *იავას ბოტანიკურმა ბაღმა მთელს არქიპელაგზე გაავრცელა ერთროქსილონის (ECS) მარცვლები, მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა ბრაზილიაში რიო-ნეგროს წარმომავლობისაა. ადგილობრივი მცენარე უფრო დაბალი ხარისხისა და ძნელად გამოსაწერი იყო, ვიდრე პერუს კოკა ამიტომ ეს ექსპერიმენტი ჩატარდა მასში კოკაინის შემცველობითი პროცენტის ამაღლების მიზნით. 1890 წლისათვის კოლანდიელები აღწევნენ ისეთ შედეგს, როგორიცაა ეთერიზებული ეკგონინის მიღება, რომელიც მისგან წარმოებულ სხვა ალკალოიდებს კოკაინად გარდაქმნის.*³²

იავას პავა საშუალებას იძლევა პერუს მსგავსად წელიწადში ორის ნაცვლად საშუალოდ სამჯერ მოიწიონ ფოთოლი. 1884 წელს კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევის შედეგად განადგურდა კულტურის უმეტესი ნაწილი და მხოლოდ 1891 წელს, კატაკლიზმის შეიდი წლის შემდეგ მიიღო ამსტერდამის ბაზარმა პირველი პროდუქცია – დაახლოებით 20 ტ.

1892 - 1895 წლებში *ამსტერდამში დაფუძნდა კოკაინის პირველი ფაბრიკები*. აღარ ხდებოდა კოკას ფოთლის რეექსპორტი *კამპურგისა* და სხვა გერმანული ქალაქებისკენ – ფოთოლი საწყობებში იყო და ადგილზე მოიხმარებოდა „ქინა ეტაბლისმენის“ (**Kina - Etablissements**) მიერ, რომელიც უკვე ქინაქინის მონოპოლიას ფლობდა და *რაფინირებული კოკაინი* საქსპორტოდ გაჰქონდა.

1894 - 1900 წლებში *იავაზე* კოკას კულტურა ისევ მნიშვნელოვანი აღმავლობის სტადიაში იყო. 1919 წელს დოქტორი ემა რიინსი აღწერს, რომ „*ნიდერლანდებს არა მხოლოდ ევროპული ბაზრისაგან დამოუკიდებლობა, არამედ მასზე გავლენაც სურდათ.*“³³

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ 1926 წელს ჰოლანდია იავას კოკას უდიდესი იმპორტიორი გახდა – წელიწადში 600 ტ.

დღეს ნიდერლანდები ევროპაში კანაფისებრთა გავრცელებისა და რეკონდიციონირების (*გადახალისება, გასუფთავება, რაფინირება და ა.შ.*) მამობრავებელი ღერძია და გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საკუთარი პროდუქციით აკმაყოფილებენ როგორც თავისი ისე მეზობელი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

ჰოლანდიამ ბოლო წლებში მკვეთრად შეამცირა იმ ადგილების რაოდენობა, სადაც დაშვებულია ნარკოტიკების ყიდვა - გაყიდვა და მოხმარება. დღეისათვის გასაყიდი პორციები მინიმუმამდეა შემცირებული, ხოლო ძლიერი ნარკოტიკები კვლავინდებურად აკრძალულ ნივთიერებათა რიცხვს მიეკუთვნება.

ყოველივე *კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის* დიდი ზეწოლის შედეგად მოხდა, რადგან ჰოლანდიის ამ სარისკო ექსპერიმენტმა დიდი საშიშროების წინაშე დააყენა ევროპის თანამეგობრობის ქვეყნები.

§5. ოპიუმის ომების ისტორია...

ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიაში, განსაკუთრებულია ინგლისის როლი აზიური ოპიუმის კომერციასთან მიმართებაში.

XVIII საუკუნეში ინგლისის სამხედრო ინტერვენციას ბენგალიაში მართავდა „*იისთ ინდია კომპანი*“-ს (**East India Company - "EIC"**) პრეზიდენტი კომერსანტი რობერტ ქლაივი, რომელსაც მხოლოდ თავისი კერძო

წარმოების სურვილი ამოდრავებდა – კონტროლი გაეწია ინდური ოპიუმის პროდუქციისათვის. 1757 წელს დასუსტებულ მონგოლთა იმპერიაზე ბრიტანული არმიის გამარჯვების შედეგად, არმიისა, რომელიც აღჭურვილი და დაფინანსებული იყო ქლაივის მიერ, ინგლისურმა კომპანიამ ფრანგი კონკურენტები აიძულა დაეტოვებინათ სავაჭრო სანაპიროზე მდებარე რამდენიმე ნაკებობა და ამ გზით ხელში ჩაიგდო ოპიუმის ერთ-ერთი მთავარი რეგიონი – პატნა.

1758 წლიდან რობერტ ქლაივის კომპანიამ ლონდონისაგან ორი პროვინციის – ბენგალიასა და ბიჰარის კომერციაზე მონოპოლია მიიღო, სადაც *პოლანდიელები ყაყაჩოს* მოსაყვანად მიწებს იჯარით იღებდნენ და მათი ოპიუმის კომერციამ აზიაში წელიწადში 370 ტ შეადგინა.³⁴


XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნეში არ არსებობდა ოპიუმის მოხმარების აკრძალვის პრობლემა. უფრო მეტიც, სწორედ ოპიუმის ვაჭრობის განვითარებისათვის განახორციელა ინგლისმა ზედიზედ ჩინეთთან ორი ომი – 1858 და 1889 წლებში, რომლებიც „ოპიუმის ომების“ სახელწოდებით არის ცნობილი, რათა აეძულებინა ეს ქვეყანა ოპიუმი ბრიტანეთის კოლონიებში (ინდოეთი, ბენგალია) ეყიდა. სწორედ ამ პერიოდში იზრდება ევროპაში ნარკოტიკების – ოპიუმის, მოგვიანებით კი მორფინის მოხმარების მასშტაბები არა მარტო თერაპევტული, არამედ არასამედიცინო მიზნებითაც.

არის ისტორიული წყაროები იმისა, რომ ბრიტანული ბიძგის შემდგომ აზიაში ნარკოტიკების მოხმარებამ უდიდესი მასშტაბები შეიძინა. თუ ჩინეთში 1850 წელს ნარკომანთა რიცხვი 2 მილიონი იყო, 1889 წელს მან 120 მილიონს გადააჭარბა. ეს იყო მთელი ერის ტოტალური ტოქსიკომანიის ტრაგიკული მოვლენა, როდესაც მოსახლეობის 10 პროცენტი ოპიუმის რეგულარული მომხმარებელი გახდა. სწორედ ეს სიტუაცია დაედო საფუძვლად მთელ რიგ ქვეყნებში ოპიუმის მოხმარებისა და თავისუფლად მოყვანის შესახებ აკრძალვის დეკრეტების მიღებას. ამ ამკრძალავმა ღონისძიებებმა დადებითი როლი შეასრულა საუკუნის ოციან წლებში ნარკობიზნესის შემდგომი განვითარების თავიდან აცილების საქმეში. ამაში განსაკუთრებით დადებითი როლი შეასრულა შანხაის 1909 წლისა და ჰააგის 1912 წლის კონფერენციებმა.³⁵

ნარკოტიკებისადმი ადგილობრივი მთავრობების არასერიოზულმა დამოკიდებულებამ და ბევრ შემთხვევაში მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ექსპანსიურმა პოლიტიკამ უდიდესი პრობლემები შეუქმნა ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ბევრ ქვეყანას. ასეთმა კურსმა ამ ქვეყნების ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა.

სწორედ იმიტომ, რომ ნარკოტიკების წარმოებამ და ბოროტად გამოყენებამ

ოპიუმის კომერცია და ჩინური პორტები



- პორტუგალიური პანარი
- ჩინური ოპიუმის და პორტები ნანკინის მოვლენების შემდეგ (1842 წ.)
- ჩინური ოპიუმის და პორტები არიუს ოპის შემდეგ (1856-1857)
- საეკპო გზები ინგლისის გერმანიისთვის
- > კონტრაბანდის ღონეები პატარა გემებზე
- ★ ოპონგთა უანგო

გასული საუკუნის პირველ და შემდგომ მეორე ნახევარშიც საშიში მასშტაბები მიიღო, ნარკოტიკებთან მებრძოლმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ყველა ქვეყანას დააუღალა ამ საზიტი მკაცრი რეპრესიული ღონისძიებების გატარება.

მსოფლიოს უმეტესმა ქვეყნებმა აღიარა ნარკოტიკების მოხმარების აკრძალვის პრინციპი და მისი დარღვევისათვის მთელი რიგი სისხლის-სამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციები დააწესა:

– ნარკოტიკის მოხმარების პირდაპირი აკრძალვა (პასუხისმგებლობის შემოღება ნარკოტიკის მოხმარებისა და შეძენისათვის, თუნდაც პირადი მოხმარების მიზნით);

– ნარკოტიკის ცალკეულ სახეობათა მოხმარების აკრძალვა;

– ნარკოტიკის მოხმარების აკრძალვა საზოგადოებრივ ადგილებში;

– არაპირდაპირი აკრძალვა (პასუხისმგებლობის შემოღება პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკის გარკვეული რაოდენობის შენახვისათვის).³⁶

§6. ლეგალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების, მსოფლიო პრაქტიკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მასალებზე დაყრდნობით აუცილებელია გავერკვეთ იმაში, თუ რა ავი შედეგები შეიძლება მოუტანოს ქართველ ერს ნარკოტიკების ლეგალიზებამ და მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის აკრძალვამ.

ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვისათვის და არასამედიცინო დანიშნულებით მისი გამოყენებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების მომხრენი გვაძლევენ „გარანტიას“, რომ იგი საზოგადოებას ვნებას არ მოუტანს.

ჩვენ ვიცით, როგორი ნარკოტიკული მდგომარეობაა დღეს საქართველოში და რაოდენ უარყოფითად მოქმედებს იგი ჩვენს ახალგაზრდობაზე; არ ვიცით, რა იქნება ლეგალიზებისა ან ზემოაღნიშნული კანონის გაუქმების შემდეგ.

ამიტომ ღირს კი წავიდეთ ასეთ რისკზე?

ზემოაღნიშნული მოსაზრების ავტორები ახალგაზრდობას უბიძგებენ ისეთი აზარტული თამაშისაკენ, რომლის მოგება ნულის ტოლფასია.³⁷

გადავხედოთ საქართველოში ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემოღწევისა და მისი გავრცელების დინამიკას.

70 - იან წლებში საქართველოში გამოჩნდა კანაფისებრთა ოჯახის მცენარეებისაგან დამზადებული ნარკოტიკები (*მარიხუანა*). 80 - იან წლებში მათ რიცხვს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკები მიემატა – ოპიუმი და მორფინი. 90 - იან

წლებში მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა – უკანონო ბრუნვაში გამოჩნდა ჰეროინი, კოკაინი და სხვა ახალი უადრესად ძლიერმოქმედი ნარკოტიკები, მაგალითად, ბუპრენორფინი და ალფამეთილფენტანილი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა დსთ სივრცეში, აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, აზიასა და ამერიკის კონტინენტზე.³⁸

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ გაწეული კოლოსალური ხარჯებისა, ჯერჯერობით ბრძოლა ნარკომაფიის სასარგებლოდ მიმდინარეობს.

ასევე არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ჩვენთვისაა ცნობილი, ხოლო აკრძალვის გაუქმება ახალ იმპულსს მისცემს ნარკოტიკების მომხმარებელთა მკვეთრ ზრდას. ლედერმანის კანონი, რომელიც ალკოჰოლს ეხება – რაც უფრო მეტია მომხმარებელი, მით უფრო მეტი იქნება ავადმყოფი – მთელი სიმწვავეით ვრცელდება ნარკოტიკზეც.

ნარკოტიკების მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს იმას, რომ მოსახლეობის პირობითად „კანონმორჩილი“ ნაწილი, რომელიც კანონის შიშით იკავებდა თავს ნარკოტიკებისაგან, დაიწყებს მათ მიღებას, ამას კი შედეგად მოჰყვება მომხმარებელთა რაოდენობის სერიოზული ზრდა, რაც მეტად ნეგატიურად იმოქმედებს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროზე (საზოგადოებრივი წესრიგი, სატრანსპორტო მოძრაობა, საყოფაცხოვრებო სფერო და სხვ.).

კიდევ უარესი – როდესაც ნარკოტიკი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება, მოიმატებს ძალადობა, დაინერგვა მრავალი ოჯახი, სერიოზული საფრთხე დაემუქრება მოსახლეობის ჯანმრთელობას, კულტურას, მოხდება ფსიქიკურ დაავადებათა აფეთქება და სხვა მრავალი.

მოკლედ, მოსახლეობის ერთი ჯანსაღი ნაწილი მოემსახურება მეორე ავადმყოფ ნაწილს, რომლის რაოდენობა შესამჩნევად გაიზრდება.

დაუშვათ, მოხდა ნარკოტიკის მოხმარების ლეგალიზება. მაინც მოგვიწევს გარკვეული შეზღუდვების დაწესება, რადგან მთლიანი ლეგალიზების განხორციელება შეუძლებელია.

მხედველობაშია მისაღები ქვემოთოყვანილი ასეთი ფაქტორები:

– ავტომანქანის ტარება დაუშვებელია ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ;

– წარმოებაში მექანიზმებთან მუშაობა არ შეიძლება;

– დაუშვებელია ასეთი პირების მუშაობა სამართალდამცავ და სახელმწიფო სტრუქტურებში;

– არასრულწლოვან მოქალაქეებს ეკრძალებათ მოხმარება და ა.შ.;

– აუცილებელია აკრძალვები და კანონის ჩარევა ფსიქიკურად დაავადებული ნარკომანი პირების მიმართ.

პრობლემას ვერც ნაწილობრივი – რბილი ნარკოტიკების (*მარიხუანა*) ლეგალიზება მოხსნის, რადგან პრობლემა არა იმდენად *ნარკოტიკულ საშუალებაშია, რამდენადაც მისი მოხმარების გამოწვევ მოზეზებსა და მასშტაბებში.*

პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ თუ გავაუქმებთ პასუხისმგებლობას *მარიხუანას* მოხმარებისათვის, *პეროინისა და ოპიუმის* მოხმარებლები მაინც გააგრძელებენ თავის საქმიანობას, *ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა მაინც გაგრძელდება.*

ღიახ, ნარკომანია ძვირად დაუჯდება საზოგადოებას – ეკონომიკური ინვესტიციები, სამედიცინო და სოციალურ სფეროში გაწეული ხარჯები, შესაბამისი პროგრამების დაფინანსება და ა.შ. ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეკონომიკური დანახარჯები შემცირდება მისი ლეგალიზების შემდეგ?

არგუმენტი, რომელიც ეყრდნობა „ადამიანთა უფლებათა დეკლარაციის“ მე-4 მუხლს და რომლის მიხედვით *კანონს არ შეუძლია აკრძალოს ის, რაც უშუალოდ არ ენებს გარშემომყოფთ – ყოველი ადამიანი თავის სხეულს ექცევა ისე როგორც სურს – წარსული დროა!*

ყველა ქვეყნის კანონმდებლები უკვე კარგა ხანია ითვალისწინებენ (*ბრაზილიის განსაზღვრისას*) არა მარტო პირდაპირი მატერიალური აქტის წუთიერ ეფექტს, არამედ იმ საშიშროებასაც, რომელსაც ეს აქტი შეიცავს – ითვალისწინებენ მისგან მოსალოდნელ პოტენციურ რისკს და ახდენენ მისი შემდგომი შედეგების სოციალურ შეფასებას.³⁹

ავიღოთ მაგალითად, *წესი უსაფრთხოების დეველების ხმარების შესახებ.* მისი შეუსრულებლობისათვის დგება პასუხისმგებლობა, თუმცა პიროვნება გარშემომყოფთ უშუალოდ ზიანს არ აყენებს: „*როგორც მინდა ისე ვმეზავრობ – ჩემი სიცოცხლე მე მეკუთვნის*“.

კანონი ისეთი უნდა იყოს, რომ უპირატესობა არ მისცეს იმ უარყოფითს, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე ნეგატიურად იმოქმედებს.

ნარკომანის მოქმედება მუდმივი რისკის ქვეშ უნდა ჩავაყენოთ!

სახელმწიფო ვერ გაექცევა ვალდებულებებს თავისი მოქალაქეების წინაშე. თუ მისთვის ძნელია ყველა საშუალებით აღკვეთოს ნარკოტიკის მოხმარება მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკითხის გასამარტივებლად მისი მოხმარება დაუშვას. პირიქით, იგი უნდა წავიდეს იმავე ძნელი გზით და სრულყოს თავისი მოქმედება ამ მიმართებით.

§7. ფასების დილემა

ნარკოტიკის ლეგალიზების შემთხვევაში იბადება შეკითხვა: სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურებმა რა ფასებში უნდა მიყიდოს ნარკოტიკული ნივთიერება მომხმარებელს?

აი, ახალი თავსატეხი პრობლემა.

თუ გასაყიდი ფასი კანონიერ ბაზარზე ბევრად მაღალი იქნება, რა თქმა უნდა, მომხმარებელი არაკანონიერ – შავ ბაზარს მიმართავს. ასეთი მდგომარეობა შექმნილია ბევრ ქვეყანაში *თამბაქოსთან* დაკავშირებით, სადაც კონტრაბანდული სიგარეტი თანაარსებობს სიგარეტის კანონიერ ბაზართან. იგივე მოვლენას ჰქონდა ადგილი *ოპიუმის* ნედლეულთან დაკავშირებით შორეული აღმოსავლეთის კოლონიებში პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის დროის მონაკვეთში, როდესაც *საფრანგეთი*, *დიდი ბრიტანეთი* და *ნიდერლანდები* სახელმწიფო ორგანოებში მართვის შესაბამის სტრუქტურებს ინარჩუნებდნენ, რათა *მაქსიმალური მოგება* ენახათ. მართვის ეს ორგანო თავის *ოპიუმს* შედარებით მაღალ ფასში ყიდდა. *ჰონკონგში* კი *ოპიუმის* არაკანონიერი ფართო შავი ბაზარი არსებობდა *ოფიციალურის* გვერდით.

მაგრამ თუ სახელმწიფო ორგანო თავის ფასს არალეგალური ბაზრის ფასზე დააბალანსებს – დაიყვანს, მაშინ ვაჭრებს არაფრად უღირთ თავიანთი ფასები შეცვალონ, რადგანაც ამ სფეროში მოგება მათ ფართო მოქმედების თავისუფლებას აძლევს. ნაკლებ სარწმუნოა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანო ვითომდა *საკმაოდ დაბალ გასაყიდ ფასს* დააწესებდა, რათა ვაჭრებს ვერ შესძლებოდათ ნარკოტიკის მაღალ ფასში გაყიდვა. გასათვალისწინებელია, რომ ფასების ასეთი შემცირებით სახელმწიფომ შეიძლება მომხმარებელთა მკვეთრი მატება გამოიწვიოს, ყოველ შემთხვევაში ღარიბთა ზონებში მაინც.

ლეგალიზების რეჟიმში *ოპიუმისა* და *კოკას პასტის* შესყიდვის ფასიც *დილემის* წინაშე დადგება. თუ ღირებულების შემცირების მიზნით სახელმწიფო ორგანოები და კერძო მწარმოებლები პირველად ნედლეულს ძალიან დაბალ ფასებში შეისყიდნან, მწარმოებლები გარისკავენ და თავიანთ მოსავალს არალეგალურ ბაზარზე გაიტანენ, როგორც ეს 1995 წელს *ინდოეთში* მოხდა – ოპიუმის მწარმოებლებმა უარი თქვეს სამედიცინო მიზნით სახელმწიფოსათვის თავიანთი საქონლის მიწოდებაზე, რადგანაც ეს უკანასკნელი 1 კგ ოპიუმში 8 დოლარს სთავაზობდა მაშინ, როდესაც ვაჭრები კილოგრამში 225 დოლარს უხდიდნენ.⁴⁰

მოსაზრება იმის შესახებ, რომ შავი ბაზრის გაუქმებით ნარკოტიკის ფასები დაიწევს უტოპიაა! ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვეყანა ერთდროულად დაიკავებს ამ პოზიციას მთელს მსოფლიოში.

ჩვენის აზრით, მოსახლეობაში ნარკოტიკების გავრცელების მასშტაბები


ბევრად და დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იაფად და ადვილად იშოვება იგი ქვეყანაში.

საქართველოში დღეს ნარკოტიკების სფეროში არსებული კონტროლის სისტემა საკმაოდ დაბალ დონეზეა, ამიტომ ქვეყანაში მისი შემოტანა გაიოლებულია. ურთულესია მის გარშემო არსებული გეოპოლიტიკური ვითარება. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის კანონმდებლობა, რომელმაც ქვეყნის ნარკოტიკაციისაგან დაცვის ინსტრუმენტის როლი უნდა შეასრულოს.

მაგალითი: ისეთი ლიბერალური რეპრესიების ქვეყანაში როგორც პოლანდიაა I გრ კოკაინი 40 დოლარი ღირს; შედარებით ძლიერი რეპრესიების ქვეყანაში – გერმანიაში იგი 140 დოლარად ფასობს; საქართველოში კი I გრ კოკაინის და ჰეროინის ფასი შესაბამისად 200 -250 დოლარია. შეიძლება დავასკვნათ, რომ მოთხოვნა ნარკოტიკებზე საქართველოში დღეს საკმაოდ მაღალია, რა იქნება კანონის შესუსტების შემთხვევაში?

ამ კითხვაზე დღეს პასუხი არ არსებობს!

ერთი ბრამი კოკაინის და ჰეროინის ფასები მეროპაშო



§8. აკრძალვების სანდინაღმდეგო არგუმენტაცია

კონვენსიათა ვალეპულეპები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის *ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ* 1988 წლის *კონვენციის* მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ ამ კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა, ეროვნული კონსტიტუციური დებულებებისა და სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა კანონდარღვევად ცნონ ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შენახვა, შექმნა და კულტივირება.⁴¹

იგივე მუხლი კონვენციის წევრ ქვეყნებს უკრძალავს სათანადო კანონიერი ნებართვის გარეშე ნარკოტიკის შენახვას.

ამავე კონვენციის მე - 14 მუხლი კი ამ ქვეყნებს ავალდებულებს ყველა შესაძლო ღონისძიების გატარებას ნარკოტიკების *მიწოდების (მოთხოვნის)* თავიდან აცილების მიზნით, ასევე, *ნარკომანების გამოვლენის, მათი შეძგომი სამედიცინო მკურნალობის და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით.*

1988 წლის კონვენციის მოთხოვნებით *სახელმწიფოებმა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას უნდა დაუპირისპირონ რეპრესიული მეთოდები, სამედიცინო და პროფილაქტიკური ღონისძიებები.*

ამავე კონვენციის მე-3 მუხლის მეორე პუნქტი მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფომ გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რათა საჭიროების შემთხვევაში კანონდარღვევად სცნოს პირადი გამოყენების მიზნით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესყიდვა, შენახვა, კულტივირება (მოყვანა) და სხვ.

ამიტომ, სახელმწიფოთა საკანონმდებლო ხელისუფლებამ კონვენციის ეს და სხვა მოთხოვნები მუდმივად უნდა გაითვალისწინოს თავის კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების შესახებ დაწვრილებითი საუბარი წიგნის მომდევნო ნაწილებში გვექნება.

სოსიოლოგიური თეპალსაგრისი

აუცილებელია ნარკოტიკების მოხმარებისა და შენახვის აკრძალვის შენარჩუნება, თუნდაც მას გარკვეული უარყოფითი მომენტებიც გააჩნდეს. *დაე, იყოს კანონის მკვდარი ნორმა, რათა საზოგადოება ამ საშიში სენისაგან დაეცვათ.* კანონის ეს ნორმა დამოკლეს მახვილივით უნდა იყოს აღმართული იმ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც *საფრთხეს უქმნის ერის სიმტკიცეს, ადამიანის ჯანმრთელობას, მორალურ სისპეტაკეს, ადამიანურ ღირსებას.*

აღმგზავლობითი თვალსაზრისი

ახალგაზრდობას უცილოდ სჭირდება თავისი მოსაზრებების, მსოფლმხედველობის სწორი ორიენტირი, აკებული განსაზღვრულ პრინციპებზე.

სწორედ ახალგაზრდობის აღზრდაა ის მძლავრი მექანიზმი, რომელიც საზოგადოებას დაიცავს კანონის ნორმებიდან გადაზრისაგან და ამიტომაც აქვს სწორ აღზრდას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.⁴² თეორიიდან ცნობილია, რომ მოზარდი თაობის დიდი კანონმორჩილი ნაწილი, მათ შორის არასრულწლოვნებიც, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე თავს იკავებენ ნარკოტიკებისაგან. ნარკოტიკების ლეგალიზება ან კანონის ნორმების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია კი ბევრ ახალგაზრდას მათი მოხმარებისაკენ უბიძგებს, რასაც ისინი სხვა დროს არ გააკეთებდნენ. ლეგალიზების შემთხვევაში არ იქნება არავითარი ბარიერი და პიროვნების ფორმირებისას დაშვებული შეცდომების გამო (ოჯახში აღზრდის არასათანადო პირობები, სკოლაში აღზრდის დროს დაშვებული შეცდომები, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მიხედვით, ასევე სასწავლებელში არაოფიციალური ჯგუფების უარყოფითი ზეგავლენა პიროვნებებზე, სათანადო სოციალური კონტროლის არ არსებობა, თავისუფალი დროის არასწორი გამოყენება და სხვ.) ნარკოტიკებთან არაკანონიერ შეხებაში მყოფი ახალგაზრდების – არასრულწლოვნების რიცხვი მკვეთრად გაიზრდება.⁴³

ამიტომ, გარდა სხვა შემაკავებელი ფაქტორებისა, ქვეყნის მოქალაქეებმა ადრეული წლებიდანვე უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანაში ნარკოტიკის არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

ჩემი აზრით, დადგა დრო საქართველოს სკოლების დაწყებით კლასებში დაიწყოს ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ გაკვეთილების ჩატარება, როგორც ამას აპირებენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში ნარკომანიის მასშტაბების მკვეთრი ზრდა გარდუვალია. ამას თვალნათლივ მოწმობს წინა პარაგრაფში მოტანილი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი.

მოსკოვის მთავარი ნარკოლოგის ედუარდ დროზდოვის ინფორმაციით, მოსკოვის საშუალო სკოლის მოსწავლეთა შორის ნარკოტიკების მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი 1986 - 87 წლებში 6,4 პროცენტი იყო, 1992 წელს კანონის ლიბერალიზაციის შემდეგ მან 16,5 პროცენტი შეადგინა. მისივე მონაცემებით მოსკოვის ზოგიერთი პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეთა 100 პროცენტს გასინჯული აქვს ნარკოტიკი.⁴⁴

არის მოსაზრება, რომ ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზება (მარიხუანა) ხელს შეუწყობს ნარკომანების გამოვლენას და მათ „მოვლას“. ჩვენ კი დავსძენთ, რომ ამას აუცილებლად მოყვება ათასობით ახალგაზრდა - არასრულწლოვნის ნარკომანიაში ჩართვა;

ვერაინ განსაზღვრავს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების მასშტაბებს მისი ლეგალიზების შემთხვევაში.

ქართველი მეცნიერის პროფესორ ავაბიანის გამოკვლევებით, რბილი ნარკოტიკების (მარიხუანა) მოხმარების შემდეგ ყოველი მეხუთე-მეექვსე პირი ძლიერ ნარკოტიკზე გადადის (*ოპიუმი, ჰეროინი, კოკაინი და ა. შ.*).⁴⁵

სწორედ ნარკოტიკების თემაზე საუბრისას უნდა ვიყოთ უაღრესად ფრთხილი, დაკვირვებულნი. *ხმაურიანი* განცხადებები კი ნარკომანიის აუადმყოფობად და სოციალურ მოვლენად გამოცხადების შესახებ ჩვენი სერიოზული ჩაფიქრების საგანი უნდა გახდეს. ამით უსათუოდ ვავენთ საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, ჩვენს მომავალს.

როგორც აშშ ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯონ ჰეისლიპმა განაცხადა: *„ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ნარკომანიის ეპიდემიისა არის მოწოდებები ნარკოტიკებისა და მისი მოხმარების ლეგალიზების შესახებ და, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, უმეტეს სახელმწიფოთა ხელისუფალნი არაადეკვატურნი არიან ასეთი წამოწყებების მიმართ, რაც აშკარად ჩანს ნარკოტიკების გავრცელების მსოფლიო ისტორიის შესწავლისას“*.⁴⁶

მკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისი

ლეგალიზება ნარკობიზნესს ახალ ბიძგს მისცემს, გაძლიერდება მისი მასშტაბები – დაიწყება კონკურენცია შიდა ბაზარზე, საგრძნობლად მოიმატებს ნარკოტიკების იმპორტი ქვეყნის ფარგლებს გარედან და რაც ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ყველაზე უფრო საგანგაშოა, დაიწყება ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი მცენარეების დათესვა და მოყვანა, ე.ი. შეიქმნება ნარკოტიკების წარმოების შიდაბაზარი. იგი სტიმული იქნება იმისა, რომ *საქართველო ნარკოტიკების გადაზიდვის ერთ-ერთი ცენტრი გახდეს კავკასიაში*; იმუშავეს ცნობილი ფორმულა:

ნარკოტიკები → ლეგალიზება = ბაზარს.⁴⁷

ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზება ხელს შეუწყობს, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოში ნარკომანთა რიცხვის საგრძნობ ზრდას, ნარკობიზნესის განვითარებას, საქართველოს ნარკოტიკების სატრანსპორტო ქვეყნად გადაქცევას, რასაც შედეგად უცხოელი ნარკობიზნესმენების მიერ საქართველოს ეკონომიკაში თავიანთი დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფულის ლეგალიზების (გათეთრების) მზარდი მასშტაბები მოყვება.

აი, რას ამბობენ ამერიკელი მეცნიერები რენსელაერ ლი III და სკოტ მაკდონალდი:

მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნების ინტერესებში შედის ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში განვითარდეს სტაბილური და კანონიერი საზოგადოებები. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ეკონომიკურად ღარიბი, მაგრამ ნარკოტიკებით მდიდარი ქვეყნებია და ნარკოტიკების ტრანზიტისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები გააჩნიათ, რაც ნარკოლიდერებსა და სხვა კრიმინალურ ელემენტებს მათში მყარად დამკვიდრების კარგ შანს აძლევს.

ქვეყნები, სადაც არაიშვიათად მთავრობის შემაღვანელობაში დამნაშავენიც საქმიანობენ, ვერ დაამყარებენ ახალ პოსტკომუნისტურ წყობას ევრაზიულ სივრცეში, ან ამის მისაღწევად უაღრესად დიდი დრო და მცდელობა დასჭირდებათ.

სწორედ ამიტომ ახლადგანვითარებულ სახელმწიფოებში აღმოსავლეთ ევროპიდან წყნარ ოკეანემდე უნდა შეიქმნას ანტინარკოტიკული კოალიცია, რათა წინ აღუდგნენ სახიფათო ნარკობიზნესს, ფულის გათეთრებას და ნარკოტიკების მოხმარების დიდ მასშტაბებს. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს დემოკრატიული პრინციპების დამყარებას და ამ ქვეყნებში თავისუფალი ეკონომიკური ბაზრების შექმნას.

თუკი ეს ქვეყნები, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით არ შეეცდებიან წინ აღუდგნენ ამ პროცესებს, ორგანიზებული დანაშაულის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება არარსებულ სიმაღლეს მიაღწევს.⁴⁸

კრიმინოლოგიური თვალსაზრისი

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლატენტურობის ცნებას, რადგან გარკვეული მიზეზების გამო ამ სახის კანონდარღვევების საკმაოდ დიდი ნაწილი არ ხდება სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალურ აღრიცხვაზე. კერძოდ, არც დამნაშავეს – რელიზატორს და არც მსხვერპლს – ნარკოტიკების მოხმარებელს დანაშაულის გახსნა არ აწყობს.

უცხოეთის ქვეყნებში, მათი მაღალი პროფესიონალური დონისა და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების გამო ლატენტური – გამოუვლენელი დანაშაულების რიცხვი ნარკომანიისა და ნარკობიზნესის სფეროში საკმაოდ მაღალია და შეადგენს 1:8-თან. ჩვენში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტად მაღალია და თანაფარდობა შეადგენს 1:15 ან 1:20.

ამის მიზეზი მრავალია, რომელთა შორის გამოვყოფთ რამდენიმეს:

პირველი ჯგუფი – დანაშაული, რომლის შესახებ შესაბამის ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, ოფიციალურ პირებს ინფორმაცია არა აქვთ.

მეორე ჯგუფი – როდესაც დანაშაულის ფაქტი სახეზეა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო (პოლიტიკური, ეკონომიკური, კარიერისტული და სხვ.) ამ დანაშაულის გამომვლენი პირი მას როგორც დანაშაულს არ აღიქვამს.

მესამე ჯგუფი – დანაშაულები, რომლებიც აღრიცხვაზე არ არის აყვანილი

შესაბამისი თანამდებობის პირთა არასწორი მოქმედების გამო (დანაშაულის დამალვა სახელმწიფო აღრიცხვიდან).⁴⁹

დანაშაულის ლატენტურობაზე ასეთი აქცენტი გამომდინარეობს იქედან, რომ მისი რეალური რიცხოვნობის, სტრუქტურის, ღინამიკისა და სხვა მახასიათებლების ზუსტი ცოდნა აუცილებელია შესაბამისად, საწინააღმდეგო, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ზომების განსახორციელებლად, რომელიც თავისთავად მოიცავს იმ ეკონომიკურ-ფინანსურ გათვლებსაც, რაც აუცილებელია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისა, ნარკომანთა სამედიცინო მკურნალობის და სოციალური რეაბილიტაციისათვის.

სამედიცინო მთავალსაზრისი

ილუზიაა იმის ვარაუდი, რომ ჩვენ ნარკომანს დავეხმარებით, თუ მას თავისუფლად შეეძლება ნარკოტიკის შოვნა და მიღება. ეს იმას ჰგავს, რომ ალკოჰოლიზმით დაავადებულს მიეცეთ დიდი რაოდენობით ალკოჰოლური სასმელი და ვუყუროთ, თუ როგორ ილუპება ადამიანი.


ნებისმიერი სახის ნარკოტიკი მაენეა ადამიანისათვის – მათ შორის *მარიჯუნაც* და სხვა რბილი ნარკოტიკები.

კიდევ ერთი საკითხი – *როგორ მოხდება ნარკომანების აღრიცხვაზე აყვანა, მათი სოციალური კონტროლი* და საერთოდ როგორი იქნება ლეგალიზების შემთხვევაში სამართალდამცავი და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ურთიერთკავშირი? ასეთი სისტემის შექმნა დაკავშირებულია სერიოზული ფინანსების გამოყოფასთან.

ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლის-სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება, როგორც აღენიშნეთ, ნარკომანთა რიცხვის მკვეთრ ზრდას გამოიწვევს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით, მსოფლიო პრაქტიკაში ერთი ნარკომანის მკურნალობა რამდენიმე ასეული დოლარი ჯდება, სავსებით გასაგები მიზეზების გამო *ამას ჩვენს ქვეყანაში ვერ განვახორციელებთ, რადგან სახელმწიფოს რამდენიმე ათეული ნარკომანის მკურნალობისათვის საჭირო საშუალებაც კი არა აქვს*. გამომდინარე აქედან, სულ უფრო გაიზრდება სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის გარეშე დარჩენილ ნარკომანთა რიცხვი.

და კიდევ ერთი – საქართველოში დღეს არ არსებობს ნარკომანთა ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი – იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტი და აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიის პირთა შესაბამისი ტიპის სამკურნალო დაწესებულებებიც. საქართველოს ნარკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ გელა ლეჟავას მონაცემებით, ქვეყანაში 1999 წელს ნარკოლოგიის პრობლემებზე გამოიყო იმდენი თანხა, რომელიც მხოლოდ 30

სინთეზური ნარკოტიკები



ნარკომანიის განკურნებას ეყოფოდა. მდგომარეობა არც 2001-2002 წლებში შეცვლილა⁵⁰

იბაღება შეკითხვა, როგორ განვახორციელებთ ამ ეტაპზე მათ სამედიცინო მკურნალობას და სოციალურ რეაბილიტაციას? რას შეეთავაზებთ ნარკოტიკების მომხმარებელთა ამ დიდ არმიას?

ნარკომანია და დანაშაული

პრაქტიკა, არსებული ინფორმაციები, სისხლისსამართლის საქმეთა შესწავლა მიგვანიშნებს, რომ ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული პირები დამნაშავეობასთან მჭიდრო კავშირში არიან.

რამდენიმე წლის წინათ ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკული დანაშაულის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

ნარკოტიკების მოხმარება – 51,9%;

მკვლელობა – 4,7%;

გაუპატიურება – 2,8%;

ქონებრივი დანაშაული – 32,8%;

სხვა დანაშაულები – 7,8%.

სადღესო მონაცემებით მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა, რადგან ქვეყანაში გამოიკვეთა ნარკომანიისა და დანაშაულის მჭიდრო ურთიერთკავშირი. სწორედ ამიტომ ნარკოტიკების მთლიანი ან ნაწილობრივი ლეგალიზება, ასევე, ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლის-სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება დამნაშავეობის ზრდის იმპულსი გახდება.

პირიქით, აკრძალვა, რეპრესიული ღონისძიებები ამცირებს ნარკომანთა რიცხვს, უბედური შემთხვევების რაოდენობას (უხარისხო ნარკოტიკებით მოწამვლა, დიდი ღოზის მიღება ძირითადად დამწყებ ნარკომანებში და სხვ.) და ამ პროცესების კონტროლის საშუალებას იძლევა.

მოკლედ, ნარკომანიის პრობლემის გადაჭრა ლეგალიზების გზით ეს იგივეა, რომ ჩავაქროთ ცეცხლი მასზე ბენზინის ჭავლის მიმართებით.

§9. რა უნდათ ლეგალიზაციის მომხრეთ

ლეგალიზება – ეს არის პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების გარკვეული ნაწილის მცდელობა სოციალური, სამედიცინო, კრიმინოგენული და სხვა პრობლემის გადაწყვეტისა გრძელვადიანი, შრომატევადი ღონისძიებების გვერდის ავლით, რაც ჩვენი

საზოგადოებისათვის, კერძოდ კი მისი ახალგაზრდობისათვის უაღრესად სახიფათოა.

ლეგალიზების მომხრენი, რომელთაც აფიქრებთ იმ ახალგაზრდა ნარკომანთა ბედი, რომლებიც ნარკოტიკის უხარისხო სახეობებს ანტისანიტარიის პირობებში ღებულობენ, გვიქადაგებენ: *გავაუქმეთ პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მიღებისათვის, მოვახდინოთ მისი ლეგალიზება და აღარ იქნება პრობლემა ასეთი საგანგაშო, ჩვენი აზროვნება და ფსიქიკაც დაისვენებს.*

მაგრამ ხომ ნათელია, რომ ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზება ნარკომანებისთვის ახალს არაფერს წარმოადგენს. მიუხედავად კანონის ამკრძალავი ნორმებისა, ისინი მაინც ღებულობენ ნარკოტიკს. ასე რომ, ლეგალიზება შეეხება მათ, ვინც ადრე ნარკოტიკებს არ ღებულობდა. ამიტომ ჩაფიქრება გემართებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ამკრძალავ ღონისძიებათა გაუქმების შემდგომი შედეგები საზოგადოებისათვის, როდესაც ნარკოტიკი ცხოვრების შემადგენელი ერთ-ერთი წესი გახდება.

მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს, ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს არ უნდა ჰქონდეთ პრეტენზია, რომ ქართველი ერისათვის ამ უმტკივნეულეს და უმნიშვნელოვანეს საკითხზე ერთადერთი სწორი და ამომწურავი პასუხი აქვთ. ეს საკითხი მთელი ერის გადასაწყვეტია, თუნდაც რეფერენდუმის გზით!

იტალიამ როდესაც სოციალ - ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია, ეროვნული რეფერენდუმის საფუძველზე მხოლოდ 1993 წელს გარისკა გადაწყვეტილების მიღება ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ.

მიმაჩნია, რომ ამ საკითხში აჩქარებამ შეიძლება გაუთვალისწინებელი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჩვენს ქვეყანას.

უნდა ვისწავლოთ იმ სხვა ქვეყნების მაგალითზე, რომელთა ეკონომიკაზე, კულტურაზე, პოლიტიკაზე ნარკოტიკებმა უაღრესად დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა.

საკითხის კვლევისას მკაცრად ჩამომიყალიბდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ არ შეიძლება საქართველოში ნარკოტიკებთან ბრძოლის საკითხებში ბრმად დავნერგოთ იმ ქვეყნების მოდელი, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში შეეხება ჰქონდა ნარკოტიკების წარმოებასთან, მოხმარებასა და ტრანსპორტირებასთან.

ლ ა ს კ ვ ნ ა

საპარტიველოს განვითარების ამ ბარდამავალ ეტაპზე, როდესაც:

– სამართალდამცავი ორგანოები ვერ აკონტროლებენ ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს და მათ შორის, სასაზღვრო სივრცის დიდ ზოლს;

– საგანგაშოა ნარკომანთა რიგების ზრდის მყარი ტენდენცია, იკვეთება მათი გააზღვრადეების მკვეთრი კონტურები;

– ფაქტია ნარკომანიისა და დანაშაულის, განსაკუთრებით მისი მძიმე სახეობის ურთიერთკავშირი;

– არ არსებობს ნარკომანთა ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობის ნორმატიული ბაზა, სამკურნალო დაწესებულებები;

– ჯერჯერობით არ არის მოძებნილი როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე ნარკომანთა სამედიცინო მკურნალობის და სოციალური რეაბილიტაციის დაფინანსების წყაროები;

– არ არის ჩამოყალიბებული ნარკომანებთან მუშაობის სამედიცინო, სოციალური და რეპრესიული მეთოდების კონტროლის სისტემა;

– არ არის გამოიყვნილი ამ კონტინენტთან მომუშავე უწყებათა და სამსახურების კომპეტენცია.

არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვის, ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება. თუმცა სერიოზულად შეიძლება მსჯელობა სანქციის ნაწილში, თავისუფლების აღკვეთის გაუქმების შესახებ, რადგან საპატიმრო დაწესებულებებში ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებელთა გაშვება აბსოლუტურად უშედეგოა, იქ სახელმწიფო მათი მკურნალობის ელემენტარულ პირობებსაც ვერ უზრუნველყოფს.

თემატური და საბაზისო ლიტერატურა

1. J-M. Pelt, *Drogues et plantes magiques*, Paris, Fayard, 1983.
2. J. Ott, *Pharmacotheon: Entheogenic Drugs, their Plant Sources and History*, Kennewick, Natural Products Co., 1993.
3. JanaSia J., *opiumi - kavkasiuri derefnis gveleSapi*, გამომც. *inteleqti*, Tbilisi, ivlisi, 1999.
4. E. Perrot, *Matières premières usuelles du rigne végétal, thérapeutic, hygiène, industrie (t. II)*, Paris, Masson & Cie, 1943-1944.
5. **The thousand and one nights**, novels, translated into Georgian, Tbilisi, 1986.
6. E. Fottorino, *La piste blanche, l'Afrique sous l'emprise de la drogue*, Paris, Balland, 1991.
7. ჯანაშია ჯ., *ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმძღვანელო, საქართველოს შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო, თბილისი, 1995 წელი.*
8. S. H. Snyder, *La Marijuana*, Paris, Seuil, 1973.
9. U.S. Department of Justice. **Drug Enforcement Administration, Cannabis Sativa**, 1976, prepared by Special Agent John T. Maher, Washington, D.C., 1976.
10. H. de Monfreid, *La croisière du hachich*, Paris, Grasset, 1994.
11. **California Department of Justice. Training Center, Sinsemilla Eradication**, Ca. DOJ, Sacramento, California, 1976.
12. P. Delaveau, *Histoire et renouveau des plantes médicinales*, Paris, Albin Michel, 1982.
13. P. G. Kritikos et S. P. Papadaki, *Le pavot et l'opium*, leur histoire et leur extension dans la région de la méditerranée orientale durant l'Antiquité, in *Bulletin des Stupéfiants*, Nations Unies, vol. XIX, n° 3, juillet-september, 1967.
14. R.S. Merrillees, *Opium Trade in the Bronze Age Levant*, 36, 1962.
15. **Drug Enforcement Administration, Opium and its Derivatives** - Instructor Manuscript, DEA, Washington, D.C., 1976.

16. San Diego Police Department, Training Section, *Narcotics (Heroin Abuse)*, San Diego, California, 1982.

17. Instituto Indigenista Interamericano, *La coca andian, vision indigena de una planta satanizada*, Mūxico, Joan Boldo y Clementi, Instituto Indigenista Interamericano, 1986.

18. J. C. Jones, *The Chapare: Farmer Perspectives on the Economics and Sociology of Coca Production*, Binghampton, IDA, 1991.

19. R. Lee, P. Clawson, *Crop Substitution in the Andes*, DC, Office of National Drug Control Policy, Washington, December, 1993.

20. W. Golden Mortimer, *De la coca a la cocanne*, Paris, UTZ, 1992.

21. California Department of Justice. Training Center, *Stimulants (Cocaine)*, 1979, Ca. DOJ. Sacramento, California. 1982.

22. U.S. Department of Justice. Drug Enforcement Administration, *Coca and Cocaine*. DEA, prepared by John T. Maher; Washington, D.C., 1976.

23. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო, *ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები 1995-2001 წლების მიხედვით*;

24. Pavel Bem, Chief Doctor at the Centre of Drug Addict Cure in Prague. *Speech to the Conference on Drug Abuse in Paris on April 18, 1991*.

25. Криминология, под редакцией акад. Кудрявцева В. Н. и проф. Еминова В. Е., изд. "Юрист", Москва, 1997 г.

26. МВД Грузинской ССР. Информационный Бюллетень №2, 1988 г.

27. Организация Объединенных Наций. Программа по международному контролю над наркотиками. "Законодательство пятнадцати государств - членов ЕС по вопросам о немедицинском использовании наркотических средств по состоянию на 1996 год. Австрия, Вена, 1996 г.

28. Постановление Верховного Совета РФ от 5 декабря 1991 года.

29. Проф. Эдуард Бабаян, председатель Постоянного комитета по контролю над наркотиками Российской Федерации. Отчет о конференций. Нормативная конференция стран СНГ по правоохранительной борьбе и

контролю над наркотиками и химическими веществами, **Зальцбург, Австрия, 11-14 октября, 1994 г.**

30. Ермолин Валентин, Большой наркотический путь, “Известия”, **30 июня, 1999 г.**

31. C.A. Backer, R.C. Bakhuizen Van Der Brink, *Flora of Java, vol. I, Groningen, N.V.P. Nordhoff, 1963.*

32. T. Plowman, *The origin, evolution and diffusion of coca, erythroxylum spp., in South and Central America, in Papers of the Peabody Museum of Archeology and Ethnology, Pre-Colombian Plant Migration, vol. 76, Cambridge, Mass., DA, 1984.*

33. E. Reens, *La coca de Java, monographie, Paris, 1919.*

34. C. Descours-Gatin, *Quand l'opium finanziait la colonisation en Indochine, Paris, L'Harmattan, 1992.*

35. Jonathan Spence. “Opium Smoking in Ch'ing China”, in, ed. **Frederic Wakeman, Jr., and Carolyn Grant**, *Conflict and Control in late Imperial China (Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1975).*

36. Report of the International Narcotics Control Board for 1993, Vienna.

37. ნარკომანია პირისახით და პროფილში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თბილისი, 1995 წელი.

38. იხ. №7, ჯანაშია ჯ., სახელმძღვანელო.

39. Программа ООН по международному контролю над наркотиками. Типовое законодательство касающееся классификаций наркотических средств, психотропных веществ и прекурсоров и регламентаций законного культивирования, производства и изготовления наркотиков и торговли ими, также о незаконном обороте наркотиков и связанных с ними правонарушениях, **Вена, 1996 г.**

40. ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, ნარკოტიკების მსოფლიო ატლასი, თავი VIII – *ნარკოტიკები და ფასები – ფანტასტიკური ზრდა*. საფრანგეთის უნივერსიტეტის გამოცემა, პარიზი, 1996 წ.

41. Организация Объединенных Наций. Конвенция о борьбе против незаконного оборота наркотических средств и психотропных веществ **1988** года, ст. **3, Австрия, Вена, июль, 1995 г.**

42. **Аванесов Г. А., Криминология**, издание второе (переработанное и дополненное). Академия **МВД СССР, Москва, 1984 г.**

43. **Аванесов Г. А., Криминология**, издание второе (переработанное и дополненное), Глава VII. Личность преступника и особенности формирования антиобщественного поведения. Академия **МВД СССР, Москва, 1984 г.**

44. **Чебакова Т.**, Наркомафия раскрывает спираль грязного бизнеса. "Российская газета", 24 апреля, **1992 г.**

45. ზურაბაშვილი ა., გაბიანი ა., ლეჟავა გ., ნანეიშვილი გ., *მკვნევიდან მძიმე დაავადებამდე*, თბილისი, 1982წ.

46. **Нормативная конференция стран Содружества Независимых Государств по правоохранительной борьбе и контролю над наркотиками и химическими веществами.** Отчет конференции. Выступление Дж. Хейслипа: *Mega тенденций.* Зальцбург. Австрия. 11-14 октября, **1994 года.**

47. **J.F. Couvrat, N. Pless, La face cachée de l'économie mondiale, Paris, Hatier. 1988.**

48. **Jeffrey Rensselaer W.Lee III and Scott McDonald - Drugs in Post-Communist Societies.** Boulder - San Francisco - Oxford. **1994.**

49. **Алексеев А. И., Роша А. Н., Латентная преступность и эффективность деятельности правоохранительных органов – В кн.: Вопросы борьбы с преступностью, Москва, 1973 г.**

50. ლეჟავა გ., მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, თბილისი, აპრილი, 1999 წ.



ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ა ბ რ ე შ უ შ მ ი ს ბ ზ ა ო ა ი შ მ ი ს ბ ზ ა

„უნდა ვიფიქროთ ნარკომანიის გავრცელებისა და ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრად გაძლიერებაზე. იგი ქვეყნის უსაფრთხოებას სერიოზულად ემუქრება.“

ეროვნული პროგრამიდან

თ ა ვ ი I

ნ ა რ კ ო ტ ი კ ე ბ ი ს მ უ ღ მ ი ვ ი თ ა ნ ა მ დ ე ვ ი ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი

§1. გ ე ო ბ რ ა ფ ი უ ლ ი ფ ა ქ ტ ო რ ი

ანტიკური ხანიდან მოყოლებული ნარკოტიკები მუდმივად ბატონობს პლანეტაზე.


მსოფლიო ხალხების უახლესი ისტორია იძლევა იმის *საშემ* მაგალითს, თუ ნარკოტიკებზე მიჯაჭვული მილიონობით ადამიანი როგორ ხდის ნარკოტიკების კომერციის არენად საზოგადოებას და იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც იგი ცხოვრობს.

ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში, ფარაონებიდან მოყოლებული დღევანდელ მედიცინამდე, ყველა კულტურის ხალხები იყენებდა მაგიურ მცენარეებს, რომელთა პერიოდული *ლეგალიზება* თუ *სოციალური* აკრძალვები არაერთგვაროვან ზეგავლენას ახდენდა ნარკოტიკების წარმოება-მომხარების პროცესებზე და მაინც, ნარკოტიკების გავრცელებას მთელი მსოფლიო მასშტაბით გამოკვეთილი მუდმივი თანამდევი ფაქტორები განსაზღვრავს:

პირველი – ეს არის გეოგრაფიული ფაქტორი.

საქმე ეხება ჩვენი პლანეტის მუდმივი ცვალებადობის პირობებში *უძლიერესი იმპერიების შექმნა – აღმოცენება – გაქრობის* პროცესების კვალდაკვალ მიმდინარე ამა თუ იმ სავაჭრო გზების – მარშრუტების ჩამოყალიბებას, რასაც პირდაპირი კავშირი აქვს *ნარკოტიკების გავრცელებისა და ტრანზიტის* ვექტორებთან. აქვე, უდავოდ გადამწყვეტია ის მოვლენებიც, როცა საინტერესო პოლიტიკურ სივრცეში ბოლო საუკუნეებში გაძლიერებულ სახელმწიფოებს – *ამერიკას, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს* და ა.შ., როგორ უთმობენ ადგილებს ამ ტიტანი ქვეყნების აღმომჩენი – ერთ დროს

ოქიუმის და აბრეშუმის უკველესი გზები აზიასში



სიმაღლეები
1500 2000 3000 (მ)
ოქსუსი
საქარაველო გზები
აბრეშუმისა და ოქსუსის
გზარი

უძლიერესი *ესპანელები, კოლანდიელები, პორტუგალიელები.*

მსოფლიოს გადანაწილების ისტორიული პროცესი კვლავაც გრძელდება.

ნარკოტიკების გავრცელების გეოპოლიტიკურ ჭრილში შესწავლის შედეგად შეიძლება დაეასკნათ, რომ ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის დროს სავაჭრო აღებ-მცემობის *პირველად სავნებს შორის ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი ნივთიერებებიც ფიგურირებდა.*

ჯერ კიდევ ძვ.წ. 121 წელს, ჩინელ სოვდაგრებს ზურგზე ტვირთაკიდებული აქლემებით შეპქონდათ *აბრეშუმი* კაშგარში (*სავაჭრო ქალაქი*), სადაც საქონელს ბერძენ ვაჭრებს გადასცემდნენ და ქარავანი გრძელ გზას კვლავ გაუყვებოდა *იფესო – ანტიოქია – პალმირი – ბაბილონის* მიმართულებით. ბოლო პუნქტი *თერანის მენეთის, ბუხარისა და სამარყანდის* გავლით *ფერგანის* ხეობა იყო, თუმცა, არაიშვიათად, ქარავანი *მიდიაში ეკატანის, ჰამადანისა და ირანის* გავლითაც სერავდა სტეპებს.¹

მრავალ საუკუნეთა წინათ ძვ.წ. 329 წელს კაშგარი მოწმე გახდა, თუ როგორ შეჩერდა ქალაქის მისადგომებთან ალექსანდრე დიდის ამაღლა. სწორედ ამ თარიღს ემთხვევა ბერძნულ ოპიუმზე რამდენიმე ფუთა აბრეშუმის პირველი გაცვლითი სავაჭრო ოპერაცია.

კაშგარის სიახლოვეს ფერგანის დაბა *კოკანგ* შორეული ალექსანდრია დაერქვა. ეს ყველაზე უკიდურესი ქალაქთაგანია, რაც კი დიდმა დამპყრობელმა მაკედონელმა შორეულ აღმოსავლეთში დააარსა.

საინტერესოა თვით კაშგარის ისტორია.

ტიბეტის, ქაშმირის, ავღანეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის საზღვრებთან ტაკლა-მაკანის უდაბნოთა უდაბნოს დიდი დიუნების ფერხით მდებარეობდა ქალაქი, რომელსაც ჩინელებმა კაში უწოდეს.

ეს იყო 150 მეჩეთიანი უძველესი ოაზისი, რომელიც ჰამირის მაღალი უღელტეხილების *ტიან-შანისა და ალაის* შორის ერთადერთ გასასვლელში იყო შეფარებული; იგი *ოპიუმისა და აბრეშუმის გზების გადაკვეთაზე აღმოცენდა.*

ეს დიდი კომერციული დაბა-ქალაქი ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე მდებარეობდა და როგორც შუა იმპერიის უმაღლესი კარი, ყოველთვის მუდმივი დავის, პრეტენზიისა თუ კონფლიქტების ობიექტად გვევლინებოდა. ქალაქს დღესაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და *ფერგანის ხეობაში* გამწვანებული ქალაქ *ოშის* სიახლოვეს მდებარეობს. ამ უკანასკნელს კი დღეს ყირგიზეთის *კოლუმბიას* უწოდებენ.

კაშგარი, უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბრეშუმის გზის გზაჯვარედინზე გაშენდა. მალე იგი მარკუს ავრელიუსის უმაღლესი სადესპანო გახდა და ჩინეთის ოპიუმის შემომტანი ერთ-ერთი ცენტრთაგანია *პაიფონგთან* ერთად.

ამრიგად, აბრეშუმისა და ოპიუმის გზა დღევანდელი მსოფლიოს უმწვავეს გეოპოლიტიკურ სივრცეში უდიდეს სახელმწიფოებზე გადის და კვლავ იბრუნებს თავის ძველისძველ ვექტორულ ფუნქციას.

§2. კულტურული ფაქტორი

კულტურული ფაქტორი სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების ტრადიციებში.

მსოფლიოს ყოველი ცივილიზაცია ზოტბას ასხამდა თავისი დროის ნარკოტიკს, სხვა დროისას კი მკვნიდ თვლიდა და მათ მოხმარებას სასტიკად სჯიდა; როდესაც ერთში ნარკოტიკული პროდუქტი სავსებით მიღებული იყო, მეორეში იგი მკვნიდ, ან სულაც უკანონოდ მიიჩნიოდა და განიდევნებოდა. ამავე დროს, ის, რაც წარმოების დონეზე კანონიერი იყო, შეიძლება აკრძალულიც კი ყოფილიყო მოხმარებისათვის.

ნეოლითის ხანიდან მოყოლებული ადამიანები ნარკოტიკულ მცენარეს ზოგჯერ სამკურნალოდ იყენებდნენ, უმეტესად სიამოვნების მისაღებად, არაიშვიათად კი წმინდანთან (ღმერთთან) მისასვლელად რელიგიური მიზნით კონტაქტის დასამყარებლად. მსოფლიო ხალხების სწორედ ამ ცხოვრებას აღწერს მემატიანე საქარავნო გზების მთელ სიგრძეზე, რომლებიც *შუმერების*, *ბერძნების*, *ეგვიპტელების*, *სპარსელებისა* და *არაბთა* მიერ იყო გაკვალული.

საკითხის ისტორიულ კონტექსტში შესწავლამ დაადასტურა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქმნებოდა ნარკოტიკების გეოპოლიტიკური რუკა; საუკუნეების მანძილზე მოიხსენიება ჩინეთი, აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია, თურქეთი, ხმელთაშუა და შავი ზღვები, ზოლო მოგვიანებით, XX საუკუნეში აფრიკისა და ამერიკის კონტინენტებიც გამოჩნდნენ.²

უდიდესია ინდოჩინეთის როლი ნარკოტიკების გეოპოლიტიკაში. სწორედ იქ, დიდი ჩინური კედლის მიდამოებში დაედო სათავე ცნობილ აბრეშუმ – ოპიუმის გზას, რომელმაც შემდგომ დიდი სირთულით და, ამავე დროს, შედეგიანად დაიმკვიდრა ადგილი აზიის უდაბნოებში, რუსეთის სტეპებში, კავკასიის ციცაბო ფერდობებზე, ხმელთაშუა და შავი ზღვის რეგიონში, ზოლო მოგვიანებით ბებერი კონტინენტი და ახალი სამყაროს სივრცეებიც დაიპყრო.

ჩვენ შევეცდებით ნარკოტიკების ისტორიულ-კულტურული ფენომენი იმ სივრცეში განვიხილოთ, რომელშიც საქართველო მდებარეობს და აბრეშუმ – ოპიუმის გზა ნარკოტიკების ჭრილში არა დღევანდელი, არამედ ხვალისდელი დღის გადმოსახედიდან დავინახოთ.

§3. ისტორიული ფაქტორი

ისტორიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია თურქეთის როლი ნარკოტიკების ინდუსტრიის განვითარებაში. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოყოლებული იმ რეგიონში, სადაც დღეს თურქეთი მდებარეობს, უმაღლესი ხარისხის ოპიუმი იწარმოებოდა. ამაზე მეტყველებს ორიათასწლიანი სიძველის პერგამენტის ქაღალდზე შესრულებული, მუზეუმში გამოფენილი, ბერძნული ბარელიეფები.³ „ყავისფერი ოქრო“ – მცირე აზიაში „აფიონის ყაყაჩოს“ რომ უწოდებდნენ, ძალიან დაფასებული იყო მორფინის მაღალი შემცველობის გამო, რომელიც თავისუფლად აღწევდა 15 პროცენტს, ნაცვლად ტრადიციული 8 - 10 პროცენტისა. მხოლოდ იუგოსლავიასა და ავღანეთში იწარმოებოდა ანალოგიური ოპიუმი.

ოტომანების იმპერიის დროს უცხოეთთან ოპიუმის კომერცია უმაღლესი კარის შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო იყო. XIX საუკუნის მიწურულს ოტომანის ბანკს (**Osmali Bankasi**), ფრანკო-ბრიტანული კონსორციუმის ფილიალს, კონიისა და აფიონის (სიტყვასიტყვით „ოპიუმის ქალაქი“) მწარმოებელი რეგიონების შუაგულში ჰქონდა თავისი განყოფილებები და მჭიდროდ თანამშრომლობდა დასავლეთის ფარმაცევტულ კომპანიებთან.


თუ ყაყაჩოს ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ფარმაცევტული ინდუსტრიისათვის ქვემალ ათათურქის მიერ შექმნილი სახელმწიფო მონოპოლიის საშუალებით იყიდებოდა, მეორე ნაწილისათვის პარალელური სექტორალური ქსელები გამოიყენებოდა, რომელთა შორის ცნობილი იყო ფრანგული ქსელები (კავშირები) – **“French Connection”**.⁴

ინტერნაციონალური განვითარების ამერიკული სააგენტოს (**AID**) კონფიდენციალურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის არალეგალური ბაზრისაკენ მიმართული ოპიუმის წარმოება სამეურნეო პროდუქციის დაახლოებით ნახევარს შეადგენდა.

ნარკოტიკებზე უკანონო ბრუნვის შესახებ 1961 წლის საერთაშორისო კონვენციის მიღების შემდეგ, ცივი ომის შუა პერიოდში დაიწყო თურქეთის კონფლიქტი ამერიკის ადმინისტრაციასთან, რომელიც დაახლოებით ათი წელი გაგრძელდა. ამერიკის შერთებული შტატების ადმინისტრაციის მთავარი მოთხოვნა იყო ოპიუმის წარმოების მკვეთრად შემცირება და პლანტაციების განადგურება. სანაცვლოდ, ვაშინგტონმა თურქეთს, რომელსაც **NATO**-ს სტრატეგიულ დაჯგუფებაში მთავარი ადგილი ეჭირა, სამხედრო და ეკონომიკური დახმარება შესთავაზა. ეს მოლაპარაკება ხელს სრულიადაც არ უშლიდა, რომ თურქული ოპიუმისაგან მარსელში რაფინირებულ ჰეროინს ამერიკულ ბაზარში შეედწია.

1965 წელს ამერიკის შერთებული შტატების ზემოქმედება ანკარაზე

ნარკოტიკების კომერციისა და გაჭრობის ისტორიული გზები



ინტერნაციონალური საცალო გზები ნარკოტიკების მოქმედი გზები (ჭეროანი, ჰაშიში) ალტერნატიული ტრადიციული გზები

დამთავრდა იმით, რომ თურქეთში ოპიუმის ყიდვას ინდური ოპიუმში ცვლიდა. თურქები **NATO** - ში თავის მოკავშირეებს იგივეს სთავაზობდნენ. ასეთი მიდგომით 1965 წელს, როცა ამერიკული დაკვეთა თურქეთში 118 ტ იყო, 1969 წელს 32 ტ-ზე ჩამოვიდა. თურქეთის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური დახმარების დაკარგვის შიშით დათმობებზე წავიდა. ამ დროისათვის ქვეყანაში 50-იანი წლების ეკონომიკური სიღუბნე იყო დასადგურებული და კომერციული დეფიციტი უფრო და უფრო ღრმავდებოდა. გასათვალისწინებელია ის მწარე სინამდვილეც, რომ ყაყაჩო 100 ათასამდე ოჯახს ასულდგმულებდა, რომელთაგან ნახევარი მხოლოდ აფიონის ერთ პროვინციაში ცხოვრობდა.

1970 წელს, როცა ამერიკის კონგრესში ფინანსური რეტორსიის მუქარა გაიზარდა, ანკარამ კიდევ უფრო შეამცირა ოპიუმის წარმოება, მცენარეული ნარკოტიკების ნათესების რაოდენობა და ნელ-ნელა ოპიუმზე ოფიციალური კონტროლი გარკვეულ ჩარჩოებში ჩაჯდა. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით მაინც მნიშვნელოვანია თურქეთის როლი ევროპაში ნარკოტიკების ტრანზიტის საქმეში.

§4. ბალკანური გზები

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ოპიუმისა და ჰეროინის, კუნძულ იავადან კოკაინისა და აფრიკიდან მარიხუანას ევროპისათვის განკუთვნილი უდიდესი პარტიების საბოლოო გზა ვერ ასცდებოდა ეგრეთ წოდებულ ბალკანურ ტრასას, რომელიც ყველა შემთხვევაში თურქეთზე გადიოდა და ევროპაში მიემართებოდა.⁵

იგი ოთხ ძირითად მიმართულებად იყოფა:

1. „პირდაპირი გზა“ თურქეთიდან – დასავლეთ ევროპაში (ბულგარეთის, ჩრდილოეთ საბერძნეთის, სერბიის, ხორვატიის, სლოვენის, ავსტრიის ან იტალიისა და შვეიცარიის გავლით);
2. „სამხრეთის გზა“ თურქეთიდან – იტალიაში (საბერძნეთის, ალბანეთის, შემდეგ რკინიგზით მაკედონიის, მონტენეგროს, სერბიისა და სლოვენის გავლით);
3. „ჩრდილოეთის გზა“: თურქეთიდან – გერმანიაში (ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვაკიის, პოლონეთის გავლით);
4. „ეკოსოვარის გზა“ თურქეთიდან ან კვიპროსიდან – (დასავლეთ ევროპაში (ზღვით) – თურქეთის, ალბანეთის, იტალიისა და სლოვენის გავლით; ხმელეთით – ბულგარეთის, მაკედონიის, ალბანეთის გავლით; რკინიგზით – იტალიის, სლოვენის და შვეიცარიის გავლით);⁶

მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებული შტატების ზეწოლით 1966 წელს იმ 21 პროვინციიდან, რომელთაც

ყაყაჩოს კულტივირების უფლება ჰქონდათ, 1970 წლისათვის მხოლოდ 7 დარჩა, თუმცა ისინი იმ დანარჩენ 14-ზე მეტს აწარმოებდნენ. იმავედროულად თურქეთის მთავრობამ ფულის ძლიერმოქმედი გაუფასურება მოახდინა – თითქმის 66 პროცენტით. აღნიშნული კომპენსირებული იყო გლეხების შემოსავლების დასაცავად აგრარული მეურნეობის ფასების ბალანსირების მიზნით. ოპიუმის ფასზე ეს მომატება არ გავრცელებულა.

ამ ღონისძიებამ თავისი შედეგი უმაღლეს აჩვენა: *90 ტ უკანონო ოპიუმი – 40 - 50 პროცენტით მეტი ვიდრე წინა წლებში, 1971 წელს სპეკულანტებს 60 პროცენტზე მაღალი ფასებით მიეყიდა.*

იმავე წელს ვაშინგტონში მოხდა ახალი სტრატეგიის ინაუგურაცია, რომელიც დღეს ცნობილია გამოთქმით „ომი ნარკოტიკებს“!

პრეზიდენტმა ნიქსონმა თავისი ელჩის საშუალებით პირადი ულტიმატუმი წაუყენა თურქეთის პრემიერ-მინისტრს ერიმს – *დემირელის მემკვიდრეს* და სთხოვა *სასწრაფოდ მიეღწიათ შესამჩნევი შედეგებისათვის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.*⁷

ამ მითითებამ თურქეთში ყაყაჩოს კულტურის აკრძალვა გამოიწვია, თუმცა მარაგი, რომელიც გლეხებს ჰქონდათ და რომელიც ყოველთვის დანაზოვის სახით ინახებოდა, 1975 წლამდე კვლავ აგრძელებდა ევროპაში მორფინის ბაზისა და ჰეროინის ლაბორატორიების ნაწილობრივ მომარაგებას.

სწორედ ამ პერიოდში ოქროს სამკუთხედის ქვეყნებმა, ფაქტობრივად ვიეტნამის ომის გამო, პროგრესულად დაიწყეს ოპიუმისა და ჰეროინის წარმოება; მათი მიზანი იყო ოპიუმით მოემარაგებინათ მეზობლები და ამერიკული ბაზარი. *თურქეთში კი ორი წლის აკრძალვის შემდეგ ყაყაჩოს კულტურა კვლავ ლეგალური გახდა, მაგრამ ამჟამად უკვე ქვეყნის ბატონპატრონის – სამხედროების გადაწყვეტილებით.*

მთელი ამ ხნის განმავლობაში – 1960 წლიდან 1975 წლამდე ნარკოტიკების აკრძალვის პროცესით დაზარალებულმა ორ მილიონამდე თურქმა ემიგრანტმა, რომლებიც უმეტესად სამხრეთის მწარმოებელი რაიონებიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქურთული ანატოლიიდან წამოვიდნენ, ფეხი მოიკიდეს დასავლეთ ევროპაში, უფრო ზუსტად – გერმანიაში. პარალელურად თურქებსა და იტალიელებს შორის თანამშრომლობამ დასაბამი მისცა შერეულ ქსელებს, რომლებიც მეტი აქტიურობით შეიჭრა იმ ევროპულ ბაზარზე, რომელიც *თურქული და სიცილიური ნათლიამების პრიორიტეტული სამიზნე გახდა.*

საბოლოოდ, ამერიკულმა *ყაყაჩოს დიპლომატიამ* მათ საშუალება მისცა გადაეკეტათ *ჰეროინის უმაღლესი წრედი*, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ტოქსიკომანებისთვის იყო განკუთვნილი. მაგრამ, ამ უხეშმა და მომავლის არმქონე უპერსპექტივო ზომებმა სხვა უკუუფექტი გამოიწვია – ნაკადმა *მიმართულება ევროპისაკენ* იცვალა, რამაც ნარკოტიკების მსოფლიო

სპეკულაციის ქსელის გაკონტროლება უფრო რთული და კომპლექსური გახადა.

მას შემდეგ, რაც *თურქული პროდუქცია* უკიდურესად *ლიბიტირებული* გახდა, ადგილობრივი მაფია ჰეროინის ოქროს გზაჯვარედინზე – „*აბრეშუმი* – *ოპიუმის ტრასის*“ მთელს გასწვრივ სივრცეში ეძიებდა – *ირანში* და უფრო შორსაც *ავღანეთს* და *პაკისტანში*. ამ ქსელმა, რომელიც გადაშლილი იყო *პალერმოდან ბეირუთამდე* და *ქაბულიდან კარაჩამდე*, თურქეთი გადააქცია მნიშვნელოვან მბრუნავ ღერძად, რომელზეც განლაგებული იყო უამრავი *ფარული ლაბორატორიები*; შეიარაღებული დაჯგუფებები „*რუხი მგლები*“ და **PKK** *გერმანიაში*, *ბელგიასა* და *ნიდერლანდებში* ჰეროინის სადისტრიბუციო ქსელებიდან მიღებული შემოსავლებით ფინანსდებოდნენ.

§5. პოლიტიკური უაქტორი

უმნიშვნელოვანესი მუდმივი ფაქტორი, რომელიც ნარკოტიკების წარმოებასა და გავრცელებას ახასიათებს პოლიტიკური ფაქტორია.

საბჭოთა ბლოკისა და კოლონიური სახელმწიფოების დაშლა ნათელი ილუსტრაციაა იმ დიდი მოგებისა, რომელიც ნარკოტიკების კომერციას შეუძლია მიიღოს იმპერიის დეკომპოზიციის (*დაშლა - დანაწევრების*) შედეგად.

ნარკოტიკების გეოპოლიტიკური შესწავლის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ასეთ დაშლა-რღვევებს, რადგან ნარკოტიკების კომერცია იმის ბრწყინვალე მაგალითს იძლევა, თუ როგორი უნარი შესწევთ ადამიანთა ჯგუფებს შეეგუონ მსოფლიო აშლილობას, დააკვირდნენ მას და მოთხოვნის სურვილის გაძლიერებისთანავე მოსახლეობას მიაწოდონ ნარკოტიკების სულ ახალ - ახალი ნაირსახეობანი, რომელიც უფრო ახლოსაა „ლოპინგთან, ვიდრე ხელოვნურ სამოთხეში გაქცევასთან“

XX საუკუნის მიწურულს სწორედ ამ კონტექსტში განხილული ორი დიდი *გეოპოლიტიკური* მოვლენა აღრმავებს თურქეთის, როგორც ჰეროინის კომერციის მბრუნავი ღერძის როლს

პირველი – *ირანის რევოლუციამ* ნაწილობრივ შეწყვიტა *თურქულიტალიური ქსელების* მომარაგება, მიუხედავად შიიზმის რბილი დამოკიდებულებისა ოპიუმის მიმართ. ახალმა ინტეგრირებულმა ირანულმა ძალაუფლებამ მნიშვნელოვანი ბარიერი შეუქმნა ჰეროინის კომერციას, თუმცა აღარავითარ მონაწილეობას აღარ ღებულობდა შაჰის პროდასავლურ ნარკოპოლიტიკაში.

მეორე – *საბჭოთა კავშირის რღვევამ* ირანის ჩრდილოეთით ისლამურსა და თურქულენოვან სამყაროს საზღვრების გახსნის საშუალება მისცა.

თავისუფალმა სივრცემ აზერბაიჯანიდან ცენტრალური აზიის ქვეყნებამდე (კასპიის ზღვისა და თურქეთის გაკლით) ოქროს ნახევარმთვარის ქვეყნებს ოპიუმის ჯაჭვის გაგრძელების შესაძლებლობა შეუქმნა. ხოლო *ნარკოტიკების როლი იმ ეთნიკურსა და რელიგიურ კონფლიქტებში, რომლებიც ამ რეგიონებში განვითარდა, არცთუ ისე მცირე იყო, რადგან იგი უშუალოდ იარაღზე გაცვლის ინსტრუმენტი გახდა.*

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, დიდია სპარსული ოპიუმის როლი რეგიონში მიმდინარე პროცესებშიც.

საუკუნის დასაწყისში ირანში ოპიუმის წლიური წარმოება ოფიციალურად 600 ტონა იყო, 1931 წელს თითქმის 900 ტონას მიაღწია, ხოლო 1936 წელს 1300 ტონაზე მეტს – რეკორდული წელი. ამ პროდუქციის ძირითადი ნაწილი აკმაყოფილებდა ადგილობრივ *მოთხოვნებს* მოხმარებაზე, რომელიც მემკვიდრეობისთვის ასწლოვან ტრადიციად იყო ქცეული. ქვეყანაში არსებული შიდა ბაზარი 1959 წელს უზრუნველყოფდა 2 მილიონამდე *მწვევებს* და *ოპიუმის მღეჭველ* ადამიანებს, ანუ ცხრიდან – ერთ ასაკოვან ირანელს. ექსპორტი, რომელიც წელიწადში 260 ტ აღემატებოდა, მსოფლიოში ოპიუმისებრთა კანონიერი კომერციის თითქმის მესამედს წარმოადგენდა და იმ სახელმწიფოს ბიუჯეტს ავსებდა 19 პროცენტით, რომელსაც მასზე *მონოპოლია* ჰქონდა აღებული.⁸


1955 წლის 30 ოქტომბერს დასავლეთის მოთხოვნით შაჰმა აკრძალა *ყაყაროს* კულტივირება და *ოპიუმის* მოხმარება. ოპიომანთა რიცხვი შესაბამისად 350 ათასამდე შემცირდა. მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გაიზარდა წარმოება თურქეთსა და ავღანეთში. 1969 წელს *შაჰმა ხელახლა წამოჭრა აკრძალვის საკითხი*, რადგან ოპიუმით უნდა დაეკმაყოფილებინა ოფიციალურად აღიარებული ტოქსიკომანები. ამრიგად, 1972 წელს მთლიანობაში 105 ათასი ოფიციალური ოპიუმის მწვეელი მოიხმარდა ირანის 217 ტ პროდუქტს. „300 ათასი ტოქსიკომანი გარედან მარაგდებოდა, რომლებიც შუა აღმოსავლეთის ოპიუმს მოიხმარდნენ და ხელს უშლიდნენ ჰეროინის ფორმით ოპიუმის ამერიკის შეერთებულ შტატებში გადინებას“, – წერს 1974 წელს ელჩი რიჩარდ ჰელმსი, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს (CIA) ყოფილი დირექტორი.

ამ პერიოდში თეირანში ჰეროინის *ლაბორატორიები* გაიხსნა.

ირანელი ქიმიკოსები კონტაქტში შევიდნენ ავღანელებსა და პაკისტანელებთან. ნარკოტიკების გაკოტრებული ყიდვა - გაყიდვის სისტემა „შეღარებით გამოცოცხლდა“.

1975 წელს, *შაჰის რეჟიმის* დაცემის წინ ირანში აღირიცხებოდა 500 ათასი ოპიომანი და 50 ათასი ჰეროინომანი. სპეკულანტთა მძლავრი დაჯგუფებები ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ოპიუმს პაკისტანიდან და ავღანეთიდან ეზიდებოდნენ, ნაწილი კი *ვეროპისა* და *ამერიკის* კონტინენტებზე გადიოდა.

ნარკოტიკებით სექსუალური კონტაქტის პერსონები ლერძები მონიტორინგის რუკა



80 - იანი წლების ბოლოს მსოფლიო პოლიტიკა ახალ სიურპრიზებს გვთავაზობს. პოსტკომუნისტურ სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა, საზღვრების გახსნამ, ყოფილი საბჭოთა კავშირის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 600 მილიონამდე მოქალაქეს მთელი ევროპის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცა. ეს კი ახალი იმპულსი იყო ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მკვეთრი ზრდისათვის.⁹ ძალიან მცირე დროში ნარკოტიკების უდიდესმა რაოდენობამ თავი მოიყარა *ევროპა - აზიის გზაჯვარედინზე*, თვით ევროპა კი შეიძლება *გზათა გამყოფს* შევადაროთ, რომელმაც უნდა მიიღოს და გადაანაწილოს გარედან მიღებული პროდუქტი *ბებერი კონტინენტის* სხვადასხვა ბაზარზე ან ხელახლა გადაგზავნოს (რეექსპედიცია) მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.

1993 წელს მარტო ევროპაში უკანონო ბრუნვიდან ამოიღეს ნარკოტიკების უდიდესი პარტიები: 2,2 ტ *ფსიქოტროპული საშუალებები*, 8,2 ტ *პეროინი*, 19,7 ტ *კოკაინი*, ხოლო კრიმინალურმა სტრუქტურებმა ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობიდან 100 მილიარდი დოლარის მოგება მიიღეს.

ევროპული სივრცე მოიცავს *სამ ღია მისადგომს*:¹⁰

– აღმოსავლეთის კარი, რომელიც გამოიყენება მსხვილი მწარმოებლების – *ოქროს ნახევარმთვარისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მიერ*. ასევე, *კოკაინის ფილიერებისა და სინთეზური ნარკოტიკების, მედიკამენტებისა და ამფეტამინური ნაირსახეობათა მწარმოებელთა მიერ*;

– დასავლეთის კარი განსაკუთრებით გამოიყენება *ლათინური ამერიკის კოკაინის მწარმოებელთა მიერ*;

– სამხრეთის კარი გამოყენებულია *იმ მიმართულებით, რომლისთვისაც განსაკუთრებით დამახასიათებელია მაროკოს ჰაშიშით მომარაგება*.

ეს დინებები ღრმად გადაეჯაჭვა კონტინენტის დინებებს, სადაც სწრაფად ვითარდება *სინთეზური ნარკოტიკების წარმოება*. ასეთი წარმოება პლანეტაზე ყველაზე მნიშვნელოვანი სტაბილური ბაზრით სარგებლობს. უფრო მეტიც, *ევროპა ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი ექსპორტიორია* წინამორბედი ქიმიური პროდუქციისა, რომელიც აუცილებელია ნარკოტიკების წარმოებისათვის.

ამ უნიკალურ სივრცეში, რომელსაც ურიცხვი დინებები კვეთს, მოჩანს *მრავალფეროვანი დანაშაულებრივი კავშირები მყიფე და ფიქსირებული საზღვრების გარეშე*, რომლებშიც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ *რუსეთის დანაშაულებრივი დაჯგუფებები*.

აბრეშუმის გზა XI საუკუნიდან გამოყენებულია იმ აზიური ქარავნების მიერ, რომლებსაც *ოპიუმი (teriak - ოპიუმი)* და ანაშა (ჰაშიში) დასავლეთ რუსეთის *სლავეური ტომებისა და უკრაინისათვის* შემოაქვთ. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ასეთი ვაჭრობისათვის რაიმე დაბრკოლება არ არსებობდა.

XVI საუკუნის მიწურულს, როცა რუსეთის პირველი კოლონიები აზიურ ტერიტორიაზე დაფუძნდა, ისინი უკვე კარგად იცნობდნენ ოპიუმის ორმაგ ბუნებას და ადამიანები მას სამკურნალოდ და დამამშვიდებელ საშუალებად მოიხმარდნენ. ხელისუფლება ღელავდა მისი ეფექტის გამო, რადგან იგი სულ უფრო და უფრო დიდი მასების გონებას ეუფლებოდა.

1727 წლის ოქტომბერში რუსეთში ხელი მოეწერა ვიახტინსკის ტრაქტატს, *ისტორიის პირველ აქტს*, რომელმაც განსაზღვრა *ოპიუმის კომერცია რუსულ იმპერიასა და ჩინეთს შორის...* ტვირთის ყოველი გამტანი ამის შემდეგ დაისჯებოდა ჯარიმით – *გატანილი ოპიუმის* ორმაგი ფასის ოდენობით.

1888 წელს, როდესაც რუსეთის ჯარი მანჯურიიდან გავიდა, მას თან მიჰყვა ჩინური ეთნიკური უმცირესობის ერთი ნაწილი მუსლიმანური რელიგიისა – *დუნგანები და უიგურები*, რომლებიც ისტორიულად ყაყაჩოს ტრადიციული მომყვანები იყვნენ. ეს უკანასკნელნი დასახლდნენ ყირგიზეთში, *ისიკ-ყულის* ტბის ნაპირებთან. ყირგიზეთი მომთაბარეობის წყალობით, მათ არ შეუწყვეტიათ ჩრდილო-აღმოსავლეთის ჩინეთთან *ოპიუმით* ვაჭრობა და კულტურული კონტაქტები. ასევე მოქმედებდნენ *ჩინელი ემიგრანტები* და კორეელები, მით უმეტეს, რომ *ყაყაჩოს* კულტურა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში *ისევ ღვევაღური* რჩებოდა. ეთნოგრაფ ვლადიმერ არსენიევის გადმოცემით, საიდუმლო საზოგადოებები, შემდეგ კი ტრიადები ძალიან სწრაფად ამ *ემიგრირებულ* მოსახლეობას *კონტროლს* დაუწესებენ.¹¹

XIX საუკუნის შუა წლებში, ოპიუმის მოხმარება იმ ხალხური ფენომენით ხდება, რომელიც განსაკუთრებით ცენტრალური აზიის პროვინციებში იყო გავრცელებული. იმპერიის პირველი სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებულია 1885 წელს და შორეული აღმოსავლეთის მონაცემებს აფიქსირებს *ჯარისკაცებზე, კაზაკებსა და გლეხობაზე* გათვლით.

პირველი აკრძალვა ამ სფეროში მოხდა 1915 წლის ივნისში, ამურის რეგიონში, *სამხედრო კანონის ფორმით*, რომელმაც *მცენარეების ძირფესვიანად ამოძირკვა* ბრძანა და *ათასობით ჩინელის გაძევება* გამოიწვია. ხელისუფლება, რომელიც ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად მოვიდა, ძალიან სწრაფად დაუბრუნდა ამ გადაწყვეტილებას. რადგან პოლიტიკური კომისიებისათვის ოპიუმი ერთ-ერთი საშუალება იყო, სხვა საშუალებათა შორის, თურქესტანის სივრცის გასავეითარებლად.

1924 წელს თეთრი არმიის წინააღმდეგ *პატრიოტული ომის* შემდგომ საბჭოთა კავშირში მიიღეს პირველი *ანტინარკოტიკული კანონმდებლობა*. შემდგომი უძრავობის დრომდე პრობლემა გადაწყვეტილად ჩითვალეს და შინაგან საქმეთა სამინისტროში *ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურები დაშალეს*. კრემლისათვის ქვეყანაში „აღარ იყო“ ნარკოტიკი და, რა თქმა უნდა, მოხმარების წლიური *სტატისტიკაც*, ხოლო მოვება,

რომელიც ტონობით ოპიუმსა და ყაყაჩოს თავთავს (ჩალას) შემოპქონდა, ფართო მასებისათვის იმ დროისათვის უცნობი იყო (ოპიუმის ყაყაჩო და მარიხუანა კი საბჭოთა კავშირის უდიდეს მასივებზე ოფიციალურადა იყო კულტივირებული).¹²

„გლასტონოსტის“ პერიოდმა ისევ წარმოაჩინა ეს პრობლემა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ კვლავ შექმნა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური, ახლა უკვე 1500 თანამშრომელზე, რომლებიც რუსეთის მთელ ტერიტორიაზე გაიშალნენ.




ნარკოტიკულმა დანაშაულმა მოიცვა რუსეთის შორეული აღმოსავლეთი, აზია, დიდი ტემპებით განვითარდა იგი მსხვილ სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, ეკატერინბურგი, ნიჟნი ნოვგოროდი და სხვ.). პირველი სტატისტიკური მონაცემები 1992 წლის მდგომარეობით 6 500 ნარკოსპეკულანტის დაპატიმრებას და 29 ათას ნარკოტიკულ დანაშაულს გვიჩვენებს; სულ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვით მიღებულმა თანხამ 60 მილიარდი მანეთი შეადგინა. შემდგომში ეს ციფრები მუდმივად იზრდება.

რუსეთი უკვე უცხოეთიდან შემოსულ ნარკოტიკულ ნივთიერებათა სამომხმარებლო ბაზრად იქცა. ამას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფაქტორებმა: საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების უმრავლესობასთან გამჭვირვალე საზღვრების არსებობამ, საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა შესვლის წესის შეცვლამ – ლიბერალიზებამ, ქვეყნიდან რუსეთის მოქალაქეთა გადინებამ, ახალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებამ.

1992 წლიდან რუსეთში შემოდის კოკაინის მსხვილი პარტიები სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან; სინთეზური ნარკოტიკები – LSD, MDMA, MDA, DOB და სხვ. დასავლეთ ევროპიდან; ოპიუმი და ჰეროინი – ტაჯიკეთიდან, პაკისტანიდან და ავღანეთიდან; ყაყაჩოს ჩალა – უკრაინიდან; მარიხუანა – ჩრდილოეთ კავკასიიდან.

რუსეთის ტერიტორია გამოიყენება ერთგვარ გადასატვირთ ბაზად „ოქროს ნახევარმთვარისა“ და „ოქროს სამკუთხედის“ ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების გასაგზავნად.

რუსეთის ტერიტორიაზე ნარკობიზნესის სფეროში ჩართულია ზოგიერთი ეთნიკური დანაშაულებრივი დაჯგუფება. ნიგერიელები აქტიურად არიან დაკავებული კოკაინისა და ჰეროინის გასაღებით; აზერბაიჯანის მოქალაქეები ყიდიან იატაკქვეშა ლაბორატორიებში დამზადებულ სინთეზურ ნარკოტიკებს, ასევე ოპიუმს; ცენტრალური აზიის მცხოვრებლები ავღანელებთან კავშირში ასაღებენ ავღანეთიდან და პაკისტანიდან მიღებულ ჰეროინს, ოპიუმს და სხვ.¹³



§6. ნარკოტიკუმის ტრანზიტის ახალი მარშრუტები

საზღვარგარეთიდან ნარკოტიკულ ნივთიერებათა მსხვილი პარტიების მიწოდებამ, მათმა აქტიურმა გასაღებამ და მაღალმა ღირებულებამ, განაპირობა იმ ფულადი სახსრების გათეთრება, რომლებიც უცხოელი მომწოდებელი-პარტნიორების მიერ ნარკოტიკებთან დაკავშირებული უკანონო ოპერაციების შედეგადაა ამოღებული.

მოკლედ, რუსეთი აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო ნარკობიზნესში.

აღმოსავლეთში კომუნისტური სისტემის რღვევამ სერიოზული კორექტივები შეიტანა ევროპის ნარკოგეოპოლიტიკაში, კერძოდ, დასაბამი მისცა ნარკოტიკების ტრანსპორტირების ახალი მარშრუტების წარმოშობას. მაგალითად, ტრანსფორმაცია განიცადა „ბალკანეთის მარშრუტმა“. ახლა უკვე ამ გზის ნაწილი ცენტრალურ ევროპაზე გადის და კოკაინისა და ჰეროინის სარეკორდო რაოდენობა ევროპაში უნგრეთსა, ჩეხეთსა და სლოვაკიაზე გაედინება.

80-90-იან წლებში საბაჟო კონტროლის მოშლამ, *ზორვატიაში, სლოვენიასა და ბოსნიაში* სამხედრო დაპირისპირებებმა ჰეროინით ვაჭრობაში ლიდერ ქვეყნებს (*უნგრეთი, ირანი, იუგოსლავია*) უკარნახა ნარკოტიკების ტრანსპორტირებისათვის ახალი მარშრუტი აერჩიათ უნგრეთ – *ჩეხეთის და სლოვაკიის – გერმანიის* საზღვრების გავლით. ამის შემდეგ *გერმანიაში*, კერძოდ, 1991 წელს *ჩეხეთ-სლოვაკიის-გერმანიის* საზღვრის გასწვრივ ამოღებულმა ჰეროინმა 670 კგ შეადგინა, მაშინ როცა 1989 წელს ამოღებული იყო მხოლოდ 8,5 კგ. უფრო მეტიც, 1989 წელს მთლიანად გერმანიაში ამოღებული ჰეროინის 5 პროცენტი გერმანიის საბაჟო სამსახურზე მოდიოდა, 1991 წელს ამ პროცენტულმა მაჩვენებელმა 65 შეადგინა. მკვეთრად გაიზარდა ეს მაჩვენებელი 90-იანი წლების მეორე ნახევარში.

კოლუმბიელი, კერძოდ კი *მედელინისა და კალის კარტელის* ბიზნესმენები დასავლეთ ევროპაში ნარკოტიკების ტრანსპორტირებისათვის შეეცადნენ *პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკიის, უნგრეთისა და რუსეთის* ტერიტორიების გამოყენებას. ეს მარშრუტი საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგრამ ევროპაში კოკაინის ფასი ამერიკასთან შედარებით მაღალი იყო, იგი მერყეობდა 50-დან 55 ათას დოლარამდე 1 კგ-ზე, მაშინ როდესაც ამერიკაში 1 კგ კოკაინი 15-20 ათას დოლარად ფასობდა. სწორედ ფასებში განსხვავებამ უბიძგა *კოლუმბიელ ნარკობარონებს*, უფრო მეტი მოგების მიღების მიზნით, კოკაინის გავრცელების ახალი – პოსტკომუნისტური მარშრუტების ათვისება.¹⁴

პოსტკომუნისტურ სამყაროში მოქმედმა ნარკოტიკების გადამტანმა ორგანიზაციებმა აქტიურად დაიწყეს თანამედროვე ტექნიკისა და აპარატურის გამოყენება და ისეთი დანაშაულებრივ კავშირურთიერთობათა დამყარება, როგორც აქვს *კოლუმბიურ კარტელებს, თურქეთის ჰეროინის გამავრცელებელ კლანებს, ჩინელ მოვაჭრეებს თუ ბალკანეთის ტრასაში ჩართულ ნარკოსაქმოსნებს*.¹⁵


§7. ნარკოპოლიტიკა ევროპაში

განსაკუთრებით *საინტერესო* პროცესები განვითარდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში. აქ ლიდერის როლი პოლონეთს ეკუთვნის, სადაც 80-იანი წლების დასაწყისში ამფეტამინის წარმოების რთული ინდუსტრია ჩაისახა.

იმის გამო, რომ *ამფეტამინის სულფატის* საბოლოო შედეგის მისაღებად ქიმიური პროცესების რამდენიმე საფეხურის გაელაა საჭირო, *ამფეტამინის* მიღება რთული ქიმიური პროცესია. კრიმინალურ დაჯგუფებებს ლაბორატორიებში აქვთ უმაღლესი ხარისხის თანამედროვე აღჭურვილობა. ამ ლაბორატორიებში მაღალკვალიფიციური კადრები მუშაობენ, ხელი მიუწვდებათ სახელმწიფო ლაბორატორიებზეც (განსაკუთრებით უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში).

როგორც პოლონეთის ინტერპოლის ოფიციალური პირები აცხადებენ, პოლონეთში *ამფეტამინის სულფატის* მიღების ტექნიკა ჰოლანდიდან შემოვიდა¹⁶ (ჰოლანდიის ამფეტამინის წარმოება უდიდესია მსოფლიო მასშტაბით). ექსპერტები ასკვნიან, რომ *პოლონელმა* ნარკოტიკების გამაერცელებლებმა ამ

სინთეზური ნარკოტიკები



ნივთიერების ექსპორტი უკვე 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. მათმა ფარმაცევტებმა პოლანდიელ მასწავლებელთა მიღწევებიც კი გააუმჯობესეს. ახლა პოლონეთში წარმოებული *ამფეტამინი* უმაღლესი ხარისხისაა და მისი სიწმინდე 97 - 100 პროცენტის ფარგლებში მერყობს. ამფეტამინის პროფილით მომუშავე დანაყოფების ინფორმაციით 1991 წელს დასავლეთ ევროპაში მთლიანად ამოღებული ამფეტამინის 20 პროცენტი პოლონური წარმოებისა იყო. 90-იან წლებში კიდევ უფრო გაიზარდა მისი რაოდენობა და გაფართოვდა ქსელი.

ამ უკანონო ბიზნესში *აქტიურად* ჩაება აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები – *ყოფილი ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და დსთ ქვეყნები*. ასეთი ლაბორატორიები აღმოაჩინეს *სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში, რიგაში, ბაქოში, პერმში, როსტოვში, ტომსკში, ვლადივოსტოკში, მინსკში, დნეპროპეტროვსკში და დსთ სხვა ქალაქებში*. ამ ლაბორატორიებში უმთავრესად ზდება *მეთამფეტამინის ან მელტაონის* დამზადება. ხშირად ქიმიკოსები, უნივერსიტეტების ან კვლევითი ცენტრების მუშაკები სჯობნიან კიდევაც თავიანთ პოლონელ კოლეგებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი მის აზიურ ნაწილში, უკვე დაიწყო *პეროინის* გაწმენდა და სხვადასხვა დონეზე *კონცენტრირებული პროდუქტის* მიღება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცენტრალურ აზიაში *ოპიუმისა და კანაფის უდიდესი მარაგებია*. *ყირგიზეთსა და ყაზახეთში მარიხუანას* 200 ათასი ჰექტარი უჭირავს. ცალკე აღებული, *ყაზახეთის* ჩუის ველური კანაფით დაფარული უზარმაზარი ტერიტორია *მარიხუანას* კოლოსალურ მარაგს შეიცავს და გამოირჩევა ტეტრაჰიდროკანაბინოლის (**THC**) განსაკუთრებით მაღალი შემცველობით. *უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, ყირგიზეთში* ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციებს 3 ათას ჰექტარამდე ტერიტორია უკავია, ხოლო რუსეთის ფედერაციაში – ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტი. *რუსეთის სამხრეთსა და უკრაინაში* მოშენებულია ყაყაჩოს უდიდესი პლანტაციები *მორფინის* შემცველობის დაბალი მაჩვენებლით, ეგრეთ წოდებული „მასლიჩნი“ – ზეთის შემცველი სახეობა.¹⁷

§8. ჩინური აბრეშუმისა და ოპიუმის

ბზა – კომერციის კველი ვეშტორი

განსაკუთრებულ ანალიზს მოითხოვს ის გარემოება, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნები სულ უფრო მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს ამყარებენ მუსულმან მეზობლებთან, განსაკუთრებით მათთან, რომლებიც ევრაზიის კონტინენტზე ერთგვარი ლიდერები არიან ნარკოტიკების წარმოებაში (*თურქეთი, ირანი, პაკისტანი და ავღანეთი*). სავსებით რეალურია, რომ ეს ქვეყნები

ნარკოტიკებში თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებს დსთ ცენტრალური აზიის ქვეყნებს. ამასთანავე, *თურქი* და *ირანელი* ნარკოლიდერებისთვის ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების შედარებით იაფი ნარკოტიკების შეძენა ძალიან სერიოზული და მომგებთან საქმეა. ასევე ანგარიშგასაწევეა ის, რომ *ცენტრალური აზია* ემიჯნება *ოპიუმით* ისეთ ტრადიციულად მდიდარ ქვეყანას, როგორცაა *ჩინეთი*, სადაც ოპიუმის წარმოებასა და გამოყენებას საუკუნოვანი ისტორია აქვს.

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ დღეს ევროპისა და აზიის სივრცე, მისი დამაკავშირებელი რგოლი კავკასია, სადაც ისტორიულად ცენტრალური ადგილი საქართველოს ეკუთვნის.

ამიტომ, როდესაც *ევრაზიის* სივრცეზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ უცხოელ ექსპერტებს და, მათ შორის, ფრანგ მეცნიერს ბატონ მიშელ კუტუზისს, რომელიც ევროპა – აზიის დამაკავშირებელ *კავკასიურ დერეფანს* ისტორიულ კონტექსტში *აბრეშუმისა და ოპიუმის გზას უწოდებს*.¹⁸

ამით ბევრი რამ არის ნათქვამი და პროგნოზირებული...

მსოფლიოს ცნობილი ექსპერტები, მათ შორის ამერიკელი ავტორიტეტები თვლიან, რომ დღეს ნარკოტიკების ყველაზე დიდი ბაზარი ამერიკის შეერთებული შტატებია. სტატისტიკური მონაცემებით, 1985 წელს ზუთმა მილიონმა 12 წელს გადაცილებულმა აშშ მოქალაქემ თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოიხმარა კოკაინი. 1995 წელს ეს რაოდენობა 12,2 მილიონი გახდა. შემდეგ მოდის დასავლეთი ევროპა, სადაც ყოველ წელს ყადაღა ედება კოკაინის უფრო და უფრო მნიშვნელოვან რაოდენობას, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში ნარკოტიკები მოსახლეობის სულ ახალ-ახალ კატეგორიებზე ვრცელდება. და ბოლოს, აზიური სამხრეთ-აღმოსავლეთი, სადაც მოხმარება ასევე სწრაფი ტემპით მატულობს, განსაკუთრებით ჰონკონგსა და იაპონიაში. ამ ახალი ბაზრების გამოჩენა გვაფიქრებინებს, რომ წარმოება კი არ შემცირდება, არამედ შეიძლება მისი ახალი ზონებიც გაჩნდეს იქ, სადაც კოკასა და ყაყაჩოს ექსპერიმენტული კულტურები მხოლოდ და მხოლოდ ამ ბოლო წლებში შეიჭრა (*ფილიპინები, დასავლეთ და სამხრეთ აფრიკა, კერძოდ, ნიგერია, ვანა, ზამბია, სპილოს ძვლის სანაპირო და სხვ.*).

მიუხედავად იმისა, რომ *ამერიკის შეერთებულ შტატებს* ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი გამოცდილება გააჩნია – მოწინავე ტექნოლოგიები, თანამედროვე კანონმდებლობა და უძლიერესი სპეცსამსახურები, *ყოველწლიურად* ამერიკის კონტინენტამდე საშუალოდ 500 ტ სხვადასხვა სახის ნარკოტიკი აღწევს.

*ცნობისათვის: 1992 წელს აშშ მთავრობამ ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად 16 მილიარდი დოლარი გამოყო. ასევე სოლიდურ თანხებს იღებს ნარკოტიკებთან საბრძოლველად მსოფლიოს ყველა ძლიერი სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები.*¹⁹

მაშ, რით შეიძლება აეხსნათ, რომ მიუხედავად მსოფლიოს ქვეყნების მიერ გაწეული კოლოსალური ხარჯებისა, პრობლემის სიმწვავე არ კლებულობს?!

ახსნა ერთია.

ნარკოტიკებით ვაჭრობას სხვა კრიმინალურ ქმედებათაგან განსხვავებით უზარმაზარი მოგება მოაქვს!

აი, ნარკოტიზნისათვის დამახასიათებელი უმთავრესი თვისება.

კოკას და ყაყაჩოს ღირებულება მწარმოებლიდან ამერიკელ თუ ევროპელ მომხმარებლამდე შესაბამისად 700-ჯერ და 2 000-ჯერ მატულობს (შედარებისთვის – ნავთობის ფასისთვის მამრავლი მხოლოდ 40-ის ტოლია).

კოკას 250 კგ ფოთლიდან, რომლის შექმნა ბოლივიელ გლეხს 75 დოლარად შეუძლია 1 კგ კოკაინს აწარმოებენ, ხოლო შემდგომ 2 250 დოლარად იყიდება კოლუმბიაში, ანუ პირველი მამრავლი 30-ს უდრის; კოლუმბიიდან ევროპაში შეტანის საბითუმო ფასის მამრავლი 15-ის ტოლია. ასე რომ, როცა ევროპელი მომხმარებელი თავის წილ 1 გრ კოკაინში 140 დოლარს იხდის, ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქციის ფასი კოკას ფოთლის აღების მომენტიდან 1 866 - ჯერ გადიდებულია.²⁰

ცნობისათვის: აშშ დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ციფრები: პაკისტანში 10 კგ ოპიუმი 385 დოლარი ღირს, მისგან მიღებული 1 კგ ჰეროინი 2 225 დოლარი. პაკისტანელი ვაჭრები 1 კგ ჰეროინს 4-ჯერ ძვირად, ანუ 10 ათას დოლარად ყიდიან შუა აღმოსავლეთის შუამავლებზე; ეს უკანასკნელნი კი ამ ფასს 12-ჯერ ადიდებენ და 1 კგ ჰეროინი ნიუ-იორკში საშუალო საბითუმო ფასით – 112 500 დოლარი ღირს, ხოლო იგივე მომხმარებელი საშუალოდ 1 გრ ჰეროინს 265 დოლარად შეიძენს, ანუ 1 კგ ფასი 265 ათასი დოლარია. ამგვარად, ყაყაჩოს მინდვრებიდან ჰარლემის ქუჩებამდე ფასი 688 - ჯერ იზრდება.


ვფიქრობთ მკითხველისთვის საინტერესო იქნება თუ როგორია ნარკოტიკის ფასების შეფარდება საქართველოსთან მიმართებაში; ჩვენთან 1 გრ ჰეროინისა და კოკაინის ფასი არა თუ ჩამოუვარდება ევროპულ ფასებს, არამედ ასწრებს კიდევ მას და შესაბამისად 200 - 250 და 250 - 300 დოლარი ღირს.

ეკონომიკურად შეზღუდული ქვეყნისათვის ეს ანომალური განტოლებაა, რომლის მარტივი ამონახსნი არ იქნებოდა სწორი. იგი სერიოზული დაფიქრებისა და კვლევის საგანია და ერთობლივად – მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა უნდა გავცეთ პასუხი.

1987 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ნარკოტიკების მსოფლიო ბაზრის ღირებულება 300 მლრდ დოლარად შეაფასა, ხოლო 1990 წელს შედარებით დაბალი ფასი 122 მლრდ დოლარი შემოგვტავაზა. გაერომ ამით ხაზი გაუსვა პრობლემის უკიდურეს სერიოზულობას.²¹

ნარკოტიკების ბრუნვა „მწარმოებლიდან მომხმარებლამდე“ რამდენიმე

ნარკოტიკების ბაზრიდან მიღებული მოგების გადაანაწილება



ეტაპად იყოფა: წარმოება, გადამმუშავება, საზღვრებზე გადატანა, საბითუმო-საცალო გასაღება. ყოველი ეტაპი მოწოდებულია კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად.

ნარკობიზნესის დამახასიათებელი ატრიბუტია მონაწილეთა ურთიერთ-ჩანაცვლების ანუ მთლიანი პროცესის ყველა ეტაპზე საქმიანობაში ერთმანეთის შეცვლის სრული უნარი. აუცილებელია მხოლოდ იმის გათვალისწინება, რომ ბაზარი გაჯერებულია, საქონელი – უზილავი, მოგება კი სერიოზული. აღნიშნულის გამო, ადამიანებში დიდია ცდუნება – თავისი ძალები ნარკობიზნესში გამოსცადონ, უპირველესად, წვრილ საგამსაღებლო დარგში. მეორეს მხრივ, ძლიერ დანაშაულებრივ ორგანიზაციებსაც კი უჭირს ნარკობიზნესის სრულ ბრუნვაზე მონოპოლიის აღება. ამიტომ, არაიშვიათად, კონკურენტთა შორის ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა იმართება ზოლმე. გაცილებით ფართო რეზონანსი აქვს ქუჩის რეალიზატორებს შორის აღმოცენებულ „ატერიტორიულ კონფლიქტებს“ (აშშ ქუჩის ტიპურ მოვაჭრეებად **“Street gangs”** – ქუჩის ბანდის წევრები ითვლებიან).

ექსპერტთა მტკიცებით ჰეროინი ევროპასა და ამერიკაში მკაფიოდ გამოკვეთილი ნარკოტიკული გზებით შეაქვთ; იგი მათი საზღვრებიდან შორს – შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, აზიაში, მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში იწყება.

ოპიუმის ყაყაჩოს ძირითადი პლანტაციები, რომლის გადამუშავების გზითაც პერიონს დებულობენ, ოქროს სამკუთხედისა და ოქროს ნახევარმთვარის სახელწოდებულ ტერიტორიებზე მდებარეობს.

ოქროს სამკუთხედი – ფართობი დაახლოებით 225 000 კვ. კმ – განლაგებულია *ლაოსის ჩრდილო-დასავლეთით, ტაილანდის ოთხ ჩრდილოურ პროვინციასა და ბირმის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.*

ოქროს ნახევარმთვარე კი მოიცავს *ირანის, ავღანეთისა და პაკისტანის* ყაყაჩოს მდიდარ პლანტაციებს. იქაური მოსახლეობის ნაწილი პლანტაციებში საქმიანობითაა დაკავებული.²² (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

ყაყაჩოს პლანტაციებში დაკრეფილი ნედლეული – ოპიუმი საველე ლაბორატორიებში პერიონად გადამუშავდება. ასეთი კონსპირაციული ლაბორატორიები დიდი რაოდენობითაა განლაგებული *პაკისტანის ტრაიბალურ ზონებში*, სადაც ყოველწლიურად 70-80 ტ პერიონი იწარმოება, რომლის ნაწილი უცხოეთში იგზავნება, ნაწილი კი განკუთვნილია ადგილობრივი ერთ მილიონამდე ტოქსიკომანთათვის. ბოლო პერიოდში ნარკოტიკების ლაბორატორიები ამუშავდა *ავღანეთის ჩრდილოეთით და ბანგკოკის რაიონში, საიდანაც მზა პროდუქციის სახით იგზავნება ევროპასა და პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში.*

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ბირმამ 1994 წელს 2 500 ტ ოპიუმი აწარმოა, ხოლო ავღანეთმა 3 000 ტ. ამ უკანასკნელიდან 120–150 ტ პერიონი მიიღეს, რომლის 50–70 ტ ექსპორტზე გავიდა, ხოლო 70–80 ტ განკუთვნილი იყო შიდა მოხმარებისათვის, სადაც ნარკომანთა რიცხვმა 1,5 მილიონს გადააჭარბა.²³

დროთა განმავლობაში არა ერთხელ შეიცვალა ამ ქვეყნებში ნარკოტიკების გადაგზავნის გზები, რაც მათი რეალიზების უფრო მეტად მომგებიანი პირობების ძებნამ განაპირობა. *აღნიშნული მიუთითებს იმაზეც, თუ როგორ დინამიურად რეაგირებს ნარკობიზნესი გარემოებათა შეცვლაზე.*

30-იანი წლებიდან 70-იანი წლების შუამდე პერიონის ამერიკული ბაზრის მომარაგება ძირითადად *კორსიკულ–მარსელურ წრეზე* დამოკიდებული. მასში ჩართული იყო სხვადასხვა კავშირები. კორსიკელების ჩართვა როგორც კოლონიალურ ადმინისტრაციაში, ასევე საზღვაო კომპანიებში მათ საშუალებას აძლევდა ტრანსოკეანური სპეკულაციური გზები განეფითარებინათ, ხოლო დიასპორის ამდაგვარი გაფანტულობა – უსასრულო შესაძლებლობებს იძლეოდა კომერციული კავშირების დასამყარებლად. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ისინი გამეფდნენ *ხმელთაშუა ზღვაზე*, სადაც შექმნილი იყო მათი ფლოტილიები. ბეირუთში ორგანიზაცია შემდეგნაირად მუშაობდა: თურქული წარმოების ოპიუმი გაედინებოდა სირიის პრიმიტიულ ლაბორატორიებსა და ლიბანში, რომელსაც ადგილობრივი სპეკულანტების

მითითებით „მორფინ-ბაზად“ გარდაქმნიდნენ. ბეირუთის პორტიდან იგი დაფასობული ნავეებით, სატვირთო გემით ან თვითმფრინავით მარსელამდე იგზავნებოდა; იქ ქსელის „ქიმიკოსები“ „მორფინ-ბაზას“ № 4 მორფინად გარდაქმნიდნენ, კონდიციის შემდეგ ნარკოტიკი ამერიკის შეერთებული შტატებში გაედინებოდა. 1964 წელს ნარკოტიკებზე კონტროლის ამერიკულმა ბიურომ მონრეალი – ტორონტოსთან ერთად ჩრდილო ამერიკაში კორსიკელების ცენტრალური ოპერაციების ბაზად მიიჩნია. ისინი განსაკუთრებით დაინტერესა ყოფილმა მეზღვაურებმა – ძმებმა ვენტურებმა. ჟანი, რომელიც 1954 წლიდან კანადაში იყო დაფუძნებული, 1967 წლამდე ჩრდილო ამერიკაში „პატრის რიკარდოს“ საზოგადოების ოფიციალურ იმპორტიორ-დისტრიბუტორად მოგვევლინა; დომინიკე, ზედმეტსახელად „ნიკი“ მარსელის მერის გასტონ დეფტერის პროტექტე იყო.

1964 წლის 8 ოქტომბერს ორი წლის თვალთვალის შემდეგ ფრანგულმა პოლიციამ დააკავა კორსიკელი ჯო ცეზარი თავის ერთ-ერთ ლაბორატორიაში, ომანთან ახლოს და ჩამოართვა 100 კგ 98 პროცენტისანი საექსპედიციოდ გამზადებულ სუფთა ჰეროინი. ეს იყო პირველი გაფრთხილება კორსიკული სახლის ხანგრძლივი დაცემის წინ.

მეორე მოქმედება გათამაშდა 7 წლის მოგვიანებით: 1971 წლის 25 აგვისტოს მერიდიონალ ლა ფრანსში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ნარკოტიკებთან ბრძოლის ამერიკული პოლიციის შეფი ჯონ გუზაკი იუწყებოდა, რომ ის მიზნად ისახავდა მარსელის რეგიონში მდებარე ჰეროინის გადამამუშავებელი ათამდე ლაბორატორიის დანგრევას – ორი თვის შემდეგ 106 კგ ჰეროინი დააკავეს შარლ დერუაში. 1972 წლის თებერვალში ფრანგულმა საბაჟომ შეამოწმა გემი „კაპრისი“ და ამოიღო 425 კგ დამალული ჰეროინი, იმ დროისათვის ფენომენალური ნადავლი, რითაც ერთი თვით შეიძლებოდა ორი მესამედი ამერიკელი ტოქსიკომანის მომარაგება. ორი თვის შემდეგ ციხიდან ახლადგამოსული ჯო ცეზარი ისევ ხელს ყოფს რეტორტაში. ეს საბოლოო გამოდგა: 1970 წლის ახალი კანონის მიხედვით 20 წლის პატიმრობით მსჯავრდებულმა, მოურჯულებელმა ქიმიკოსმა საკანში თავი მოიკლა.

გატარებული რეპრესიების შემდგომ ფრანგულმა მარშრუტმა უპირატესობა თანდათან იტალიურს დაუთმო, სადაც ნარკოტიკებს მაფია და კამორა აკონტროლებდა. მაფიოზები, რომლებიც მოქმედებდნენ პრინციპით – უკეთესია ყველა კვერცხი ერთ კალათაში არ ჩააწყო – მრავალრიცხოვან კურიერთა ქსელს იყენებდნენ, რომლის ჩამოყალიბება მეტად საინტერესო პირობებში მიმდინარეობდა.

1900 - 1914 წლებში სიცილიამ ერთ მილიონი მაცხოვრებელი დაკარგა – 800 ათასმა ახალ სამყაროს შეაფარა თავი.

ოცდაათიანი წლების ბოლოს ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი იტალიურ-

ამერიკელი წარმოშობის სიცილიელები ჯო ბონანო და სალვატორე ლუკიანო, შემდგომში ლაკი ლუჩიანოდ წოდებული, რომელთაც 1938 წლიდან აქტიურად დაიწყეს პერიონით ვაჭრობა, რომლის ოდენობა 40 - იანი წლებისთვის 1 მლრდ დოლარს გაუტოლდა.

ომისშემდგომ 1946 წელს ლაკი ლუჩიანო ამერიკიდან ნეაპოლში ჩავიდა. მას სურდა იტალია პერიონის სპეკულაციის დერძი გაეზადა და ფართო დანაშაულებრივი კავშირები დაამყარა ხმელთაშუა ზღვაში მარსელისა და ტანჯერის კონტრაბანდის ოსტატებთან. იმავე წლებში იტალიაში დაბრუნდნენ სხვა გაძევებული ამერიკელებიც.

ნეაპოლში ლაკი ლუჩიანომ ომისწინა პერიოდში არსებული ქსელების ბაზაზე ხელახალი ორგანიზაცია გაუკეთა იტალიურ-ამერიკულ - სიცილიურ ოჯახებს და განგსტერებს შორის კავშირებს. მან ჩამოაყალიბა პერიონის საერთაშორისო სპეკულაციის ქსელი. 1947 წელს მეიერ ლანსკიმ იგი კუბაში წარადგინა, სადაც ოფიციალური ხელშეწყობა იყიდა და ორგანიზება გაუკეთა პერიონის გზავნილების ტრანზიტს, რომელიც ევროპიდან შემოდოდა და ხელახლა ფლორიდას და ამერიკული ბაზრისაკენ იგზავნებოდა. მაფიოზ სანტო ტრაფიკანტოს და მის ვაჟს, კუბელი დიქტატორის ბატისტას გულითად მეგობრებს, დავალებული ჰქონდათ პროტექციებისა და ლოგისტიკის (მომარაგებისა და გადაზიდვის ხელმძღვანელობის) ხელში აღება. ლაკი ლუჩიანომ „ფულის გათეთრება“ მეიერ ლანსკის მიანდო, რაც ამ უკანასკნელიმა უდიდესი წარმატებით განახორციელა. ასე ჩაისახა ამერიკის კონტინენტზე პერიონის გავრცელების ახალი მარშრუტი, რომელმაც შემდგომში უდიდესი თავსატეხი გაუჩინა მსოფლიოსა და პირველ რიგში, ამერიკის სპეცსამსახურებს.²⁴

მოსახლეობის არაკანონიერი ემიგრაცია ჩინეთიდან, აზიის - ამჟამად უკვე აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ სივრცის ქვეყნებიდან მჭიდროდ უკავშირდება ევროპასა და ამერიკაში პერიონისა და სხვა სახის ნარკოტიკების შეტანას, რამაც ამ პროცესებში სხვადასხვა დანაშაულებრივი კლანების ჩართვა და ჰონკონგის ტრიადაში მათი ინტეგრაცია გამოიწვია. ამიტომაც უკანასკნელ წლებში ნიუ-იორკის, ჩიკაგოსა და აშშ სხვა მსხვილი ქალაქების პერიონის ქუჩის ვაჭრები ძირითადად ჩინური კვარტლების მცხოვრებნი არიან, რომელთაც სხვადასხვა დანაშაულებრივი ჯგუფები შექმნეს (ტამულის ვეფხვები, მწვანე დრაკონები და სხვ.). ამერიკის ნარკობიზნესთან ბრძოლის აღმინისტრაციის თანამშრომელთა აზრით ყვეთელ დამნაშავეთა კლანი დანაშაულობათა რიცხვითი მაჩვენებლით და სისასტიკით ბევრად აჭარბებს ტრადიციულ კოზა ნოსტრას. ყოველივე ამის შესახებ სიღრმისეული საუბარი გვექნება წიგნის მეხუთე ნაწილში „ნარკოტიკები და მაფია“.

§9. ისტორიული ინტომსიკაცია

ნარკოტიკების წარმოებას და გავრცელებას დიდი წინარე ისტორიული წარსული გააჩნია.

VII საუკუნეში არაბული სამყაროს განვითარებამ ოპიუმის კომერციის შორს გადასროლა გამოიწვია. არაბმა დამპყრობლებმა *ინფორმაცია ოპიუმის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენების შესახებ ცენტრალურ აზიაში*, ინდოეთის სამხრეთამდე და ჩინეთამდე გაავრცელეს. თავის მხრივ, ჩინელმა ვაჭრებმა კარგად ისარგებლეს ცენტრალურ აზიაში არაბების მიერ დამყარებული სტაბილურობით. *სწორედ იმ დროიდან გადაიქცა ჩინური აბრეშუმისა და ოპიუმის გზა აღმოსავლეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს შორის კომერციის ვექტორად.*²⁵

XV საუკუნეში აღმირალმა აღფონს დე ალბუკერკმა წერილით მიმართა პორტუგალიის მეფეს მანუელ პირველს. ოფიცერმა მეფეს *ოპიუმის ჩინური ბაზრის მნიშვნელობა აუხსნა და თავის სუვერენს ჩინეთში კომერციის მონაპოვოზება შესთავაზა. პორტუგალიური გემები დასატვირთად ისორში ან ინდოეთში უნდა ჩასულიყვნენ, სადაც ყაყაჩოს კულტურა კარგად იყო განვითარებული.*

1796-1800 წლებში შავი ბაზრის ფასების წყალობით მაქსიმუმამდე ავიდა ევროპელი ვაჭრების მოგება, რომელიც *ოპიუმზე* სწრაფად გაიზარდა: 1840 წელს 1,5 მლნ ლივრიდან 7 მლნ ლივრამდე. 1896 წელს ჩინეთიდან იმპორტირებული იყო 12 ათასი ტონა ოპიუმი, ხოლო 1905 წელს მან 22 ათას ტონას მიაღწია.

ოპიუმის დიდი მასშტაბებით წარმოებამ მისი მოხმარების საოცარი გაზრდა გამოიწვია. 1870 წლიდან 1900 წლამდე *ჩინეთის* 430 მილიონიანი მოსახლეობის 5 – 10 პროცენტი ოპიომანები იყვნენ. ამრიგად, სახეზე იყო 50 მილიონამდე ნარკომანი.

ეჭვგარეშეა, რომ საქმე ეხება ისტორიის უდიდეს კოლექტიურ ინტოქსიკაციას.²⁶

XIX საუკუნეში, კოლონიალური პერიოდის აპოგეაში ოპიუმის კომერცია საერთაშორისო ეკონომიკის უმთავრესი მამოძრავებელი ღერძი გახდა.

მრავალმა წელმა განვლო, სანამ საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებმა *ერთობლივ* ევექტურ ღონისძიებათა გატარება დაიწყეს. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ გამკაცრებული რეპრესიული ღონისძიებების ფონზე მუდმივად იხვეწებოდა ნარკოკარტელების მოქმედების ფორმები და მეთოდები, ორგანიზაციული სტრუქტურა.


საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მათი მომხმარებელ ქვეყანაში გატანაა. საბაჟოზე გასვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს

საქმის სისრულეში მოყვანას. კონცენტრირებული სუფთა ნარკოტიკი გაცილებით ნაკლებს იწონის და პატარა ადგილს იკავებს, რის გამოც მისი გადაადგილება გაცილებით ადვილია.


გადასატანი ჰეროინი 90 პროცენტთან სისუფთავისაა. პროცენტულად ქუჩაში გაყიდული ნარკოტიკის ულუფის შემადგენლობა სისუფთავის მხრივ 3–5-დან 10–15 პროცენტამდე მერყეობს. ყველაზე სუფთა ქუჩის ჰეროინი 40 პროცენტს აღწევს.

საჭირო კონცენტრაციის ნარკოტიკის მისაღებად მისმა საბოლოო გამსაღებლებმა სპეციალური პატარა საწარმოო ლაბორატორიები გახსნეს. საწარმოს ადგილსამყოფელი მკაცრადაა გასაიდუმლოებული, იგი არა თუ პოლიციამ, კონკურენტებმაც არ იციან.

სამუშაოს, ჩვეულებრივ, ასრულებენ სრულიად შიშველი ქალები – თუ გამოერიცხავთ ბინტის ხილაბანდს სახეზე. ამ გზით სახელოსნოს პატრონი თავიდან იცილებს ზედმეტ გასაყალს, პროდუქციის დანაკარგს. სახელოსნო 10–15 მუშით შემოიფარგლება და ერთ ღამეში რამდენიმე ათეული კილოგრამი ნარკოტიკის



საგვარეულო ცენტრების და კომპლექსების ვიკტორიის მდებარეობის რეკონსტრუქცია, XVI-XIX სს.



<p>● საგვარეულო ცენტრები ქსანთისა და პორტუგალიაში 1590წ.</p> <p>● ჩვეილი სეგურეო ცენტრები პორტუგალიაში XVII ს.</p> <p>● ჩვეილი სეგურეო ცენტრები ქსანთიში XVII ს.</p>	<p>○ ჩანური კომერციის და პორტების</p> <p>● პოლანდიელია და სეგურეო ცენტრები XVII ს.</p> <p>● ინგლისური პორტები, 1830 წ.</p>	<p>→ ქსანური და პორტუგალიური ძირითადი სეგურეო ცენტრები 1590 წ.</p> <p>→ პოლანდიელია მიერ გახსნილი სეგურეო ცენტრები XVII ს.</p> <p>→ ძირითადი კომერციის ცენტრები ინგლისური პორტებისა, 1830 წ.</p>
--	--	--

თავი I

გადამუშავებას ახდენს, რისთვისაც თითოეული თანამშრომელი გასამრჯელოდ 2 ათას დოლარს იღებს. გადამუშავებული *ჭერიონი* კი შემდგომში პატარა პარტიებად იყიდება.

არ არის გამორიცხული, რომ სპეკულანტებმა, თავის მხრივ, მასალა კვლავ გადაამუშავებინონ და ისე გაყიდონ (*გადამუშავებისას იგი ზავდება შემავსებლებით – მშრალი რძითა და შაქრის პუდრით*).

ქუჩის ვაჭრობაც წინასწარმომზადებული სქემით ხდება: *დისტრიბუტორი* ნარკოტიკს პატარა პარტიებად აფასობს, მაგრამ უშუალო კლიენტთან მას საქმე არა აქვს. იგი ხელმძღვანელობს თავისი ქუჩის *წერილ გადამყიდვლებს – კურიერებს*, რომლებიც საქონელს მომხმარებელს გადასცემენ და ამოგებული ფული თავიანთ ხელმძღვანელთან მიაქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს სფერო საკმაოდ აქტიურ გავლენას ახდენს ნარკობიზნესზე. *სწორედ ამ დონეზე ხდება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ახალგაზრდების ჩართვა* და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე წყდება მათი შემდგომი კარიერის ბედიც.

ნარკოტიკებს ყოფიან არა მხოლოდ ნარკომანები, არამედ ის ადამიანებიც, რომლებსაც უბრალოდ ფული სჭირდებათ. ამიტომ ნარკოსაქმოსნები *საკადრო დეფიციტს* არასოდეს განიცდიან, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მცირე ნარკობიზნესის მწარმოებლებს აქვთ პოლიციასთან შეხება და უხდებათ მათგან თავის დაცვა.

დაუპრუნდეთ კვლავ მთავარ თემას.

მსოფლიო არა მარტო ოპიუმის და მისგან წარმოებული მორფინისა და ჰერიონის პრობლემების წინაშე დადგა, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა კანაფისებრთა (*კანაბისი, მარიხუანას*) პროდუქციის გავრცელებაც. ერთიცა და მეორეც უაღრესად საშიში იყო ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მაგრამ არაიშვიათად ავიწყდებოდათ, რომ *ქიმიურად გარდაქმნილი ნარკოტიკები* პირველად სოფლის მეურნეობის ნედლეულს წარმოადგენდნენ და რომ *აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის* გლეხობის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი იყო.

დღეს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი ნარკოტიკი *სწორედ კანაფია*. მისი სხვადასხვა სახეობა კულტივირებულია მსოფლიოს 120 ქვესანაში. ყველაზე დიდი მომხმარებელი ამერიკის შეერთებული შტატებია. 1993 წლის მონაცემებით მარიხუანა *წელიწადში ერთხელ* 17,4 მლნ ამერიკელს აქვს გასინჯული, 5 მილიონზე მეტს *კვირაში ერთხელ* და 3 მილიონამდე კი ყოველდღე. მოთხოვნის თითქმის 50 პროცენტი კმაყოფილდება ადგილობრივი პროდუქციით. კანაფის ადგილობრივი ნაირსახეობა *სიმსემელა*, რომელიც ტეტრაჰიდროკანაბინოლის (THC) დიდი შემცველობით გამოირჩევა, მოჰყავთ: *ტენესიში, ჰავაიზე, ჯორჯიაში, კალიფორნიაში*. მისი *სასათბურე* წარმოება, რომელშიც *წელიწადში* 3 მოსავალი მოდის, გავრცელებულია *ფლორიდაში*,

ორეგონში, ვაშინგტონში, კალიფორნიასა და ალიასკაზე.²⁷

ევროპაში მარიხუანა ძირითადად კოლუმბიიდან, ინდოეთიდან და აფრიკიდან შეაქვთ (ნიგერია, ვანა, სპილოს ძვლის სანაპირო, ზამბია, უკიდურესი სამხრეთ აფრიკა). ამ ბოლო დროს ხსენებულ კონტინენტზე კულტურები დღემდე გაუნარარი ტემპებით მრავლდება, განსაკუთრებით კი დასავლეთ აფრიკაში, სადაც მცენარე მის უმეტეს ნაწილში მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა.²⁸

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰოლანდია, სადაც 80-იანი წლების მიწურულს აგრონომიული ტექნიკის განვითარებამ უმოკლეს დროში უზარმაზარი აქსელერაცია განიცადა. მან იხეირა ამერიკელთა შემოსვლით, რომლებიც 1982 წლიდან ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაციის DEA-ს მიერ წარმოებულ მკაცრ რესპრესიებს გამოექცნენ, სადაც 30 პირზე მეტი სამუდამო პატიმრობას იხდიდა დიდი მასშტაბებით მცენარის მოყვანის მიზეზით. 1994 წლის აგვისტოდან ფედერალურმა კანონებმა სამუდამო პატიმრობა დააწესა 60 ათას ძირზე მეტი მცენარის მოშენებისათვის.

90-იანი წლების დასაწყისში ნიდერლანდურ პროდუქციაზე მოთხოვნილება წელიწადში 40 ტ შეადგენდა, რაც მას ნიდერლანდების პოლიციის კვლევის ცენტრის (CRI) მონაცემებით იმავე ადგილზე აყენებდა, რომელზეც პამიდვრის ეროვნული წარმოება იყო.

მარიხუანას ადგილობრივი სახეობა უკიდურესად ძლიერია, რადგან იგი საშუალოდ THC-ს 27 პროცენტს შეიცავს. საკმაოდ მომგებიანი ინდუსტრია დღეს გერმანიისაკენ იწყებს სწრაფვას, ბებერი კონტინენტის ბაზარზე კანაფის ფისი ბატონობს. მსოფლიოში გამომწეურებული ჰაშიშის სულ ცოტა 35 პროცენტი 1993 წელს ევროპაში იქნა აღმოჩენილი, რომლის 60 პროცენტი – მაროკოდან შემოდოდა, სადაც 70 ათასი ჰექტარი კულტურა წელიწადში 2 ათას ტონამდე ჰაშიშის წარმოების საშუალებას იძლევა.

ოპიუმისა და ნარკოტიკული კანაფის უდიდესი მწარმოებელია მექსიკაც, რომელიც ლათინურ ამერიკაში ნარკოტიკების ინდუსტრიისა და ექსპორტის უძველესი კერაა. იქ გლეხები მის მოშენებას 1880 წლიდან მისდევენ და მარიხუანას არქმევენ. შემდგომში იგი ისე პოპულარული გახდა, რომ 1911 წელს ცნობილი რევოლუციური სიმღერის კუკარაჩას ავტორები მას ერთ კუპლეტსაც კი უთმობენ.

საუკუნის დასაწყისიდან მექსიკა მარიხუანას ერთ-ერთი ძირითადი მომწოდებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრისათვის. 1973-74 წლებში მექსიკურმა ოპიუმმა და ჰეროინმა უდიდესი ბუმი განიცადა, რაც ამერიკის ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაციის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გატარებული დიდი რეპრესიული პოლიტიკის შედეგია. 1972 წელს მათმა წილმა ამერიკულ ბაზარზე 39 პროცენტს გადააჭარბა, 1975 წელს კი – 90 პროცენტს.

ნარკოტიკების პრობლემა დღეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრშია. ეს ქვეყანა აწარმოებს ამერიკაში მოხმარებული მარიხუანას დაახლოებით ნახევარს. ამერიკული წყაროებით 1993 წელს მარიხუანა 21 190 ჰექტარზე იყო კულტივირებული, რომლიდანაც 6 ათასი ტ მარიხუანა აწარმოეს, უმთავრესად სინალოას, სონორას, შიკაპუას, დურანგის, ნაიარიტის, ჟალისკოს, მიკოაქანის, გერეროს, ოაქსაკას, განაუიატოს და ვერაკრუზის რეგიონებში. 1993 წელს ყაყაჩო ისევ ითესებოდა 3 960 ჰექტარზე, სადაც 50 ტ ოპიუმი მოვიდა და 5 ტ ჰეროინი მიიღეს; იგი შემდგომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიტანეს, ამით მექსიკამ ამერიკული ბაზრის მოთხოვნილების 8 პროცენტი დააკმაყოფილა. დადგენილია, რომ 1990 წლის დასაწყისიდან მარიხუანას და ყაყაჩოს კულტურების პროგრესული გადაადგილება სამხრეთის ღარიბსა და პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნებისაკენ მოხდა. ჩრდილოეთი კი უფრო მეტად დასპეციალიზდა სინთეზური ნარკოტიკების (მეტამფეტამინის) წარმოებაში.

მექსიკური ქსელები წარმატებით გამოიყენეს კოკაინის ლათინო-ამერიკულმა კარტელებმა. გარდა ამისა, 1994 წლის პირველ იანვარს მექსიკის, აშშ და კანადას შორის საბაჟო კავშირის ტრაქტატის ძალაში შესვლამ გამოიწვია კონტრაბანდის მასშტაბების გაზრდა.

მარიხუანას გავრცელების წინააღმდეგ უდიდესი ღონისძიებები განხორციელდა 90-იანი წლების მეორე ნახევარში. 1995 წლის ნოემბერში დიდი სამხედრო ოპერაცია ჩატარდა მარიხუანას კულტურების გასანადგურებლად ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში სიერა დე ჩილიკოტეში – შიკაპუას რეგიონში გაანადგურეს 9 ათასი ტ მარიხუანა, ე.ი. ჩრდილო ამერიკული წლიური მოხმარების ეკვივალენტი. ამ ღონისძიების დროს დაიღუპა ამერიკის შეერთებული შტატების ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაციის აგენტი და ერთი მექსიკელი პოლიციელი.

განსაკუთრებით საინტერესო ფენომენია სამხრეთ ამერიკაში კოკას ბუჩქიდან ნარკოტიკული ნივთიერების კოკაინის წარმოება, რომელმაც შემდგომში მსოფლიოს ისეთი თავსატეხი გაუჩინა როგორც სამხრეთ ამერიკული – კოლუმბიური კარტელებია.²⁹

მისი მოხმარება სამხრეთ ამერიკული ტომების მიერ 3 ათასი წლის წინ დაიწყო. უძველესი კვალი მიკვლეულია ვალეიედას დაბლობზე, ეკვადორსა და პერუში, რომელიც შესაბამისად ჩვ.წ. 2500-1500 წლებით თარიღდება. ანდების უმაღლეს პლატოებზე საგნებმა და პატარა ფიგურებმა კოკას ხმარების შესახებ მინიშნებანი დაგვიტოვა – ბოლივიაში IX საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და კოლუმბიაში I ათასწლეულში ჩვენი წელთაღრიცხვით.³⁰

ხუთი ათასი წლიდან ინდიელთა მიერ კოკას მოხმარება არ შეცვლილა. სიტყვა ლეჭვა თარგმნილია ლექსიკურად ძალიან მიახლოებული სიტყვიდან კეჩუ

აეულოკო, რაც მისი ხმარების ზერზს ნიშნავს. ინდიელებს პატარა ქისიდან ამოაქეთ შუსპა – რამდენიმე გამხმარი ფოთოლი, იღებენ პირში და ფშენიან ისე, რომ არ ყლაპავენ; შემდეგ *კებჩენ კალციარის ცომის პატარა ნაჭერს* და აგრძელებენ ღეჭვას, სანამ პატარა ბურთულა არ წარმოიქმნება. ბურთულას მოიგდებენ კბილებსა და ლოყებს შუა და ღეჭენ ძალიან ნელა ისე, რომ თანდათან, დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში ფოთლებიდან წვენი გამოიყოფოს. ამ წენს *ყოველთვის თან ახლავს სოციალური და რიტუალური ფუნქციები*, რაც *კოკას ფოთოლს* არა მხოლოდ ანდური მოსახლეობის კულტურაში, არამედ ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ სპეციფიკაში ჩართავს. კერძოდ, ის აყალიბებს მამაპაპისეული გაცვლაგამოცვლის მომწესრიგებელ ინსტრუმენტს დაბალი ხეობების აღმოსავლეთის ფერდობებისა (სადაც ის მოჰყავთ) და ალტაილანის ცივ მიწებზე, სადაც კარტოფილი იზრდება.³¹

XIX საუკუნე დასავლეთის მოგზაურთა და მეცნიერთა მიერ *კოკას ფოთლის* თვისებების აღმოჩენის ხანაა.

აი, რა ინფორმაციას გვაწვდიან დასავლეთის მეცნიერები და მოგზაურები კოკას შესახებ.

გერმანელი ნატურალისტი ედუარდ ჰოპინგი, რომელმაც *პერუ* და *ჩილე* 1827 - 32 წლებში შემოიარა, *შვედი* ნატურალისტი ჩუდი, რომელმაც *პერუში* 1838 წელს იმოგზაურა, მარტიუსი, რომელიც 1840 წელს აღწერს კოკას ხმარების წესს მთელს დასავლეთ ბრაზილიაში და *ინგლისელი* მეცნიერი რიჩარდ პრუსი აღნიშნავენ, რომ *ინდიელები ფიზიკური სიძლიერის აღდგენის მიზნით მუდმივად ღეჭდნენ კოკას განსაზღვრულ ნაირსახეობას*.³²


კოკას ინდუსტრიული წარმოება კუნძულ იავაზე მიმდინარე საუკუნის დასაწყისში დაიწყო, რომლის მთავარი მამოძრავებელი ღერძი ჰოლანდიელები იყვნენ. 1912 და 1919 წლებში იავას წელიწადში გაჰქონდა 1000 და 1500 ტ კოკა, ხოლო 1920 წელს *კოკას ფოთლის* მთლიანმა პროდუქციამ იავაზე 1700 ტ გადააჭარბა.³³

1926 წელს ჰოლანდია იავას კოკას პირველი იმპორტიორი გახდა 600 ტონით, მას მოჰყვა იაპონია 150 ტონით, რომელმაც, თავის მხრივ, წალეკა ჩინეთი და მთელი აზიური ბაზარი, მანჯურია, რუსეთი. მათ შემდეგ მოდიოდა გერმანია – 30 ტონით, ბოლოს საფრანგეთი 18 ტონით და ეგვიპტე 6 ტონით.

60-იანი წლების ბოლოს მთელი ძალით ამუშავდა სამხრეთ ამერიკის *ნარკოკარტელები*, კერძოდ, კოლუმბიაში „მედელინისა“ და „კალის კარტელები“. მათ სათავეში იყვნენ ცნობილი ნარკობარონები პაბლო ესკობარი, როდრიგეს გაჩა (მეტსახელად *მექსიკელი*) და ფაბიო კასტანიო. „კალის კარტელს“ კი ხელმძღვანელობენ ძმები ორეხუელები – ხოსე სანტა კრუს *ლონდონი* და ჟილბერტო როდრიგეს (მეტსახელად „მოცურავე“).³⁴

კარტელები ხელს უწყობდნენ გლეხებს ანდების აღმოსავლეთ

კოკაინის და თანატვიპის ფარმაცევტული
 ბუმი მკროსაში და მისი ვექტორები ამერიკისაჲს (1870-1933)



- ყაიასის შწარბოვრული ტექარები
- საფრე
- პეროანის უკანონო ბრუნვა
- კოკაინის ფარმაცევტული ინდუსტრია
- ობულები სატელეკაციის ვექტორები
- ობულები ვაჭრობის მთავარი პორტები
- ობულებს ფარმაცევტული ინდუსტრია (პეროანის და მორფინის)
- პეროანთ სატელეკაციის ვექტორები
- რადონილების (ჭარბანთი) რადონობა ტექანები
- კოკაინის და ობულებს ფარმაცევტული ინდუსტრია

კალთაზე მდებარე უალაგას ხეობაში *კოკას ბუჩქის მოშენებაში*. გლეხები *ნარკოვაჭრებს ჩაბარდნენ!* მწვანე ოქროს მასივები კოლოსალური სისწრაფით გაიზარდა – 1972 წელს არსებული 15 ათასი ჰექტარიდან 1979 წელს 20 ათას ჰექტარს მიაღწია. იმავე პერიოდში კაკაოს პლანტაციები 780 ჰექტარიდან 400 ჰექტარამდე დაეცა, ყავისა კი 5 910 და 3 500 - მდე.

1990 წელს ამ ტერიტორიის 20 პროცენტზე, სადაც 1, 2 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, ორმოცამდე სავაჭრო ორგანიზაცია არსებობდა. *ამა-ზონის* 13 დიდ ხეობაში 200-მდე *საიდუმლო* ასაფრენი ბილიკი ემსახურებოდა წლიურად 500 – 600 ტ *კოკაინის* ნედლეულის გატანას. მოკლედ, ნარკოკარტელები წარმოადგენდა „სახელმწიფოს სახელმწიფოში“ – საკუთარი *ინფრასტრუქტურით*, *საბანკო ქსელებით*, *ტრანსპორტის არხებით* და ა.შ. კარტელების შემოსავალი ათეულობით მილიარდ დოლარს შეადგენდა. ისინი უკვე ზეგავლენას ახდენდნენ მთელი რეგიონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მათ დაიპყრეს არა მარტო *ამერიკული*, არამედ მთლიანად *ევროპული ბაზარიც*. ასე მაგალითად, 1989 წელს *ლოს-ანჯელესიდან* სულ რაღაც 40 კილომეტრის დაშორებით დააკავეს მსოფლიოში რეკორდული ტვირთი – 20 ტ *კოკაინი*, 1993 წელს კი *ევროპაში* ამოიღეს 19,7 ტ *კოკაინი*.

იბადება სავსებით ლოგიკური შეკითხვა – *მაშინ, როდესაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წლიური შემოსავალი 300 მილიარდი დოლარია, ხოლო მის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები ფინანსდება სულ დიდი 20 მილიარდი დოლარის ფარგლებში, როგორ უნდა ვებრძოლოთ მას ეფექტურად ჩვენს დღევანდელ პირობებში?*

გამოსავალი მხოლოდ ერთია, მსოფლიოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ებრძოლმა სამსახურებმა იმოქმედონ გაერთიანებული ძალებითა და ერთიანი სტრატეგიით.

ასეთი ერთობლივი ოპერაციის საილუსტრაციოდ გამოდგება ხოც გონსალეს როდრიგეს გაჩას – „*მედელინის კარტელის*“ ერთ-ერთი ლიდერის საქმე.

80 - იან წლებში გაჩას ხელქვეითებმა კოკაინის ვაჭრობით ასეულობით მილიონი დოლარი მოიხვეჭეს. თავიანთ საქმიანობაში ისინი ზშირად მიდიოდნენ *მკვლევრობებსა* და *კორუფციასზე*. მსხვერპლთა შორის იყვნენ კოლუმბიის ოფიციალური პირები, მოსამართლეები, ჟურნალისტები და პრეზიდენტობის კანდიდატი ლუის კარლოს გელენიცი კი.

გაჩას წინააღმდეგ დამუშავდა ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რომლის მიზანი იყო გაჩას ფინანსური იმპერიის შერყევა. ოპერაცია მოიცავდა *ლუქსემბურგის გაერთიანებულ სამეფოს*, *შვეიცარიას*, *ავსტრიას*, *აშშ*, *კონკონგს*, *ჰანამასა* და *კოლუმბიას*.

გაჩა უკვე აღარ ენდობოდა თავის ხალხს და გაუჩნდა ფულის განაღდების

დასკვნა

პრობლემატ. ამიტომ იგი იძულებული შეიქნა გამოსულიყო იატაკქვეშეთიდან და პირადად გადაეტანა 600 კგ ნარკოტიკი.

1989 წლის დეკემბერში ძვირადღირებული ტვირთის საცავის მიმდებარე ტერიტორიაზე შეტაკებისას ცეცხლსასროლი იარაღით მიღებული ჭრილობის შედეგად დაიღუპნენ გაჩა და მისი ვაჟი.³⁵

საერთოდ, ზემოდასახელებულ მ ქვეყანაში სულ ამოიღეს გაჩას კუთვნილი 100 მლნ დოლარი. განხორციელებულ ოპერაციაში ერთიანი სტრატეგიული გეგმით მონაწილეობდა რვავე ქვეყნის სამართალდამცავები და მათმა ერთობლივმა მოქმედებამ გაამართლა კიდევც.

მკითხველმა გკსურს იცოდეს, რომ ასეთი ოპერაციები მოუშადადებლად არ ხორციელდება. მათ წინ უძღვის ხანგრძლივი მუშაობა – კონკრეტული მიზნებით იქმნება საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის სამოქმედო გეგმა და გამოიკვეთება ოპერაციის შესრულების შესაძლო ვარიანტები.

ამდგვარი ოპერაციების ორგანიზება და შესრულება შეუძლია მხოლოდ სპეციალიზებულ, გამოცდილ, პროფესიონალი კადრებითა და ტექნიკით აღჭურვილ სამსახურებს.

დღესდღეობით ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურებს შორის უპირველესია ამერიკის შეერთებული შტატების ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაციით – **DEA**, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც ჩატარდა ზემოაღნიშნული ოპერაცია.

წიგნის მომდევნო ნაწილში საუბარი გვექნება **DEA**-ს სახელოვან ისტორიაზე, მოწინავე გამოცდილებასა და უნიკალურ ინიციატივებზე როგორც საკანონმდებლო სფეროში, ისე სპეციალურ ოპერატიულ ღონისძიებათა ჩატარების ხერხებსა და მეთოდოლოგიაში.

ამ გამოცდილებამ ასახვა ჰპოვა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობით საქმიანობაში და სპეცსამსახურების მუშაობაში.

ვფიქრობთ, იგი ჩვენს ქვეყანაშიც უნდა დაინერგოს.

დასკვნა

მსოფლიოს სამართალდამცავები ვერ გადაწყვეტენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემას, თუ ნარკოტიკებით მდიდარ ქვეყნებში არ გააქტიურდა მწყობრი, თანმიმდევრული დიპლომატიური ინიციატივები, ეკონომიკური ღონისძიებანი, ერთგვარი მატერიალური სტიმულირება ნარკოტიკების მოშენებით დაკავებული

გლახებისათვის. აუცილებელია ნარკოტიკული მცენარეების ალტერნატიული კულტურებით ჩანაცვლების პროგრამების განხორციელება.

ასევე აუცილებელია გამოინახოს პრობლემისადმი ახლებურად მიდგომის გზები. განსაკუთრებით ქიმიურ ნივთიერებათა კონტროლის სფეროში.

სამართალდამცავთა მუშაობა არაეფექტური იქნება, თუ იგი მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრებში წარიმართება. არსებობს გამოთქმა „ნარკობიზნესს საზღვრები არა აქვს“, ამიტომ ნარკოკრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებშიც ეს ორგანიზაციები მოქმედებს. ისეთი პოლიტიკა, როდესაც ერთი ქვეყანა ამ სფეროში თავისი საქმიანობით შელახავს სხვა ქვეყნის ინტერესებს და ამით ზიანს აყენებს სტაბილურობას მსოფლიოში, განწირულია!

ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სპეცსამსახურების წინაშე დგას ამოცანა – იმოქმედონ ერთიანი სისტემით და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

თემატური და საბაზისო ლიტერატურა

1. **E. Schultes, A. Hofmann**, Les plantes des dieux, Paris, Ed. du Lizard, 1993.
2. **P. G. Kritikos et S. P. Papadaki**, Le pavot et l'opium, leur histoire et leur extension dans la région de la Méditerranée orientale durant l'Antiquité, Bulletin des Stupéfiants, Nations Unies, vol. XIX, n° 3, juillet-septembre, 1967.
3. **R.S. Merrillies**, Opium Trade in the Bronze Age Levant, Antiquity, 36, 1962.
4. **Confluences Méditerranée: Balkans l'implosion?**, L'Harmattan, n° 8, automne, 1993.
5. **A.A. Block**, European drug traffic and traffickers between the wars: the policy of suppression and its consequences, in journal of Social History, vol. 23, N,2, winter, 1989.

6. ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, ნარკოტიკების მსოფლიო ატლასი, თავი VII – *უწყვეტობა და რღვევები; აღმოსავლეთ ზმელთა-შუაზღვისპირეთი: მოკლე და გრძელ დროებს შუა, ფრანგულ ენაზე*, საფრანგეთის უნივერსიტეტის გამომც., პარიზი, 1996 წ.

7. **Raphael F. Perl**. International Drug Policy and the U.S. Congress. Westview Press. Boulder. **San Francisco**. Oxford. **1994**.

8. **J. F. Couvrat, N. Pless**, La face cachée de l'économie mondiale, **Paris**, Hatier, **1988**.

9. Отчет о конференции. Нормативная конференция стран СНГ по правоохранительной борьбе и контролю над наркотиками и химическими веществами, **Зальцбург, Австрия, 11-14 октября, 1994 г.**

10. ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, ნარკოტიკების მსოფლიო ატლასი, თავი III – *დიდი მარშრუტების დაბადება: ნარკოტიკული ინდუსტრიის დასაწყისი, ფრანგ. ენაზე*, საფრანგეთის უნივერსიტეტის გამომც., პარიზი, 1996 წ.

11. **G. Jahangiri**, Anatomie d' une crise: Le poids des tensions entre régions au Tadjikistan, in Cahiers d'études sur la Méditerranée orientale et le monde turco-iranien (**CEMOTI**), **Paris**, № **18**, **1994**.

12. **R. Lesnik, H. Blanc**, L'Empire corrompu des kolkhozes au Kremlin, ces mafias qui gangrènerent l'Union soviétique, **Paris**, Robert Laffont, **1990**.

13. **Jeffrey Rensselaer W. Lee III and Scott McDonald** Drugs in Post-Communist Societies. Boulder **San Francisco - Oxford**. **1994**.

14. **X. Raufer**, Les superpuissances du crime: enquête sur le narco-terrorisme, **Paris**, Plon, **1993**.

15. **F. Calvi**, La vie quotidienne de la mafia de **1950**, a nos jours, **Paris**, Hachette, **1986** (La Vie quotidienne).

16. The interview conducted by Lee at Polish Interpol Headquarters in Warsaw on January **16, 1992**.

17. U.N. International Drug Control Programme. "Special **UNDCP** Fact-Finding Mission in Seven Republics of the Commonwealth of Independent States". April 2 to May 2, **1992**, pp. **3 - 4** (Hereafter: UN Report).

18. **MICHEL KOUTOUZIS, PASCALE PEREZ**. ATLAS MONDIAL DES DROGUES. OBSERVATOIRE GEOPOLITIQUE DES DROGUES. PRESSES UNIVERSITAIRES DE FRANCE. **PARIS**. **1996**.

19. **Шеметов Егор, Трофимов Антон**, Наркобизнес: Прес-

тупление и наказание по-американски; Самые драконовые законы самой свободной страны, "Сегодня", 15 мая, 1996 года.

20. **Atlas mondial Des Drogues**, Observatoire géopolitique des drogues, Presses Universitaires de France, 1996.

21. US Department of State, International Narcotics Control Strategy Report, Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs, **Washington**, March 1995.

22. **C. Lamour, M. R. Lamberti**, Les grandes manœuvres de l'opium, **Paris**, Seuil, 1972.

23. *კოკა და ოპიუმი ძირითადი ეროვნული პრობლემები: ოქროს სამკუთხედის ქვეყნები: ბირმა, ლაოსი, ტაილანდი, პლაკატი*, 1994-1999 წწ.

24. **G. Falcone, M. Padovani**, Cosa Nostra, le juge et les "hommes d'honneur", **Paris**, Edition n° 1, 1991.

25. **J. M. Pelt**, Drogues et plantes magiques, **Paris**, Fayard, 1983.

26. **R. Rudgley**, The Alchemy of Culture: Intoxicants in Society, Londres, British Museum Press, 1993.

27. **D. F. Musto**, MD, The American Disease: Origins of Narcotic Control, **New York**, Oxford, Oxford University Press, 1987.

28. **M. Dutuit**, *Cannabis in Africa. A survey of its distribution in Africa, and study of cannabis use and users in multi ethnic South Africa*, **Rotterdam**, 1980.

29. **T. Plowman**, The origin, evolution and diffusion of coca, *Erythroxylum spp*, in South and Central America, in Papers of the Peabody Museum of Archaeology and Ethnology, Pre-Colombian Plant Migration, vol. 76, Cambridge, Mass., DA, 1984.

30. Instituto Indigenista Interamericano, La coca andian, visita indigena de una planta satanizada, **Mexico**, Joan Boldo y Clementi, Instituto Indigenista Interamericano, 1986.

31. **W. Golden Mortimer**, De la coca a la cocaine, **Paris**, UTZ, 1992.

32. B. Caceres, La coca en el Perou, in Socialismo y Participación, №21, mars 1983.

33. **E. Reens**, *La coca de lava, monographie*, **Paris**, 1919.

34. **Elaine Shannon**, "New Kings of Coke", **Time**. July 1, 1991, p.28.

35. **World Encyclopedia of Organized Crime**, **Rodriguez Gacha Jose Gonzalo** (AKA:EL Mexicano), prom. 1984-86; Col.

356980



ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

სამართაშორისო ნარკობიზმისთან ბრძოლის თანამედროვე სტრატეგია

„ეს ჭირი დროზე უნდა მოვიშოროთ!“
ჯორჯ ბუში - უფროსი

სიტყვა ინაუგურაციაზე.
20 იანვარი, 1989 წელი.

თავი I

სახელმწიფოებრივი და უწყებრივი კონტროლის მექანიზმები

§1. დიდი ინტერვალი

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საინფორმაციო საშუალებების – გაზეთების პირველი გვერდის ცხელი ამბების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის წამყვან თემას წარმოადგენს ფართომასშტაბიანი ოპერაციები ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის ასალაგმავად.

სახელმწიფოები მკაცრად აკონტროლებენ საზღვრებს, ეწევიან პატრულირებას, ამოწმებენ კონტრაბანდში ეჭვმიტანილ თითქმის ყველა „სტუმარს“, შექმნილია სახელმწიფოებრივი და უწყებრივი კონტროლის მექანიზმები.

აშშ და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნები ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავენ აზიიდან და აფრიკიდან ოპიატებისა და *მარიხუანას*, ხოლო სამხრეთ და ლათინური ამერიკიდან კოკაინისა და *მარიხუანას* შექმნა – ტრანსპორტირების აკრძალვისათვის.

სახელმწიფოებს შორის დადებულია მრავალი ხელშეკრულება, გაეროს მხრიდან შექმნილია ამ პრობლემისადმი ყოვლისმომცველი მაკონტროლებელი ინსტიტუტები. ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში მსოფლიოს მასშტაბით ჩართულია მთავრობების ათასობით მოხელე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ბრძოლა ნარკომაფიის სასარგებლოდ მიმდინარეობს.

მართლაც, რომ შთამბეჭდავია გასულ საუკუნეში ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ჭიდილში დახარჯული დრო და ენერგია. საკმაოდ დიდი ინტერვალია *შანხაის* 1909 წლის „*ოპიუმის კონფერენციიდან*“ 1988 წლის *ენის ნარკოტიკების ტრანსპორტირების წინააღმდეგ მიმართულ*

კონფერენციამდე, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მანძილია გასავლელი ნარკოტიკების უკანონო გამოყენებისა და ტრანსპორტირების წინააღმდეგ საერთაშორისო თანხმობის მიღწევამდე.

საკითხის ისტორიულ ჭრილში შესწავლა გვიჩვენებს, რომ XX საუკუნეში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში თითქმის ყველა მისაბაძი ინიციატივა ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ამერიკის კონგრესმა უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ამ სფეროში ორმოცდაათზე მეტ სხვადასხვა საერთაშორისო დონის ორგანიზაციულ, საკანონმდებლო და მეთოდოლოგიურ ხასიათის ინიციატივას დაუდო სათავე.¹

აშშ კონგრესი ნარკოტიკების პრობლემას ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და მას მრავალწახანაგოვან მოვლენად განიხილავს. კერძოდ:

- როგორც საგარეო ურთიერთობათა პრობლემას;
- როგორც ზოგადი განათლების პრობლემას;
- როგორც სამართალდამცავთა პრობლემას;
- როგორც სამართალშემოქმედებით პრობლემას;
- როგორც რესურსების განაწილების პრობლემას;
- როგორც სოფლის მეურნეობისა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა პრობლემას;
- როგორც საბანკო პრობლემას;
- როგორც და ზეერვის პრობლემას;
- როგორც სამეცნიერო-კვლევით პრობლემას;
- როგორც ტერორიზმთან დაკავშირებულ პრობლემას.²

აშშ კონგრესი ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად მუდმივმოქმედ სპეციალურ კომიტეტებთან, სამუშაო ჯგუფებთან და სპეცდანიშნულების რაზმებთან თანამშრომლობს, ორგანიზებასა და კოორდინაციას კი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოსაქმეთა ბიურო ახორციელებს.

§2. აშშ კონგრესი და მრავალწახანაგოვანი პრობლემა

გასული საუკუნის 90-იანი წლების საგარეო ნარკოპოლიტიკის შესწავლა-შეფასება აუცილებელია მოხდეს ისტორიულ კონტექსტში, კერძოდ, 80-იანი წლების მომდევნო ოთხი ფაზის ფონზე:

პირველი ფაზა დამთავრდა რამდენიმე თვით ადრე 1986 წელს

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შესახებ (Anti-Drug Abuse Act) კანონის მიღებამდე. ეს ფაზა კონგრესის შედარებით პასიური საქმიანობით ხასიათდება, რადგან ამ პერიოდში ნარკოტიკები არ იყო აშშ კონგრესის პრიორიტეტულ პროგრამათა რიცხვში და ამიტომაც არ განხორციელებულა ფართომასშტაბიანი საკანონმდებლო ღონისძიებები.

მეორე ფაზა 1986 წელს დაიწყო, როდესაც მიიღეს *კანონი ნარკოტიკების შესახებ (Drug Act)*.

კანონის მიღებამ კონგრესს შესაძლებლობა მისცა 80-იანი წლების ბოლოს და 90-იან წლებში აქტიური მონაწილეობა მიეღო ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. კანონის ამოქმედებამდე პირადად *პრეზიდენტს ეეისრებოდა პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არალეგალურად მწარმოებელი თუ სატრანზიტო ქვეყნისათვის საგარეო ფინანსური დახმარების გაწევისა ან მოხსნის საკითხში.*

1986 წლის *ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართულმა კანონმა* არსებითად შეცვალა კონგრესის როლი გლობალური ნარკოპოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

კონგრესმა კანონში შეასწორა 481-ე პუნქტი *საგარეო დახმარების შესახებ*, ხოლო 1974 წლის კანონს დაუმატა ახალი ნაწილი ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ. კონგრესის გადაწყვეტილებით ეს ცვლილებები გულისხმობდა, რომ *პრეზიდენტის მიერ, გამონაკლისის წესით, შეწყალებამდე საგარეო დახმარებაზე უარი ეთქმოდა ნარკობიზნესში ჩაბმულ ყველა ქვეყანას.*

მესამე ფაზა 1988 წლის პირველ ნახევარში დაიწყო და 90-ის შუაწლამდე გაგრძელდა. 1988 წელს კონგრესმა მიიღო ახალი კანონი *ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შესახებ* და დაიწყო საკუთარი წინანდელი პოლიტიკის გადასინჯვა. ამ დროისათვის კონგრესი კვლავ მყარად ინარჩუნებდა წამყვან პოზიციებს ნარკოტიკების პოლიტიკაში. მან აღმასრულებელ ხელისუფლებას მოსთხოვა კონგრესზე განსახილველად და შემდგომი შესწორებისათვის წარედგინა ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული საბაზისო, სტრატეგიული, მაკოორდინირებული და ერთიანი გეგმა; პოპულარული ენით რომ ეთქვათ, ჩამოყალიბდა კონგრესის, როგორც ნარკომეფის პოზიცია.⁴

1989 წლის 10 მარტს ამერიკის სენატმა პირველი ნარკომეფის პოსტზე უილიამ ბენეტი დაამტკიცა.

90-იან წლებში კოკაინის მოხმარების გარდუვალმა უმწვავესმა შედეგებმა საკითხი საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის ყურადღების ცენტრში მოაქცია.

კოკაინი გავრცელდა *ვეროპისა და წყნარი ოკეანის* ქვეყნების ტერიტორიებზე. მისი ზემოქმედების სავალალო შედეგები იწვინეს *აშშ მოკავშირე ქვეყნებში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, იაპონიასა და ავსტრალიაში.*

თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღია საზღვრები და ცხოვრების მაღალი დონე თითქოსდა ხელს უწყობდა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას ამ ქვეყნებში.

1990 წლის თებერვალში, ისტორიაში პირველად ნარკოტიკების პრობლემის განსახილველად *ერთმანეთს შეხედნენ* აშშ, ბოლივიის, კოლუმბიისა და პერუს პრეზიდენტები. *მეორე* მსგავსი შეხვედრა 1992 წლის თებერვალში, ტუხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში გაიმართა და მასში შვიდი ქვეყნის პრეზიდენტმა მიიღო მონაწილეობა.

მეოთხე ფაზა 1990 წელს *კართაგენის სამიტის* შემდეგ დაიწყო და 1993 წლის ნახევრამდე გაგრძელდა. კანონის მიხედვით განისაზღვრა 1993-94 წლებში აშშ ფისკალური პოლიტიკის გარდამავალი პროცესები, რათა აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთიანი სტანდარტების შემუშავება გაადვილებოდა იმის დასადგენად, *თუ ნარკოტიკების არალეგალურად მოპოვებულ, დამამზადებელ და ტრანზიტის რომელ ქვეყნებს შეუწყდებოდათ აშშ დახმარება.*⁵

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა – უფროსმა და სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა აშშ ნარკოპოლიტიკაში სიცხადე შეიტანეს – თეთრმა სახლმა უარი განაცხადა ნარკოკონტროლზე, როგორც ცვალებად პოლიტიკურ მოვლენაზე.⁶ *ბუშის ადმინისტრაციამ სცადა ნარკოკონტროლი განეხორციელებინა იმ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირში, რომლებიც ნარკოტიკების წარმოებასა და მის ტრანსპორტირებას ეწეოდნენ. წარსულისაგან განსხვავებით, ბუშის ადმინისტრაცია ცალსახად ემხრობოდა სხვა ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობას ნარკოტიკების კონტროლის სფეროში. აშშ ადმინისტრაცია მზად იყო ფინანსური დახმარების მიზნით ეთანამშრომლა ასეთ ქვეყნებთან რეგიონულ, საერთაშორისო ან ორმხრივ შეთანხმებათა საფუძველზე. ორმხრივი თანამშრომლობის პროცესში ყველაზე მთავარ სანოტიფიკაციო მოთხოვნას სერტიფიკირების პროცესი წარმოადგენდა, ე.ი. იმის განსაზღვრა, თუ ნარკოტიკების არალეგალურად მწარმოებელი და გამავრცელებელი ქვეყნებიდან, რომელი გათავისუფლებოდა კონგრესის მიერ მიღებული სანქციებისაგან.*

კანონმა დაადგინა, რომ ყოველი ფისკალური წლის დასაწყისისათვის პრეზიდენტმა ქვეყნის კონგრესს უნდა წარუდგინოს შეწყალბულ ქვეყანათა სია (*იმ მიზეზების აღნიშვნით, რომლის საფუძველზეც მოხდა ამა თუ იმ ქვეყნის შეწყალება*).

ამ დროიდან დღემდე ყოველი წლის პირველ მარტს პრეზიდენტი კონგრესს უგზავნის ნარკოტიკების არარეგალურად დამამზადებელი და გამავრცელებელი იმ ქვეყნების სიას, რომლებსაც, მისი აზრით, აშშ დახმარება ეკუთვნით. კონგრესი 45 დღის განმავლობაში განიხილავს პრეზიდენტის შემოთავაზებულ ვარიანტს;

იგი ან ადასტურებს, ან კორექტირებას უკეთებს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნების სიას.

სერტიფიცირების განსაზღვრისას ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის მთავარი პირობები შემდეგში მდგომარეობს:

– ქვეყნებმა უნდა დააკმაყოფილონ ნარკოტიკების შესახებ მიღებული ორმხრივ შეთანხმებათა მოთხოვნები;

– აღკვეთონ ნარკოტიკების უკანონო გაყიდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში;

– აღკვეთონ „ფულის გათეთრების“ ოპერაციები და ასეთი საქმიანობისთვის დასაჯონ დამნაშავენი;

– აღკვეთონ ნარკოტიკებთან დაკავშირებული ძარცვა, კორუფცია და დასაჯონ დამნაშავენი.⁷

კონგრესის საქმიანობაზე ასე დაწვრილებით იმიტომ შეეწერდით, რომ ვიცოდეთ რა არის საჭირო აშშ ადმინისტრაციისაგან ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დახმარების მისაღებად და როცა არ ვლებულვით ასეთ დახმარებას, რა არის ამის მიზეზი.

საინტერესოა ამერიკის საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე როგორ იცვლიდა სახეს ნარკოტიკებთან მებრძოლი სამსახური; მის საქმიანობას ქვეყნის თითქმის ყველა პრეზიდენტი და კონგრესი მუდმივად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

უნიკალურია ის მიღწევები, გამოცდილება, ახალი ტექნოლოგიები, ინიციატივები საკანონმდებლო და სპეციალურ ოპერატიულ საქმიანობაში, რომელსაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფები იყენებდნენ.

დღეს, როდესაც საქართველოში ეკმნით ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართულ სათანადო სტრუქტურებს, ვამუშავეთ ახალ კანონებს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეს გამოცდილება და მივიღოთ ისინი არა დღევანდელი, არამედ ხვალინდელი დღის მოთხოვნების შესაბამისად.

§3. DEA-ს ისტორია

გრძელი და საამაყო ისტორია აქვს ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლ სამართალდამცავ ადმინისტრაციას (DEA). იგი ეფუძნება თავის წინამორბედ მთელ რიგ ფედერალურ სამსახურებს, საკანონმდებლო ბაზას, მათ ბრწყინვალე წარმატებულ ტრადიციებს.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი პირველი

ამერიკული სამსახური შეიქმნა იმ კანონის საფუძველზე, რომელიც განსახილველად კონგრესმენმა პორტერმა შეიტანა და რომლის მიხედვითაც ფინანსთა დეპარტამენტში ნარკოტიკების ფედერალური ბიურო უნდა შექმნილიყო (**FBN**) - **Federal Bureau of Narcotics**. 1930 წლის 14 ივლისს პრეზიდენტმა ჰერბერტ ჰუვერმა კანონპროექტს ხელი მოაწერა და იგი ძალაში შევიდა. ეს მოხდა *კონგრესმენის* უეცარ სიკვდილამდე ორი კვირიდან ადრე.

FBN - ს სათავეში ჰარი ჯონ ეინსლინგერი (**Harry Anslinger**) ჩაუდგა. ეინსლინგერი წარსულში სახელმწიფო დეპარტამენტის კონსული და შიდაპარლამენტული ნარკოკონტროლის ფედერალური საბჭოს მდივანი იყო. სულ ცოტა ხანში მან უკომპრომისო პიროვნების რეპუტაცია დაიმსახურა და ამ პოსტს აშშ ოთხი პრეზიდენტის მართვის პერიოდში უძღვებოდა. რაც შეეხება აკრძალვით ღონისძიებებს, ცნობილია მისი ერთი ფრაზა – „ჯერ კრიმინალური ელემენტები და შემდეგ აკრძალვები“, თუმცა სიტუაცია ქვეყანაში მაინც მძიმე რჩებოდა.⁸


ეინსლინგერს აშშ საგარეო ნარკოპოლიტიკის ტრანსფორმირების პროცესში ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა. მაგრამ მას აღმოაჩნდა ბიუროკრატიული მანევრირების შესაშური უნარი და შეძლო ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რათა შეენარჩუნებინა მისი პატარა, თითქმის დაუფინანსებელი ბიურო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *ეინსლინგერის სისხლში სტიუარტების სისხლიც ერია* და მკითხველისთვის ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რატომ ართმევდა იგი თავს ასეთი შემართებით თითქმის შეუძლებელ საქმიანობას. სწორედ ეინსლინგერის მოღვაწეობის პერიოდში მოხდა *რადიკალური გარდატეხა მსოფლიო ნარკოკონტროლის სტრატეგიაში. შეერთებულმა შტატებმა მსოფლიო ნარკოკონტროლის მოძრაობა თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქცია. FBN-ის* შექმნა ამერიკაში მშრალი კანონის მოქმედებას დაემთხვა, ხოლო მსოფლიო მძიმე ეკონომიკურმა დეპრესიამ მოიცვა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში იტალიურ-ამერიკული მაფია ნაკლებად ინტერესდებოდა ნარკოტიკებით, რადგან მთელი ძალით გაფართოვდა აკრძალული ალკოჰოლის ყიდვა-გაყიდვა, რომლის ორგანიზატორებად გვევლინებიან ებრაელი განგსტერები – *ლევს დიამონდი, არტურ ფლეგენჰაიმერი, ძმები ნიუმანები, ბენჟამენ სიგალი – ბაქსი ძმებ ელიოპულოსებთან კავშირში და სხვები*. 1930-31 წლებში მათთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა იტალიურ-ამერიკული მაფიის ახალმა თაობამ, რომელსაც სათავეში სალვატორე ლუჩიანო – ლაკი ჩაუდგა.

1933 წელს ალკოჰოლის აკრძალვამ ეს ჯგუფები აიძულა უსწრაფესი რეკონსტიტუირება მოეხდინათ და იმჟამად ალკოჰოლის იატაკქვეშა ლოგისტიკა *ჩინურ ოპიუმსა და მარსელურ ჰეროინზე* გადაერთო.

ჰეროინით სპეკულაციამ და პროსტიტუციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ასე მაგალითად, 1935 წელს მარტო ერთ ქალაქში ნიუ-იორკში 200 საროსიკო და

ნაკრძობის აპრიკული ტრალიციები



200მ

- კონფედერაციის სახელმწიფოები
- კავშირის სახელმწიფოები
- 30-50% ფერადკანონი მოსახლეობა
- ლეუკორიანელები
- ბაბუციები
- რკინიგზები
- ▲ ინდიელთა რეზერვები
- ★ ფერადკანონი მოსახლეობის იქნაქები (1940-1970)
- ჩინური მფრაცები
- უკრაინული მფრაცები
- ლაიონო-აგრიკული მფრაცები
- კოჩინის მამბარები
- კრეისის მამბარები
- ობიუბის მისაქევი
- ▲ დევილები
- ▲ მირიბუნის მისაქევი
- ▲ დევილები
- ▲ ჰეიონის მამბარები
- ▲ კარბის მისაქევი
- ▲ კონცერტი
- ▲ ქარბის მისაქევი
- ▲ კანფის კლდის გრადი
- ▲ სოკის რიგის ტრადიციული ზონები
- ▲ კაბულის რიგის ტრადიციული ზონები

12000 მეძავი აღირიცხა. ნარკოტიკის ამერიკული უკანონო ბაზრის გაფართოებამ *კორსიკული* წრე მიიზიდა. *თეთრის ვაჭრობის მეფეებმა* კარბონემ და სპირიტომ *ჰერონის მბრუნავ ღერძებად* გადააქციეს *მარსელი, ტანჟერი, კაირო და ბეირუთი*. დიდი რაოდენობით ჰერონის ლაბორატორიები გაიხსნა მარსელის პორტის რეგიონში.

ამავე პერიოდს დაემთხვა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრი გააქტიურებაც. ეინსლინგერმა მიაღწია იმას, რომ **FBN**-ის აგენტები (*ნარკოტიკებთან მებრძოლი სპეცსამსახურის ოპერატიული მუშაკები*) სხვადასხვა პორტებში ჩააყენა და ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი სადაზვერვო ძალების გაცვლაზე მსოფლიოს ოცი სამართლებრივი სააგენტოს შეთანხმება მიიღო, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა ნარკოტიკების ამოღება-დაკავების ფაქტების რიცხვი.⁹

სწორედ ამ პერიოდში 1936 წელს *ლაკი ლუჩიანოს* შუამავლობისათვის 30 წელი მიუსაჯეს.

30-იან წლებში მარიხუანამ ამერიკის საზოგადოებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. XX საუკუნის დასაწყისში მისი მოხმარება ამერიკის შეერთებულ შტატებში მექსიკელი ემიგრანტებისა და კარიბის მეზღვაურთა ნაკვალევზე დაიწყო. *პირველი მწვეკელები* – ბრაუნსვილის მექსიკელები გამოავლინეს 1903 წელს *ტეხასში* და 1909 წელს სტორეივილის შავ კვარტალში – ახალი ორლეანის პორტში.¹⁰ ამ ცნობილი კვარტლების გარდა, მარიხუანას მოხმარება გავრცელდა ინტელექტუალურ გაერთიანებებში, დიდი ქალაქების მიუზიკ-პოლის მსახიობებში. 1930 წელს ნიუ-იორკში ცნობილია 500 აფემ-მოსაწევი (**tea pads**). ოთხი წლის შემდეგ ელა ფიცჯერალდმა გამოუშვა ალბომი **"When I Get low, I Get High,"** „როცა ღებრესიაში ვარ, დაფვრინავ...“, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით *კანაფურ სიმთვრალეს* გულისხმობს. *საჭირო გახდა ნარკოტიკული განტოლების სასწრაფო ამოხსნა, რომელიც გონებრივ დეგრადაციას უტოლდება.* ასეთ პირობებში ნარკოტიკული ბიუროს დირექტორმა ჰარი ეინსლინგერმა 100 ათასი დოლარის ჯილდოთი *პრესის კონკურსი* მოაწყო იმ სტატიისაზე, რომელიც უკეთ ამოხსნიდა ამ განტოლებას. 1937 წელს კულმინაციას მიაღწია ეინსლინგერის პუბლიკაციებმა *ახალგაზრდობის მკვლელის – მარიხუანას* შესახებ. *სულ მალე მარიხუანა კრიმინალის რანგში იქნა აყვანილი.*

§4. სარეორგანიზაციო გეგმა №2

ჰარი ეინსლინგერი იყო პირველი სახელმწიფო მოხელე, რომელმაც ნარკოტიკების წინააღმდეგ არა მარტო რეპრესიული, არამედ იდეოლოგიური მანქანაც აამუშავა. ეს აუცილებელიც იყო, რადგანაც *დიდი ღებრესიის წლებში*

შეერთებულ შტატებში მკვეთრად გაიზარდა *მარიხუანას* გამოყენება, ხოლო *მექსიკის საზღვართან მანკიერების საზე მიიღო*. 1931 წლისათვის 38 შტატმა მიიღო კანონი *კანაბისის* კულტივაციაზე კონტროლის დაწესების შესახებ, მაგრამ მისი პროდუქციის წარმოება და გამოყენება ფედერალური კანონით არ იკრძალებოდა. *1937 წელს ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილებით, მარიხუანა და კაშიში არაკანონიერ სახელმწიფო კონტროლზე აყვანილი ნარკოტიკების ნუსხაში შეიტანეს.*²

ომისშემდგომ პერიოდში *ამერიკაში* გამოჩნდა ახალი ნარკოტიკები – კოკა, ოპიუმი და მისგან ნაწარმოები, ასევე სინთეზური ნარკოტიკები. 60-იან წლებში ნარკოტიკებთან ბრძოლის გამოცდილებამ ამერიკის მთავრობას უკარნახა, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ უფრო მკაცრი მიდგომა იყო საჭირო. ამიტომ 1966 წელს *საკვებისა და ნარკოტიკების ადმინისტრაციაში* შეიქმნა ახალი ფედერალური სამართალდამცავი ერთეული – ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების კონტროლის ბიურო (BDAC), რომელსაც *ჯონ ფინლენტიორი* ხელმძღვანელობდა. მისი მოვალეობა იყო გაეკონტროლებინა ისეთი სტიმულატორები, როგორცაა *მეთამფენტამინი* და *სხვადასხვა ქალუცინოგენები*.

1968 წელს ჯონსონის ადმინისტრაციის მიერ FBN-ისა და BDAC-ის კონსოლიდაციის შედეგად შეიქმნა ნარკოტიკებისა და საშიში პრეპარატების წინააღმდეგ მებრძოლი ბიურო (BNDD).

მოგვიანებით ნიქსონი ამ ფაქტის კვალდაკვალ არჩეულ იქნა ამერიკის *პრეზიდენტად*, რაშიც ნაწილობრივი წვლილი კანონიერებისა და სამართალდამცავ სისტემების სრულყოფის საქმეში მის ენერგიულ მოღვაწეობას მიუძღვის.

1970 წლის 27 ოქტომბერს კონგრესმა მიიღო ამომწურავი აქტი *ნარკოტიკებით ბოროტად სარგებლობის თავიდან აცილებისა და კონტროლის შესახებ*, იგი 30 ნაწილად იყო დაყოფილი. აქტის მეორე ნაწილის დასახელება ასეთი იყო: *„კონტროლზე აყვანილი სუბსტანციების აქტი“ (CSA)*. ასევე, გამოიცა ხუთი ცხრილი – *ნარკოტიკების კლასიფიკაცია პოტენციური მოქმედების მიხედვით; ნარკოტიკების კატეგორიები საშიშროების, პოტენციური მოხმარების დონისა და სამედიცინო ღირებულების მიხედვით*.

ამ პერიოდისათვის BNDD-ს ბიუჯეტი ოთხჯერ გაიზარდა. ასევე გაიზარდა აგენტთა რიცხვი, რომელმაც 1972 წლის თებერვლისათვის 1361 ერთეულს მიღწია. შესაბამისად გაორმაგდა შინა და გარე დაპატიმრებები.

სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში *კოკაინისა და პეროინის პროდუქციის წარმოების გაფართოების და ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი ტრანსპორტირების ზრდასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ნიქსონმა კონგრესს შეუთანხმა სარეორგანიზაციო გეგმა №2*, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით *ყველა სახელმწიფო ნარკოტიკ-საწინააღმდეგო ძალების კონსოლიდაციას მოახდენდა*, და 1973 წლის

**ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი
ადმინისტრაცია- DEA**
იუსტიციის დეპარტამენტი
1973

ნარკოტიკებთან დაკავშირებულ
პრობლემათა საგამოძიებო
ს.მსახური

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების
წინააღმდეგ მებრძოლი
სამართალდამცავი ოფისი
(ODALE)

ნარკოპიზნის ეროვნული
დაზვერვის ოფისი
იუსტიციის დეპარტამენტი

ნარკოტიკების სტრატეგიული
კვლევის მართვის ჯგუფი
პრეზიდენტის აღმასრულებელი ოფისი

ნარკოტიკებისა და ძლიერმოქმედი (საშიში)
საშუალებების ბიურო (BNDD)
იუსტიციის დეპარტამენტი
1968-1973

ნარკოტიკების ბიურო
სახანო დეპარტამენტი
1930-1968

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე
კონტროლის ბიურო; საკვებისა და
მედიკამენტების ადმინისტრაცია;
ჯანმრთელობის, განათლებისა და
სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი
1966-1968

ალკოჰოლის აკრძალვის
ბიურო
სახანო დეპარტამენტი
1927-1930

შიდადაღასახადებისა და
მოსაკრებლების ბიურო
სახანო დეპარტამენტი
1915-1927

ნარკოტიკების
წინააღმდეგ მებრძოლი
ადმინისტრაციის
DEA-ს
წინამორბედი
ორგანიზაციები

პირველ ივლისს შეიქმნა ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ადმინისტრაცია (DEA). გასული 27 წლის შემდეგაც იგი კვლავ რჩება აშშ-ის ორგანოდ, რომლის უმთავრესი მისია ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და გადატანის წინააღმდეგ ბრძოლაა. 90-იან წლებში DEA-ს სტრატეგია მიზნად ისახავდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც ნარკოტიკებით უკანონოდ მოვაჭრეთა წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრად გაუმჯობესებას.

დღეს ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლ ადმინისტრაციას მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში ყავს თავისი წარმომადგენლები – ატაშეები, ხოლო თვით DEA-ს სპეციაგენტთა 10 პროცენტი საზღვარგარეთ მუშაობს, რაც საქმიანობის ეფექტურობის ზრდასთან ერთად ინფორმაციის მიღების ქსელს აყალიბებს, რომელიც უმოკლეს დროში მთელს მსოფლიოს მოიცავს.

DEA-ს პერსონალის სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებას აქვს ერთი მიზანი: ებრძოლოს ნარკოტიკების შემოტანას არა მარტო ერთი ქვეყნის საზღვრებზე, არამედ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზეც, რადგანაც, მისი აზრით, მხოლოდ აშშ ტერიტორიაზე ნარკოტიკების შემოტანის შემცირება ბევრს არაფერს იძლევა. ნარკოტიკების არალეგალურად ტრანსპორტირება ზე ძლიერი ზეგავლენის მოსახდენად საჭიროა გლობალური დარტყმა იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც აქვთ კარგად აწყობილი საკუთარი ინფრასტრუქტურა, მდიდარი ფინანსები, ტრანსპორტის საშუალებები, ნედლეული, ქიმიური ნივთიერებები. ისინი ხელს უწყობენ კორუფციას სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლების მაღალ ემელონებში.

§5. ოპერატიულ მონაცემთა ბაზა

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა ბევრადაა დამოკიდებული იმ ოპერატიულ მონაცემთა ბაზაზე, რომელსაც ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურები ფლობენ. იგი უნდა მოიცავდეს ცნობებს ნარკოტიკების დამზადებით, რეალიზაციით, გადატანით და ამ სფეროში სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით დაკავებულ პირთა შესახებ.

DEA - მ დღიდან დაარსებისა, დაიწყო ამ ინფორმაციების შეგროვება და 1992 წლისათვის ასეთ პირთა რიცხვმა სამ მილიონს მიაღწია, მათგან ერთი მესამედი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

ეს მიმართულება ცნობილია როგორც საინფორმაციო სისტემა ნარკოტიკებისა და საშიში პრეპარატების შესახებ (**Narcotics and Dangerous Drugs Information System (NADDIS)**). სისტემა 20 წელია მუშაობს და პლანეტის თითქმის ყველა სპეცსამსახურს აწვდის ინფორმაციას მსოფლიოში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და ტრანსპორტირების შესახებ.

ბოლო პერიოდში **DEA** აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთთან, დსთ

ქვეყნებთან და სხვა ისეთ სახელმწიფოებთანაც, რომლებთანაც თანამშრომლობა წარსულში შეუძლებელი იყო. ყველა ეს ქვეყანა **DEA** - ს ოფისებიდან მათთვის საჭირო ინფორმაციას იღებს და **DEA** მათ ემსახურება, როგორც ქვეყნებს შორისი ცნობების გაცვლისა და შეთანხმებული საქმიანობის კოორდინატორი. ეს ძირითადად ის ქვეყნებია, რომელთაც სხვადასხვა ობიექტურ მიზეზთა გამო ურთიერთშორის საგამოძიებო საქმიანობისათვის ძალები და რესურსები არ ჰყოფნიდათ. მიუხედავად ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური, საკანონმდებლო და პოლიტიკური განსხვავებისა, ასეთმა მიდგომამ გაამართლა.¹³

აღნიშნული მხოლოდ იმის შედეგად გახდა შესაძლებელი, რომ **DEA** - მ წლების მანძილზე ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლ სამართალდამცავებს შორის ერთი პროფილით მომუშავე სააგენტოს რეპუტაცია დაიმკვიდრა, რომ მას პოლიტიკური მიზნები არა აქვს და არ არის ჩართული ქვეყნის უშიშროებისათვის წარმოებულ დაზვერვით საქმიანობაში.

DEA - ში კვალიფიციური კადრები მუშაობენ, ისინი დახლოვებული არიან ამ მეტად საშიშსა და სახიფათო სფეროში. წარმატების უპირველესი საწინდარი საერთაშორისო გუნდში ერთმანეთისადმი ნდობა, ხელმისაწვდომი შესაბამისი აღჭურვილობა, ტექნიკა და რაც მთავარია, ტრანსნაციონალური ნარკობიზნესის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დაფინანსება.

1960 წლიდან **DEA** - მ სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავებისთვის ერთობლივი საწვრთნელი პროგრამის შემუშავება დაიწყო. ამ პროგრამის შედეგად კვალიფიკაცია აიმაღლა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 35 ათასმა სპეციალისტმა. სპეციალისტთა მომზადებას კოორდინაციას უწევს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკობიზნესის საქმეთა ბიურო. (**Bureau of International Narcotics Matters (INM)**). იგი აწესრიგებს და გამოყოფს შესაბამის ფინანსურ დახმარებასაც. საერთაშორისო საწვრთნელი პროგრამის (**International Training Program**) მიზანია: *სამართალდამცავთა შესაძლებლობის ამაღლება საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობისათვის, ქვეყნების წახალისება და დახმარება საკუთარი სრულყოფილი საწვრთნელი სამსახეობო პროგრამების შექმნის მიზნით, საინტერესო ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შესახებ საზღვარგარეთელი კოლეგებისათვის, რათა ამაღლდეს პროფესიონალიზმი და შემდგომში ქვეყნებმა თვითონვე მართონ მაღალი რანგის ოპერატიული და საგამოძიებო სამუშაოები, გააძლიერონ ურთიერთობანი საზღვარგარეთელ კოლეგებთან და ეს ყველაფერი სრულყოფილი საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით მოხდეს.*

მოკლედ, **DEA** ცდილობს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს ყველა იმ ქვეყნის სამართალდამცავებთან, რომლებზეც ნარკოტიკების გავრცელების საერთაშორისო მარშრუტები გადის.¹⁴

ამ ჩანაფიქრის განხორციელებას მრავალგვარი საწვრთნელი კურსები

ემსახურება, რომელთა პროგრამა მრავალფეროვანია. განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა – სამძებრო ანალიტიკური მეთოდები, ბრძოლა საიდუმლო ლაბორატორიებთან, ნარკოტიკებისა და ქიმიურ ნივთიერებათა დივერსია, ექსპერტიზის თანამედროვე ტექნოლოგია, ორმხრივი ლეგალური დაზმარების შეთანხმებები, ფინანსურ ოპერაციათა გამოძიების ტექნიკა, სასამართლო სამედიცინო ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზები, სადაზვერვო კავშირები და სადაზვერვო ინფორმაციის ანალიზი, ინსტრუქციითა ჩამოყალიბების მეთოდები, ნარკოტიკორიზმი, ზედამხედველობა და კონტროლი, მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები.¹⁵

იმ ოფიცერთა უმრავლესობამ ვინც საერთაშორისო საწვრთნელი სკოლა გაიარა, მომავალში **DEA** - სთან პროდუქტიული ურთიერთობები გააგრძელა.

ეს შეეხება ამ წიგნის ავტორსაც, რომელსაც ექვსჯერ აქვს გავლილი ასეთი სახის სხვადასხვა დონის კურსები. თვით **DEA** - ს სასწავლო ცენტრში დამყარებულმა საქმიანმა კავშირურთიერთობებმა საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა სწავლება 1996 წლის 10 - 18 ივნისს თბილისში საკმაოდ კარგი პროგრამით. სწავლება გაიარა შსს ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს, საბაჟო და სასაზღვრო დეპარტამენტების ორმოცდაათმა თანამშრომელმა, რომელთაც შესაბამისი სათანადო სერტიფიკატი მიიღეს.

ამასთან დაკავშირებით მინდა მაღლიერების გრძნობით მოვიხსენიო ჩემი კოლეგა და უფროსი მეგობარი, **DEA** - ს სპეცაგენტი ბ-ნი ჩარლზ სოლივანი და დირექტორი ბ-ნი თომას კონსტანტინი.

საზღვარგარეთის ცენტრებში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ შესაძლებლობა მოგვცა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობის დონეზე საქართველოსაც დაეწყო საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლის ოპერაციების ჩატარება. 1995 წელს ჩატარდა პირველი ასეთი ოპერაცია საქართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და აზერბაიჯანის ინტერპოლის ერთობლივი შეთანხმებული მოქმედებით. საწყის ეტაპზე ლაპარაკი იყო რამდენიმე ათეული კილოგრამი ოპიუმის უკანონო ტრანსპორტირებაზე, მაგრამ სათანადო ნორმატიული აქტის არარსებობის გამო ვერ განხორციელდა ოპერაცია – „კონტროლირებადი მიწოდება“ ოპერატიული თანამშრომლის უშუალო მეთვალყურეობით და იგი ინფორმატორის დონეზე ჩატარდა. ოპერაციის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე ლაგოდეხში დააკავეს აზერბაიჯანელი ორი მოქალაქე და ამოიღეს რამდენიმე კილოგრამი ოპიუმი.

1997 წელს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საერთაშორისო დანაშაულებასთან ბრძოლის დეპარტამენტმა მეორე უფრო წარმატებული ერთობლივი ოპერაცია განახორციელა. დონისძიება ერთი წლის

მანძილზე გრძელდებოდა. ზემოდასახელებული დეპარტამენტისა და აჭარის უშიშროების სამინისტროს სპეციალური ოპერატიული ჯგუფი ორჯერ იყო მივლინებული ანკარასა და სტამბულში. თურქ კოლეგებთან ერთად მოხერხდა ჩვენთვის საინტერესო პიროვნების სტამბულის *ხანქალას რაიონში* მცხოვრები *ნური იუქსელ კურნაზის* ზუსტი საცხოვრებელი ადგილისა და დანაშაულებრივი კავშირების დადგენა. საწყისი ინფორმაციის კარგმა დამუშავებამ, რომლის ინიციატორიც ქართული მხარე იყო, ნარკოტიკებით მოვაჭრეთა დიდი ჯგუფი გამოააშკარავა, რომელიც ნარკოტიკების გადაზიდვას ეწეოდა *გერმანიასა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში*. უკანონო ტვირთის დაკავების ოპერაციამ, რომელიც *თურქმა* კოლეგებმა 1997 წლის 19 დეკემბერს ჩაატარეს, წარმატებით ჩაიარა: დააკავეს 1000 კგ *პაშიში*, 200 კგ *კოკაინი*, 300 გრ *ჰეროინი* და 6000 ცალი აბი *ექსტაზი*. შემდგომმა გამოძიებამ დაადგინა ამ დანაშაულში მონაწილე ათეულობით პიროვნება. ასევე ამოიღეს დიდძალი თანხები და სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობანი, მაგრამ *ქონების განაწილებისადმი ქართულ მხარეს არ შეიძლებოდა ჰქონოდა პრეტენზია*, რადგან იმ პერიოდში საქართველოსა და თურქეთს შორის არ არსებობდა ორმხრივი შეთანხმება ნარკობიზნესის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

§6. საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლის სისტემა

იმისათვის რომ მომავალში წარმატებით ჩავერთოთ ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში, აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლ მსოფლიო სტრუქტურებთან, რომლის კოორდინატორიც გაეროს ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის პროგრამაა (**UNDCP**) და რომელიც გაეროს სამი ერთეულის ერთ მთლიან ოპერატიულ მექანიზმში გაერთიანების შედეგად შეიქმნა. პროგრამის პირველი ხელმძღვანელი იყო მისი აღმასრულებელი დირექტორი, გენერალური მდივნის თანამემწე ბ-ნი ჯორჯო ჯაკომელი. იგი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მოწვევით 1996 წლის 5 - 8 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა და პირადად შეაფასა ქვეყანაში ნარკოტიკების სფეროში არსებული ვითარება. ბ-ნი ჯაკომელის ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა „საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა“, რომელმაც საერთაშორისო ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა და დღეს ქვეყანაში ამ პრობლემის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა უწყებისა და სამინისტროს *კონსტიტუციური დოკუმენტია*.⁶

ჩვენ ვთვლით, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. არც ერთი წუთით არ შეიძლება

შეჩერება. ქვეყნის უმძიმესი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე საჭიროა ეროვნული პროგრამის დაფინანსების წყაროები გაეროში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ვეძებოთ. სწორედ ასეთი მიდგომით აზერბაიჯანმა 1999 წელს 2 მლნ. დოლარის დახმარება მიიღო, უფრო ადრე სოლიდური დახმარება მიიღეს – *ყაზახეთმა, ტაჯიკეთმა, უზბეკეთმა*. ამ უკანასკნელში გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის პროგრამის (UNDCP) რეგიონული ოფისიც კი გაიხსნა, რაც მათი საქმიანი და მჭიდრო ურთიერთობის შედეგია.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სულ უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს ღებულობს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონული და ქვერეგიონული პროგრამები.

რამდენადაც ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ნარკოტიკების პრობლემის სერიოზულობა გაღრმავდა, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები დაინტერესდნენ მისი გავლენით პოლიტიკურ სტრუქტურებზე, სოციალურ განვითარებასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე. მათ ხელი მოაწერეს რეგიონულ და ქვერეგიონულ ხელშეკრულებებს ნარკოტიკების ტრანსპორტირებისა და ფართოდ გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სახელმწიფო პროგრამების კოორდინირებისა და ერთმანეთთან თანამშრომლობის შესახებ.

1973 წელს პირველი ასეთი სტრუქტურა იყო ახლო და შუა აღმოსავლეთში ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ქვეკომისია.

60-იან წლებში შეიქმნა ეგრეთ წოდებული HONLEA (სახელმწიფო კანონის ცხოვრებაში გამტარებელ სააგენტოთა ხელმძღვანელობა).

1974 წელს შეიქმნა პირველი HONLEA აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონებისათვის. 80-იანი წლების ნახევრიდან იგი დამკვიდრდა *აფრიკის, ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის სივრცისა და ევროპის რეგიონებისათვის*.

დასავლეთ ნახევარსფეროში პირველი რეგიონული ინიციატივა ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე სამხრეთ ამერიკის შეთანხმება (ASEP) გახლდათ, რომელიც 1976 წელს სამხრეთ ამერიკის ათმა ქვეყანამ დააკანონა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1986 წელს *ამერიკის რეგიონში* გლობალური რეგიონული პროგრამის წამოწყება *სამხრეთ ამერიკის, კარიბის ზღვის სივრცის, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკის* ქვეყანათა ჩათვლით. ამ ქვეყნების ორგანიზაციის (OAS) წევრებმა გენერალური ასამბლეის 699-ე გადაწყვეტილებით რიო-დე ჟანეიროში ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გამოყენების, წარმოებისა და ტრანსპორტირების წინააღმდეგ მიმართული *ინტერნაციონალური პროგრამა* მიიღეს, ხოლო მის სისრულეში მოსაყვანად ინტერამერიკული პროგრამის კონტროლის კომისია

(CICAD) შექმნეს.⁷

ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის ნარკოტიკების წარმოებისა და მისი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის შესაქმნელად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესახებ მეტად დაწვრილებითი და ყოვლისმომცველი საუბარი წიგნის მერვე ნაწილში „ნარკოკონტროლის ფილოსოფია“-ში გვექნება.

7. ზუსტი ინფორმაცია და „უმსხმერალო დანაშაული“

დაგროვილი გამოცდილების, ეფექტური ტექნოლოგიებისა და მოწინავე კანონმდებლობის წყალობით პრობლემებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი და რაც მთავარია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ნებით – თანამშრომლონ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, რაშიც უდიდესია აშშ ნარკობრძნესთან ბრძოლის ადმინისტრაციის როლი.

დაგროვილი გამოცდილების განზოგადობის საფუძველზე ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ ინფორმატორებთან სწორი მუშაობა წარმატების საწინდარია. სწორედ ამიტომ. პირველი, რაც ნარკობრძნესთან ბრძოლის ადმინისტრაციამ გააკეთა, იყო ინფორმატორებთან მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, ვინაიდან ცნობილია, რომ სამართალდამცავთა ოპერაციების წარმატებასა თუ წარუმატებლობას, ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლის მიერ მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტე და მასშტაბები განაპირობებს. ცოდნა იმისა, თუ სად და როგორ უნდა შეგროვდეს ინფორმაცია, დიდ როლს თამაშობს რთული ოპერატიული მუშაობისა და გამოძიების წარმატებით ჩატარებაში.

სამართლებრივი საქმიანობა მნიშვნელოვნად გართულდებოდა, თანამშრომლები კანონსაწინააღმდეგო ფაქტების გამოძიების მსვლელობისას მხოლოდ საკუთარი წყაროებით რომ იფარგლებოდნენ. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. დანაშაულთა უმრავლესობის გახსნა თანამშრომელთა მიერ ინფორმატორისაგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება.

ინფორმაცია – ეს ის ბაზაა, რომელზეც აიგება მთელი გამოძიება. ლოგიკა, ცოდნა და სამეცნიერო პრინციპები გამოუსადეგარია, თუ ვერსიების დამუშავებისას ზუსტი ინფორმაცია არ გამოვიყენეთ. ინფორმაციაზე დამოკიდებულების ხარისხი განაპირობებს დანაშაულის დროულ გახსნას, დამნაშავე პირთა დადგენას და ნივთიერი მტკიცებულებების ამოღებას. აგრეთვე, იმ პროცედურათა ზუსტ დაცვას, რომელზე დაყრდნობითაც

ინფორმაცია უნდა იყოს მიღებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული „უმსხვერპლო დანაშაულის“ სახელს ატარებს. ამ სფეროში ფაქტობრივად უამრავი გაუხსნელი დანაშაული არსებობს, რადგან არც ნარკოტიკების მომხმარებელ - მსხვერპლს და არც დამნაშავე - რელიზატორს ხელს არ აძლევთ დანაშაულის გახსნა. *დაზარალებული თავს დაზარალებულად არ თვლის* და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში მომხდარი ნარკოსპეკულაციის შესახებ მათგან ცნობები არ შედის. ასეთ პირობებში სპეცსამსახური იძულებულია თავისი ინიციატივით, ინფორმატორების გამოყენებით მიიღოს ცნობები ნარკოვაჭრობაზე, საქონლის პარტიებზე, მათ ფასებზე, სასაწყობო მეურნეობებზე, წარმოების ადგილზე, გადაზიდვის საშუალებებზე, ტრასებზე და ა. შ.

ასეთ ინფორმაციას კი ოპერატიული მუშაკი ღებულობს იმ ხალხთან უშუალო კონტაქტით, რომლებიც ნარკობიზნესში არიან ჩართული.¹⁸

ინფორმატორები მუშაობის პროცესში გაწეული სამუშაოსთვის გარკვეულ შეღავათებს იღებენ და *აბეზღებენ*, ეგრეთ წოდებულ, თავის კოლეგებს, პირველ რიგში კი კონკურენტებს. ნარკოტიკებით მოვაჭრე თანდათანობით გზას იკაფავს თავისუფალი ვაჭრობისაკენ და სწორად დაგეგმილი ღონისძიებებით საკმაო წარმატებებსაც აღწევს ნარკობიზნესის იერარქიის კიბეზე. მოწოდებული ინფორმაციებიც შესაბამისად მნიშვნელოვანია, თუმცა ეს „ღონისძიება“ თავისი შესაძლებლობებით *შეზღუდულია* და გარკვეულ ჩარჩოებს ვერ გასცდება.¹⁸

§8. საკონტროლო შესყიდვა და „შენიღბული ოპერაციები“

ნარკობიზნესის სფეროში სიტუაციის მკვეთრი გართულების გამო საჭირო გახდა გაბედული, არასტანდარტული, უფრო ინიციატივიან ღონისძიებათა განხორციელება, კერძოდ ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა.

როდესაც ნარკოტიკებით მოვაჭრენი უშუალო კონტაქტებს ამყარებენ სპეცსამსახურისა და პოლიციის თანამშრომლებთან, იზრდება ინფორმაციის უტყუარობისა და მისი ოპერატიულად მიღების ხარისხი. სწორედ ამიტომ 70-იან წლებში DEA-მ პირველმა დაიწყო დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული ხერხის, ეგრეთ წოდებული, „საკონტროლო შესყიდვების“ ჩატარება ნარკომოვაჭრეთა მიმართ. ნარკოტიკს ყიდულობს პოლიციელი და იგი ნარკოტიკებით მოვაჭრის როლში გამოდის ან ორგანიზებას უკეთებს თავისი ინფორმატორის მიერ ნარკოტიკების შესყიდვის ფაქტს. ასეთი აქციის მიზანია ნარკომოვაჭრის დაჭერა „ნივთიერი მტკიცებით“ ან ოპერატიული კომბინაციებით ნარკოტიკების მომწოდებელთა და მოვაჭრეთა მთელი ქსელის

დადგენა. როგორც ვხედავთ, პოლიციელები არა მხოლოდ მისდევენ ჩადენილი დანაშაულის კვალს, არამედ თითქოს თვითონ არიან დანაშაულის ორგანიზატორები. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების კონსპირაციის დაცვას, რის გამოც ოპერაციაზე მუშაობს და ინფორმაციას ფლობს მხოლოდ ოპერატიულ მუშაკთა გარკვეული წრე და არა მთელი სამსახური.

ინფორმატორების გამოყენება და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ქსელში პოლიციელთა ჩანერგვა შესამჩნევი წარმატების მიღწევის საშუალებას იძლევა. იმისათვის, რომ ოპერატიულ მუშაკთა მხრიდან ავიცილინოთ კანონდარღვევის შესაძლებლობანი – ცდუნებები. ისინი მოქმედებენ მკაცრად რეგლამენტირებული ნორმატიული აქტებითა და ინსტრუქციებით, სადაც მაქსიმალურად შეზღუდულია ინფორმატორთა მოქმედების ფარგლები და ოპერატიულ თანამშრომელთა ვალდებულებები ინფორმატორთა მიმართ. ყველა ეს ღონისძიება ნარკობმზნესთან მებრძოლი სამსახურების ხელმძღვანელთა უდიდესი ყურადღების საგანია; ხშირია კადრების როტაცია.

ასეთი, ეგრეთ წოდებული, „შენიღბული ოპერაციები“ ნელ-ნელა პრაქტიკაში დანერგეს მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა; თუმცა, სულ ცოტა ხნის წინ იგი მიუღებელი იყო იმ ევროპული ქვეყნებისთვის, რომელთა საკანონმდებლო საფუძველია, ეგრეთ წოდებული, „ნაპოლეონის კოდექსი“. ეს უკანასკნელი არ იძლევა უფლებას გამოიყენო აგენტი პროვოკატორი და პოლიციის მიერ ჩატარებული შენიღბული ქმედება უკანონო პროვოკაციად მიიჩნევა.

ასეთი ინიციატივები მოქმედი კანონმდებლობით 1999 წლის 30 აპრილამდე საქართველოშიც აკრძალული იყო.¹ თეორეტიკოსების მოსაზრება ამ შემთხვევაში ასეთი იყო: ეს ნიშნავს ხელი უბიძგო ადამიანს, რათა ჩაიდინოს ის დანაშაული, რომელსაც იგი სხვა შემთხვევაში არ ჩაიდენდა, თუნდაც ოპერატიულ სამსახურს ჰქონდეს უტყუარი ინფორმაციები და დამადასტურებელი სამხილები იმისა, რომ საქმე გვაქვს ნარკოტიკებით მოვაჭრესთან.

მეცნიერთა და თეორეტიკოსთა წინდახედულება ამ შემთხვევაში სავსებით მისაღები და გასათვალისწინებელია, რადგან საიდუმლო თანამშრომლის ინსტიტუტის გამოყენებისას ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, არ დაირღვეს ადამიანის უფლებები და ასეთი მეთოდი გამოიყენოთ უკვე დაწყებული დანაშაულის გამოსავლენად და არ წააქეზოთ დანაშაულის ჩასადენად ალალ მართალი ადამიანი.

80-იან წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა შენიღბულად მოქმედების ტაქტიკა, რამაც თავისი ზეგავლენა საერთაშორისო რეზონანსის მქონე საქმეებზეც მოახდინა. პირველი ნოვატორული იდეა იყო, ეგრეთ წოდებული, **“reverse”** – შენიღბული საქმე. ამ სიტუაციაში საიდუმლო აგენტი იცვლის ფუნქციას და ნარკოტიკების მყიდველის ნაცვლად მოქმედებს, როგორც ნარკოტიკების მომწოდებელი. ეს ახალი იდეა გამიზნული იყო ნარკოტიკების მსხვილი მიმწოდებლებისა და გამაყვრებლების გამოსაშკარავებლად. DEA-ს მუშაკები

იმედოვნებდნენ, რომ მსხვილი ნარკობარონები ახალ მომხმარებლებთან შეხვედრას მოისურვებდნენ და ამ ოპერაციებით ნარკოტიკების მსხვილ პარტიებს ამოიღებდნენ. ახალი შეცვლილი ფუნქციის მიხედვით სპეცაგენტი თვითონ სთავაზობს დიდი რაოდენობის ნარკოტიკებს გასაყიდად და ასე მოიზიდავს დაინტერესებულ კრიმინალს, მის თანხებს. მოლაპარაკებისა და სათანადო ღონისძიებათა გატარების შემდგომ ნარკოტიკების შემსყიდველებს აკავებენ, ამოიღებენ მის ფულს, სატრანსპორტო საშუალებებსა და ნარკოტიკებს.


ასეთი ტაქტიკის დროს უმნიშვნელოვანესია კონტროლის როლი, რათა სპეცაგენტი პირადად არ იქნას ჩათრეული ნარკოტიკების გავრცელებაში. ამიტომაც ამდგავარი ოპერაციების ჩატარების დროს აგენტები მუდმივი და მკაცრი კონტროლის პირობებში მუშაობენ. შტატიისა და ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმა კიდევ უფრო გააფართოვეს ეს პროცესი და მოგვევლინენ როგორც კრეკ-კოკაინის დისტრიბუტორები. მიზანი: დააკაონ შესაძლო შემსრულებლები, ამოიღონ მათი თანხები და ადგილობრივი ნარკობაზისათვის შემოსატანად გამზადებული ნარკოტიკების დიდი პარტიები.

§9. გავყოლოთ ნარკოტიკები მომწოდებელთა მხილების მიზნით

ვინაიდან შენიღბულად მოქმედების ტაქტიკამ გაამართლა, ნარკოტიკების ამოღების შემთხვევებში გაჩნდა ახალი მიმართულება – ტაქტიკის გამო-მუშავება უფრო სერიოზული მიზნის მისაღწევად, ნარკოტიკების მსხვილი ტრანსპორტიორების გამოსააშკარავებლად. ასეთ მსხვილ ორგანიზაციებსა და ეგრეთ წოდებულ „შუამავლებს“ ხშირად სჭირდებათ ისეთი ნედლეულისა და საქონლის შეძენა, რომლის ყიდვა თავისუფლად შეუძლებელია. ფაქტობრივად, ისინი სერიოზულ თანხებს აბანდებენ შემდგომი საქმიანობისათვის კონტაქტების დასამყარებლად.

ნარკობიზნესი, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, მრავალწახნაგოვანი მოვლენაა. მასში შედის ნარკოტიკულ მცენარეთა მოვლა, გადაამუშავება, მზა ნარკოტიკების ტრანსპორტირება, საჭირო პრეკურსორებისა და მაღალი ხარისხის ქიმიურ ნივთიერებათა შეძენა, საჭირო აღჭურვილობისა და აპარატურის ყიდვა, უკანონო ტვირთის გადაადგილება ტრანსპორტის საშუალებებით – გემებით, თვითმფრინავებით, ავტომანქანებით; აბების დამამზადებელი დანადგარების, გენერატორების, მიკროტალღური ღუმელების შოვნა და, რაც მთავარია, დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი თანხების გაკეთილშობილება – ფულის გათეთრება. ყოველივე ეს კარგ ნიადაგს ქმნის შენიღბული ოპერაციების ჩასატარებლად.²⁰

კრეკვა დანიჰერო აჰერიკა (1971-1986წწ.)



ამის მაგალითად გამოდგება ოპერაცია სახელწოდებით **"Grouper"**, რომლის მომზადებასაც დიდი დრო დასჭირდა.

DEA-ს აგენტთა ჯგუფმა შექმნა ტვირთების გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების სერვისი, რომელიც იმ დროის უძლიერეს კოლუმბიელ ნარკოტიკებით, კერძოდ, *მარიხუანი* და *კოკაინით* მოვაჭრეებს ემსახურებოდა. მათ გახსნეს ნარკოტიკების წარმოებისათვის საჭირო სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებისა და მოწყობილობის სავაჭრო მაღაზია. თითქმის ერთი წლის განმავლობაში ფუნქციონირების შემდგომ, მაღაზიას შეუკვეთეს ერთ-ერთი სახეობის ქიმიური ნივთიერება, რომელიც მოთავსებული იყო რამდენიმე ასეულობით ცალ დიდი მოცულობის ჭურჭელში. ამ უკანასკნელში ჩაამონტაჟეს გადამცემი, რომელსაც თანამგზავრიდან აკონტროლებდნენ. ტვირთის კონტროლმა ოპერატიული თანამშრომლები სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში მიიყვანა, სადაც კონსპირაციულად მოქმედებდა კოკაინის მწარმოებელი დიდი ლაბორატორია. აშშ სანაპირო დაცვისა და აშშ საბაჟო სამსახურის მიერ ამოღებულ იქნა მნიშვნელოვანი თანხები და დიდი რაოდენობით ნედლეული. *ოპერაცია არ გამოაშკარავებულა მთელი სამი წლის განმავლობაში და 1981 წლის მარტში წარმატებით დათავრდა* – დააკავეს მნიშვნელოვანი ფიგურები, 14 უდიდესი ნარკოოპერაციის ორგანიზატორი. მათზე მოდიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოტანილი მარიხუანის 40 პროცენტი. **DEA**-ს აგენტების ნარკობიზნესის ხაზოვან კონტრაბანდისტთა სფეროში შეღწევამ გამოძიება ერთობ გააიოლა, რის შედეგადაც ამოიღეს 100 მილიონი დოლარის ნარკოტიკი – 12 ათასი ფუტი მარიხუანა, 831 ფუტი კოკაინი, კოკაინის და მისი საწყისი პროდუქტის 3 მილიონი პორცია; დააკავეს 30 გემი და 2 თვითმფრინავი, რომელთა ღირებულებამ 20 მილიონი დოლარი შეადგინა. სულ პუერტო-რიკოსა და ამერიკის 7 შტატში დააკავეს 122 პიროვნება.²¹

§10. ტვირთის გაცილების ტექნიკა

ჩატარებული ღონისძიებები ნათლად აჩვენებს, რომ ნარკოტიკები წარმოების ადგილებიდან (*კოკასა და ოპიუმის პლანტაციებიდან*) უშუალოდ მომხმარებლამდე მრავალჯერ განიცდის სახეცვლილებას, რასაც ყოველთვის თან ახლავს მათი გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეში. ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილენი იძულებული არიან ნარკოტიკების დიდი პარტიები, მათი წარმოებისათვის საჭირო ნივთიერებები, აგრეგატები და სხვა სახის ტვირთები მუდმივად გადაადგილონ დიდ მანძილებზე, რომელიც უამრავ ქვეყანას და ზოგჯერ რამდენიმე კონტინენტსაც კი გადაჰყვით. ასეთი უკანონო ტვირთის გაცილებაში მონაწილე ყველა პირის გამოსაშკარავებლად – საწყისი ეტაპიდან მის მიღება-განაწილებამდე საჭირო გახდა ისეთი მეთოდის შექმნა და

პრაქტიკაში განხორციელება, როდესაც უკანონო ტვირთები ოპერატიული სამსახურების მეთვალყურეობით გადაადგილდებოდა, ანუ, როგორც მას სპეცსამსახურები უწოდებენ, განხორციელდებოდა „კონტროლირებადი მიწოდება“.²²

გაეროს ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამის (ამ სტრუქტურაზე საუბარი ქვემოთ გვექნება) მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კონტროლირებადი მიწოდება წარმოადგენს ნარკოტიკებზე კანონის დაცვის უზრუნველყოფის ეფექტურ მეთოდს, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს აძლევს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საერთაშორისო ორგანიზაციის იმ წევრების გამოვლენის საშუალებას, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ტრანზიტს საერთაშორისო საზღვრების გავლით ახორციელებენ.

კონტროლირებადი მიწოდება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ნარკოტიკების კონტრაბანდაზე პასუხისმგებელი იურიდიული და ფიზიკური პირი, რათა ოპერაცია მხოლოდ ნარკოტიკების ამოღებით არ შემოიფარგლოს. კონტროლირებადი მიწოდების საშუალებით ვლინდება ნარკოტიკების არა მხოლოდ მიმწოდებელი და მიმღები, არამედ არალეგალური ტვირთების კონტრაბანდასთან დაკავშირებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობა, დამნაშავეთა მიერ გამოყენებული მარშრუტები, არხები, ტრანსპორტირებისა და შენიღბვის ხერხები.

კონტროლირებადი მიწოდების მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეთა დაკავება მხოლოდ ოპერაციის დასკვნით ეტაპზე უნდა მოხდეს. მის ეფექტურ განხორციელებაში უდიდესი მნიშვნელობა სპეცსამსახურების, პოლიციისა და საბაჟო სამსახურების ერთობლივ, შეთანხმებულ მოქმედებას ენიჭება.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კონტროლირებადი მიწოდება დაშვებულია ამ ქვეყნის კანონმდებლობით. აშშ, საფრანგეთის, შვეციის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ავსტრიის, საბერძნეთის, ესპანეთის, კოლანდიის, პორტუგალიის, ნორვეგიის, ლუქსემბურგის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების მთავრობათა შორის დადებულია ხელშეკრულებები მსგავსი ოპერაციების ერთობლივად განხორციელების თაობაზე. აღნიშნულის საფუძველს იძლევა გაეროს 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ დოკუმენტის მე-11 მუხლში მითითებულია, რომ სამართალდარღვევებში ჩართულ პირთა დადგენის მიზნით ნარკოტიკების ტრანსპორტირება დაშვებულია კომპეტენტური ხელისუფლების ზედამხედველობითა და კონტროლით.²³

კონტროლირებადი მიწოდებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

– საკმარისი ალბათობა იმისა, რომ გამოყენებულ საშუალებათა გამართლების მიზნით სწორად განისაზღვროს კონტრაბანდული ტვირთის მიწოდების მეთოდი და მონაწილე პირები;

– იმ ქვეყნის საკანონმდებლო დებულებები, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება მიწოდება;

– საკმარისია თუ არა დრო სატრანზიტო ქვეყნების მიერ ყოველმხრივ შეთანხმებული და მისაღები გეგმის შესამუშავებლად;

– შესაძლებელია თუ არა საჭირო კონტროლის უზრუნველყოფა და შესაბამისი ზედამხედველობის გაწევა ტვირთის მოძრაობის მთელ მარშრუტზე;

– საკმარისია თუ არა კავშირის საშუალებები, შესაბამის ხელისუფლებებს შორის ოპერაციის მსვლელობისას სათანადო კონტროლის უზრუნველსაყოფად.


როგორც ვხედავთ, კონტროლირებადი მიწოდებისას უდიდესი როლი ენიჭება მნიშვნელოვანი ინფორმაციების *საიმედო არხებით* გადაცემას, რადგან *ასეთი არხებით* უკავშირდებიან ერთმანეთს მსოფლიოს უდიდესი *აეროპორტების, ნავსადგურებისა და საბაჟო გამშვები პუნქტების შესაბამისი სამსახურები.*

ხშირად მთავარი საბოლოო შედეგის მიღების მიზნით იგნორირებულია ზოგიერთი ქვეყნის ტრადიციული პრეტენზია, როცა იგი მონდომებულია საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე დააკავოს და ამოიღოს დიდი რაოდენობით ნარკოტიკი. ასეთ შემთხვევაში უარს ამბობენ კერძო ინტერესებზე და ყველას სურვილია იმოქმედოს ერთი საერთო მიზნის მისაღწევად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციის მიხედვით კონტროლირებადი მიწოდება *სამ ძირითად ტიპად იყოფა: შიდა, გარე და სუფთა.*

შიდაკონტროლირებადი მიწოდება არის ისეთი ოპერაცია, რომელიც ერთი ქვეყნის შიგნით ხორციელდება. ასეთი ოპერაციის მიზანია ხელუხლებლად დატოვოს ნარკოტიკების პარტია ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ამოიღოს იგი და შეცვალოს უვნებელი ნივთიერებით, ხოლო ტვირთს დაუბრუნდეს პირვანდელი გარეგნული სახე.

ნარკოტიკების შიდაკონტროლირებადი მიწოდების ოპერაციაში საბაჟო კონტროლის გარეშე გადაგზავნილ ტვირთში ნარკოტიკების აღმოჩენისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვას. ნარკოტიკების აღმოჩენის ფაქტის ვადამდე გახმაურება *კონტროლირებადი მიწოდების* ოპერაციას აზრს უკარგავს. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამოღებული ნარკოტიკების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. ოპერაციის მაკონტროლებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ კონტრაბანდისტების გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს ტვირთის მიწოდების შეჩერებას ოპერაციის დაწყებამდე და



ამიტომ მზად უნდა იყოს ამისათვის, რათა შეეცადოს აღკვეთოს სიტუაციის ასეთი განვითარება.

გარეკონტროლირებად მიწოდებად ითვლება ისეთი ოპერაციები, რომლებიც ტარდება *ორი ან რამდენიმე ქვეყნის* ტერიტორიაზე.

მისი განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

– *იმ ქვეყნების საკანონმდებლო დებულებები, რომელთა ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება მიწოდება;*

– *საკმარისია თუ არა დრო სატრანზიტო ქვეყნების მიერ ყოველმხრივ შეთანხმებული და მისაღები გეგმის შესამუშავებლად;*

– *შესაძლებელია თუ არა სათანადო კონტროლის უზრუნველყოფა და შესაბამისი ზედამხედველობის გაწევა ტვირთზე, მისი მოძრაობის მთელ მარშრუტზე;*

– *არის თუ არა საკმარისი აღბათობა იმისა, რომ გამოყენებულ საშუალებათა გამართლების მიზნით სწორად განისაზღვროს კონტრაბანდული ტვირთის მიწოდების მეთოდი და მონაწილე პირები;*

– *საკმარისია თუ არა ოპერაციის მსვლელობისას კავშირის საშუალებები, შესაბამის ხელისუფლებებს შორის სათანადო კონტროლის უზრუნველსაყოფად.*

საბაჟო შემოწმების შედეგად ნარკოტიკების აღმოჩენისას წარმოიქმნება სხვადასხვა სახის სირთულე, კერძოდ, ნამდვილი ნარკოტიკების შესაცვლელად ყალბი ნარკოტიკების დამზადებისათვის საჭირო დროის სიმცირე; მოსაზღვრე ქვეყნის ხელისუფლებასთან კავშირის დამყარება და ურთიერთქმედების ორგანიზება (ტვირთის შეცვლასთან დაკავშირებულმა შეყოვნებამ შეიძლება დააეჭვოს კურიერი და ტვირთის გამცილებელნი).

ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია:

– *წინასწარ გამზადდეს ფალსიფიცირებული ტვირთი;*

– *ტვირთს შემდგომი იდენტიფიკაციისთვის გაუკეთდეს მარკირება;*

– *მოხდეს ტვირთისა და კურიერის ფოტოგადაღება;*

– *შეძლებისდაგვარად გადამოწმდეს დანიშნულების მისამართზე ადრე მისული ტვირთისა და საქონლის პარტიები ან დოკუმენტაცია;*

– *შეგროვდეს ცნობები ტვირთის გამგზავნისა და მიმღებზე.*

რადგანაც ნარკოტიკების აღმოჩენა დროის მცირე მონაკვეთში ხდება, გარეკონტროლირებადი მიწოდების განხორციელებისას სასურველია წინასწარ იქნეს შეთანხმებული მოქმედების გეგმა და ამ დროს მოსალოდნელი სხვადასხვა გარემოება–სირთულეები. ეს შეთანხმება უნდა მოხდეს ყველა იმ ქვეყანასთან, რომელთა მონაწილეობაც შეიძლება საჭირო გახდეს ასეთ ოპერაციებში. ამიტომ ყველა სიტუაცია, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას გარეკონტროლირებადი მიწოდების დროს, უნდა წინასწარ იქნას განხილული.

ნარკობიზნესთან ბრძოლის სფეროს საერთაშორისო ექსპერტები თვლიან, რომ გარეკონტროლირებადი მიწოდების ჩატარებისათვის სახსრების ხარჯვას აზრი არა აქვს, თუ მისი ერთადერთი შედეგი *ნარკოტიკების ამოღება და კურიერის დაპატიმრება* იქნება. ამიტომ ნარკოტიკების აღმოჩენის ყოველი ფაქტი კონკრეტულად უნდა იყოს განხილული.

ჩვეულებრივ პრაქტიკაში უპირატესობა სუფთა კონტროლირებად მიწოდებას *ენიჭება*, რაც ნიშნავს *აღმოჩენილი ნარკოტიკების მთლიან ან ნაწილობრივ შეცვლას სხვა ნივთიერებით*. ასეთი ოპერაციები ტარდება მაშინ, როდესაც უკვე არსებობს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ პირთა დანაშაულებრივი საქმიანობის მტკიცებულებები, ან მტკიცებულებათა მოპოვება ყოველგვარი სირთულეების გარეშეა შესაძლებელი. ეს მეთოდი მთლიანად გამორიცხავს ნარკოტიკების *დაკარგვის* საფრთხეს და *აღუნებს* კურიერისა და ექვმიტანილი პირების *სიფრთხილს*.

დღეს ტვირთის საჰაერო ნაკადის გაზრდის, მისი ოპერატიული გადაადგილების, შემოწმებისათვის გამოთვლილ მცირე დროისა და სხვა ფაქტების გათვალისწინებით საერთაშორისო ნარკობიზნესი ხშირად იყენებს საჰაერო ტრანსპორტს.

ტვირთის ასეთი უკანონო გადაადგილების წინააღმდეგ მსოფლიოს და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნები მუდმივად ახორციელებენ შესაბამის ოპერაციებს.

ოპერაციის *უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს* წარმოადგენს დანიშნულების აეროპორტში *შეტყობინების სწრაფი და ზუსტი გადაცემა*. ფრენის მოკლე ვადის შემთხვევაში ჩვეულებრივ იყენებენ *ტელექსს ან ფაქსს*. მაგალითად, შეტყობინება „ამსტერდამი—ლონდონი“ ტელეფონით 30 წამში გადაიცემა.

ვინაიდან ოპერაციის წარმატება მკაცრ კონსპირაციაზე დამოკიდებული, მათი ჩატარების ზუსტი თარიღები გადაიცემა დაწყებაამდე მცირე ხნით ადრე, *კოდირებული შეტყობინებით*.

1986 წელს ინფორმაციების ურთიერთგაცვლის საფუძველზე ოპერაციებში მონაწილეობდა ევროპის თანამეგობრობის 14 ძირითადი აეროპორტი (*ამსტერდამი, ათენი, ბრიუსელი, კოპენჰაგენი, დუბლინი, მაინისფრანკფურტი, ლისაბონი, ლონდონის „ტატივიკი“, ლონდონის „პიტროუ“, ლუქსემბურგი, მადრიდი, პარიზის „შარლ დე გოლი“, პარიზის „რუსი“ და რომი*). 1987 წელს მათ მიემატა *ციურიზის აეროპორტი*, ხოლო 1998 წელს ოპერაცია გავრცელდა ევროპაში თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის კიდევ ოთხი ქვეყნის აეროპორტებზე (*პელსინკი, ოსლო, სტოკჰოლმი, ვენა*).

ამის შემდეგ აეროპორტებში ნარკოტიკების დიდ კონტრაბანდულ პარტიათა დაკავების რამდენიმე წარმატებული ოპერაცია განხორციელდა.

§11. კონტრაბანდული გადაზიდვების ძირითადი ხერხები

საბაჟო, პოლიციისა და სპეცსამსახურის თანამშრომლებს ევალებათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ტრანზიტულ მგზავრებს, რომლებიც გადაჯდომის პუნქტებში საბაჟო კონტროლის გარეშე ცდილობენ შეღწევას.

რაც შეეხება მოდილო გაბარიტების გაცილებისგარეშე დარჩენილ ტვირთებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონტეინერებს და მონოლითურ დიდგაბარიტიან ტვირთებს. მაგალითად, დანიის საბაჟო სამსახური დეტალურად სწავლობს არა მხოლოდ საექვო კონტეინერებს, არამედ მათ თანმხლებ საბუთებსაც.

საბაჟო და პოლიციის სამსახურები არალეგალური ტვირთების გამოვლენის მიზნით ცდილობენ თანამშრომლობაში ჩართონ სხვადასხვა კომერციული და სხვა ორგანიზაციები. ასე მაგალითად, აშშ საწყლოსნო კომპანიები საბაჟო სამსახურებსა და პოლიციას გადასცემენ ცნობებს საექვო კონტრაქტების შესახებ.

იღებენ რა მხედველობაში ნარკოსაქმონების მიერ საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით ნარკოტიკების კონტრაბანდის ფაქტების სიხშირეს, აშშ ნარკობიზნესთან ბრძოლის სამსახურმა (DEA) საავიაციო და საზღვაო (სამდინარო) ტექნიკის სპეციალური ცნობარებიც კი გამოცა.²⁴

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონტრაბანდისტები ტვირთის არალეგალური გადატანისათვის სარგებლობენ ტრანსპორტის პრაქტიკულად ყველა სახეობით: საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო, სარკინიგზო, ასევე, საფოსტო ამანათებით. განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ ტრანსპორტის პირველ სამ სახეობას.

უცხოელი სპეციალისტების აზრით, ნარკოტიკების კონტრაბანდული გადაზიდვის ძირითადი ხერხები მოიცავს:

- საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვას (ასეთი ვითი ჩვეულებრივ გადააქვთ ძლიერი ნარკოტიკები);

- საზღვაო (სამდინარო) ტრანსპორტით გადაზიდვას (ეს ხერხი იძლევა ნარკოტიკების დიდი პარტიების გადაზიდვის საშუალებას);

- დიდი ტევადობის ავტოსატრანსპორტო გადაზიდვები (მაგალითად, TIR-ის ტიპის სატვირთო მანქანები);

- სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვები;

- ფოსტით გადაგზავნა (ამ საშუალებით, ჩვეულებრივ, ცდილობენ „ძლიერ ნარკოტიკთა“ მცირე რაოდენობის გადაგზავნას).

ნარკოტიკების კონტრაბანდისტები არალეგალურად ტრანსპორტირებადი ნარკოტიკების გადაზიდვისას იყენებენ შენიღბვისა და დაფარვის სხვადასხვა ხრიკებს. მათ შორის ასახელებენ შემდეგს:

- კომერციულ ტვირთებში ნარკოტიკების პარტიების შენიღბვა;
- ჩვეულებრივი ამანათებით ნარკოტიკების გადაგზავნა (წერილები, ბანდეროლები, ამანათები);
- ნარკოტიკების დამალვა ავტომანქანების დეტალებში;
- არალეგალური ტვირთის განთავსება სპეციალურ ჩემოდნებში;
- კურიერის სხეულზე ნარკოტიკების დამალვა.

ასევე ფართოდ გავრცელებულია ეგრეთ წოდებულ „გადამყლაპავ კურიერთა“ გამოყენება, პირებისა, რომლებიც ყლაპავენ სპეციალურად შეფუთულ ნარკოტიკებს. ამ ხერხმა განსაკუთრებული გავრცელება ჰქონდა ნიგერიელ მოქალაქეთა შორის.

გადამზიდები, რომლებიც ნარკოტიკების მომწოდებელი ქვეყნებიდან მოდიან, ყოველი შემთხვევისათვის აკეთებენ ერთ ან რამდენიმე გადაჯდომას, რათა დაფარონ თავიანთი გამგზავრების ადგილი და თავიდან აიცილონ მოსალოდნელი კონტროლი მოგზაურობის საბოლოო პუნქტში.

ასეთ ხრიკთა აღკვეთის მეთოდი ემყარება, უპირველეს ყოვლისა, გადაჯდომისა და დანიშნულების პუნქტების აეროპორტთა შორის მჭიდრო თანამშრომლობას. სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლები ტრანზიტის აეროპორტში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ რეგიონებიდან მომავალ რეისებს, რომლებითაც სარგებლობენ ნარკოტიკების მწარმოებელი ან სატრანზიტო ქვეყნები. ისინი ავლენენ საეჭვო ტრანზიტულ მგზავრებს და ინფორმაციას დანიშნულების აეროპორტს გადასცემენ.

საეჭვო პირები გამოირჩევა ბილეთებით (მაგალითად, რომლის ბილეთის შეძენის ადგილი არ ემთხვევა საცხოვრებელ მისამართს), სატრანსპორტო შენობაში მგზავრთა ქცევაზე დაკვირვებით, ტვირთის შემოწმებით. ეს ქმედებები შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში მოიცავდეს ეჭვმიტანილთან პირდაპირ ან ფარულ კონტაქტს.²⁵

დაკვირვების ობიექტის მიერ ბოლო წუთში მარშრუტის შეცვლის რისკის თავიდან ასაცილებლად, საბაჟოსა და პოლიციის თანამშრომლებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი იმის შესახებ, რომ მათ თვალყური ადევნონ საეჭვო მგზავრებს მანამ, სანამ ისინი თვითმფრინავში არ ავლენ.

ამიტომ საბაჟო სამსახური, პოლიცია და სპეცსამსახურები კონტროლირებადი მიწოდების ოპერაციაში ძირითად ყურადღებას უნდა უთმობდნენ ნარკოტიკების კონტრაბანდული ტვირთის ოპერატიული აღმოჩენისა და ფიქსირების ორგანიზებას საზღვაო, საჰაერო პორტებში, საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტის სასაზღვრო პუნქტებში.

თავი II

ნარკოპიზმისგან ამოგებული „ჭუჭყიანი“ ფულის ლეგალიზება – გათეთრება დანაშაულებრივ ორგანიზაციათა საქმიანობაში

„ფულის გათეთრების პირველი მაგალითები
საცნაური გახდა ინგლისელების მიერ
ჩინეთიდან ინდური ოპიუმის ექსპორტთან
ერთად, 1870 წლის მიწურულს.“
ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიიდან

ქI. საერთაშორისო ორგანიზაციები ფულის ლეგალიზება – გათეთრების შესახებ

დანაშაულებრივი ორგანიზაციების უმთავრესი მიზანი უდიდესი ზეშე-
მოსავლების მიღებაა, რომლის მნიშვნელოვანი წილი ნარკოტიკებით ვაჭრობიდან
შემოდის, თუმცა შემოსავლების არანაკლები რაოდენობა ორგანიზებულ
დანაშაულებათა სხვა ფორმებზეც მოდის, რომლებიც საბოლოო ანგარიშში
მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ექცევა. დანაშაულებრივი ჯგუფების უმთავრესი
პრობლემა ამ ახალ ეტაპზე უკანონო შემოსავლებიდან ამოგებული ფულადი
სახსრების ნებისმიერი გზით ლეგალიზება – გათეთრებაა, როგორც ამას საბანკო
პრაქტიკაში უწოდებენ.

1990 წელს ჰავანაში გამართულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
კონგრესზე შემოთავაზებული იქნა ფულადი სახსრების გათეთრების სამუშაო
განსაზღვრება, რომელიც საფინანსო-ეკონომიკური კომისიის სპეციალურმა ჯგუფმა
გამოიმუშავა (GAFI); იგი შემდეგში მდგომარეობს:

– ქონების გარდაქმნა ან გადაცემა, როცა ცნობილია, რომ ეს ქონება
დანაშაულის გზით შეიძინეს, ხოლო მიზანი ქონების არაკანონიერი წარმოშობის
დაფარვა ან შენიღბვა იყო;

– დახმარების გაწევა იმ პირისთვის, რომელიც ჩართული იყო ამ
დანაშაულში ან დანაშაულდებში, რათა თავიდან აეცილებინათ მსგავს ქმედებათა
სამართლებრივი შედეგები;

– დაგროვილი ქონების ჭეშმარიტი წყაროს დაფარვა ან შენიღბვა;

– ქონების ადგილმდებარეობის, განლაგების გადაადგილება, შეცვლა;

– ქონების მიმართ უფლების მოპოვება, თვით ქონების დაკანონება, როცა

ცნობილია, რომ ეს ქონება შეიქმნა დანაშაულის შედეგად, კანონდარღვევით, დაფარვით ან შენიღბვით;

– ქონების შექმნა, ფლობა ან გამოყენება, თუ მიღების მომენტში ცნობილია, რომ ეს ქონება დანაშაულის შედეგად ან დანაშაულში მონაწილეობის მიღების აქტის შედეგად წარმოიშვა.²⁶

§2. ფულის გათეთრების თანამედროვე სემპენტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები ფულის გათეთრების პროცესში შემდეგ საფეხურებს გამოყოფენ:

პირველი – შემოსავლები საფინანსო სისტემებში ნატურალური სახსრების სახით ბანკების ან სხვა ფინანსურ დაწესებულებათა მეშვეობით ჩაიშვება. იმ ქვეყნებში, სადაც დიდ ფულად მასასთან დაკავშირებით საჭიროა შემოსავლების დეკლარაციათა წარდგენა, გათეთრების პროცესი, როგორც წესი, დიდი რაოდენობის მცირე გარიგებების მეშვეობით ხორციელდება, ანუ დიდი ფულის, ეგრეთ წოდებული, *დანაწილების* გზით. ალტერნატიული მიდგომაა სახელმწიფო საზღვარზე დიდი ფულადი მასის ფარულად კონტრაბანდული გზით გადატანა და მისი განთავსება იმ ქვეყნებში, სადაც შემოსავლის დეკლარირების მოთხოვნები ნაკლებ მკაცრია.

მეორე საფეხური დაკავშირებულია ფართოდ ცნობილ მეთოდთან *განცალკევება*. ამ საფეხურზე სახსრები გამოეყოფა უშუალოდ მისი დაფინანსების წყაროს სახსრების წარმოშობისა და მათი კვალის დაფარვის მიზნით, რითაც გაძნელებდა აუდიტორული შემოწმება.

მესამე საფეხური გულისხმობს *ინტეგრაციას* ანუ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების ლეგალურ ეკონომიკაში დანერგვას, რაც აღარ იწვევს ეჭვებს და მათ წყაროს ასე თუ ისე რაღაც კანონიერ სახეს ანიჭებს. მესამე საფეხურზე შესაძლებელია უძრავი ქონების შექმნა (მოპოვება).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა მასალებში ფულის გათეთრების საფეხურები *სხვაგვარადაა* წარმოდგენილი:

პირველი – ნაღდი ფულის გადარიცხვა *ცრუმაგიერი პირის ანგარიშზე*;

სპეციალური სამსახურის ზოგიერთ თანამშრომელთა მონაცემებით პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ცრუმაგიერი პირის როლს ნარკოსაქმოსნის ახლო ნათესავი ასრულებს (მაგალითად, ნარკოტიკებით მსხვილი მოვაჭრის და). ამ შემთხვევაში დაცულია მხოლოდ ერთი პირობა – შუამავალს ბანკში პირადი ანგარიშები უნდა ჰქონდეს. ბოლო დროს შეიმჩნევა ტენდენცია, როცა ნარკოსაქმოსნები ისეთ შუამავლებს ეძებენ, რომლებიც საერთაშორისო ბანკებთან კავშირზე გადიან.

მეორე – ნაღდი ფულადი სახსრების განაწილება და რეალიზაცია ბანკის საგადასახადო დოკუმენტებისა თუ სხვა ფასიანი ქაღალდების მეშვეობით ხდება;

სათანადო სამსახურებისათვის, რა თქმა უნდა, რთულია თვალყურის დევნება, თუ სად გაანაწილეს ნარკოსაქმოსნებმა ნაღდი ფულადი მასა. ამიტომ ამ საფეხურზე საჭიროა ცნობების მიმწოდებელთა ინფორმაციის ქსელი, ეგრეთ წოდებული *სიგნალები*, რომელიც პოლიციას მიაწოდებს ზუსტ ცნობებს ფულადი მასის უკანონო ბრუნვის შესახებ.

საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნაღდი ფულადი სახსრების განაწილება ძირითადად ვალუტის გაცვლის პუნქტებში, კაზინოებსა და ღამის კლუბებში ხდება.

მესამე – ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვა;

დამნაშავის წინაშე, რომელიც ნარკოდოლარებს *ათეთრებს*, ამ საფეხურზე დგას რამდენიმე ამოცანა:

მიიღოს ყველა ზომა, რათა *უცხო პირმა ვერ დაადგინოს ფულის წყარო* და ვის მიერაა იგი განაწილებული ამა თუ იმ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში (*მაგალითად*, ანგარიში იმ ბანკში გახსნას, რომელიც როგორც წესი, დამნაშავის საცხოვრებელი თუ სამუშაო ადგილებიდან შორს მდებარეობს);

ფულის გადმოვ ზაენა საზღვარგარეთიდან იმ ქვეყანაში, სადაც თვითონ ცხოვრობს, მაგრამ უკვე *ლეგალურად*, ფირმების ან სხვა დაწესებულებათა ახალი ანგარიშებიდან;

საბანკო ანგარიშების არალეგალური სისტემის გამოყენება. ასეთი სისტემა ძლიერ გავრცელებულია ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის სახელმწიფოებში – *ჩინეთში, ინდოეთსა და პაკისტანში* (ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მცხოვრებს, რომელსაც კავშირი აქვს ნარკობიზნესის შედეგად ამოგებული ფულის *გათეთრებასთან*, შეუძლია ნაღდი ფული გადასცეს სხვა სახელმწიფოს დაინტერესებულ პირს, *მაგალითად* პაკისტანის მოქალაქეს; ფუნჯაბელი პუშტუნი ან ამ ქვეყნის სხვა წარმომადგენელი ფულში ევროპელს თავის საკრედიტო ბარათს უცვლის, ევროპელი კი ამ ბარათის საფუძველზე შესაფერის თანხას პაკისტანის ტერიტორიაზე იღებს).

პაროლური სისტემის დაწესება.

ნარკობიზნესით დაკავებულ დაჯგუფებებს შორის კავშირი რომელიმე ევროპულ ქვეყანაში, *მაგალითად* გერმანიაში შეიძლება იყოს პაროლური – რამდენიმე მარკის ორად გაჭრილი ნახევარი კუპიურა. ინფორმაციის გაცვლა - გამოცვლა და ფულის გადაცემა ხდება პაროლით – ამ კუპიურის ორი ნახევრის ერთმანეთთან შედარებით. ასეთი სისტემა უდავოდ ძალზე ეფექტურად მოქმედებს, რადგან პოლიციისთვის ძნელია ამის გამოაშკარავება – გამოცნობა.

მეოთხე – ფულადი მასის ინტეგრაცია.

ცნობილია, რომ ნარკოსაქმოსნები ბიზნესში ძლიერ ოსტატურად

მოქმედებენ. თუ შესაძლებელია, რომ მაღალი შემოსავლის წყაროდ ამა თუ იმ სახელმწიფოს გასაღების ბაზარი იქცეს, მაშინ დამნაშავე გაერთიანებები (ჯგუფები), რომლებიც ყოველთვის უტყუარსა და სრულ ინფორმაციას ფლობენ, ნარკოფულის დიდ რაოდენობას შესაფერის სტრუქტურებში ჩაღებენ.

§3. დაწერილებითი საბანკო ანგარიშსწორებანი

1999 წლის ივნისის თვეში გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ დაბეჭდა ინფორმაცია შვეიცარიის ბანკის მიერ უკანონო ფულის ლეგალიზებაზე კონტროლის გამკაცრების შესახებ.²⁷ სტატიაში მოცემულია სტატისტიკა იმის თაობაზე, რომ უკანონო გზით ნაშონი ფულის შესაძლო ლეგალიზების შესახებ ცნობების რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა მას შემდეგ, რაც გასულ წელს შვეიცარიამ მიიღო კანონი *დაწერილებითი საბანკო ანგარიშსწორების შესახებ*. ეს კანონი ალპური ქვეყნის მცდელობა იყო, თავისი შერყეული საბანკო რეპუტაციის გამოსასწორებლად.

ფედერალური პოლიციის სამსახურმა 210 „სიგნალი“ მიიღო 270 მლნ დოლარის საერთო რაოდენობის ანაბართან დაკავშირებით, რაც გაცილებით დიდი მატებაა 1998 წლის აპრილიდან, როცა ახალი კანონი ძალაში შევიდა. *ერთ-ერთ სიგნალში ლაპარაკი იყო 32 მლნ დოლარის ანაბარზე, თუმცა დანარჩენი სიგნალების დიდი ნაწილი ძირითადად მცირე თანხებს ეხებოდა, საშუალოდ 2 მლნ დოლარამდე, – განაცხადა უკანონო ფულის ლეგალიზებაზე საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა დანიელ ტელესკლაფმა (ეს სამსახური პოლიციის სამმართველოს სტრუქტურაში შედის); იმ ფულის 80 პროცენტი, რომელზეც სიგნალებშია ლაპარაკი, უცხოელთა ფულია. სპარსეთის ყურის რეგიონის ერთ-ერთი ქვეყანა შვეიცარიის ბანკში ყალბი მილიონობით დოლარის შეტანასაც კი შეეცადა. ყალბი ფული საბოლოო ანგარიშში ჩართული არ იქნება“*, – აღნიშნავს ტელესკლაფი.

შვეიცარიის კანტონური და ფედერალური პროკურორები ამჟამად სიგნალების მეშვეობით 100-მდე საქმეს განიხილავენ – უკანონო ტრანსაქციების ძირითადი ნაწილი *ვენევის, ციურიხისა და ტიჩინოს* წილად მოდიოდა.

ტელესკლაფმა განაცხადა, რომ ბრალდებათა წამოყენების დრო ჯერ არ მოსულა, საქმეთა უმრავლესობა შვეიცარიის სამსახურების სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას საჭიროებს (*მათ შორის, საქართველოსთან, ჯ.ჯ.*) რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. მაგრამ ანაბრების უმრავლესობა, რომელთა მიმართ გამოძიება წარმოებს, დაბლოკილია სამართალდამცავი ორგანოების მიერ პროკურატურის სანქციით.

საექვო ტრანსაქციებისადმი კონტროლი გაიზარდა თვით საბანკო

სფეროშიც, საიდანაც სამართალდამცავებმა 80-მდე სიგნალი მიიღეს.

ასეთი უკანონო ოპერაციების თაობაზე ცნობების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, ინფორმაცია მაინც არ არის საკმარისი, თუ გავითვალისწინებთ შვეიცარიის განსაკუთრებულ როლს საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში.

თვალსაზრისი: *საჭიროა საქართველოშიც დამკვიდრდეს სიგნალების ტრადიცია, რის შედეგადაც განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდება არასაბანკო სფეროში მოღვაწე ფინანსური მოთამაშეები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ფულთან დაკავშირებული საქმეები მკაცრად გასაიდუმლოებული და ბნელითაა მოცული.*

ამჯერად, გადაუღებლად მოკლე ვადაში საჭიროა შეიქმნას უკანონო ფულის ლეგალიზების მაკონტროლებელი სპეციალური სამსახური, რომელიც ყოველწლიურად გამოაქვეყნებს მონაცემებს სიგნალების შესახებ საეჭვო ტრანსაქციების საერთო მოცულობის თაობაზე და აქტიურად იმუშავებს მათ გარშემო სხვა ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან კონტაქტში.

§4. დიდი ფულადი მასის ინტეგრირება

ნარკოსაქმოსნები ლეგალურად ცდილობენ იმ ფირმების ანგარიშებზე ინტეგრირებას, რომელთაც *საზღვარგარეთზე აქეთ გასვლები*. ამ მიზნებს ემსახურება *მაგალითად, ერთობლივი საწარმოები*; ჩვეულებრივად, ასეთ ფირმებში თავიანთ ნდობით აღჭურვილ პირებს აწყობენ, რომლებიც უკვე ლეგალურად აგზავნიან საზღვარგარეთ დიდ ფულად მასას. ამჟამად გამოიკვეთა ტენდენცია, როცა დანაშაულებრივი გზით ამოგებული ფული მსგავსი საწარმოებისა და ფირმების მეშვეობით რუსეთის ფედერაციასა და *დსთ*-ს სხვა სახელმწიფოებში გაედინება.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში არსებობენ ბანკები, რომლებიც არ არიან დანიტერესებული შესაბამის სამსახურებს მიაწოდონ ინფორმაცია – სიგნალები თავიანთ კლიენტურაზე. ამდგვარი გარანტია, როგორც ჩანს, იზიდავს კლიენტებს. აქ ლაპარაკია უმთავრესად *ოფშორულ საბანკო ბიზნესზე*, რომელიც ამჟამად ყველაზე პერსპექტიულ და საკმაოდ მაღალშემოსავლიან ბიზნესად ითვლება და მისი პოპულარობა ორი მიზეზით აიხსნება:

პირველი – ბანკების მიერ თავისი კლიენტებისგან მიღებული შემოსავლიდან მცირე ნაწილის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა;

მეორე – ბანკის დამფუძნებელთა რიცხვში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლის ყოფნის აუცილებლობა (შესაბამისად, ადგილობრივი მცხოვრების

მოწვევა ასეთ დაწესებულებაში სამუშაოდ). მცირე ქვეყნები, სადაც თავისი ბიუჯეტის შევსების ყოველ შესაძლებლობას სისხარულით ხვდებიან, ასეთ ბანკებს ნებას რთავენ არ გასცენ ინფორმაცია თავიანთი კლიენტების ანგარიშების თაობაზე. ერთადერთი უცილო პირობა, როდესაც ბანკს შეუძლია გასცეს ინფორმაცია თავის მენაბრეებზე – ეს არის *ბრალდება ფულის გათვრებაში*.²⁸

§5. ფულის გათვრება – ფისკალური სამოთხეები

ფულის გათვრებასთან ბრძოლის ცნობილი მკვლევარი პაოლო ბერნასკონი თვლის, რომ კაპიტალი ჯერ მცირე ქვეყნების ფინანსურ და საბანკო დაწესებულებებში გაედინება, შემდეგ კი მათ იმ ქვეყნების პრესტიჟულ ბანკებში ათავსებენ, რომელთაც მძლავრი საგადასახადო სისტემა აქვთ, მაგრამ ისე, რომ მისი რეალური მფლობელის გამოცნობა არ შეიძლებოდეს. ამ კაპიტალის მეორე ნაწილი კი ისე შეინიღბება, რომ არც კი გაივლის ოფშორული ქვეყნების ტერიტორიებს. ასეთ შემთხვევაში იყენებენ ამ ქვეყნებში იურიდიულად მოქმედ რეალურ საზოგადოებებს (*ტიპურია სხვადასხვა ოფშორული კომპანიები, რომლებსაც ანგარიშები შეეცარიის ბანკებში აქვთ*) და იმ ანონიმურ კომპანიებს და ტრასტებს, რომლებიც იურიდიული მისამართით *ლა-მანშის* სრუტის ან სხვა ქვეყნების კუნძულებზე მდებარეობენ.

ოფშორული ტერიტორიები ყურადღებას, პირველ რიგში, ორი მიზეზით იპყრობს:

პირველი – ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ძალზე ხელსაყრელი ფისკალური (საგადასახადო) რეჟიმით;

მეორე – იურიდიული სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალობას და იმ კაპიტალის შენიღბავს, რომელიც დამნაშავეს ქვეყნიდან ფისკალური მიზეზების გამო გამოაქვთ.

ქვეყნებში, სადაც ძლიერი საგადასახადო სისტემაა, საგადასახადო ორგანოები მუდმივად სწავლობენ და აანალიზებენ ოფშორულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებს. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე ცნობილი ოფშორული ტერიტორია:

ევროპაში – *ლა-მანშის* სრუტის კუნძულები (*ჯერსი, გერსი, მენი*), *ლუქსემბურგი, შვეიცარია, ლიხტენშტეინი, გიბრალტარი, ირლანდია, მალტა* და სხვა;

ამერიკაში – *ჰანამა* და ტერიტორიები *კარიბის ზღვის* კუნძულებზე (*ბაჰამი, ბერმუდი, ვირჯინია, კაიმანი, არუბა, კურასაო და ბეერი სხვა*);

აფრიკაში – *ლიბერია*.

რადგან ამ ქვეყნების უმრავლესობას განვითარებული ეკონომიკური

სექტორები არ გააჩნია, მათი პოლიტიკური ხელისუფალნი ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენის დაძლევის მიზნით მონდომებით იცავენ კაპიტალდებანდებათა საიდუმლოებას.

ოფშორული ქვეყნების საფინანსო სისტემა უცხოელ ინვესტორებს ბევრ ისეთ მნიშვნელოვან შეღავათს სთავაზობს, რომლებიც დანაშაულებრივი მიზნებითაც გამოიყენება. ეს უპირატესობანი (შეღავათები) შეიძლება ორ დიდ კატეგორიად დაყოფთ:

პირველი – დაკავშირებულია კომერციულ საქმიანობასთან;

მეორე – სამართლებრივ დანაშაულებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას ეხება.²⁹

ეს შეღავათები უმთავრესად უზრუნველყოფს უცხოური ინვესტორების საიდუმლოების დაცვას შესაძლო გამოძიების დროს, რომელსაც უცხოური სახელმწიფოს ხელისუფლება აწარმოებს და სრულ უპასუხისმგებლობას გრძნობს იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლითაც ოფშორული კომპანიების გამოყენებით უცხოელი ინვესტორები არიან დაკავებული.

ყოველივე აღნიშნული ამ ქვეყნების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან შემწყხარებლური (ლოიალური) პოლიტიკით მიიღწევა. იმისათვის, რომ განისაზღვროს, შეიძლება თუ არა ესა თუ ის ქვეყანა განიხილებოდეს როგორც საგადასახადო თავშესაფარი, საჭიროა დავრწმუნდეთ არამართო შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების არსებობაში, არამედ, აგრეთვე, იმ ხელისუფლების არსებობაშიც, რომელსაც ძალუძს ქმედითი კონტროლი გაუწიოს არსებული კანონების გამოყენებას ან არგამოყენებას.

ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელიც საგადასახადო თავშესაფრის კატეგორიაში გადის, რამდენიმე წლის წინ მიიღო კანონები, რითაც სურს თავისი სწრაფვა გამოხატოს დანაშაულებასთან ბრძოლისადმი და დახმარება გაუწიოს საერთაშორისო ძალებს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს კანონები მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი, რადგან არაეფექტურია მათ შესრულებაზე გაწეული კონტროლი.

§6. შავი სალაროები – კაპიტალდებანდებათა საიდუმლოებანი

სამართლებრივი ორგანოების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში 80-90-იან წლებში ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოძიებები გვიჩვენებს, რა ზომამდეა მისული უკონტროლო კაპიტალის მრავალი ოფშორულ ქვეყნებში. ლაპარაკია რეალურად არსებულ შავ სალაროზე, რომელიც მრავალფეროვან საწარმოთა ჯგუფების ყველაზე მაღალი თანამდებობის პირებმა შექმნეს ამ ქვეყნისა და ოფშორული

ქვეყნის იმ ტერიტორიებზე, სადაც თვით ეს ჯგუფი არ იმყოფება.

საქმე ისაა, რომ ამ შავი სალაროს ქონება და შესაბამისი საქმიანობა სახელმწიფოს თვალსაწიერს მიღმა დარჩენილი, რის შედეგადაც წარმოების ჯგუფის კონსოლიდირებული ბალანსი არ უპასუხებს (არ შეეფერება) სინამდვილეს. ამის გამო მრავალი ქვეყანა და ზოგიერთი ოფშორული ქვეყნის სასამართლო ორგანოები თვლის, რომ ასეთი ანგარიშების არარსებობა სასამართლო წესით უნდა ისჯებოდეს როგორც დოკუმენტების ფალსიფიკაცია, ან როგორც ყალბი სავაჭრო ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

ჩვეულებრივ, ეს შავი სალარო წლების მანძილზე იქმნება და ივსება, რასაც ასევე ხმარდება სასწრაფო (განსაზღვრულვადიანი) ინვენსტიციებისგან მიღებული მოგება ვალუტაში ან ფასიან ქალაქებში, მოგება ქონებისგან, რომელიც საზღვარგარეთ არის, ან იმ სხვაობის გამოყენება, რომელიც მიღებულია ანგარიშების შედგენისას, მათი ხელოვნურად გაზრდით ან შეცვირებით. როგორც წესი შავი სალაროს კაპიტალი ხმარდება:

- უცხო ქვეყნის სახელმწიფო ჩინოვნიკების მოსყიდვას, რაც ნაღდი ფულით ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საწარმო ჯგუფის მნიშვნელოვანი დავალებებისა და ბაზრის მიღება;

- საწარმოო ჯგუფის ხელმძღვანელსა და სხვა თანამშრომლებზე იმ ხელფასის გაცემა, რომელიც დეკლარაციაში არ აისახება, შესაბამისად არც ეროვნულსა და უცხოურ ბაზინაში მოხვდება;

- საწარმოო ჯგუფის აქციონერთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად, ინვესტიციების მოსაზიდად, საწარმოების შესაძენად და ასე შემდეგ.

ზოგიერთი ქვეყნის სამართლებრივი ორგანოები შავი სალაროს შექმნასა და მისი ფონდების გამოყენებას პასუხისმგებაში მისაცემ ქმედებათა რანგში განიხილავს, რაშიც ფულადი სახსრების უკანონო მითვისება და მისი (ფულის) ასევე უკანონო მართვა ივსებისხმება.

ყველა შემთხვევაში, როდესაც საწარმოო ჯგუფი დაშლილად ცხადდება, იგი განიხილება, როგორც ბოროტი გაკოტრება. ზოგიერთი ქვეყნის სამართლებრივი ორგანოები დევნის ოფშორული საზოგადოების მიერ გაცემულ ფიქტიურ ანგარიშებს, რათა გაჩნდეს შესაძლებლობა იმისა, რომ საზღვარგარეთ შავი სალაროს ისეთი ფონდები და ყალბი ბუღალტრული დოკუმენტები მაინც არ შეიქმნას, რომელიც შავი სალაროს ფონდების გამოყენებას (მოხმარებას) გაამართლებდა, თუნდაც ფორმალურად. ყოველწლიურად ასობით ოფშორული საზოგადოება უამრავ აბსოლუტურად ფიქტიურ ანგარიშებს გასცემს, რომლებიც ზემოაღნიშნულ მიზნებს ემსახურება.

პაოლო ბერნასკონი თვლის, რომ მხედველობაშია მისაღები კანონიერ ეკონომიკაში ორგანიზებული დანაშაულის შეღწევის მზარდი ტემპები, რასაც შედეგად მოჰყვება სავაჭრო და წარმომადგენლობითი ორგანიზაციები,

რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში შავი სლაროს ფუნქციონირებას გაუწივენ სამსახურს; სულ უფრო და უფრო გამოიყენებენ იმ დამნაშავე ორგანიზაციებს, რომლებიც დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად კოლოსალურ შემოსავლებს ფლობენ (მაგალითად, კოკაინის კოლუმბიური გაერთიანებები ან მაფიოზური ორგანიზაციები აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საუკუნეში, როდესაც ელექტრონული საშუალებების მეშვეობით ასობით მილიონი დოლარი შეიძლება გადაიგზავნოს, ფულადი სახსრების გათეთრება საქმისნობის უფრო დახვეწილ სახეობას წარმოადგენს, ვიდრე წინა საუკუნეში, თუმცა ძირითადი ხერხები არ შეცვლილა და იგივე რჩება. არსებობს ფულის გათეთრების ბევრი მეთოდი და მისი გამოყენების მრავალი გზა, როცა იგი უკვე სუფთა ხდება.

ამ ოპერაციების შემსრულებელ კომერციულ და ფინანსურ დაწესებულებად შესაძლებელია მოგვევლინოს *დეპოზიტური ორგანიზაციები, გამცვლელი კანტორები, ფასიანი ქაღალდების ბაზრები, უძრავი ქონებით მოვაჭრე კორპორაციები*. სიტუაციისდა მიხედვით მიმართავენ სხვადასხვა ხერხებს:

– ფულადი სახსრების გათეთრების დროს რამდენიმე ანგარიშის, განყოფილების ან დაწესებულების გამოყენება ფულადი მასის გადაზიდვისა და ანგარიშების გახსნის საქმეში;

– ყალბი დოკუმენტების მქონე კურიერების გამოყენება;

– ყოველგვარი ეჭვის გაფანტვის მიზნით ცრუმაგერი გამცვლელი კანტორების გამოყენება დიდი ფულადი სახსრების ბანკებში განთავსებისათვის;

– ფასიანი ქაღალდების შექმნა ყალბი ანგარიშების მეშვეობით;

– მიმდინარე ოპერაციების დასაფარავად კანონიერი ან ცრუ კომპანიების შექმნა;

– წარმდგენის სახელზე გამოცემულ აქციებზე ფლობის – მესაკუთრის (მფლობელის) სერტიფიკატის გამოყენება;

– უკანონო ფულადი მასის კონტრაბანდული გზით გატანა, რათა დაიფაროს მათი მიღების ჭეშმარიტი წყარო და ამით ფინანსური გამოძიება გაართულოს.

§7. ნეაპოლის კონფერენცია

არსებობს ბევრი სხვა ოპერაციებიც, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან. ყველა ოპერაციის საბოლოო მიზანი არაკანონიერი გზით მიღებული თანხების ბრუნვაში *კანონიერი ფულის* სახით დაბრუნებაა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ხელისუფლების ძალისხმევისა და გარკვეული წარმატებისა ამ დარგში უკანონო ნაღდი ფულადი მასის დიდძალი თანხები მაინც რეალურად ბრუნდება კანონიერ ბრუნვაში.

ნუაპოლში გამართულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ფულის *გათეთრების* მეთოდების დახვეწა – განვითარება მზარდი ტენდენციებით ხასიათდება. კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები:

– იყენებენ *ეროვნული საფინანსო სისტემის მართვაში არსებულ სისუსტეებს*;

– აწარმოებენ *აქტივების გადაზიდვისა და გადაადგილების სწრაფსა და მოქნილ ოპერაციებს ეროვნული საზღვრების გადაკვეთით*;

– მოხერხებულად იყენებენ *მეწარმეობის საქმიანობაში მართვის რეჟიმში არსებულ განსხვავებებს როგორც ეროვნულ სისტემათა, ასევე სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სისტემებს შორის და, პირველ რიგში, იყენებენ შესაძლებლობას, რომ სახსრების წარმოშობის წყაროს, მათი მფლობელობისა და მათზე კონტროლის მექანიზმის დაფარვის მიზნით გამოიყენონ სხვადასხვა ქვეყნებში განლაგებული მრავალრიცხოვანი საქმიანი საწარმოები.*

– იყენებენ *იმ პროფესიონალი მუშაკების მომსახურებას, რომელთა საქმიანობა არ არის მოწესრიგებული, ან მათ, რომლებიც მოქმედებენ სწორად მართვის პირობებში, მაგრამ არღვევენ სამართლებრივ ან მორალურ-ეთიკურ ნორმებს.*

ეს ტენდენციები აქ განხილული მოვლენის გლობალურ ხასიათზე მეტყველებს და მიუთითებს ეფექტურ ღონისძიებათა შემუშავების აუცილებლობაზე, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ზემოაღნიშნული შესაძლებლობები, რომლებსაც ნარკომოსაქმენი საკუთარი გამორჩენისათვის იყენებენ და ცდილობენ გაათეთრონ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლები.

§8. სტრასბურგის კონვენცია – ე. იანგის კონტრარგუმენტები

ჭუჭყიანი ფულის გათეთრების სოციალური შედეგები, მის კანონიერ ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბები განიხილა, გაანალიზა და სტრასბურგში 1994 წლის დეკემბრის კონფერენციაზე ჩამოაყალიბა ჯგუფ GAFI-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ე. იანგმა. მან გამოკვეთილად დაახასიათა ფულის გათეთრების შემდგომი ძირითადი საშიშროებანი:

პირველი – ფულის გათეთრების აღკვეთის წარუმატებელი ცდები ქმნის დაუსჯელობის ატმოსფეროს დამნაშავეთა სამყაროში. ეს გარემოება კი დანაშაულს უფრო მიმზიდველ საქმიანობად აქცევს, ხოლო დანაშაულების მაღალი

დონე (განსაკუთრებით, ორგანიზებული დანაშაულის) ასუსტებს საზოგადოების საფუძვლებს და ემუქრება მის სამართლებრივ ნორმებს;

მეორე – ფულის გათეთრების აღკვეთის წარუმატებელი ცდები დამნაშავე ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს დაუბრკოლებლად დააფინანსონ თავისი შემდგომი საქმიანობა;

მესამე – დამნაშავე ორგანიზაციების მიერ ცალკეული ფინანსური დაწესებულებების ყოველგვარი კონტროლის გარეშე გამოყენება საბოლოო ჯამში სახელმწიფოში ზიანს აყენებს მთელ ფინანსურ სისტემას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (თუ გამოყენებული ფულის წყარო თავისი შინაარსით დანაშაულებრივია, მაშინ იგი საშიშროებას უქმნის მთელი ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობას).

მეოთხე – დამნაშავე ორგანიზაციების მიერ ფინანსური და ეკონომიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება საბოლოო ჯამში შეიძლება მოშალოს ამ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკა და მისი დემოკრატიული ინსტიტუტები.

ე. იანგის მოხსენებაში გაანალიზებულია კონტრარგუმენტებიც. კერძოდ:

– აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ბევრი პოლიტიკოსი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფულის გათეთრება არ წარმოადგენს პრობლემას; ისინი ამბობენ, რომ ფულს სუნი არ ასდის, რომ ფული ფულია, მიუხედავად იმისა კანონიერი თუ დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული;

– ოპონენტები თვლიან, რომ დანაშაულებრივი გზით სხვა ქვეყნებში მოპოვებული ფული სახელმწიფოს არავითარ ზიანს არ აყენებს, რადგან ფინანსურ დაწესებულებაში გაავლის, როგორც სხვა ნებისმიერი ფული. ამ არგუმენტის მომხრენი ამბობენ, რომ ქვეყანას ეკონომიკური განვითარებისათვის ესაჭიროება ფული, ხოლო ჭუჭყიან ფულთან ბრძოლა დააბრკოლებს ინვესტირებასა და ხელს შეუშლის თანამედროვე ფინანსური სამსახურების სისტემის განვითარებას;

– ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული კანონები და დებულებები არ ეთავსება საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებათა მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ წერილს, სადაც ნათქვამია ეკონომიკისა და კერძოდ, ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციის შესახებ. მათი აზრით, ფულის გათეთრებასთან ბრძოლა ფინანსური ცენტრების მხოლოდ ზრიკი ან ტაქტიკური სვლაა, რომლებიც ცდილობენ თავისი პოტენციური მეტოქეების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას.

ე. იანგი აღნიშნავს, რომ ყველა ეს არგუმენტი ადრეც იყო მოყვანილი. იგი დამაჯერებლად გეჩვენება, მაგრამ თუ ღრმად ჩავეუფიქრდებით, ყველა მცდარია და არა უბრალოდ მცდარი, არამედ ძალიან საშიშიც, მით უმეტეს, ვარაუდობს კერიოდში მყოფი ქვეყნების ეკონომიკისათვის. „ფულს აქვს სუნი“ თვლის ე. იანგი. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული არ ხმარდება ეკონომიკის

განვითარებას ან სხვა ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ის შემდგომში დანაშაულის ჩადენას ხმარდება, რაც ეკონომიკის მოშლას უწყობს ხელს. ეს ყოველივე ეხება დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელიც როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე ხორციელდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ქვეყანა დებულებს ზომებს ამ საქმიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ფულის გათეთრებით დაკავებული პირები ყოველთვის ძეხნიან *გათეთრების* ახალ მექანიზმებსა და გზებს.

ამგვარ დამნაშავეთათვის ძლიერ მიმზიდველია ეკონომიკა მზარდი და განვითარებადი ფინანსური ცენტრებით. ეს პირები კარგად იყენებენ კომერციული საწარმოების მართვაში არსებულ ყოველგვარ უზუსტობას, შეცდომას ან სარგებლობენ იმ პირების მიაშიტობით, ვის ხელშიც კომერციული საქმიანობის მართვის სადავეებია. ისინი იყენებენ იმ უდიდეს თანხებს, რომელიც შავი სალაროს სახით გადადებული აქვთ კორუფციისა და მოსყიდვისათვის. მათი დანაშაულის ობიექტებია ფინანსური დაწესებულებები, მოსამსახურეები და ადმინისტრაცია, რომლებიც შეიძლება მოისყიდონ, რათა შემდგომში ისინი დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების საქმეში გამოიყენონ. ამ მიზნით მათ შესაძლოა საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციონ მთელ რივ ფინანსურ დაწესებულებათა საქმიანობა.

დებულება იმის შესახებ, თითქოს ფულის გათეთრებასთან ბრძოლა ხელს უშლიდეს საერთაშორისო თანამშრომლობის ეკონომიკურ განვითარებას, **GAFI**-ის ხელმძღვანელობის აზრით განსაკუთრებით მავნეა. *რა თქმა უნდა, ეკონომიკა ლიბერალიზებული უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მოვადუნოთ კონტროლი დამნაშავეების ქმედებათა მიმართ, რომელთა უმრავლესობამ (ეს არ უნდა დავივიწყოთ) მნიშვნელოვანი გამოცდილებაც კი შეიძინა ამ საქმიანობაში.*

§9. ნარკოტიკებიდან ამოვებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა

ნარკობიზნესი მეტად მგრძობიარედ რეაგირებს *ვარემიძინარე პროცესებზე*. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო ორგანიზაციები იძულებულნი არიან ზუსტად გაიანგარიშონ და გამოიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც ნარკოტიკებით უკანონო ბრუნვას დაუპირისპირდებიან. თუმცა მხოლოდ ნარკოგადაზიდვების წინააღმდეგ მიმართულმა ღონისძიებებმა და სხვა რეპრესიულმა ქმედებებმა რივ შემთხვევაში შეიძლება უკუეფექტი მოგვცეს. მაგალითად, საბაჟო კონტროლისა და ქვეყნის შიდაღონისძიებათა გამკაცრების შემთხვევაში მკვეთრად იკლებს ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანის დონე,

რაც პაზარზე ნარკოტიკების ფასის გაზრდას გამოიწვევს. ეს კი, თავის მხრივ, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ზრდის მიზეზი გახდება. ე.ი. „სანუკვარი დოზის“ ხელში ჩასაგდებად ნარკომანები არ მოერიდებიან ქურდობას, ყაჩაღობას, ავტომანქანის გატაცებას. ასევე, იმის გამო, რომ არის მოთხოვნა, მოიმატებს იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მზად არიან ქვეყანაში შემოვიდნენ და გაავრცელონ ნარკოტიკები, რადგან ეს საქმიანობა უფრო სარფიანი ხდება. აქ ამოქმედდება ბაზრის დაუწერელი კანონი – „არის მოთხოვნა, იქნება მოწოდება!“

ზემოთქმულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამატებით ღონისძიებებს, რომელთაც შეუძლიათ სერიოზული დარტყმა მიაყენონ ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობას.

ერთ-ერთ ასეთ საშუალებად შეიძლება განვიხილოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 80-იან წლებში შემოღებული სიახლე – მკაცრი სისხლისსამართლებრივი დასჯა, ეგრეთ წოდებული, „ფულის გათეთრებისათვის“, როდესაც ნარკობიზნესმენები საბანკო თუ სხვა ამდაგვარი ოპერაციებით ცდილობენ დანაშაულებრივი გზით ნაშოენი თანხების გაკეთილშობილებას მათი ჭეშმარიტი წარმომოხების დაფარვის მიზნით.


თანამედროვე ფულის გათეთრების პირველი მაგალითები საცნაური გახდა ინგლისელების მიერ ჩინეთისაკენ ინდური ოპიუმის ექსპორტთან ერთად, 1780 წლის მიწურულს.

ამ პირველი და შორეული გამოცდილებიდან ფულის გათეთრება განვითარდა იმავე რიტმით, როგორც რეალური ვაჭრობა. ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები – მეიერ ლანსკისა 70-იან წლებში, კოლუმბიელი ვაჭრების, „ლა-მინას“ ორგანიზაციის, ფრანკლინ ჟურადოს, ჯანამის „როლის“ და გენერალ ნორიეგას მიერ გამოყენებული უამრავი წრიული მარშრუტები, ჩინეთის აქტიური ჩაბმა ამ სისტემაში და ბოლოს „BCCI ბანკის“ გათეთრების მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბება – გვიდასტურებს, რომ არაღებულური ფული კონტინენტებზე ისეთივე ვრცელი და ეფექტური ბადით გავლინება, როგორც ეს ხდება ნაღდი პროდუქციის გაცვლისას.³⁰

„ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ მიმართული მკაცრი კანონები კი „ეკონომიკის ამ პარტიზანებს“ გზას უღობავენ უკანონოდ მიღებული შემოსავლისაკენ.

ორი მსხვილი ფულის გამთეთრებელი ორგანიზაცია, რომლებიც სპეცსამსახურებმა გამოავლინეს და დააპატიმრეს არის „ლა-მინა“, რომელიც „მედელონის კარტელის“ სამსახურში იდგა და „სტეფან საკოსია“, რომელმაც ის შემდეგში შეცვალა. „ლა-მინამ“ მთლიანობაში გაათეთრა 1, 2 მლრდ დოლარი, ხოლო „სტეფან საკოსიამ“ 750 მლნ დოლარი. თანხის 10 პროცენტზე მეტი სპეცსამსახურების მიერ საკმაოდ ეფექტურად იქნა ამოღებული. ფულის

ფულის გათეთრების მიმართ ლანსკისული სისტემა



გათეთრება, რომელიც ფლორიდაში “BCCI” ბანკში მოხდა 13 მილიონ ნარკოდოლარს შეეხო. ნარკოტიკებით მოვაჭრის მექსიკელი ხუან გარსია აბრეგოს სამსახურში მყოფი გამთეთრებლის – რიკარდო აგირეს წინააღმდეგ წარმოებულმა გამოძიებამ მხოლოდ კონფისკაციის სახით 30 მლნ დოლარი ამოიღო.

აფარებენ რა თავიანთ ფულს საგადასახადო სამოთხის ან საბანკო საიდუმლოებათა ქვეყნებს, ნარკობარონები ამგვარად თავს არიდებენ ანკეტირებას (გამოძიებას) და სხვა კანონით დადგენილ პროცედურებს. ეს გამოიწვია იმან, რომ ხშირად კრიმინალური ორგანიზაციები „ფულის გათეთრების“ მიზნით, ამა თუ იმ საგადასახადო სამოთხისა და საბანკო საიდუმლოებათა ქვეყნების არჩევაში გეოგრაფიულ სიახლოვეს ითვალისწინებენ. ამიტომ შეეიცარია ყოველთვის საუკეთესო ადგილი იყო იტალიელი მაფიოზებისათვის, ასევე – მონაკო, თუმცა უფრო პატარა მასშტაბით; ხოლო პანამა, რომელიც დღეს კარიბის კუნძულებმა შეცვალეს, კვლავაც რჩება უპირატეს ფინანსურ ადგილად ლათინური ამერიკის ნარკოტიკებით მოვაჭრეთათვის. დუბაი უპირატესად პაკისტანელი ბარონების, სინგაპურელი და ჰონკონგელი აზიური კრიმინალური ორგანიზაციების რჩეული ადგილია. ბაკამის კუნძულებმა ფლორიდასთან სიახლოვის გამო ასეთივე როლი შეასრულეს კოლუმბიელი ნარკობიზნესმენთათვის – მეიერ ლანსკისა და სანტო ტრაფიკანტისთვის.

ნარკობიზნესმენების ეს ჩვევა, წესი თუ აუცილებლობა მიმართონ ახლომდებარე ფინანსურ ადგილებს იმის დამადასტურებელია, რომ აშშ კვლავაც რჩება ქვეყნად, სადაც ხშირია სამხრეთ ამერიკული ნარკოდოლარის დიდი მოცულობითი ტრანზიტის შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ არ არის *საგადასახადო სამოთხე* და მკაცრად არ არის დაცული საბანკო საიდუმლოებები, იქ შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს *ფულის გათეთრების წინააღმდეგ* (მათ *პირველებმა* მიიღეს *გათეთრების საწინააღმდეგო კანონი* თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ), იგი მაინც რჩება მსოფლიოში არალეგალური ნარკოტიკის ყველაზე მსხვილ მომხმარებლად, ხოლო მისი ბანკები ლათინურ ამერიკასთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო *ფულის გათეთრების* მსხვილ ინსტრუმენტად.

იბადება შეკითხვა, რა უბიძგებს ნარკობიზნესმენებს ამ ოპერაციებისაკენ? *მიზეზი მრავალია...*

პირველი – ნარკობიზნესით მიღებული უდიდესი შემოსავლები, ეგრეთ წოდებულ *ფულად გართულებებს* უქმნის მის მფლობელებს. ასევე, *რეალურად შეუძლებელია ნაღდი თანხებით დიდი პირადი გარიგებების განხორციელება*. ასე მაგალითად: *ოცდოლარიანი უპიურებით ერთი მილიონი დოლარი 50 კგ იწონის*, მისი ტრანსპორტირება დიდ რისკთან და სიძნელებებთან არის დაკავშირებული, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო დიდ თანხებზე. ხშირ შემთხვევაში ასეთი ფულადი ნიშნები საბაჟოზე გადატანისას ყარს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ნარკოსაქმოსნები მათი თვლისას ან სხვა მანიპულაციების შესრულებისას ფულად ნიშნებზე ტოვებენ *ჰეროინის, ოპიუმის, კოკაინის, მარიხუანას კვალს – სუნს*, რაც დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში ადვილად დასაფიქსირებელია;

მეორე – *ფულადი ნიშნების შენახვა წარმოადგენს რეალურ საფრთხეს მისი მფლობელისთვის*, რადგან არავინ არის გარანტირებული, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავს არ დაესხმიან კონკურენტები ან უბრალოდ, მძარცველები;


მესამე – გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბიზნესში მოქმედებს კანონი *ფულმა ფული უნდა აკეთოს*. უმოქმედოდ დადებული თანხა ბიზნესის და, მითუმეტეს, ნარკობიზნესის საქმეში სარგებლის მომტანი ვერ არის.

სწორედ ამიტომ ნარკომაფიამ დაიწყო თავისი საბანკო სისტემის შექმნა, რომელიც სხვადასხვა ლეგალურ ბანკებთან ურთიერთობის ინსტრუმენტად მოიაზრებოდა.

მიზანი: *განხორციელდეს ნარკოგადაზიდვებზე ანგარიშსწორებები თუნდაც იმისათვის, რომ უშიშრად და საიმედოდ განკარგონ „ნარკოტიკის სუნის“ მქონე ფულადი სახსრები*.

მრავალნაირია თანხების გარეცხვის მეთოდები; ასეთია, მაგალითად, საფასადო კომპანიების გახსნა, რომელთა მუშაობის პროცესი დაკავშირებულია რეალური ფულადი ნიშნების დიდ ბრუნვასთან. ამ მიზნით ისინი ხსნიან *ბარებს, რესტორნებს, კაზინოებს, ოფშორულ საქაღალდე კომპანიებს, ეძებენ*

შისკალური სამოთხეები და საბანკო საიდუმლოებათა ქვეყნები



ფიქტიურ პარტნიორებს, რომელთა საფარქვეშაც ნარკოფული ტრიალებს; ხდება დოლარების გაცვლა საზღვარგარეთულ ვალუტაზე, ხოლო მიღებული მოგება გაედინება სხვა რომელიმე ქვეყანაში.

ყველაზე ეფექტური მაინც საკუთარი საბანკო სისტემის შექმნაა, რომლიდანაც ფული სხვადასხვა ეტაპის გავლის შემდგომ მაღალი რეპუტაციის ქვეყანათა ბანკებში გაედინება.

ამის შესანიშნავი მაგალითია ლუქსემბურგში კალის კარტელის ერთ-ერთი ფინანსისტის ფრანკლინ ჟურადოს და სხვათა საქმე.

სასამართლო პროცესმა გამოაშკარავა კოლუმბიელ ნარკოვაჭართა ზოგიერთი მეთოდი, რომელსაც ისინი კოკაინის ვაჭრობით მიღებული შემოსავლის გასათეთრებლად იყენებდნენ. ოპერაცია მიმართული იყო *36 მლნ დოლარის გასათეთრებლად*, რომელიც მოთავსებული იყო 68 ევროპულ ბანკში 135 ანგარიშზე. გადავხედოთ მასში მონაწილე ქვეყნების სიას: *ავსტრია 3 ბანკი; დანია – 1; დიდი ბრიტანეთი – 5; ფინეთი – 3; საფრანგეთი – 5; უნგრეთი – 2; იტალია – 2*, ამათგან **BNL** იყო პოლიტიკური კორუფციისა და ფულის ტრანზიტის

მთავარი ბანკი იტალიაში; ლუქსემბურგი – 8; მონაკო – 6. აქედან **Banque indus-trielle de Monaco** – მონაკოს ინდუსტრიული ბანკი დაიხურა გაკოტრების გამო, და *საბერძნეთი* – 1 ბანკი.


სისტემის პრინციპი, რომელიც *ჟურადომ* გამოიყენა, მდგომარეობს *საბანკო დაწესებულებათა დიფერენცირებაში* და იმაში, რომ *თანსდევდეს მარშრუტებს*, რათა ბანკიდან ბანკამდე მიაღწიოს რესპექტაბელურობას, რომელიც ყოველ ჯერზე ფულით უფრო და უფრო მტკიცდება. ასე რომ, მას თანდათანობით გადააქონდა მნიშვნელოვანი თანხა უფრო მეტად სანდო დაწესებულებებში, რომლებიც წინას რესპექტაბელურობას იძენდა. *პანამას* თავისი ადგილმდებარეობა საშუალებას აძლევდა *მაიამიდან* დაწყებული, ძალზე საეჭვო რეპუტაციის მქონე დაწესებულებები გზავნილებითა და ნაღდი ანგარიშით მოემარაგებინა. ძალიან მალე ამ ფულმა უნდა დატოვოს ეს *დიდი რისკის* ადგილი. ამ პრობლემას ნაწილობრივი გადაჭრის საშუალება მისცა ღია ანგარიშებმა ევროპაში, რადგან რესპექტაბელურობის ნიშნით ჟურადო ჭკვიანურად ახდენდა ქვეყნებისა და ბანკების გრადაციას. ისეთი ქვეყნები, როგორცაა *ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია, ინგლისი, დანია ან შვეიცია* გამოყენებული იყო მეორე *ფაზისთვის* ისევე, როგორც *შვეიცარია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები*, ხოლო *ლონდონისა და პარიზის* ბანკებში მიმდინარეობდა მესამე *ფაზა*. ამ დონეზე ჟურადოს მიერ დადგენილი სისტემის მიხედვით, ანგარიშის მფლობელი აღარ იყო *ეროვნებით კოლუმბიელი*, არამედ სხვა ქვეყნის, უფრო ნაკლებად შესამჩნევი კონტინენტის პასპორტის მფლობელი (*ჩილე, არგენტინა, ბრაზილია, აშშ*), უფრო უკეთეს შემთხვევაში კი – *ევროპული ქვეყნებისა*.

მინიმალური ან *ნულოვანი* რისკის ფინანსური ადგილების კლასიფიკაციისას მთავარი ადგილი უჭირავს მიუნხენის ბანკებს ან ვენას, აგრეთვე ბუდაპეშტის ბანკებსაც – როგორც ჟურადო განმარტავდა, უნგრეთის *გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გამო*. ერთ-ერთი მისი ბანკი – **Central European International Bank** მართლაც განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა. იგი 1979 წელს იმ მიზნით დაარსდა, რომ დოლარის ოპერაციები ქვეყნის გარეთ ეწარმოებინა.

ფრანკლინ ჟურადო საერთაშორისო საბანკო სისტემის კარგი დამკვირვებელი აღმოჩნდა. მან შეძლო საბანკო დაწესებულებათა ერთმანეთთან დამაკავშირებელი ჯაჭვის რგოლების პოვნა. იგი მიხვდა, რომ თითოეულ ბანკს გააჩნია სხვა ბანკებისაგან *განსხვავებული უშიშროების თავისი საკუთარი ზღურბლი და რესპექტაბელურობა*. მისი სიტყვებით, *საბანკო სისტემის შუაგულის მისაღწევად საჭიროა მოთმინება*. სწორედ *მოთმინებით* შეძლო ჟურადომ ყველა საფეხურის გავლა და მოპოვებული რესპექტაბელურობისთვის უფრო და უფრო მეტი ელფერის მიცემა.³²

ფრანკლინ ჟურადოსეული „ფულის გათეთრების“ სისტემა /1981 - 1991 წ./:

ფულის გათეთრების ურადოსეული სისტემა



0. საბოლოო ტრანსფერი ბანკებისკენ, ყოველგვარი ექვზის გარეშე.

1. ტრანსფერი იმ ბანკებისაკენ, რომლებიც ცნობენ /აღიარებენ/ წინა დაწესებულებათა რუსიკექტაბელურობას;

2. ტრანსფერი იმავე ქვეყნის უფრო რუსიკექტაბელურ ბანკებში;

3. ფულის ტრანსფერი ევროპის ნაკლებ საექტო ფინანსურ ადგილებში;

4. ანბარი დეპოზიტი მაკლერის მიერ /ან ამერიკული ბანკიდან/ მაიამი;


გათეთრების წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციათა შორის, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უპირველესია „ლა მინას“ საქმე (ბჭკარედული თარგმანი – მოქპროვილი ტყვია), როცა ორგანიზაცია „ლა მინამ“ 1985-1989 წლებში რამდენიმე მილიარდი ნარკოდოლარი გაათურა „მედელინის კარტელის“ ანგარიშზე. იგი პირდაპირ კავშირში იყო პაბლო ესკობართან და გათეთრებული ფულის გასამრჯელოდ 7 - 12 პროცენტს აკავებდა.

ოპერაციას ხელმძღვანელობდა არგენტინელი რაულ ვივასი. მისი საყრდენი იყო ბიჟუტერიით მოვაჭრე ორი სომხური ოჯახი ლოს-ანჟელესიდან – კოიომეჟიანები და ანდონიანები. კოიომეჟიანები აკონტროლებდნენ საზოგადოებებს "Ropex" და "JSK Bullion", ანდონიანები კი – "ABI"-სა და "Nazareth Jewelers"-ს. რათა ურუგვაიში დიდი რაოდენობის ნარკო-დოლარის გაგზავნის მიზეზი გაემართლებინა, ორგანიზაცია „ლა მინა“ იქ ფიქტიურ ოქროს ზოდებს ყიდულობდა, რომელიც 90 პროცენტ ტყვიას შეიცავდა.

1988 წლის დასაწყისში ლოს-ანჟელესსა და ნიუ-იორკში ფულის გათეთრების ოპერაციათა გამოძიება ერთობლივად დაიწყო რამდენიმე სამსახურმა (DEA, აშშ საბაჟო, შიდაშემოსავლების სამსახური და გამოძიების ფედერალური ბიურო). გამოძიების შედეგებმა გამოაშკარავა ორი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც მუშაობდნენ სომხები, კოლუმბიელები, არგენტინელები და სხვა ეროვნების ადამიანები. ეს პირები დააკავეს კოკაინისა და ახლო აღმოსავლეთში ჰეროინის გასაღების შედეგად მიღებული თანხის გათეთრების ოპერაციების დროს. ისინი მოქმედებდნენ ცალ-ცალკე, მაგრამ მოქმედების ერთი და იგივე მეთოდით – ორივე ორგანიზაცია ფულის გათეთრებისათვის იყენებდა ოქროსი და ძვირფასი ქვებით ფიქტიურ ვაჭრობას.

გამოძიების განმავლობაში მოსინჯეს სხადასხვაგვარი ოპერატიული ტაქტიკა – შენიღბული შედწევის გარდა ხორციელდებოდა როგორც ფიზიკური, ასევე ელექტრონული მეთვალყურეობა და თვალთვალი. ინტენსიური ანალიზის ქვეშ მოექცა ყველა საბანკო ანგარიშის სავალუტო შეთანხმებისა და დაჯავშნული ანგარიშების ჩანაწერები. ანალიზისა და შემოწმების შედეგად გაჩნდა სამხილები, რომელთა მიხედვითაც შეძლეს გაერკვიათ, თუ ვინ იყო ფულის გათეთრების ორგანიზაციაში ჩართული და სად

«ლა მინას» ფულის გათივრების სისტემა



ფაზა 1

ხელოვნური ოქროს ზოდები გადაიხიდა ურუგვაიდან ლოს ანჯელესში

ფაზა 2

კოკაინის გათივრის ოპერაციაში მცირე კუბურები კონცენტრირდება ლოს-ანჯელესის Wells Fargo-ს ტაის ბანკებში

ფაზა 3

ლგელიზებული ანაბრები მიემართება ნიუ-იორკის შტატის ბანკებში

ფაზა 4

ნიუ-იორკიდან თანხები გაედინება პორტუგალიის ბანკებში

ფაზა 5

პორტუგალიიდან თანხები ნარკოკუბურების მიერ იგზავნება პანამური ფილიალის და ანჯელესში

მოქმედებდნენ ისინი.

13 თვის განმავლობაში წარმოებულმა საბანკო შეთანხმებებისა და დაჯავშნული ანგარიშების შესახებ ჩანაწერების კონტროლმა ის შედეგი გამოიღო, რომ ფარდა აეხადა უდიდეს კრიმინალურ საიდუმლო ორგანიზაციებს, რომელთაც თურმე საერთო არაფერი ჰქონდათ ოქროთი და ძვირფასი ქვებით ვაჭრობასთან.

ოპერაციის ყურადღების ცენტრში იყო "Ropex"-ისა და ძმები ანდონიანების ოფისები ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკში. ეს ორი ფირმა ყოველკვირეულად რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის მოგებას იღებდა. 1988 წლის აგვისტოში ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში ფედერალური მოსამართლის ნებართვის საფუძველზე ფირმებში სატელეფონო საუბრების მოსასმენად სისტემა დააყენეს. ხუთი თვის განმავლობაში მოსმენისა და თვალთვალის შედეგად დაგროვდა 3 ათასი ფირი ხუთ ენასა და ორ სომხურ დიალექტზე. თანხები – ასეულობით მილიონი დოლარი ჯერ ლოს-ანჯელესის ოფისებში მიდიოდა, ხოლო შემდეგ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ბრუნდებოდა ნიუ-იორკში – „პანამა რიციში“ და შემდეგ სამხრეთ ამერიკაში. თანხების ნაწილით სხვადასხვა ხარჯები იფარებოდა – თეთ-მფრინავებისათვის, პოლიტიკური ფიგურებისათვის განკუთვნილი ანაზღაურება, წილი – დღევანდელი ჩვენებური გაგებით „კრიშა“, მომსახურე პერსონალის ხელფასები და ა.შ.

1989 წლის იანვარში გამოძიება ჩიხში მოექცა. მოსამართლეთა გადაწყ-

ყვეტილებით შეწყდა სატელეფონო საუბრების მოსმენა. საბედნიეროდ, 24 იანვარს **DEA**-ს აგენტებმა მიიღეს გაშიფრული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი: ნიუ-იორკიდან დიდძალი ფულადი მასა ლოს-ანჯელესში მიეღინებოდა. გაშიფრული ჩანაწერი იტყობინებოდა, რომ ტვირთი იყო ოთხი, რვა, ექვსი, ცხრა კილო. ეს კი ნიშნავდა, რომ საუბარი იყო 4,869,000 დოლარზე. სწორედ იმ დამეს ჩატარებული ოპერაციის დროს *ნიუ-იორკელმა სპეცაგენტებმა ქალაქის ერთ-ერთ ძვირფასეულობის მაღაზიაში* რამდენიმე ათეული ყუთი აღმოაჩინეს, რომელიც ლოს-ანჯელესში უნდა ჩასულიყო. ყუთების გახსნისას, აგენტებმა ზემოდასახელებული თანხა – 4,869,000 დოლარი აღმოაჩინეს.

1989 წლის თებერვალ – აპრილში ფედერალურმა აგენტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საზღვარგარეთ *დააკავეს* ამ საქმეში გარეული 112 პიროვნება, რომელთაც ბრალად სხვადასხვა დანაშაულები ედებოდათ – *ფულის გათეთრება, კოკაინისა და პეროინის უკანონო გავრცელება – გაყიდვა, კორუფცია და ა.შ.*

„ლა მინას“ ორგანიზაციის მიერ „მედელინის კარტელის“ ანგარიშზე 1986-89 წლებში ჩატარებული გათეთრების ოპერაციის მარშრუტი:

პირველი ფაზა – *ურუგვაიდან ყალბი (ფიქტიური) ოქროს ზოდები ლოს-ანჯელესში გაიტანეს*, რათა ანგარიშსწორების გზით გაემართლებინათ *მონტევიდეოში* ნარკოდოლარის შემდგომი ექსპორტი, რომელიც ასევე ფიქტიური იყო;

მეორე ფაზა – *კოკაინის მიწოდებით მომხმარებლისაგან ამოღებული პატარა კუბურები* გაიტანეს ლოს-ანჯელესში, ბიჟუტერიით ბითუმად მოვაჭრე კოიომეჟიანსა და ანდონიანთან. ამ მეხითუმეებმა ანაბრის (დეპოზიტის) გამართლების მიზნით ფული დადეს *ლოს-ანჯელესის* ბანკში **“Wells Fargo”** ბიჟუტერიით მოვაჭრე სომხები ტელეფონით დიდ მაკლერებთან აწარმოებდნენ ფიქტიური ოქროს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს;

მესამე ფაზა – მას შემდეგ, რაც ანაბარი *ლეგიტიმური* გახდა, იგი განთავსდა ნიუ-იორკის სხვადასხვა ბანკებში, როგორცაა **“Republic National Bank of New York”** და **“American Express Bank”**;

მეოთხე ფაზა – *ნიუ-იორკიდან* თანხა გაეღინა *მონტევიდეოს* სხვადასხვა ბანკებში, როგორცაა **“Banque Sudameris”**;

მეხუთე ფაზა – *ჰანამელმა* ნარკოვაჭრებმა თანხა ღია ანგა-რიშით *კოლუმბიური ბანკის პანამურ სექტორში* – **„Banque de Occidente“** გადააგზავნეს.

სულ ამ ოპერაციის დროს ამოიღეს 16 124 კგ კოკაინი და 20 ათასი კგ მარიხუანა. ამოგებულმა ნაღდმა ფულმა, უძრავმა ქონებამ და უცხოეთისა და შიდა ბანკებში გაყინულმა ანგარიშებმა, ოქრომ და ძვირფასმა თვლებმა 112 მლნ დოლარი შეადგინა.

სამართალდამცავებს პრაქტიკამ დაანახა, რომ ასეთ არაკანონიერ მოქმედებებს განსაკუთრებით ხელს უწყობდა საგადასახადო სამოთხის და საბანკო საიდუმლოებათა ქვეყნები.

საგადასახადო სამოთხე, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის ქვეყნებია, რომლებიც მსუბუქ მორალურ თუ ფინანსურ ზეწოლას ახდენენ პირებზე, სადაც ეს უკანასკნელნი უმეტესწილად ფიქტიურად ბინადრობენ, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ თავიანთი საგადასახადო ვალდებულება. ხოლო საბანკო საიდუმლოებათა ქვეყნები – სადაც მკაცრად ისჯებიან ბანკები და მათი თანამშრომლები კლიენტების გარკვეულ მონაცემთა გამჟღავნებისათვის. ასევე, აკრძალულია ბანკებზე ზეწოლა ეროვნული (საკუთარი ქვეყნის) თუ უცხოური საგადასახადო სამსახურებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.³³

საგადასახადო სამოთხე და საბანკო საიდუმლოებათა ქვეყნები, ბუნებრივია, კარგ ნიადაგს წარმოადგენენ ფულის გათეთრებისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მუშავდება ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები. ერთ-ერთ ასეთ მეთოდად საბანკო კონროლის გამკაცრება მიაჩნიათ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1970 წელს მიღებული *ფედერალური კანონის* მიხედვით ბანკი მოვალეა ინფორმაცია მიაწოდოს სათანადო პასუხისმგებელ ორგანიზაციებს ყოველი საბანკო ოპერაციის შესახებ, როცა საქმე პირად ანგარიშზე 10 ათას დოლარზე მეტს შეეხება. ასეთი გზით მიდის დღეს ევროპის ბევრი ქვეყანა.

ნარკოსაქმოსნებმა აქაც იპოვეს გასაღები. ხშირად დანაშაულებრივ დაჯგუფებათა წევრები *ერთმანეთში ანაწილებენ თანხას*, რომელიც 10 ათას დოლარს არ აღემატება და ასეთი წესით ათავსებენ მათ საბანკო ანგარიშზე.

მაშასადამე, როცა ქვეყანაში მკვეთრად იზრდება, *ეგრეთ წოდებული „საფირნიშო ორგანიზაციების“ რაოდენობა – კაზინოები, რესტორნები, სხვა სახის გასართობი დაწესებულებები, განსაკუთრებით კი მცირე კაპიტალის მქონე კერძო ბანკები, უნდა ჩაფიქრდეთ, ხომ არ არის წინასწარ ჩაფიქრებული „ფულის გათეთრების“ ოპერაციების წარმართვაც.*

§10. პანამა – OFF SHORE-ს პიონერი

კარგა ხნით ადრე, სანამ პანამა 1980 წელს მიჩნეული იქნებოდა *ფულის გათეთრების – საბანკო საიდუმლოებათა ქვეყნად*, სახელმწიფოში შეიქმნა ვაჭრობის განვითარებისთვის საუკეთესო პირობები, რითაც **Off Shore-ს პიონერის** ადგილი დაისაკუთრა. ამას ხელი შეუწყო ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ. 1855 წელს, როდესაც *ატლანტისა და წყნარი ოკეანის* სანაპიროსა

და სრუტეებზე რკინიგზა გაიყვანეს, ნათლად გამოიკვეთა პანამის ტრანზიტული ეკონომიკის სახე, ხოლო პანამის არხმა, რომლის მშენებლობაც 1981 წელს დამთავრდა, ეს ფუნქცია კიდევ უფრო გამოკვეთა.

1903 წელს პანამის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ (ვანზორციელმა ამერიკული სენატის მიხედვით), ბოლო მოეღო პანამაში კოლუმბიის საუკუნოვან ბატონობას. ვაშინგტონში ხელი მოეწერა საეკონომიკო შეთანხმებას – ამერიკული დოლარი პანამის ეროვნული ფული გახდა და პანამამ ვალდებულია იკისრა აღარ შეეზღუდა გაცვლები. 1927 წელს დელავერისა და ნიუ-ჯერსის ფინანსურ საკითხებში ლიბერალური კანონების მიღებამ ხელი შეუწყო პანამის პირველი გენერალური კორპორაციის "Law"-ის აღზევებას, რომელმაც, თავის მხრივ, ოფშორის სამოთხის ძლიერ მსგავსი მოდელი შექმნა აქ ინვესტირებული უცხოური კაპიტალისათვის შეღავათიანი გადასახადებისა და ანონიმურობის დაცვის სრული გარანტიით. გარდა ამისა, პანამის კანონის თანახმად ორი ან თუნდაც ერთი რეზიდენტი – აქციონერის მიერ კომპანიის შექმნის შესაძლებლობა, ამ რეგიონს ინვესტირებისათვის მიმზიდველ ზონად აქცევდა.

ცნობილი თავისუფალი ვაჭრობის ზონის დაარსება, რომლის სავაჭრო საბრუნავმა კაპიტალმა 1993 წელს 10 მლრდ დოლარს მიაღწია 1948 წლით თარიღდება. 38 ჰექტარზე გაშლილმა ამ თავისუფალმა ზონამ კიდევ უფრო გაამყარა უკვე ტრადიციული კონტრაბანდა კოლუმბიას და პანამას შორის. ამას დაემატა 1959 წელს მიღებული კანონი, რომელიც კოდირებული ანგარიშის ფლობის უფლებას იძლეოდა და შემდეგ 1970 წლის კანონი, რომელიც სამხედრო რეჟიმის დროს იქნა მიღებული და, რომელმაც კიდევ უფრო მეტად დახვეწა წინა კანონები.

1982 წელს, როდესაც კოკაინით ვაჭრობამ ზენიტს მიაღწია, მეზობელი კოლუმბიის მფარველობით ბანკების რაოდენობა 122-ზე ავიდა (44 მლრდ დოლარის კაპიტალით), მაშინ როდესაც 1970 წელს მხოლოდ 20 ბანკი იყო (854 მლნ დოლარით). ამას მოჰყვა საერთაშორისო დანაშაულობის ზრდა (იარაღი, ნარკოტიკები, ფულის გათეთრება) და დასრულდა მაიამიში ნარკოდიქტატორის გენერალ ნორიეგას გასამართლებითა და დასჯით.

ელექტრონული ტრანსფერის (გადარიცხვის) სისტემაში მთელი მსოფლიოს ჩართვამ შესაძლოა შეასუსტოს პანამის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა როგორც Off Shore-ისა და მისი ეკონომიკა კონტროლს დაუქვემდებაროს.

პანამის საბანკო სისტემის მცდელობები – გამოისწოროს იმიჯი, იოლი არ იქნება არც ნაღდი ფულის მზარდი მოცულობის საშუალებით, რომლის მანიპულირებასაც ის ახდენს და არც კოლონში (კოლუმბია) კონტინენტის ახალი გადასატვირთი პორტის გახსნით, რაც ნარკოტიკების გადავზავნის საუკეთესო თანამედროვე საშუალება შეიძლება გახდეს.

§11. ექსტრადიციის (ქვეყნიდან გაქვეყნება)

მსოფლიო ნარკოსისიტემის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელი გახდა *დამნაშავე პირთა იმ სახელმწიფოსთვის გადაცემა* – ექსტრადიციის, *სადაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის თაობაზე ძირითადი სასამართლო პროცესი მიმდინარეობს*. ასეთი მიდგომა ანადგურებს ნარკოკარტელების იმ *საერთაშორისო კავშირებს*, რომლის უკანაც ისინი წლების განმავლობაში თავს კარგად გრძნობენ. ფაქტია, ისინი ასეთი მასშტაბებით ვერ შეძლებდნენ თავისი სიყალბის ინდუსტრიის შექმნას, თუ არ ექნებოდათ თავშესაფარი და უშიშროების გარანტიები. სწორედ ამიტომ, უკანასკნელ წლებში მსოფლიო ნარკობიზნესის ელიტის წარმომადგენელთა ერთადერთი საზრუნავი ექსტრადიციისაგან თავის დაღწევაა. ისინი მოწმენი არიან ფაქტისა, როცა ხელუხლებელი ნარკობარონები წარსდგნენ აშშ და სხვა ქვეყნების მართლმსაჯულების წინაშე. იგი შეეხო *კოლუმბიელ, სინგაპურელ, ტაილანდელ, ჩინელ კოკაინისა და ჰეროინის გამავრცელებლებს*. თუმცა ექსტრადიცია თავისთავად არ არის მარტივი პროცედურა, იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილია იურიდიული სისტემა ამა თუ იმ ქვეყანაში და იმაზეც, თუ რამდენად მაღალ დონეზეა ჩატარებული ოპერატიული და წინასწარი საგამოძიებო ოპერაციები.

§12. მანუელ ნორიეგა და ბანკი "BCCI"

სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი მუშაობისა და ექსტრადიციის ცნობილ მაგალითად მოვიყვანო პანამის ყოფილი მმართველის გენერალ მანუელ ნორიეგას საქმეს. იგი აშშ სამხედროებმა დააკავეს და მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა.

1982-1986 წლებში – *მანუელ ნორიეგამ* 23 მილიონი დოლარი დააბანდა BCCI-ის *ლონდონისა და ლუქსემბურგის ბანკებში*;

1986 წლის ივლისი – თანხის ნახევარი გადაიგზავნა **Union de Banque Suisse** (*შვეიცარიის საბანკო გაერთიანება*) და **Deutsche - Sydamerika-nische Bank** – *კამბუჯეში*;

1988 წლის სექტემბერი – მთელი თანხა გადატანილია **Middle Eastern Bank** – *ლონდონში*;


1988 წლის სექტემბერი – თანხის უმეტესი ნაწილი გადატანილია *მაკლერთა საზოგადოებაში* **CAPCOM** – *ლონდონში*, რომელსაც BCCI-ის ერთ-ერთი მთავარი აქციონერი აკონტროლებს. თანხის დანარჩენი გადატანილია **Grande Développement Bank** – *ვენეციაში*.

აქ არ შეიძლება არ აღენიშნოთ, თუ რა მოვლენები უძღოდა წინ გენერალ ნორიეგას დაკავებას.

1992 წლის დასაწყისიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნარკოპოლიტიკაში კორექტივები შეიტანა. მან ბრძოლა გამოუცხადა ნარკოტიკებს, უშუალოდ მისი მწარმოებელი ქვეყნების ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ეფექტურად მიიჩნია ზოგიერთი ნარკოტიკის უკანონო გადაზიდვის ღონისძიებათა წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ჩატარება. ასეთი ოპერაცია პანამაში იყო "Just Cause".³⁴

1989 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოიწყო სამხედრო მოქმედება პანამის წინააღმდეგ გენერალ ნორიეგას გადაყენებისათვის, რომელიც შემდგომ ამერიკის მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა. თუმცა, მსოფლიოს გამოჩენილი ექსპერტები ამბობენ, რომ ოპერაცია, რომელიც გენერალ მაქსველ სერმანის მიერ განხორციელდა, სხვა მიზნებსაც ისახავდა.

მანუელ ნორიეგა და ბანკი «BCCI»



§13. დრაკონული კანონი – საფულეზე დაგარტყათ ნარკობიზნის

ნარკობიზნისთან ბრძოლაში, თვით ამერიკელთა გამოთქმით, ყველაზე „დრაკონულ“ მეთოდად მიიჩნევენ იმ საკუთრების ჩამორთმევას, რომელიც გამოყენებულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საქმეში, ასევე, იმ პირადი ქონების კონფისკაციას, რომელიც დაკავშირებულია ნარკობიზნისთან. რა თქმა უნდა, ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებულია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობაში. საკუთრების ჩამორთმევა, თავის მხრივ, წარმოადგენს და გამოდის პრინციპიდან – დარტყმა მიაყენოს ნარკოგადაზიდვების ყველა სტადიას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზომები მიმართულია ნარკობიზნისით გამოწვეულ შემდგომ მოვლენებზე, მისი გამოყენება ასუსტებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ყველა დანარჩენ სტადიასაც.

ასეთი სახის ღონისძიებათა პრაქტიკაში განხორციელება 1970 წელს დაიწყო. თავდაპირველი საკუთრების ჩამორთმევის სტადიაში იგულისხმებოდა ნარკოტიკების კონტრაბანდისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების (ავტომობილები, გემები) ჩამორთმევა. მოგვიანებით კონფისკაცია შეეხოთ თვითმფრინავებს, ნარკოტიკების წარმოებისათვის არსებულ საიდუმლო ლაბორატორიათა მოწყობილობებს, ნარკობიზნისის საქმიდან ამოგებულ თანხებს. დღეისათვის კი ეს კანონი შეიძლება უძრავ ქონებას და საბანკო პირადულ ანგარიშებსაც შეეხოს, თუ არსებობს მტკიცებულება მათი კრიმინალური წარმოშობის შესახებ. ასე რომ ამერიკელებს არც გაუკვირდებათ, თუ კონფისკებული იქნება რანჩოს რომელიმე მფლობელის რამდენიმე ჰექტარი მიწა, სადაც მოწყობილი იყო ნარკოტიკების საწარმოებელი იატაკქვეშა ლაბორატორია და თვითმფრინავის ასაფრენი ბილიკი.

როგორც DEA-ს თანამშრომლები იხსენებენ, თავდაპირველად ნარკობარონების თანხებისა და ქონების ამოსაღებად ქვეყანაში არ იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა; ქონების ამოღება საერთოდ ძალზე სადაო საკითხი იყო, მაგრამ შემდგომ ეს კანონები შეიქმნა და დაიხვეწა. დღესდღეობით მარტო DEA-ს მიერ ამოღებული თანხები ყოველწლიურად მლრდ დოლარს უდრის. ეს წარმატება ეფუძნება იმ შეხედულებებს, რომ ნებისმიერ გამოძიებას ბრალეულობის შემთხვევაში უფლება აქვს დამნაშავის ქონებას კონფისკაცია გაუკეთოს; გარკვეულია ისიც, რომ გამოძიებას თვითონ მივყავართ უკანონო ქმედებების შედეგად დაგროვილ თანხებამდე.

მტკიცებები უნდა იყოს ყოველმხრივ გადამოწმებული და ობიექტური. როგორც წესი, ამოღებული ქონება უკან აღარ ბრუნდება. საინტერესოა, რომ ასეთ შემთხვევაში მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია: კანონით მტკიცებულებათა ხვედრი (**burden of proof** – ამერიკული იურიდიული

ტერმინი) ძირითადად ეჭვმიტანილს აწევს და მან უნდა აგოს პასუხი. რა თქმა უნდა, ასეთ საქმეში ხდება გარკვეული გადაცდომები, მაგრამ ამერიკელ პოლიციელთა აზრით, ქონების ჩამორთმევის კანონი ამართლებს თავის არსებობას და ფულის სწრაფად შოვნის მსურველებს ჩააფიქრებს, სანამ ისინი ნარკობიზნესში ჩაერთვებიან.

§14. ახალი ნოვატორული ტაქტიკა

ამოვიღოთ, რათა გავანაწილოთ ნარკობიზნესით ამოგებული თანხები – ამ პრინციპის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ *იმ თანხის მიკვლევა*, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშია გადაგზავნილი და მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის, დიდ სიძნელეს წარმოადგენს, თუმცა აქაც არის გარკვეული წარმატებები, რომელთა საწინდარიც მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკაში მომხდარი ცვლილებებია. აქამდე მიღწევა ერთობ ძნელი იყო, მაგრამ ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი იყო ის, რომ მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება საერთაშორისო ნარკობიზნესისადმი როგორც პოლიტიკურ, ასევე დიპლომატიურ დონეზე. თანამშრომლობას ხელი შეუწყო *გერეთ წოდებულმა* წამახალისებელმა ღონისძიებებმაც, კერძოდ, ახალმა ნოვატორულმა ტაქტიკამ – ღონისძიებაში მონაწილე ქვეყნებს შორის ამოღებული თანხებისა და ქონების გადანაწილების თაობაზე. ეს არის ქვეყანათა სპეცსამსახურებს შორის ინფორმაციების ინტენსიური გაცვლის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი. აქტიურად დაიწყო თანამშრომელთა მივიწინება სხვადასხვა ქვეყნებში და მათთვის სათანადო პრაქტიკული დახმარების გაწევა. დამნაშავეთაგან ამოღებული თანხების ასეთი გადანაწილება შტატებში და ადგილობრივ სამართალდამცავ სააგენტოებს შორის **DEA**-მ 70-იან წლებში დაიწყო. 1991 წლისათვის კი უკვე გადანაწილებული იყო 190 მილიონი დოლარი. შემდგომში ეს ტაქტიკა გავრცელდა უცხოელ პარტნიორებზეც. მაგალითად, 1991 წელს *ამერიკის შერთებულმა შტატებმა გაერთიანებულ სამეფოს* 2,5 მლნ დოლარი, *კანადას* 1,8 მლნ დოლარი და *შვეიცარიას* 1 მლნ დოლარი გადაუნაწილა. *შვეიცარიამ*, თავის მხრივ, გამოააშკარავა თანხები *აშშ ტერიტორიაზე* და გადასცა მას 10 მლნ დოლარი.

ამდაგვარი ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, თავისი წილი თანხები მიიღეს *არგენტინამ*, *გუამის კუნძულებმა*, *კოლუმბიამ*, *ევკვატორმა*, *გვატემალამ*, *ისრაელმა*, *პარაგვაიმ* და სხვ.

„ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ მიმართული ოპერაციისა და შემდეგ ჩამორთმეული თანხების გადანაწილების კარგი მაგალითია ოპერაცია **„POLARCAP“**, რომლის განხორციელების შედეგად ამოიღეს 112 მლნ დოლარი.

ეს ოპერაცია უნიკალური და საინტერესოა შემდეგი მიზეზების გამო:

1. *კანადაში* „ბანკო დე ოქიდენტში“ ოპერაციის გამოაშკარავებას წინ უსწრებდა ფულის გათეთრების რამდენიმე ფედერალური მნიშვნელობის შემთხვევა. არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოძიებამ დაადგინა, რომ „ბანკო დე ოქიდენტში“ ფულის გათეთრება საერთო ჯამში 412 მლნ ფარგლებში აწარმოა. *პირველად* ისტორიაში წამოიწყეს საქმე *საზღვარგარეთელი ფინანსური ინსტიტუტების წინააღმდეგ* ბრალდებით – *აშშ საფინანსო კანონების დარღვევა*. ბანკის დამნაშავედ ცნობის შემდეგ ბანკს დაეკისრა აშშ მთავრობისათვის 5 მლნ დოლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა.

2. „ბანკო დე ოქიდენტს“ მიერ გადახდილი 5 მილიონიდან 2 მლნ გაწეული დახმარებების საფასურად *გაინაწილეს* კანადისა და შვეიცარიის მთავრობებმა. ეს იყო თანხის ამგვარი განაწილების პირველი შემთხვევა, ამ უკანასკნელის საფუძველიც 1988 წლის კანონმდებლობაა.

3. ის შტატისა და ადგილობრივი მნიშვნელობის დეპარტამენტებს, რომლებიც მხარში ედგნენ ფედერალურ სააგენტოებს, ამერიკის შეერთებული შტატებში არსებული ამოღებული ქონების პროგრამის თანახმად 40 მლნ დოლარი გადაეცათ.

დასკვნა

უკანასკნელი წლების მანძილზე ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო სამართალდამცავი სტრუქტურები იმ სპეციალისტთა ერთობად ჩამოყალიბდა, რომლებიც ერთი მიზნისათვის იღწვიან. ენობრივი ბარიერის, პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავების, კორუფციის პრობლემის არსებობისა და თანხების მუდმივი ნაკლებობის მიუხედავად, ამ პრობლემის წინააღმდეგ მუდმივი და მიზანდასახული მუშაობაა საჭირო.

უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალმხრივი ძალისხმევა, რომელიც გამიზნულია ნარკოტიკების პრობლემის გადასაჭრელად, გაეროს ამჟამად მოქმედ სამ უნივერსალურ კონვენციაზე და მსოფლიო რეგიონულ პროგრამებზეა დაფუძნებული.

დღეს უკვე აღარ არის საეჭვო, რომ არც ერთ სახელმწიფოს თავისი სამართალდამცავი სისტემისა და იურისდიქციის ფარგლებში არ ძალუძს დამოუკიდებლად შეაჩეროს და კონტროლს დაუქვემდებაროს ნარკოტიკების ფართოდ გამოყენების, წარმოებისა და ტრანსპორტირების მასშტაბები. მსოფლიოს ქვეყნები ერთად უნდა წინ აღუდგეს ნარკოტიკების პრობლემას – ამის საფუძველი უკვე არსებობს, განხორციელება კი ჩვენი ვალია.

იმისათვის, რომ განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქარ-

თველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლმა სამსახურებმა თავის საქმიანობაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიონ და ეფექტიანად ჩაერთონ ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში, საჭიროა:

– ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების მუდმივი სტრუქტურული, ორგანიზაციული და მეთოდური სრულყოფა, კანონ-საწინააღმდეგო სფეროში მიმდინარე დინამიური პროცესების ადეკვატურად;

– დადგა დრო, როდესაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლმა ოპერატიულმა სამსახურებმა მხოლოდ და მხოლოდ ნარკობიზნესის წინააღმდეგ უნდა იბრძოდნენ. მათი შეხება ნარკოტიკების მომხმარებლებთან უნდა ხდებოდეს იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელთ კავშირი აქვთ ნარკოტიკების ვაჭრობასთან. ყოველივე ეს მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით;

– მკაცრად უნდა მოხდეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი სპეცსამსახურების ფუნქციათა გამოიჯენა მათი კომპეტენციისა და ერთობლივი შეთანხმებული მუშაობის ფარგლებში;

– საჭიროა შემუშავდეს და მიღებულ იქნას კანონი – ინსტრუქცია ნარკოტიკების „საკონტროლო შესყიდვის“ შესახებ, რათა ოპერატიულ მუშაკებს ნარკოტიკებით მოვაჭრეთა წრეში მიეცეთ ზუსტი, ოპერატიული და მრავალმხრივი ინფორმაციის დაუბრკოლებრივ მიღების საშუალება;

– სასწრაფოდ შესამუშავებელია უწყებრივი ინსტრუქციები „კონტროლირებადი მიწოდების“ შესახებ, ქვეყანაში ამ ღონისძიების გამტარებელი მთავარი სუბიექტის განსაზღვრით. ღონისძიების ეფექტურობისათვის საჭიროა პირველ ეტაპზე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ორმხრივი ხელშეკრულებები დაიდოს რუსეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბულგარეთის, თურქეთის შესაბამის სამსახურებთან, ხოლო მეორე ეტაპზე – შავი ზღვის აუზის ქვეყნებსა და ევროპის სახელმწიფოებთან;

– დაიწყოს „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და შესაბამის ღონისძიებათა გატარება, რათა არ დავიმკვიდროთ ნარკობიზნესის სფეროში „სავადასახადო სამოთხისა“ და „საბანკო საიდუმლოებათა ქვეყნების“ იმიჯი;

– საქართველოს სამართალდამცავმა სისტემებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო და რეგიონულ პროგრამებში და ამ გამოცდილების საფუძველზე უნდა დაიწყონ შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის ამ სახის პროგრამების შემუშავება;

– უნდა ვიფიქროთ ამ ტიპის „კავკასიის და ცენტრალური აზიის

რეგიონალური პროგრამის“ შემუშავებაზეც;

– უნდა დაჩქარდეს იმ ათეულობით ნორმატიული აქტისა და ინსტრუქციის მიღება, რომლითაც განისაზღვრება: ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები, ნარკომანთა ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობის და სოციალური რეაბილიტაციის განხორციელების თანამედროვე მოდელი;

– დაბოლოს, ქართველმა ექსპერტებმა მსოფლიო პრაქტიკისა და გაეროს მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა დაიწყო ინტენსიური მუშაობა ნარკოტიკების სფეროში ყოველსმომცველ კანონთა ერთიანი კრებულის შესაქმნელად.

თემატური და საბაზისო ლიტერატურა

1. **William O. Walker III.** U.S. Narcotics Foreign Policy in the Twentieth Century: An Analytical Overview Boulder. **San-Francisco.** Oxford. **1994.**

2. United Nations Reports of the International Narcotics Control Board. **New York.** **1993.**

3. **100th Congress, 2d. Session, National Narcotics Leadership Act of 1987, S. 789 (Biden)/H.R. 2454 (Rangel/Gilman, Rodino).** Modified provisions of the act were passed by the House as an amendment to the proposed Omnibus Drugs Initiative Act of 1988 (H.R.5210).

4. Anti-Drug Abuse Act of **1988, P.L. 100-690 P.L. 101-231. P.L. 102-583.** New York Times and CBS News nationwide survey. **New York Times.** July **28. 1992.** p. A.12.

5. International Narcotics Control Act of **1992. P.L. 102-583.**

6. Testimony of Honorable **Melvyn Levitsky:** Should Certification be repealed? U.S. Congress, House Committee on Foreign Affairs, March **26, 1992.**

7. **U.S. Library of Congress,** Congressional Research Service, "Foreign Policy Roles of the President and the Congress" Report №**93-20F** (by **Ellen Collier.** **Washington.** D.C. January **6, 1993.**

8. **Douglas Clark Kinder and William O. Walker III,** 'Stable Force in a Storm: **Harry J. Anslinger** and United States Narcotic Foreign Policy, **1930-1962,** Journal of American History, **72 March, 1986.**

9. U.S. Department of Justice. Drug Enforcement Administration. Briefing book. Arlington. January, 1996.

10. J. P. Galland, *Fumée clandestine: Il ũtait une fois le cannabis*, Paris. Ed. du Lizard, 1992.

11. D.F. Musto, MD, *The American Disease: Origins of Narcotic Control*. New York. Oxford. Oxford University Press. 1987.

12. U.S. Department of Justice. Drug Enforcement Administration. Drug Enforcement Handbook. Washington D.S. 1996.

13. Jeffrey Rensselaer W. Lee III and Scott McDonald *Drugs in Post-Communist Societies*. Boulder San Francisco Oxford. 1994.

14. Tackling Drugs To BUILD A BETTER DRIIAIN The Government's 10-year Strategy for Tackling Drug Nisuse, London April, 1998.

15. David L. Westrate. *The Role of Law Enforcement*. Westview Press. Boulder San Francisco Oxford. 1994.

16. საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა, თბილისი, 1996 წ.

17. CICAD/CIECC/doc. 33/90, rev. 1, *for the description of the Inter-American Program of Quito: Comprehensive Education to Prevent Drug Abuse. Recent developments are covered in CICAD doc. 289/91 of February 1991.*

18. John C. McWilliams, "The Protectors: Harry J. Ansliger and Federal Bureau of Narcotics, 1930-1962" (New York: University of Delaware Press. 1990).

19. საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, თბილისი, აპრილი, 1999 წელი.

20. DEA, *აშშ განცხადება ნარკოტიკების საფრთხის შესახებ*, სადაზვერვო საშვართველო. აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, სექტემბერი, 1983 წ.

21. აშშ, იუსტიციის დეპარტამენტი, *არალეგალური ნარკოსიტუაცია კოლუმბიაში*. მოხსენება ნარკოტიკების შესახებ, დაზვერვის განყოფილება. ინგლ. ენაზე, 1993წ.

22. Воробьев И.; Князев В. *Некоторые аспекты борьбы с незаконным оборотом наркотиков за рубежом*. МВД РФ. Всероссийский научно-исследовательский институт. Москва, 1995 г.

23. United Nations Convention of the 1988 against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances, article 11.

24. აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, *სხვადასხვა ტვირთაშწეობის გემების იდენტიფიკაციის სახელმძღვანელო*, ინგლ. ენაზე, ვაშინგტონი, 1991 წელი.

25. აშშ ფინანსთა სამინისტრო და საბაჟო სამსახური, *სატვირთო კონტეინერების შემოწმება, ავიამგზავრებზე დაკვირვების ტექნიკური და ტაქტიკური საკითხები*, ინგლ. ენაზე, ვაშინგტონი, 1990 წელი.

26. **Овчинский В. С., Основы борьбы с организованной преступностью**, ИИД-ВО "Инфра-М", Москва, 1996 г.

27. მაკრო-მიკრო ეკონომიკა, ყოველთვიური საერთაშორისო სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, №6, თბილისი, 1999 წ.

28. **Шерман Арнольд, Как самому выбрать офшорную юрисдикцию**, Москва, ИИД-ВО "Манифест", 1994 г.

29. **Справочник "Офшорные зоны и трастовое законодательство"**. Январь, 1992 г.

30. **J. Beaty, S.C. Swynne, The Outlaw Bank**, BCCI, New York, Random House. 1993.


31. **Проблемы борьбы с организованной преступностью в западных странах**. Москва. 1997 г.

32. **J. C. Buffle, L'argent du crime et les banques suisses; A. Labrousse, A. Wallon, La planite des drogues**, Paris, Seuil, 1993.

33. **P. Kopp (dir.), L'ïconomie du blanchiment, Cahiers finance йthique confiance, Paris, Association d'ïconomie financiïre, 1995.**


34. **Bruce Watson and Peter Tsouras. "Operation Just Cause"**, Boulder: Westview Press, 1991.

კონფლიქტების ნაკრძიკული სავყარო



ავმგებლის სარისხი	რეპულარული არმეიბი	ჯარის გაღაადგილება, პარტიზანული ომეიბი, საჯარისო შენაერთეიბი	კონფლიქტის ტიპეიბი
გაღასიბილი კულტურაზე			ამბოხებეიბი
გაღასიბილი მით ბრუნყასი და/ან საბეკვოლებაზე			სამოქალაქო ომეიბი
შინაუილეობა საერთაშორასო ვაჭრობაში			ტრანსფონტილოური კონფლიქტეიბი

რუსეთი



ნაწილი მეოთხე ნარკოტიკების დიკლომატია

„ნარკოტიკები მუდამ
სამხედრო ძალის
თავმოყრის ადგილს
წარმოადგენს.“

ალენ ჯოქსი,
სოციოლოგი

თავი I

§1. ომების პენარგია

ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედ ნივთიერებასა და გარე სინამდვილის კონფლიქტებს შორის არსებული კავშირი ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ მითოლოგიაშია ასახული. „ილიადაში“ აქაველ მებრძოლებს ტროას მისადგომებთან ძილის დროს ორფევსი მოინახულებდა ხოლმე, ყაყაჩოს ღერით მოეფერებოდა და სურდა მათ სიზმარ - ოცნებებში შეეღწია. კავშირს მებრძოლებსა და გონებაზე ზემოქმედ ნივთიერებებს შორის მთელი მომდევნო ისტორიაც ადასტურებს.¹

ამ კავშირის უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ეფექტი, რასაც იგი მებრძოლებში იწვევდა, ანუ სტიმულს აძლევდა ებრძოლათ უფრო შემართებით, უკარგავდა მათ შიშის შეგრძნებას და უხსნიდა დაძაბულობას.

ნარკოტიკი ამ ფუნქციას თანამედროვეობის ეთნიკურ კონფლიქტებში დღესაც ასრულებს, იგივე ითქმის ყველა სამოქალაქო ომზე (*ავღანეთი, ლიბანი, ლიბერია, ნიკარაგუა, ბალკანეთი, კამბოჯია, ალბანეთი და სხვ.*).

თუ საკითხს ისტორიულ კონტექსტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ნარკოტიკები საუკუნეების განმავლობაში უკავშირდება შეიარაღებულ დაპირისპირებებს. ისინი ბევრ შემთხვევაში *ომების ენერგიად* და *მთავარ ფსონად* – მოგებად გვესახება. ნარკოტიკების მოპოვებისა და გავრცელების ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად დიდი ძალის სპეციალური ოპერაციები ხორციელდებოდა. *ცივი ომის* დასრულების შემდეგ, როდესაც რევოლუციონერებმა, ნაციონალისტებმა, პოლიტიკოსებმა და მთავრობებმა ნარკოტიკებით დიდი თანხები იშოვეს, ისინი „გადემოკრატიზნენ“; თუმცა დღესაც მსოფლიოს მრავალ რეგიონში დაფინანსების ერთ - ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ წყაროდ კვლავ ნარკოტიკი რჩება.

ომებისა და ნარკოტიკების კავშირის უწყვეტობის დამადასტურებელია ჩინეთის, ბირმის, ლიბანის, ავღანეთის, ნიკარაგუას, პერუს, კოლუმბიის, ბალკანეთის, კაკასიის მაგალითები, როდესაც ნარკოტიკები არა მარტო მებრძოლთა მასტიმულირებელი საშუალებაა, არამედ ამ მოხეტიალე არმიების დაფინანსების, ნარკოტიკებისა და იარაღის ურთიერთგადაცვლის ინსტრუმენტიცაა.²

თუ პრობლემას პოლიტიკურ სიბრტყეში განვიხილავთ, დავინახავთ, როგორ უახლოვდება სამხედრო ოპერაციები ნარკოტიკების წარმოების სივრცეებს.

აქ ხშირად თავს იჩენს ეთნიკური უთანხმოებები, რომლის დროსაც მოშლილია მართვისა და კონტროლის ცენტრალიზებული სისტემები. ქვეყნებში მეფობს უკანონობა და უწყესრიგობა, რის გამოც ადვილად იქმნება კრიმინალური დაჯგუფებები. ისინი სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში, მათ შორის, ნარკობიზნესშიც არიან ჩაბმული. ეს ჯგუფები საფრთხეს უქმნიან იმ ქვეყნის უშიშროებას, სადაც ისინი მოქმედებენ, ზიანს აყენებენ დემოკრატიულ პრინციპებსა და ინსტიტუტებს. მათ ხელი მიუწვდებათ იარაღზეც და, რაც მთავარია, არა იშვიათად ასეთი ქვეყნების მმართველი ელიტა თვითონ უქმნის დაცულ არხებსა და გზებს ნარკოტიკების დამზადებისა და გავრცელების ასპარეზს.

მზარდი ნარკოკრატია და ამასთან, საფრთხე, რომელიც ასეთი პოლიტიკის შედეგად ექმნება ამა თუ იმ ქვეყანას, აგრეთვე იმ საშიშროების გაანალიზება, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს ნარკოტიკებით ვაჭრობას მსოფლიოსთვის, მომავალი ათწლეულის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად რჩება.

ისტორიულად ხანგრძლივ დროში – ომებში, კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში თითქმის ყოველთვის ფიგურირებს ნარკოტიკები. მათი მუდმივი სამოქმედო ასპარეზია: აზია, ინდოჩინეთი, ხმელთაშუა და შავი ზღვის სივრცეები, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. ისინი ასეთი სახით ყველა რუკაზე, ყველა ისტორიულ აღწერისა და უძველეს დოკუმენტებში არის მოხსენიებული.

მეცნიერებისათვის, რომლებიც ნარკოტიკების განვითარების მსოფლიო ისტორიას სწავლობენ, უდაოდ საინტერესოა მისი ინტერნაციონალური კომერციის ხანა, როდესაც ტოქსიკომანიის შემოჭრასთან ერთად ზემოთ იხსნება ფულის სალაროები და ნარკოტიკები იმპერიული ომების ცენტრში ექცევიან.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის ნარკოტიკი დიდ ცვლილებებს განიცდის. ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარება და პირველი აკრძალვები ნარკოტიკებით ვაჭრობას და სპეკულაციის აფეთქებას ემთხვევა. ის, რაც ერთ დროს სარგებლიანი კომერცია იყო, თავისი კონკურენციით, თავისი ომებითა და ტვირთის გადატანის საკუთარი გზებით, კრიმინალური საქმიანობა ხდება, თუმცა, ამავე დროს, მეტად მომგებიანი.

აკრძალვა, რომელიც შორსაა დასახული მიზნის მიღწევისაგან,

თანხვდება ნარკოტიკების მოხმარების აფეთქებას. ისტორიის ეს მომენტი კოლონიალურ მსოფლიოსა და თანამედროვე ქვეყნებს, მაგიურ მედიცინასა და ქიმიურ რაციონალიზმს, წარსულ რელიგიურ რწმენასა და თანამედროვეობის მორალურ ამბოხებას შორის ნათლად გვაძლევს ნარკოტიკების გასაღება-მოხმარების მსოფლიო ისტორიულ სურათს, რათა იოლად ამოვიცნოთ ნარკოტიკებთან დაკავშირებული თანამედროვე ფენომენი.³

§2. ნარკოტიკები და იარაღი

იბადება ლოგიკური შეკითხვა თუ რატომ ექცევა ნარკოტიკი ყველა ომისა და კონფლიქტის შუაგულში?

პასუხი მრავალმხრივ გაანალიზებას მოითხოვს.

უპირველესი: ნარკოტიკს უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და წარმოადგენს განსაკუთრებული თვისებების მქონე აკრძალული ნივთიერებებით ვაჭრობის საგანს, სადაც უმნიშვნელოვანესია მოგება - მოხვეჭა. *თითოეული ეტაპი*, თავის მხრივ *საშუაშელო* ოპერაციების მთელ სერიას წარმოადგენს. იგი იწყება პროდუქციის მიღებიდან, გაივლის გადამუშავებას და ბოლოს მიდის გასაყიდად. მოგების შესაძლებლობები ყოველი ეტაპისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. *კოკაინის* შემთხვევაში ღირებულება მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საშუალოდ 2 000-ჯერ იზრდება, ხოლო *პეროინის* დროს 700 - ჯერ. სოციოლოგ ალენ ჯოქსის აზრით, *თითოეული ეს ეტაპი ხელისუფლების სამხედრო ძალის თავმოყრის ადგილს წარმოადგენს*, რადგანაც დიდი მოგების შედეგად ადვილად შეიძლება ჯარისკაცების გამოკვებაც და შეიარაღებაც.⁴

ამ კომერციას რამდენიმე ფორმა გააჩნია: თავდაპირველად იარაღის გაცვლა ნარკოტიკში. მაგალითად *იტალიური კამორა* 1990 წელს *ყოფილ იუგოსლავიაში იარაღში პეროინსა და კოკაინს იხდიდა*. შემდგომ ამ იარაღს ნარკოტიკებზე უცვლიდა *ლათინური ამერიკის* ვაჭრებს. იყო შემთხვევები, როდესაც გამსაღებელი კლიენტს სათავაზობდა ერთდროულად იარაღსა და ნარკოტიკს, რათა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ეს უკანასკნელი მას თანხას მიწოდებული ნარკოტიკების *გაყიდვის შემდეგ* გადაუხდიდა. ეს კარგი საშუალება იყო *ქსელის გაორმაგების თავიდან ასაცილებლად* (ალტერნატიული გზის ძიება) და გამყიდვლის ერთგულების მოსაპოვებლად.⁵ ბალკანეთის გზაზე სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც დაკავებულ გადამტანს პეროინთან ერთად ბალისტიკური რაკეტა სტინგერი გადაჰქონდა.

ნარკოტიკი XX საუკუნის მეორე ნახევარში მრავალი კონფლიქტის მიზეზია. მაგალითად, *კომინატანგის ჯარის მიერ ჩინეთიდან ბირმის*

გათავისუფლების მცდელობა; ვიეტნამსა და ლიბანში მიმდინარე ომები; ცენტრალური ამერიკის კონფლიქტი ნიკარაგუას გარშემო; ავღანეთის ომი, აკვასია, ბალკანეთ - კოსოვოს კრიზისი.

80-იან წლებში ნარკოტიკის წარმოებამ ისევ იფეთქა და კვლავ დაიწყო ნარკოტიკის ვაჭრობით მიღებული ფულის გათეთრება, ასე ვთქვათ სახეზეა *მისი გაკეთილშობილება*. საიდუმლო სამსახურებს არ ან ველარ გააჩნდათ მასზე მონობლია. ნარკოტიკი ამიერიდან აფინანსებდა პლანეტის ნაცრისფერი ზონის მაწანწალათა, მოხეტიალეთა არმიებს და სრულიადაც არ უშლიდა ხელს ადგილობრივი ძალაუფლების წარმომადგენლებს მათთან ურთიერთობის გაგრძელებაში, უფრო მეტიც, მას სტრატეგიული მიზნებისთვისაც იყენებდნენ. მაგალიად, *ჰეროინით* მიღებულმა თანხამ ხელი შეუწყო პაკისტანში სამხედრო მიზნებისათვის წარმოებული ბირთვული კვლევის დაფინანსებას.


ნარკოტიკებს, შეიარაღებულ არმიებსა და ფორმირებებს შორის ურთიერთკავშირი მრავალმხრივია. უპირველესად, მსოფლიოს სხვადასხვა სივრცეებში მოქმედი პატარა შეიარაღებული შენაერთები თუ დიდი არმიები ნარკოტიკების პლანტაციებიდან მიღებულ პროდუქციაზე არსებული გადასახადებით ფინანსდებიან. ეს სამხედრო ორგანიზაციები საკმაოდ კარგად შეიარაღებული, მობილური და მაღალ პროფესიულ დონეზე დაკომპლექტებული. მაგალითად, *ჰერუში* „სანდერო ლუმინოსო“ (*ნათელი გზა*) ჩაერია ამერიკის მიერ წამოწყებულ კამპანიაში, რომელიც მიზნად ისახავდა ცნობილ უალაგას ხეობაში კოკას სხვა კულტურებით ჩანაცვლების პროგრამის განხორციელებას. *სანდერო ლუმინოსოს* და ნარკოტიკების ურთიერთკავშირი 1986 წლით თარიღდება. ამ დროს *სანდერო ლუმინოსომ* ჩამოიცილა ყველა კონკურენტი, რათა თვითონ გამხდარიყო უშუალო შუამავალი გლეხებსა და კოკაიერის ნედლეულის შემგროვებლებს შორის. დააარსა ორგანიზაცია სახელწოდებით „დელეგაცია“. იგი ადგენდა კოკას ფასს და ამოწმებდა ბალანსს. მასში მონაწილეობის მისაღებად ნარკოტიკით მოვაჭრე ყოველი ფირმა რიცხავდა 5 - 15 ათას დოლარამდე თანხას. ამ სისტემამ შეუწყვეტილი იმუშავა 1988 წლიდან 1993 წლამდე.

ღრმა მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს ნარკოტიკების როლი ავღანეთის ომში და იმ ეთნიკურ დაპირისპირებებში, რომლებიც ამ რეგიონს ახასიათებს.

პლანეტის ამ ცხელ წერტილში ნათლად გამოჩნდა თუ როგორი მძლავრი სტიმიულატორია ომები და ეთნიკური კონფლიქტები ნარკოტიკების გავრცელება-წარმოებისათვის და რა როლს თამაშობს მასში მსოფლიოს სახელმწიფოები.

ისტორიულად 1979 წლამდე, სანამ ძალაუფლებას ხელში კომუნისტური ძალები აიღებდნენ, ყაყჩო მხოლოდ ავღანეთის 25 პროვინციაში მოჰყავდათ, გამორჩეულად – ობიუმი. იგი განსაკუთრებით ოთხ პროვინციაში ხარობდა (*ნანგაზარი, ყანდაარი, ბალხი და ბადახშანი*) და აქტიურად გამოიყენებოდა სახალხო

ავლანური კონსულიტაციიდან პერიოდის
პაკისტანურ მარშრუტებად




ფარმაკოთერაპიაში. მათი გამაბრუნებლის სახით მიღება სოციალურად ყოველთვის კონტროლირებადი იყო. გარდა ამისა, ყაყაჩოს ნაწარმსაც მრავალი დანიშნულებით იყენებდნენ: *მარცვალი ზეთს და საკონს იძლეოდა, ღერო – მცენარეულ საღებავს, ხოლო ჩალას საქონლის საკვებად ხმარობდნენ. ავღანური პროდუქციის მცირე ნაწილი გაჰქონდათ თურქეთსა და ირანში, სადაც იგი ჰეროინად გარდაიქმნებოდა.*⁶

ქაბულში მხოლოდ 1970 წელს გამოჩნდა *ირანული* წარმოშობის *ჰეროინი*, თუმცა საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით.

იმისათვის, რომ ავღანეთის ხელისუფლება ოპიუმით მოვაჭრეებს და მის წარმოებას წინ აღდგომოდა, იგი უდიდეს ფინანსურ დახმარებას ღებულობდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებისგან და პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ერთი პაკისტანელი ეკონომისტის მონაცემებით 1980 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო

ყაყაჩოს როლი
ავღანეთის პოლიტიკონომიაში



ორგანიზაციების დახმარება საშუალოდ 300 მლნ დოლარს აღწევდა, მაშინ როდესაც ოპიუმის გაყიდვას მხოლოდ 21 მლნ დოლარი შემოჰქონდა. მდგომარეობა თითქოს დაბლანდებული იყო, მაგრამ ომის დაწყებისთანავე იგი უმაღლესი შეიცვალა. ჰერატის პროვინციის რელიგიურმა და სამოქალაქო ავტორიტეტულმა პირებმა გააუქმეს *ყაყაჩოს* წარმოებაზე აკრძალვა და იგი ისევ იბეგრებოდა, როგორც ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე პროვინცია ჰელმანდში ძმები – მოლეები ახუნზადები ისლამური რევოლუციური მოძრაობის მეთაურები იყვნენ. ისინი გადასახადის სახით, ოპიუმის

გაყიდვით მიღებული თანხიდან 5 - 10 პროცენტს ღებულობდნენ, რაც რეგიონში მოყვანილი 1500 ტ ნარკოტიკიდან ამოგებულ 35 - 70 მლნ დოლარს უტოლდებოდა. ეს თანხა 5 ათას კაციანი ძლიერი არმიის აღჭურვას მოხმარდა.

§3. „ნაკლებმომთხოვნი“ ყაყაჩო

ომის მასშტაბების მკვეთრმა ზრდამ გლახეებს, რომელთა სავარგულები ავიაციის დაბომბვის შედეგად საგრძნობლად შემცირდა, ბიძგი მისცა ხელი მოეკიდათ უფრო რენტაბელური კულტურისათვის, ხოლო კონტრაბანდისტებმა დაუბრკოლებლად შეძლეს თავიანთი საქმიანობის გაგრძელება.

მოგვიანებით მუჯახიდეებიც მიხვდნენ იმ სარგებელს, რისი მოტანაც ამ პროდუქციაზე კონტროლის დაწესებას შეეძლო. 1988 წელს პროდუქციამ 1,5 ტ მიაღწია, ხოლო როდესაც საბჭოთა ჯარები ქვეყნიდან გავიდნენ (1989 წ.) და 1992 წელს *ქაბულში* ახალი ისლამისტური მთავრობა დაფუძნდა, დაიწყო პროდუქციის აფეთქება (ბუმი).⁷ მიზეზი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეკონომიკური იყო. იმ რაიონებში, საიდანაც საბჭოელები და მთავრობის მათი მომხრეები წავიდნენ, ინფრასტრუქტურა მთლიანად დანგრეული იყო, განსაკუთრებით კი სარწყავი და ტრადიციულ ჭათა (კარეზების) სისტემა – მთლიანად მოშლილი. ასე რომ, ყაყაჩო როგორც ნაკლებმომთხოვნი (ნაკლებ პრეტენზიული) კულტურა, წინა პლანზე დადგა და გლახეებმა აქტიურად დაიწყეს მისი მოყვანა. ამას დაემატა ისიც, რომ 1989 წელს ლტოლვილები უკან დაბრუნდნენ და მათგან 3 მილიონი (ბანაკებში) კარვებში ცხოვრობდა. მიტოვებული მიწების დაპატრონების მიზნით ასევე დიდი რაოდენობით ლტოლვილები მოედინებოდა *ირანიდანაც* ქვეყნის სამხრეთ რაიონებში.⁸

1992 წლიდან ლტოლვილთა დაბრუნებამ მასიური ხასიათი მიიღო. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობდა ამ პროცესს და 130 დოლარსა და 300 კგ ხორბალს უგზავნიდა მას, ვინც ლტოლვილის ბარათს აპარებდა, მაგრამ ეს ამკარად არასაკმარისი იყო. 1994 წელს 1,5 მილიონზე მეტი ლტოლვილი დაბრუნდა პაკისტანიდან. მიუხედავად *ქაბულში* კვლავ მძაფრი კონფლიქტებისა, ლტოლვილთა დაბრუნება მაინც გრძელდებოდა, თუმცა, უფრო *ნელი* ტემპებით. დედაქალაქის 500 ათასმა მცხოვრებმა სოფელს მიაშურა, რადგან ომისგან გაჩანაგებულ ქვეყანაში სიტუაცია იქ უფრო საიმედო იყო.

ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ბევრმა ლტოლვილმა გადაწყვიტა ყაყაჩოს კულტურის მოყვანა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რაოდენობა – 700 ათასი ლტოლვილი დაბრუნდა ნანგაჰარის რაიონში, რომელიც ოპიუმის წარმოების ძირითად ზონას წარმოადგენდა.

ერთ-ერთი მიზეზი პროდუქციის (წარმოების) ზრდისა ისიც იყო, რომ

მეთურების გარკვეულმა რაოდენობამ 1992 წლის იანვრიდან ახალი თანამედროვე შეიარაღების შეძენა გადაწყვიტა. ქვეყნის ტრაიბალიზაციამ კომუნისტური ძალაუფლების დაცემის შემდგომ გააძლიერა ყაყაჩოს კულტურის მნიშვნელობა, როგორც ადგილობრივი ძალაუფლების ავტონომიური საშუალება.

1994 წელს UNDP-მა (გაეროს სტრუქტურა) ნარკოტიკების მოყვანაში ყველა ექვემდებარებული პროვინციაში პირველი აღწერა ჩაატარა. დადგინდა, რომ ყაყაჩოს კულტურა, რომელიც 80 000 ჰექტარზე იყო გადაჭიმული იძლეოდა 3 200 - 3 300 ტ ოპიუმს. პროდუქციის ეს რაოდენობა ქვეყანას ბირმაზე წინ აყენებდა, რომელიც 1993 - 1994 წლებში 2 600 - 2 800 ტ აწარმოებდა.⁹

მნიშვნელოვანია *ჰაკისტანის* როლი ევროპისათვის განკუთვნილი ნარკოტიკის წარმოებასა და ექსპორტში. ნარკოტიკის გამოკვეთილი ინდუსტრია 1979 წლიდან ომის დაწყებასთან ერთად დაიწყო გენერალ ზია ულ ჰაკის სამხედრო დიქტატურის მმართველობის დროს. იგი აფინანსებდა ჩრდილო-დასავლეთის საზღვრებთან მდებარე პროვინციაში *ტრაიბალური ზონების* არსებობას, რაც ბრიტანული კოლონიზაციის მემკვიდრეობას წარმოადგენდა.





ჰაკისტანელი შემგროვებლები 1 კგ ნედლ ოპიუმში გლეხებს 220 ფრანკის შესაბამის თანხას უხდიდნენ დოლარებში. „*ხმელში*“ კი 340 ფრანკისას. საერთოდ წელიწადში პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 220 მლნ დოლარს აჭარბებდა.¹⁰

§4. მზრინავი სამზარეულოები – შავი სალარო

ავღანეთში საომარმა მდგომარეობამ, საზღვრისპირა ბანაკებში მილიონობით ლტოლვილის არსებობამ სიტუაცია კიდევ უფრო ფეთქებადი გახადა. ჰეროინს აწარმოებდა 150 - 200 ლაბორატორია, რომელსაც მზრინავ სამზარეულოებს უწოდებდნენ. გამწვავებულმა ნარკოსიტუაციამ მძაფრი განვითარება მიიღო მეზობელ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით კი პაკისტანში. მაშინ როცა 1990 წელს პაკისტანმა მხოლოდ 150 - 200 ტ ოპიუმში მოიწია, 1994 წლისათვის მან ავღანური ოპიუმის ნახევარი თავისთან შემოიტანა და 120 - 150 ტ ჰეროინი აწარმოა; აქედან 50 - 70 ტ ექსპორტზე გაიტანეს, დანარჩენი 70 - 80 ტ კი შიდა მომხმარებლისათვის იყო განკუთვნილი. თუ 1980 წლისათვის ჰეროინის მოხმარება არც თუ ისე დიდ მასშტაბებშია, 1990 წლისათვის მომხმარებელთა რიცხვმა 1,5 მლნ მიაღწია.¹¹

პაკისტანის, როგორც ჰეროინის მწარმოებლის როლი არ არის პირობადებული ისტორიული თუ გეოგრაფიული ფაქტორით. მას მძლავრი იმპულსი ავღანეთში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა მისცა. დალუქული სამხედრო მანაქანები, რომელთაც იარაღი მუჯახიდების მიერ

ოპიუმი - ოქროს ნახევარმთვარის ქვეყნები



სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია

ოპიუმის კულტივირება და წარმოება

	1994	1995	1996	1997	1998	1999
კულტივირება (ჰექტარებში)	167230	175470	190520	184950	157750	147610
ბირმა	146600	154070	163100	155150	130300	121520
ლაოსი	18520	19650	25250	28150	26100	25220
ტილანდი	2110	1750	2170	1650	1350	1870
პოტენციური წარმოება (ტონებში)	2132	2545	2790	2600	1906	1740
ბირმა	2030	2340	2560	2365	1750	1620
ლაოსი	85	180	200	210	140	110
ტილანდი	17	25	30	25	16	10
პოტენციური ჰეროინი (ტონებში)	177	212	232	217	159	160
ბირმა	1165	195	213	197	149	144
ლაოსი	7	15	17	18	12	15
ტილანდი	1	2	2	2	1	1

კონტროლირებულ ზონებში გადააქონდათ, ოპიუმით დატვირთულები ბრუნდებოდნენ უკან, რომელსაც ტრაიბალური ზონების ლაბორატორიებში აბარებდნენ. შემოსავალი შავ ყუთში მიდიოდა და იმ საიდუმლო ოპერაციების დაფინანსებას ხმარდებოდა, რომელსაც მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაცია უნდა გამოეწვია. ანალოგიურად ფინანსდებოდა სიკპისა და ქაშმირის აჯანყებულების შეიარაღებაც. დასავლეთის სამსახურების ცნობით, პაკისტანის არმიის აღჭურვილობის 30 პროცენტი ჰეროინით ფინანსდებოდა.

შესაძლოა ამავე ფულით ფინანსდებოდა გასაიდუმლოებული ბირთვული ცდების ზოგიერთი ასპექტები. ეკონომისტების აზრით, ნარკომარშრუტი ყოველწლიურად 2 - 4 მლრდ დოლარამდე მოგებას იძლეოდა, ხოლო მიუხედავად იმისა, რომ 1 გრ ჰეროინი ადგილობრივ შავ ბაზარზე 1 დოლარს არ აღემატება, ქვეყნის შიგნით ყოველწლიურად 1,2 მლრდ დოლარის მოგებას შეადგენდა.²

უცხოეთის სპეცსამსახურებისა და საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ყველა მთავრობის დროს დაწყებული 1990 წლიდან, რომელსაც ბენაზირ ბჰუტო, შემდეგ ნავაზ შარიფი და კვლავ ბენაზირ ბჰუტო მეთაურობდნენ, ნარკობიზნესს ეწეოდნენ და მათი სხვადასხვა საარჩევნო კომპანიებიც, ამ თანხით ფინანსდებოდა. ასევე იქცეოდნენ პროვინციული ასამბლეისა და პარლამენტის ზოგიერთი წევრი, რამდენიმე მინისტრი, განსაკუთრებით ტრაიბალური ზონებიდან.³

§5 ისტორიული გადასახედიდან

დღეს ისტორიული გადასახედიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ავღანეთში ომის შემდგომი უკონტროლობისა და ქაოსის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ავღანეთი აღარ წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთ ნახევარსფეროს დაპირისპირების წერტილს. დასავლეთის ქვეყნებს იგი აღარ აინტერესებდათ, ხანძარი ჩამქრალა, ახლის დაწყების მიზეზი კი ჯერ არ ჩანს.

მიზეზი კი მრავალი წლის შემდეგ გამოჩნდა, კერძოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც 4500 ადამიანზე მეტი შეიწირა. სწორედ ის აღმოჩნდა მიზეზი, რომლის გამოც მსოფლიოს თანამეგობრობას უნდა მოეწესრიგებინა ავღანეთში და მთლიანად რეგიონში არსებული უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი.

უკანასკნელი 10 უკონტროლო წლის განმავლობაში ავღანეთის უზარმაზარი სივრცე, სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებებისა და ტერორისტული ორგანიზაციების უპირველესად ალ-ქაიდას საბაზისო ტერიტორია აღმოჩნდა, რომლის ძირითადი ბირთვი პაკისტანის სპეციალურ საწვრთნელ ბანაკებში მომზადებული „თალიბები“ იყვნენ. „ალ-ქაიდა“ გასული საუკუნის 90-იან წლებში

საუდის არაბეთის მილიარდელთა ოჯახის წევრმა უსამა ბინ-ლადენმა დააარსა, რომელმაც მემკვიდრეობით 300 მილიონი დოლარი მიიღო.

ორგანიზაციის მიმდინარე მიზანია „ერთიანი მაჰმადიანური სახელმწიფოს შექმნა“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თანამშრომლობა მოკავშირე ისლამისტთა ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან, მუსულმანური სამყაროდან დასავლეთის სახელმწიფოთა განდევნის მიზნით, რადგან თვლიან, რომ ძირითადად ისინი სარგებლობენ მუსულმანურ სამყაროში არსებული სამდიდრით (ნავთობი, გაზი, ძვირფასეულობა და ა.შ.).

სწორედ ავღანეთის უდიდესი სივრცეების უკონტროლოდ დატოვების პერიოდს ემთხვევა იქ ტერორისტული ორგანიზაციის „ალ-ქაიდას“ რეზიდენციის დაარსება და მათი ძირითადი საწრთენელი ბანაკების შექმნა, რადგან ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული უდიდესი შემოსავლები აადვილებდა ტერორისტული ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის მუდმივ სრულყოფას და ახალ-ახალი ტერორისტული აქტების განხორციელებას (ტერორიზმისა და ნარკოტიკების ურთიერთკავშირის შესახებ ქვემოთ).

ბინ ლადენის პიროვნება – რთული ფენომენია. თვლიან, რომ იგი კონტროლიდან გამოსული „პროფესიონალია“. მას გააჩნია საკმაოდ სერიოზული სპეციალური განათლება. მისი მოქმედებიდან, საქმის ორგანიზაციიდან ჩანს, რომ იგი საკმაოდ ახლოს იყო სპეცსამსახურებთან. იგი უპირველესად საშიშია იმდენად, რამდენადაც „იდეური პიროვნებაა“. იბრძვის არა ფულის ან ხელისუფლებაში ადგილის მოპოვებისათვის არამედ იდეისათვის, რომელიც რელიგიურ სარწმუნეობრივი ნიადაგიდან მოდის და არ ეთანხმება სამყაროს მოწყობის ცივილიზირებულ ხედვას. ეს ძალიან საშიშია, რადგან ამ იდეას ემსახურება არა მარტო ერთი ბინ-ლადენი, არამედ მისი დიდი გარემოცვა, თანამოაზრეთა დიდი წრე, რომელნიც არა ერთ სახელმწიფოში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, ამიტომ ბინ-ლადენთან და ალ-ქაიდასთან ბრძოლა არ იქნება ერთი ან ორი წლის საქმე და მას ერთი რომელიმე ზესახელმწიფოც კი თავის შესაძლებლობების ფარგლებში ვერ გადაწყვეტს.

§6. გადასახადი აკრძალულ კულტურაზე

აკრძალულ კულტურაზე პარტიზანული რაზმების მიერ გადასახადის დადება მრავალ ქვეყანაში არსებობს. ასეთებია *მაგალითად* ფილიპინები (*მინდანაოს გათავისუფლების ეროვნული ფრონტი*), ინდონეზია (*ასე - სუმატრას გათავისუფლების ფრონტი*), ინდოეთი (*ნაგალანდის ეროვნული სოციალისტური საბჭო*), სენეგალი (*კაზამანსის დემოკრატიული ძალების მოძრაობა*), ლიბერია (*ლიბერიის პატრიოტული ეროვნული ფრონტი*) და ა. შ.

1988 წლიდან დაწყებული „სენდერო ლუმინოსოს“ შემოსავლის ძირითადი წყარო კოლუმბიელ ნარკომოვაჭრეთაგან ამოღებული გადასახადებია. ტარიფი – 300 კგ ნარკოტიკზე გაიცემოდა 5 - 10 ათასი დოლარი. ადგილობრივი ხელისუფლება იშვიათად კმაყოფილდებოდა მხოლოდ გლეხებიდან ამოღებული გადასახადებით. იყო შემთხვევები, როდესაც გადასახადს სამხედრო აღჭურვილობით იხდიდნენ. ნარკოტიკებით მიღებული მოგება წელიწადში ათობით მლნ დოლარი იყო. იგი გამოიყენებოდა ისეთი ორგანიზაციული და ყოფითი საკითხების მოგვარებისათვის როგორც იყო, *მაგალითად*, სახლებისა და მანქანების ყიდვა; კურიერების ტრანსპორტის ხარჯები; ხელფასები ადვოკატთა და ექიმებისათვის, ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსყიდვა და ა.შ. და რაც მთავარია, პარტიზანული რაზმების დაფინანსებისათვის.

ბირმაში, ოქროს სამკუთხედში, ოპიუმის მეფე – კუნ სა (მასზე დეტალური საუბარი ქვემოთ გვექნება) მოგების გადასახადს იმ ვაჭრებისაგან იღებდა, რომლებიც მისი გავლენის ქვეშ მყოფ ზონებში საქმიანობდნენ: იგი პირუტყვზე – 5 პროცენტს, ნეფრიტზე (მინერალი) – 10 პროცენტს, ოპიუმზე – 20 პროცენტს იღებდა. ასევე იღებდნენ გადასახადებს *დაწყებული შტატების ჩრდილოეთით მდებარე ყაყჩოს მინდვრებიდან ტაილანდის საზღვრებთან განლაგებული ჰეროინის ლაბორატორიებამდე – და ყველაფერი ეს ოპიუმის გადამტანი ქარაუნების დაცვისათვის*. ამავე ზონაში 1996 წლამდე კუნ სას ჯგუფი აკონტროლებდა რაფინირებული ჰეროინიდან გადასახადის ამოღებას, რაც პროდუქციის ღირებულების 40 პროცენტს შეადგენდა. ამ მოგებამ, რასაც ემატებოდა გადასახადი დანარჩენ საქონელზე – განსაკუთრებით ძვირფას ქვებსა და ხე-ტყეზე, კუნ სას საშუალება მისცა 10 ათას კაციანი არმია შეენახა.¹⁴

შეიარაღებული ჯგუფების უმრავლესობა – (კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები – **FARC**) (მასზე დაწვრილებით ქვემოთ), პერუში („სენდერო ლუმინოსო“), ავღანური დაჯგუფებები და სხვ. არ ცდებოდნენ თავიანთი გავლენის ადგილობრივ ზონას, თუმცა ზოგიერთი შეიარაღებული რაზმი კვეთდა ამ საზღვარს და მოგების მიზნით მოხმარების ბაზრისათვის განკუთვნილ საერთაშორისო საქსპორტო ქსელებს ქმნიდა. ასეთი იყო, *მაგალითად*, „თამილ ილამის განთავისუფლების ვეფხვები“ და **“PKK”** (ქურთთა მუშათა პარტია) 1980 წელს. ხოლო ლიბანურმა ქრისტიანულმა მილიციამ ფრანგული სასამართლოს წინაშე გასული საუკუნის 80-იან წლებში განაცხადა, რომ ისინი *კაშიშსა და ჰეროინს თავიანთი თემების არმიათა დაფინანსების მიზნით ყიდდნენ*.

§7. ბალკანეთი – იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის მთავარი არტერია

დაახლოებით ანალოგიური პროცესები განვითარდა ბალკანეთში. 70-იანი წლების მიწურულიდან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბები ამ რეგიონში დიდი სისწრაფით გაიზარდა, ხოლო 80-იანი წლების ბოლოს იგი ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის მთავარი არტერია გახდა ევროპაში.


სიტუაციას გარკვეულწილად ხელი შეუწყო იუგოსლავიაში მიმდინარე ეთნიკურმა დაპირისპირებებმა, ხოლო ნარკოვაჭრობას მძლავრი იმპულსი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულმა არეულობებმა და ანარქიამ მისცა.

იუგოსლაველი ნარკოლიდერები ახლა აქტიურად მოღვაწეობდნენ ევროპის ქვეყნებში (*შვეიცარია, იტალია, ავსტრია, გერმანია*). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იუგოსლავური ჯგუფების მოქმედება პოლიტიკურადაც მოტივირებული იყო. ეს ჯგუფები ამოგებულნი თანხებით იმ სეპარატისტულ მოძრაობას აფინანსებდნენ, რომელიც იმჟამად იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. 1990 წელს ევროპაში ნარკოტიკების გავრცელებისათვის დაკავებულ იუგოსლაველთა უდიდესი ნაწილი ხორვატები და ეთნიკური ალბანელები იყვნენ, დანარჩენები კი სერბიის კოსოვოს პროვინციის წარმომადგენლები. ხორვატიამ უკვე მოიპოვა დამოუკიდებლობა, კოსოვოს ალბანელები კი იმისათვის იბრძოდნენ, რათა თავი დაეღწიათ სერბიის ზეგავლენისაგან. ფიქრობდნენ, რომ ეს იქნებოდა ალბანელებთან გაერთიანების გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი.⁵ ჯერ კიდევ 1991 წლის ოქტომბერში შვეიცარიის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ კოსოვოს ალბანელებმა ბერნში ნარკოტიკების გასაღებით მიღებული თანხებით შეიძინეს ნახევრადავტონმატური იარაღი *სხვა ინფორმაციების ანალიზის მიხედვით დგინდება, რომ იარაღი მიჰყიდეს ხორვატულ სეპარატისტებს ან მიაწოდეს კოსოვოს წინააღმდეგობის ფრონტს და ალბანელთა ეროვნულ განმათავისუფლებელ ძალებს. ჯგუფს რომლის მიზანიც კოსოვოს იუგოსლავიის შემადგენლობიდან გამოყვანა და ალბანეთთან შეერთებაა. იუგოსლავიაში საერთოდ ფართოდ იყო გავრცელებული იარაღის ნარკოტიკებზე გაცვლის პოლიტიკა. ყოველი მუამბოზე ჯგუფი მიმართავდა ნარკოტიკების ტრანსპორტირებას, რათა საკუთარი სეპარატისტული მოძრაობა დაეფინანსებინა.*⁶

იგივე ითქმის *სერბიული* პროვინციის ალბანელთა ქსელებზეც. ისინი სერბთა წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღს *შვეიცარიაში გაზიდული ჰეროინით ყიდულობდნენ. საინტერესოა* ამის შესახებ გახუთ „ტაიმსის“ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიება.

„*კოსოვოს გათავისუფლების არმია* – ძბა, რომელსაც დასავლეთი უჭერს მხარს მარქსისტული ორგანიზაციაა“ – წერდა გახუთი „ტაიმსი“. იგი საეჭვო

ბალკანური კონსოლიტაცია



- | | | |
|-----------------------|---------------------------------------|----------------------------------|
| მთავარი პორტები | კლასიკური კულტურის გრადიციული ზონები | ნარეკომარშუტის საზღვაო ღერძები |
| ბურჟუაზიული ძეგლები | ვიზანტიური კულტურის გრადიციული ზონები | ნარეკომარშუტის სახმელეთო ღერძები |
| წმინდა იესო | პერიოდის ლაბორატორიები | ემიგრაციის კვანძები |
| პორტები | სატრანზიტო პორტები | დამბულაობის ზონები |
| რელიგიური კომპლექსები | | კონფლიქტები |
| | | ისლამური ინტეგრაცია |

წყაროებიდან ფინანსდება (მათ შორის, ნარკომაფიიდანაც) ამ აზრს იზიარებენ ევროპის სამართალდამცავი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. „ტაიმის“ მიერ ჩატარებული გამოძიების მსვლელობაში დადგინდა, რომ დასავლეთ ევროპის სამი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისა და ევროპოლის (სრულიად ევროპის საპოლიციო ორგანიზაცია) მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაიხსნა საქმეები იმ ფაქტებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ კბპ-ს ნაკლებად ცნობილი დაჯგუფებიდან სამხედრო ორგანიზაციად გადაქცევა შესაძლებელი გახდა ნარკოტიკებით ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგების წყალობით.

უნდა ითქვას, რომ კბპ დროის ძალზე მცირე მონაკვეთში აბსტრაქტული დაჯგუფებიდან მოძრავ და შესამჩნევ სამხედრო ორგანიზაციად გადაიქცა და არაერთ წარმატებას მიაღწია.

როგორც ვარაუდობენ კბპ - ს დაფინანსების მნიშვნელოვანი წილი ნარკოტიკებით ვაჭრობაზე მოდიოდა. ამ ორგანიზაციის საეჭვო დაფინანსებას შეეციაშიც იძიებდნენ. „ჩვენს სპეცსამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ეჭვი არ გვეპარება, რომ არსებობს კავშირი ნარკომაფიის ფულსა და კოსოვოს გათავისუფლების არმიას შორის“, – განაცხადა შვეციის პოლიციის სპეცსამსახურის ნარკობზნესთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა ვალტერ კეკემ. ამ საქმესთან დაკავშირებულ დამატებით მტკიცებულებებს შეედეთი სხვა ქვეყნიდანაც იღებდა. „გერ-გერობით ჩვენ არ გავკანია აშკარა მტკიცებულებები, მაგრამ გამოცდილება გეკარნახობს, რომ ის არხები, რომელთა მეშვეობითაც ძლიერმოქმედი ნარკოტიკებით ვაჭრობა ხორციელდებოდა, იარაღის ბიზნესისთვისაც გამოიყენებოდა“, – ამბობს შედეთის პოლიციის მაღალჩინოსანი ოფიცერი.

ერთ-ერთი დასავლური სპეცსამსახურის მოხსენებაში, რომლის ციტირებასაც ახდენს გაზეთი „Berliner Zeitung“, ნათქვამია, რომ კოსოვოელ პარტიზანთა საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან მათ 900 მილიონი გერმანული მარკა მიიღეს. ამ თანხის ნახევარი ნარკოტიკების არალეგალური ვაჭრობიდან შემოსული ფულია. კერძოდ, გერმანელები იკვლევენ კავშირს კოსოვოელ პარტიზანთა ფულს, ნარკოტიკებსა და ალბანელებს შორის. არსებობს საფუძველი ეჭვისა, რომ გერმანიასა და შვეიცარიაში მცხოვრები კოსოვოელი ალბანელები სარგებლობენ ამ ქვეყნებში ჰეროინის ვაჭრობით მიღებული მოგებით, რაც შემდგომში კოსოვოს გათავისუფლების არმიის დაფინანსებას ხმარდება.

დანაშაულობასთან ბრძოლის გერმანიის ფედერალური სპეცსამსახურის სააგენტოსათვის მომზადებულ მოხსენებაში ნათქვამია: „ეთნიკური ალბანელები დღესდღეობით დასავლეთის ქვეყნებში ჰეროინის გამავრცელებელ ყველაზე სერიოზულ დაჯგუფებას ქმნიან“.

ევროპოლმა, რომელიც პააგაში არსებობს, მოამზადა სპეციალური ანგარიში იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ევროპელი მინისტრებისთვის. ანგარიში

შეეხებოდა კბპ - სა და ალბანურ ნარკომაფიას შორის არსებულ კავშირს.

ჩეხეთის პოლიციამ არცთუ დიდი ხნის წინ მიაკვლია კოსოვოელ ალბანელთა ნარკოვაჭარს, ვინმე დობოშის, რომელიც ნორვეგიის ციხიდან გაიქცა, სადაც იგი ჰეროინით ვაჭრობისათვის 12-წლიან პატიმრობას იხდიდა. ბინის გაჩრეკის შედეგად მოძიებულ იქნა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ დობოში კბპ - სათვის იარაღს ყიდულობდა.

გერმანიის პოლიცია თავის ვარაუდს კიდევ უფრო კონკრეტული მოსაზრებების საფუძველზე გამოთქვამს: *ჰეროინის ბიზნესში ალბანელთა პოზიციების მოულოდნელი განმტკიცება შვეიცარიაში, გერმანიასა და სკანდინავიაში ემთხვევა კოსოვოს გათავისუფლების არმიის ასევე მოულოდნელ მეტამორფოზს – გლეხთა შეიარაღებული ბანდიდან (როგორცადაც ის საწყის ეტაპზე გვევლინებოდა) იგი 30 ათასიან სამხედრო ფორმირებად გადაიქცა, რომელიც ყუმბარმტყორცნებით, ტანკსაწინააღმდეგო იარაღითა და AK-47 ტიპის ავტომატებითაა აღჭურვილი.*¹⁷


§8. კავკასიაზე თავსმოსვრული ნარკოტიკების დიპლომატია

პლანეტის მრავალ წერტილში მიმდინარე უმწვავესი მოვლენებისა და ცხელი წერტილების ფონზე ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ეტაპზე საინტერესოა *კავკასიაზე თავსმომხვეული* „ნარკოტიკების დიპლომატია“ და საქართველოს როლი და ადგილი ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში. სწორი დასკვნების გამოსატანად ყოველივე ისტორიულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომელიც ყველა შემთხვევაში რუსეთთან არის დაკავშირებული.

ძალისმიერი ინტერვენციული პოლიტიკის და შესაბამისი დიპლომატიის გამოყენებით რუსეთმა უდიდესი იმპერია ააშენა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მან კავკასიის კოლონიზაცია დაიწყო – საქართველო 1801 წელს დაიპყრო, აზერბაიჯანი 1813 - ში, ყველაზე ბოლოს ჩეჩნეთი – 1858-ში და დაღესტანი 1878 წლებში დანებდნენ.

ერთ - ერთი მუდმივი ფაქტორი ამ პოლიტიკისა გადასახლებაა, უარეს შემთხვევაში კი უბრალოდ ეთნოსის მოსპობა.

მოსკოვი დროსა და სივრცეში *ისეთსავე პოლიტიკას აწარმოებდა*, როგორცადაც ადრე მისი მეზობლები – ბიზანტიისა და ოტომანთა იმპერიები, ვსტრია - უნგრეთი და სხვები ახორციელებდნენ. დაპყრობით ომებს თან სდევდა მოსახლეობის უდიდესი მიგრაციული პროცესები. გადაადგილებული მოსახლეობა სახლდებოდა იმპერიის განაპირა მხარეებში, მუდმივად გადადიოდა ერთი სივრციდან მეორეში, ბალკანეთიდან – ცენტრალურ ევროპამდე, კავკასიიდან –



ესტრო-უნგრეთის იმერია, 1914წ.

ოტომანების იმერია, 1914წ.

ოტომანების იმერიის ძველი ტერიტორიები

სივურო პორტები

ხალხების გადაადგილება

- ბერძნები
- უკრაინელები
- სომხები

- სთაიელ-ლიბანელები
- თურქულალები

ცენტრალურ აზიამდე, ჩინეთის საზღვრებსა და წყნარი ოკეანის ნაპირებამდე, *სწრაფად იღებდა დიასპორების რეფლექსებსა* და ძირითადად ქალაქური ცენტრების ირგვლივ სახლდებოდა. თავის ცხოვრებას ეფემერული საქმიანობით ეწეოდა. მოკლე ხანში კვლავ გადაადგილების შიშით ნაკლებ ინვესტიციებს მოითხოვდა და რაც შეიძლება უფრო სწრაფად რენტაბელურს. შუა საუკუნეების ებრაელთა მსგავსად ვაჭრობაში დახელოვნდა და ზოგჯერ ისეთშიც, რომელიც აქამდე არ არსებობდა.

შრომით ბანაკებში ნაცხოვრები და ყოველგვარ საშუალებებს მოკლებული მოსახლეობა მუდმივ მოძრაობასა და ვაჭრობაში ჩართული ცხოვრობდა.

გარდა ამისა, ყველაზე მძიმე მომენტებში ერთმანეთს შორის კლანური ტიპის კონტაქტებს იცავდა და ისტორიულ კავშირებს არ კარგავდა წარმოშობის ადგილებთან. ამის კარგი მაგალითია მანჯურიის ჩინური უმრავლესობა, რომელთაც ცენტრალურ აზიაში პირველებმა დაიწყეს ყაყაჩოს კულტურის გავრცელება და მისი კომერცია.

XX საუკუნის დასაწყისიდან მოვლენები სწრაფი ტემპებით განვითარდა. ებრაული აშკენაზები ცარისტულ და შემდგომ პოლონურ დარბევებს გაექცა. სომხები თურქული გენოციდისაგან იცავდნენ თავს. ბერძნები კი ოტომანურ იმპერიას გამოექცნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის მფარველობის ქვეშ მყოფ მთელს ტერიტორიაზე დაიწყო ხალხების გადაადგილება. ამ დასჯილი ხალხის ეთნიკურმა მოზაიკამ იმპერიის დაშლა - დეკომპოზიციის შემდეგ კიდევ უფრო გაიძლიერა დინამიური მოძრაობით შექმნილი ინსტიქტი. აღმოსავლეთის, *ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპისკენ* ლტოლვილები მოძრაობდნენ იმ წრიულ სტრატეგიულ მარშრუტებზე, რომლის შუაგულშიც მუდამ ტრიალებდა *კონტრაბანდული სივარეტი, ნავთობი, სპირტი, ნარკოტიკები*.⁸

XX საუკუნის 80-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე არეულობები, კავკასიის ომები, მასთან სულ ახლოს მდებარე *ქურთთა და ბალკანეთის კონფლიქტები, ცენტრალურ აზიაში მძვინვარე ომები*, რომლის ერთ-ერთი მიზეზი „ოქროს ნახევარმთვარის“ ქვეყნებში ნარკო-მარშრუტებზე გავლენის სფეროების გადანაწილებაა, უდაოდ ხელს უწყობდნენ პლანეტის აზიურსა და კავკასიურ სივრცეებში *კონტრაბანდის*, განსაკუთრებით კი ნარკოტიკებით ვაჭრობის განვითარებას.

ამ კონფლიქტებში დიასპორათა მნიშვნელოვანი ნაწილიც იყო ჩათრეული — ჩეჩენთა სუფიური სამოქმედო ყირგიზეთსა და წინა აზიაში, სომეხი საქმოსნები პლანეტის მრავალ კუთხეში, ქურთი ლტოლვილები ევროპაში, აფხაზები თურქეთსა და სხვა ქვეყნებში მობილიზებულნი იყვნენ თავიანთი სამომავლის დასაცავად, რისთვისაც ყოველგვარ კანონიერ თუ უკანონო საქმიანობაზე მოდიოდნენ.

საერთოდ აღიარებულია, რომ კონფლიქტები და ომები როდესაც უსასრულოდ იჭიმება, დიასპორის წევრები მრავალნაირ კომერციაში ერთვებიან და *საქმე*, რომელიც დასაწყისში ელემენტარულად თავის რჩენის წყაროს წარმოადგენდა, მოკლე ხანში დასაბამს აძლევს სერიოზულ სავაჭრო ქსელებს.¹⁹ ასე იქმნება *დანაშაულებრივი კავშირები დიასპორასა და კონტრაბანდულ ქსელებს შორის* და ახლა ეს უკანასკნელნი თავიანთი უბედურებიდან მოგებასაც კი ნახულობენ, ხოლო უკანონო ბიზნესი თანდათან ძალას იკრებს.

ასევე უნდა გაითვალისწინოთ, რომ *ცენტრალური აზია და კავკასია არა მარტო ნარკოტიკების ყველაზე დიდი მწარმოებელი და სატრანზიტო სივრცეა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, არამედ იგი იმყოფება საუკუნეების მიჯნაზე ამ რეგიონში მიმდინარე ეთნიკურ დაპირისპირებათა გზაჯვარედინზე. ნარკოტიკები კი უბიძგებს ამ წინააღმდეგობათა გაღრმავებას, რითაც სარგებლობენ დაინტერესებული ქვეყნები.*

*თუ მსოფლიომ უყურადღებოდ დატოვა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში პოლიტიკური ძალადობისა და ეკონომიკურ დეზინტეგრაციაში ჩართვის მომენტი, ისე როგორც ეს ადრე მოხდა ლიბანში, პერუსა და ავღანეთში, შედეგები მთელი კაცობრიობისათვის უმძიმესი იქნება.*²⁰

§9. სამოქალაქო ომი საქართველოში

უკანასკნელ წლებში კავკასიაში განსაკუთრებით გადაიკვეთა ორი მძლავრი სახელმწიფოს ინტერესები – ესენია რუსეთი და თურქეთი. კავკასიის რესპუბლიკები ისტორიულად იმ ორ ქვეყანას შორის მდებარეობს, რომელთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენა ტრანსკავკასიურ სივრცეში ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში თანდათან იზრდება. *ეს ორი სახელმწიფო განუწყვეტლევ იბრძვის რეგიონში გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად, მითუმეტეს, რომ იგი ევრაზიის შემაერთებელი არტერიაა და უდიდესი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.*²¹

მსოფლიოს ამ მონაკვეთში ნავთობისა და სხვა ძვირფასი ნედლეულის კოლოსალური მარაგებია კონცენტრირებული.

ცდილობს რა თავი დააღწიონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონფედერაციას (დსთ), კავკასიის ქვეყნები ძალიან სწრაფად ხდება *რუსეთის პრიორიტეტული სამიზნეები*. ეს უკანასკნელი კი ამ ქვეყნებში გეგმავს ტერორისტულ აქტებს, აღვივებს ეთნიკურ კონფლიქტებს, მხარს უჭერს სეპარატიზმს, რადგან ურჩევნია ისინი მუდმივი ზემოქმედების ქვეშ ჰყავდეს

(საქართველო, აზერბაიჯანი) ან გაიხადოს სამხედრო და პოლიტიკურ მოკავშირედ, როგორც სომხეთი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების და ენდოგენურმა მიზეზებმა რუსეთს რეგიონში ნარკოტიკებისა და იარაღის ბაზრის განვითარება გაუადვილა. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ კავკასია აზიიდან ნარკოტიკების ტრანზიტის ტრადიციული გზების შესაყარზე მდებარეობს.

სწორედ ამით იყო გამოწვეული 1991 წელს საბჭოთა კავშირის ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ აზერბაიჯანში ორგანიზებული სამხედრო გადატრიალება, რომლის პირდაპირი მიზანი ბაქოს იმ სამარშრუტო გზაზე მოთავსება იყო, რომელიც ცენტრალური აზიიდან და ირანიდან მოდიოდა, რადგან ბაქო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნავთობ - ქიმიური გადამამუშავებელი ცენტრია და სხვადასხვა სტრატეგიული ნედლეულის მათ შორის ნარკოტიკის ტრანზიტის დიდ შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება 1993 წელს საქართველოში - აფხაზების, რუსების, კაზაკების, ჩრდილოეთ კავკასიელებისა და სხვა დამხმარე ძალების მეშვეობით სოხუმის აღებას, მიზანი თავისუფალი და დამოუკიდებელი პორტის დაარსება იყო.

სურვილი ადვილად შესრულებადი გახდა, რადგან მეზობელ სახელმწიფოებში დაწერილი სცენარის მიხედვით, საქართველომ ჯერ 1991 - 92 წლებში სამოქალაქო ომი გადაიტანა, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებას ანდერძად შინააშლილობა, ეთნიკური კონფლიქტები, დანგრეული ეკონომიკა, დაუწყობელი საზოგადოებრივი ურთიერთობები და ორად გახლეჩილი ქვეყანა დაუტოვა.

ასეთ უმძიმეს პირობებში მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი, რომ აჭარა და მისი პორტი - ბათუმი, რომელიც თურქეთს ესაზღვრება, თითქოსდა ხელიდან უსხლტებოდა თბილისის კონტროლს.

რაც შეეხება აფხაზეთს, იგი რუსების, კაზაკების, ჩეჩნებისა და სხვათა დახმარებით 1993 წელს, ეგრეთ წოდებული ფორმალური საზღვრით მდინარე ენგურზე, საქართველოს იურისდიქციას გამოეყო.²²

როგორც კი საქართველომ დსთ-ში რეინტეგრაცია გამოაცხადა, ომი გაიყინა.

რუსეთის სამხედრო ნაწილები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთში იმყოფებოდნენ, იმ დროიდან სტატუსკვოს გარანტიები გახდნენ, ხოლო სოხუმი - მეორე მნიშვნელობის პორტი აფხაზ მებრძოლთა და მათ მოკავშირეთა ხელში დარჩა.

სოხუმი დღეს თავისუფალი (დამოუკიდებელი) პორტია და იქიდან სრული განუსჯელობით გაედინება კონტრაბანდული საქონელი - ნარკოტიკები, სიგარეტი, იარაღი, ნავთობი და სხვ.

ამავე 90-იან წლებში ბაქოში, კავკასიური ნავთობის ცენტრში და მეზობელ ქალაქ სუმგაითში მუდმივი ქაოსის ვითარებაში ხდებოდა ცენტრალური აზიიდან,

ირანიდან და ავღანეთიდან მოდენილი მორფინის ნედლეულის რაფინირება.

1990 წელს ბაქოს არალეგალურ ლაბორატორიებში ამუშავდა ქიმიური ინდუსტრია, რომელმაც ექსპორტისათვის განკუთვნილი სინთეზური ნარკოტიკის – ამფეტამინის წარმოება დაიწყო.

აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ, საქართველოსა და თურქეთზე გაეტარებინა კასპიის ნავთობსადენი, რუსეთი – მოსკოვი ძლიერ გააღიზიანა. ამას აზერბაიჯანში უწყვეტი სახელმწიფო გადატრიალებები, ხოლო საქართველოში ტერორისტული აქტები მოჰყვა.

კავკასიაში – მათ შორის საქართველოშიც, ადგილობრივმა მეთოქე კლანებმა პოლიტიკაში ახალი „თამაში“ შემოიტანეს – ერთმანეთის და მაღალჩინოსნების კომპრომეტირება ნარკოტიკებით ვაჭრობაში დადანაშაულების ნიშნით. ნარკოტიკების კი ძლიერდება და საზღვრებს აფართოვებს.

მას შემდეგ რაც გამოინახა კომპრომისი ორი ნავთობსადენის ორ ტრასაზე ბაქო - თბილისი სუფსა და ბაქო - გროზნო - ნოვოროსიისკი ფუნქციონირების შესახებ, ორმხრივი ბრალდებები ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობის ირგვლივ შენელდა, თუმცა XXI საუკუნის დასაწყისში, ახალი ნავთობსადენის ბაქო - თბილისი ჯეიჰანი და გაზსადენის ბაქო თბილისი ერზრუმი პროექტების ამუშავებამ, რასაც ქვეყანაში ამერიკული და დასავლელი სამხედრო ინსტრუქტორების ჩამოსვლაც მოჰყვა, მოსკოვი ძალიან გააღიზიანა - სიტუაცია უკიდურესად დაძაბა, ქვეყანა მსხვილმასშტაბიანი კონფლიქტის წინაშე დადგა.

ყოველივეს მიზეზი კი ის არის, რომ რუსეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კავკასიის სამხრეთ ნაწილს, რომელიც შავი ზღვით საერთაშორისო არენაზე გასვლის შესაძლებლობას უქმნის და უდიდესი გეოსტრატეგიული დატვირთვა გააჩნია.

ამიტომ 90-იანი წლებიდან ამ რეგიონში დაწყებული დაპირისპირება მუდმივად გარკვეულ მეტამორფოზას განიცდის, თუმცა საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ძალიან შორსაა, თითქმის არცა ჩანს.

§10. ჩეჩნური „შალი“

კავკასიის რეგიონში ამჟამად ურთულეს ფენომენად ჩამოყალიბდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა. აქ თავი მოიყარა პოლიტიკურმა, რელიგიურმა, ეკონომიკურმა, ეთნიკურმა და სხვა სახის დაპირისპირებებმა. ერთ მხარეს ფული გააჩნია, მეორეს იარაღი, სხვას ორივე ერთად. სწორედ ამ უკანასკნელით აკონტროლებენ სიტუაციას. მზარდი ხასიათი მიიღო ნარკოტიკებით ვაჭრობამ, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებამ, რომელთა შორის არიან

ჯარისკაცები, მაღალი ჩინის სამხედროები (თვით გენერლებიც), უცხოელი მოქალაქეები. კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში აქტიურად ჩაება ჩენური სათვისტომოებიც, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე – ციბირიდან ავღანეთის საზღვრამდე მოქმედებენ.

მათი მათეოზური ქსელები კი არა მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგში, არამედ სატელიტური ქვეყნების დედაქალაქებსა და გერმანიაშია ცნობილი. ჩენებს საკმაოდ წარმომადგენლობითი სათვისტომოები აქვთ შუა აღმოსავლეთში, თურქეთში, იორდანიაში და სირიაში.

სიტუაციიდან გამომდინარე, მოსკოვი ცდილობს „განტევების ვაცად“ სწორედ ჩენეთი გამოაცხადოს და მას დააკისროს პასუხისმგებლობა რუსეთში მიმდინარე მათეოზურ მოვლენებზე, ტერორისტულ გამოვლინებებზე და სხვ..

მაინც ვინ იყო ჩენეთის საზღვრებზე გამავალი სატრანზიტო ქსელის ცენტრში?

ვინ აკონტროლებდა ნარკოტიკებისა და სხვა კონტრაბანდული ტვირთის ამ გზით გატანას?

როგორ ახერხებდნენ ჩენური შეიარაღებული ფორმირებები ამ საქმისათვის მოსაზღვრე ქვეყნების აეროდრომების, საყრდენი ბაზებისა და საწყობების გამოყენებას?

რომ გავერკვეთ, თუ რა გზებით უკავშირდებოდა ჩენეთი საერთაშორისო ნარკობიზნესს, ამისათვის 1991 წლის მოვლენებს უნდა დავუბრუნდეთ.

„იჩქერიის თავისუფალი რესპუბლიკის“ თვითგამოყოფის საწყის ეტაპზე ფართო მასშტაბიანი ნარკობიზნესი არ შედიოდა დუდაევის რეჟიმის პრიორიტეტთა რიცხვში. საწყისი კაპიტალი იარაღით უკანონო ვაჭრობამ და ფინანსურმა აფიორებმა მოიტანა, აგრეთვე, იძარცვებოდა ნავთობრესურსები და სატრანსპორტო კომუნიკაციები.

ჩენენ ლიდერებს მემკვიდრეობით ერგოთ საპაერო ხომალდების პარკი და რუსეთის ხელისუფლების მხრივ სრული უკონტროლობის პირობებში, მათ რესპუბლიკაში საკმაოდ მარჯვედ ჩამოაყალიბეს სატრანზიტო კონტრაბანდის არხი. ჩენეთის სატრანზიტო თუ კონტრაბანდული შესაძლებლობები ფაქტიურად შეუზღუდავი იყო.

დუდაევის რეჟიმის წარმომადგენლები ნარკობიზნესში პროფესიულ დონეზე მას შემდეგ ჩაებნენ, როცა 1991 წლის შემოდგომაზე დანაშაულებრივი კონტაქტები დაამყარეს აზიის ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყნებთან.

ნარკოდაჯგუფებამ პირველი არხი ააწყო ჩრდილოეთ ავღანეთის შეიარაღებული რაზმების საველე მეთაურთა ბაზაზე. მათი კავშირები, რომლებიც 80-იან წლებში სუკისა და ავღანეთის უშიშროების სამსახურს შორის დამყარდა, ჯერაც საიმედო და მოქმედი იყო.

1994 წლიდან ჩენეთი უშუალო კავშირზე გადავიდა ავღანეთთან,

ხოლო მოგვიანებით ჩეჩნეთში უკვე პაკისტანიდან დაიწყო დენა ნარკოტიკებმა.

ჯერ კიდევ 1991 წლის ბოლოს *ინგლისიდან* ჩამოიტანეს მცირე წარმადობის, მაგრამ თანამედროვე ფარმაცევტული ფაბრიკა, რომელიც საშუალებას იძლეოდა *მორფინი ძალადი სისუფთავის პერიოდ* გადაემუშავებინათ.

ჩეჩნეთში ნარკობაზის არსებობის ფაქტი დადასტურდა რუსეთის *საპარლამენტო კომისიის მიერ* (კომისიას ხელმძღვანელობდა სტანისლავ გოვორუხინი) და აისახა კიდევ მის ოფიციალურ ანგარიშში.²³

ჩეჩნური წარმომავლობის ნარკობაზას, რომელიც შალიში, ყოფილ პიონერთა ბანაკში იყო განლაგებული. პირველი დღეებიდანვე გაძლიერებული 100 კაციანი სპეციალური ჯგუფი იცავდა, რომელიც ჩეჩნებისა და სლავური ეროვნების დაქირავებული მებრძობისაგან შედგებოდა. ბაზა ასევე გამოიყენებოდა საბჭოთა არმიის ადგილობრივი საწყობებიდან, მონღოლეთიდან, გერმანიიდან და ლიტივიდან შემოზიდული იარაღის შესანახად და გადასაზიდად.

1995 წლის იანვრამდე ნარკოტიკების გადაემუშავების ხაზი შეუსვენებლივ მუშაობდა. 1995 წლის 5 იანვარს ბაზა რუსეთის საჰაერო ძალებმა დაბომბეს.

მთელი სამი წლის განმავლობაში დულდა და გადმოდულდა ნარკოტიკების წარმოება – ამ პერიოდში ბაზიდან დიდი ოდენობით პეროინი გამოვიდა.


პირველ ეტაპზე ნარკოტიკების დიდი ნაწილი, საკუთრივ ჩეჩნური კავშირებით, ლიბანში იყიდებოდა – იგივე კერძო ავიონეტებს „საქონელი“ დასავლეთ ბეირუთში გადაჰქონდა. იქიდან კი ადგილობრივი კონტრაბანდისტები თავიანთი არხებით ევროპულ ბაზარზე აგზავნიდნენ.

1992 წლის ბოლოსთვის *დუდაევის* წარმომადგენლებმა ნელ-ნელა შეზღუდეს *ლიბანელთათვის ბაზრის* მომარაგება.

იმ წლებში *თურქეთსა და ევროპაში* ნარკოტიკების გადატანის ერთ-ერთი მთავარი არხი – აფხაზური მარშრუტი იყო, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ძმების შამილ და შირვან ბასაეების პირადი ნარკოარხი. **MI** - 8 ტიპის ვერტმფრენებით მათ ნარკოტიკები ჩეჩნეთის ვედენოს რაიონიდან ახალი ათონის საფრენ მოედანზე გადაჰქონდათ. სატრანზიტო დაჯდომის პუნქტებად ისინი ყაბარდო - ბალყარეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ჯეირახის ხეობაში მოწყობილ ბაზებს იყენებდნენ. ახალი ათონიდან ნარკოტიკები სოხუმის პორტში გადაიზიდებოდა, ხოლო იქიდან თურქეთის დაშორებით, ხომალდებით მიეღინებოდა ჩრდილოეთ კვიპროსზე ფამაგუსტას პორტში. *საქონელი* აქ უკვე ადგილობრივ ნარკოსაქმონებს ბარდებოდა. უკანა გზაზე ხომალდები, როგორც წესი, ბასაევის რაზმისათვის იარაღსა და ტყვია-წამალს ეზიდებოდნენ.²⁴

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩეჩნეთი, როგორც ამას მრავალი საერთაშორისო ექსპერტი აღნიშნავდა, გახდა ყველა საიდუმლო ოპერაციების

კონფლიქტური და ნარკოტიკული კაზახსია



მბრუნავი ღერძი და თავისუფალი კრიმინალური ზონა. შემდგომში რუსეთის შეჭრა ჩეჩნეთში აიხსნა, როგორც „ცოცხის მოსმა ნარკობიზნესის ბუღისათვის“.²⁵

აფხაზეთისთვის დახმარების შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს „მოსათვინიერებლად“ გააკეთა და სადაც ჩეჩნეთის და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, უკვე ჩეჩნეთის რიგი დადგა და იგი რუსული აგრესიის მსხვერპლი გახდა.

ჩეჩნეთის ავტონომიურ რესპუბლიკას დღეს ორი პერსპექტივა ამოძრავებს: დაუსრულებელი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რაც იარაღისა და ფულის მუდმივ ძიებას განაპირობებს და სამოქალაქო მოსახლეობას ეროვნული შეიარაღებული რაზმების ჩარჩოში მოაქცევს. ეს უკანასკნელი გააძლიერებს ურთიერთობას ჩეჩნურ მაფიასთან როგორც რუსეთში, ასევე შუა აღმოსავლეთსა და კავკასიაში განსაკუთრებით რადიკალურად განწყობილ მუსულმანურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან, რასაც აუცილებლად მოყვება მასშტაბური ტერორისტული აქტები განსაკუთრებით რუსეთის ტერიტორიაზე.

რუსეთის ომმა, ჩეჩნეთს და მთელს კავკასიას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მოახვია თავს – ისლამის პოლიტიზაცია.

როდესაც ჯოხარ დუდაევი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, თავდაპირველად მას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ისლამზე. ლაპარაკობდნენ მხოლოდ დამოუკიდებლობაზე. მართალია, რწმენით დუდაევი მაჰმადიანი გახლდათ, მაგრამ საბჭოთა გენერალი იყო, რომელიც ავღანეთში იბრძოდა – მოჯაჰიდინებს თვითმფრინავიდან ბომბავდა. შემდეგ, როდესაც ჩეჩნეთში ომი დაიწყო, დუდაევს დასავლეთის იმედი ჰქონდა, რომელმაც არ გაუმართლა – წარმოდგენილი იყო ჩეჩნეთის გამო დასავლეთს რუსეთთან ურთიერთობები გაეფუჭებინა. ამიტომ დუდაევმა ახალი საყრდენის ძიება დაიწყო. ასეთი აღმოჩნდა მუსლიმანური სახელმწიფოები, საიდანაც შემოვიდა, როგორც ცოცხალი სამხედრო ძალა, ისე ფინანსები და იარაღი. მათ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება სწორედ ისლამმა მისცა, ამიტომ წამოიწია რეგიონში ისლამის ფაქტორმა.

ჩეჩნეთსა და ზოგადად კავკასიაში არსებული ისლამი ძალიან შორსაა იმ ორთოდოქსული ისლამისაგან, რაც საუდის არაბეთში და სხვა ისლამურ ქვეყნებშია. სწორედ აქედან გავრცელდა ვაჰაბიზმი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ერთის მხრივ მებრძოლი ისლამური მოძრაობის გამომხატველია, მეორე მხრივ კი მისიონერულ მოძრაობას ნიშნავს, რომელიც საბჭოთა ათეისტური პერიოდის შემდეგ სხვადასხვა მხარეში კვლავ ცდილობს მოსახლეობის ხელახალ. ისლამიზაციას.

§11. საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე

ასეთ უმძიმეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო გარემოცვაში საქართველო მტკიცედ დაადგა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზას. ნელ-ნელა, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად შეიქმნა ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის მყარი ინსტიტუტები.

მთელი ძალით ამუშავდა რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით: სამართალდაცვით და ჯანმრთელობის დაცვის სისტემებში, ტრანსპორტში, სამხედრო მშენებლობაში და სხვ.

1999 წელს ქვეყანა ევროსაბჭოს წევრი გახდა.

რამდენიმე წლით ადრე – 1992 წლიდან, საქართველოსთვის იმ ყველაზე დაძაბულ პერიოდში, საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე სისტემას. ნელ-ნელა ჩამოყალიბდა სათანადო სტრუქტურები, ხოლო 1993 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო და მისი სათანადო სტრუქტურები ადგილებზე. დამყარდა საერთაშორისო კავშირები. ეროვნული ბიუროს მოწვევით 1996 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციამ სწავლება ჩაატარა საქართველოში. იმავე წელს ქვეყნის პრეზიდენტმა დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული „საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა“, რომელმაც საერთაშორისო ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ასე რომ, ქვეყანაში შექმნილმა სისტემამ მუშაობა დაიწყო, ხოლო საქართველოს სპეცსამსახურები და მისი დანაყოფები ნელ-ნელა ჩაებნენ ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში.²⁶

§12. საქართველოში ნარკოტიკების ბაჰრსეალებისა და ტრანსპორტირების მარშრუტები

ნიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ არაერთგვაროვანია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა, იგი კომპლექსური პრობლემაა და ამ ბრძოლაში ყურადღების მცირედი მოდუნებაც კი მძიმე შედეგს იძლევა, რადგან ნარკობიზნესი და ნარკოკარტელები დინამიურად უპასუხებენ გარემო პროცესებზე და მუდმივად ეძებენ აზიიდან ევროპაში, ნარკოტიკების გადატანის უმოკლესსა და უკონტროლო გზებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია რომ, დღეს საქართველო მყარად

ფიგურირებს ნარკოტიკების გეოპოლიტიკურ რუკაზე როგორც სატრანზიტო ქვეყანა, ხოლო დასავლეთის სპეცსამსახურები უკვე მერამდენედ აფიქსირებენ ჩვენი ტერიტორიებისა და პორტების საშუალებით ნარკოტიკების დიდი პარტიების გადატანას. ამის მაგალითია 1998 წლის 8 იანვარს, სარფის საბაჟოზე *თურქული მხარის* მიერ ტურისტული ფირმის ავტობუსში მოწყობილი სპეციალური სამალავიდან 486 კგ და 976 გრ პეროინის ამოღება.

დღეს საქართველოში ნარკოტიკების გავრცელება და უკანონო ტრანსპორტირება რამდენიმე მარშრუტითაა შესაძლებელი:

პირველი – *ჩრდილოეთ ოსეთიდან, საქართველოს სამხედრო გზის გავლით: ყაზბეგი - დუშეთი - მცხეთა, შემდეგ თბილისი, ან დასავლეთ საქართველო – ფოთი, შემდეგ შესაძლებელია თურქეთი ან ევროპა;*

მეორე – *ჩრდილოეთ ოსეთიდან, როკის გვირაბით: ცხინვალი, გორის ტერიტორია, შემდეგ შესაძლებელია თბილისისაკენ ან დასავლეთ საქართველოსაკენ;*

მესამე – *იგივე მარშრუტები, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ნაკვალად ტვირთი შეიძლება წავიდეს ახალციხის ან ახალქალაქის საბაჟოებისკენ;*

მეოთხე – *ირანი - სომხეთი - საქართველო, შემდეგ შესაძლებელია შავი ზღვის პორტებით თურქეთი ან ევროპა;*

მეხუთე – *აზერბაიჯანი - საქართველოს ტერიტორიის გავლით შესაძლებელია აჭარიდან ხმელეთით თურქეთი ან ევროპა.*

მექვსე – *აფხაზეთიდან ზუგდიდის ტერიტორიის გავლით აკრძალული ტვირთები მოედინება თბილისისაკენ (აღმოსავლეთ საქართველო). ხოლო აფხაზეთის პორტებიდან თურქეთის პორტების მიმართულებით.*

სწორედ მეხუთე მარშრუტით წავიდა ის აკრძალული ტვირთი, რომელიც თურქმა მეზაჟებმა 1998 წლის 8 იანვარს დააკავეს.

თუ ამ ფაქტს პროფესიული თვალთ შევხვდავთ, იგი გასაკვირი არაა საქართველოს შესაბამისი სამსახურების მომზადებისა და მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების ფონზე. დღეს ნარკობიზნესთან, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ტრანზიტთან ბრძოლა სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. ამისათვის კი აუცილებელია *ეროვნული პროგრამის* მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარება, რადგან იქ ზუსტად და კონკრეტულად არის მოცემული ის აუცილებელი ღონისძიებები, რაც საერთაშორისო დონის მუშაობასა და თანამშრომლობას სჭირდება.

საქართველოს დღევანდელი მწირი ფინანსური რესურსების პირობებში *ძნელია პროგრამის ადგილობრივად დაფინანსება*, საჭიროა სპონსორების, დონორი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების ქვეყნის გარეთ ძებნა. უპირველესად ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი. უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ყოველი წლის შემოდგომაზე იხილავს იმ ქვეყნების სიას,

რომლებიც ნარკოტიკებს აწარმოებენ და სადაც ზღემა მისი დიდი ოდენობით ტრანზიტი, ხოლო ის მოთხოვნები, რომლებსაც ქვეყნები უნდა აკმაყოფილებდნენ დახმარების მისაღებად, ჩვენს მიერ განხილული იყო წიგნის მესამე ნაწილში „ნარკობიზნესთან ბრძოლის თანამედროვე სტრატეგია“.

არ შეიძლება ერთი სერიოზული პრობლემა ცალკე არ გამოვკვეთოთ.

ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მზადდება კიდევ ერთი შენელებული მოქმედების ნაღმი კახეთის უმშვენიერეს მხარეში – პანკისის ხეობაში. იგი უშუალოდ ჩენჩეთის რესპუბლიკას ესაზღვრება. ეს უკანასკნელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ ხეობას, რადგან, სტრატეგიული თვალსაზრისით იგი მისი ერთადერთი პლაცდარმია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით.

ჩენჩეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, რუსეთი თანდათან მეთოდურად ავიწროვებს რკალს მის გარშემო, მიზანი:

– ფალსიფიცირებული ბენზინის და სხვა სახის კონტრაბანდული ტვირთის შეტანის აღკვეთა რუსეთში;

– აქტიური ბრძოლა რუსეთის ტერიტორიაზე ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებისა და ნარკოტიკების დიდი პარტიების შეტანის აღსაკვეთად და რაც უმთავრესია განსაკუთრებით მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება ტერორიზმის გამოვლინებებისა და ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ბლოკადაში მოქცეული ჩენჩეთი დაჭრილ დათვს ემსგავსება, რომელიც ქვეყნის გარეთ გასასვლელ გზებს და სამომავლოდ საბრძოლო მოქმედებების მომზადებისათვის საჭირო ტერიტორიებს ეძებს. დარჩა მხოლოდ ორი მიმართულება: პირველი – დენტის კასრზე მჯდომი დადესტანი, რომლის ტერიტორიაზეც კონცენტრირებულია დიდი რაოდენობით, კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი რუსეთის სამხედრო და სპეციალური დანიშნულების რაზმები, ხოლო საზღვრები ჩენჩეთიდან საკმაოდ საიმედოთაა ჩაკეტილი და მეორე – საქართველო თავისი გამჭვირვალე საზღვრებით და მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით.

სასაზღვრო ზოლის სუსტი დაცვის პირობებში პანკისის ხეობაში 1999 წლის ზაფხულიდან დაიწყო ჩენჩეთიდან ლტოლვილთა დიდი ნაკადის მიგრაცია, რომელთა რაოდენობამ რამდენიმე ათასს მიაღწია, მათ არც ერთი წუთით არ გაუწყვეტიათ კავშირი თავის მკვიდრ ტერიტორიასთან. მსოფლიოში ცნობილი აპრობირებული მოდელის თანახმად, სულ მალე პანკისის ხეობაში გამოჩნდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები: წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს დამკვირვებლები, სხვადასხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები, რომელთაც ხეობაში ჰუმანიტარული პროგრამების დაფინანსება და ამ სახის ტვირთის განაწილება დაიწყეს.

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის, ბალკანეთის და მსოფლიოს სხვა ცხელი

წერტილების მსგავსად ლტოლვილებს სულ მალე სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფები, დაჭრილები, საომარ მოქმედებებს გამოქცეულნი მოჰყვენენ, რომელთა უმთავრესი მიზანი არაერთგვაროვანია;

2000 წლის ზაფხულიდან ხეობაში მდგომარეობა უაღრესად გამწვავდა, რაც გამოიხატა იმ შეიარაღებულ შეტაკებაში, რომელიც ხეობის მცხოვრებლებსა და კახეთის რეგიონალური სამმართველოს პოლიციელებს შორის მოხდა. დაიღუპა ორი ოფიცერი და ორიც ადგილობრივი მკვიდრი. შეტაკებამ აშკარად აჩვენა, რომ ასეთ კომფრონტაციულ დამოკიდებულებას შეიძლება ადგილობრივი და ლტოლვილი მოსახლეობის უკიდურესი გაღიზიანება გამოეწვია და იგი დიდი მასშტაბის შეიარაღებულ შეტაკებაში გადაზრდილიყო. პოლიციამ ხეობაში მიმდინარე პროცესებისადმი ლოიალური დამოკიდებულება აირჩია. პანკისის ხეობა კი ამასობაში ნელ-ნელა იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ტრანზიტის ცენტრი გახდა.

მსოფლიოს ცხელ წერტილებში არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამხედრო ძალის თავმოყრის ადგილებში მუდამ არის იარაღი და ნარკოტიკები. უხელფასობისა და სუსტი საკადრო პოტენციალის პირობებში პოლიცია, ასევე სხვა სტრუქტურებში აქტიურად ერთვება იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში. ნარკობიზნესი ვითარდება ცნობილი მსოფლიო პრინციპით:

ნარკოტიკები ↔ იარაღი

ავტომატები, ხელყუმბარები, სხვადასხვა მარკის პისტოლეტები, საბრძოლო ვაზნები (რომელიც დიდი რაოდენობით კონცენტრირებულია ადგილობრივ მოსახლეობაში და არაიშვიათია მათი რუსეთის და ადგილობრივი სამხედრო ბაზებიდან გატანის ფაქტები) იცვლება ნარკოტიკებში და პირიქით.

კრიმინალური ქმედება რეგიონში თავმოყრილი შეიარაღებული დაჯგუფებების მთავარი საქმიანობა ხდება. ისინი მალე აწესებენ კონტროლს ჰუმანიტარული ტვირთების განაწილებაზე, ნარკობიზნესი ეხლა უკვე მიზანმიმართულ სახეს ღებულობს. იწყება პანკისის ხეობის მიმდებარე სოფლების ათვისება – ადგილობრივ ახალგაზრდობას, რომლის დამოკიდებულებაც ნარკოტიკებისადმი ტრადიციულად უარყოფითი იყო, პირველ ეტაპზე უსასყიდლოდ გადასცეს დიდი რაოდენობით ჰერონი, ხოლო მასზე დამოკიდებულების განვითარების შემდგომ ისინი ნარკოტიკების გავლენის ქვეშ მოაქციეს და ამჟამად სამუშაო ძალადაც კი იყენებენ. მოკლედ, მოსახლეობა ნელ-ნელა ნარკოტიკებით და იარაღით მოვაჭრეებს ბარდება. საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდებით დაიწყო ნარკობიზნესის სავაჭრო ქსელების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოს დიდი ქალაქების მიმართულებით, რომლის შემდგომი ეტაპი ლოგიკურად ტვირთების თურქეთის და

ევროპის მიმართულებით გადაადგილება იქნება. ასე ყალიბდება საქართველოში ნარკოტიკების გავრცელების და ტრანზიტის ახალი ჩეჩნური ვექტორი – მეშვიდე მიმართულება.

ადგილობრივი და ჩეჩენი კრიმინალური ორგანიზაციების ურთიერთ-კავშირებით სისტემატური ხასიათი მიიღო ადამიანთა გატაცებამ ფულის გამოძალვის მიზნით. საქმე იქამდე მივიდა რომ, 2000 წლის შემოდგომაზე წითელი ჯვრის ორგანიზაციის ოთხი თანამშრომელიც კი გაიტაცეს და ხეობა ჰუმანიტარული დახმარების გარეშე დარჩენის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. არასტანდარტული მეთოდებით ჩატარებულ ღონისძიებების შედეგად ოთხივე თანამშრომელი გაანთავისუფლეს. მოგვიანებით კი ორი ესპანელი ბიზნესმენი გაიტაცეს, რომელთაც თითქმის წელიწადი ტყვეობაში გაატარეს. მათი განთავისუფლება დიდი თანხის გადახდის შემდეგ მოხდა. ამას კვლავ მოყვა მრავალი ადამიანის, მათ შორის პარლამენტის წევრის, პოლიციელების გატაცება, რომელთაც წარმოებული მოლაპარაკებებისა და დათმობების შედეგად ათავისუფლებდნენ. მოკლე შეფასებით – პანკისის ხეობაში არსებული ვითარება კრიმინალის ჩარჩოებს გასცდა და იგი საერთაშორისო ტერორიზმის და ნარკობიზნესის ბუდე გახდა.

კიდევ ერთი საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი – პანკისი ხეობის დასახლებულ პუნქტში დუისში ჩამოყალიბდა ვაჭაბისტების ძირითადი სტრუქტურული ერთეული ჯამაათი, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას იძენს ხეობის მცხოვრებლებზე და გამოირჩევა ექსტრემისტული მსოფლმხედველობით.

საკითხში ღრმად გარკვევისათვის უნდა ვიცოდეთ, რომ ვაჭაბიზმი, როგორც ისლამის რელიგიურ-პოლიტიკური მოძღვრება წარმოიშვა ცენტრალურ არაბეთში მუჰამედ ობნ აბდულ-ვაჭაბის მეთაურობით 1703-1789წწ და მიზნად ისახავდა არაბეთის გაერთიანებას და მათი ტერიტორიიდან თურქების განდევნას. ამ რელიგიურ-პოლიტიკური მოძღვრების დედაარსი გახლდათ პირვანდელი ისლამისაკენ მობრუნება, ე.ი. ისლამის განწმენდა მოგვიანებით გამოჩენილი დანაშაულებისაგან, ამ იდეოლოგიის საფარქვეშ იბნ საუდის ოჯახმა, მუჰამედ იბნ აბდული ვაჭაბის დახმარებით (სახელი ვაჭაბიზმი აქედან მოდის) შეძლო საკუთარი კონტროლი დაემყარებინა არაბეთის ნახევარ კუნძულის დიდ ნაწილზე. მეოცე საუკუნეში კი შეიქმნა საუდის არაბეთის სამეფო, რომლის მმართველი საუდის დინასტია იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარების პირველ ეტაპზე შეიმჩნევა ვაჭაბისტების მხარდაჭერა დიდი ბრიტანეთის მხრივ, რომელსაც ამოძრავებდა გეოპოლიტიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, კერძოდ, იქიდან ოსმანთა განდევნის მიზნით. საუდის არაბეთის ოფიციალური იდეოლოგია დღეს ვაჭაბიზმია, არაბეთის გარდა, ვაჭაბიზმი

გავრცელებულია კუევიტში, არაბთა საამიროებში, კატარში და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებში. მაგრამ თავდაპირველი იდეოლოგია დიდად განსხვავდება თანამედროვისაგან, ისლამში არსებობდა ოთხი საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა, – ერთ-ერთია ჰანბალიზმი, რომელიც ყველაზე მკაცრი და კონსერვატიულია. სწორედ მისგან ამოიზარდა ვაჰაბიზმი, რომლის შარიათი ყველაზე მკაცრი და არალიბერალურია. – იგი ე.წ. მუსლიმანური სამართალია. ჩეჩნეთში შარიათი შემოიღეს პრეზიდენტ ასლან მახადოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. ანუ რაც შეიქმნა იჩქერიის ისლამური სახელმწიფო. საქართველოს მოსაზღვრე აზერბაიჯანსა და თურქეთში შარიათის უზენაესობა არ არის აღიარებული, რადგან მათ მკაცრად აკეთ განსაზღვრული, რომ საერთო სახელმწიფოებს განეკუთვნებიან.

ასეთ პირობებში ვაჰაბიზმის ჩქარი ტემპებით განვითარებამ პანკისის ხეობაში მრავალსაუკუნოვან წესსა და ჩვეულებებს მყარი საფუძველი შეურყია, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მძაფრ რეაქციას იწვევს. ორივე მხარე შეიარაღებულია. ამ დროს კერძოდ 2002 წლის თებერვალში, საქართველოში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ფილიპ რემლერი აკეთებს უმნიშვნელოვანეს განცხადებას, რომ „ავღანეთიდან საერთაშორისო ანტიტერორისტულ ძალებს გაეცალა და კავკასიაში შემოვიდა რამოდენიმე ათეული მოჯაჰედინი. ვიცით, რომ რამოდენიმე პანკისის ხეობას შეაფარა თავი და ურთიერთობა აქვთ არაბ ტერორისტ ხატაბთან. მას, თავის მხრივ კავშირი აქვს უსამა ბინ ლადენთან“. ხეობაში მსხვილმასშტაბიანი ანტიტერორისტული წმენდის დასაწყებად სიტუაცია ნელ-ნელა მწიფდება, ხოლო რეგიონი მრავალი მცირე და დიდი სახელმწიფოების სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში ექცევა. ასეთ პირობებში აშკარაა საფრთხე, რომ სულ მცირე წინდაუხედავი და ღრმადგაუაზრებელი მოქმედებების განხორციელების შედეგად შეიძლება ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორია კონფლიქტის კიდეკ ერთი კერა გახდეს, ხოლო საქართველოს ეს უმშვენიერესი და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი კუთხე (პანკისის ხეობა) საქართველოს იურისდიქციას მოწყვიტონ.

ასეთია ნარკოტიკული ინდუსტრიის გეოგსტრატეგიული შედეგები პოსტკომუნისტურ კავკასიაში.

თავი II

მსოფლიო ისტორიის აქსიომა

§1. ოქროს სამკუთხედი

თუ გავიხსენებთ და გავანალიზებთ საქართველოში და მთელს კავკასიაში წარმართულ ომებსა და კონფლიქტებს, ასევე 90-იან წლებში ქვემო ქართლის კრიზისს, შემდგომ სამაჩაბლოსა და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომებს, აფხაზეთის სამამულო ომს, დავრწმუნდებით, რომ ამ კონფლიქტებს ყოველთვის წინ უძღოდა ან თან ერთვოდა ნარკოტიკული სიტუაციის გამწვავება. *დამახასიათებელი მომენტია, როცა მსოფლიო ომებსა და კონფლიქტებს ყოველთვის თან სდევს, ზოგჯერ კი უსწრებს კიდევაც ნარკოტიკები.*

ეს მსოფლიო ისტორიის აქსიომაა.

ამის ნათელი მაგალითია 50-წლიანი ომი „ყაყაჩოს ოქროს სამკუთხედის“ ქვეყნებში. იგი მდებარეობს ბირმის ჩრდილოაღმოსავლეთით, ტაილანდისა და ლაოსის ჩრდილოეთით 225 ათას კვადრატულ კმ-ზე გადაჭიმულ ტერიტორიაზე. ოპიუმისა და ჰერონის ძირითადი წარმოება ბირმის ტერიტორიაზე ხდება და ამ მხრივ იგი ნარკოტიკების წარმოება-ვაჭრობის მსოფლიო ემბლემას წარმოადგენს.²⁷

„ოქროს სამკუთხედის“ ქვეყნები ძირითადად დასახლებულია სანებითა და კაშინებით, რომელთა მოსახლეობა 3,5 მილიონს შეადგენს. სანები დახვეწილი კულტურისა და ბუდიზმის მიმდევარი ხალხია. მის 33 სამთავროს პრინციების შთამომავლები მართავენ.

1962 წელს გენერალმა ნე ვინმა ქვეყანაში სოციალისტურ – ბუდისტური დიქტატურა დაამყარა და სოციალისტური პარტიის პროგრამით გააუქმა სანების ენისა და ლიტერატურის სწავლება. 1960 წლიდან სტუდენტებმა ენის საკითხთან დაკავშირებით პირველი წინააღმდეგობრივი ჯგუფები ჩამოაყალიბეს.

ამ პოლიტიკური ბატალიების ჩრდილში ყაყაჩოს კულტურამ ფართო გავრცელება პპოვა, იგი „ოქროს სამკუთხედის“ სამივე ქვეყანაში მოყავდათ, ხოლო ოპიუმის წარმოება ეთნიკურ უმცირესობაში მოქმედ ტრადიციებსა და კანონებს ემორჩილებოდა. ყაყაჩოს კულტურის ზონა მოიცავდა კუნლონგის უბანს, კოკანჯს და ვას, ტაჩილესს და მონგ ტონს.

ყაყაჩოს კულტურა ბირმაში ინდოეთიდან შევიდა, მაგრამ ოპიუმის მიღების მეოთხედი დღემდე პრიმიტიული დარჩა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის სანის შტატში სუფთა ოპიუმის წარმოება წელიწადში 40 ტ აღწევდა. 1946 წელს „ოქროს სამკუთხედში“ ნარკოტიკების წარმოება თეორიულად

აკრძალეს, თუმცა პრაქტიკულად იგი ასე თუ ისე ლეგალიზებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წელს ბირმა ჰაავის კონვენციასაც კი შეუერთდა, იგი სრულ თავისუფლებას ინარჩუნებდა ყაყაროს მოყვანაში, ოპიუმის მოხმარებასა და გაყიდვაში. ქვეყნის რიგ ტერიტორიებზე ოპიუმში ჯიხურებში იყიდებოდა და, ასე განსაჯთ, მოვაჭრეებს სახელმწიფო ლიცენზიაც კი გააჩნდათ.

1965 წელს მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებისა და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების ზეწოლით ბირმის მთელს ტერიტორიაზე კანონით აკრძალა ყაყაროს კულტურის მოყვანა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ოქროს სამკუთხედის“ ბირმის ტერიტორიაზე უმკაცრესი კლიმატია და დასახლებული ეთნოსი, სასოფლო - სამეურნეო დეფიციტის გამო, იძულებული იყო ყაყაროს კულტურაზე ყოფილიყო დამოკიდებული, რადგან ერთადერთ მარჩენალ საქმიანობას ყაყაროს მოყვანა-გაყიდვა წარმოადგენდა.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სურათი – ეთნიკური შეიარაღებული აჯანყება, ჩინეთიდან დევნილი KMT-ს ადგილობრივი ნაციონალისტური ჯგუფები ბირმის ცენტრში და კარნები ტაილანდის საზღვრის გასწვრივ ხელს უწყობდა ქვეყანაში ნარკოტიკული ინდუსტრიის ზრდის ტემპებს.

უფრო მეტიც, KMT-ს ჯგუფები, რომლებიც სანის შტატის საზღვრებს 1954 წლიდან აკონტროლებდნენ, უმცირესობას აიძულებდნენ გადასახადი სუფთა ოპიუმის სახით გადაეხადათ, რის გამოც ეს უკანასკნელნი იძულებული იყვნენ ყაყაროს ფართობები კიდევ მეტად გაეზარდათ. იგივე ხდებოდა ლაოსშიც.

ამ პერიოდში ოპიუმის წარმოებამ ბირმაში 400 ტ მიადწია. აქედან კაშინის ნაწარმი 0,5 ტ, ტაილანდისა – 120 - 135 ტ ოპიუმი, ხოლო ლაოსისა – 200 ტ.²⁸

1960 წელს KMT-მ აამუშავა ნარკოტიკის ნედლეულისა და ჰეროინის რაფინადის ქარხანა. ჰონკონგელი ქიმიკოსების დახმარებით ქარხანა 90 - 99 პროცენტის სიწმინდის №4 ამპულას უშვებდა. იმავე წლებში სამეფო დეკრეტმა ტაილანდში ოპიუმის მოწვევა აკრძალა, რითაც ეს ქვეყანა ბირმული წარმოების ჰეროინის პირველი ადრესატი გახდა, ხოლო ვიეტნამის ომმა ბირმული ჰეროინის გასაღების ახალი ბაზარი გააჩინა; ნარკოტიკების წარმოება აღმავლობის გზას დაადგა.

ამ პერიოდში ბირმის მთავრობამ მილიციის სპეცკორპუსი (KKY) დააარსა, რომლის ქმედებები KMT -ს წინააღმდეგ იყო მიმართული. ამავე დროს KKY მოწოდებული იყო ეთნიკურ ამბოხებათა წინააღმდეგ საბრძოლველადაც.

მილიცია ხელფასის სანაცვლოდ იარაღითა და ოპიუმით ვაჭრობის უფლებას მოითხოვდა. ამ ტოლერანტობამ ნარკოტიკულ პროდუქციას და კერძოდ, ოპიუმის კონტრაბანდას ფართო განვითარების მასშტაბები შესძინა.

1960 წელს KMT ისე დასუსტდა, რომ ეთნიკურ ამბოხებებსა და ბირმის კომუნისტური პარტიის ზრდის პროცესებს ვედარ აკონტროლებდა, ელემენტარულ

წინააღმდეგობასაც ვეღარ უწევდა მათ. ამავე პერიოდში **KKY** ისე გაითქვიფა ნარკობიზნესში, რომ ბირმის მთავრობა იძულებული შეიქნა 1973 წელს კორუმპირებული და მთლიანად ნარკობიზნესში ჩართული მილიცია დაეშალა.

მთავრობის ამ ნაბიჯს ურჩი მილიციელების საპასუხო რეაქციები მოჰყვა – ისინი უარს ამბობდნენ იარაღის ჩაბარებაზე, ხოლო მილიციის ორი ყოფილი შეფი ოპიუმის მეფეებად *ეკურთხნენ*.

ერთი მათგანი იყო შან-სი-ფუ, იგივე კუნ-სა, რომელიც თავისი ჯარით მშობლიურ რეგიონში მონგ იაისთან – ლუა მავში განლაგდა და ქალაქის მიმდებარე ტერიტორიის გაკონტროლება დაიწყო.

მილიციის მეორე შეფმა ლო ჰსინგ-ჰანმა კომუნისტების დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით მიატოვა კოკანგი და თავისი ბანაკი ტაის საზღვართან ახლოს განალაგა.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 1960 წლის დასასრულს მოსახლეობის უმრავლესობა კომუნისტებს მიემხრო, რომლებიც მათ ჩინურ იარაღს ურიგებდა და რომლებმაც ოპიუმზე გადასახადი მოსპო. გლეხობა კვლავ მაღალი ტემპით აგრძელებდა ყაყაჩოს კულტურის მოყვანას. ქვეყანაში 15 წლიანი ნარკობარონები გამოჩნდნენ (ძმები ფონგ კია-სინი და ფონგ კია-ფუ), რომლებიც ნარკობიზნესში მოღვაწეობის მრავალწლიან სტაჟს ფლობდნენ.

პარტიის ლიდერებიც, *მაგალითად* ტაიკ აუნი, თავისუფალ გადაწყვეტილებებს ღებულობდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, მან ნარკოტიკების გადამამუშავებელი ქარხნების განვითარების მიზნით ჩინელი ქიმიკოსები მოიწვია და ჰეროინის გასასაღებლად ტაილანდთან კავშირები განამტკიცა.

1970 წლის დასასრულს ბირმული ოპიუმის პროდუქციამ 700 ტ მიაღწია.

ამ დროისათვის ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება ძლიერ დაიძაბა, მოხდა სანისა და კაშინის შტატების შეიარაღებული აჯანყებები, რომელთაც საფუძვლად ბირმის ბატონობის წინააღმდეგ ეროვნული უმცირესობის გალაშქრება დაედო.

დაიწყო მოძრაობა ქვეყნის სხვა სექტორებშიც.²⁹

1975 წლამდე ტაილანდის ხელისუფლება უცხოელებს ჩრდილოეთ საზღვრებთან მიახლოებას უკრძალავდა. ისინი მალავდნენ **KMT**-ს ძალების გამოყენების ფაქტს.

ყოველივე აღნიშნული ამ სახიფათო ზონებში ნარკოტიკების კონტრ-ბანდასა და მისით საერთაშორისო ბაზრის მომარაგებას აადვილებდა.

1986 - 1987 წლები *ბირმის* ეკონომიკის მკვეთრი დაცემით აღინიშნება. იგი ქვეყნის ყველა სოციალურ ფენას, ქალაქსა და სოფელს შეეხო. კრიზისმა სოციალისტური პარტიის და ძველი დიდი მმართველების ბედი გენერალ დე ვინს დაუკავშირა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია

ოპიუმის კულტივირება და წარმოება

1994 1995 1996 1997 1998 1999

კულტივირება (ჰექტრებში)

36450 45690 41350 43250 44750 44815

ავღანეთი

29180 38740 37950 39150 41720 41856

პაკისტანი

7270 6950 3400 4100 3030 2950

პოტენციური წარმოება (ტონებში)

110 1405 1905 1350 1416 1444

ავღანეთი

950 1250 1230 1265 1350 1390

პაკისტანი

160 155 75 85 65 54

პოტენციური ჰეროინი (ტონებში)

111 140 130 134 141 144

ავღანეთი

95 125 123 126 135 139

პაკისტანი

16 15 7 8 6 5

იმავე წლებში კუნ-სა მუდმივ აღმავლობას განიცდიდა. იგი აკონტროლებდა ქვეყნის თითქმის მთლიანი საზღვრის სიგრძეს სანის შტატსა და ტაილანდს შორის. მისი ახალი ორგანიზაცია მონგ ტაის არმია (MTA) მთლიანად ჩაერთო ნარკოტიკებით ვაჭრობაში.

PCB – ბირმის კომუნისტური პარტია ჩინელი ხელისუფლების მიერ ნაწილობრივ მიტოვებული დარჩა, ამიტომ მან ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ნარკოტიკებით ვაჭრობის გზა აირჩია – იგი უზრუნველყოფდა ნარკოტიკების ქსელის დაცვას და **KMT**- თან აწარმოებდა მოლაპარაკებებს ოპიუმის შესყიდვაზე.

მაღე **PCB** და **KMT** შეთანხმებამდე მივიდნენ. მათ საქმიან ალიანსს საფუძვლად ოპიუმი დაედო.

როცა ტაილანდში პროგრამულ ცვლილებებს შედეგად რეპრესიები მოჰყვა, ქვეყანაში ოპიუმის წარმოება 40 პროცენტით დაეცა, ბირმაში მისი წარმოების სკალამ მაღლა-მაღლა აიწია და 1987 წლისათვის 800 - 900 ტ მიადწია.³⁰

პარადოქსულია, რომ ზრდის ეს პროცესი დაემთხვა ოპიუმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკელების დახმარების აპოგეას. სწორედ ამ დროს ათობით შეეუღლმფრენმა დასერა ქვეყნის სივრცე, ისინი დატვირთული იყო 2 მილიონ 400 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების მიმოსაბნევი სასუქით, რომელშიც შერეული იყო ვიეტნამში გამოყენებული ნარინჯისფერი ნივთიერება ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდებარე ყაყაჩოს მინდვრების გასანოყიერებლად.

შედეგმაც არ დააყოვნა – „ოქროს სამკუთხედში“ ოპიუმის ინდუსტრია არნახული ტემპებით გაიზარდა.

1986 წლის დასასრულს **PCB**-მ მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა და ბირმის არმიამ ხელთ ჩაიგდო კომუნისტების ადმინისტრაციის ხელში მყოფი ტერიტორიების კონტროლი.³¹


ჩინეთთან მისასვლელი ერთ-ერთი გზაც გაიხსნა. იგი ამიერიდან გამოიყენებოდა ასევე, იუნანისკენ პერონის გადასაზიდად და ჩინური იარაღის ბირმის მთავრობისათვის ჩასაბარებლად. კუნ-სა კვლავ განუწყვეტლივ ღებულობდა თავის კუთვნილ წილს ტერიტორიებიდან, რომელსაც **SSA** – ნაციონალისტი სანები აკონტროლებენ. საჭირო იყო პატარა ნაპერწკალი, რათა ყველაფერი თავიდან აფეთქებულიყო.

1988 წლის სამხედრო გადატრიალებას შედეგად დიქტატურის ახალი ვერსია მოჰყვა – **SLkRC (The State law and order Restoration Council)**.

იგი ბირმის ცხოვრების ყველა სპექტრს შეეხო და ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

SLkRC- ის პირველი მდივანი კინ ნიუნტი ბირმის სადაზვერვო სამსახურის შეფი გახდა და მოხერხებულად დაიწყო მოლაპარაკება „ოქროს ფსკერის“ გაყოფაზე. იგი, ამავე დროს, მოლაპარაკებას აწარმოებდა **SSA**-სთან და ცდილობს რევანშის აღებას – სამხედრო გზით მონების, კარენიელებისა და

აზიური კონტრაბანდა და სავაჭრო ობიექტები



კარენების განადგურებას.

კუნსამ ისარგებლა ცენტრალური ხელისუფლების გულარზეინობით და ამ პერიოდში 20 ათასიანი პარტიზანული ჯარი ჩამოაყალიბა - **MRTA**, რომელმაც იგი ყველაზე მემამბოზე ჯგუფად აქცია და ვაებთან სისხლიანი ომი წამოიწყო. *ამ ძმთამკვლელ ომში 2 ათასი კაცი დაიღუპა.*³²

ბირმის დიქტატურამ **DEA**-ს – ამერიკის შეერთებული შტატების ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერას მიაღწია და **SLORC**-ს ამერიკის კონგრესი დაეხმარა. წარმომადგენლის სტატუსი კონგრესის ძველ წევრს ლესტერ ვოლფს დააკისრეს. სულ მალე **SLORC**-ის ჰომონგის მიმართულებით განხორციელებული მოკრძალებული შეტევის მიუხედავად კუნ-სას ჯარის ნაწილები ბლოკადაში მოექცა.

მაგრამ 1988 წლიდან **SLORC**-ი უმართავი გახდა. მისი დაარსების შემდეგ ოპიუმის პროდუქცია გასამბაგდა და ამერიკის დეპარტამენტის შეფასებით 1994 წელს 2 500 ტონას მიაღწია.

ადამიანის უფლებების შელახვამ და პოლიტიკურმა რეპრესიებმა ამერიკის შეერთებული შტატები აიძულა ნარკოტიკის ქვეყნისათვის როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური დახმარება შეეწყვიტა, განსაკუთრებით ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, რადგან ამ დახმარებებმა უკუშედეგი გამოიღო.

ამ პერიოდში მნიშვნელოვნად მომრავლდა ჰეროინის გადამამუშავებელი ქარხნები კოკანგიდან ლაოსის საზღვრამდე. ტაილანდისკენ მიმავალ ტრადიციულ ნარკოტიკულ ქსელებს ჩინეთის გავლით ჰონკონგისკენ მიმავალი ახალი გზებიც შეემატა – *იუნანის გზა და სამხრეთის სხვა პროვინციები.*

ამასობაში **SLORC**-მა ნარკოტიკული ბაზრის ყველა საფეხურში შეაღწია. არმია ხელს უწყობდა გლეხობას, რათა მას მეტი ნარგავები ჰქონოდა და გადასახადს ყაყაჩოს პლანტაციებიდან **UWSA**-სა და სხვა შეიარაღებულ დაჯგუფებათა სატვირთო მანქანებით იღებდა. ისინი ყოველგვარი კონტროლის გარეშე მოძრაობდნენ სანის შტატის გზებზე. ფაქტიურად საუცხოო პირობები იქმნებოდა ნარკოტიკებით თავისუფლად გადაადგილებისათვის. ბირმის არმიას საკუთარი სატვირთო მანქანებით გადაჰქონდა ოპიუმი (რომლის 1 კგ ფასი 900 ფრანკი იყო) და ჰეროინი (შესაბამისად 1 კგ – 14 000 ფრანკი). იგი მანდალაიმდე გადაჰქონდათ, იქიდან კი რანგუნსა და მულმეინში იგზავნებოდა.

ამ ვაჭრობაში ჩართული იყო კოკანგის ახლოს დაბანაკებული 99 -ე დივიზიაც.

ინდოეთისა და ბანგლადეშის საზღვრებთანაც იმატა რაფინადების მწარმოებელი ლაბორატორიების რიცხვმა, თუმცა ყაყაჩოს კულტურა ტერიტორიის ამ ნაწილზე თითქმის არ ხარობდა.

ქარხნებში ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყნებიდან მიღებულ ნედლეულს

ამუშავებდნენ.

SLORC-ის წილი თანდათან გაიზარდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, ხოლო კუნ-სამ 1995 წლის დასასრულს უბრძოლველად დათმო ნარკოვაჭრობის ბრძოლის ველი.

სამაგიეროდ „ოპიუმის მეფემ“ ქვეყნის *კეთილშობილურ* საქმიანობებში თავისუფალი ინვესტირების უფლებები მოითხოვა იმ ქვეყნისაგან, რომელიც ისწრაფოდა ნარკოტიკების ახალი *აზიური გველეშაბი* გამხდარიყო.³³

მოხალისე *ოპიუმის მეფის* კუნ-სას დარწმუნების მიზნით მისი რამდენიმე პროექტი „შეირჩა“ და ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ **UNCID**-მა დააფინანსა.

დაპროგრამებულ პლანტაციებში გლეხებმა კიდევ უფრო გააფართოეს ყაყაჩოს კულტურა, მაგრამ ამჯერად არმიის ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების კონტროლის ქვეშ.

სულ ცოტა ხანში სანის შტატში უფრო მეტი ყაყაჩოს პლანტაციები აღმოცენდა, ვიდრე საღვენის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, სადაც კულტურა ბევრად ადრე იყო გავრცელებული.

ნარკოტიკების არალეგალურმა წარმოებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

§2. ბექას დაბლობის სისხლისფერი ცხოვრება

ომების, კონფლიქტების, ტერორიზმის და ნარკოტიკების ურთიერთკავშირის კლასიკურ ნიმუშს ამ საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლიბანში მიმდინარე მოვლენები წარმოადგენს.³⁴

ლიბანში ნარკოტიკების კულტურა ქვეყნის გარედან არის შემოტანილი. 1981 წელს კანაფის წარმოებამ აპოგეას მიაღწია. კანაფის კულტურა ლიბანის სოფლის მეურნეობის 27 - 28 პროცენტს შეადგენდა.

რაც შეეხება ყაყაჩოს, იგი ბექას ველზე რომაელებს ჯერ კიდევ 2 000 წლის წინ მოჰყავდათ, როგორც ამას ბახუსისა და ოპიუმის ტაძრებზე მისი ბარელიეფების არსებობა მოწმობს. ამ მცენარისკენ კვლავ მიბრუნება 1975 წლით თარიღდება.

1981 წელს ჰაშიშის გამოყენების წინააღმდეგ გატარებულმა რეპრესიების გაძლიერებამ ეგვიპტეში, რომელიც ლიბანელთა ძირითად ბაზარს წარმოადგენდა, გლეხები აიძულა ალტერნატიულ ვარიანტს – ჰეროინის მიბრუნებოდნენ, მითუმეტეს, რომ მისი ქარხნები ლიბანში უკვე არსებობდა. ისინი *ფრანგული კავშირების – ქსელების – French Connection* - ის ძველი ქიმიკოსების მიერ იყო აწყობილი და პირდაპირ ადგილობრივი პროდუქციაზე მუშაობდა.

ლიბანში მიმდინარე პროცესებზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა *ისრაელის 1982 წლის ივნისის შემოტევამ* ლოზუნგით „*მშვიდობა გალილეელთათვის*“. ამან უაღრესად გაამწვავა სიტუაცია და ლიბანის სახელმწიფოს ლეგიტიმურობა წაართვა.

ამერიიდან ყველა – მილიცია, ფლანგისტები, ჰეზობალები, პროსირიელები და პალესტინელები ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევდნენ. *კაშიში, ოპიუმი, ჰეროინი*, სხვადასხვა სახის ნარკოტიკები მხოლოდ ომის დაფინანსებას ხმარდებოდა.³⁵

ამგვარად, ნარკოტიკი ლიბანის ომის ძირითად ელემენტად გადაიქცა.


მეომრები იყენებდნენ ყველა სახის წამალს: ომის წინ – *ანტი-დეპრესანტებს, ეიფორიის გამომწვევებს, ამფეტამინებსა და კოკაინს*, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფასი ძალიან მაღალი იყო, ბრძოლის შემდეგ კი *დამაწყნარებლებს, ტრანკვილიზატორებს, ბარბიტურატებსა და განსაკუთრებით ჰეროინს*.

სამხედრო ხელმძღვანელები ნარკოტიკს გაყიდვამდე თავიანთ მილიციის დაჯგუფებებს უნაწილებდნენ. ასე რომ, ბეირუთის საერთაშორისო ფინანსური ბაზრის რღვევა, რაც ომმა გამოიწვია, ნარკოტიკების შემოსავლით ფინანსდებოდა.

შიიტები კიდევ მეტად აფართოებდნენ კულტურას *ბაალებქში, ნაბჰაში, ბუდაიში, ქვეყნის სამხრეთით*. ნარკოტიკის წარმოებას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს ძლიერმა სახელმწიფოებმა - საფრანგეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა ისევე როგორც რეგიონულმა ქვეყნებმა – ისრაელმა, ირანმა და სირიამ, თვალი დახუჭეს ამ ვაჭრობაზე; მათ ამჯობინეს, რომ თავიანთი პროტექციები თვითდაფინანსებაზე ჰყოლოდათ და არ განეახლებინათ ძვირადღირებული შეიარაღების მიწოდება. საფრანგეთის მართლმსაჯულება ხშირად შემწყნარებლური იყო ქრისტიანული მილიციის მიმართ, რომლებიც ისე წარმოაჩენდნენ თავიანთ ბიზნესს, როგორც ფრანგულ-ლიბანური საქმისადმი სამსახურის საშუალებას. იტალიური და თურქული ქსელების კავშირებმა ხელი შეუწვეეს ლიბანის *მბრუნავ ღერძად* გადაქცევას, რომელიც მხოლოდ საკუთარი პროდუქციის ექსპორტს აღარ სჯერდებოდა.

ოქროს ნახევარმთვარის ქვეყნებიდან მომდინარე ნარკოტიკების ნედლეულის უზარმაზარი რაოდენობა ბექაას ლაბორატორიებში *სირიული არმიის დაცვის ქვეშ* ჰეროინად გარდაქმნებოდა. 1980 წელს ამუშავდა ლაბორატორიები, რომლებიც ლათინური ამერიკის კოკაინის ნედლეულის პასტას კოკაინის ქლორჰიდრატად გარდაქმნიდა. ოციოდე წელიწადში ომმა ეს ქვეყანა როგორც მოხმარების, ასევე წარმოების თვალსაზრისით საერთაშორისო ნარკობიზნესისა და ტერორიზმის ცენტრად აქცია.³⁶

ლიბანური ნარკოტიკების ისტორია



აი, რას წერს ლიბანის ყოფილი პრეზიდენტის კამილ შამუნის შვილიშვილი ტრასი შამუნი თავის წიგნში „ეძღვნება მამას“: „ომმა კელაე გვაგრძნობინა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მწარე სინამდვილე, უკვე იგრძნობოდა პროდუქტების ნაკლებობა. ქვეყანაში ერთი წვეთი საწვავი აღარ იყო. ხალხი თვითნაკეთი გენერატორებით როგორღაც ახერხებდა, რომ დღეში რამდენიმე საათით პქონოდათ სითბო და სინათლე. სახელმწიფოში არსებულმა ქაოსმა სწრაფად ააყვავა შავი ბაზარი. ზოგი ერთ ღამეში მდიდრდებოდა, ზოგი კი ომის გამოყენებით, არალეგალური კომერციით და რეკეტით აგროვებდა ქონებას და სულ მალე ქვეყანაში ამ გზით გამდიდრებული ელიტარული ფენა შეიქმნა. პორტები სავსე იყო კონტრაბანდული ტვირთით, რაც მილიციელებს საშუალებას აძლევდა ნამდვილ ყაჩაღებად ქცეულიყვნენ. ისინი გემებს ზღვაში გასვლამდე ქურდავენენ. სხვა სარფიან შემოსავლებთან ერთად მილიციამ გამდიდრების ახალი წყარო ნახა წამლებისა და ნარკოტიკების სახით. ქვეყანაში, სადაც დაშვებული იყო პრინციპი: „მიზანი ამართლებს საშუალებას“, ცნება „ბოროტისა და სიკეთისა“ – დაკარგული იყო.

ომი ქვეყნის ერთ ნაწილში იყო ლოკალიზებული და მოსახლეობის უმეტესობამ ვერ იგრძნო და არც გაითავისა ეს უბედურება.

ბეირუთი ურიცხვი ინტრიგების ქალაქი გახდა. ბევრი გახიზნული დაბრუნდა დედაქალაქში და სულ მალე რესტორნებმა და კაფეებმა მთელი დატვირთვით დაიწყეს მუშაობა. ერთ-ერთი ასეთი ღამის კლუბი „ძველ უბანში“ საყვარელი ადგილი იყო სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებებისათვის. ყველა – მილიციის უფროსი, პოლიტიკური ფიგურა, პიროვნება, ჯაშუში და ისრაელის ოფიციალური პირები აქ სადილობდნენ. ერთი სიტყვით, ქვეყანა დალუპულ გემს ჰგავდა.

მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული თვით ლიბანელი ხალხის შემადარწუნებელი მენტალიტეტი იყო. ორად ორი რამ, რაზეც ისინი იყვნენ მიჯაჭვულნი, ფული და იარაღი იყო – ერთ-ერთის ფლობა კარგი იყო, ორივესი – იდეალური.“

1989 წლის მარტში ქრისტიანი გენერალი მიშელ აუნი აშკარა კონფლიქტში შევიდა სირიელებთან, რომელთაც საიდუმლო პორტებზე კონტროლის დაწესება სცადეს. გენერალი აუნი ცდილობდა ნარკოტიკების სატრანზიტო წერტილებს დაპატრონებოდა და გაზეთისათვის „ლე მონდ“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „მისი მთავარი მიზანია „ტერორიზმის ბუდისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ხელში ჩაგდება. ნარკოტიკები ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, ვინც მას ფლობს, ძალაუფლებაც მის ხელშია“.

ჰაფეზ ელ ასადი, სირიის სახელმწიფოს მეთაური ოფიცრების ერთგულების მოსახვეჭად მათ რიგ-რიგობით აგზავნიდა ბექაას დაბლობზე და ნარკოტიკების

გასაღებისა და წარმოებიდან აღებული მოგების ხარჯზე გამდიდრების საშუალებას ამღევდა.

1992 წლიდან დაწყებული სირიელები საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით ყოველწლიურად ატარებდნენ ნარკოტიკების განადგურების კამპანიას ბექაას დაბლობზე, სადაც კანაფისა და ყაყაჩოს წარმოება ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. მეორე მხრივ, შემოტანილი ნედლეულის გადაამაშუშავებელი ქარხნები კვლავაც განაგრძობდნენ მუშაობას.

გაეროს კულტურის ჩანაცვლების პროგრამამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და კულტურითი ოჯახები რუსეთთან, აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ასევე შვეიცარიასა და გერმანიასთან არსებული ვაჭრობის ქსელებში ჩაებნენ. როგორც ავღანეთში, ომმა აქაც პროდუქციის წარმოების აფეთქება გამოიწვია. მშვიდობისაკენ მიბრუნებამ კი საერთაშორისო ვაჭრებთან კავშირებისა და ქსელების ინტეგრაცია მოითხოვა ამგვარად, 1990 წელს ლიბანი ლათინო-ამერიკული და განსაკუთრებით ბრაზილიური კოკაინის ქლორჰიდრატის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და საკუთარი ჰეროინის კომერციის უმნიშვნელოვანესი მბრუნავი ღერძი გახდა.³⁷

§3. კოლუმბიური „მწვანე ოქროს“ შავი ბაზარი

მსოფლიოს ნარკოტიკების წარმოების პოლიტიკაში უდიდესი როლი სამხრეთ ამერიკის კოკაინს ეკუთვნის, რომელიც ყოველთვის ამ რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებისა და ომების ეპიცენტრშია.

მსოფლიოში კოკას ფოთლის მოყვანის ყველაზე დიდი ზონა პერუში მდებარეობს – მდინარე უალაგას ხეობაში. ამ ზონაში შესანიშნავადაა წარმოდგენილი ნარკოტიკული გეოპოლიტიკა: მწარმოებელი ახალშენები, მოიჯარეები, შეიარაღებული რაზმები (ეგრეთწოდებული „გერილია“, როგორც ამას ადგილობრივად იხსენიებენ), ვაჭრები, ანტინარკოტიკული აგენტები, მავნე ჩვევების საწინააღმდეგო სტრატეგია და ა.შ.

მდინარე უალაგა სათავეს მაღალ ანდებში იღებს და კორდილიერების პარალელურად 300 კმ გაყოლებით მდინარე ამაზონთან შეერთებამდე ქედებით შებურულ ხეობას ჰქმნის, რომელთა ფერდობებზე კარგად ხარობს კოკაიერი.³⁸

1960 წლამდე უალაგას ხეობის პროდუქცია ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილება იყო. მოსახლეობა იქ კოკას ღებავდა. ეს ნარკოტიკული მცენარე მათი ყოველდღიური პირადი ცხოვრების განუყოფელი „მეგობარი“ იყო.

1963 - 1968 წლებში ადგილობრივმა მოსახლეობამ კოკას ფოთლის პარალელურად, ამაზონეთის განვითარების გეგმის მიხედვით ყავის, კაკაოს, ბრინჯისა და სიმინდის მოყვანაც დაიწყო.

1968 წელს ამერიკის კონტინენტზე ნარკოტიკული შავი ბაზრის განვითარების შედეგად პერუს გლუხობამ სილატაკის გამო მიატოვა სხვა სასოფლო კულტურების მოყვანა და ასე ვთქვათ *ნარკოვაჭრებს ჩაბარდა* – გადავიდა მხოლოდ კოკაიერის კულტივირებაზე, მიაშურა *მწვანე ოქროს*.

ამ დროიდან კოკაიერის კულტურა სწრაფად მრავლდება უალაგას ხეობაში.

1972 წელს აღრიცხული 15 ათასი ჰექტარიდან ნათესების ფართობმა 1979 წლისათვის 20 ათას ჰექტარს მიაღწია, მაშინ როცა შესაბამის დროში კაკაოს პლანტაციები 780 ჰექტარიდან 400-მდე დაეცა, ხოლო ყავისა - 5 910 ჰექტარიდან 3 500-მდე.³⁹

აკრძალული კულტურის ასე ფართოდ გავრცელებამ ამერიკის ადმინისტრაცია აიძულა გამაფრთხილებელი ზომები მიეღო და უალაგას ხეობაში *სამწვლიანი კულტურის ჩანაცვლების პროგრამის* ჩატარება დაიწყო. პროგრამა ხორციელდებოდა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ამერიკული სამსახურის **DEA**-ს მეშვეობით.

1980-85 წლებში უალაგაზე დაიწყო პატრულირება; შეიქმნა მობილური პოლიციის სპეცკორპუსი **UMOPAR**, რომელიც უშუალოდ ადევნებდა თვალყურს გლუხობის საქმიანობას.

ამერიკული დახმარების **USAID**-ის მეშვეობით დაფინანსდა ალტერნატიული პროექტი, მაგრამ პროექტმა ეკონომიკური კრაზი განიცადა. ამ უკანასკნელის გამო, 1974 წელს უალაგას ხეობაში ბინას იღებს „სენდერო ლუმინოსო“ – ნათელი გზა, მეტსახელად *გერილია (შეიარაღებული ფორმირება)*, რომლის მოქმედების შედეგად პერუ *ძალადობის მთავარ არენად* გადაიქცა.

„სენდერო ლუმინოსოს“ ძალები განთავსდა რა უალაგას ზემო ხეობაში, პირველი შეტევები ალტერნატიული პროგრამის **CORAH**-ის წინააღმდეგ დაიწვეს, რომელიც კოკას წარმოების შემცირება – კონტროლის პროგრამას ახორციელებდა უალაგაში.


1994 წელს ანტინარკოტიკული პროგრამის მოქმედ ბირთვის სამხედროებიც შეუერთდნენ. ამ ორ ძალას შორის ისეთი დიპირისპირება შეიქმნა, რომ აშკარა გახდა, მათი მიზანი გერილიასთან ბრძოლა იყო და არა ნარკოტიკებით ვაჭრობასთან.

1995 წელს პოლიციის ძალებმა (**UMOPAR**) ჩაატარა მეტად შთამბეჭდავი ანტინარკოტიკული ოპერაცია, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „კონდორი“. ოპერაციის შედეგები ძალიან ეფექტური აღმოჩნდა: *დაინგრა 169 დასაფრენი ბილიკი, დააკავეს 22 ავიონეტი, ამოიღეს რამდენიმე ტონა კოკაინის ნედლეული*.

არმიის სტრატეგია „სენდერო ლუმინოსოსათვის“ გლუხთა ბაზების ნაწილის ჩამოცილება იყო.

1985 წელს პერუს პრეზიდენტმა ალან გარსიამ სპეციალურად

პერუს ამაზონეთი. XVIII ს.



ბუნებრივი პირობები		სიმბოლოები	
	ულაბნოს ზონა		მოჭელი საზღვრები
	სტებები, პრერიები		კოკას ფოთლის გავრცელების ზონები
	ამაზონეთის ველები		კოკას ფოთლის წარმოების ზონები
	ამაზონეთის ტყის ზონა		მალარობები
			ლა პასის შემოგარენი [1781 წ.]

ჩამოაყალიბა გლეხთა თავდაცვის არმია „რონდას კამპეინინას“, რომელიც „სენდერო ლუმინოსოს“ **MRTA**-ს დაუპირისპირა. ამით პრეზიდენტს სურდა აღმართული უფლებების სასტიკი დარღვევის საბაბით ლაგამი ამოეღო ამ ორი დაჯგუფებისათვის, რომელთა მოქმედებები ქვეყანას ანარქიისაკენ მიაქანებდა და მთავრობას დამხობას უქადდა.⁴⁰

„სენდერო ლუმინოსომ“ დროულად შეიმუშავა ბრძოლის სწორი სტრატეგია, ძალები მოიკრიბა და ულაგას ხეობაში ფრონტის ხაზი გახსნა. მან ზემო ულაგიდან თავისი კონკურენტი **MRTA** - ც კი გამოდევნა.

1987 წლის მაის - ივლისში კოკას პლანტაციების უმდიდრესი ფერდობები - *ტოკაჩი, უჩიზე და სიონი* - გერილიას ხელში ვარდებოდა.

ამ დროიდან „სენდერო ლუმინოსომ“ ნარკოტიკების ვაჭრობაზე გადასახადი დააწესა და მბრუნავი ღერძი - შუამავალი გახდა ვაჭრებსა და კულტივატორებს შორის. ის ადგენდა ფასებს გლეხთა მოგებაზე, თავიდან იცილებდა პატარ-პატარა შუამავლებს, ამოწმებდა ბალანსებს, ებრძოდა ქურდებსა და სამართლის დამრღვევებს, ხოლო ბოლოს დააფუძნა სისტემა „დელეგაცია“, სამხედრო პირთა გაერთიანება, სადაც ვაჭრებთან დაპირისპირებული ერთი ჯგუფი იყო წარმოდგენილი. ამ უკანასკნელებს ვაჭართა სიაში შესაყვანად 150 ათასი დოლარი უნდა გადაეხადათ, საიდანაც „დელეგაციას“ 50 პროცენტი ეკუთვნოდა; 40 პროცენტი - საკომუნიკაციო საშუალებებზე იყო გამიზნული, ხოლო 10 პროცენტი სამუშაო ხარჯებისათვის.

„სენდერო ლუმინოსომ“ გადასახადი დააწესა ექსპორტზე, მოიცილა ვაჭართა მცველები და ისინი საკუთარით შეცვალა. ყოველ კოლუმბიურ თვითმფრინავზე, რომელსაც კოკაინის ნედლეული გადაჰქონდა გერილია 10-13 ათას დოლარს იღებდა, ხოლო ვაჭრებს სკოლებს, სპორტულ ნაგებობებსა და ჯან-მრთელობის ცენტრებს აშენებინებდა.


გერილიას გავლენა თანდათან ძლიერდებოდა და 1988 წლის აგვისტოში *შეიარაღებული გაფიცვის* ორგანიზებაც კი შეძლო, იგი მიმართული იყო *კოკაიერის პლანტაციებზე* ჩრდილო-ამერიკულ საჰაერო მცენარეული (პერბიციდული) შესხურების ჩატარების წინააღმდეგ; მან ულაგას ხეობაში სამხედრო წესები გამოაცხადა და ხეობის მთავარი ქალაქი ტონგო მარია პარალიზებული დატოვა.⁴¹

მაგრამ, რომ იტყვიან ეშმაკსაც არ სძინავს.

1989 წელს ულაგას ხეობაში „ახალი მოქმედი პირი“ შემოდის, რომელმაც რადიკალურად შეცვალა გეოპოლიტიკური სიტუაცია. ეს იყო საოცრად ბრძოლისუნარიანი სოკო - ფუსარიუმ ოქსიპორუმი. იგი მთლიანად *მოედო კოკაინის ფესვებს და მცენარის გახმობა გამოიწვია*. შედეგი: *ათიათასობით ჰექტარი კოკაიერი განადგურდა*.

გლეხობა იძულებული გახდა მიეტოვებინა ზემო ულაგას ხეობა და შუა

მოქმედი კალები უკლებას ხომბაში XX საუკუნის მიჯნაზე



-  ქსელი: (მარცხენალ დე სელეა)
-  სენდერო ლუმინოსოს დამკვიდრება
-  სენდერო ლუმინოსოს გადაადგილება
-  MRTA-ს იზოლირებული რაზმები
-  პეტრუს საპიერო ძილებს ბაზები FAP
-  ნარკოტიკების საგაჭრო ცენტრების იფეთება (აღმოცენება)
-  ნარკოტიკების საგაჭრო ცენტრები
-  ფარული ბილიკები
-  ყოკას შვიტოვების ცენტრები
-  ამერიკული რაღარები

ქსელი: (მარცხენალ დე სელეა)
 სენდერო ლუმინოსოს დამკვიდრება
 სენდერო ლუმინოსოს გადაადგილება
 MRTA-ს იზოლირებული რაზმები
 პეტრუს საპიერო ძილებს ბაზები FAP

§3. კოლუმბოური „მუწანე ოქროს“ შავი

ნარკოტიკების საგაჭრო ცენტრების იფეთება (აღმოცენება)
 ნარკოტიკების საგაჭრო ცენტრები
 ფარული ბილიკები
 ყოკას შვიტოვების ცენტრები
 ამერიკული რაღარები

და ქვემო წელისაკენ გადმოენაცვლა.

„სენდერო ლუმინოსო“ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებული შეიქნა გადაეხედა კოკას ფასებისათვის და გადასახადი შეემცირებინა. მისი შენაერთები კვლავ აგრძელებდნენ ზეწოლას ქალაქებზე ტოკაჩსა და უჩინაზე, ამერიკელების მიერ „სანტა ლუჩიაში“ განთავსებული ანტინარკოტიკული ძალები, გლეხებს ემიგრაციაში – ცენტრალური უალაგასკენ კუდში მისდევდნენ.

MRTA-ც იძულებული შეიქნა უკან დაეხია და *ქვედა უალაგაში* გამაგრებულიყო.

ამასობაში, ქვეყანაში ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ძლიერი კლასიც ჩამოყალიბდა, რომელთა აქტიური მოქმედების ძირითადი ცენტრი შუა უალაგაში მდებარე ქალაქი კამპანელა იყო და დიმიტრიო ჩავეზ პენიაერერა იგივე, „ვატიკანო“ მეთაურობდა; მას კოლუმბიელ ვაჭართა მიერ გაწვრთნილი 70 შეიარაღებული კაცი ჰყავდა და ყოველ დამე 21 საათიდან დილის 5 საათამდე რამოდენიმე ასეული კილოგრამი კოკას პასტის ნედლეულით კოლუმბიაში მიფრინავდა.


საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ასაფრენი ბილიკიდან 1500 მეტრში სამხედროები იყვნენ განლაგებული, მაგრამ ამ ოპერაციაში ჩარევას ვერ ბედავდნენ – *საპოსოსა და ბელა ბისტას* 100 კილომეტრიანი ზონა ნარკოვაჭართა 15 უდიდესი ფირმის „*სამეფოს*“ წარმოადგენდა.

1994 წელს **DEA**-მ - აშშ-ს ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაციამ ერთდროული ოპერაცია დაგეგმა „სენდერო ლუმინოსოზე“ და **MRTA**-ზე. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ნარკოვაჭრები იძულებული გახდნენ თავიანთი ბომარაგების ბაზების რეორგანიზაცია მოეხდინათ, განსაკუთრებით იმ წერტილებში, სადაც კოკას კულტურამ აფეთქების ზენიტს მიაღწია; „სენდერო ლუმინოსომ“ აკადრა და პერუს ამაზონეთის სხვა რაიონში განთავსდა, ამასთან ერთად, კარლია კომპრომეტირებული გლეხების ამაღლა იყო და ამაზონის 13 დიდ ხეობაში 250 საიდუმლო ასაფრენ ბილიკს ფლობდა. ამ ხეობის ამაზონეთიდან წლიურად 500-600 ტ კოკაინის ნედლეული გადიოდა. ორგანიზაციის მოქმედების მთავარი ტლაქები და ზონები იყო: *ბელავისტა, იურიმაგასი, სივია, პალმაპამპა, იკიტოსი, ტამპოპატას ხეობა* და ჩრდილოეთის ზონა *ტუმპესიდან ჩიმპოტემდე* და, რა თქმა უნდა, *ლიმა სიენევილიას* კვარტალი. ზოგიერთმა ფირმამ მიუხედავად „*წყობილი*“ ცხოვრებისა კოლუმბიელებიდან *გამოყოფაზე* დაიწყეს ფიქრი. მათ ავტონომიურად *კოკაინის ქლორჰიდრატის* წარმოება ააწყვეს და კომერცის საკუთარი ქსელები შექმნეს.

1995 წელს მოულოდნელად კოკასა და მის ნედლეულზე ფასები დაეცა, რაც „*კალის კარტელის*“ ქსელების მოშლამ გამოიწვია, თუმცა ამ სიტუაციამ პერუს ამაზონეთის ნარკოტიკების რეგიონალურ გეოპოლიტიკას ძვრაც ვერ უყო.

უფრო ადრე 1987 წელს უალაგას ხეობაში აშენდა „სანტა ლუჩიას“ ბაზა.

კოკას აკრძალული ზონები პერუში XX საუკუნის ბოლოს



იგი დააფინანსა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა და 3 მილიონი დოლარი დაჯდა. ბაზაზე მოქმედებდა კერძო კომპანია - **NATI** პენტაგონთან კონტრაქტით; მას 400 ჯარისკაცის მიღება შეეძლო და „*პერკულუსის*“ ტიპის თვითმფრინავების დასაფრენ ბილიკებს ფლობდა, ლაპარაკი აღარაა ასეულობით შეუულმფრენზე, აღჭურვილობასა და დანადგარებზე ჩრდილო-ამერიკული კადრებისათვის.


1989 წელს ბაზაზე **DEA**-ს 40-მდე აგენტი იმყოფებოდა, ფლობდა რადარულ დანადგარებს, 53 შეუულმფრენის ფლოტს და *სუფისტურ* შეიარაღებას. რაოდენ საეკლავლოც არ უნდა იყოს, მკითხველს უნდა ვაუწყოთ, რომ მიუხედავად ასეთი სტრატეგიისა **DEA** უძღური შეიქნა ხელი შეეშალა *კოკაინის* ნედლეულით დატვირთული ავიონეტების ფრენისათვის, რომელიც ამაზონეთის საიდუმლო ბილიკებიდან „თეთრი სიკვდილის“ ნედლეულს კოლუმბიის ნარკობაზებისაკენ შეუწყვეტლივ მიაქროლებდა; ნარკოვაჭრები ისეთ მოსასმენ საშუალებებს ფლობდნენ, რომ ზუსტად შეეძლოთ განესაზღვრათ პაუზის ინტერვალი რადარის თვალთვალის პერიოდში. მდინარეებზე მიმოდრიდა ბრტყელძირიანი გემები, რომელთაც 100 კგ-ზე მეტი კოკაინის საწყისი ნედლეულის გადატანა შეეძლოთ, უფრო მეტიც, ადგილობრივმა ნარკოსაქმოსნებმა, დაამყარეს რა კავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან, ნარკოტიკების არაღვალურად გადასაზიდად წყალქვეშა გემების მშენებლობაც კი დაიწყო. **NATI**-ც აძლიერებდა თავის არსენალს: იგი **DEA**-ს პერკულ ვიტრინას წარმოადგენდა და ყოველი მხრიდან ამ ამერიკულ ანტინარკოტიკულ სააგენტოში რეგულარულად ასობით ჟურნალისტს იზიდავდა.

მიუხედავად ამისა *ნარკო-გერილია უძლეველი შეიქნა.*

თვით ტერმინი „ნარკო-გერილია“ 1984 წელს ამერიკის ელჩმა კოლუმბიაში ლიუს ტამპამ წამოისროლა და ამით, ვითომდა გერილიასა და ნარკოტიკების წარმოებას შორის არსებული კავშირი გააშარჟა, რომელშიც უკვე ისეთი პოლიტიკური პარტიებიც იყვნენ ჩართული, როგორიცაა *მემარცხენე ნაციონალისტური მოძრაობა M-19* და 1948 - 53 წლებში სამოქალაქო ომის დროს წარმოშობილი, კომუნისტური „დამოუკიდებელ რესპუბლიკებს“ გადარჩენილები, რომლებიც „ხანგრძლივმა სიარულმა“ ამ „ნარკოტიკულ სამოთხეში“ მიიყვანეს და მიზნად *გერილიასა* და *გლეზობას* შორის კავშირების განმტკიცება დაისახეს, ვითომდა მათი დიდი მამულების კონკურენციისა და ძალადობისაგან თავდაცვის მიზნით.

M-19-ის ლიდერები, კონკურენციის შიშით, რეკოლუციონერებს არწმუნებდნენ, რომ მათთვის ნარკოვაჭრებთან კონტაქტი *ტაქტიკურად* მისაღები იყო. ეს კულტურა *გლეზების სტრატეგიულ პარტნიორად შენარჩუნებაში* მძლავრ როლს თამაშობდა და მათ სოციალურ ბაზას წარმოადგენდა. ამასვე ქადაგებდნენ *ეროვნული პარტიის ლიდერებიც (EPL)*. ზემოთ დასახელებული პარტიები მეცხოველეობით, ხოლო პერუს დასავლეთში მცხოვრებნი *ბანანის* პლანტაციების

კოლუმბია პარტიზანული ომებისა და იარაღის უმთავრესი ზონა



მფლობელთაგან ამოღებული გადასახადით ცხოვრობდნენ.

კოკას ფოთლის მწარმოებელ რეგიონში განსაკუთრებული ადგილი კოლუმბიის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებს უჭირავს **FARC**, რომელიც კოლუმბიის კომუნისტური პარტიის მიერ არის შექმნილი 1966 წელს. მათი უმთავრესი მიზანია იმ ძალებთან, ქვეყნებთან (ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატები) ბრძოლა, რომლებიც რეგიონში კოკას ფოთლის ნათესების გაფართოებას და კოკაინის წარმოებას ებრძვიან, ასევე მათი ერთ-ერთი მიზანია, საერთაშორისო ნარკობიზნესთან დაკავშირებული პირების ექსტრადაციის წინააღმდეგ ბრძოლა. **FARC** ყოველივეს ტერორისტული აქტებით აფეთქებებით, მკვლევლობებით, გამოსასყიდის მიზნით გატაცებებით და სხვ. პასუხობს. მთავარი შემოსავალია ნარკოვაჭრობა და ნარკოვაჭრობის დაბეგვრიდან მიღებული უდიდესი თანხები, რომელიც ხმარდება შეიარაღებას და ინფრასტრუქტურის განვითარებას, პოლიტიკური და სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა მოსყიდვას. ორგანიზაცია ბოლო წლებში გაძლიერდა და მებრძოლთა რიცხვმა 5500 ადამიანს მიაღწია.

ბოლო პერიოდში რეორგანიზებულმა კომუნისტურმა გერილიამ - **FARC** კოკაინის კულტურების და მათზე მომუშავე გლეხების დაცვა იკისრა, ისინი ნარკოვაჭრებთან მოლაპარაკებაში შევიდნენ. **FARC** - მა გადასახადი იმ ფასებზე დააწესა, რომელსაც ნარკოვაჭრები კოკას ფოთლის მკრეფავებს უხდიდნენ 7 - 10 პროცენტი. დაქვითვის ნაცვლად **FARC** გლეხების მიერ გაყიდული კოკას ღირებულებაზე 10 - 15 პროცენტს იღებდა. ეს გადასახადი სასურსათო კულტურაზე არ ვრცელდებოდა.

სულ მალე **FARC**-ის გეონარკოტიკულ ზონაში ქურდების, ჯაშუშებისა და დაქირავებული მკვლევლების შესვლა აკრძალეს, სიკვდილით დასჯამდე მიდიოდნენ ევრეთწოდებული „ბაზუკოს“ (კოკაინის ნედლეულით შეკეთებული სიგარეტის) მომხმარებლებთან.

FARC კარგ დამოკიდებულებაში იყო „კალის კარტელთან“, კარლოს ლეჭერთან და თვით პაბლო ესკობართანაც კი. სამაგიეროდ, ძალზე კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდა როდრიგეს გაჩასთან, რომელსაც დაღებული კონტრაქტი რამდენჯერმე დაურღვია.

1983 წელს **FARC** - გერილიამ შეუტია მეტას ჩრდილო-დასავლეთითმდებარე გაჩას ნარკოტიკულ სამფლობელოებსა და ლაბორატორიებს. გაჩამ საპასუხო რეაქცია არ დააყოვნა. მან პარამილიტარისტული ჯგუფები შექმნა და 1985 წელს **FARC** მაგდალენა მდლიდან გამოდევნა. **FARC**-ს მხოლოდ ეროვნული კომპანია „სატენა“ შემორჩა; მას კვირაში 2 - 3 ტონა კოკაინი გადაჰქონდა სან ზოსეს გაუავიარას აეროპორტიდან მეტას რეგიონში, რომელსაც იგი აკონტროლებდა. ასეთი დიდი რაოდენობა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ **FARC** მჭიდრო ურთიერთობაში იყო ნარკოვაჭრობასთან და ამავე დროს ფლობდა ნედლეულის გადაამუშავებელ

საწარმოებსაც. თუმცა იგი არასოდეს გაცდენია თავისი მოქმედების ზონებს კოკაინით კომერციაში, როგორც ამას შტაბში მყოფი ლობი - ინფრასტრუქტურის კომისია მოითხოვდა. ეს თანხა აფინანსებდა გერილიას. **FARC**-ი სხვა რესურსებსაც მიმართავდა იგი გადასახადებს იღებდა სასოფლო კარმიდამოზე და ინვესტიციებიდან კანონიერ დაწესებულებებში.

§4. იარაღით ვაჭრობა კარიბის ზღვის სივრცეში

ნარკობიზნესში ჩაფლული ყველა სუბიექტი 1980 წლიდან იარაღით ვაჭრობაზეც ითბობდა ხელს. ამ დროიდან კოლუმბია იარაღის შესყიდვის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. გადაზიდვა მხოლოდ საზღვაო გზით ხორციელდებოდა.

1981 წლის ნოემბრის თვეში იარაღით დატვირთული გემი „კარინა“, რომელსაც **M19**-ის სამხედრო შეიარაღება გადაჰქონდა, კოლუმბიის ეროვნული საზღვაო ფლოტის ნაღმოსნებმა ჩაძირეს. ამიერიდან ვაჭრებმა საზღვაო ტრანსპორტი საკაერო გზებით შეცვალეს, პარალელურად ვითარდებოდა კოკას ბაზარიც, რომელიც გერილიას ნარკოვაჭრებს სულ უფრო მეტ რენტაბელობას სძენდა – ამერიკის შეერთებული შტატებისა და ცენტრალური ამერიკისაკენ ავიონეტებით კოკას ეზიდებოდნენ, იქიდან კი იარაღით დატვირთულები ბრუნდებოდნენ.

მოგვიანებით **DEA**-ს სისტემატური კონტროლის დაწესების გამო, ვაჭრები მიწოდებისათვის პარაშუტებსაც იყენებდნენ. ვაჭრებმა და გერილიამ ისე გააფართოვეს იარაღის გადასაზიდი საკუთარი ქსელები, რომ ურაბას ყურე ყველაზე სტრატეგიული იარაღის გატარების *მბრუნავ ღერძად* იქცა პანამის სიახლოვეს.


აქ სიტუაცია ამერიკელებმა ვერა და ვერ შეცვალეს.

1994 წელს **Gmm** მარკის პისტოლეტი 200 ამერიკული დოლარი ღირდა და 10-ჯერ მეტად იყიდებოდა კოლუმბიის შავ ბაზარზე, ვიდრე მაგალითად, სალვადორში.

კონტრაბანდული საქონელი იმდენად შეუფერხებელი გახდა, რომ კოლუმბიური კუნძული სან ანდრესი ნიკარაგუას სანაპიროზე კონტრაბანდის ტრადიციულ ადგილად იქცა; გამოჩნდა *წითელი არმიის* ბაზების არსენალებიდან გაყიდული იარაღიც, რომელსაც ევროპიდან ეზიდებოდნენ. კონტრაბანდის ამ ჭრილში გაჩნდა ექსიუგოსლავეური ქსელები, მაგრამ ლათინური ამერიკის ქვეყნების ტრანზიტიტით, რათა ევროპის ემბარგოსათვის გვერდი აეველოთ.

იარაღით, ნარკოტიკებით, სიგარეტით და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იტალიური მაფიაც. ვერონაში არსებობდა

**იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდული
ქსელები (1990-2000წწ.)**



კონტრაბანდის გაფრცელების ზონები	პონდურასელთა ბაზები	კოკაინის საჰაერო ვექტორები
საფრენი ბილიკები	იარაღის საჰაერო ვექტორები	კანაბისის საჰაერო ვექტორები
ამერიკელთა ბაზები	დაცლილი თეთიფორინავეების საფრენი ვექტორი	სამოქალაქო ომები
		სასაზღვრო კონფლიქტები

იუგოსლავიასა და კოლუმბიას შორის არსებული კონტრაბანდული იარაღის ქსელი. კოლუმბიელები იარაღს პერონიზე ცვლიდნენ და *იტალიაში, ესპანეთსა და ნიდერლანდებში* მიჰქონდათ. მოგვიანებით პოლიციამ *მილანსა და რეჯო დე კალაბრიაში* აღმოაჩინა ქსელი, რომელიც *კოლუმბიელ*, პერუელ და *ბოლივიელ* ნარკოვაჭრებს იარაღს *კოკაიერზე* უცვლიდა, ხოლო ამოგებული ფულით ექსიუგოსლავიისათვის იარაღს იძენდა.

70-იანი წლებიდან მაიამის ნარკოტიკების ბაზარი კოლუმბიელებმა დაიპყრეს. მანამდე ეს *კუბელების* ხელში იყო, რომელიც ფიდელ კასტროს რეჟიმს აფინანსებდა, ხოლო სულ მალე ნარკოტიკებს, ფულსა და იარაღს შორის კავშირები ცენტრალურ ამერიკასა და კარიბს შორის დაიწყო იმდაგვარი კონფლიქტებით, რომელიც ნიკარაგუაში *სანდინისტების* გამარჯვების შემდეგ წარმოიშვა.

დასკვნა

როგორც ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, ნარკოტიკები მუდამ მსოფლიოს ცხელი წერტილების შუაგულშია მოქცეული, ხოლო მის ეპიცენტრებში მუდმივად დიდი სიმძლავრის სამხედრო ძალებია კონცენტრირებული – სადაც შეიარაღებული დაპირისპირებები ომები და კონფლიქტები მიმდინარეობს.

სწორედ ამ პრობლემებს მიეძღვნა ამერიკელი კონგრესმენის ალფრედ მაკ კოის მიერ 1972 წელს გამოქვეყნებული წიგნი „პერონის პოლიტიკა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში“. ექვსას გვერდიანი ნაშრომი ფუნდამენტურად აანალიზებს ნარკოტიკების პოლიტიკურად გამოყენების ისტორიას მისი აღმოჩენიდან დღემდე, მათ მნიშვნელობას ინდო-ჩინეთისა და ვიეტნამის ომებს შორის პერიოდში.⁴²

რიგითი მოქალაქისათვის, რომელიც მოწმეა ნარკოტიკით მომრავლებული ყოველდღიური საშინელებებისა, წარმოუდგენელია, რომ შესაძლებელია მთავრობებიც კი რამენიარად ჩათრეული იყოს გამაბრუებელთა საერთაშორისო სპეკულაციაში. მედიებს აქვთ ტენდენცია გააძლიერონ ეს თვალსაზრისი, აკუთვნებენ რა პერონის საერთაშორისო სპეკულაციას შუა საუკუნის ზნეობრიობის ასპექტს: სპეკულანტებს ახსისათებენ, როგორც, ყველაზე საძაგელ კრიმინალს, რომელსაც შეუსვენებლივ სდევნის სამართალი. რაც შეეხება დიპლომატებსა და პოლიციელებს, ისინი წარმოდგენილი არიან, როგორც თანამედროვე მოხეტიალე რაინდები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან პერონის სპეკულაციის სასწრაფო და ტოტალიტარულ ამოძრკვას. საუბედუროდ, ამ დრამის პერსონაჟები არ არიან ასეთი მარტივი სტერეოტიპები.

ისტორია ძალიან ხშირად გვიჩვენებს, რომ დიპლომატები, საიდუმლო აგენტები და პოლიციელები გამაბრუებლების სპეკულაციაში სამ დონეზე იყვნენ ჩარეული:

- შემთხვევითი თანამონაწილეობა იმ პირებთან ალიანსის შედეგად, რომლებიც აქტიურადაა ჩართული ნარკოტიკის სპეკულაციაში;
- სპეკულაციისათვის გაწეული დახმარება, რაც ფარავს ნარკოტიკების აშკარა სპეკულანტებსა და ღმობიერია მათი მოღვაწეობის მიმართ;
- აქტიური თანამონაწილეობა კოკაინის, ოპიუმისა და ჰეროინის ტრანსპორტირებაში.

ბედის ირონია კი იმაში მდგომარეობდა, რომ ნარკოტიკები მთელი სისასტიკით სჯიდა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც საკუთარი მოქმედებით თუ უმოქმედობით ახალისებდნენ მის წარმოებას – მოხმარებას.

სწორედ ამიტომ, ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს, მის ხელმძღვანელებს, ქვეყანაში სწორი საშინაო და საგარეო ნარკოპოლიტიკის შესამუშავებლად მუდამ სამუშაო მაგიდაზე უნდა ჰქონდეთ მსოფლიოში და რეგიონში მიმდინარე ნარკოტიკული მდგომარეობის სადაზვერვო და ოპერატიული მონაცემები, რათა შექმნილ სიტუაციაზე სწრაფად და ადეკვატურად იღებდნენ გადაწყვეტილებებს.

თემატური და საბაზისო ლიტერატურა

1. **A. Boustani**, Histoire des paradis artificiels. Drogues de paix et drogues de guerre, Hachette, 1993.

2. **A. Labrousse**, La drogue, l' argent et les armes, Paris, Fayard, 1991.

3. **A. Labrousse, A. Wallon** La planite des drogues: organisations criminelles, guerres et blanchiment, Paris, Seuil, 1993.

4. **A. Joxe**, Narco-stratègie: de l' ole de la Tortue a l' espace mondial, Paris, Seuil, 1993.

5. ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, ნარკოტიკების მსოფლიო ატლასი, თავი VI – ნარკოტიკები და კონფლიქტები: ილიადადან პარტიზანულ ომებამდე, ფრანგ. ენაზე, საფრანგეთის უნივერსიტეტის გამომც., პარიზი, 1996 წ.

6. **Kruseman G**, Socio-Economic aspects of Opium Poppy Cultivation, Government of NWFP, Peshawar, 1985.

7. **M. Coutouzis**, Drogues a l'Est: logique de guerres et de marchè, in Politique étrangère: sécurité européenne: horizon 1996, Paris, Institut français

des relations internationales, **1995**.

8. ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, *ანგარიში ავღანეთში ყაყაჩოს კულტურის შესახებ*, ავღანეთი, ფეშავარი, მადერა, 1993წ.

9. **D. Buddenberg**, The Illicit Opiate Industry of Pakistan (raport), **Islamabad, PNUCID, 1994**.

10. ოპიუმის ძირითადი ეროვნული პროდუქტი: *პაკისტანი, ავღანეთი*; ინგლ. ენაზე, აშშ ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაცია, პლაკატი. 1994-1999 წწ.

11. **M. M. Ashraf**, Menace of Opiate Abuse in Pakistan, **Islamabad, 1987**.

12. **L. Lifshultz**, Heroin: The Pakistan Connection, in *Fastern Review, Paris, 1989*.

13. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებზე საერთაშორისო ნარკოკონტროლის პროგრამა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონული ოფისი: *ავღანეთი, ოპიუმის ნათურები და წარმოება*, ისლამაბადი, 1994წ.

14. **L. Lifschultz**, The Heroin Empire, in *Newsline, Juillet 1989*.

15. **M. Roux**, Les Albanais en Yougoslavie: minorité nationale, territoire et développement, **Paris**, Editions de la maison des sciences de l' homme, **1992**.

16. **Tomislav Kresovik**, The Separatist Organization, Kosovo Dossier, **SKC Nis, Belgrade, 1996**.

17. **Роджер Бойс и Эске Райт, ОАК: Косовских повстанцев финансирует наркомафия, The Times, 24, марта, 1999 г.**

18. **A. Ottoman**, Le désenclavement de l'Asie centrale et du Caucase, in *Cahiers d'études sur la Méditerranée orientale et le monde turco-iranien (CEMOTI), Paris, № 18, 1994*.

19. **D. de Kochko, A Datskivitch**, L'empire de la drogue: La Russie et ses marches, **Paris, Hachette, 1994**.

20. **Rensselaer W. Lee and Scott McDonald**, Drugs in Post - Communist Societies, in *Drugs and Foreign Policy*, Westview Press, Boulder - **San Francisco - Oxford, 1994**.

21. **Международный центр по исследованию конфликтов и переговоров. "Конфликты и переговоры", Тбилиси, № 1, 1999 г.**

22. რადვანი ჟან, *საქართველო რეგიონალიზმის ნაღმი*, ლე მონდ, ნოემბერი, 1993წ.

23. **Александр Ляско**, "Смертный путь через чеченского президента", **"Комсомольская правда", 5 мая, 1996 г.**

24. **Крутиков Евгений**, АЛХИМИКII, "Известия", 30 сентября, 1999г.
25. ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, ნარკოტიკების მსოფლიო ატლასი. საფრანგეთის უნივერსიტეტის გამოცემა, პარიზი, 1996 წ.
26. საქართველოში ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა, თბილისი, 1996 წ.
27. **A. Syed**, Géopolitique des narcotiques en Asie du Sud-Ouest de la période coloniale a nos jours, diplôme d'études approfondies de géopolitiques, Université Paris, 1994.
28. **A. Klein**, Trapped in the traffic: Growing problems of drug consumption in Lagos, in The Journal of Modern African Studies, n° 32, april, 1994.
29. **M. Dasse, D. Kamol**, Montagnards, révoltes et révolutionnaires en Asie du Sud-Est continentale, Bangkok, 1976.
30. **M. Dasse, D. Kamol**, La face politique cachée de la Thaïlande, Bangkok, 1978.
31. **B. Lintner**, The Rise and Fall of the Communist Party of Burma, New York, SEAP, Cornell University, 1990.
32. **B. Lintner**, Land of Jade: A Journey through Insurgent Burma, Edinburgh, Bangkok, 1990.
33. **C. Bachmann, A. Coppel**, Le dragon domestique, Paris, Albin Michel, 1989.
34. **G. Corm**, Géopolitique du conflit libanais, Paris, La Découverte, 1986.
35. **C. Briere**, Liban, guerres ouvertes: 1920-1985, Paris, Ramsay, 1985.
36. **A. Labrousse**, La drogue, l' argent et les armes, Paris, Fayard, 1991.
37. **H. Maklouf**, Culture et trafic de drogue au Liban, Paris, L' Harmattan, 1994.
38. **W. Golden Mortimer**, De la coca a la cocanne, Paris, UTZ, 1992.
39. **B. Caceres**, La coca en el Perou, in Socialismo y Participación, № 21, mars 1983.
40. **A. Hertoghe, A. Labrousse**, Le Sentier lumineux du Pérou, un nouvel intégrisme dans le Tiers Monde, Paris, La Découverte, 1989.
41. **J.E. Jaramillo, L. Mora, F. Gubides**, Colonización, coca y guerrilla, Bogotá, Alianza Editorial Colombiana, 1989.
42. **A.W. McCoy**, The Politics of Heroin: CIA Complicity in the Global Drug Trade, New York, Lawrence Hill Books, 1991.



ნაწილი მესამე

ნარკოტიკები და მავნა

თავი I

მავნის ურთულესი ფენომენი

...ეკონომიკურმა სიძლიერემ მავნის
ორმაგი ბუნება დაადასტურა.
სახელმწიფოსთვის იგი საშიშიც
იყო და იმავდროულად
ობიექტური პარტნიორიც...

ჰუმბერტო სანტინო

§1. მავნის თეორიული და პრაქტიკული ბაზა

XX საუკუნის 20 – 30-იან წლებში გამაბრუებელთა მსოფლიო ინდუსტრია დიდი სიჩქარით იკრებდა ძალებს, რაც *ოტომანური და ავსტრო-უნგრული იმპერიის დაშლას, ახალგაზრდა სახელმწიფოების წარმოშობას, ორ ომს შორის ბალკანურ კრიზისს დაემთხვა*, ყველაფერმა ამან შედეგად ნარკოტიკების უკანონო სპეკულაციის მასშტაბების მკვეთრი ზრდა გამოიწვია.

კვლავ ამოქმედნენ და ნარკოტიკების უკანონო სპეკულაციას დაუბრუნდნენ იმხანად ევროპაში ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყნები – *თურქეთი და იუგოსლავია, ასევე შვეიცარული, გერმანული, ნიდერლანდური, ფრანგული და ინგლისური* პატარა და საშუალო ფარმაცევტული ინდუსტრიები, სადაც საყრდენ ძალას ცენტრალური ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთის დიასპორიდან გამოსული კომერსანტები წარმოადგენდნენ.

ინიციატივა დაჯგუფებათა შორის ბალკანეთის *ებრაულმა უმცირესობამ* აიღო ხელში, რომელიც იმხანად ფარმაცევტული საქონლის გაჭრობაში იყო ჩაბმული. ავტოქტონური მოსახლეობის მუდმივად მტრულ გარემოცვასა და უარესი პერსპექტივის მოლოდინში მყოფი ებრაელობა თავის გატანას ცდილობდა და გასამდიდრებლად ყველა საშუალებასა თუ მეთოდს იყენებდა, ყოველივეს *თავჩაღუნულად და შეუმჩნეველად* აკეთებდა. ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ *ვლახეთში ბერძნული და სომხური* უმცირესობანი.

ეს სამი ჯგუფი ორ ომს შუა ბალკანური კრიზისის პერიოდში ოპიუმის წარმოებაზე იყო დამყარებული. იგი საჭირო გახდა ევროპული ქიმიური ინდუსტრიის ახალი ძალებისათვის, სადაც პატარა საწარმოები დიდმა ფარმაცევტულმა კარტელებმა განდევნეს. *ჯგუფის კავშირუროთიერთობები, მათი ავანტიურული სული, დასავლური ქვეყნების წინააღმდეგობათა გადალახვის უნარი, ქვეყნებისა, რომლებიც ერთი ხელით ნარკოტიკების აკრძალვის შესახებ ტრაქტატებს აწერდა ხელს, ხოლო მეორეთი მის უგულვებელყოფას ცდილობდა, ჯგუფებს საშუალებას აძლევდა თავისი ჩახლართული ქსელების საშუალებით შუა აღმოსავლეთში, ეგვიპტესა და უფრო შორსაც – ჩინეთში, ყველა ღია ქალაქში ფეხი მოეკიდა (შანხაი, კანტონი და ა.შ.). ოპიუმს ისინი შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ყიდულობდნენ და ევროპაში ავ ზაენიდნენ, ხოლო შემდგომ მორფინად და პეროინად ამუშავებდნენ.*

ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების ეროვნულმა ბიურომ 1933 წლის მოხსენებაში დაადასტურა, რომ *ჩინეთში* მოღვაწე დილერების 40 პროცენტი *ბერძნები* იყვნენ; დანარჩენს უმეტესად *ცენტრალური ევროპის, რუსეთის, სერბიის, ბულგარეთის ებრაელები და სომხები* შეადგენდნენ. რაც შეეხება *სირიელებს–ლიბანელებს*, ისინი უმეტესად *აფრიკისა და ლათინური ამერიკის დიდ ქალაქებში* მოქმედებდნენ.

სწორედ 30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი გამაბრუებლებით ვაჭრობას, რომელიც თანდათან ჩამოყალიბდა და საერთაშორისო სისტემის მწყობრი სახე მიიღო.¹

მაფიური დაჯგუფების ყოველ ტიპს გამოკვეთილი სახე და სტრუქტურა ჰქონდა. იგი ისტორიულად იმ პირობების ანარეკლი იყო რისი ზემოქმედებითაც აღმოცენდებოდა ხოლმე. საზოგადოებაში, ტერიტორიებზე, დროსა და სივრცეში დინამიურმა მოძრაობამ, ისტორიის ყოველ მონაკვეთში ფესვების გაღვამამ მას არსებობისა და კვლავწარმოების ორიგინალური მანერა გამოუმუშავა.

ძირეული ტერმინი მაფია დროის სხვადასხვა მონაკვეთში მარჯვედ მორაგეს სხვადასხვა რეალობას და მაინც, მისი მრავალსახეობის მიუხედავად მკაცრად განისაზღვრა მაფიის *ფუნდამენტური ბუნება*, რომელიც თითქმის ყოველთვის საკმაოდ მაღალ დონეზე ორგანიზებულ დანაშაულს ეხება და არა ცალკეულ ფაქტებსა თუ დამოუკიდებელ შემსრულებლებს.

როგორი იქნება მაფიის სამომავლო მეტამორფოზა – ეს მეცნიერთა არაერთგზის კვლევის საგანი არის და იქნება; ჩვენი მიზანია გამოიკვეთოს *მაფიის როლი გამაბრუებელთა საერთაშორისო ნარკოკომერციაში*. საამისოდ კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია მაფიის ურთულესი ბუნების ისტორიულ კონტექსტში შესწავლა-გაანალიზება.²

იტალიური მაფიები, კოლუმბიური კარტელები, ჩინური ტრიადები, იაპონური იაკუზები, თურქული მაფია, კალიფორნიელი განგსტერები,

პოსტკომუნისტური სივრცის ახალი მაფიები – აი, იმ კრიმინალური ორგანიზაციების გრძელი სია, რომელთაც *მემკვიდრეობით* მიიღეს კოლონიური იმპერიებიდან მომდინარე კომერციული საქმიანობა და გამაბრუებლებზე მსოფლიოს მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მათთვის დამახასიათებელი ავანტიურისტული სხარტი გონებით მარჯვედ გააბეს კავშირები ახალ მწარმოებლებთან.

კრიმინალურმა ორგანიზაციებმა შესაშური უნარი გამოიჩინეს, ფულის მოსაგებად სხვადასხვა *კომპრომის* ზე წავიდნენ და ერთმანეთს შორის წარმოებულ უმძიმეს *ტოტალურ* ომებს გაუძლეს. მიუხედავად რელიგიური, რასობრივი და ტერიტორიული წინააღმდეგობებისა, საჭირო შემთხვევაში გაერთიანდნენ კიდევაც. ამას კი გაცილებით სწრაფად და ხარისხიანად აკეთებდნენ, ვიდრე მსოფლიო სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები.

ორგანიზაციის *მოთავიდან* დაწყებული *რიგით შემსრულებლამდე* ყველა თავისი საქმისადმი ფანატიკური ერთგულებით გამოირჩეოდა. ასეთი ერთგულება, თავის მხრივ, *იარაღსა და სისასტიკეზე* იყო დაფუძნებული. სულ მალე მათ უკან დიდი ფინანსები, პოლიტიკური ძალა და, რაც მთავარია, სამართალდამცავთა სისტემებშიც გავლენა გაჩნდა.

ამის კარგი მაგალითია ბერძენი კომერსანტი ელია ელიოპულოსი და მისი ძმა გიორგი, რომლებიც 1927 წელს *ჰეროინის* გავრცელების ქსელის დასაფინანსებლად ერთ-ერთ სამხრეთ ამერიკელ ბანკირს დაუკავშირდნენ. ისინი *ჰეროინს* პირდაპირ ფრანგულ ქარხანაში ყიდულობდნენ და მთელ შორეულ აღმოსავლეთში ყიდდნენ. საქმემ უფრო წინ წაიწია მას შემდეგ, რაც ელიოპულოსი ბერძნულ-რუსული წარმოშობის ებრაელს დავიდ გურევიდს შეხვდა, რომელსაც თავისი *კავშირები* და *გასასვლელი* ჰქონდა *ჩინეთში*. ეს უკანასკნელი *ბერძენი* იანის ვოიაცისა და ათიოდე აგენტის შუამავლობით *შანხაის*, *დიურენისა* და *ტიანცინის* პორტებში ფართო ქსელს აკონტროლებდა.

ელიოპულოსის წრედი 1928-30 წლებში შეიკრა და *საფრანგეთში* მნიშვნელოვანი ფიგურის, კერძოდ, პოლიციის პრეფექტურის ფუნქციონერის მარტენის, იგივე *ზანის* მფარველობას მიაღწია. გაწეული მფარველობის საზღაურად *ნათლიამა* ყოველთვიურად 10 ათას ფრანკს იხდიდა.³

ეს არის ჩვენთვის ცნობილი ერთ-ერთი პირველი მაგალითი იმისა, თუ როგორ ჩაისახა მაფია, თავისი შიდაფულადი რესურსებით, მფარველების ძიებით პოლიტიკურ წრეებსა და სამართალდამცავთა სისტემებში.

ელიოპულოსს ალკოლიდების ფრანგული დაწესებულებები მორფინით ამარაგებდნენ, რომლებსაც ცნობილი ბელგიელი სპეციალისტი პოლ მიშლერი ხელმძღვანელობდა. ნაწილი მომარაგებისა ორგანული ქიმიის ინდუსტრიული საზოგადოებიდან მოდიოდა. ელიოპულოსი მომარაგების მრავალფეროვან წყაროებს ფლობდა, კომერციაში სულ ახალ-ახალ ძალებს რთავდა, კერძოდ,

ბერლინელ საქმოსნებს და ამერიკული ბაზრის დასაპყრობად სერიოზული სამზადისი წამოიწყო. ბერმენი ნარკომოვაჭრე ამ მიზნით იტალიელ ამერიკელს ოგიუსტ დელ გრაციოს, იგივე პატარა ოჯის და ლეე დიამონდს დაუკავშირდა. ეს უკანასკნელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების სპეკულაციის ავანგარდში იყვნენ და ერთხანს ჩიკაგოდან ნიუ-იორკამდე ნარკოტიკების ბაზარს აკონტროლებდნენ.

1930 წელს გამოიცა ფრანგული დეკრეტი, რომელმაც ქიმიური ინდუსტრიის მანუფაქტურებს პროდუქციის ექსპორტირებაზე სერტიფიკატი დაუწესა. ელიოპულოსთან შეკავშირებულმა დევინიომ და მიშლერმა სტამბულში ახალი კომპანია კუსკუნჯუკი დააფუძნეს და პირდაპირი კავშირი დაამყარეს ცენტრალური თურქეთის ყაყაჩოსმწარმოებელ რეგიონებთან. ცოტა ხნის შემდეგ კუსკუნჯუკმა, ნარკოფული ახალ საქმეში ჩადო და გემების გაქირავების პუნქტი – საფრანგო გახსნა, რომელიც პრადაში დააფუძნა, ხოლო ფილიალები სტამბულსა და ჰამბურგში ჰქონდა. ამით ელიოპულოსმა თავისი დანაშაულებრივი კავშირები გააფართოვა და ჰამბურგის კრიმინალური სამყაროს ლიდერი კარლ ფრანკი თავის გერმანელ წარმომადგენლად დასვა.

კუსკუნჯუკის ქარხნების ერთ-ერთი მფარველი, კორსიკელ დამნაშავეთა სამყაროს შეფი პოლ კარბონე ალექსანდრიაში მოღვაწეობდა. იგივე კორსიკულმა გარემოცვამ, რომელსაც ძმები ელიოპულოსები მთელი ომის შემდგომ პერიოდში იყენებდნენ, სათავე დაუდო ეგრეთ წოდებულ ფრანგულ კავშირებს (ქსელებს) – „**French Connection**“.

ელიოპულოსის ქსელები ომამდე შორეულ აღმოსავლეთში, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამ ადამიანს მიიჩნევდნენ ბანკირად, რომელსაც პატივს სცემდნენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ეშინოდათ და რომლის ფინანსური საქმიანობაც მთელს ამ პერიოდში მეტად მომგებიანი გახდა.

ახლო აღმოსავლეთის დიასპორის საწარმოები ორ ომს შუა პერიოდში აქამდე უცნობ ისეთ ახალ მეთოდებსა და ხერხებს იყენებდა, როგორცაა: მობილურობა, მაკლირება და მათი შემცვლელი პირების სამსახური, სუსტი ბაზრების ხელში ჩაგდება, წარმოების ტრანსფორმაცია, საზღვაო ტრანსპორტისა და განაწილების უნიკალური სტრუქტურების შექმნა, მის შიგნით თანამშრომლობა, კაპიტალდაბანდებები (ინვესტიციები) იმ ქვეყნებში, რომელთაც ყველაზე ხელსაყრელი ინფრასტრუქტურა და კანონმდებლობა ჰქონდათ.⁴

აი, ის თეორიული და პრაქტიკული ბაზა, რაზეც შემდგომში აღმოცენდა ომამდელი და მისი შემდგომი პერიოდის იტალიური მაფიები, კოლუმბიური კარტელები, ჩინური ტრიალები, იაპონური იაკუზები, თურქული მაფია, კალიფორნიელი განგსები. მოგვიანებით კი 90-იან წლებში, ახალი მსოფლიო

უწესრიგობის პერიოდში რუსეთში, ცენტრალურ აზიაში, კავკასიასა და ბალკანეთზე ჩამოყალიბებული მაფიები, რომელთაც უამრავი *ნიშან-თვისება* აქვთ იმ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა, რომელთა ერთ-ერთი საწყისიცი მიმდინარე საუკუნის პირველ ნახევარში ნარკოტიკებით სპეკულაციის სათავეში უნდა ვეძებოთ.

ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიულ ჭრილში განხილვა მიგვანიშნებს, რომ მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლებიდან ნარკოტიკების არალეგალურ ინდუსტრიაში მთელი 50 წლის განმავლობაში *პირველობის პალმა იტალიური მაფიის*, კერძოდ კი მისი სიცილიური შტოს – კოზა ნოსტრას ზელშია. შედარებითი ანალიზისათვის ამ სტრუქტურის არჩევა განპირობებულია მისი არსებობისა და რეპროდუქციის სოციალური მახასიათებლებით, ნარკოტიკების საერთაშორისო სპეკულაციაში მისი ისტორიული როლით. თუმცა ევროპულ გამაბრუებელთა ბაზარზე ასევე მნიშვნელოვანი იყო *ნეაპოლური კამორა*, *კალაბრიული დრანგეტა* და *პულიის საკრა კორონა უნიტა*.

§2. იტალიური მავის ისტორია

სიცილიური აპპანი: სიტყვა მაფია პირველად XIX საუკუნის *სიცილიური* ადმინისტრაციულ ოფიციალურ დოკუმენტებში ჩნდება. მისი ეტიმოლოგია ისევე უცნობია, როგორც საიდუმლო ორგანიზაციის გენეზისი.


ზოგი ლეგენდა მას *იტალიური მწუხრის ლოცვას (Vepres)* უკავშირებს. იგი 1282 წელს ფრანგი ოკუპანტების წინააღმდეგ პალერმოელთა ამბოხის დროში აჯანყებულთა შეკრების *სიგნალი* უნდა ყოფილიყო: **Mort a la France ! L'Italie soupire** – სიკვდილი საფრანგეთს! იტალია ოხრავს!

სხვები კავშირს სიცილიურ მაფიოზურ კლანებსა და კუნძულზე ბიზანტიელების გადმოსხმულ ალბანურ ოჯახებს შორის პოულობენ.

ერთი კი ამჟღავნებს: *მაფიოზური მოქმედება განუყრელია სიცილიური მიწისაგან*, მისი ფეოდალური წყობისგან, რომელიც უცვლელი დარჩა XIX საუკუნის შუა წლებამდე. 1850 წელს იტალიის გაერთიანების შემდეგ *ბურბონების დამხობა* მაფიას როგორც კრიმინალურ ორგანიზაციას, დიდებულთა ქონების მითვისებისაკენ უხსნის გზას. ამბოხებულთა მომხრე *მსხვილ ფერმერთა უმცირესობა* მათ ყაჩაღებისგან *საკუთრების დაცვას*, *ბეგარის აკრეფას* ავალებს და სენიორის სახელით *სიციოცხლისა* და *სიკვდილის* განსჯის უფლებას აძლევს.

ასე და ამგვარად, სიცილიაში ძალაუფლება *პრინცი ფეოდალიდან ბურჟუას ზელში* არ გადასულა, როგორც ეს საფრანგეთის რევოლუციის დროს მოხდა. ის ჩამორთმეულია მაფიის მიერ. იტალიელი მწერალი ლეონარდო ჩიჩიამი *მაფიის*

სიცილიური «კოზა ნოსტრა»



შესახებ წერდა: „ბოროტმოქმედთა საზოგადოება თავისი წევრების უკანონო გამდიდრებისაგან სწრაფვას ემყარება, რომელიც საკუთრებასა და შრომას, წარმოებასა და მოხმარებას, მოქალაქესა და სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ინსტიტუტებს შორის პარაზიტული ურთიერთობებისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შედეგად წარმოიშვა და ძირშივე განაპირობებს ადმინისტრაციული სისტემის კორუმპირებულობას“.

კოზა ნოსტრა – ჩვენი საქმე: ამ მაფიოზური ორგანიზაციის საფუძველი ნათესაურ ან მეგობრულ კავშირებშია, რომლებიც ოჯახის წევრებს აერთიანებს.

ოჯახი, ანუ კოსკა განსაზღვრულ ტერიტორიას აკონტროლებს და წარმოადგენს 30 – 40 საპატიო კაცების, ანუ ჯარისკაცების ჯგუფს; მათ პალერმოში „პაჩიოტები“ ჰქვიათ. ისინი ხშირად ფარული კენჭისყრით ირჩევენ თავიანთ შეფს – წარმომადგენელს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ვიცე – წარმომადგენელს ნიშნავს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ხელქვეითების მიერ იყოს არჩეული. მესამე პერსონაჟი – მჩრეველი ოჯახის საბჭოს საბოლოო წევრია. დიდ ოჯახებში ჯარისკაცები უფროსის – კაპოდეჩინას ხელმძღვანელობით ათეულებად ნაწილდებიან (5-დან 30-კაცამდე).

ოჯახები კანტონებად იყოფა და საერთო ტერიტორიაზე სამ ოჯახად ჯგუფდება. მათ კაპოდეჩინაზე ხელმძღვანელობს. ორგანიზაციის პირველი პირი პროვინციის წარმომადგენელია და მას სხვა ოჯახებზეც აქვს გავლენა. იგივე სტრუქტურაა კუნძულის ადმინისტრაციულ დანაყოფებშიც.

სიცილიური კოზა ნოსტრას აკვანი პალერმოს ირგვლივ მდებარე სოფლური დაბებია. შემდგომში ეს პროცესი კუნძულის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა, უპირველესად დასავლეთის პროვინციებში. ასე მაგალითად, კატანიის

პირველი ოჯახი მხოლოდ 1925 წელს შეიქმნა. 1980 წლამდე სიცილიის 9 პროვინციიდან მხოლოდ ექვსი იყო მაფიოზური. დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო პალერმოს პროვინციას მართავდა არა პროვინციის წარმომადგენელი, არამედ პროვინციული კომისია, რომლის სათავეშიც 18 კანტონის შეფების არჩეული მდივანი იდგა. პალერმოს ამ პირველ პროვინციულ კომისიას არაიშვიათად, მცდარად რეგონულ კომისიასთან აიგივებენ, რომელსაც მაფიოზები

რეგონს უწოდებენ, ხოლო პრესას – კუპოლს. ეს უკანასკნელი კოზა ნოსტრას დიდ ოჯახებს შორის მშვიდობის გარანტიაა. იგი 1957 წლის დეკემბერში ამერიკული მოდელის მიბაძვით ნიუ-იორკელი ბოსის ჯო ბონანოსა და პალერმოს პროვინციის მდივნის ჯენკო რუსოს ინიციატივით პალერმოში შეიქმნა. ამ შეკრებაზე მდივნად ტრაპანელი ანდრეა ფაზიო დაინიშნა. იგი თავის მოვალეობას მანამდე ასრულებდა, სანამ ამ ინსტიტუტის ფუნქციონირება მაფიოზურმა ომებმა დროებით არ შეაჩერეს. ორგანიზაცია ხელახლა 1975 წლის თებერვალში დააფუძნეს და განისაზღვრა, როგორც 6 პროვინციის მაფიოზური წარმომადგენლის კომიტეტი.⁵

კომიტეტის მდივნები იყვნენ ჯუზეპე კალდერონე კატანიიდან (იგი 1978 წელს მოკლეს), შემდეგ პალერმოელი მიკელე გრეკო, ხოლო 1986-93 წლებში დაპატიმრებამდე ორგანიზაციის სათავეში კორლეონე სალვატორე ტოტო რიინა იდგა.

„კოზა ნოსტრა“ ამჟამად 5 ათას საპატიო ადამიანს უნდა ითვლიდეს, რომელთაგან 2 ათასი 54 პალერმოელი ოჯახის წევრია.⁶

მაფია თავის საფუძვლად მეტ-ნაკლებად ხელშეუხებელ კანონებს აღიარებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საიდუმლოს მკაცრ დაცვას – ომერტას – პროსტიტუციის ბოროტად გამოყენების აკრძალვას. კოზა ნოსტრას ლეგენდარული ფიგურების (კოლოჯერო ვიზინი, იგივე – დონ კალო, კასიო ფერო – დონ ვიტო) ქონება აგრარულ ეკონომიკაში უკანონო საქმიანობის ბაზაზე გროვდებოდა – Pizza-ს დაბეგვრა, მაფიოზური ბეგარა, ფქვილით ვაჭრობის რეკეტი, სპეკულაცია, მიწერები ჯარისთვის განკუთვნილი მსხვილფეხა საქონლითა თუ სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაში და ა.შ.

იტალიური მაფიის ტერიტორიები



ათეული წლები მინც დასჭირდება *კოზა ნოსტრას* სახელით ცნობილი ამ ორგანიზაციის რეალობისა და მისი როგორც იერარქიული კრიმინალური საზოგადოების ხასიათის შესწავლა – დადგენას. მართალია, *მაფიას* დღეს ხშირად *პარალელურ ძალაუფლებასთან*, ერთგვარ *ანტისახელმწიფოსთან აიგივებენ*, მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ იტალიის სახელმწიფო, რომელიც *სიცილიანობა* და *კუნძულის ავტონომიისაკენ* სწრაფვას დაუპირისპირდა (თანამედროვე გაგებით, *სეპარატიზმს*), ყოველთვის იყენებდა ამ ძალას (*რევოლუციონერი ვარიანტი, ომისშემდგომ პერიოდში იტალიაში ბოლშევიზმის გავრცელების საწინააღმდეგო პროცესები*).

1912 წელს მამაკაცებისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლების დაკანონებამ კიდევ უფრო გააღრმავა კავშირები ადგილობრივ პოლიტიკურ ძალაუფლებასა და მაფიოზურ „ოჯახთა“ კლიენტურას შორის.⁷

ბამორა: იტალიური მაფიების ოჯახის *დანამაშულებრივი სიმბიოზის* ერთ-ერთი ნაწილი – კამორა კრიმინალური ორგანიზაციაა, რომელიც 1830. წელს *კამპანიაში, ნეაპოლის* რეგიონში დაფუძნდა როგორც საიდუმლო საზოგადოება და *ფონდების დასატაცებლად* იყო მოწოდებული. კამორას ჯარისკაცები (*პინოტი* და *სგარო*) საკუთარ თავს პატარა ქალაქების მცხოვრებთა ელიტად მიიჩნევდნენ. ისინი კვარტლების მიხედვით დამოუკიდებელ კლანებად იყვნენ ორგანიზებული და ლეგალური ქალაქური ცხოვრების ყველა სფეროში პარაზიტულ საქმიანობას ეწეოდნენ: *გაცვლა-გამოცვლა, კონტროლი საქმოსნობასა და წარმოებაზე, ქურდობა, სუტენირობა, იატაკქვეშა თამაშები და სანაძლეოები, შუამავლის როლი* და ა.შ.



ყველა დროში, იტალიის გაერთიანებიდან მოყოლებული, *კამორა* მუდმივად *კონტრაბანდის* დიდი მასშტაბებით გამოირჩეოდა.

XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაცია მკაცრი რეპრესიების სამიზნეს წარმოადგენდა. მან ძალა მოიკრიბა მეორე მსოფლიო ომის დროს დანგრეულ *ნეაპოლში*. 50-იან წლებში რამდენიმე კლანი – მაზარელა და ნუვოლეტა გაერთიანდა *კოზა ნოსტრას* მფარველობის ქვეშ. *კოზა ნოსტრამ* სიგარეტის სპეკულაცია დაიწყო და დიდ წარმატებასაც მიაღწია. 1976 წლიდან კი *ნეაპოლი* ამერიკის შეერთებულ შტატებში *პეროინის* იმპორტის *სიცილიური ქსელის* მთავარ პუნქტად იქცა. *ნეაპოლიდან*ვე ხდებოდა *იტალიაში კოლუმბიური კოკაინის იმპორტი*. 1980 წლის მიწისძვრის შედეგად დაზარალებული რაიონების აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისას აშკარად გამოიკვეთა *კამორას* ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა მთელს რეგიონზე. 70-იანი წლების მიწურულს დაიწყო დაპირისპირება ორ დაჯგუფებას შორის (*ნუოვა კამორა ორგანიზაცია, NCO*, რომელსაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ გლეხის შვილი რაფაელ კუტოლო–*პროვინციელი* ხელმძღვანელობდა და *ნუოვა*

ფამილია, რომლის ლიდერიც ნეაპოლელი კარმინ ალფიერა იყო). საბოლოოდ, აღიარებას ამ უკანასკნელმა მიაღწია. *კამორა* ბოლოს *კოკაინის იმპორტზე* დაიწყო მუშაობა. იგი დღესდღეობით III კლანს ითვლის და 7 ათას წევრს აერთიანებს *იტალიაში, ნიდერლანდებში, ღიდ ბრიტანეთში, ვერმანიაში, სამხრეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში*. ორგანიზაციის წლიური შემოსავალი ნ მლრდ ფრანკს აჭარბებს.

ნდრანგმეტა – *კალაბრიელ* ბანდიტთა ორგანიზაციაა, რომლის არსებობა 1860 წელს *იტალიის* გაერთიანებიდან იწყება. მისი სახელი ბერძნული წარმომავლობისაა – „*andragathos*“, რაც *გულად* ადამიანს ნიშნავს. ისევე, როგორც *ნუოვა ფამილიაში* და *კოზა ნოსტრაში*, კლანების, ანუ ნდრინების ფორმირება აქაც ნათესაურ კავშირებზეა დამყარებული. მათ სათავეში კაპობასტონი უდგას. უმაღლეს ეშელონებში არავითარი კოორდინაცია არ არსებობს. საუკუნის პირველ ნახევარში მუდმივი რეპრესიის ქვეშ მყოფი *ნდრანგეტა* 60 - იან წლებში *კოზა ნოსტრასთან* ერთად სიგარეტის სპეკულაციაში ჩაერთო. *კამორას* მსგავსად მანაც ისარგებლა დროით და სიცილიური მეურვეობისაგან გათავისუფლების მიზნით ხელში ჩაიგდო ბაზრის ერთ ნაწილზე კონტროლი.

ნდრანგმეტული კოკაინის მოძრაობა - მორაბიტოს ოჯახური ძსქალი



PBC-ს წარმოება
 კოკაინის ლაბორატორია
 PBC-ს ტრანზიტით
 კოკაინის პარპრეტი
 კოკაინის საწვობები

70 - იანი წლების ბოლოს კონტრაბანდიდან მიღებული ფული *ნდრანგეტამ* ნარკოტიკებით ვაჭრობაში დააბანდა. სულ მალე *დი სტეფანოს* ოჯახის მითითებით *რეჯო დი კალაბრიაში* ნარკოტიკების გადაზიდვის საზღვაო ქსელების განვითარება დაიწყო (*ლიბანიდან, ესპანეთიდან და მაროკოდან* ჰაშიშის, *ბრაზილიიდან* კოკაინის, *ხოლო ახლო აღმოსავლეთიდან* პერონინის). 1977 წელს მთიელმა ბანდიტებმა *ავსტრალიელი დეპუტატი* დონალდ მაკ კეი მოკლეს, რომელიც ავსტრალიის სამხრეთში *კალაბრიელთა* კონტროლის ქვეშ მყოფ ნარკობიზნესს ემუქრებოდა.

ნდრანგეტამ საერთაშორისო კავშირების დამყარების კარგი უნარი გამოიჩინა – *კანადასა და კოლუმბიაში ბაზები* დააფუძნა, ხოლო 1993 წლიდან მნიშვნელოვანი ინვესტიციები დააბანდა *რუსეთში*.

80-იან წლებში ომის შედეგად დაქსაქსულმა *ნდრანგეტამ* *კოზა ნოსტრას* ჩარევის შემდეგ 1991 წლის ბოლოს *დი სტეფანოსა და ომერტას* ოჯახებს შორის ზავს მოაწერა ხელი. შემდგომში კი *პროვინციული კომისია* მსგავსად *ქალერმოს* კომისიისა *რეჯიოს* ზონაში *კლანების* საქმიანობას ხელმძღვანელობდა. *ზოგი მონანიებული მაფიოზის* ინფორმაციით ბევრი *კალა-ბრიელი კოზა ნოსტრას* შეუერთდა, ზოგ მათგანს კი საშუალება მიეცა *სიცილიური კუპოლის* რიგებში დაფუძნებულიყო.

საპრა კარონა უნიტა: პულის რეგიონის ეს ორგანიზაცია 1980 წელს გამოჩნდა. იგი კონტრაბანდული საქმიანობის ბაზაზე ჩამოყალიბდა და ზონაში ფართოდ გავრცელდა ტანკერისათვის საერთაშორისო ქალაქის სტატუსის მინიჭებასა და იუგოსლავია – ალბანეთის სანაპიროებზე *თამბაქოს მაკლერთა* ტრანსფერების რეალიზებასთან დაკავშირებით.

რეგიონს გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობდა და იგი *ხორვატიასთან იარაღით ვაჭრობის ბუნებრივ მონაწილედ* იქცა. ორგანიზაციის მზევრაკი და სატვირთო გემები *ალბანეთისა და მონტენეგროს* სანაპიროებთან რეგულარულ კავშირებს უზრუნველყოფდნენ. ბალკანური საფრთხე *ფარული მიგრაციის* მუდმივი წყარო გახდა, რაც აღნიშნულ ორგანიზაციას კონკურენციისათვის ფართო შესაძლებლობას უქმნიდა. მას არა მხოლოდ აპყავდა *ლტოლვილები დალმატიისა და მონტენეგროს* ნაპირებიდან, არამედ აცილებდა კიდევ მათ *იტალიის ჩრდილოეთისაკენ*, ხოლო მოგვიანებით ფარული მუშახელის სახით იყენებდა.⁸

§3. ალკოჰოლიდან ნარკოტიკებამდე

მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებამდე იტალიურ-ამერიკულ მაფიას თავიდან ნაკლებად აინტერესებდა ნარკოტიკები და მხოლოდ აკრძალული ალკოჰოლის წარმოებითა და გაყიდვით იყო დაკავებული.

მშრალი კანონის აკრძალვისთანავე, მაფიამ მყისვე შეიცვალა პროფილი და მცირედი რეორგანიზაციის შემდგომ თავისი მომარაგებისა და გადაზიდვისათვის გამზადებული ქსელები *ჰეროინის* ტრანსპორტირების სამსახურში ჩააყენა.

1930-31 წლებიდან ასპარეზზე *იტალიურ-ამერიკული* მაფიის ახალი თაობა გამოვიდა, რომელსაც სათავეში სალვატორე ლაკი ლუჩიანო ედგა. 1933 წელს *ალკოჰოლის აკრძალვის დასასრულმა* ეს ჯგუფი აიძულა (*სკოჩის-რომის* სასმელი) *იამაიკის, კუბისა და ახალი ორლეანის, ლივერპულისა და ნიუ-ჯერსის* მარშრუტები სანაცვლოდ ჰეროინის ტვირთებისთვის დაეთმო.

ასე ჩაისახა ნარკოტიკების ახალი მძლავრი ვექტორი *ამერიკის კონტინენტისკენ*, რომელმაც *კორსიკული* და *სიცილიური* წრეები მიიზიდა, ხოლო *მარსელი, ტანჯერი, კაირო* და *ბეირუთი* ნარკოტიკების მბრუნავ ღერძებად აქცია.

თუ აქამდე მაფიოზური *ოჯახებისთვის* ნარკოტიკები დამამცირებელ და საზიფათო საქმიანობად აღიქმებოდა, ახლა იგი ახალი *იტალიელებისთვის* ინდუსტრიულ საზოგადოებაში *სწრაფი წარმატების, ამერიკული ოცნების* მიღწევის საშუალება გახდა და უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე აგრარულ რეალობაზე დაფუძნებული *სიცილიური ტრადიციები*.

1930-31 წლებში გაჩაღებულმა შიდა ბრძოლებმა ლაკი ლუჩიანო ძალაუფლების სათავეში მოიყვანა. მან შეძლო ასამდე *იტალიურ – ამერიკული* კლანი 24 ოჯახად და 5 გამობრძმედილ ბელადად დაეჯგუფებინა. ლაკიმ საქმიანობას საფუძვლად ერთმანეთისადმი ერთგულება და ბიზნესის რაციონალიზაციის იდეა დაუდო.⁹

ლაკი ლუჩიანო თავისი ბავშვობის მეგობარს მეიერ ლანსკის დაუკავშირდა, რომელიც *ფლორიდისა და კუბის კაზინოების* მომავალი პაპი და *ფულის გათეთრების* მოღერნისტული მეთოდების ინიციატორი იყო. მისი მეშვეობით ლუჩიანომ კონტაქტი დაამყარა ისეთ პროიტალიელ განგსებთან, როგორებიც არიან ბენჟამენ ბაგსი სიგალი – *ლას - ვეგასის* შემქმნელი, იაკობ გურაპ შაპირო და არტურ ფლეგენჰაიმერი – იგივე *დაჩ შულცი*.¹⁰

პირველ ხანებში *ჰეროინის* კომერცია *პროსტიტუციის* ტოტალური კონტროლისა და დაფინანსების დამატებით საშუალებად მოიაზრებოდა. მალე იგი იქცა ტრადიციული რეკეტის – უძრავი ქონების მრავალსახეობად და მაფიის ახალი – უძრავი იმპერიის შექმნას ემსახურებოდა.

სიცილიურ კოზა - ნოსტრასა და იტალიურ-ამერიკულ მათიას შორის არ არსებობდა არანაირი ფორმალური შეთანხმება ან ინსტიტუციური კავშირები, მყარად მხოლოდ მათიის ოჯახები იყო შედუღებული.

XX საუკუნეში მათიის განადგურების პირველი სერიოზული მცდელობა იტალიის ფაშისტურმა სახელმწიფომ განახორციელა. ბუნებრივია, მუსოლინი ვერ აიტანდა პარალელურად ისეთი ძალაუფლების არსებობას, რომლის გამჭრიახობა და მეთოდები მისას ძალზე წააგავდა.

ფაშისტმა პრეფექტმა ცეზარე მორიმ მიზანს თითქმის მიაღწია. 1924 – 29 წლებში მათიის მდგომარეობა სიცილიაზე აუტანელი გახდა. უძლიერესმა ნათლიმამებმა (*ჯო მასერია, კარლო გამბინო, ჯო ზეფ ბონანო*) სწორედ ამ პერიოდში დატოვეს კუნძული და ახალ სამყაროში – ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ. მათზე ადრე გადმოხვეწილმა ლაკი ლუჩიანომ კი უკვე მოასწრო დანაშაულის ჩადენა და თანამემამულეთ ახალი სამყაროს ციხის კედლებში დახვდა.

დასაწყისში ჰეროინთან დაკავშირებულ სიცილიელთა საქმიანობა ცოტა არ იყოს ქაოსურად მიმდინარეობდა. იგი ითვალისწინებდა მათიის ტრადიციებს, რომლებიც ნარკოტიკებს არცთუ წყალობდა, მაგრამ მდგომარეობა ნელ-ნელა გამოსწორდა და მათიოზურმა საქმიანობამ მწყობრი ხასიათი მიიღო. 1937 წლის დასასრულს პალერმოს პროვინციის წარმომადგენლად არჩეული გაეტანო ბადალაშენტი მათიის ტრადიციების საწინააღმდეგოდ უკვე ფზენილით ვაჭრობაზე გადავიდა – მან ჰეროინი ჩინეთიდან პუნტა რეზის აეროპორტის მეშვეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიტანა. მალე „ჰეროინის კეთილ“ თვისებებს ძლიერი კორლეონეებიც მიხვდნენ და ბადალაშენტის მიბაძვით საღვატორე რიინამ პირველმა დაიწყო სახიფათო, დაუნდობელი ბრძოლა ნარკოტიკების მბრუნავი ღერძების, გასაღების ბაზრებისა და მოგების ხელში ჩასაგდებად. მათიოზების ერთადერთ მიზნად გამოიდრება იქცა. ამრიგად, მათიის ოჯახებს შორის ახლადდამყარებულ მშვიდობას ახალი კონფლიქტის საფრთხე დაემუქრა.

70-იანი წლების შუა ხანებში კოზა ნოსტრამ რამდენიმე ოპერაციაში ფრანგული კავშირების დაშლით გამოწვეული ფიასკო განიცადა და საგრძნობი ჩავარდნები იცემა, მაგრამ 1978 წელს სიცილიური მათია ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპულ ბაზრებზე ჰეროინის ტრანზიტის კვლავ უმაღლესი იმპორტიორი გახდა. სიცილიაში, პალერმოს მხარეში (ბაჰერია, კასტელდარჩია და ვილაბატი) ამავე პერიოდში პროვინციული კომისიის სათავეში ბადალაშენტის ნაცვლად მიკელე გრეკო, მეტსახელად პაპი მოვიდა, რის შედეგადაც მის კუთვნილ ტერიტორიებზე ჰეროინის გადამამუშავებელი საიდუმლო ლაბორატორიები შეიქმნა, სადაც თურქული მორფინ- ბაზა ჰეროინად გარდაიქმნებოდა. ამ საქმეში ფართოდ იყენებდნენ სივარეტის სპეკულაციასა და თურქ ნათლიმამებთან

თანამშრომლობისას *კორსიკელი* თუ *მარსელელი ქიმიკოსების* მიერ მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას. 1982 წლისათვის ამერიკის ჩრდილო – აღმოსავლეთში ექსპორტირებული ჰეროინის 80 პროცენტი სიცილიიდან შემოდოდა. ასეთი წარმატების მიუხედავად *კოზა ნოსტრა* კვლავ აგრძელებდა მოგების სხვა წყაროების ძიებას.

ნარკოდოლარების მოზღვავებული ნაკადი *კონფლიქტის გამწვავების* საბაბი გახდა: 1981 - 83 წლებში ახალი *მაფიის ომმა* კულმინაციას მიაღწია და ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იშვიათი სისასტიკით მოქმედებდნენ *კორლეონეები*, რომლებიც *მონოლითური სტრუქტურის* შექმნისკენ ისწრაფოდნენ. 1978 წელს მოკლეს *კატანიის* მაფიის შეფი ჯუზეპე კალდერონე, რომელიც პალერმოელ *მოზუცებთან* (ძველ თაობასთან) ახლობლობდა. კონტროლი ხელში ჩაიგდო კორლეონეებთან დაკავშირებულმა ნიტო სანტა პაოლამ. იმავე წელს ტომასო ბუსკეტას ინფორმაციით *გაეტანო ბადალამენტი „კოზა ნოსტრადან“* გააძევეს. კორლეონეები, რომელთაც მიკელე გრეკო მფარველობდა, იმდენად გაძლიერდნენ, რომ 1978 წელს ჯუზეპე დი კრისტინას, ხოლო 1981 წელს სტეფანო ბონტატეს და სალვატორე ინცერილოს აულაგემს ფეხი მაფიიდან. "

§4. მაფიის ორსახონება

მაფიოზურმა ომმა ამერიკის შეერთებულ შტატებამდე მიაღწია. იქ იგი *ახალი მიმდინარეობის* სრული ტრიუმფით დამთავრდა. ამერიკულმა სპეცსამსახურებმა მხოლოდ 1984 წელს მოახერხეს „*Pizza Connection*“ - ის ქსელის დაშლა, რამაც დასაბამი მისცა ჰეროინის მსოფლიო ბაზარზე *სიცილიური ბატონობის* დასასრულს.

Pizza Connection -ის სასამართლო პროცესმა ნათელი მოჰფინა მაფიის ორსახონებასა და ტრანსაქციების მოწესრიგებას, რომელიც ორი სიცილიური ოჯახის – სალმონესა და ბადალამენტების მიერ იყო ორგანიზებული. ისინი 60-იან წლებში ჩავიდნენ ახალ კონტინენტზე და როგორც შემდგომ სასამართლო პროცესებმა აჩვენა, *გაეტანო ბადალამენტი* **Capo di Capi** იყო სიცილიური ოჯახებისთვის.

ეს იყო ამერიკის სპეცსამსახურების მიერ ნარკოტიკებით უკანონო მოვაჭრეთა წინააღმდეგ ჩატარებული ერთ-ერთი ყველაზე რთული და დიდი გამოძიება. *სიცილიელ* დამნაშავეთა დაჯგუფებები თავიანთი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განლაგებული პიციერიების უდიდეს ქსელებს იყენებდნენ.¹²

ჯოვანი ლაგამარი – ერთ-ერთი ბრალდებული, 80-იანი წლების შუა პერიოდში **Pizza Connection** -ის სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთი

მთავარი ფიგურაა. მან და მისმა ვაჟმა პიეტრომ 16 მლნ დოლარის ჰეროინის კონტრაბანდა გაიტანეს სიცილიიდან ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსში.

1984 წელს იტალიის ხელისუფლებასთან კავშირში გულდასმით ჩატარებული წინასწარი გამოძიების საფუძველზე მამა-შვილი დააკავეს. გამოძიებამ აღმოაჩინა პიცერეების ქსელი, გადაჭიმული ნიუ-იორკიდან ოჰაიომდე, რომელსაც მარტო ნიუ-იორკში წელიწადში 750 მლნ დოლარის ნაწარმი შემოჰქონდა.


ჯოვანი ლაგამარის 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მან 8 წელი ციხეში გაატარა. ციხიდან გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ მამა-შვილი საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალნი იპოვეს. ასე დასრულდა ლაგამარების ოჯახის ნარკოეპოპეა. ამ წარმატებულ ოპერაციას სპეციალური აგენტი ლუი ჯე ფრი ხელმძღვანელობდა. მომავალში ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი.¹³

ნარკომაფიის რთული და მრავალწახნაგოვანი ბუნება შესანიშნავად შეაფასა ბრიტანეთის საბაჟოს ერთ-ერთმა ოფიცერმა: „ნარკოტიკების კონტრაბანდული ორგანიზაცია სპაგეტის თევზს ჰგავს; თითქოს თითოეული ერთმანეთს ეხება, მაგრამ არ ხარ დარწმუნებული, სადამდის წაგიყვანს იგი. ზოგჯერ დავიჭერთ ვიღაცას, რომელიც ჩვენს რწმენით მნიშვნელოვანია დაჭერის მომენტამდე, მაგრამ ხელში ჩაგდებასთანავე ის პაწაწინა თაღლითად იქცევა ხოლმე და მის ადგილზე ვიღაც უფრო მნიშვნელოვანი ჩნდება.

კვლავ მივუბრუნდეთ ისტორიას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელისუფლებაში მათ-ძე დუნის მოსვლამ სპეკულანტებს ჩინეთიდან ჰონკონგის, ტაივანისა და სინგაპურისკენ უბიძგა. რეპრესიების ტალღამ ამერიკამდე მიაღწია, სადაც ძმებ

პიცას კავშირები



ელიოპულოსებს ნარკოვაჭრობისათვის ბრალდება წაუყენეს.

საფრანგეთში ოკუპაციის დროს *კორსიკული* ორგანიზაციის დიდი ნაწილი გესტაპოსთან თანამშრომლობის გამო წმენდაში მოყვა. *დახოცეს კარბონე* და ამ ორგანიზაციის სხვა ლიდერები. უმრავლესობას *სპირიტოს* მსგავსად *გადასახლებაში* უკრავ თავი, მათი ქსელები გამოუდმებელი კონტროლის ქვეშ აიყვანეს. იტალიური *კოზა ნოსტრა*, რომელიც ორი ათეული წლის მანძილზე *მუსოლინის რეპრესიების* ქვეშ იმყოფებოდა, *სიცილიას* შეეფარა და *ძველებურად ძარცვით, რეკეტით, ტუნისის მსხვილფეხა საქონლის ქურდობით ცხოვრობდა*.

ასეთი ისტორიული ფონი, ცხადია, ძალზე *არაზღვლსაყრელი* იყო კრიმინალური დაჯგუფებებისათვის, მაგრამ *ჯადოქარმა შევირდებმა* მოახერხეს ნარკოსპეკულაციის ახალი აღმავლობისთვის ბაზისის შექმნა, რამაც მისი კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გაერცელება გამოიწვია.

პირველი მოქმედება *ნიუ-იორკში* გათამაშდა. 1942 წლის თებერვალში ჯარების ტრანსპორტირებისათვის გადაკეთებულ თომაველ „*ნორმანდიას*“ ხანძარი გაუჩნდა, რაც ნაცისტურ ძალებსა და იაპონელებს მიაწერეს. მათი აღაგმვის მიზნით ამერიკულმა საზღვაო ჯაშუშობის საწინააღმდეგო სამსახურებმა *აღიანსი* ლაკი ლუჩიანოსთან შექმნეს, რომელიც ციხიდან გამოსვლის შემდეგ მანჰეტენისა და ბრუკლინის დოკებს აკონტროლებდა. 1943 წლის ივლისში, ჯერ კიდევ ლუჩიანოს ციხიდან გათავისუფლებამდე, სამართალდამცავებმა კავშირი დაამყარეს მის ხალხთან, რომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სიცილიაზე მოკავშირეთა ჯარების გადასხმა გახდა შესაძლებელი.

ომის დროს გაწეული სამსახურისათვის 1946 წელს *ლაკი ლუჩიანო* ციხიდან გაანთავისუფლეს და იგი მაშინვე *იტალიაში* იქნა *დეპორტირებული*. ლუჩიანოს განთავისუფლებას უდიდესი შედეგი მოჰყვა. სტრატეგიულმა სამსახურებმა მაფიას *მოუწოდეს* გაერთიანებული ძალებით კომუნისტებს წინ აღდგომოდნენ ჯერ სიცილიაში, შემდეგ კი მთელს იტალიაში. მათთან შეკრული სამხედრო ადმინისტრაცია **AMGOT**-ი მაფიოზთა *მაღალ პოსტებზე* დანიშნვისათვის ილწვოდა, რამაც დასაბამი მისცა *კოზა ნოსტრას* საქმიანობის *ახალ ფაზას*. სამხრეთის განვითარების გეგმამ თავისი მნიშვნელოვანი სუფსიდიების წყალობით მოღვაწეობის ახალი სფერო შეუქმნა მაფიას – *ნარკოტიკებით უკანონო მოვაჭრეთა წინააღმდეგ რეკეტი, აღსადგენ ზონებში მიწის რეკონვერსიაში ჩარევა და სპეკულაცია*.

შედეგი: *მაფიამ ადგილობრივ ადმინისტრაციებში შეაღწია*.

მაფია მთელი სიჩქარით მიისწრაფოდა მმართველობის უმაღლეს საფეხურზე ადგილის დასამკვიდრებლად, რაც შემდგომში ძვირად დაუჯდა ქვეყანას.

ხოლო მის *პოლიტიკურ სტაბილურობას მომავალში უდიდესი პრობლემები შეექმნა*.

მარსელში კორსიკული წრის ერთი ფრაქცია – ძმები გერინიები

მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდნენ. 1940 წლიდან ფრაქციის უმრავლესობა მუსოლინისა და იტალიის მიერ *კორსიკულის ანექსიის* პერსპექტივას დაუბრისპირდა. 1944 წლის აგვისტოში ამ ახალი თაობის მთავარმა ფიგურებმა – *გერინიებმა* მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმისა და მარსელის განთავისუფლების დროს კონტაქტები დაამყარეს ინგლისურ-ამერიკულ საიდუმლო სამსახურებთან, რომლებიც კორსიკულ წრეებზე დაყრდნობით მარსელის დოკებზე **CGT**-ს გაბატონების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. პორტმა უზრუნველყო *მარშალის გემით* გათვალისწინებული მატერიალური დახმარება და *ინდოჩინეთისაკენ* სამხედრო ბაღრაგის გაგზავნა. ამ უკანასკნელმა ფრანგული საექსპედიციო კორპუსი გააცილა და ნახევარკუნძულზე მრავალრიცხოვანი კორსიკელი ბოროტმოქმედი გადასხა. შემდგომში *კორსიკელი* განგსტერები ინდოჩინეთში ოპიუმით ვაჭრობის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ.

აშკარაა, მაფიისა და მისი ლიდერების გაძლიერება-აღზევებამ, რომელიც ბევრ შემთხვევაში სახელმწიფოებისა და მათი შესაბამისი სტრატეგიული სამსახურების წინასწარგამიზნული მოქმედებით თუ შეგნებული უმოქმედობით ხდებოდა, ამავე ქვეყნებს მომავალში ბევრი თავსატეხი გაუჩინა. პრობლემის გადაჭრამ შემდგომში ათეულობით წლები, უდიდესი რესურსები მოითხოვა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.¹⁴

თავი II

ლათინო - ამერიკული კარტელების ისტორია

§1. მემსიკიდან კოლუმბიაში

მექსიკა ლათინურ ამერიკაში ნარკოტიკების წარმოებისა და ექსპორტის ყველაზე უფრო ძველი კერაა. საუკუნის დასაწყისიდანვე იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე მარიხუანას ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი. ათეულობით წლები დასჭირდა ნარკოტიკების მწარმოებელ დიდ სოფლებში ამ კულტურების განადგურებას ან მის დასნებოვნებას, რის შემდეგაც 60-იანი წლების მიწურულს იმპორტიორები კოლუმბიას მიუბრუნდნენ.

ამავე პერიოდში, 70 - იან წლებში თურქეთში ყაყაჩოს კულტურა აკრძალეს, რასაც *სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის* იმპორტიორების გააქტიურება მოჰყვა. მაშინ უკვე *ამერიკის შეერთებულ შტატებში* მოხმარებული ჰერონის დაახლოებით 30 პროცენტი ამ რეგიონიდან შექონდათ, მაგრამ **DEA**-ს მიერ

ბანკოკში განხორციელებულმა ენერგიულმა ღონისძიებებმა ჩინელი ნარკოვაჭრები სულ მალე დააფრთხო და აიძულა სხვა ბაზრებზე აედოთ ორიენტაცია. მზარდმა დეფიციტმა ნარკოტიკის ფასების მკვეთრი მომატება განაპირობა. მაგრამ როგორც ცნობილია *ნარკოვაჭრობის სივრცეში ადგილები ცარიელი ძალიან ცოტა ხანს რჩება*. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 1973 - 74 წლებში ოპიუმისა და ჰეროინის *მექსიკურმა* წარმოებამ რაოდენობრივი ბუმი განიცადა. ამერიკულ ბაზარზე მათი წილი 1972 წელს 39 პროცენტს ძლივს აჭარბებდა, ხოლო 1975 წელს – 90 პროცენტი გახდა. მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში მექსიკის პოზიციები ცვალებადი იყო, მაგრამ იგი ამერიკული ბაზრისათვის ერთ-ერთ ძირითად მიმწოდებლად კვლავ დარჩა, თუმცა ლათინურ ამერიკაში *მექსიკას* მხოლოდ მეზობელ *გვატემალაზე* ჰქონდა გავლენა, რომელიც ოპიუმის მოკრძალებული მწარმოებელი გახდა.

1990 წლის დასაწყისამდე კარტელის ცნება ნარკოტიკების სპეკულანტთა *კოლუმბიური* ორგანიზაციებიდან წარმოდგებოდა. თუმცა, *მექსიკელ* განგ-სტერებს შურის საბაბი არ უნდა ჰქონოდათ, რადგან იქ კრიმინალებსა და ნარკოტიკებს შორის კავშირი გასული საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. 80-იან წლებში *იამაიკური მარიხუანა* სეზონური მუშების მეშვეობით მექსიკაში, ოდნავ მოგვიანებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოვიდა. იგივე ითქმის *ოპიუმზეც*. იგი გასული საუკუნის დასაწყისში *ჩინელი მუშებისთვის* შეჰქონდათ, რომლებიც წყნარი ოკეანის სანაპიროზე რკინიგზის მშენებლობაზე მუშაობდნენ. თავდაპირველად ნარკოტიკი *ლიბანიდან*, *ფილიპინებიდან* და *ინდონეზიიდან* შემოდიოდა. 1930 წლიდან მოყოლებული კი *ყაყაჩოს* კულტურა *ჩიპუაპუას*, *სინალოას*, *კოლიმასა* და *ნაიარითის* შტატებშიც გავრცელდა ადგილობრივი *მოსაწევი ბარების* მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ამერიკელთა საზღვრების მთელს სივრცეზე იყო განლაგებული. მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში ანდების ქვეყანაში დამუშავებული *კოკაინი* უკვე *მექსიკურ გზას* დაადგა *ამერიკის შეერთებული შტატების* მომხმარებლამდე. 1923 წლის თებერვალში იუკატანის მმართველმა ფილიპე კარილიო პუერტომ *დეკრეტი* გამოაქვეყნა, რომლითაც აკრძალა *ოპიუმის შემცველთა ნაწარმის*, *ასევე კოკაინისა* და *მარიხუანას* კომერცია. მაგრამ მარიხუანა ისევ განაგრძობდა *კულტივირებას* მთელს ქვეყანაში, ხოლო *ოპიუმი* *ჰეროინად* გარდაიქმნებოდა.

ცუდი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამერიკის არმიის საჭიროებისათვის *მორფინის* წარმოების *დაკანონებამაც* – აზიიდან მისი იმპორტირება შეწყდა, რამაც *ადგილობრივ მწარმოებლებს* მძლავრი სტიმული მისცა.¹⁵

ლათივური აპერობა

ობიუმის კულტივირება და წარმოება

1994 1995 1996 1997 1998 1999

კულტივირება (ჰექტრებში)

5795 11590 11400 10600 11600 10700

მექსიკა

5797 5050 5100 4000 55000 5100

კოლუმბია

6540 6300 6600 6100 5600

ბოტენციური წარმოება (ტონებში)

60 118 117 112 120 107

მექსიკა

60 53 54 46 60 54

კოლუმბია

65 63 66 60 53

ბოტენციური პროდუქტი (ტონებში)

6 11 11 10 12 11

მექსიკა

6 5 5 4 6 6

- 6 6 6 6 5

§2. მიმსიკური კარტელები

მექსიკაში ნარკომოვაჭრების კრიმინალურ დაჯგუფებათა არსებობამ ნარკოტიკების მწარმოებელთა ახალ კონუნქტურასთან შევებისა და უცხოეთის კონკურენციასთან წინააღმდეგობის გაწევის უნარი გაიცილებით აამაღლა. ასე მაგალითად: 70-იანი წლების შუა ხანებში მიგელ ანეელ ფელიქს გალიარდომ გვადალახარას კარტელი დააფუძნა. ყოფილმა პოლიციელმა სპეკულანტთან – რაფაელ კარო კვინტეროსთან ერთად ჰერონინის ვაკრცელების ქსელში ინვესტიციები ჩადო. კოკაინის გადასამუშავებლად მან საკუთარი ლაბორატორიები ააგო, ნაწარმი კი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გაიტანა. კოლუმბიურ კარტელებთან ალიანსში მან საქმიანი კავშირები დაამყარა პოლიციასთან, რომლებმაც მისი სახით შეუცვლელი შუამავალი გაიჩინეს.

გალიარდოს ჯგუფმა ისეთი დიდი გაქანება მიიღო, რომ 1982 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში თვეში ტონანახევარ კოკაინს აგზავნიდა. 1989 წლის 8 აპრილს იგი დააპატიმრეს. დაპატიმრებისას მისი ქონება 1 მლრდ დოლარს შეადგენდა.

ფელიქს გალიარდოს იზოლირებამ სინაოლას შტატში მრავალი ფუნქციონერის – პროკურორის მოადგილის, პოლიციის შეფისა და პოლიციის მრავალი ოფიცრის საქმიანობის შეწყვეტა განაპირობა. სწორედ ამიტომ ამ წლებში მექსიკურ პოლიციაში უდიდესი წმენდა მოხდა, როდესაც 10 ტ კოკაინის საჰაერო გზით კონტრაბანდის შემოტანის მონაწილე ძლიერ მექსიკურ კარტელზე მომუშავე ადგილობრივი და ფედერალური პოლიციის 19 ოფიცერი დააპატიმრეს.

აი, რას ამბობს პრეზიდენტ ერნესტო სედიოს დროინდელი გენერალური პროკურორი ანტონიო ლოხანო გრაცია: „წლებია საჭირო, რომ ფედერალური პოლიცია და პროკურორები ნარკონდუსტრიას ჩამოაშორონ, ინდუსტრიას, რომელსაც ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი მოაქვს.“⁶

გვადალახარის კარტელის მეორე შეფი – რაფაელ კარო კვინტერო მარიხუანას წარმოების ექსპორტის სოლიდურ ნაწილს აკონტროლებდა. 1985 წლის ნოემბერში მარიხუანას კულტურების წინააღმდეგ დიდი სამხედრო ოპერაციით სიერა დე ჩილიკოტეში (ჩიჰუაჰუას რეგიონი) 9 ათასი ტ მარიხუანა მოსპეს, ე.ი. ჩრდილო ამერიკის წლიური მოხმარების ეკვივალენტი. 1985 წლის 6 მარტს DEA - ს სპეციალურმა აგენტმა და ოპერაციის ხელმძღვანელმა ენრიკო კამარენამ ის მაღალჩინოსანი მფარველები აღმოაჩინა, რომლებიც ამ წარმოებით სარგებლობდნენ. იგი მოკლეს, ხოლო ამ შემთხვევამ ურთიერთობები მექსიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საშინლად გაამწვავა.

90-იანი წლების შუაში მექსიკაში ცნობილი იყო ნარკობიზნესის განმახორციელებელი 7 მთავარი ორგანიზაცია: 1. გოლფის კარტელი – მატამოროსი (ტამაულიპასის, ჩიაპასის, ვერაკრუზისა და ნუევო ლეონეს

სამხრეთ-აშერიკის მფგანე ტქრო

კოკას კულტივირება და წარმოება

1994 1995 1996 1997 1998 1999

კულტივირება (ჰექტრებში)

201700 214800 209700 194100 190800 186100

პერუ

108600 115300 94400 68800 51000 47000

ბოლივია

48100 48600 48100 45800 38000 33100

კოლუმბია

45000 50900 67200 79500 101800 106000

კოკას ფოთლის პოტ წარმოება (ტონებში)

29120 30940 30360 26390 22990 22100

პერუ

16540 18360 17470 13020 9560 9100

ბოლივია

8980 8500 7510 7010 5290 4600

კოლუმბია

3600 4080 5380 6360 8140 7400

კოკაინის პოტ წარმოება (ტონებში)

760 780 760 650 555 551

პერუ

435 460 435 325 240 237

255 240 215 200 150 143

70 80 110 125 165 141

§3. პოლუმბიური კარტემლები

კოლუმბია, საიდანაც ამერიკის კონტინენტზე და შემდეგ მთელს პლანეტაზე *კოკაინისა* და დღეს კი *პეროინის* კომერცია ხორციელდება, საერთაშორისო ნარკობიზნესში მოგვიანებით, ნარკოტიკების *მოხმარების მკვეთრი ზრდის გამო* ჩაერთო. ამ სფეროში მისი ჩართვის მთავარი მიზეზი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამოგებული ფულადი კაპიტალი გახდა. დღეს *კოლუმბია* ნარკოტიკებთან დაკავშირებული ყველა უკანონო ქმედებების მათ შორის მიღებული მოგებების, ლეგალიზება - გაწმენდის ერთ-ერთი ყველაზე უფრო *მნიშვნელოვანი* ცენტრია.

ნარკოვაჭრობაში კოლუმბიის ადგილი სათავეებს უკანონო კომერციის ტრადიციებიდან იღებს. ეს ტრადიციები კარიბის ზღვის სანაპიროზე ანტიოქიის დეპარტამენტში იყო კონცენტრირებული. ამ რეგიონს ბუნებრივი გასასვლელი აქვს ურბას ყურეში, სადაც *კონტრაბანდა XVI* საუკუნის მიწურულიდან არსებობს. 1810 წელს დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომის დროს კოლუმბია ინგლისელი კოლონიზატორების ხარჯზე კიდევ უფრო განვითარდა; ისინი კოლონიის დესტაბილიზებას ცდილობდნენ. ამ პერიოდიდან კონტრაბანდა *მარაკაიბოს, პანამისა და იამაიკის* პორტების საშუალებით *მექსიკის* სანაპიროებიდან *ამერიკის შეერთებულ შტატებამდე* გავრცელდა.⁷

საერთო ჯამში სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე *კოკაინის ინდუსტრიამ* განვითარების ორი ფაზა განვლო:

1. 80-იან წლებში ეს ფენომენი პროგრესულად ვრცელდება *კოლუმბიური ქსელის* გავლით, რასაც თან ქიმიური *პრეკურსორების* იმპორტი ახლავს. ტრანზიტის ზონები გახდა *ეკვადორი, ბრაზილია, ჩილე, ვენესუელა, გვიანა, სურინამი, კარიბის კუნძულები, პარაგვაი და არგენტინა, ხოლო ფულის გათეთრება ვენესუელაში, ბრაზილიაში, კარიბის კუნძულებზე, ბაჰამზე, სენტ მარტენზე, კაიმანის კუნძულებზე და ასევე, ანდების ქვეყნებში* ხორციელდებოდა.

2. 1989 წლის 18 აგვისტოს კოლუმბიაში საპრეზიდენტო არჩევნების დროს პრეზიდენტობის კანდიდატის *ლუის კარლოს გალანის* მკვლელობისა და *მედელინის კარტელის* წინააღმდეგ ომის გამოცხადების შემდეგ, ამ ქვეყნის ნარკობიზნესმენები *ლათინური ამერიკის* ნარკოტიკების წარმოება - ტრანზიტის ალიანსში ესწრაფვიან გაერთიანებას და რეგიონულ დაჯგუფებებს უკავშირდებიან. *პეროინის გადაამაშუშეველები ლაბორატორიები მომრავლდა ბრაზილიაში, არგენტინის ჩრდილოეთში, ჩილეში. ჩილე და ურუგვაი, თავის მხრივ, ფულის გათეთრების მნიშვნელოვან კერებად გადაიქცა.* ამავდროულად, სახეს იცვლის მარშრუტები - ქსელები, რითაც ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით მკაცრი საერთაშორისო კონტროლის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე უპასუხებენ.

სამხრეთ ამერიკაში მკვეთრად გაიზარდა ჰეროინის დამუშავებისათვის განკუთვნილი ყაყაჩოს კულტურის ტერიტორიები. კოლუმბიურმა ორგანიზაციებმა 90-იანი წლების დასაწყისში ყაყაჩო 10 ათასობით ჰექტარზე მოაშენეს. კულტურის ოპერატიულად გავრცელების მიზნით ამისკენვე უბიძგებდნენ ისინი კულტივატორებს ჰერუში, ეკვადორსა და ვენესუელაში.

ამრიგად, 90-იანი წლების შუაში ლათინურ ამერიკაში და კარიბიის ანგლოფონურ კუნძულებზე ნარკოტიკების წარმოების სისტემის გარეთ ერთი ქვეყანაც კი არ დარჩა.

§4. სისხლის ფუზრპილი – კონტრაბანდის ტრადიციული გზები კოლუმბიაში

არსებობს თუ არა კოლუმბიური მაფია და რა საერთო აქვს მას სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან?

ნარკობიზნესის გეოპოლიტიკურ ჭრილში შესწავლა გვარწმუნებს, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიოში ნარკოტიკების წარმოებისა და სპეკულაციის ნამდვილი მაფიოზური კერები შეიქმნა. ზოგი მათგანი დაუძღვრდა, ზოგი კი დღესაც აღმავლობას განიცდის. ისტორია გვასწავლის, რომ მათი წარმომშობი პირობები და ნამდვილი მაფიის განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ბევრ შემთხვევაში ერთნაირია – ისინი იქმნებიან არა სპონტანურად და კონიუნქტურულად, არამედ ისტორიულ და სტრუქტურულ ფენომენს წარმოადგენენ. კოლუმბიელმა ისტორიკოსებმა პირველად შეისწავლეს და მოგვცეს კოლუმბიური მაფიის შედარებითი ანალიზი იმ იტალიურ ფენომენტან, რომელზეც ჩვენ წინა თავებში გვქონდა საუბარი და რომელიც ადგილობრივი ხუთი მაფიოზური კერისაგან გარკვეულად განსხვავდება.²⁴

ამ მაფიოზურმა კერებმა გამოცოცხლება მიმდინარე საუკუნის 60 - იან წლებში დაიწყეს, რასაც 1960 წლის პირველ ნახევარში ჰანამაში, კონტრაბანდის ამ მბრუნავ ღერძზე ექსპორტსა და პროდუქციის გაცვლა – გამოცვლაზე კონტროლის გაძლიერებამ შეუწყო ხელი. იქ ალკოჰოლით, სიგარეტითა და ელექტროსაქონლით უკანონო ვაჭრობის ოპერაციებს აწარმოებდნენ კოლუმბიელები, რომელთაც სპეკულაციის გეოგრაფიის საუცხოო ცოდნა აქვთ. ისინი ამერიკელ მარიხუანათი მოვაჭრე ახალ პარტნიორებს დაუკავშირდნენ და მარიხუანას ტრანსპორტიორის ურყევი პარტნიორის სახელი დაიმკვიდრეს. სულ მოკლე ხანში ვაჭრობის ცნობილი ცენტრები სანტა მარტა გოლდი და რედ პოინტი გაჩნდა.

მაფიოზთა ოჯახური კლანების გავლენით ნარკოტიკების კომერცია

თანდთან გაძლიერდა. მეკობრეებისა და ავანტიურისტების ძველ თავშესაფარზე – გუაჩირას ნახევარკუნძულზე *ცენტრალური ხელისუფლების არანაირი რეალური ფორმა აღარ არსებობდა*, რამაც საუკეთესო პირობები შექმნა იმისათვის, რომ გუაჩირა ბონანზა მარიმბერა *ტრამპლინად* გადაქცეულიყო *ნარკოტიკების დიდი ბუშისათვის*.

პირველ ხანებში ამერიკელი პარტნიორები სანტა მარტა დე ლა სიერას ფერდობებზე ნარკოტიკული კულტურის – *კანაფის თესვისა და სასუქის დოზირების* მიზნით შემოვიდნენ. გუაჩირადან კულტურა *ცეზარისა* და *მაგდალენასკენ* გავრცელდა, ასე, რომ 1970 1975 წლებში კანაფი ადგილობრივი აგროკულტურის 80 პროცენტს ინარჩუნებდა. საქმეში მესაქონლეებიც ჩაითრიეს – *პონების (მოჯამაგირეების)* ხელფასი ექვსჯერ გაიზარდა. აი, რას მოგვითხრობს ისტორია: „*გაორებული ტალღა ისეთი მძლავრია, რომ პირთამდე ავსებს კონტრაბანდულ სინთეზურ ქსოვილებთან კონკურენციაში ბაზბის კულტურის კრიზისის შედეგად გამოთავისუფლებულ სივრცეს და მიწას კანაფის ნათესებით ფარავს. პაწაწინა სოფლები ქალომინო და მინგუეო ნარკოტიკების სპეკულაციის ცენტრებად იქცნენ*“.⁹

ამერიკელი მაფიის როლი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდა: მარტო გუაჩირაში მან თავისი თვითმფრინავებისათვის დაახლოებით 70 საიდუმლო *ასაფრენი ბილიკი* ააშენა, მოაწყო *ელევატორი* – ტვირთის ვერტიკალურად ასაწევი მანქანებით, რომლებიც ასობით აპარატს ითვლიდა და აღჭურვილი იყო თანამედროვე *კონტრაბანდის კლასიკური სისტემით*, სწრაფ ტვირთბრუნვას მეთევზეთა გემები და უშუალოდ *საერთაშორისო წყლების ტვირთმავლები* შეუერთდნენ.

მაგრამ, სულ მალე, *ეგრეთწოდებული* სანაპიროს ბირთვი *ნაკლებ* სიცოცხლისუნარიან *მაფიოზურ ემპრიონად დარჩა*. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში მარიხუანას პროდუქციის *რეპატრირების* შემდეგ ისეთივე *სენსაციური* სისწრაფით დაჭკნა, როგორც დაიბადა. ქვიშაზე დარჩენილმა ამ თაობის მრავალრიცხოვანმა შემსრულებელმა შემდგომში თავისი ადგილი *კოკაინის მზარდ* სპეკულაციაში იპოვა.

§5. ნარკოტიკების წარმოების ტრადიციული ხუთი ცენტრი

ანტიოქიის ცენტრი

ანტიოქიისა და მისი დედაქალაქის მედელინის აყვავების დიდ ციკლებს 1960 წლის ეკონომიკური ვარდნა მოჰყვა; კრიზისმა თორმეტიოდე მსხვილ მიწათმფლობელსა და კომერსანტს უბიძგა თავიანთი კონტრაბანდული ქსელები ამერიკის შეერთებულ შტატებში ურბაში წარმოებული მარიხუანას

ექსპორტირებისათვის გამოეყენებინა.


მაგრამ ამ წამოწყებას *ამერიკულმა მთავრობამ* მალე *მოულო ბოლო* – მან *ბანანისა და შეშის მზიდ გემებზე* მკაცრი კონტროლი დააწესა. *კანაფის* კულტურამ *გუატიმალაში* გადაინაცვლა და ანტიოქიის გავლენიანმა პირებმა *კოკაინის* სპეკულაციაში სცადეს თავის გამოჩენა, მაგრამ იმის გამო, რომ ანტიოქიელი ნარკოვაჭრები *ტრადიციული მენტალიტეტის* კლასის წარმომადგენლები იყვნენ, კლასისა, რომელიც ქონებას მიწის ექსპლუატაციით აგროვებს, ტრადიციულად *კოკას გადაუმუშავებელი პირველადი მასალის* ექსპორტით დაკმაყოფილდნენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კონტინენტის სხვა ახლომახლო სივრცეებში მდებარე ქვეყნებს *გასაღების ქსელები არ გააჩნდათ*, თან არ შესწევდათ უნარი თავიანთი მოგებები ეკონომიკის *მოგებთან სექტორებში* დაებანდებინათ. ასე რომ, იმ დროისათვის, როცა 1978-79 წლებში ჩრდილო ამერიკელმა სპეკულანტებმა თვითონ დაიწყეს ძალზე *კონკურენტუნარიანი კანაფის* წარმოება და ხელი შეუწყვეს კოლუმბიაში მისი წარმოების შემცირებას, ანტიოქიის ჯგუფებს უკვე შექმნილი ჰქონდათ *კოკაინის ალტერნატიული სპეკულაციის ინფრასტრუქტურა*, რაც მომავალში დიდი ქსელების საფუძველი გახდა.

აღმოსავლეთის კერა

ყველაზე უფრო ჰერმეტიული აღმოსავლეთის კერა კონტრაბანდული საქმიანობის ბაზაზე ჩამოყალიბდა კოლუმბიასა და ვენესუელაში (*ბუკარამანგა, კუკუტა, სან-ანტონიო*). მას *სანტანდერის* დეპარტამენტიდან საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები *მართავდნენ*. *მედელინის* კარტელის რეპრესიების შემდეგ დეპარტამენტში თავს აფარებდა ანტიოქიური წარმომადგენლის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა.

აღნიშნული კერა *ზურმუხტის კონტრაბანდითა და კომერციით* ჩამოყალიბდა. იგი წვრილ მიწათმოქმედთა ფენას ეყრდნობოდა, რომლებიც *გუნდინამარკას* და *ბოიაკას* მაღაროებში მუშებად მუშაობდნენ. როდრიგეს გაჩა – მექსიკელი, სოფლის *სამხედრო დიქტატორი* გახდა და ფანატიკურად იყო შეპყრობილი ახალი *მიწების შესყიდვის იდეით*. მისი ეს გატაცება საფუძველი გახდა კონფლიქტისა, რომელმაც იგი **FARC**-ის პარტიზანული რაზმების *კომუნისტებთან* და ყველა ფორმის *გლეხურ სინდიკალიზმთან* დააპირისპირა. გაჩა *რეაქციონერად* აღიარეს და მას 1989 წელს ქვეყანაში პრეზიდენტობის კანდიდატისა და პატრიოტული კავშირის ლიდერის – *ბერნარდო ზარამილოს* მკვლელობა მიაწერეს. 1989 წლის დეკემბერში, სიკვდილის წინ როდრიგეს გაჩა მესაქონლეობაში, აგრო - ინდუსტრიასა და სამშენებლო სფეროებში 77 საწარმოს ფლობდა.²⁰

უკანონო ნათესავი კოლუმბიაში



პალმს ცენტრი

აღნიშნული ცენტრი კალიში იმ კონტრაბანდული საქმიანობის ბაზაზე იყო დაფუძნებული, რომელიც სან-ბენავენტურას პორტსა და პანამას შორის მიმდინარეობდა. რეგიონი დიდი ხანია დაკავებული იყო *კოკაინის გარდასაქმნელად* საჭირო ქიმიური *პრეკურსორების იმპორტით* და იმ ნარკოტიკის ექსპორტით, რომელიც *ლეტიციიდან (აბაზონი)* შემოპქონდათ. მოგვიანებით სპეკულანტებმა *პუტუმაიოს* დეპარტამენტის გავლით *კოკაინის ბაზის* შემოტანა დაიწყეს. *კალისა* და *მედელინის* კარტელებს შორის სტრატეგიული განსხვავება *შეჯამებულია* კოლუმბიაში გავრცელებული ფორმულით – *მედელინის კარტელი აფუჭებს კალის კორუმპირებულ კარტელს*. კალის კარტელის ლიდერების წარმატება (*ჯილბერტო და მიგელ ორეხუელეები, ხოზე სანტა კრუზ ლონდონო*) მათი სოციალური წარმოშობიდან კი არ მოდიოდა, რომელიც ფუნდამენტურად არ განსხვავდებოდა *მედელინის* სპეკულანტების სოციალური წარმოშობისგან, არამედ ადგილობრივი ბურჟუაზიის წიაღში შეღწევისათვის მიზანმიმართული მოთმინებით მუშაობის ლოგიკური შედეგია.

როცა *მიგელის* ძმა *ჟილბერტო საერთაშორისო კავშირებით* იყო დაკავებული, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თვითონ საკუთარი ურთიერთობების სფეროს აფართოებდა, თანაც *კალეს დეპარტამენტისა* და თვით ქვეყნის მაღალ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სფეროებში იჭრებოდა. ელიტაში ტრიალმა მიგელს საშუალება მისცა 1990 წლის დასაწყისში 50 დეპუტატისა და სენატორის ჯგუფი გაეკონტროლებინა და რამდენიმე ცნობილი ჟურნალისტის ნდობაც დაემსახურებია. ჟურნალისტები შემდგომში მასზე მუშაობდნენ და დიდი პრესის ფურცლებზე მისი ინტერესების დამცველებად გამოდიოდნენ.

მიგელის რეპუტაციის მიუხედავად *კალის კარტელი მედელინზე* არანაკლებ უხეში იყო, როგორც ამას კონკურენტების – ურჩი გლეხების ან პროგრესული სასულიერო პირების თავიდან მოცილების ფაქტები მოწმობს. ორივე ძმა ჭკვიანურად და წინდახედულად მოქმედებდა და ყოველთვის ცდილობდა, სახელმწიფოს არ შეჯახებოდა.

მედელინის კარტელი

ამერიკის შეერთებული შტატების ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაციამ (**DEA**) დასაბამი მისცა გამოთქმას *მედელინის კარტელი*. პირველად იგი 1982 წლის 11 ივლისის კონფიდენციალურ მემორანდუმში გამოჩნდა, რომელიც *კლიველენდთან* ახლოს *მედელინის ვაჭართა კარტელის* 600 კგ კოკაინის დაპატიმრებას ეხებოდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ *ანტიოქიის დეპარტამენტი* და მისი დედაქალაქი *მედელინი* ერთხანს *კოლუმბიის სპეკულაციის* მთავარ *ცენტრებად იქცა*. მისი მცხოვრებლები – პაიზები, ფულის კულტზე და კარგ სოციალურ გარემოში

ცნობილ ესკობარს ფართო კლიენტურა გაუჩნდა, რომელთა უმრავლესობა მისგან დავალებული იყო. ყოველივე ამის წყალობით ესკობარს შეეძლო დედაქალაქში და მთელი ანტიოქიის დეპარტამენტში თავისუფლად ემოძრავა. მას ასევე გააჩნდა არაჩვეულებრივი უნარი შეეკრიბა გამბედავი და ინიციატივიანი საქმის წამომწყები ხალხი.

ესკობარი კონტაქტში შევიდა *ძმებ ოჩობთან*, რომლებიც *ინტელიგენციის* წრიდან იყვნენ გამოსული. მათი წინაპრები ცხენების ფერმებს ფლობდნენ. ეს ოჯახი უმთავრესად *კოკაინის* სპეკულაციას აკონტროლებდა *კარიბის ზღვის* სანაპიროზე, რომელიც მათ მამა-პაპათა მიწას წარმოადგენდა და წარმოშობით იქედან იყვნენ. კარლოს ლეჰდერი *მედელინის კარტელის* ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი იყო, რომელიც *კინდიოს* რეგიონსა და *არმენიას* დეპარტამენტში იყო მყარად დაფუძნებული. ეს ესკობარს საშუალებას აძლევდა ნარკოტიკები ჩრდილოეთ ამერიკაში გაეტანა. *ლეჰდერმა* თავისი პატრონის ნორმან კეის დახმარებით ფლორიდიდან 200 კმ-ის დაშორებით ბაჰამის ერთ-ერთი კუნძული იყიდა. იქ არსებულმა საფრენმა ბილიკმა კი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის განკუთვნილი კოკაინის პარტიების მიღების საშუალება მისცა.

როდრიგეს გაჩა – წარმოშობით *გუნდინამარკადან* იყო და შუა *მაგდალენას* რეგიონში დასახლდა. *ესკობარს* იგი თვალში მაშინ მოხვდა, როდესაც ზღვაში *ფლორიდის* სივრცეში თვითმფრინავებიდან ჩაყრილი კოკაინისთი ჩანთების ამოსაღებად *მექსიკელი* უშიშრად შევიდა. ესკობარმა იგი ცოტა ხანში უბრალო შემსრულებლიდან ჯგუფის სამხედრო შეფად აქცია.

ფაბიო კასტანო – კარტელის ერთადერთი უხუცესი, ჯერ კიდევ ენერგიულად მოღვაწეობდა და 1986 წელს *კორდობას* რეგიონში *მიწის ღიდი მესაკუთრე* გახდა, იმავდროულად სამხედრო დაჯგუფებებსაც ხელმძღვანელობდა.

ეს ესკობარის მეგობარი *ლეიტენანტი სპეკულანტები* ყოველთვის *ერთ მუშტად შეკრული* და *ფანატიკურად ერთგულები* იყვნენ. მათთვის *ესკობარის* ლიდერობა არასოდეს ყოფილა სადავო საკითხი. გარდა იმისა, რომ თითოეული მათგანი ორგანიზაციის შიგნით ავტონომიურად, პაბლო ესკობარის ხელმძღვანელობით განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებდა, პარალელურად ისინი თავიანთ საკუთარ სტრუქტურებსაც აძლიერებდნენ საქსპორტო პროცესების მთელ ანსამბლში ჩართვის მიზნით.²¹

კარტელის ცნება გულისხმობს სტრუქტურულ პირამიდულ ორგანიზაციას *იტალიური მაფიის მსგავსად* ან მოღვაწეობის მონოპოლიას *ფასების პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში*. კარტელს გააჩნია ზოგიერთი თავისებურება; კერძოდ, იგი ღიაა ყველასთვის, ვისაც ფულის დაბანდება სურს ან უნარი აქვს დაეხმაროს საქმის ხეირიანად წარმართვაში. ასეთებად მოიაზრება: *ბანკირები, მიწათმფლობელები, სამხედროები, პოლიციელები, პოლიტიკოსები*. ორგანიზაციის საქმიანობა შეიძლება *ურთიერთდახმარების სისტემას* შევადაროთ, რომელსაც

დამოუკიდებელი უჯრედები ქმნიან. როცა ცალკეული უჯრედის ხელმძღვანელები ერთი რომელიმე ორგანიზაციის ბირთვში ერთიანდებოდნენ (ჩვენს შემთხვევაში პაბლო ესკობარი და მისი მოკავშირეები), მათ ძალა შესწევდათ ხელში აეღოთ კოკაინის მსოფლიო ბაზრის გარკვეული ნაწილის კონტროლი. ესკობარმა ისინი სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყო და უსაფრთხოების გარანტია მისცა – *რისკის ფაქტორი* ყოველი გზავნილისათვის დაყვანილი იყო თუ *ნულამდე* არა, *მინიმუმამდე* მინც. წლების განმავლობაში ესკობარი დახელოვნებული იყო ექსპედიციების დაზღვევაში და მიღებულ გამოცდილებას ნარკოტიკების ტრანსპორტირებისას კარგად იყენებდა.

მედელინის *ნარკოსების* ინვესტიციების ერთ-ერთი რჩეული სფერო იყო მიწები მესაქონლეობისათვის. მათი დევიზი ასეთი იყო – გახდი მესაქონლე, აი, უპირველესი სოციალური ზესელის ნიშანი. მათ მრავალ რეგიონში შეისყიდეს გზებითა თუ მდინარეებით ძნელად მისადგომი მამულები, ხოლო თუ მხოლოდ თვითმფრინავით იყო მისვლა შესაძლებელი, ეს უფრო ხელსაყრელი გახლდათ, რადგან ასეთი ტერიტორიები იდეალური თავშესაფარი იყო კოკაინის წარმოების ოპერაციებისათვის.

1994 წელს, *კოლუმბიელ ნარკოსებს* სავარაუდოდ 3 მლნ ჰექტარი მიწა ეკუთვნოდათ. მედელინის კარტელისათვის მიწის *საკუთრებაში* შესყიდვა ტერიტორიის გაკონტროლების ტოლფასი სტრატეგია იყო, რათა გაშლილიყო საკუთრების *კონტინუმი* – *ორენკოს* ტყეებიდან და *ამაზონიდან* მოყოლებული თვითმფრინავის საფრენ ბილიკებამდე, რაც ნარკოსებს კორდობას დეპარტამენტის სანაპიროდან ნარკოტიკების ექსპორტირების საუკეთესო საშუალებას მისცემდა.

ეს დერეფანი ორ სივრცეს აერთიანებდა – *სინუს ხეობას* და *სან ჯორჯს* თავისი შიდა რეგიონებით. *ლაბორატორიებიც აქვე* იყო განლაგებული, რომელიც ქვემო *კაუკას*, *შუა მაგდალენას*, *გუნდინამარკას ჩრდილოეთისა* და *ბოიაკას დასავლეთის* ტერიტორიებს მოიცავდა. მათი კონტროლის სტრატეგია კი დამყარებული იყო *ნარკოსებისაგან* შეიარაღებულ პოლიციელთა უკიდურესად სასტიკ მოქმედებაზე გლეხთა ორგანიზაციებისა და პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ, განსაკუთრებით *შუა მაგდალენაში*, *ურაბასა* და *კორდობაში* – მესაქონლეობის ამ ტრადიციულ რეგიონებში.

კალის კარტელი

ამერიკის შეერთებული შტატების, ლათინური ამერიკისა და ევროპის ანტინარკოტიკული სამსახურებისათვის დიდი ხნის განმავლობაში თითქოს *შეუფასებელიც* კი რჩებოდა *კალის კარტელის* მნიშვნელობა; ეს საბოლოოდ 90-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა, იმ დრომდე, ვიდრე მედელინის კარტელი არ ჩაკვდა. ეს გარეგნული სიმშვიდე *კალის კარტელის* მიმართ ფაქტიურად აიხსნება იმ როლით, რომელიც მან თავისი მეტოქის

ამოძირკვაში შეასრულა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და უფრო მკაცრ გაფრთხილებასაც წარმოადგენდა. 70-იანი წლების შუაში კალის კარტელი უკვე კარგად იყო ფეხმოკიდებული ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1975 წლიდან იგი უკვე კოკაინის გავრცელებას აკონტროლებდა ჩიკაგოში, პიუსტონში, ლას ვეგასში, ლოს ანჯელესში, მაიაშიში, ნიუ-იორკსა და სან ფრანცისკოში. 1978 წლის დასაწყისიდან DEA-მ ნიუ-იორკში დაიწყო მუშაობა კალიზე და ოქტომბერში უკვე სააშკარაოზე გამოიტანა ორგანიზაციის სრული ქსელი: ბინა, იარაღი, ნარკოტიკების საწყობები, ნაღდი ფული, ანგარიშები და დავთრები, საიდანაც თვითონ მოგება – დაახლოებით 2,5 მლნ დოლარი გამოავლინა. 80-იანი წლების დასაწყისიდან კალის კარტელის მთავარი ბაზა კალიში დარჩა. მან ფილიალები გაიკეთა მეხიკოში, ლიმასა და პანამაში. 1984 წლიდან კი კვლავ განაგრძო ნიუ-იორკში crack-ის ბაზრის ექსპლუატაცია.²²


პარალელურად კალიმ კოკაინის ექსპორტისათვის პირველი კონტაქტები დაამყარა ევროპის ბაზართან, რომლის მთავარი მიმწოდებელიც ძალიან მოკლე ხანში თვითონვე გახდა. მაგრამ აღმასვლას, როგორც წესი, დაღმასვლა მოსდევს და ლიდერი – ჯილბერტო როდრიგეს ორეზუელა 1984 წელს ესპანეთში დააპატიმრეს. დიდი გაწამაწიის შემდეგ მან იმდენს მიაღწია, რომ ბოგოტას პროცესი კალიში გადაატანინა, სადაც იგი საერთოდ აღარ შედგა. ესპანური ბაზრის შემდეგ ევროპული ბაზრის დაპყრობამ, კალის ორგანიზაციას სრულებით არ შეუშალა ხელი ამერიკულ ბაზარზე მყარად დაფუძნებაში. ამას მოწმობს 1987 წლის ივლისში ჩიკაგოში 2,5 ტ კოკაინის დაკაება, 1989 წლის დასასრულს კი ლოს ანჯელესიდან ორმოციოდე კილომეტრით დაშორებულ სილმარის ინდუსტრიულ ზონაში 20 ტ კოკაინისა, რაც მომდევნო წლებში დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიო რეკორდად ითვლებოდა.

კალის კარტელი შეიძლება შეფასდეს როგორც მასშტაბური სიმბიოზი, რომელიც ასამდე ჯგუფს აკავშირებდა. ისინი ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად იყვნენ ურთიერთობაში, მაგრამ მუდმივად აღიარებდნენ ყველაზე ვაკუენიანის ლიდერობას. ასეთები იყვნენ ძმები ორეზუელეები და ზოზე სანტა კრუზ ლონდონო. ჯილბერტო როდრიგეს ორეზუელა მეტსახელად – მოჭადრაკე, რომელიც მას ფრთხილად დაგეგმილი ბიზნესსტრატეგიისა და ექსტრადიციისაგან თავის დაძვრენის შესანიშნავი უნარისთვის შეარქვეს. მისი კარიერა 1970 წლის დასაწყისში ერთ-ერთ ბანდაში დაიწყო, რომელსაც ლოს შემას უწოდებდნენ. ბანდაში მასთან ერთად შევიდა მისი ძმა მიველ ანჯელო და ზოზე სანტა კრუზ ლონდონო – იგივე სტუდენტები. პირველი საქმე მანქანების ქურდობა იყო, შემდეგ კი ქინდებიანგ ში (ადამიანების მოტაცებაში) დაოსტატდნენ. ამ საქმიანობამ მათ დიდი მოგება მოუტანა. ბანდამ 1970 წელს მოტაცებული ორი შვეიცარიელი მოქალაქის – დიპლომატ ჰერმან ბუფისა და სტუდენტ ვერნერ სტრისლის გამოსასყიდი თანხის მეშვეობით დედაქალაქში კოკაინის ქსელი დააფუძნეს.

ორეხუელების მიმართ სამართალდამცემა ინტერესი იზრდებოდა. შედეგამაც არ დაგვიანა. ჯილბერტო 1975 წელს პერუში დააპატიმრეს, როცა იგი თვითმფრინავს მართავდა და პოლიციამ თვითმფრინავში 180 კგ კოკაინი ამოულო. ჯილბერტომ გაქცევა შეძლო და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ქსელი გახსნა, რომელსაც 1975 წლიდან თვითონ *ლონდონო* აკონტროლებდა. 1980 წელს ზოზე სანტა კრუზი სასწრაფოდ კოლუმბიაში დააბრუნეს. თვითონ *ჯილბერტო ნიუ-იორკში* დაფუძნდა. იგი სერიოზულად მუშაობდა ფულის *გათეთრების* ოპერაციებში და ამ სისტემის განვითარებაზე დაოსტატდა. მან *კოლუმბიის კარტელის* თავკაცობა მიგელ ანჯელოს დაავალა, რომლის მოგებები უძრავ ქონებასა და კომერციაში (*ფარმაცევტული მედიცინა, სუპერბაზრები, სასტუმროები, ბანკების შესყიდვა, მშენებლობა, საკომუნიკაციო საშუალებები და კერძო უნივერსიტეტებიც კი*) იყო ჩადებული. საზოგადოებაში ეკონომიკურმა წონამ *ნარკობარონებს* პოლიტიკური გავლენის მოპოვების სურვილიც აღუძრა – როგორც რეგიონულ ასევე ფედერალურ სამთავრობო დონეზე.

ამგვარი სტრატეგიითა და კანონიერი ბიზნესის *სადისტრიბუციო ქსელების* მოხერხებული გამოყენებით კალის კარტელმა ცენტრები დააფუძნა ამერიკის რამდენიმე დიდ ქალაქში (*სან-ფრანცისკო, ლოს-ანჯელესი, ფენიქსი, სან-ანტონიო, ჰიუსტონი, ნიუ-ორლეანი, მაიამი, ფილადელფია, ჩიკაგო და ნიუ-იორკი*), რის შედეგადაც კოკაინის მსოფლიო ბაზრის 25 პროცენტთან მისი წილი, რომელსაც იგი 1989 წელს ფლობდა, 1993 წელს 85 პროცენტამდე ავიდა.²¹

«კალის კარტელის ქსელები»



§6. კარტელთა ომი

80-იანი წლების დასაწყისში *მედელინისა და კალის კარტელებს* შორის ახლო საქმიანი ურთიერთობები დამყარდა. ნარკოტიკებით მოვაჭრე ორგანიზაციები შეთანხმებულად ეწეოდნენ *ანტიბაზოგადოებრივსა* და *კანონსაწინააღმდეგო დანაშაულებრივ* ქმედებებს. ერთ-ერთი ასეთი *შეთანხმებული* ოპერაცია დაიგეგმა მოწინავე ნარკობიზნესმენის ქალიშვილის მატა ოქოას *ძველად* აყვანის შემდეგ. ამ პროცესის დროს ნარკომოვაჭრეთა მოქმედების გზები გადაიკვეთა და ურთიერთგამორკვევის მიზნით მათი რამდენიმე შეხვედრა შედგა. შეხვედრაზე *ნარკოსები* შეთანხმდნენ შეექმნათ გასამხედროებული ჯარი, რომელიც გამტაცებელთა წინააღმდეგ იმოქმედებდა. ზემოაღნიშნულმა თვალსაჩინო გახდა ნარკოტიკების ტრანსპორტირებაში *ერთიანი საწარმოების* შექმნისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში *კოკაინის* უზარმაზარი ტვირთების საერთო დაზღვევის საქმეში *მჭიდრო თანამშრომლობის* აუცილებლობა. ეს იყო სწრაფი საბაზრო ექსპანსიის პერიოდი, რომლის დროსაც შემოსავალი მკვეთრად იზრდებოდა (*კალისა და მედელინის კარტელებს შორის საუკეთესო ურთიერთობის ფაზა*). ეს ორი კარტელი იყოფდა ერთსა და იმავე *აეროდრომს, ნედლეულის გადაშუშავების სახსრებს* და ამერიკის შეერთებულ შტატებში *საბაზრო წილის თაობაზე შეთანხმებასაც კი მიაღწიეს*. ეს ყველაფერი დროებითი გამოდგა.

80-იანი წლების დასასრულისათვის *კოლეგიალური* და *მორჩილებითი* ურთიერთობა თითქმის ფაქტობრივად სრულიად მოიშალა და *მხოლოდ თანამშრომლობად* დარჩა. ეს ორი კარტელი ერთმანეთს ისე გადაეკიდა, რომ ერთმანეთის მიმართ კონფრონტაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საქმიანი თანამშრომლობის მოშლამ *ადგილობრივ მეტოქეებს შორისაც* გაიდგა ფესვები, რაც კოლუმბიაში ნარკოტიკებით ვაჭრობის მართვას ნაწილობრივ აძნელებდა. რეგიონულ დამაბულობას *სოციალური ფენის სხვადასხვაობაც* უწყობდა ხელს. *კალის* კარტელის წევრები უმეტესად ბიზნესმენები იყვნენ, რომლებიც მოგვიანებით ნარკობიზნესში ჩაებნენ, მაგრამ პარალელურად *კანონიერ* საქმიანობასაც განაგრძობდნენ; *მედელინის* ნარკოლიდერები კი *ბოვანო* ბოროტმოქმედებისაგან შემდგარი *ხროვა* იყო, რომლებიც მიყრუებული ადგილებიდან იყვნენ ჩამოსული და მოგვიანებით გახდნენ *გაელენიანი ვაჭრები*. ისინი საზოგადოებისათვის უფრო თვალში საცემი გახდნენ, რადგან *სისასტიკეს* უფრო ხშირად ავლენდნენ, ვიდრე მათი *კალელი კოლეგები*. სისასტიკისადმი განსხვავებული დამოკიდებულება საინვესტიციო სტრატეგიაზეც აისახებოდა.

კალის კარტელი ფულს *კანონიერ* ბიზნესში აბანდებდა, *მედელინი* კი *მიწებში*, რომლებსაც მესაქონლეობისათვის იყენებდნენ, ზოლო ამ სამფლობელოების დასაცავად გასამხედროებულ ჯგუფებს აყალიბებდნენ. *მედელინის* კარტელისათვის მთავრობის მიმართ კონფრონტაციული სტრატეგია

ბუნებრივი იყო, მაშინ როცა კალის კარტელმა თანამშრომლობისა და კეთილგანწყობის სტრატეგია არჩია. ამდენად, კალის კარტელს არ სურდა მედელინთან ალიანსი კოლუმბიის სახელმწიფოსთან პირისპირ ბრძოლაში. აღნიშნულმა ამ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა და მათ შორის განხეთქილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა.

ორ კარტელს შორის სტრუქტურული და სტრატეგიული უთანხმოება პირადად მეტოქეობამაც გააძლიერა. ამასობაში ერთ-ერთ ნარკოპოპერაციაში პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლეს მედელინის ერთ-ერთი ლიდერი როდრიგეს გაჩა. მთავრობის ზეწოლას პაბლო ესკობარის ულტიმატუმი მოჰყვა კალის ლიდერების მიმართ. ესკობარს მიაჩნდა, რომ კალის კარტელმა გაამჟღავნა ინფორმაცია, რასაც, თავის მხრივ, როდრიგეს გაჩას მკვლელობა მოჰყვა.²⁴

კალისა და მედელინის ორგანიზაციებს შორის ომის მიზეზად ხშირად ასახელებენ ამ უკანასკნელის სურვილს – ხელში ჩაეგდო ნიუ-იორკის ბაზარი იმ ერთ მომენტში, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკებზე ფასების დაკლებამ კონკურენცია გაამწვავა. დაპირისპირების ჭეშმარიტი ღრმა მიზეზი კი სხვა იყო. 1984 წელს ორეხუელებმა უარი თქვეს შინაგან საქმეთა მინისტრის – ლარა ბონილას მკვლელობაში მონაწილეობაზე, რომელიც პაბლო ესკობარის მიერ იყო დაფინანსებული. 1987 წელს ორ ჯგუფს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. ჯილბერტო წინ აღუდგა ესკობარის გადაწყვეტილებას, ოთხი მნიშვნელოვანი ფიგურის მოტაცების თაობაზე. იგი ურთიერთკავშირში იყო ნარკოსპეკულანტების ექსტრადიციის შეთანხმების გაუქმებასთან, რომელიც კოლუმბიის მიერ უკვე ხელმოწერილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მათ მიაჩნდათ, რომ ეს აკრძალულ საქმეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა.

1988 წლის აგვისტოში დაწყებულმა კარტელების ომმა სულ რამდენიმე კვირაში 78ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. კალის კარტელის თორმეტი აფთიაქი დაინგრა; ხოლო იმ შენობის წინ, სადაც ესკობარის ოჯახი ბინადრობდა 700 კილო დინამიტი ააფეთქეს. ორ ბანდას შორის ანგარიშსწორება ნიუ-იორკის კვარტლებამდე გავრცელდა. ამ ომიანობის წლებში ორმოცდაათამდე კოლუმბიელი დაიღუპა, ხოლო მედელინის კარტელის წილი ევროპის ბაზარზე 75-დან 40 პროცენტზე ჩამოვიდა.

ნარკოტიკებთან ბრძოლის კოლუმბიური სამსახურები როგორცაა **DAS**, რომელსაც გენერალი მაზა მარკესი ხელმძღვანელობდა და ამერიკული **DEA** ცდილობდნენ კალის კარტელი მედელინის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. 1989 წლის დეკემბერში სწორედ კალის ერთ-ერთმა წევრმა გასცა როდრიგეს გაჩა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოვლინებულ სპეციალური ძალების კომანდოსთან, რაზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწვავედ რეაგირებდა პაბლო ესკობარი. ძმები ორეხუელები ასევე ფიგურირებენ **Los Pepes**-ის (პაბლო

ესკობარის მიერ დევნილება) დამფუძნებელთა შორის. ეს იყო ნამდვილი სიკვდილის რაზმი, რომელიც ცოდვილია ნათლიამამის ათობით აზრობის მკვლევლობაში. როდრიგეს ორეხუელას რაზმის დაფინანსება თვეში 2,5 მლნ დოლარი უჯდებოდა. ხელისუფლებისა და მედელინის კარტელის მოწინააღმდეგეთა აღიანსს საფუძვლად მწვავე პოლიტიკური კრიზისი ედო, რაც 1994 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულის – ერნესტო სამპერისათვის ბრალდებების წაყენებაში გამოიხატა. შესაძლოა, ეს უკანასკნელი მართლაც შეგნებულად არ იღებდა ჭუჭყიან ფულს (როგორც თვითონ აცხადებდა). სამაგიეროდ აღმოჩნდა, რომ მისი ყველაზე უახლოესი თანამზრახველები რეგულარულად ხვდებოდნენ ძმები ორეხუელების ემისრებს.

ამას ისიც ადასტურებს, რომ 1995 წელს კალის კარტელის შეფების დაპატიმრებამ, რაც ძმებ ორეხუელებსაც შეეხო, მაინცდამაინც დამანგრეველი გავლენა ვერ მოახდინა კალის კარტელის საქმიანობაზე. ასეთი რეპრესიები ნარკოვაჭრებთან ურთიერთობაში ეჭვმიტანილი მთავრობის მიერ მსოფლიო საზოგადოებისათვის ერთგულების დამტკიცების მცდელობას უფრო წააგავდა.²⁵

§7. მავზია სახელმწიფოს წინააღმდეგ

1983 წლიდან პერიონის მსოფლიო ბაზარზე სიცილიური მაფიის გაბატონებულ პოზიციას საფრთხე დაემუქრა. გავლენის თანდათანობითი დაკარგვა იტალიურ-ამერიკული მაფიის უკანდახვევის სტრატეგიითა და გამკაცრებული რეპრესიული სისტემით აიხსნება; გარდა ამისა, იმ ორგანიზაციების კონკურენციით, რომელთაც არა მხოლოდ საბითუმო მომარაგება, არამედ ნარკოტიკების საცალო ვაერცელებაც შეეძლოთ (ჩინური ტრიადები, ამერიკელი განვსტერები, ლათინო-ამერიკული კარტელები).

ევროპის ბაზარზე იმპორტიორთა სიჭრელემ (ნიდერლანდელი მებითუმეები, თურქული და ბალკანური ჯგუფები, აზიური ქსელები) მეტიისმეტად შეზღუდა იტალიელთა აქტივობა. თუმცა კოზა ნოსტრას კოკაინის ბუმთან ერთად მეორე სუნთქვა მაინც გაეხსნა.

პალერმოსა და მედელინს შორის საქმე სერიოზულ მოლაპარაკებამდე არც მისულა. 80-იანი წლების შუა ხანებში კოლუმბიელები და იტალიელები უბრალოდ შეთანხმდნენ ევროპაში კოკაინის მასიურ შემოტანაზე. მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში ათეული წლების მანძილზე დაკავებული კოკაინის უდიდესი რაოდენობა ამ ბიზნესში იტალიური მაფიის მნიშვნელოვან წილზე მიანიშნებდა, იგი მაინც შორს იდგა მსოფლიო ნარკო-ბიზნესის ამ სფეროში მონოპოლიისაკენ.

ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ეკონომიკურმა სიძლიერემ კოზა ნოსტრას ორმაგი ბუნება დაადასტურა. სახელმწიფოსათვის იგი საშიშიც

იყო და იმავდროულად ობიექტური პარტნიორიც. როგორც სოციოლოგი ჰუმბერტო სანტინო აღნიშნავს, დღესაც ასევეა „თავისი ეკონომიკური როლის გამო, რომელიც სახაზინო შემოსავლების ხარჯზე ვაიზარდა, ამავე დროს, მისი პოლიტიკური როლის გამოც, რომელსაც კენჭისყრის კონტროლისა და მნიშვნელოვან ცენტრებთან კავშირის მეშვეობით მიაღწიეს, მაფია რჩება სახელმწიფოს შიგნით და მის გვერდზე“.²⁶ ეს საიდუმლო კავშირი მაფიასა და სახელმწიფოს შორის ცალსახად გამოიკვეთა მაფიოზური ორგანიზაციის მიერ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ძველი პრეზიდენტის ჯულიო ანდრეოტის დევნასა და შევიწროებაში.

ნარკოვაჭრობით მიღებულმა უპრეცედენტო ფინანსურმა სიძლიერემ მაფიოზებს ხელისუფლების მიმართ *ქედმაღლური* დამოკიდებულებისაკენ უბიძგა, რაც დროთა განმავლობაში სახელმწიფოსთვის აუტანელი გახდა. ჯერ კიდევ გაეტანო ბადალამენტიმ, ჰერონით გამდიდრებულმა პირველმა პალერმოელმა მილიარდერმა თავისი ძლიერება სამოქალაქო ხელისუფლებასთან ბრძოლის სტრატეგიის ინიცირებით დააფიქსირა. კერძოდ, 1971 წელს, *პალერმოს* რესპუბლიკის პროკურორის – პიერო სკალიონეს მკვლელობით. 70-იანი წლების ბოლოს *კორლეონეებმა* მის მაგალითს მიბაძეს. 1977 წლის აგვისტოში მათს ტერიტორიაზე სიკვდილით დასაჯეს კარაბინერთა პოლკოვნიკი რუსო, რამაც დასაბამი მისცა პოლიტიკოსთა და მაღალჩინოსანთა მკვლელობების *მომდევნო სერიას*. *სენსაციურ ქმედებათა მიზანი მაფიის ძლიერების დამტკიცება იყო ყოველთვის და ყველგან, სადაც მას ეჭვით უყურებდნენ*. სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითია მკვლელობათა მთელი ციკლი: 1982 წელი – მოკლეს გენერალი დალა კიეზა და დეპუტატი ლა ტორე. ლა ტორე ავტორი იყო იმ კანონისა, რომელიც მაფიოზურ ორგანიზაციასთან კავშირის *მცირე ეჭვის* შემთხვევაშიც კი ნებას რთავდა ქონების სეკვესტრს (*მასზე ყადაღის დადებას*). 1985 წელი – მობილური ბრიგადის შეფის მოადგილის ანტონიო კაზარასის მკვლელობა, 1992 წელი – დემოკრატიის რიგებში მაფიის ნდობით აღჭურვილი პირის – სალმო ლემოს მკვლელობა, რომელმაც 1986-87 წლებში პალერმოს დიდი პროცესის მსვლელობაში ვერ მოახერხა 474 მაფიოზისათვის გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი მოყვა ამ საქმის გამოძიებელს ჯოვანი ფალკონეს მკვლელობას, რომელიც 1992 წლის 23 მაისს თავის მეუღლესთან ფრანჩესკასთან ერთად პალერმოს აეროდრომიდან ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე ააფეთქეს, რომელსაც ორგანიზება ტოტო რიინამ გაუკეთა, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ მისი შემცველი პაოლო ბორსელინო იგივე გზას გაუყენეს. ყოველივე ამას თან სდევდა აფეთქებათა მთელი სერია *რომში, ფლორენციასა და მილანში*. 1993 წელს მილანში 10 ადამიანი მოკლეს, რომელსაც ორგანიზაციის *მონანიებული* წევრები ლეოლუკა ბაგარელას მიაწერენ.

მიუხედავად იმისა, რომ რომმა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში

ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირები დამყარდა. ყოველი ახალი ხელმძღვანელობის მოსვლისას კარტელები რომლებიც წინა ადმინისტრაციასთან თბილ ურთიერთობასა და მჭიდრო კავშირში იყვნენ, ახლებისაგან დევნას განიცდიდნენ. ეს იყო ერთადერთი გზა, რითაც ახლადარჩეული ხელისუფლება დააკმაყოფილებდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნებს. თუმცა, ამავე დროს ისინი მოკავშირეებს სხვა დაჯგუფებებში ეძებდნენ. ამის ბოლო მაგალითი იყო ექსპრეზიდენტ სალინარის წინააღმდეგ წარმართული ხანგრძლივი კამპანია და ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ძმის – რაულის დაპატიმრება.²⁸

ასევე დაუნდობლად გაილაშქრა სახელმწიფოს წინააღმდეგ *პაბლო ესკობარმა* თავისი მედელინის კარტელით.

1984 წლიდან მან სახელმწიფოს წარმომადგენელთა წინააღმდეგ ომი წამოიწყო, რამაც მის საქმეებს მხოლოდ *ზიანი* მოუტანა. *დონ პაბლოს* ასეთი განრისხების მიზეზი ადგილობრივ ბურჟუაზიასთან უაღრესად გამწვავებული ურთიერთობა იყო. ბურჟუაზიის წარმომადგენლები არ თაკილობდნენ *ესკობარის* ხალხთან ერთად საქმეების წარმოებას. მათთვის ეს *ბინძური ბიზნესი დიდი შემოსავლის წყარო* იყო, მაგრამ კარტელის ლიდერებს თავიანთ *ელიტარულ კლუბებში მიღებაზე* უარს ეუბნებოდნენ. მათი *შვილებისთვისაც* კვლავ დაგმანული იყო ელიტარულ სასწავლო დაწესებულებათა კარი. არ სურდათ, *პარლამენტში ამ ხალხის გვერდით ჯდომა*. ესკობარი კი მათთან გათანაბრებას და ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა, რასაც ვერანაირი



სარეალიზაციოდ გამზადებული 1 კილოგრამიანი კოკაინის რაფინადი

გზებით ვერ მიადგინა. ამიტომაც *ბოლომდე სავსე ესკობარმა* თავისი ორგანიზაციისთვის დამლუპველი ომი წამოიწყო. 1984 წლის 30 აპრილს მოკლეს *კოლუმბიის იუსტიციის მინისტრი როდრიგო ლარა ბონილა*, რის შემდეგაც სახელმწიფოს მკაცრ სასჯელს გამოქცეული *მედელინის კარტელის* წევრები *ჰანამაში* გაიხიზნენ, სადაც მათ თავშესაფარი *ჰანამის* პრეზიდენტმა და *მსოფლიო მასშტაბის ნარკობარონმა* მანუელ ანტონიო ნორიეგამ მისცა.²⁹

მოკლე ხანში როდრიგეს გაჩა ბოროტას გაზეთის რედაქტორის – *ვილერმო კანო ისაზას* მკვლელობას ახორციელებს, რომელმაც კოლუმბიის სახელმწიფოზე კარტელის მავნე ზეგავლენას *სტატიების სერიאלები* მიუძღვნა. მანქანა გაზეთის რედაქციის წინ დაცხრილეს. *როდრიგოს გაჩამ* მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, *მემარცხენე პოლიტიკოსის ადვოკატ* ჯეიმს პარდო ლილის მკვლელობაშიც. კოლუმბიის იუსტიციის მინისტრის *ენრიკო ლო მარტას* განცხადებით, გაჩამ მკვლელობის შესრულებაში 30 მლნ პესო გადაიხადა. მკვლელობის სერიალები გაგრძელდა – 1989 წელს მოკლეს *პრეზიდენტობის კანდიდატი* ლუის კარლოს ვალანი, რომელსაც *ჰაბლო ესკობარმა* ლიბერალური პარტიიდან მათი *გაძევება* ვერ აპატია.³⁰

ეს ამბოხი მკვლელობათა დიდ სერიალს მოიცავს. პირადი ომის წარმოებისათვის *ესკობარმა თავი დაანება კოკაინით* ვაჭრობას და მოკავშირეთა რეკეტით დაკმაყოფილდა. სწორედ მათი მზარდი უკმაყოფილების გამო *მედელინის კარტელი მარტივ მამრავლებად დაიშალა* და მისი ადგილი წვრილ-წვრილმა ჯგუფებმა დაიკავა, რომელთაგან ლიდერობაზე პრეტენზია *კალის კარტელს* დარჩა, ხოლო თვით *ესკობარმა*, მსგავსად თავისი თანამებრძოლებისა 1993 წლის 2 დეკემბერს სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. პოლიციელებმა *ესკობარს* ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როდესაც პირად მცველებთან ერთად შენობის სახურავზე სამალავში არბოდა.

44 წლის ნარკობარონის სიკვდილი თექვსმეტთვიანი ძებნის კულმინაციური წერტილი იყო, რომელიც მაშინ დაიწყო, როდესაც ესკობარი კოლუმბიის ხელისუფლების მიერ მისი მშობლიური ქალაქის სიახლოვეს, სპეციალურად მისთვის აშენებული ფუფუნებით სავსე ციხიდან გაიქცა. ძიებაში სპეციალურად ორგანიზებული 3 ათასკაციანი რაზმი მონაწილეობდა.

ჰაბლო ესკობარი იმიტომ მოკლეს, რომ პოლიციას გაურბოდა და არავის აძლევდა *დაკავების* უფლებას. „*დაე, ეს იყოს მწარე მაგალითი დამნაშავეთათვის და იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან მათაც დაევიჭერთ*“, – განაცხადა მეორე დღეს ტელევიზიით *კოლუმბიის გენერალურმა პროკურორმა* გუსტავო დე გრიფმა.³¹

ასე დასრულდა ნარკოტიკანის მშფოთვარე ცხოვრება. როგორც მაშინ ამბობდნენ, ეს იყო „*კოლუმბიური კარტელის დასასრულის დასაწყისი*“, რაც სამწუხაროდ, პრაქტიკამ არ დაადასტურა.

თავი III

ჩინური ტრიალების ისტორია

ტრიადა – სიმბოლო სამმაგი
კავშირისა – დედამიწას,
ცასა და ადამიანს შორის.

ჩინური ტრიალების ისტორიიდან


§1. ტრიალების იმპერია

საერთაშორისო დანაშაულის მრავალფეროვან სისტემაში განსაკუთრებული ადგილი *სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის* დანაშაულებრივ დაჯგუფებებს უკავიათ, რომელთაც *სხვებისგან განსხვავებული თვისებები და ტრადიციები აქვთ*. განვიხილოთ, ჩვენის აზრით ყველაზე საინტერესო – ჩინური ტრიალები.

ტრიალები ჩინურ საიდუმლო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელსაც ცნობილი *ჩინელი ისტორიკოსი* კო-ლინ-შინი მიიჩნევს როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს და მეტად *სახიფათო კრიმინალურ სტრუქტურას*. იგი სიმბოლურად *სამკუთხედის იდენტიფიცირებას* ახდენს და არის სიმბოლო *სამმაგი კავშირისა* – დედამიწას, ცასა და ადამიანს შორის.

ტრიალების ისტორიული ფესვები ძალზე ძველია და *მანჯუ შინგის დინასტიამდე* აღწევს. 1644 - 1911 წლებში ტრიალებმა წარმატებით მოიკიდეს ფეხი თანამედროვე ბიზნესის პირობებშიც. ასეთი ორგანიზაციები მოსახლეობას *ჩინო-ნიკთა მხრივ გამოძალგის პროცესებისგან* იცავდა. შემდგომში მათ ნელ-ნელა გაუნეღდათ პატრიოტიზმი, თუმცა *ტრადიციული რიტუალები* შეინარჩუნეს, რაც თავდაცვის საუკეთესო საშუალებად დარჩა. სარიტუალო წესები, აგრეთვე განამტკიცებდა ტრიალების ერთიანობას და ხელს უწყობდა მათ გამრავლებას. რთული კოდური სისტემა, რომელიც მრავალფეროვანი ადგილობრივი დიალექტებით იყო გამოხატული და ტრიალების ორგანიზაციული სტრუქტურის ერთ - ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენდა, დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა სამართალდამცავი ორგანოების არაერთგზის მცდელობას ტრიალების იდენტიფიცირებისა და გამოვლენის სფეროში და დაეხმარა მას ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებში ადაპტაციისათვის, რომელმაც მსოფლიოს სამართალდამცავ სისტემებს უდიდესი პრობლემები შეუქმნა მომავალში.³²

ტრიალები ტიპური დიაგრამა



ორგანიზაციის შიგნით დაწესებული ფუნქციები განსაზღვრულია წოდებით—ჩინით და ასოცირებულია შიფრთან, რომელიც ობიექტს მუდმივად თან ახლავს, თუმცა სიგნატურა ბოლომდე მუდმივი არ არის.

ამგვარად, წინასწარ განსაზღვრული ინტერპრეტაციით, შიფრი 489, რომელიც დრაკონის თავს ანუ შეფს გამოხატავს, შეესაბამება, რიცხვს — $4+8+9=21$ კი წარმოადგენს ორი რიცხვის ნამრავლს $3 \times 7=21$ სადაც 3 პარმონიული (მშვიდი) ცხოვრების სიმბოლოა, ხოლო 7 წარმატების, ბედისა და ბედნიერების.

§2. ფუჯიანი, ტაივანი, გუანგდონგი – ტრიალული სამკუთხედი

ჩინეთის ზღვისპირა რეგიონები, სადაც ტრიალებმა *ფეხი მოიკიდეს*, საგარეო კომერციისათვის ყოველთვის ღია იყო; XIV საუკუნის ბოლოსთვის, როცა ჩინეთის *პირველმა იმპერატორმა* მინგმა უცხოელებთან კომერცია აკრძალა, ფუჯიანის ვაჭრებმა მასობრივად მიჰყვეს ხელი *კონტრაბანდას*. სამი საუკუნის შემდეგ, *ფუჯიანის* ცნობილმა ზღვის მეკობრემ კოქსიანგმა ჩინეთის ზღვაზე კონტრაბანდა გააბატონა. მან იმასაც კი მიაღწია, რომ 1661 წელს ჰოლანდიელებს *ფორმოზის (ტაივანი)* კუნძული წაართვა და იქ *იავადან* ოპიუმი შეიტანა.

საიღუმლო ორგანიზაციები, რომლებიც XVII საუკუნეში განსაკუთრებული სიმძლავრით გავრცელდნენ, *მანგუს იმპერიის* ოპოზიციად ჩამოყალიბდნენ და დასავლური იმპერიების მერკანტილური მოთხოვნების ფონზე *წინააღმდეგობის* პატარ-პატარა კუნძულები შექმნეს.

ფილიპინების *ესპანელმა გუბერნატორმა* დონ ჰედრო მანუელ დე არანდიმ 1754-59 წლებში კუნძულიდან არაკათოლიკე ჩინელთა *გამოდევნა* დაიწყო. ისევე, როგორც ყველა რადიკალურმა კანონმა, ამ პროცესმაც უკუეფექტი გამოიწვია და ხელი შეუწყო კრიმინალური ორგანიზაციების აღმოცენებას, რომელთაც *დაჩაგრული უმცირესობის* ქომაგებად აღიქვამდნენ. ასეთად ასოცირდებოდა ტრიალები, რომელთაც XIX საუკუნეში მოსახლეობა საკუთარი ბატონების წინააღმდეგ ამხედრეს. ამის მიზეზი გახდა ბატონების მიერ *გლეხების იძულება – ჯარების დასაფინანსებლად ყაყაჩოს კულტურები მოეშენებინათ*.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში *ჩინური მიგრაციის* უდიდესი ტალღა წყნარი ოკეანის აუზში განლაგდა. ობიექტური სირთულეები – განსაკუთრებით ენობრივი, რელიგიური და კულტურული ბარიერები, აგრეთვე ის შევიწროება, რომელსაც *ჩინელები* ახალ ქვეყნებში აწყდებოდნენ, მილიონობით ადამიანს გაერთიანებისკენ უბიძგებდა. ასე იქმნებოდა *ჩაინთაუნები*. იაფ მუშახელზე მოთხოვნილება ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა *ფუჯიანისა* თუ *კანტონის* მკვიდრთა *აზიამ დაფუძნებას* და კონტრაბანდისათვის გზებს აფართოებდა.

სამოქალაქო ომის პერიოდმა, რომელსაც 1911 წლის რევოლუცია მოჰყვა, და იაპონელთა ოკუპაციამ ხელი შეუწყო შავი სამყაროს ძლიერების აღმასვლას, *ტიანშანიდან შანხაიმდე* უდიდეს საერთაშორისო სპეკულანტთა კონტაქტების ზრდას, სადაც ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა.

როგორც წესი, *ტრიალები* ყალიბდებოდა როგორც *ცხოვრების ტრადიციული მოდელის წინაშე უცხოური საფრთხის საწინააღმდეგო ინსტრუმენტი*. იგი პარალელურად მოვაჭრეთა ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენდა, თანაც სიმდიდრეს მკაცრად იერარქიული წესით ანაწილებდა.

§3. ჩინური მიგრაცია ქვეყნის გარეთ

XIII საუკუნეში მონღოლთა ურდოს გამარჯვების შემდეგ ჩინეთიდან ინტენსიური მიგრაცია დაიწყო. მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ დიასპორის ყველაზე დიდი პარტიები სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიაში მიიღო. ჩაინთუნები უკვე XV საუკუნიდან არსებობდნენ *კამბოჯაში, ვიეტნამში, იაეაზე, სინგაპურში, ბრუნეიში* და ა. შ. ახალმოსახლეთა უმრავლესობის მსგავსად ჩინელმა ემიგრანტებმაც აქტიურად მიჰყვეს ხელი ვაჭრობას, გამორჩეულად კი - ოპიუმით ვაჭრობას. XVI საუკუნემდე ისინი არაბებთან ერთად სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიაში ნარკოტიკების მთავარ მიმწოდებლებად და დისტრიბუტორებად გვევლინებოდნენ, მაგრამ დასავლელთა მიერ დევნამ რეგიონში მათი საქმიანობა შეაფერხა. *ოპიუმის კომერციაში* ევროპული მონოპოლიის დამყარებამ ნარკოტიკების გავრცელებაში ჩინური დიასპორა უბრალო გადაწყვიტვებად აქცია. ჩინელები აქტიურად მონაწილეობდნენ *იაეას კოლანდიურ მონოპოლიაში*, ხოლო *ფილიპინებზე ესპანური მონოპოლიის* მთავარი ფიგურები - მოწილეები იყვნენ.


ზოგადად სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ოკეანის ჩინურმა უმცირესობებმა *ოპიუმის მონოპოლიათა* სხვადასხვა ფორმირებების ინტეგრირება მოახერხეს და საკმაოდ დახვეწილად იყენებდნენ როგორც ლეგალურ, ასევე ფარული საქმიანობის საშუალებებს.

ორმა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენამ მიმართულება შეუცვალა ჩინელ ემიგრანტთა ტალღას (დასავლეთისაკენ) და *ოპიუმით ვაჭრობას* ახალი იმპულსი მისცა.

XIX საუკუნის შუაში *ოპიუმის ომებმა* ფართოდ გაუხსნა კარი ჩინელებს და მილიონობით ადამიანს ქვეყნის ფარულად დატოვების საშუალება მისცა. მილიონამდე ჩინელი ქვეყნის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მიედინებოდა როგორც იაფი მუშახელი (*კანადა, კუბა, ავსტრალია და პერუ*). ტაიპინგის აჯანყებას კი 1853 - 64 წლებში კატასტროფული ეფექტი მოჰყვა.

1848 - 78 წლებში ომმა, შიმშილმა და ეპიდემიებმა 40 მილიონზე მეტი ჩინელის სიცოცხლე შეიწირა. ემიგრაციულმა ტალღამ კვლავ იმატა და საუკუნის ბოლოსათვის 2,5 მლნ ადამიანს მიაღწია. მონობის გაუქმებამ და მუშახელის სულ უფრო გადაუდებელმა საჭიროებამ ამერიკაში ახალი საიმიგრაციო ტალღა შექმნა, ეგრეთ წოდებული, კონტრაქტები. ჩინელები ცოცხალი ტვირთის სახით გემის ტრიუმფებში გადაჰყავდათ. მათგან 12 - 15 პროცენტი რამდენიმე თვის მანძილზე ოკეანის გადალახვისას იღუპებოდა, არაიშვიათად კი მგზავრობის საფასურის ასანაზღაურებლად მთელი ცხოვრება უწევდათ მუშაობა. ცხოვრების უმძიმესმა პირობებმა, მასობრივმა გადასახლებაში და შევიწროებამ ჩინური დიასპორა მტრულად განაწყო დასავლეთის წინააღმდეგ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჩინური ღიბსორა და ტრიაღები



<p>ებერანგო ზონები</p>	<p>მეზოციები აზიის და ესტრადის კონტინენტებზე მუხ კონტრატების ჩარბოვლა საილუმლო ირეანბაციების ტრადიულ ცარდენა</p>
<p>მეზოციის ბრევილი ცილი და ჩანური კოლონიების წარბოვლა, საილუმლო ირეანბაციების შექმნა [XII-XVI სს]</p>	<p>იბოუმის იმების შეზღვე ინტელსური კომერციისათვის გახმნილა ჩანური ბორტები</p>
<p>XIX სოკუნის იბოუმის იმების შეზღვეო მეზოციები და საილუმლო ირეანბაციების ცარდოვრება</p>	<p> ყუფოსი წარბოების ზონები XII სოკუნის შეზღვე</p> <p> ყუფოსი ელდოტრის შეზოპური იბოუმის იმების შეზღვე</p>
<p>ეზოციული ზონები</p>	<p> ტრადიული</p>

მეორეს მხრივ, ჩინეთის დანაწევრებამ და ცენტრალური ხელისუფლების დასავლეთის ძალებთან იძულებითმა თანამშრომლობამ გააძლიერა სიძულვილი *ოკუპანტი მანჯუს* მიმართ. თვითგადარჩენისა და მჩაგვრელებთან უფრო ეფექტური ბრძოლის მიზნით, ჩინური დიასპორა საიდუმლო ორგანიზაციებს ემყარებოდა, რომლებიც სწრაფად ვრცელდებოდნენ და სწრაფადვე გარდაიქმნებოდნენ კრიმინალურ დაჯგუფებებად. ქვეყნისა და ხალხის დამცველთა ნიღბის ქვეშ *ტრიაღებმა* საერთაშორისო *პლაცდარმად* ჰონკონგი გაიხადეს. ისინი გარდა საიმპერაციო ბაზრისა, მთელს სამუშაო ბაზარსაც აკონტროლებდნენ. ჩინელთა მძლავრ ემიგრაციას ქვეყნის გარეთ და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში კონტინენტზე ნარკოტიკების დიდი რაოდენობით შეტანა და გავრცელება მოჰყვა. საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩინელ ემიგრანტთა რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა: მათგან 20 პროცენტი ოპიუმის აქტიური მწვეველი იყო, ანუ ყოველდღიურად ეწეოდა, ხოლო 15 პროცენტი კი - შემთხვევიდან შემთხვევამდე.

ამერიკელებმა აქტიურად აითვისეს ჩინელთა ეს ჩვეულება. ამ პერიოდში ოპიუმის მომხმარებელთა რიცხვი ამერიკის მიწაზე 500 ათასიდან ერთ მილიონამდე მერყეობდა.

ჩინური კვარტალების ცხოვრების წესი ოპიუმის ფარული გავრცელების საუკეთესო საშუალებას იძლეოდა, რაც ძალიან მალე *ტრიაღების* ხელში აღმოჩნდა. ბაზარზე გაძლიერებული კონტროლის შედეგად მათ ფართო ქსელი ხუთივე კონტინენტზე შექმნეს *უკიდურესი აღმოსავლეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე*. *ტრიაღებს* თვითდამკვიდრების კარგი პირობები შეუქმნა ჩინეთში კომუნისტების გამარჯვებამ და ჩინური უმცირესობის *ცივი ომის* ჩარჩოებში მოქცევამ.

ოკეანისიქითა ჩინური დიასპორის რიცხვნობა დღეს დაახლოებით 30 მლნ აღწევს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, 1,2 მლნ ჩინელია, თუმცა ფარული ემიგრაციის ტალღა ყოველწლიურად იზრდება და წლიურად 100 ათას ადამიანს შეადგენს. *საფრანგეთში* ჩინელთა სათვისტომო დაახლოებით 250 ათას ადამიანს ითვლის.³³

§4. ჰონკონგი - ტრიაღების კოლონიები

დღესდღეობით ჰონკონგს ფინანსური ძლიერების თვალსაზრისით მსოფლიოში მესამე ადგილი უჭირავს. იგი ჯერ კიდევ 1850 წლიდან იქცა ტრიაღების უმსხვილეს ცენტრად. 1842 წელს *პირველი ოპიუმის ომის* დამთავრების შემდეგ ბრიტანეთის სამეფომ და მისმა კოლონიამ შესანიშნავი გასასვლელი დიასპორის ჩინურ და საერთოდ აზიურ ბაზარზე, მაგრამ ამასთანავე, გაძლიერდა *ჩინური* შავი სამყაროს პოზიციებიც. 1845 წლიდან ტრიაღებთან კავშირი კოლონიის კანონით დანაშაულის დონეზე განიხილებოდა,

მაგრამ მიუხედავად ამისა, ხუთი წლის შემდეგ ტრიადებმა მთელი ბაზარი თავის კონტროლს დაუქვემდებარეს.

დღეს კონკონგში 50 საიდუმლო კრიმინალური ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომელიც 80-დან 100 ათასამდე ადამიანს მოიცავს. მათ ბირთვის ხუთი ძირითადი ჯგუფი შეადგენს:

1. სუნ ი ონი (25-დან 60 ათასამდე წევრი), დაარსდა 50-იანი წლების დასაწყისში გუანგდონგის ჩინელების მიერ, რომლებიც *შიაოზუს დიალექტურ ჯგუფს* მიეკუთვნებიან;

2. **WO**-ს ჯგუფი;

3. ათი ტრიადის ანსამბლი (*ნაკრები*);

4. ცნობილი „14 - **K**“, შეიქმნა კანტონში (20 ათასი წევრი);

5. ლუნის ჯგუფი (8 ათასი წევრი).

ტრიადები კონტინენტზე კვლავაც ფართოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით *სამხრეთის* პროვინციებში.

ტრიადების სიცოცხლისუნარიანობა ორი *ფუნდამენტური ელემენტით* შეიძლება განისაზღვროს:


პირველი - მათი აქტივობის მოტივაციას განსაზღვრავს სარგებლის გენერაცია;

მეორე - მრავალფეროვანი ჩინური სათვისტომოების არსებობა ასეთი აქტივობისა და ორგანიზაციის შენიღების (*დაცვის*) საუკეთესო საშუალებას იძლევა.

ტრიადების გავლენა სრულად ვერცელდება *ადგილობრივსა* თუ *ტრანსნაციონალურ* კომერციულ ჯაჭვში, რომელშიც ისინი აქტიურად არიან ჩართული. გარდა *რეკეტისა*, ტრიადები თანამედროვე ბიზნესის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს - *ფინანსებს, მედიას, გართობისა და სათამაშო სფეროებს*.

ტრიადები რუსული და ჩინური იარაღის კონტრაბანდაზეც აწერს ხელს, განსაკუთრებით *აზიას და ამერიკაში*. ამ ბიზნესის მოგება ყოველწლიურად 3 მლრდ დოლარს შეადგენს. *ტვირთავი* ავტომანქანებისა და *იახტების, ხელოვნების ნიმუშთა* თუ *ანტიკვარიატის ქურდობითა და კონტრაბანდით* დაგროვილი თანხა კი ყოველწლიურად 4 მლრდ დოლარს აჭარბებს. ამრიგად, ჰეროინის მარშრუტი სრულიადაც არ წარმოადგენს ტრიადების საქმიანობის ერთადერთ სფეროს, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი ყველაზე მომგებიანია. ჯონკონგიუ ლენგმა, რომლის ბანდამ 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 500კგ ჰეროინი შეიტანა, დაპატიმრების შემდეგ მარშრუტის მოქმედების რამდენიმე საიდუმლო გახსნა. კერძოდ, ახსნა, რომ მასში მონაწილეობისათვის ტრიადის წევრობა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. აქ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ *ბანკოკისა და ბირმის* მსხვილი სპეკულანტები ტრიადებთან თავიანთ კავშირებს აზიაში ოპერაციების ეფექტურად

აშერიკულ - ავსტრალიური რინური ქვიგრატია



განსახორციელებლად იყენებდნენ.

ტრიადები საკმაოდ მყარად დაფუძნდნენ ამერიკის შერთებული შტატების დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე, ასევე *ჰავაის* და *კანადაში*. გარდა ამისა, ისინი ფართოდ არიან წარმოდგენილი *ლათინურ ამერიკაშიც* და ამერიკის შერთებული შტატების *მომიჯნავე* ქვეყნებშიც, სადაც უფრო ადვილია ემიგრანტების არალეგალური შეღწევა (*ცენტრალური ამერიკა, კარიბის კუნძულები, ბრაზილია, პარაგვაი, ბოლივია*). ორი ტრიადა ბაზირებულია *ტაივანში*: ბამბუს გაერთიანებული ჯგუფი (20 ათასი წევრი), რომელიც 1956 წელს შეიქმნა და *ოთხი ზღვის* ჯგუფი (5 ათასი წევრი). *ტაივანსა* და *ამერიკის შერთებულ შტატებს*. ან *ჰონკონგს* შორის ექსტრადიციის თაობაზე შეთანხმების არარსებობამ კუნძული *ქებნილი კრიმინალებისათვის* შესანიშნავ თავშესაფრად აქცია. საინტერესოა, რომ ავსტრალიაში, სადაც 1945 - 50 წლებში მაოისტების გამარჯვების შემდეგ მრავალი ჩინელი კრიმინალური ელემენტი გადასახლდა, *ტრიადების* ხელში აღმოჩნდა *პროსტიტუცია* და *ჰეროინის* მარშრუტები. *კანადაში* სპეცსამსახურის მიერ ჩატარებული აღრიცხვის შედეგად ათამდე ჩინური ორგანიზაცია დაფიქსირდა (მაგალითად, 14 - K). მათი რიცხვი და გავლენა *კანადაში* (*ჰონკონგელ ჩინელთა ემიგრაციის ადგილი*) განუწყვეტლივ იზრდებოდა, განსაკუთრებით *ვანკუვერში*, რომელიც ტრიადებისთვის ამერიკაში *ჩრდილოეთიდან მთავარ შესასვლელს* წარმოადგენდა. იქვეა დისლოცირებული **WO**-ს ჯგუფი, რომელიც *ვიეტნამელ* ემიგრანტებსა და *საიკონური* წარმოშობის შავი სამყაროს წარმომადგენლებზე დაყრდნობით მოქმედებდა.

ევროპაში *ტრიადების* მთავარი ცენტრებია: *ლონდონი* (14 - K-ს ჯგუფი, **Washing-Wo, Wo-Onlor**), *ამსტერდამი* (**Sun Yee On**, 14 - K) და *კოპენჰაგენი*. დიდი წრის ბანდა და 14 - K ერთმანეთს *ფრაქციათა შორის არბიტრისა* და *ევროპაში ბირმული* ჰეროინის *დისტრიბუტორის* როლზე ედავეებიან.

ტრიადები ასევე წარმოდგენილია *საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა* და შედარებით გვიანდელ პერიოდში დასავლეთის იმ ქვეყნებში, რომელთაც ფარული ემიგრაციისათვის მოხერხებული პირობები გააჩნდათ. მათ ჯერ-ჯერობით *სუსტი* კონტაქტები აქვთ *რუსულ* მაფიასთან.³⁴

§5. იაპონური იაკუზები

იაპონური იაკუზას წარმოშობა XVII საუკუნეში დაიწყო. იგი უკავ-შირდება შავი სამყაროს წიაღში კასტების ჩამოყალიბების პროცესს. საუბარია ტეიკებზე (გარეულ თხებზე) მოგზაურ ვაჭრებზე, რომლებიც დეკლასირებული ელემენტებისაგან მრავალრიცხოვან საზოგადოებებს ქმნიდნენ (*უბატონო სამურაები, კორეელი ემიგრანტები*, რომლებიც დღეს საერთო რაოდენობის 15 პროცენტს შეადგენენ და ბაკუტოები (ანუ *პროფესიონალი მოთამაშეები*).

სახელი „ია - კუ - ზა“ ამ უკანასკნელთაგან მომდინარეობს და აღნიშნავს „8 - 9 - 3“, ბანქოს ერთ-ერთი თამაშის წაგებულ ხელს, რომელიც ჯამის 19-თან მიახლოებასთან ან გატოლებასთან მდგომარეობს და რომლის გადასწრების შემთხვევაში *ქულები იწვება*. ამ დაჯგუფების სახელწოდება შეიძლება ინტერპრეტირებულია *თაღლითობთან, მექრთამეობთან, მევაზშეობთან*, რომლებიც იაპონური სოციალური პეიზაჟის ჩვეულ პერსონაჟებად იქცნენ და ქვეყანაში *წესრიგსა და ქაოსზე, კანონიერსა და უკანონოს* შორის მედიანტორის ფუნქცია თავის თავზე აიღეს.

XIX საუკუნის ბოლოს იაკუზა იაპონიაში პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათ *დემობილიზებულ* ჯარისკაცთა ბანდა შეუერთდა, რომელიც ძირითადად *შავ ბაზარზე* იყო დაკავებული. დიდი ქალაქების შუაგულში დანერგილი ეს ორგანიზაციები ერთდროულად აკონტროლებდა კრიმინალურ საქმიანობასაც (*სათამაშო ბიზნესი, პროსტიტუცია, რეკეტი, ნარკოტიკები*) და ლეგალურ ბიზნესსაც (*უძრავი ქონება, ბარ-რესტორნები ავეჯეულით ვაჭრობა*).

90-იანი წლების დასაწყისში იაპონიაში იაკუზების რიცხვი 90 ათასს აღწევდა. ისინი გაერთიანებული იყვნენ 2 300-ზე მეტ ბანდაში. მათი უმრავლესობა ფედერაციებში გაერთიანდა, რომელთაც სათავეში *მამები (ოიბუნები)* ედგათ. ქვეყანაში ოთხი უმთავრესი გაერთიანება ჩამოყალიბდა:

1. იამაგუში - გუ - მი (900 ბანდა, 25 - 35 ათასი წევრი), ბაზირებულია *კობესა და ოსაკაში*;
2. ინაგავა - კაი (ტოკიო, 9 ათასი წევრი);
3. სუმინოში - კაი (ტოკიო, 7 ათასი წევრი);
4. ტაო იუაი ჯიგიო კუმიანი (ტოკიო, 900 წევრი).

იაპონური ხელისუფლების მონაცემებით, მხოლოდ მეტამფეტამინის ადგილობრივი ბაზრიდან იაკუზა ყოველწლიურად 10 მლრდ დოლარამდე მოგებას იღებდა. ქვეყნის გარეთ იაკუზები დაკავებული იყვნენ *სხვადასხვა ბიზნესში: იაპონელი ტურისტების გართობა (პროსტიტუცია და ნარკოტიკები ჰავაიზე), სინთეზური ნარკოტიკების ლაბორატორიათა მოწყობა (კორეა, სადაც ისინი ორგანიზებულ დამნაშავეობას აკონტროლებდნენ, ტაივანი, ფილიპინები), იარაღით თვითმომარაგება (ფილიპინები, აშშ დასავლეთ სანაპირო)*. წყნარი ოკეანის სივრცეში *ტრადიებისა და იაპონური იაკუზების* ალიანსს ძველი ტრადიციები აქვს, რომლებიც სათავეს იაპონური ოკუპაციის პერიოდიდან იღებს.

1992 წლის მარტიდან იაპონურმა კანონმა მნიშვნელოვნად შეზღუდა დანაშაულებრივი ორგანიზაციის თავისუფლება. იაკუზებმა *სახელი შეიცვალეს* და *ბორიოკუდანი* (ძლიერნი) დაირქვეს, არალეგალურ საქმიანობაზე გადავიდნენ, თუმცა მათი ძლიერება ამით სრულიადაც არ შერყეულა.³⁵

თავი IV

ნარკომაშია და ტერორი

§1. უმოძრაო უული

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო დამნაშავე ორგანიზაციების საქმიანობის განხილვისას ყოველთვის წამოიჭრება საკითხები, რომლებიც ტერორის ტაქტიკასა და ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციები ხშირად მიმართავენ ტერორს და ტერორისტებთან მათთვის ხელსაყრელ კავშირებს ამყარებენ, ნათლად ჩანს, რომ მათი მიზნები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა – დამნაშავე ორგანიზაციები უფრო მეტად თავის დამნაშავეობრივ საწარმოთა საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად მიმართავენ ტერორს და მზად არიან არსებული სისტემის ფარგლებში იმ დრომდე იმუშაონ, სანამ ეს მათთვის შესაძლებელი და მოსახერხებელია.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დანაშაულებრივი ვზით მოპოვებული კაპიტალი ფინანსურ სისტემებში დიდი ხნით უმოძრაოდ არ რჩება. იგი უმაღლვე განლაგდება სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებში, ხოლო დამნაშავე სინდიკატების მხრიდან კანონიერ კომერციულ საწარმოთა კონტროლი მხოლოდ ხელს შეუწყობს ფულის გათეთრების ოპერაციათა შენიღბვას. ყოველივე ამის გამო კანონიერი და უკანონო ფულადი სახსრები ისე ირევა ერთმანეთში და ჩაედინება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში, რომ ძალიან ხშირად ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა კორუმპირებას უწყობს ხელს.

ასე რომ, თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული არ იქნა სათანადო შემაკავებელი ბერკეტები სესხების მოზიდვა - მიღებაში და ბიზნისის შემდგომი განვითარებისათვის შეჯიბრში კანონის მკაცრი უპირატესობა არ იქნება უზრუნველყოფილი, სახელმწიფოს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნება შიდაინვესტირებასა და უცხოური კაპიტალის მიზიდვაში. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა გააფთრებული კონკურენცია მიდის თანამედროვე სამყაროში უცხოური ინვესტიციების მოსაპოვებლად. მოვლენების ასეთმა განვითარებამ კი შეიძლება ეკონომიკის წინსვლის შეჩერება გამოიწვიოს და იგი ნაკლებ საიმედო გახადოს. ძალიან ხშირად დანაშაულებრივი ორგანიზაციების ქმედება მიმართულია კონკრეტული პოლიტიკის წინააღმდეგ კანონიერების დაცვის სფეროში და არა არსებული ძალაუფლებრივი სტრუქტურების წინააღმდეგ (რომელთა კორუმპირებისათვის კოლოსალური თანხები იხარჯება ამავე ორგანიზაციების მიერ).

ტერორისტულ ჯგუფებს კი პირიქით, მხოლოდ პოლიტიკური მიზნები ამოდრავებთ, რომლებიც სახელმწიფო ან საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი მდგომარეობის შეცვლისკენაა მიმართული.

თავის დანაშაულებრივ საქმიანობაში (მაგალითად, ნარკოტიკებით ან იარაღით ვაჭრობაში) ტერორისტული ჯგუფები, როგორც წესი, იმ სახსრების მოსაპოვებლად მონაწილეობენ, რომლებიც მათი პოლიტიკური მიზნების ეფექტურად შესრულებისთვისაა საჭირო.³⁶

§2. სიკვდილის ესკარობები

ბოლო წლებში სხვადასხვა ორიენტაციის ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციების სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა (ულტრამემარჯვენე, ულტრამემარცხენე, ნაციონალისტური, სეპარატისტული და სხვ.) ნარკობიზნესში, თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად იღებს მონაწილეობას. ამ მონაწილეობის ფორმები სხვადასხვანაირია: ნარკოტიკშემცველი მცენარეების გაშენება-მოყვანა, ნარკოტიკების წარმოება და მათი კონტრაბანდა, ნარკოკულტურათა პლანტაციების დაცვა, ნარკოსაქმოსანთა დავალებების შესრულება – იმ პირების მოსპობა-განადგურება, ვინც სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირშია ეჭვმიტანილი, ნარკოტიკების დიდი პარტიების სპეციალურად წინასწარი განზრახვით შეტანა (შეგზავნა) სხვადასხვა სახელმწიფოებში, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის შესასუსტებლად, მოსარყევად. მოკლედ, ყალიბდება ტერორიზმის ახალი სახეობა - ნარკოტერორიზმი.

ნარკობიზნესით აქტიურად იყო დაკავებული სეპარატისტ მეამბოხეთა მოძრაობა ოქროს სამკუთხედის რაიონში, კერძოდ, ორგანიზაცია მეოს გვარის წევრები გენერალ ვანგ ჰაოს მეთაურობით, რომელიც ჩრდილოეთ ლაოსში მოქმედებდა. ბირმაში დიდხანს დათარეშობდნენ ეგრეთ წოდებული, ბირმის კომუნისტური პარტიის რაზმები, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში ეროვნული ნიშნით ცალკეულ დაჯგუფებებად დაქუცმაცდა. ყველაზე მსხვილი დაჯგუფების სათავეში იდგა კუნ სა (ნამდვილი სახელი ჩან ჩი ფუ), რომელიც ზოგიერთი მონაცემებით ოქროს სამკუთხედში ოპიუმის წარმოების 80 პროცენტს აკონტროლებდა.

ფილიპინებში ულტრამემარცხენე ექსტრემისტულ დაჯგუფებებს მარბუხანას მოყვანითა და მისი გასაღებიდან ამოგებული თანხებით აფინანსებდნენ.

ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ სეპარატისტები ინდოეთის შტატებში (კენჯაბი, ჯამუ და ქაშირი), რაშიც ხელს ჰაკისტანიც უწყობდა. ასეთი საქმიანობით ისინი ნაწილობრივ ფარავდნენ იარაღისა და აღჭურვილობის შესასყიდ ხარჯებს.

ინდოეთის პრესის ცნობით, ნარკოტიკების მოხმარება გავრცელებული იყო თვით *პენჯაბისა* და *ქაშმირის* ბოევიკებს შორის. ბევრი ტერორისტი, რომელთაც ამ შტატებში მიძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, ნარკოტიკებით გაბრუებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სამოქალაქო ომმა თვით *ავღანეთში* და მეზობელ *პაკისტანში* ნარკოტიკების წარმოების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ინგლისელი ექსპერტების შეფასებით, ოპიუმის წარმოება *ავღანეთში* გასული საუკუნის 90-იან წლებში შესაბამისად 250 ტონიდან 2 500 ტონამდე გაიზარდა. *ოპიუმის ყაყაჩოს* მოყვანასა და გადამუშავებაში აქტიურად ჩაერთვნენ სხვადასხვა მემამბოხე ფორმირებები. ავღანეთის ისლამური პარტიის ლიდერს ხეკმატიარუს ეკუთვნოდა მსოფლიოში უდიდესი *პეროინის* გადამამუშავებელი ფაბრიკა – რაფინადი. თავის დროზე მის აღჭურვილობას ტექნიკური და ფინანსური დახმარება *ამერიკულმა* ნარკომაფიამ გაუწია. თავდაპირველად *ფაბრიკა* პროვინცია *გილმენდში* მდებარეობდა. შემდგომში ხეკმატიარუ იძულებული გახდა იგი *პაკისტანთან* მოსაზღვრე რაიონში გადაეტანა, რადგან მუჯახედის კონკურენტი ფორმირებები განუწყვეტლივ ცდილობდნენ ფაბრიკის ხელში ჩაგდებას.

ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებულ სახსრებს მემამბოხენი როგორც აღჭურვილობისა და იარაღის საყიდლად, ასევე პირადი გამდიდრებისთვისაც იყენებდნენ. სპეციალისტები თვლიან, რომ *ავღანურ-პაკისტანური* ნარკომაფიით მიღებული შემოსავლები წელიწადში 10 მლრდ დოლარს შეადგენს.

მეტოქეობა *მუჯახედების* სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის არა მარტო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებით აიხსნებოდა, არამედ ნარკობიზნესში გაბატონებული მდგომარეობის მიღწევისაკენ სწრაფვითაც. ინდოელი დიპლომატების აზრით, *ავღანურ* მრავალმილიარდიან ნარკობიზნესზე კონტროლი მთავარი ფაქტორი იყო *ქაბულში* მუჯახედებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლაში.³⁷

ნარკობიზნესს ისლამური *ფუნდამენტური* დაჯგუფებანიც ეწეოდნენ ლიბანში ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის „ხეზოლლახის“ ჩათვლით. ინდური კანაფისა (250 კვ. კმ) და ოპიუმის ყაყაჩოს (20 კვ. კმ) პლანტაციები ძირითადად მდინარე ბექაას ხეობაშია თავმოყრილი, რომელზე *კონტროლისათვის* მტრულად განწყობილი ლიბანური ფორმირებები იბრძოდნენ.³⁸

ფრიად მჭიდრო კავშირი დამყარდა *ტერორისტულ* დაჯგუფებებსა და *ნარკობიზნესს* შორის *ლათინური ამერიკის ქვეყნებში*. *ოპიუმის ყაყაჩოსა* და *კოკას* პლანტაციებს კოლუმბიაში გამდიდრებულად იცავდნენ *კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალებისა* და *ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმები*. ეს ორგანიზაციები ბატონობდნენ *კოლუმბიის* ბევრ ადგილებში, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ნარკოტიკების მოსავლის განადგურებას მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. პარტიზანული ჯგუფები დაცვის

საფასურად მოსახლეობისაგან შემოსავლის 10 პროცენტს იღებდნენ. ისინი კონტრაბანდისტებს შესაძლებლობას აძლევდნენ ესარგებლათ *საიდუმლო ასაფრენი მოედნებით, ნარკოტიკების გადასატანი მცირეძრავიანი თვითმფრინავებით.*

კოლუმბიის რევოლუციური ძალების ქვედანაყოფები თვითონ ეწოდნენ კოკას მოყვანას და მის გადამუშავებას კოკაინად. ზოგიერთი მონაცემებით, ეს წითელი კარტელი ნარკობიზნესიდან ყოველწლიურად 400 მლნ დოლარს ღებულობდა. *კოლუმბიის* 19 აპრილის მოძრაობის წევრები 1989 წელს თავს დაესხნენ იუსტიციის სასახლეს, რათა ნარკომაფიის დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები გაენადგურებინათ. მათ *ქვეყნის უზენაესი სასამართლოს რამდენიმე წევრიც მოკლეს.*³⁹

მსოფლიოს სამართალდამცავი ორგანოები მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ ნარკობიზნესთან ტერორისტული ორგანიზაციების მჭიდრო კავშირის შესახებ (მაგალითად, *თურქეთის რუხი მგლები, პასკეთის ქვეყანა და თავისუფლება, იტალიის წითელი ბრიგადები*). მათი აზრით, გარდა იმისა, რომ ნარკომაფია თავის ინტერესებში ტერორისტულ ორგანიზაციებს იყენებს, იგი თვით ქმნის საკუთარ შეიარაღებულ ქვედანაყოფებს, რომლებიც ტერორს ეწევიან. სანამ *სიკვდილის ესკადრონები* კონკურენტებს ან სამართალდამცავი ორგანოების აგენტურას უსწორდებიან, ნარკომაფიის საქმიანობა არ ცილდება სამართლებრივი ორგანიზებული დანაშაულების ფარგლებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ნარკოტერორიზმი სახელმწიფო პოლიტიკურ სტრუქტურებსაც კი ემუქრება.

მაგალითი: კოლუმბიის ნარკოკარტელებმა ნამდვილი ომი გააჩაღეს ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურად ებრძოდნენ ნარკობიზნესს.

ქალაქებში მედელინსა და კალიში, აგრეთვე *მაგდალენას დეპარტამენტში* ნარკომაფიის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სკოლები, სადაც *დაქირავებულ მკვლელებს* ამზადებდნენ პოლიტიკური მოღვაწეების, სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ყველა იმთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ვინც ნარკომაფიას ებრძოდა. მაფიოზის ხელით იქნა მოკლული ქვეყნის გენერალური პროკურორი და ქალაქის მოსამართლე, რომლებმაც ხელი მოაწერეს *მედელინის* ნარკოკარტელის ხელმძღვანელის *პაბლო ესკობარის* დაპატიმრების ორდერს, გაზეთ *„ესპექტადორის“* მთავარი რედაქტორი, რომელიც ნარკოტიკებით მოვაჭრეების საქმიანობის გამოსამჟღავნებელ მასალებს აქვეყნებდა.

კოლუმბიის სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული დაჯგუფებების დაპირისპირებამ განსაკუთრებული გამწვავება მიიღო უკანასკნელ პერიოდში. ამ ძალებს შორის ყველაზე კარგად შეიარაღებული და გაწრთვნილი ძალაა, კოლუმბიის რევოლუციული შეიარაღებული ძალა - **FARK**-ი. იგი 1966 წელს დაარსდა – როგორც კოლუმბიის კომუნისტური პარტიის გასამხედროებული ფრთა.

მას როგორც ეთქვით უშუალო კავშირი აქვს ნარკოტიკებით ვაჭრობასთან და დანაშაულის სხვა სახეობებთან. ეს ორგანიზაცია განსაკუთრებით დახელოვნდა ადამიანის (თანამდებობის პირების) გატაცებაში, რათა ზეგავლენა მოეხდინა მთავრობის პილიტიკაზე - ექსტრადაციის საკითხებში. კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები, რომელთა რიცხვი 7000-ს აჭარბებს და ძირითადად სოფლების ტერიტორიებზე განლაგებული, უმთავრესად კოლუმბიის საზღვრებში მოქმედებს. იშვიათად კი ოპერაციებს ვენესუელას, პანამის და ეკვადორის ტერიტორიებზეც ახორციელებს.


როგორც რევოლუციური ძალების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალბერტო მარტინესმა განაცხადა, მათი 36 წლიანი ბრძოლის უმთავრესი მიზანია – *ააშენონ კოლუმბიური სოციალიზმი*. ქვეყანაში სადაც პოლიტიკურ ძალაუფლებას *ლიბერალები და კონსერვატორები* ფლობდნენ, ხოლო ფაქტიურად მას *ოლიგარქები* მართავდნენ თავიანთი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს შეიარაღებული პარტიზანული რაზმები ამართლებდნენ დევიზით: „ჩრდილოეთ ამერიკის ბატონობის წინააღმდეგ – ძლიერი ლათინური ამერიკისათვის“.

2002 წლის 20 თებერვალს კოლუმბიის პრეზიდენტმა ანდრეს პასტრანამ, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისაგან 1 მილიარდი დოლარი დახმარება მიიღო, ქვეყანაში წესრიგის და მშვიდობის დასამყარებლად, ნაციონალური ტელევიზიით პრეზიდენტის სასახლიდან მიმართა ამბოხებულებს, რომ დაეტოვებინათ უსაფრთხოების გაფართოებული ზონა.

საპასუხოდ **FARK**-მა აფეთქებები, თავდასხმები და მაღალი თანამდებობის პირების გატაცებები მოაწყო. 23 თებერვალს მოიტაცეს კოლუმბიის ყოფილი განათლების მინისტრის ქალიშვილი ინგრიდ ბეტანკოური – 40 წლის პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც დღემდე ტყვეობაშია, 23 მარტს კი მდელინში ეკლესიის წინ ჩაცხრილეს არქიეპისკოპოსი დუარტე მილესი, რომელიც პარტიზანების და აჯანყებულების მოქმედებას აკრიტიკებდა.

განსაკუთრებით საშიში და ძნელად დასამარცხებელია რელიგიურ-პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც გარკვეული იდეების და დოგმების გარშემო ერთიანდებიან და მათი განხორციელებისათვის მზად არიან ჩაიღონ ყველანაირი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. ცალ-ცალკე ფსიქოლოგიურად ისინი სუსტები არიან და ძალას მხოლოდ ჯგუფურობა აძლევთ. ისინი ერთი ლიდერის გარშემო ერთიანდებიან და უყოყმანოდ ასრულებენ მის ყოველგვარ დავალებას.⁴⁰ სერიოზული დაფინანსების პირობებში ასეთი ტერორისტული ორგანიზაციები დიდ საერთაშორისო საფრთხეს წარმოადგენენ. ამ ტიპის ორგანიზაციათა შორის დღევანდელ მსოფლიოში უპირველესი ადგილი ალ-ქაიდას ეკუთვნის, რომელიც თავისი მძლავრი დაფინანსებით, ძლიერი ინფრასტრუქტურით, შემსრულებელთა პროფესიონალური დონით, გავრცელების ფართო არეალით საშიშროებას უქმნის არა მხოლოდ ცალკე

პარტიზანები და შეიარაღებული კალები კოლუმბიაში



აღებულ ერთ რომელიმე სახელმწიფოს ან რეგიონს, არამედ იგი მსოფლიოს დღევანდელ წესრიგს და პოლიტიკურ მოწყობასაც კი ემუქრება.

ამის დადასტურებაა უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში განვითარებული მოვლენები: 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები ვაშინქტონში პენტაგონის შენობაზე და ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე, რომელმაც 4000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.⁴¹

ამას მოყვა სხვა ახალი ტერორისტული აქტები. მოსკოვში 2002 წლის 23 სექტემბერს მუსიკალური ცენტრის “ნორდ ოსტის” შენობაში 800-ზე მეტი ადამიანის მძევლად აყვანა. განხორციელებულმა სპეცოპერაციამ 220 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 2002 წლის 6 ოქტომბერს ფრანგული სუპერ ტანკერის აფეთქება, ხოლო 12 ოქტომბერს ინდონეზიაში კუნძულ ბალიზე სასტუმროთა კომპლექსში ტერორისტული აქტი სადაც 225 ადამიანი დაიღუპა და სხვა.

მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის მიერ განხორციელებული ენერგიული, შემტევი ზომებისა, დანაშაულებრივი და ტერორისტული ორგანიზაციების არაერთგვაროვანი მიზნებისა და საშუალებებისა, ამჟამად სულ უფრო და უფრო მეტად იკვეთება მათი შერწყმა, გაერთიანების ტენდენცია, რომელიც მომავალში შეიძლება შეუქცევადი პროცესი გახდეს. ეს ტენდენცია შეიძლება ოთხი მთავარი ფაქტორით განისაზღვროს:

პირველი – დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ ტერორის ტაქტიკის პირდაპირი გამოყენება. ზოგიერთი დანაშაულებრივი ორგანიზაცია (მაგალითად, *იტალიური მათია* და *კოლუმბიური კარტელები*) იყენებდა სახელმწიფოსა და მის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების ტაქტიკას, რათა გამოძიებებისათვის შეეშალა ხელი და წინააღმდეგობა გაეწია მთავრობის მხრიდან მათ წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლისათვის. არაიშვიათად ისინი სამართალდამცავი ორგანოების აქტიური მუშაკების ლიკვიდირებას ახდენდნენ, მოსამართლეებს უფრო *მსუბუქი განაჩენის* გამოტანას აიძულებდნენ და ისეთი ვითარების შექმნას ცდილობდნენ, როგორც მათი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის იქნებოდა ხელსაყრელი.

მეორე – ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაციების მზადყოფნა იმ ჯგუფებთან პირდაპირი კავშირების დასამყარებლად, რომლებიც პოლიტიკური მიზნებისათვის მასიური ძალადობის ტაქტიკას ატარებენ.

მაგალითი: პერუში ნარკომოვაჭრეებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ გარდა იმისა, რომ ურთიერთობა დაემყარებინათ ერთ-ერთ ტერორისტულ ორგანიზაციასთან (სანდერო ლუმინოსო – ნათელი გზა). საქმე კი იმაში იყო, რომ ამ ორგანიზაციის წევრები იმ პირების დაცვას უზრუნველყოფდნენ, რომელთაც კოკა მოჰყავდათ და

ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ, ხოლო სამაგიეროდ ამ ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილს ითხოვდნენ. ამოგებული თანხებით ორგანიზაციამ – მისი მთავრობის დასამხობი კომპანია დააფინანსა. ფაქტიურად, ეს კავშირი საქმიან ურთიერთობებს წარმოადგენს, რომელშიც ერთი მხარე თავისი საკუთარი მიზნების მისაღწევად მეორეს იყენებს.⁴²

მასამ – რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ტერორიზმის ორგანიზებულ დანაშაულებასთან შერწყმას, არის ცვალებადი პოლიტიკური გარემოებები. ცივი ომის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ტერორიზმმა მნიშვნელოვნად დაკარგა ის პოლიტიკური მფარველობა, რომელიც ცივი ომის პერიოდში ჰქონდა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ტერორიზმს კიდევ აქვს ადგილი, მაგრამ მან არსებითად დაკარგა თავისი გავლენა. ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ხელს უწყობენ ტერორიზმს, სულ უფრო და უფრო ნაკლებ გამოხატავენ ტერორისტულ აქტებში თანამონაწილეობის სურვილს და სულ უფრო მეტი ქვეყნები ცდილობენ არ მოხვდნენ მათ სიაში, რომლებიც ტერორიზმს უჭერენ მხარს.

და მაინც, ეს არ უნდა გვამშვიდებდეს, რადგან ტერორისტული ორგანიზაციები ნაკლებად იღებენ ფინანსურ დახმარებას მთავრობის მხრიდან და საჭირო სახსრების მოსაპოვებლად უმეტესად დანაშაულებრივ ორგანიზაციებს ან დანაშაულებრივ ქმედებებს მიმართავენ, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ნარკოტიკების უკანონო წარმოებას და ტრანსპორტირებას ეკუთვნის. ასეთ პირობებში უკანონო პროდუქციაზე იარაღის გაცვლასთან დაკავშირებული გარიგებანი სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ ტერორისტული დაჯგუფებები გააქტიურებენ პოლიტიკური ტერორისათვის ფინანსების მოსაპოვებლად დანაშაულებრივ საქმიანობაში ინტეგრაციას.

ამოთხე – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც დანაშაულებრივი და ტერორისტული ორგანიზაციების შერწყმას მოასწავებს, ტექნოლოგიურ ინტერესებს ასახელებენ. ბირთვული მასალების დატაცება და მათი გამოყენება მსხვილმასშტაბური გამოძალვისა და შანტაჟის მიზნით იმ აზრს ბადებს, რომ ზღვარი ისეთი დანაშაულებებისა როგორც გამოძალვა და პოლიტიკური ტერორიზმია, სულ უფრო და უფრო მცირდება. დასაშვებია ვარიანტი, როდესაც საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციები იტაცებენ ბირთვულ მასალებს და მათ ტერორისტულ ორგანიზაციებზე ჰყიდიან. სხვა ვარიანტიც არსებობს, როდესაც პლუტონის დამტაცებლები თვითონ გამოიყენებენ მას მთავრობების შანტაჟისათვის. ამგვარად, ტერორისტული ჯგუფებისა და დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობა ხშირად შესაძლოა არ დაემთხვეს ერთმანეთს, რასაც ვერ ვიტყვით მათი მიზნების მიღწევის სტრატეგიის

რაც ერთმანეთისაგან შეიძლება მხოლოდ ოდნავ განსხვავდებოდეს. მათ შორის ეს *მცირედი* განსხვავება კიდევ უფრო ართულებს დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიმართ სამართალდამცავი ორგანოების მიერ როგორც ტრადიციული ასევე სპეციალური ზომების განხორციელებას ტერიორიზმთან ბრძოლაში.

დასკვნა

თუ შევაჯამებთ ყოველივეს, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკანონო ნარკოტიკების ბაზრის მკვეთრმა ზრდამ, ცივი ომის დასასრულმა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ბარიერის მოსპობამ, პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში კრიმინალური მართლმსაჯულების ნელი ტემპებით რეორგანიზაციამ, თავისუფალი ვაჭრობის ზონების განვითარებამ მსოფლიოს სხვადასხვა სივრცეებში გლობალურ საფინანსო და სავაჭრო სისტემათა ჩამოყალიბებამ ძირეულად შეცვალა სოციალური გარემო, რომელშიც კრიმინალური ორგანიზაციები (მაფიები) მოქმედებდნენ და ისინი ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ორგანიზაციებად (TCO) ჩამოაყალიბა.⁴³

აქამდე ორგანიზებული დანაშაული და მისი ერთ-ერთი გამოვლინება ნარკოტიკების, ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც შინაური – ერთი ქვეყნის პრობლემა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლამ შედარებით ნაკლები ეფექტი მოგვცა და გაუთვითცნობიერების შედეგად ცოტა რაოდენობის ქვეყანა ჩაითრია.

მასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ეს არ არის ერთი ქვეყნის გადასაჭრელი პრობლემა და იგი ახალ სერიოზულ ამოცანებს უსახავს მსოფლიოს ქვეყნებს, რისთვისაც ჩვენი აზრით საჭიროა

პირველი – სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის სისტემატური და უფრო ფრთხილი ინტეგრაცია;

მეორე – სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ურთიერთთანამშრომლობის ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც დამყარებული იქნება ინფორმაციისა და მომსახურე პერსონალის უფრო ფართო გაცვლაზე;

ამის განსაკუთრებით კარგი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის აღმასრულებელი სააგენტოების შედეგიანი თანამშრომლობა.

მესამე – საკანონმდებლო სისტემის ისეთი უნივერსალიზაცია, რომელიც შესამჩნევად გააადვილებს ბრძოლას ტრანსნაციონალურ

კრიმინალურ ორგანიზაციებთან (TCO);

მეოთხე – იმის გათვალისწინებით, რომ გამოიკვეთა ტერორიზმის ახალი ფორმა, ნარკოტერორიზმი, საჭიროა საკანონმდებლო სფეროს საერთაშორისო ექსპერტებმა, ეროვნულ კანონმდებლობებში შემოიღონ ტერორიზმთან დაკავშირებული კანონის ახალი ნორმა ნარკოტერორიზმი და განსაზღვრონ მასთან დაკავშირებული სასჯელის განსაკუთრებით მკაცრი ზომები.

მეხუთე – საჭიროა მსოფლიოს სამართალდამცავთა ისეთი საქმიანობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების (TCO) წინააღმდეგ ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომ ეჭვი შექმნას და უთანხმოება ჩამოაგდოს ამ ორგანიზაციების შიგნით;

მაგალითი: ნარკოტიკებით მომარაგების სარგებლობის უფლების წართმევა უნდა წარმოჩინდეს თითქოსდა პარტნიორის ღალატად. სტრატეგიის მიზანია ორგანიზაციები ერთმანეთს ისე დაუპირისპიროს, რომ თანამშრომლობა კონკურენციამ შეცვალოს, ხშირ შემთხვევაში კი კონფრონტაციამ და მტრობამ.

მექვე – მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ უკანონო ბიზნესის საბაზრო სტრუქტურათა წარმატების მქონე სფეროებზე შესაძლო დარტყმით გამოწვეული შედეგები, რადგან ერთი ორგანიზაციის დაბლოკვამ შეიძლება სხვების ხელშეწყობა გამოიწვიოს, რაც კიდევ უფრო დიდ პრობლემებს შექმნის (კალის კარტელის მაგალითი).

თვალსაზრისი: უმჯობესი იქნებოდა, თუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კოლუმბიის ხელისუფლება პაბლო ესკობარის ციხიდან გაქცევის შემდეგ უპირველეს მიზნად მის დაჭერას კი არ დაისახავდა, არამედ კალიში თავისი მტრების მიმართ ესკობარს ეფექტური კომპანიის წამოწყების საშუალებას მისცემდა. მედელინის კარტელის დასუსტებით მათ კალი ნარკოტიკებით მოვაჭრე ყველაზე დიდ ორგანიზაციად გახადეს კოლუმბიასა და მთელს მსოფლიოში.

ასეთია ნარკომაფიის ფენომენის შესწავლისა და განზოგადოების შედეგები, რომლებიც ფუნდამენტურად ახალ ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე მყოფი ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების (TCO) შექმნისა და საქმიანობის გაშუქების აუცილებელი პირობაა, მათი ძალისა და სისუსტეების განსაზღვრა კი მეცნიერების ახალი სამომავლო ამოცანა.

თემატური და საბაზისო ლიტერატურა

1. **Confluences Méditerranée**: Balkans l'implosion, L'Harmattan, n° 8, automne 1993.
2. **A. Matard-Bonucci**, Histoire de la mafia, **Bruxelles**, Ed. Complexe, 1994 (Questions au XX^e siècle).
3. ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, ნარკოტიკების მსოფლიო ატლასი. ფრ. ენაზე, თავი VIII – ნარკოტიკები და ფული, პარიზი, 1994.
4. **A.A. Block**, European drug traffic and traffickers between the wars: the policy of suppression and its consequences, in journal of Social History, vol. 23, N,2, winter, 1989.
5. **F. Calvi**, La vie quotidienne de la mafia de 1950, a nos jours, **Paris**, Hachette, 1986 (La Vie quotidienne).
6. **G. Falcone, M. Padovani**, Cosa Nostra, Le juge et les "hommes d'honneur", **Paris**, édition n° 1, 1991.
7. **A. Jameson**, Mafia and Institutional Power in Italy, **Londres**, International Relations, 1994.
8. **P. de Arlacchi**, Mafia et Cies; Presses Universitaires de Grenoble, 1986.
9. **Jackie Collins**, Chances, Interdijest, 1993.
10. **G. Carpozi, Jr. Bugsy**: The Bloodthirsty, Lusty Life of Benjamin "Bugsy" Siegel, **New York**, SPI Books, 1973.
11. **S. Sterling**, Pax Mafiosa (Crime without Frontiers), trade D.Lemoine, **Paris**, Robert Laffont, 1994.
12. **Alexander**, The Pizza Connection: Lawyers, Money, Drugs, Mafia, **New York**, Weidenfenfeld & Nicolson, 1988.
13. **Slamus McGray, Paulo Lima, Laura Barnardt**, "Former Mobster, son found hanged" Today's News, 26 May, 1996.
14. **A.W. McCoy**, The Politics of Heroin: CIA Complicity in the Global Drug Trade, **New York**, Lawrence Hill Books, 1991.
15. **Monfreid**, La cargaison enchantée, **Paris**, Grasset, 1994.
16. **Bob Witaneck**, "Mexi cops and Cartels", 13 February, 1996.
17. **M. Arango Jaramillo**, Los Funerales de Antioquia la Grande, **Medellin**, J.-M. 1992.

18. **D. Betancourt, M.L. Garcia**, Contrabandistas, Marimberos y mafiosos, historia Social de la mafia colombiana, **Bogota**, TM Editores, **1994**.

19. **R. Rumrill**, l'Amazonie p̄ruvienne nouveau Vietnam de la drogue, in A. Labrousse, A. Wallon, La planite des drogues: organizations criminelles, drogues et blanchiment, **Paris**, Seuil, **1993**.

20. **F. Cortes**, Rodrigues Gacha - "El Mejicano", **Bogota**, Intermedio Editores, **1993**.

21. **H. Calvo Ospinas**, Don Pablo et ses amis: Pablo escobar et la cocaine connection, **Avers**, EPO, **1994**.

22. **J. N. Hall**, Histoire du crack: йchec de la prohibition, promesses de la p̄vention, in Drogues, politique et sociйtйs, **Paris**, Ed, **1992**.

23. **Douglas Farah**, "Colombian Drug Flow Unabated: Cali-Based Cartel Supplants Medellin", **Washington Post**, **3/9/93**, **A14**.

24. *ორგანიზებული დანაშაულის ენციკლოპედია*, ფრანგულ ენაზე, პარიზი, 1991 წ.

25. **Jeff Leen** "Leader of Cali Cartel Caught", Miami Herald, June **10**, **1995**, p.1. superpuissances du crime: enquete sur le narco-terrorisme, **Paris**, **Plon**, **1993**.

26. **X. Raufer**, Les superpuissances du crime: enquete sur le narco-terrorisme, **Paris**, **Plon**, **1993**.

27. **Handelman**, Comrade Criminal. Russia's new Mafiya., New Haven and London, Yale University Press, **1995**.

28. აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, არალეგალური ნარკოსიტუაცია კოლუმბიაში, მოხსენება ნარკოტიკების შესახებ, დაზვერვის განყოფილება. ნოემბერი, 1993 წ.

29. **F. Kempe**, L'Affaire Noriega, **Paris**, Presses de La Renaissance, **1990**.

30. **James Risen**, "U.S. Aided Colombia Drug Arrest", **Chicago Sun-Times**, June **13**, **1995**.

31. **Peter Eisner**, "Cocaine Trafficker Pablo Esjobar Killed in Colombia" **Newsday**. **Maiami** 3 Desember. **1993**.

32. **M. Booth**, **The Triads: The Chinese Criminal Fraternity**, **London**, Grafton Books, **1990**.

33. **R. Faligot, R. Kauffer**, Kang Sheng et les services secrets chinois (1927-1987), **Paris**, Robert Laffont, **1987**.

34. **G.L. Posner, Triades, La mafia chinoise, Paris, Stock, 1990.**
35. **D. Kaplan, A Dubro, Yakusa: la mafia japonaise, trad. F. Deschodt, Paris, Philippe Picquier, 1990.**
36. აშშ ნარკოტიკებზე კონტროლის სახელმწიფო დეპარტამენტი – სტრატეგიული მოხსენება ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის საკითხებზე, 1993წ.
37. ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია (OGD), ანგარიში ავღანეთში ყაყაჩოს კულტურის შესახებ, ავღანეთი, ფეშავარი, მადერა, 1993წ.
38. **Makhlouf, Culture et trafic de drogue au Liban, Paris, L'Harmattan, 1994.**
39. **P. Dale Scott, J. Marshall, Cocaine Politics, Drug, Armies and the CIA in Central America, Berkeley, Los Angeles, Oxford, University of California Press, 1991. Rodrigues Gacha - "El Mejicano", Bogotn, Intermedio Editores, 1993.**
40. ლობჯანიძე გ. საერთაშორისო ორგანიზაციების დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემები. საგამომცემლო ცენტრი. ქუთაისი, 2002 წ.
41. აშშ იუსტიციის დეპარტამენტი. ტერორიზმის ქსელი. თავდასხმა ცივილიზებულ სამყაროზე. ვაშინგტონი, 2002 წ.
42. **Hertoghe, A. Labrousse, Le Sentier lumineux du Pïrou, un nouvel intñgrisme dans le Tiers Monde, Paris, La Dïcouverte, 1989.**
43. ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი, ორგანიზებული დანაშაული: ეროვნული უსაფრთხოების მსშტაქები, კონფერენციის მასალები, გარმიში, გერმანია, 31 აგვისტო 2 სექტემბერი, 1999 წ.

ნაციონალიზმი

კონვენციები და კანონმდებლობა

თავი I

ძირითადი კონცეპტუალური საფუძვლები

§1. კონვენციათა ვალდებულებები

კონვენციათა წევრ ქვეყნებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი ყოვლისმომცველი, ფუნდამენტური დოკუმენტი უნდა იყოს და მოიცვას ამ პრობლემის ყველა ასპექტი, შესაძლო შემთხვევა და სიტუაცია. იგი დაფუძნებული უნდა იქნეს ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებზე, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის ერთიან კონვენციაზე ნარკოტიკული საშუალებებისა შესახებ, 1971 წლის კონვენციაზე ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ და 1988 წლის კონვენციაზე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.¹

კანონმა უნდა უზრუნველყოს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვით გამოწვეულ კანონდარღვევებზე ადეკვატური და ეფექტური რეაგირება, განსაზღვროს მათი უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულებრივ ქმედებათა გამოვლენისა და აღკვეთის, დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯის იურიდიული საფუძვლები და ამ მიმართებით სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებამოსილება.²

კანონის ზოგად დებულებებსა და ძირითად ცნებებში უნდა აისახოს ზემოდასახელებულ კონვენციათა მთავარი ფუნდამენტური მოთხოვნები, კერძოდ, არ უნდა დაწესდეს უფრო მსუბუქი სანქციები, ვიდრე ამ დოკუმენტებით არის განსაზღვრული; ხოლო 1961 წლის კონვენციის 39-ე, 1971 წლის კონვენციის 23-ე და 1988 წლის კონვენციის 24-ე მუხლების მიხედვით სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ უფრო მკაცრი ან განსაკუთრებით მკაცრი ზომების დაწესება, რაც, მათი აზრით აუცილებელია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დასაცავად, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.³

§2. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების კლასიფიკაცია

კანონის ფუნდამენტური საფუძველი უნდა გახდეს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების ზუსტი კლასიფიკაცია, რომელიც 1961 და 1971 წლების კონვენციათა თანდართულ 4 ნუსხაშია მოცემული. უმთავრესი კი ჩამოთვლილ ნივთიერებათა და საშუალებების *სწორი და ეფექტური კონტროლია*, რომლის განხორციელების მექანიზმი ასახულია 1961 წლის კონვენციის მე-2 მუხლის პირველ, მე-2, მე-5 პუნქტებსა და 1971 წლის კონვენციის მე-2 მუხლში.⁴

გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სახელმწიფოებს უფლება აქვთ სხვა ახალი ნივთიერებები ზემოდასახელებული კონვენციების თანდართულ ნუსხებში შეიტანონ. ნარკოტიკული საშუალებების ამ კლასიფიკაციაში მოსახსენიებლად საკმარისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკების კომისიის თავმჯდომარის დასტური, ხოლო თუ საკითხი ფსიქოტროპულ ნივთიერებებს ეხება, იგი ცნობის მიღებიდან 180 დღის შემდეგ დაუიქსირდება (1961 წლის კონვენციის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი და 1971 წლის კონვენციის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი).⁵

აღნიშნული მექანიზმი ნარკოტიკების არალეგალურ ბაზარზე სრულიად ახალი, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში, მანამდე უცნობი საშუალებების გამოჩენისას, რომელთაც ნარკოტიკებს შეკვეთით ან ანალოგებს უწოდებენ და რომლებსაც პერიოდულად არაკეთილსინდისიერი მეცნიერები და მკვლევარები ქმნიან, მათი ოპერატიული კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალი ნივთიერებები თითქმის ყოველთვის უფრო ძლიერი ნარკოტიკული ეფექტის მქონეა, ვიდრე მათი წინამორბედნი, ხოლო მოლეკულური სტრუქტურა დიდად არ განსხვავდება იმ ნივთიერებათაგან, რომელთა კვლავწარმოებასაც ისინი ახორციელებენ. ამ შემთხვევაში ყველაზე საზიფათო ის არის, რომ ასეთი ახალი ნივთიერებები გარკვეული პერიოდით ყოველგვარ კონტროლს მიღმა არიან დარჩენილი, რადგან საერთაშორისო კონვენციებითა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით მათი საერთაშორისო დასახელების კლასიფიცირება ხდება სახელწოდების წარმომავლობის ან ქიმიური ფორმულის საფუძველზე, რომლის უფლებას 1961 წლის კონვენციის მე-3 მუხლი, 1971 წლის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და 1988 წლის კონვენციის მე-12 მუხლის 2-7 პუნქტები იძლევა.

საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნით ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების ბრუნვის მოწესრიგების მიზნით ქვეყნის ხელისუფლება მოვალეა შექმნას შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს როგორც ნარკოტიკული

საკონსულტაციო პროექტი

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეპარატების, აბრეშვი მათი საფრისი ნივთიერებაების კლასიფიკაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამა

ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები

პრეკურსორები (ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა დასამზადებლად)

ნივთიერება, რომელთა ბირთვად გამოიყენება იწვევს განსაკუთრებით მძიმე შედეგებს

ნივთიერებები, რომელთა ბირთვად გამოიყენება იწვევს მძიმე შედეგებს

I ცხრილი ნივთიერებები, რომლებიც არ გამოიყენება მედიცინაში	II ცხრილი ნივთიერებები, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია მედიცინაში	III ცხრილი	IV ცხრილი
<p>1. ნარკოტიკული საშუალებები, რომლებიც ჩამოთვლილია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის კონვენციის IV ნუსხაში და ფსიქოტროპული ნივთიერებები, რომლებიც ჩამოთვლილია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ 1971 წლის კონვენციის I ნუსხაში;</p> <p>2. აუცილებლობის შემთხვევაში ნივთიერებები, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოთ დასახელებულ კონვენციათა სხვა ნუსხებში და სივრცეში;</p> <p>3. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა ნივთიერებები.</p>	<p>1. ნარკოტიკული საშუალებები, რომლებიც ჩამოთვლილია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის კონვენციის I* და II სივრცეში;</p> <p>2. ფსიქოტროპული ნივთიერებები, რომლებიც ჩამოთვლილია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ 1971 წლის კონვენციის II ნუსხაში;</p> <p>3. აუცილებლობის შემთხვევაში ნივთიერებები, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოთ დასახელებული კონვენციების დანარჩენ ნუსხებში და სივრცეში, ამ კლასიფიკაციის I ცხრილში ჩამოთვლილ ნივთიერებათა გამოკლებით;</p> <p>4. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა ნივთიერებები.</p>	<p>1. პრეკურსორები, რომლებიც ჩამოთვლილია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ 1961 წლის კონვენციის III ნუსხაში;</p> <p>2. ფსიქოტროპული საშუალებები, რომლებიც ჩამოთვლილია ფსიქოტროპულ საშუალებათა შესახებ 1971 წლის კონვენციის III და IV ნუსხებში;</p> <p>3. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა საშუალებები.</p>	<p>1. ნივთიერებები, რომლებიც ჩამოთვლილია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ პარიზის შესახებ 1988 წლის კონვენციის I და II ნუსხებში;</p> <p>2. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა დასამზადებლად.</p>
	<p>ჯგუფი A: ნივთიერებები და მელიკამენტები, რომლებიც 7 დღეზე მეტი ხნით არ ინიშნება.</p> <p>ჯგუფი B: ნივთიერებები და მელიკამენტები, რომლებიც 16 დღეზე მეტი ხნით არ ინიშნება.</p>	<p>ჯგუფი A: ნივთიერებები და მელიკამენტები, რომელთა გაცემის განახლება არასდროს რეკომენდებულია პირის წერილობითი ნებაზე დასყდნით.</p> <p>ჯგუფი B: ნივთიერებები და მელიკამენტები, რომელთა ხელახლა გაცემა შესაძლებელია, გარდა რეკომენდებული პირის სხვა მითითებისა.</p>	
<p>მეცხრე სახელი უკანონო ბრუნვის შემთხვევაში</p>	<p>სასჯელი უკანონო ბრუნვის შემთხვევაში</p>	<p>იფუნდო სახელი უკანონო ბრუნვის შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია I და II ცხრილებში ჩამოთვლილ ნივთიერებებისათვის.</p>	

სისხლის სამართლის დასჯის სიმძიმე შენაზღვიანების პირადი მოხმარების მიზნით

*IV ცხრილში ჩამოთვლილ ნივთიერებათა გამოკლებით

საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა წარმოებას, ასევე მათ დასამზადებელ და კონტროლზე აყვანილ ნივთიერებებს.

ეს ორგანო ვალდებულია სათანადო ნორმატიული აქტების საფუძველზე ცალ-ცალკე განსაზღვროს შესაბამისი ნარკოტიკული თვისებების მქონე მცენარეთა, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების ნუსხა და მოახდინოს მათი *შიდაეროვნული კლასიფიკაცია*, ასევე მათ დასამზადებლად გამოყენებული კომპონენტების *წარმოების, მოვლის, გადაზიდვის, გადავზენის, გამოშვების, ყიდვის, შეფასების, შექმნის, მოხმარების, განადგურების, იმპორტ-ექსპორტის პირობები და წესები*, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების ბრუნვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა - შენახვის წესებიც.

კონვენციით გათვალისწინებული კლასიფიკაციით ნარკოტიკები მ ნუსხაშია შეტანილი: 1961 და 1971 წლების კონვენციებს თითოეულს თან ერთვის ოთხ-ოთხი ნუსხა. ევროპაში დღესმოქმედი კანონმდებლობით ტიპურია ნივთიერებათა 3 ცხრილში შეტანა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპულ ნივთიერებათა საერთაშორისო კლასიფიკაციას მკაცრი კონცეპტუალური საფუძველი არ გააჩნია; არაიშვიათად ფსიქოტროპულ ნივთიერებათა იურიდიული კლასიფიკაცია სავსებით იდენტურია ნარკოტიკული საშუალებებისა და ხშირ შემთხვევაში პირიქითაც.

გარდა ამისა, საერთაშორისო კლასიფიკაციის საფუძველს არ წარმოადგენს შესაბამისი ნივთიერების სოციალური და სამედიცინო საშიშროება: ნივთიერება, რომელიც მხოლოდ სუსტ ნარკოტიკულ დამოკიდებულებას იწვევს მიეკუთვნება ფსიქოტროპულ საშუალებებს, ხოლო ძლიერმოქმედი ნივთიერება, რომელიც ნარკომანიას იწვევს – ნარკოტიკულ ნივთიერებებს.

ამასთან ერთად, ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, ნარკოტიკებზე კანონიერი კონტროლის რეჟიმის სიმკაცრე განისაზღვრება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შესაბამისი ნივთიერების ზემოქმედების პოტენციური საშიშროებით და იმის გათვალისწინებით, გამოიყენება თუ არა შესაბამისი ნივთიერება მედიცინაში.⁶

ამრიგად, ევროპულ კანონმდებლობაში მიღებულია ნარკოტიკების კლასიფიკაციის *3 ცხრილი*, ხოლო IV ცხრილში მოცემულია პრეკურსორები – ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა დასამზადებლად გამოყენებული ნივთიერებები.

I ცხრილი: აკრძალული ნივთიერებები, რომლებიც სამედიცინო მიზნებისათვის ინტერესს არ წარმოადგენს. ლაპარაკია ნივთიერებებზე, რომლებიც შეტანილია 1961 წლის კონვენციის IV ნუსხაში (ჰეროინი, კანაბისი) და 1971 წლის კონვენციის I ნუსხაში (ლსლ და ანალოგები). ეს საშიში ნარკოტიკები,

რომლებიც სამედიცინო დანიშნულებით არ გამოიყენება უპირობოდ უნდა აიკრძალოს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დღეს ჯანმრთელობის დაცვისა და სამართალდამცავი ორგანოები განიხილავენ 1961 წლის კონვენციის I ნუსხაში ჩამოთვლილი მრავალი ნივთიერების მოცემული კლასიფიკაციის I ცხრილში შეტანის მიზანშეწონილობას. ეს ნივთიერებანი არასდროს გამოიყენებოდა ან აღარ გამოიყენება მედიცინაში, მრეწველობაში და ნუსხაში შეიტანეს 30 წელზე მეტი ხნის წინ მომავალში სავარაუდო სარგებლობის გათვალისწინებით. ამ აზრის მომხრენი ამტკიცებენ, რომ აღნიშნული გაამარტივებდა ეროვნული კლასიფიკაციის II ცხრილს და გააადვილებდა მის სარგებლობას.

თუ მომავალში დადასტურდება ამ ნივთიერებებით სარგებლობის საჭიროება, ყოველთვის შეიძლება მათი I ცხრილიდან II-ში გადატანა;

II ცხრილი: მცენარეები და ნივთიერებები, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებულ პოტენციურ საშიშროებას და სამედიცინო მიზნებით გამოყენების ინტერესს წარმოადგენენ 1961 წლის კონვენციის I და II ნუსხებშია შეტანილი. მაგალითად, *მორფინი* და აგრეთვე ზოგი ნივთიერება, რომლებიც 1971 წლის კონვენციის II ნუსხაშია შეტანილი (*ამფეტამინი, ზოგიერთი ბარბიტურატი*). მათი წარმოება და კერძო პირებზე გაცემა მკაცრი კონტროლის რეჟიმის საფუძველზე უნდა მოწესრიგდეს.

III ცხრილი: ნივთიერებები, რომლებიც უმნიშვნელო პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს და ხშირად გამოიყენება სამედიცინო მიზნით. ისინი მოხსენიებულია 1971 წლის კონვენციის III და IV ნუსხებში (*სუსტად მოქმედი ბარბიტურატები, ბენზოდიზეპინი*). მათი კერძო პირებზე გაცემა შეიძლება არ დაექვემდებაროს განსაკუთრებული მკაცრი კონტროლის რეჟიმს.

მოცემულ კლასიფიკაციაში, II და III ცხრილებში ნივთიერებათა ორ ჯგუფად დაყოფა რეცეპტების გამოწერისა და კერძო პირებზე ფარმაცევტული პრეპარატების გაცემის დროს ვარკვეულ ნივთიერებებზე ნაკლებად მკაცრი მოთხოვნების, დაწესების საშუალებას იძლევა, რადგან ისინი ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე ამ ცხრილებში შეტანილი უმეტესი ნივთიერება.

მნიშვნელოვანია, რომ ცხრილები რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა შედგეს და შეივსოს, რათა ნებისმიერ ახალ ნივთიერებაზე, რომელმაც შეიძლება ნარკომანია გამოიწვიოს, მისი ბაზარზე გამოჩენისთანავე კონტროლი უნდა დაწესდეს. შესაბამისად თითოეული ქვეყნისათვის ამ მიზნით ისეთი ორგანოს შექმნა საჭირო, რომელსაც ოპერატიულ გადაწყვეტილებათა მიღების საშუალება ექნება.

რეკომენდაციის ან შესაბამისი დასკვნის საფუძველზე ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება საბჭოსა ან კომისიის (მაგალითად, *ფარმაციის უმაღლესი საბჭოს, სამკურნალო პრეპარატების უმაღლესი საბჭოს, ნარკოტიკული*

საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ეროვნული კომისიის და ა.შ.) მიერ იქნეს მიღებული.

ასევე სახელმწიფოს შესაბამის ოფიციალურ გამოცემაში გათვალისწინებულია ინფორმაციის გამოქვეყნება ასეთი ნარკოტიკული ნივთიერების სათანადო ცხრილებში შეტანის, ამოღების ან გადატანის შესახებ.

ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია შეადგინოს, შეავსოს ან შეცვალოს ცხრილები, კონვენციის იმპერატიული დებულებების შესაბამისად არ შეუძლია ამ კონვენციებით გათვალისწინებული რაიმე ნივთიერება ამა თუ იმ ეროვნულ ცხრილში მოიხსენიოს, თუ ამ ცხრილში შესულ ნივთიერებებზე მოცემული ნივთიერებისათვის კონვენციაში დადგენილ რეჟიმთან შედარებით ნაკლებად მკაცრი რეჟიმი ვრცელდება. ამავე დროს, 1961 წლის კონვენციის მე-39 მუხლის, 1971 წლის კონვენციის 23-ე მუხლისა და 1988 წლის კონვენციის 24-ე მუხლის უკვე მოხსენიებული დებულებების თანახმად, სახელმწიფოებმა შეიძლება ნივთიერება ეროვნულ ცხრილში გაითვალისწინონ, თუ კონვენციებით ამ ცხრილში უკვე არსებულ ნივთიერებებზე, მოცემული ნივთიერებებისათვის დადგენილ რეჟიმთან შედარებით, უფრო მკაცრი რეჟიმი ვრცელდება.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ორგანოებს თავის შეხედულებისამებრ ცხრილში შეუძლიათ მოიხსენიონ ნივთიერებები, რომლებიც არც ერთ კონვენციაში არ არის კლასიფიცირებული.

მცენარეთა და ნივთიერებათა ნუსხებში ასახვა საერთაშორისო დაურეგისტრირებელი სახელწოდებებით, ან მათი არქონის შემთხვევაში კომერციული ან მეცნიერული სახელწოდებებით, საშუალებას იძლევა გამოვიციხოთ შეუსაბამობა და უწესრიგობა, უპირველეს ყოვლისა, ამ ნივთიერებების ექსპორტ-იმპორტის დროს.

უმნიშვნელოვანესი ცხრილებსა და ნუსხებში მოცემული პრეპარატებისათვის რეჟიმის განსაზღვრა. კონვენციები გვიაძლევენ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას. კომენტარებში მითითებულია, რომ მათზე ისეთივე კანონი ვრცელდება, როგორც ნივთიერებებზე, რომლებსაც ისინი შეიცავენ. ეს პრინციპი გამომდინარეობს 1961 წლის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტიებიდან და 1971 წლის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდან.

სხვა საქმეა, როდესაც პრეპარატი ორი ან მეტი ნივთიერებისაგან შედგება და მათთვის სხვადასხვა რეჟიმი დადგენილი. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება იმ ნივთიერებაზე განხორციელებული რეჟიმი, რომელიც უფრო მკაცრ კონტროლს ექვემდებარება – 1971 წლის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მეორე ნაწილი.

დღეს მოქმედი საერთაშორისო პრაქტიკით ყველა პრეპარატზე ვრცელდება მათი შემადგენელი ნივთიერებების მიმართ გათვალისწინებული რეჟიმი, თუმცა კონვენციებში ამ პრინციპიდან გამონაკლისებიცაა დაშვებული. ეს გამონაკლისები

1961 და 1971 წლების კონვენციათა მრავალ მუხლშია გათვალისწინებული, ხოლო განსხვავება კონვენციებისა და შესაბამისი პრეპარატის შემადგენელი ნივთიერებიდან გამომდინარეობს. ამიტომ ნარკოტიკების შესახებ კანონმდებლობაში მისი საგრძნობი გართულების გარეშე ამ გამოწვევის გათვალისწინება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ევროპულ კანონმდებლობაში დღეს გავრცელებულმა პრაქტიკამ ზოგიერთი პრეპარატის შესაძლებელი გამორიცხვის საკითხის გადაწყვეტა ცხრილების შემდგენელ უფლებამოსილ ორგანოს მიანდო.

ამასთან, პრაქტიკაში ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება თანაბრად საშიშია, რის გამოც ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველ პრეპარატებზე ორმაგი პირობა ვრცელდება, რომელიც 1971 წლის კონვენციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტშია გათვალისწინებული და რომელიც უნდა შესრულდეს, რათა შესაძლებელი გახდეს ამა თუ იმ პრეპარატის კონტროლის ზოგიერთი გავლენის სფეროდან გამორიცხვა. ეს დებულება მოითხოვს, რომ:

– მოცემულ პრეპარატს ისეთი შემადგენლობა უნდა ჰქონდეს, რათა არ არსებობდეს მისი ბოროტად გამოყენების რისკი ან იგი ძალზედ უმნიშვნელო იყოს;

– ნივთიერება ან ნივთიერებები, რომლებსაც პრეპარატი შეიცავს, იოლად ვერ უნდა გამოყონ, რაც მის ბოროტად გამოყენების აღკვეთას შეუწყობს ხელს.

§3. ცხრილებში მოცემულ მცენარეთა კულტივირების აკრძალვა

კანონშემოქმედებითი საქმიანობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული კლასიფიკაციის I ცხრილში გათვალისწინებულ მცენარეებთან და ნივთიერებებთან დაკავშირებული ნებისმიერი აკრძალვები მოიცავს 1961 წლის კონვენციის IV ნუსხაში ჩამოთვლილ ნარკოტიკულსა და 1971 წლის კონვენციის პირველ ნუსხაში ჩამოთვლილ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს.⁷

ასეთი ნივთიერებების, მათ შორის კანაფის, ბოროტად გამოყენება განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს. უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთი ამ ნივთიერებათაგანი სამედიცინო მიზნით არ გამოიყენება.

გარდა ამისა, 1961 წლის კონვენციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი გვთავაზობს ამ კონვენციის IV ნუსხაში გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვას, ხოლო ამ მუხლის ოფიციალური კომენტარები (გვ. 62 და მომდევნო გვერდები) დაბეჭდვით მოითხოვს მათს აკრძალვას. 1971 წლის კონვენციის მე-7 მუხლის (ა) პუნქტის შესაბამისად სახელმწიფოებს ეკრძალებათ დაუშვან ამ

კონვენციის I ნუსხაში გათვალისწინებულ ნივთიერებათა ყოველგვარი გამოყენება, გარდა სამეცნიერო და ერთობ შეზღუდული სამედიცინო მიზნისა.⁸

უნდა გვახსოვდეს, რომ 1961 წლის კონვენცია პრაქტიკულად ყველა ქვეყანას ავალდებულებს აკრძალოს *ოპიუმის ყაყაჩოს, კოკას ბუჩქისა და კანაფის* კულტივირება.

ასე მაგალითად, ამ კონვენციის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის (g) ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ *ოპიუმის ყაყაჩოს, კოკას, კანაფის ფოთლებისა და კანაფის ზეთის* არასამედიცინო დანიშნულებით წარმოება უნდა შემცირდეს და საბოლოო ვაპში აიკრძალოს.

ამავე კონვენციის 22-ე მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს აკრძალოს ზემოდასახელებული სამი მცენარის *კულტივირება* და *გაანადგურონ მათი ნათესები* – პლანტაციები. ასე რომ, ამ მცენარეთა კულტივირების აკრძალვა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სამი ნარკოტიკული საშუალების (პაშიში, პერონი, კოკაინი) მოხმარების აღკვეთის ან გავრცელების შეჩერების ეფექტური საშუალებაა.

ამასთან, 1988 წლის კონვენციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ამ მცენარეებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებისას დაცული უნდა იყოს ადამიანის ძირითადი უფლებები და გათვალისწინებული მცენარეთა გამოყენების ისტორიული ფაქტორებით დადასტურებული ტრადიცია.

§4. საერთაშორისო ვაჭრობა და საგანგებო დებულებები

ყველა სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოსაც, მოუწევს აწარმოოს *საერთაშორისო ვაჭრობა* სამედიცინო თუ მეცნიერული თვალსაზრისით საჭირო ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შესყიდვის მიზნით. ეს პროცესი კონვენციითა და დებულებებით არის რეგლამენტირებული და მასში შესაბამისი მექანიზმებია გათვალისწინებული.

1961 წლის კონვენციის 31-ე და 1971 წლის კონვენციის მე-12 მუხლებში, რომლებიც საკმაოდ ვრცელია, ასევე 1988 წლის კონვენციის მე-16 და მე-18 მუხლების დებულებებში მითითებულია როგორც ნარკოტიკული საშუალებები, ისე ფსიქოტროპული ნივთიერებები.

ამასთან ერთად, 1971 წლის კონვენციის მე-12 მუხლის მოქმედების სფერო არ ვრცელდება ამ კონვენციის III და IV ნუსხებში ჩამოთვლილ ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე (შესაბამისად, ეროვნული კლასიფიკაციების III ცხრილი).

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და მისი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილ 1987 წლის კონფერენციაზე *ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი*

ორგანიზაციის შესახებ, ყველა სახელმწიფოსადმი მიიღეს მოწოდება 1971 წლის კონვენციის მე-12 მუხლის ფსიქოტროპულ ნივთიერებათა საერთაშორისო ვაჭრობაზე გავრცელების თაობაზე.

1961 წლის კონვენციის 31-ე მუხლი საერთაშორისო ვაჭრობას ეხება. ამ მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ ქვეყნები ლიცენზირების საშუალებით ნარკოტიკული საშუალებების იმპორტსა და ექსპორტს აკონტროლებენ. ანალოგიურად, 1971 წლის კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი სახელმწიფოებს ავალებს, რომ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობა ლიცენზიებით ან კონტროლის სხვა ანალოგიური საშუალებების გამოყენებით განხორციელდეს.

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს 1961 წლის კონვენციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის მოწოდება, რომ ყოველი საექსპორტო და საიმპორტო გარიგება ცალკეული საგანგებო ნებართვით უნდა მოხდეს და 1971 წლის კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად უნდა გაფორმდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკული ნივთიერებების კომისიის მიერ დაწესებულ ბლანკზე.

1961 წლის კონვენციის ოფიციალური კომენტარები (გვ. 344), რომელზეც 1971 წლის კონვენციაც მიუთითებს (გვ. 252), აზუსტებს, რომ დაუშვებელია ექსპორტსა და იმპორტზე ნებართვის გადაცემა სხვა პირზე.

1961 წლის კონვენციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტი და 1971 წლის კონვენციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტი განსაზღვრავს ქვეყანაში ტვირთების გატანა - შემოტანისას მათ აუცილებელ დაკავებას, თუ თან არ ერთვის ექსპორტზე შესაბამისი ნებართვა.

1961 წლის კონვენციის ოფიციალურ კომენტარებში (გვ. 359 და მომდევნო გვერდები) და 1971 წლის კონვენციის ოფიციალურ კომენტარებში (გვ. 268 და 269) აღნიშნულია, რომ ტვირთების დაკავებას შეიძლება დროებითი ხასიათი ჰქონდეს და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დაველოდოთ გამოძიების დასრულებას. აქ იგულისხმება გამოძიება, რომელიც ტვირთების გადაზიდვის კანონიერებას ან ექსპორტზე ნებართვას ეხება. ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტი შეიძლება გადაზიდვისას დაკარგულიყო ან გადამზიდს იგი დათქმულ ვადაში ვერ მიეღო. გარდა ამისა, ძნელი წარმოსადგენია ისეთი შემთხვევა, როცა სახელმწიფო განუსაზღვრელად დიდი ხნით დააკავებს ტვირთს, რომელიც დროთა განმავლობაში უვარგისი გახდება. ამიტომ თუ გარკვეულ პერიოდში ტვირთის კანონიერება არ ან ვერ დგინდება, აუცილებელია სასამართლოსადმი მიმართვა. იგი განსაზღვრავს ტვირთის შემდგომ ბედს და აუცილებლობის შემთხვევაში მიიღებს დადგენილებას სახელმწიფოს სასარგებლოდ მისი კონფისკაციის თაობაზე.

§5. თავისუფალი პორტები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები

თავისი პრაქტიკული ინტერესებით უდავოდ საგულისხმოა კონვენციითა დებულებები, რომლებიც სახელმწიფო ტერიტორიებზე *ტვირთების სატრანზიტო გადაზიდვებს* აწესრიგებს.

ბევრი სახელმწიფო დღეს დაადგა ასეთ გზას. ისინი თავიანთ ტერიტორიაზე კრძალავენ საკონტროლო ნივთიერებების გადატანას. მიჩნეულია, რომ ასეთი აკრძალვა ტრანზიტის ქვეყანაში ამგვარი ტვირთების უკანონო ბრუნვაში *გაჟონვის* შესაძლო რისკის თავიდან აცილების ყველაზე *კარგი* საშუალებაა.

ასეთ პოზიციას ასახავს 1961 წლის კონვენციის 31-ე *მუხლის* მე-11 *პუნქტი*. იმავე კონვენციის ოფიციალურ კომენტარებში (გვ. 363), რომელსაც ეყრდნობა 1971 წლის კონვენციის ოფიციალური კომენტარები (გვ. 271) აღნიშნულია, რომ საკონტროლო ნივთიერებების გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით არსებული რეჟიმი გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ასეთი ტვირთების *მწარმოებელსა და დანიშნულების* ქვეყნებს. ყოველი ტვირთის გამგზავნი ქვეყანა ვალდებულია *წინასწარ* უსათუოდ *შეატყობინოს* ტვირთის მიმღებ ქვეყანას, რათა ამ უკანასკნელმა დროულად აცნობოს თავის საბაჟო საგუშაგოებს, რომელთა გავლითაც ტვირთმა უნდა იმოძრაოს. ამასთან ერთად, ტვირთის ექსპორტს აუცილებლად თან უნდა ახლდეს ნებართვის *მეორე* პირი. თუმცა ტრანზიტის ქვეყანას ტვირთზე სრული წარმოდგენა მანამდე ვერ შეექმნება, სანამ ტვირთი მის ტერიტორიაზე არ აღმოჩნდება. 1961 და 1971 წლების კონვენციებში მოცემულია ამ საკითხების მომწესრიგებელი მთელი რიგი სხვა შესაბამისი დებულებებიც.

ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს *საჰაერო ტრანსპორტით* ტვირთების გადაზიდვის სწორ ორგანიზაციასა და კონტროლს. შესაბამისი დებულებები ასახულია 1961 წლის კონვენციის 31-ე *მუხლის* მე-14 *პუნქტსა* და 1971 წლის კონვენციის მე-12 *მუხლის* მე-3 *პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში*.

სრულიად ნათელი მიზეზების გამო შესაძლებელია საჰაერო გადაზიდვებით სახელმწიფოებმა *დიდი ზარალი* ნახონ, თუ მათ კონტროლის მიზნით საჰაერო სივრცეში ფრენისას ყველა ტრანზიტული თვითმფრინავის დაჯდომა დაევალებათ, მათ შორის იმათიც, რომელთაც საამისო მიზანი არ გააჩნიათ. *ჩვენი აზრით, ასეთი მოთხოვნა არაეფექტური იქნება, რადგან ტვირთები ისედაც ისინჯება როგორც თვითმფრინავის აფრენის, ისე დაფრენის ქვეყნებში*.

ამასთან, *გაჟონვის რისკი* განსაკუთრებით *მატულობს* იმ შემთხვევაში, როდესაც თვითმფრინავი ჯდება ტრანზიტული ქვეყნის ტერიტორიაზე. ამიტომ, როცა თვითმფრინავით ნარკოტიკების პარტია გადაიზიდება და არსებობს კიდევ საამისო სიგნალი, აუცილებელია გარკვეულ ღონისძიებათა განხორციელება.

1961 წლის კონვენციის ოფიციალურ კომენტარებში (გვ. 370), რომელზეც 1971 წლის კონვენციის ოფიციალური კომენტარებიც (გვ. 277) მიუთითებს, რეკომენდებულია, რომ თვითმფრინავის ნებისმიერი დაფრენა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცეს მიუხედავად იმისა, გამოწვეულია ტვირთების გადაზიდვით, წინასწარ გამიზნული დაფრენით, თუ *იძულებითაა* განპირობებული. კონტროლი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს, თუ არსებობს სათანადო მონაცემები იმის შესახებ, რომ თვითმფრინავის ქიმზე მოთავსებული საკონტროლო ნივთიერებების ტვირთი გადაიზიდება კონვენციათა იმ მოთხოვნების *დარღვევით*, რომლებიც ასეთი ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობას არეგულირებენ; უფრო მეტიც, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ კონტროლის ასეთი საშუალებები უკანონო ბრუნვის გამოვლენას შეუწყობს ხელს ან, თუ ნივთიერებები დანიშნულების საბოლოო პუნქტში მიტანის მიზნით თვითმფრინავში ან სხვა სახის ტრანსპორტში უნდა გადატვირთულიყო.

საქართველოსთვის მომავალში დიდი მნიშვნელობა ექნება თავისუფალ პორტებსა და თავისუფალი ვაჭრობის ზონებში სათანადო კონტროლის განხორციელებას, რომელიც 1961 წლის კონვენციის 31-ე *მუხლის* მე-2 *პუნქტითა* და 1971 წლის კონვენციის მე-12 *მუხლის* მე-3 *პუნქტის (ა) ქვეპუნქტითაა* განსაზღვრული. არ უნდა დაგვავიწყდეს ამ *ორ მუხლში* გათვალისწინებული დებულება, რომელიც სხვა ტერიტორიებთან შედარებით თავისუფალ პორტებსა და თავისუფალი ვაჭრობის ზონებში სახელმწიფოთა მიერ *უფრო მკაცრი* ზომების გატარების შესაძლებლობას იძლევა.

ასეთივე მოთხოვნას იმეორებს 1988 წლის კონვენციის მე-18 *მუხლი*. გარდა ამისა, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ყველა იმ პირის, ეკიპაჟის წევრებისა და ტვირთების გულდასმითი შემოწმება, რომლებიც თვითმფრინავით, გემით ან ტრანსპორტის სხვა საშუალებებით შემოდიან ამ ზონებსა და პორტებში, ან ტოვებენ მათ.

§6. საცალო ვაჭრობისა და მათი განაწილების მომწესრიგებელი ღონისძიებანი

აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა *საცალო* ვაჭრობისა და განაწილების სწორ სამართლებრივ უზრუნველყოფას. ამ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია 1961 წლის კონვენციის 30-ე *მუხლის* მე-2 *პუნქტის (b), (i) ქვეპუნქტები* და 1971 წლის კონვენციის მე-8 *მუხლის* პირველი *პუნქტი*. მათში აღნიშნული მუხლები სახელმწიფოებს ავალდებულებენ, რომ საკონტროლო ნივთიერებები ცალკეულ პირებზე მხოლოდ და მხოლოდ რეცეპტებით გასცენ (ან მიაწოდონ). თუმცა შესაბამისმა ორგანოებმა უნდა იცოდნენ, რომ 1971 წლის

კონვენციის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი იმ განსაკუთრებულ შემთხვევებსაც ითვალისწინებს, როდესაც ავადმყოფს სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეუძლია მიმართოს ექიმს რეცეპტის მისაღებად. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ორგანო გამოსცემს აქტს, რომელიც ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე (ან მის გარკვეულ ნაწილში) ფარმაცევტებსა და სხვა უფლებამოსილ პირებს ნებას დართავს ურეცეპტოდ გასცენ ფარმაცევტული პრეპარატების მცირე დოზები (მაგალითად, როდესაც დასახლებულ პუნქტში ექიმთა გაცილებით ნაკლები რაოდენობაა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით).

1961 წლის კონვენცია არ შეიცავს ანალოგიურ დათქმას, რის გამოც კომპეტენტურ ორგანოებს მოხსენიებულ მდგომარეობაში ეკრძალებათ ავადმყოფზე ნარკოტიკის გაცემა.

1961 და 1971 წლების კონვენციათა კომენტარებში ასახულია ექიმის მიერ რეცეპტის გაცემის პრაქტიკა და საამისოდ საჭირო სხვა აუცილებელი ქმედებები (შესაბამისად 200, 324 და მომდევნო გვერდები).

§7. საგანგებო დებულებები მეორე ცხრილში ჩამოთვლილი პრეპარატების გამოყენების შესახებ

1961 წლის კონვენციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის (b) (ii) ქვეპუნქტებში მითითებულია, რომ თუ სახელმწიფოები საჭიროდ ან სასურველად მიიჩნევენ, ისინი ითხოვენ, რომ I ნუსხაში (ან ტიპური ეროვნული კლასიფიკაციის II ცხრილში) ჩართულ ნარკოტიკულ ნივთიერებებზე რეცეპტები გამოიწეროს ყუიანი წიგნაკების ოფიციალურ ბლანკებზე, რომლებიც კომპეტენტური ორგანოების ან ამაზე რწმუნებული პროფესიული ასოციაციების მიერ არის გამოშვებული.

აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდება ყველა ნებადართულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, თუმცა 1961 წლის კონვენციის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტში დაზუსტებულია, რომ ის შეიძლება არ გავრცელდეს ამავე კონვენციის II ნუსხაში შეტანილ ნარკოტიკულ ნივთიერებებზე. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე ტიპური ევროპული კლასიფიკაციის II ცხრილში შეტანილ ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე. ამ ცხრილში ჩართული ყველა ნარკოტიკული საშუალებებისა და ყველა ფსიქოტროპული ნივთიერების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხე საკვებით ამართლებს მათ დანიშნასთან დაკავშირებულ ასეთი ფორმალობის დაცვის მოთხოვნებს.

ამის გარდა, 1971 წლის კონვენციის ოფიციალურ კომენტარებში (გვ. 209) რეკომენდირებულია ყუიანი წიგნაკების გამოყენება ყველაზე საშიში ფსიქოტროპული ნივთიერებების დანიშნის დროსაც.

1961 წლის კონვენციის ოფიციალურ კომენტარებში (გვ. 327)

რეკომენდირებულია, რომ ყუიანი წიგნაკები შეიცავდნენ ორი ნაწილისაგან შემდგარ რეკეპტების ბლანკებს: პირველი ნაწილი რჩება რეკეპტის გამომწერ ექიმთან, ხოლო მეორე ეძლევა ავადმყოფს. ამასთან ექიმს მასთან დარჩენილ ნაწილზე გადააქვს ავადმყოფისთვის მიცემულ რეკეპტში ნაჩვენები ძირითადი მონაცემები.

ამავე კომენტარებში აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1956 წელს ჩატარებული გამოკვლევა იძლევა იმ დასკვნების გაკეთების საშუალებას, რომ მიღებული შედეგების მიხედვით ოფიციალური ბლანკების სისტემამ გაამართლა.

დაბოლოს, 1961 წლის კონვენციის 34-ე მუხლის (b) პუნქტით დადგენილია ასეთი ყუების არა ნაკლებ ორი წლის განმავლობაში სავალდებულო შენახვა.

§8. საბანგეო დეზულებები მისამე ცხრილში ჩამოთვლილი პრეპარატების გამოყენების შესახებ

1971 წლის კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოებს თავაზობს ისეთი ზომების მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს რეკეპტებით ფსიქოტროპული ნივთიერებების გაცემას მიღებული სამედიცინო პრაქტიკის შესაბამისად და დაექვემდებარება ისეთ რეგლამენტირებას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, კეთილდღეობას და კონკრეტულად შეეხება მათი შესაძლო ხელმეორედ გამოყენების რაოდენობასა და მოქმედების ვადას.

ამ მუხლის ოფიციალურ კომენტარებში (გვ. 215) რეკომენდებულია, რომ სახელმწიფოებმა მისი მოქმედება გააერცელონ ნარკოტიკულ საშუალებებზეც. ამავე ოფიციალურ კომენტარებში, არც თუ უსაფუძვლოდ აღნიშნულია, რომ ალბათ შეუძლებელია ყველა ნივთიერებისა და ყველა ქვეყნისათვის განისაზღვროს შეზღუდვათა ხასიათი რეკეპტების განახლებისა და მოქმედების ვადის, აგრეთვე ერთი რეკეპტით მაქსიმალური ვასკეები ოდენობის მიმართ. სრულიად შესაძლებელია, რომ ასეთი ზომები დამოკიდებული იყოს არა მარტო ნივთიერებების ნაირსახეობაზე, არამედ იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში იყენებენ მათ. ევროპული პრაქტიკით გათვალისწინებულია, რომ ყველა ქვეყანაში ფარმაცევტული პრეპარატების სია, რომელთა რეკეპტების განახლება შესაძლებელია, უნდა დამტკიცდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

მეორეს მხრივ, თუმცა რეკეპტების ხელმეორედ გამოყენების შეზღუდვა იძლევა ფარმაცევტული პრეპარატების გამოყენების ყველაზე ეფექტურად გაკონტროლების საშუალებას, ის ართულებს მედიცინის მუშაკთა საქმიანობას და პრობლემებს უქმნის შორს მცხოვრებ ავადმყოფებს, როდესაც მათი მკურნალობის ხარჯები არ იფარება სახელმწიფო დაზღვევის სისტემით. სწორედ ამ მოსაზრებებმა განაპირობა, რომ დღეს მოქმედი ევროპული კანონმდებლობით, მის უმეტეს ქვეყნებში

გათვალისწინებულია ვარიანტი, რომლითაც დასაშვებია ტიპური ეროვნული კლასიფიკაციის III ცხრილში ჩამოთვლილი მედიკამენტების ხელმეორედ გაცემა, თუ არ არსებობს რეცეპტის გამომწერი ექიმის სხვა მითითება.

§9. სამედიცინო და სამეცნიერო გამოკვლევები

1961 და 1971 წლის კონვენციების რიგი დებულებები ეხება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა *სამედიცინო და სამეცნიერო დანიშნულებით გამოყენებას*.

1961 წლის კონვენციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის **(b) ქვეპუნქტი** სახელმწიფოებს ავალდებულებს აკრძალონ ყველა ოპერაცია, რომელიც მე-4 ნუსხაში გათვალისწინებულ ნივთიერებებთანა დაკავშირებული *(ეროვნული ტიპური კლასიფიკაციის I ცხრილი)*. იგი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ გამონაკლისს – სახელმწიფოებში ნებადართულია არსებულ ნივთიერებათა განსაზღვრული რაოდენობით გამოყენება, თუკი ეს აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისთვის, მათ შორის ასეთი ნარკოტიკების კლინიკური კვლევისათვის.⁹

1971 წლის კონვენციის მე-7 მუხლი, რომელიც კრძალავს პირველ ნუსხაში (ეროვნული ტიპური კლასიფიკაციის I ცხრილში) გათვალისწინებულ ნივთიერებათა ყოველგვარ გამოყენებას, ითვალისწინებს ერთ გამონაკლისს – სამეცნიერო და ძალიან შეზღუდული ოდენობით სამედიცინო მიზნით გამოყენებას სახელმწიფოს კონტროლის ან მისი *სკანგებო* ნებართვის საფუძველზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საქმიანობას აწესრიგებს 1961 და 1971 წლის კონვენციათა სხვა *მუხლებიც*, კერძოდ 1961 წლის კონვენციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის **(c) ქვეპუნქტი**, 1971 წლის კონვენციის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი, ასევე იმავე კონვენციის 34-ე მუხლის **(b) ქვეპუნქტი** და შესაბამისად მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი.

თავი II

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და მასთან
დაკავშირებული კანონდარღვევები

§1. დანაშაული და სასჯელი

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი და ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის საწინააღმდეგო ეფექტური ზომების განხორციელებაა.

ამ მიზნით კონვენციები მეტად მკაცრსა და ამომწურავ შეფასებებს იძლევა. ისინი შეიცავენ იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომლებიც სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელმა სტრუქტურებმა უნდა გამოიყენონ.¹⁰

ნარკოტიკების უკანონო წარმოება და დამზადება, ასევე მისი უკანონო ბრუნვა სახელმწიფოთა მიერ დასჯად კანონსაწინააღმდეგო ქმედებად უნდა იქნეს მიჩნეული 1961 წლის კონვენციის 36-ე, 1971 წლის კონვენციის 22-ე და 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლებით.

კონვენციათა ზოგად ნაწილში განსაზღვრულია კანონდარღვევებისათვის გამოყენებული სანქციები.

1961 წლის კონვენციის 36-ე და 1971 წლის კონვენციის 22-ე მუხლები ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომ სერიოზული კანონდარღვევებისათვის შემოღებულ იქნეს შესაბამისი სასჯელი, კერძოდ საპყრობილეში მოთავსება, ან თავისუფლების აღკვეთის სხვა სახე. 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს სერიოზული კანონდარღვევებისათვის შესაბამისი სანქციების დაწესებას – საპყრობილეში მოთავსება ან თავისუფლების აღკვეთის სხვა სახეები, საჯარიმო სანქციები ან კონფისკაცია. ამავე მუხლის მე-6 პუნქტი სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული იურიდიულ რწმუნებათა გამოყენების რეკომენდაციებს იძლევა, რათა მივალწიოთ სამართალდაცვითი ღონისძიებების მაქსიმალურ ეფექტურობას და სათანადო აუცილებლობიდან გამომდინარე წინ აღვუდგეთ ასეთ კანონდარღვევებს.

1961 და 1971 წლების კონვენციათა ოფიციალურ კომენტარებში ხაზგასმულია, რომ სასჯელის სიმკაცრე უპირველესად განპირობებული უნდა იყოს იმ საშიშროებით, რასაც კანონსაწინააღმდეგო ქმედება პიროვნებას უქმნის ან მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც კანონდარღვევა ხდება, არამედ იმ მოქალაქესაც, ვინც სხვა ქვეყანაში ცხოვრობს. 1961 წლის კონვენციის კომენტარებში (გვ. 429) დამატებით განმარტებულია, რომ კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად სერიოზული სამართალდარღვევებისთვის სასჯელები ადეკვატური და ეფექტური

შეირჩეს, იგი საკმაოდ მკაცრი უნდა იყოს, რათა იმ ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, სადაც ეს სასჯელი გამოაქვთ, მას შესაბამისი შემაკავებელი ფუნქტი ჰქონდეს.

სწორედ ამიტომ თანამედროვე საკანონმდებლო პრაქტიკაში გათვალისწინებულია დანაშაულის სამი სხვადასხვა შემადგენლობა, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა, პრეკურსორებისა და ანალოგების:

- დამზადება, წარმოება და ა. შ.;
- საერთაშორისო უკანონო ბრუნვა;
- უკანონო ბრუნვა.

ასეთი კლასიფიკაცია სახელმწიფოებს სასჯელის სხვადასხვა ზომების გამოყენებას უადვილებს ამ სამი სხვადასხვა დანაშაულებრივი შემადგენლობის მიმართ, რაც 1961 წლის კონვენციის 36-ე მუხლის 1 (a) პუნქტით და 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის 1 (a), (i), (ii) და (iii) პუნქტებით არის განსაზღვრული.

აუცილებელია იმის ცოდნა, რომ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკების ოდენობაზე დაყრდნობით ზოგიერთი სახელმწიფო სასჯელის სხვადასხვა ზომებს ადგენს.

მაგალითი: ამერიკის შეერთებულ შტატებში სასჯელის განსაკუთრებით მკაცრი ზომები გამოიყენება მაშინ, როდესაც უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერების ან მათი ნარევის ოდენობა გარკვეულ ზღვარს აჭარბებს: 1 კგ *ჰეროინი*; *კოკას* ფოთლის 5 კგ, *კოკაინის საწყისის* 50 გრ; 100 გრ *ფენციკლიდინი*; 10 გრ *ლსდ*, 400 გრ *ფენტანილი*, 1000 კგ *მარიხუანა*.¹¹ სპეციფიკიდან და სიტუაციიდან გამომდინარე, შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების საფუძველზე ყველა ქვეყანას თავად შეუძლია ამ ოდენობების განსაზღვრა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა კანონპროექტზე მუშაობისას ივითვალისწინებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ისეთი ნაკლებად მძიმე მაგრამ ძლიერ გავრცელებულ ფორმას, როგორცაა ნარკოტიკის შეთავაზება ან მიცემა *პირადი მოხმარების* მიზნით. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით პრაქტიკაში კი კანონის ისეთ ნორმებს ითვალისწინებენ, რაც აჩქარებს ასეთ ქმედებათა განხილვის პროცედურას. კანონის ეს ნორმა პრაქტიკოს მუშაკებს, სასამართლოებს ეხმარება ნარკოტიკებით საცალო მოვაჭრეების, რომლებიც ძირითადად მომხმარებლები არიან და საერთაშორისო და ადგილობრივ ნარკობიზნესში ჩართულ პირებს შორის მკაფიო ზღვრის გატარებაში და მათი დასჯის სწორად გადაწყვეტაში.

კანონპროექტის მომზადებისას უნდა გაითვალისწინოთ, რომ ასევე მკაცრად ისჯება *პრეკურსორების* და საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, *ხელსაწყო-მასალების* დამზადება, ტრანსპორტირება და გავრცელება, თუ ისინი პირდაპირ ან არაპირდაპირ გამიზნულია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული

კანონმდებლობით განსათვალისწინებელ კანონმდარღვევებით ჩამონათვალი და შესაბამისი სასჯელის ზომები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამა

1.ა“ ხარისხის სამართალდარღვევები: ბანსაკუთრებით მკაცრი სასჯელი

ა) განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკები და პრეკურსორები:

- | | |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> ● კულტივირება ● წარმოება ● დამზადება ● ექსტრაქცირება ● მოშაღება და გადამუშავება ● ექსპორტი ● იმპორტი ● საერთაშორისო გადაზიდვები ● შეთავაზება ● შეთავაზება გაყიდვის მიზნით | <ul style="list-style-type: none"> ● განაწილება ● შუამავლობა ● გაყიდვა ● მიწოდება ნებისმიერი პირობებით ● გადაგზავნა ● გადატანა ● ტრანსპორტირება ● ყიდვა ● შენახვა დიდი ოდენობით |
|--|--|

ბ) განსაკუთრებულად საშიში, საშიში ნარკოტიკები და პრეკურსორები:

- ფულის ლეგალიზება (გათეთრება)
- უკანონო ბრუნვის ორგანიზება
- უკანონო ბრუნვის დაფინანსება
- წარმოება, დამზადება, იმპორტი, ექსპორტი, გადაზიდვა, შეთავაზება, გაყიდვა, განაწილება, მიწოდება ყველანაირი პირობებით, გადაგზავნა, ყიდვა და შენახვა მოწყობილობა მასალებისა მათი კულტივირების პროცესში გამოყენების მიზნით, წარმოება და გამოყენება ან წინასწარ გაცნობიერება იმისა, რომ ამ მოწყობილობა-მასალებს ამდგავარი მიზნებისათვის გამოიყენებენ.

2. „ბ“ ხარისხის სამართალდარღვევები: მკაცრი სასჯელი

ა) საშიში ნარკოტიკები

(ცხრილი III):

- | | |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> ● კულტივირება ● წარმოება ● დამზადება ● ექსტრაქცირება ● მოშაღება და გადამუშავება ● ექსპორტი ● იმპორტი ● საერთაშორისო გადაზიდვები ● შეთავაზება ● შეთავაზება გაყიდვის მიზნით | <ul style="list-style-type: none"> ● განაწილება ● შუამავლობა ● გაყიდვა ● მიწოდება ნებისმიერი პირობებით ● გადაგზავნა ● გადატანა ● ტრანსპორტირება ● ყიდვა ● შენახვა დიდი ოდენობით |
|--|--|

ბ) განსაკუთრებით საშიში, საშიში ნარკოტიკები და პრეკურსორები:

- პირადი მოხმარებისათვის ხელის შეწყობა
- მათი დანიშნა შეგნებულად, საშსხურის გაწვევის მიზნით
- პირდაპირ ან არაპირდაპირი წაქეზება არაკანონიერი მოხმარებისათვის. შეტენა, შენახვა და გამოყენება საკუთრებისა და საშუალებებისა იმის წინასწარი გაცნობიერებით, რომ ისინი მიღებულია სამართალდარღვეების ჩადენის შედეგად
- ფულის ლეგალიზება-გათეთრებასთან დაკავშირებული საშსხურებრივი ინსტრუქციების უგულბელყოფა და არგამოყენება.

გ) ინპალანტების მიწოდება არასრულწლოვანთათვის.

3. „ბ“ ხარისხის სამართალდარღვევები: საშუალო სიმძიმის სასჯელი

განსაკუთრებით საშიში, საშიში ნარკოტიკები და პრეკურსორები:

- ხელის შეშლა კონფისკაციისათვის
- ხელის შეშლა ფარმაკოლოგიის მუშაკებისათვის.
- კულტივირება და იმპორტი მცირე ოდენობით განსაკუთრებით საშიში ან საშიში ნარკოტიკების ნარკომანების მიერ, პირადი მოხმარების მიზნით.
- მცირე ოდენობის ნარკოტიკებით ერთმანეთის მომარაგება
- ხელის შეშლა პოლიციური მოკლევისათვის დაკავშირებულ უკანონო ბრუნვასთან.

4. ხარისხის სამართალდარღვევები: უფრო მსუბუქი სასჯელი

განსაკუთრებით საშიში და საშიში ნარკოტიკები:

მისწრაფის მხრივ მკაცრ ოდენობით ნარკოტიკის შეტენასთან ან შენახვასთან
 ოკეუბსტრუქციული დინამიკის განხორციელებით ჩადენა
 უერის ოქს სახელდებით გამოკვლევაზე
 უერის ოქს სევერდებელი მკერნალობაზე ან მისა შესწევტა
 სახმრთლდარღვევა ორგანიზების მითითების არ შესრულება

5. „შ“ ხარისხის სამართალდარღვევები: ადმინისტრაციული სასჯელი

მს(ო)ლ(ო)დ განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკები:

პირადი მოხმარების მიზნით მცირე ოდენობის შეტენა ან შენახვა

ნივთიერებების უკანონო კულტივირების, წარმოების ან დამზადებისათვის. ამის საფუძველს იძლევა 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის პუნქტები 1 (a) (iv) და 1 (c) (ii).¹²

§2. ბაზელის დეკლარაციის მნიშვნელობა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეფასებით, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის ღირებულება წელიწადში დაახლოებით 300 მლრდ ამერიკულ დოლარს შეადგენს, ამასთან, ამ მოცულობის 50-70 პროცენტი ნაღდ ბრუნვაშია.

რადგან უნაღდო ანგარიშსწორებანი ნაკლებ ხიფათს უკავშირდება, ნარკოტიკებით მოვაჭრეებს კოლოსალური რაოდენობის ნაღდი ფულადი მასის უნაღდო ბრუნვაში გადაყვანა სჭირდებათ, რისთვისაც ისინი საკრედიტო – საფინანსო დაწესებულებებს მიმართავენ და ძალიან ხშირად მათივე დაუკითხავად, შუამავლების მეშვეობით ნარკოტიკებისგან ამოგებული ფულის ლეგალიზებას (გათეთრებას) ახდენენ. გარდა ამისა, საკუთარი ქონების შექენის უკანონო წყაროს უფრო ღრმად დამალვის მიზნით ნარკოტიკებით მოვაჭრენი ხშირად და საკმაო წარმატებითაც ფულად სახსრებს სხვადასხვა მოძრავსა თუ უძრავ საკუთრებაში აბანდებენ, რაც თანამედროვე სამყაროში სპეკულანტური გარიგების საგანს წარმოადგენს.

1988 წლის 12 დეკემბრის ბაზელის დეკლარაციის მიღების შემდეგ მრავალმა საერთაშორისო დაწესებულებამ სახელმწიფოებს ურჩია, რომ შემოეღოთ სასაჯელის ზომები ნარკოტიკებისაგან ამოგებული ფულის ლეგალიზებისათვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღსაკვეთად.

ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ამ მოვლენასთან ბრძოლის თანამედროვე სეგმენტი და შემუშავდა რამდენიმე მოცულობითი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი:

– ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენცია;

– გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფინანსო ღონისძიებების მიზნობრივი ჯგუფის 1990 წლის 6 დეკემბრის მოხსენება;

– დანაშაულებრივი საქმიანობისგან მიღებული შემოსავლის ლეგალიზების შესახებ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოთა 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენცია;

– ევროგაერთიანების საბჭოს 1991 წლის 10 ივლისის დირექტივა.¹³

ქვეყანათა იმ სტრუქტურებისათვის, რომელთაც ევალებათ ისეთი კანონმდებლობის ჩამოყალიბება და შექმნა, რომელიც საქართველოს საშუალებას

მისცემს წარმატებით ითანამშრომლოს მსოფლიოს ქვეყნებთან ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში, მნიშვნელოვანია კანონის ქმედითი და ეფექტური ნორმების ჩამოყალიბება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის დაფინანსებასა და უკანონო ნარკოტიკებისაგან ამოგებული თანხების ლეგალიზება – გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი სრულიად ახალია ბევრი, მათ შორის განვითარებადი და პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკისათვის. ამიტომ გულდასმით უნდა გავეცნოთ და გამოვიყენოთ 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის *ქუნქტები 1 (a) (v)* და განსაკუთრებით *1 (b) (i)* და *1 (c) (i)*. კონვენცია დაწერილებით მიმოიხილავს ფულის გათეთრების პროცესს და მოითხოვს იმ პიროვნებათა მკაცრად დასჯას, რომლებიც რაიმე ფორმით მონაწილეობენ ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ან ხელს უწყობენ ასეთ საქმიანობას.

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის 1 ქუნქტის (b) ქვექუნქტში მოცემულია ლეგალიზების ცნების ზუსტი განმარტება.

ამ დოკუმენტების შესაბამის დებულებებში შემოთავაზებულია საფინანსო დაწესებულებათა მოქმედების მომწესრიგებელი ზომების მთელი კომპლექსი. ისინი ეხება:

- კლიენტის პიროვნების დადგენას;
- წინდახედულობის გამოჩენის აუცილებლობას;
- ნარკოტიკებისგან მიღებული ფინანსების ლეგალიზების ეჭვის გამომწვევი ოპერაციების შესახებ გაცხადების ვალდებულებას;
- საბანკო სისტემაში დასაქმებული პერსონალისთვის ფულის ლეგალიზებასთან ბრძოლის მნიშვნელობის ახსნა-განმარტების აუცილებლობას.

ეს ზომები მრავალმა ქვეყანამ ჩართო თავის შიდაკანონმდებლობაში და ბევრმა მათგანმა შეავსო იმ დებულებებით, რომლებიც ნარკოტიკებისგან მიღებული ფულის ნაღდი ანგარიშსწორების ან სახსრების *საერთაშორისო გადავ ზავის*, აგრეთვე *ვალუტის გაცვლის* ან *სამორინეების გამოყენების* გზით ლეგალიზების წინააღმდეგ არის მიმართული.

ასეთი ზომების შესატყვისი კომბინირებული ოპერაციების განუხრელმა გამოყენებამ არა მარტო უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის *საიმედოობა*, არამედ ფულის ლეგალიზებასთან დაკავშირებული საგრძნობი *რისკის* გამო ნარკოტიკებით მოვაჭრეებს პრაქტიკულად წაართვას დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგების გამოყენების შესაძლებლობა.

ამავე დროს, სახელმწიფოებს, რომლებიც დანაშაულებრივი ორგანიზაციების არაკანონიერი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის გამძაფრებას ცდილობენ, ურჩევენ *გააფართოონ ამ საკანონმდებლო აქტის მოქმედების სფერო* და იგი ორგანიზებული დანაშაულის სხვა მძიმე მახასიათებელ სამართალდარღვევებზეც

სასაქმლოთა სპალა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებზე
საერთაშორისო კონტროლის პროგრამა

კანონდარღვევის დასახელება	+	++	+++	++++	+++++
უკანონო დამზადება, წარმოება					
მოყვანა და კულტივირება					
საერთაშორისო უკანონო გადაზიდვა					
უკანონო გადაზიდვა					
ნარკომანთა წრეში ჩათრევა, მოხმარებაზე დაყოფილება					
ანალოგების წარმოება					
პრეკურსორების გადაზიდვა					
ლაბორატორიული მოწყობილობისა და მასალის გადაზიდვა					
გადაზიდვის ორგანიზება და დაფინანსება					
ფულის ლეგალიზება (გათეთრება)					
ხელშეწყობა უკანონო გზით ამოგებული ფულის იოლად ხარჯვაში					
წაქეზება ან ხელშეწყობა საინფორმაციო კომპიუტერული ქსელის გამოყენებით					
სამედიცინო რეცეპტების უკანონო გაცემა					
წაქეზება უკანონო გადაზიდვაზე					
ნარკოტიკების გამოყენების საჯაროდ წაზღლისება					
მოყვანა ან შეტენა პირადი მოხმარების მიზნით					
უკანონო მოხმარება					
გამოყენებული შპრიცის საჯარო აღდგენაში დაგდება					
ინჰალატორების შეთავაზება (მიწოდება)					

განაერცონ.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლები უდიდეს თანხებს შეადგენს. ნარკოტიკებით უკანონო მოვაჭრენი მათ ბრუნვაში ვერ გაუშვებენ და მუდმივად საფრთხეში იქნებიან, ვიდრე სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებსა და კერძო ინვესტიციებში მოთავსებით მათ ჭეშმარიტ წარმომავლობას არ შენიღბავენ.

სწორედ ამიტომ, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა არ იქნება ეფექტური, თუ იგი ასეთ ბოროტმოქმედებს საკმაოდ მკაცრად არ დასჯის.

ამ საკითხზე კანონმემოქმედებითი საქმიანობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი დანაშაულები თითქმის ყოველთვის *ერთდროულად რამდენიმე ქვეყანას მოიცავს*. ამიტომ კანონის ამ ნორმის ჩამოყალიბებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ 1961 წლის კონვენციის 36-ე მუხლის 2 (a) (i) *ქუნქტით* და *საერთაშორისო პრაქტიკით*, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებმა *ცალკეულ კანონდარდვევად უნდა გამოაცხადონ თითოეული განსახილველი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, როდესაც ისინი სხვადასხვა ქვეყნებშია ჩადენილი*.

თავისთავად ამ დებულებამ *იმ პრინციპიდან გადახრა* არ უნდა დაუშვას, რომ არ შეიძლება პირი ერთი და იგივე დანაშაულისათვის ორჯერ დაისაჯოს.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის დროს დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნარკოტიკების კონტროლის განხორციელებაზე *რწმუნებული პირის უმოქმედობას*, რამაც *შედეგად* ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული ან მისი მოხმარება გამოიწვია და მას როგორც *თანამონაწილეს*, ისე განიხილავს.⁴

ასეთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება არც ერთი კონვენციითა და კომენტარით არ არის განსაზღვრული, ამიტომ მისი გამოყენებისას განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კანონის ეს ნორმა იმ პირების დასჯის საშუალებას გვაძლევს, რომლებიც არ წარმოადგენენ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის ფაქტიურ თანამონაწილეებს, მაგრამ *თვალს ხუჭავდნენ* დანაშაულებრივ საქმიანობაზე. *ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს იმ პირთა ყურადღების გააქტიურებას, რომელთაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული ზომების მიღება ევალებათ*.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციებში არ არის გათვალისწინებული ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით დასჯადად მიჩნეული ქმედებები, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობენ ნარკოტიკების უკანონო მოხმარებას (ზოგჯერ ანალოგებისა ცი) საჭიროდ მიგვაჩნია მათი ჩამოთვლა. კონკრეტულად ეს ქმედებებია:

– *ნებისმიერი სახის ნარკოტიკული საშუალებების მიცემა პირადი*

მოხმარებისათვის;

– ასეთი მოხმარების დაშვება ნებისმიერი სახის ღია ან საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე შენობებში;

– საზოგადოებრივ საჩვენებელ სანახაობათა ორგანიზება წინასწარი აუცილებელი გამაფრთხილებელი ღონისძიებების გარეშე, რაც ნარკოტიკების უკანონო მოხმარების იმ დიდ რისკს განაპირობებს, რომელიც შეიძლება ამ ღონისძიებას ახლდეს;

– რეცეპტების გაცემა მომსახურების გაწევის მიზნით;

– ნარკოტიკების შეგნებული გაცემა ყალბი რეცეპტების წარდგენით ან რეცეპტით, რომელიც გამოწერილია მომსახურების გაწევის მიზნით;

– მომხმარებლის ნებართვის გარეშე ნარკოტიკების (ანალოგების) დამატება საკვებში.⁵

§3. ნარკოტიკების კულტივირება, შექმნა და შენახვა პირადი მოხმარების მიზნით

პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკების კულტივირებასთან, შექმნასთან, შენახვასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და იმ დებატების ფონზე, რაც ნარკომანიის ლეგალიზების საკითხზე დღეს მიმდინარეობს, საჭიროდ მიგვაჩნია დეტალურად განიხილოს კონვენციათა მოთხოვნები და რეკომენდაციები, ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმები, რათა ისინი მუშაობის პროცესში გაითვალისწინონ თეორეტიკოსებმა და საჭიროებისამებრ პრაქტიკოსმა მუშაკებმა.

1961 წლის კონვენციის 36-ე მუხლის 1(3) და 1971 წლის კონვენციის 22-ე მუხლის 1 (a) პუნქტები ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შენახვა უნდა აკრძალონ, თუ ეს სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებთან არ არის დაკავშირებული.

1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა (თავისი კონსტიტუციური დებულებებისა და სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით) ისეთი ღონისძიებები უნდა განახორციელონ, რომ სამართალდარღვევად ცნონ 1961 და 1971 წლების კონვენციათა საპირისპირო ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შენახვა, შექმნა და კულტივირება, პირადი მოხმარების მიზნით.

კონვენციები ასევე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ნარკოტიკების მოხმარების წაქეზებას, რადგან მასთან სწორი და ეფექტური ბრძოლა მოსახლეობის ნარკოტიკებისაგან დაცვის ერთ-ერთი მთავარი შემდეგავებული ფაქტორია. ყოველივე ეს 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის 1 (c) (iii) პუნქტებშია

ასახული. იგი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა *საჯაროდან* სხვა რაიმე საშუალებით კონვენციების საპირისპირო ნებისმიერი კანონდარღვევის ჩადენისა და ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისაკენ *წაქეზების* ფაქტს.

ეს დებულებები ეხება ნებისმიერ პირს, რა საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდეს ის, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ *აქეზებს* უკანონოდ მოხმარებას, რეესამი, ტელევიზიასა ან რადიოში გამოსვლისას იცავს ასეთ ნივთიერებებს, ან დადებითად ახასიათებს მათ.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ დღესდღეობით ევროპის სამართალდამცავი ორგანოები *პირადი მოხმარების* მიზნით ნარკოტიკების *კულტივირების, შექმნისა და შენახვის* ფაქტებთან დაკავშირებულ პრაქტიკაში ძირითადად ორ *ვარიანტს* იყენებენ:

პირველი ვარიანტი *სასამართლოს საშუალებას აძლევს, პირადი შეხედულებისამებრ განსაზღვროს პირის მიერ ნარკოტიკის კულტივირება, შექმნა და შენახვა გამოწვეული იყო თუ არა პირადი მოხმარების მიზნით;*

მეორე ვარიანტი უფრო შეზღუდულია, მისი მიზანია *სასამართლოს* დაუდევრობით ან ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობაზე ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში მოსამართლეები *არ შეცდნენ*, რათა ნარკოტიკის მოხმარებლები, რომლებიც ნარკოტიკების *საჯარო* ვაჭრობით არიან დაკავებული, განასხვავონ იმ პირებისაგან, რომლებიც *რეალურად* ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში არიან ჩართული ამ უკანასკნელთა გაცილებით მკაცრად დასჯის მიზნით.

ამ ვარიანტში განსაზღვრულია, რომ აღმოჩენილი ნარკოტიკის მცირე ოდენობის საფუძველზე დაასკენიან, რომ პირი მას პირადი მოხმარების მიზნით ფლობდა თუ არა. აქ უნდა გაეთვალისწინოთ, ნარკოტიკების საშუალო *სადღელამისო* ინდივიდუალური *დოზა*, რომელიც შესამჩნევად განსხვავებულია ნარკოტიკების სხვადასხვა სახეობისათვის.

მაგალითი: ევროპული კლასიფიკაციით *მარიხუანას* შემთხვევაში ეს ოდენობა 10 გრ შეადგენს, *მარბიტურატებისა* 10 ტაბლეტს არ უნდა აღემატებოდეს, 1-2 გრამს თუ საქმე პეროინს, კოკაინსა და კანაფის ზეთს ეხება, ხოლო *ლსლ* მხოლოდ ერთი *დოზა* უნდა იყოს.

აღბათ ერთ-ერთი მთავარი საკითხი, კანონის ამ ნორმის განხილვისას ნარკოტიკების *შესაბამისი ოდენობის* განსაზღვრაა. უნდა ვიცოდეთ ევროპული კლასიფიკაციით ნარკოტიკების ოდენობების განსაზღვრის ოთხი გავრცელებული პროცედურა:

პირველი ვარიანტით გამოყენებული ნარკოტიკების რაოდენობრივი შეფასება *სასამართლოს* მიერ ხდება შესაბამისი ნარკოტიკის საშუალო *სადღელამისო დოზიდან* გამომდინარე;

მეორე ვარიანტის შემთხვევაში *სასამართლოს* მიერ შეფასება §4.

ნარკოტიკების იმ დასაშვები მაქსიმალური ოდენობის საფუძველზე ხდება, რომელსაც კომპეტენტური ორგანოები ადგენენ;

მესამე ვარიანტში შეფასება ექსპერტის მიერ ხდება, რომელიც მომხმარებელი პირის ნარკომანიით დაავადების სტადიას ითვალისწინებს;

მეოთხე ვარიანტისას ყოველი ცალკეული ნარკოტიკისათვის ოდენობა კომპეტენტური ორგანოს მიერ დგინდება.¹⁶

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია დასჯის ის სამი ვარიანტი, რომელიც დღეს გავრცელებულია ევროპაში ნარკოტიკების პირადი მოხმარებისათვის ექიმის დანიშნულების გარეშე.

ზოგიერთ სახელმწიფოში საპყრობილეში ჯდომა შეცვლილია საზოგადოებრივი სასარგებლო გამასწორებელი შრომით;

ზოგ ქვეყანაში დასჯის ზომები განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რომელ ცხრილშია შეტანილი გამოყენებული ნარკოტიკი, რაც ამ ნივთიერების საფრთხის გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

დასასრულ, არის ქვეყნები (მაგალითად, *ჰოლანდია*), სადაც დაშვებულია *კანაფის* შედარებით ფართო მოხმარება, რომელიც ისჯება ჯარიმის დაწესებული ზომით, მაგრამ ეს არ ეხება *კანაფის ზეთს*, რომლის მოხმარება გაცილებით მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს.

ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ ევროპული კანონმდებლობა პარალელურად იყენებს ორ დამატებით ფაქულტატურ დებულებას:

პირველი დებულება სასამართლოს უფლებას აძლევს გასცეს განკარგულება იმის შესახებ, რომ ძირითადი ან დამატებითი სასჯელით დამნაშავე პირი მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, *დეზინტოქსიკაციის თერაპიული კურსის ან მკურნალობის* რომელიმე პროგრამის გასაველად გაგზავნოს;

მეორე დებულებით პიროვნება თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან ან სასჯელისაგან:

– თუ არ შესრულებია 18 წელი;

– თუ აღრე არ ჩაუდენია სამართალდარღვევა;

– თუ სასამართლოს წინაშე პირობას დებს და აცხადებს, რომ შემდგომ აღარ ჩაიდენს ამგვარ ქმედებებს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ევროპულ კანონმდებლობაში ძალიან ხშირ შემთხვევაში დადგენილ სასჯელთან ერთად გამოყენებულია ნარკომანი მსჯავრდადებულის იძულებითი მკურნალობა 1961 წლის კონვენციის 36-ე მუხლის 1 (b) პუნქტის, 1971 წლის კონვენციის 22-ე მუხლის 1(b) პუნქტის და 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის 4(b) და (d) პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში ნარკოტიკული თრობისმდგომარეობაში ავტომანქანის ტარება გაცილებით მკაცრად ისჯება, ვიდრე მისი ტარება ალკოჰოლის გაყვლის ქვეშ.¹⁷

საქართველოში
საქართველოს საერთაშორისო
კონვენციის მოქმედების
პერიოდში

საქართველოს კონსტიტუციის 111-ე მუხლის
დარღვევის შემთხვევაში

ქვეყანა, კანონმდებლობის მდებარეობის ადგილი	ნარკოტიკულ საშუალებათა აწარმოებელი პირებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა	ნარკოტიკულ საშუალებათა აწარმოებელი პირებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა	ნარკოტიკულ საშუალებათა აწარმოებელი პირებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა	ნარკოტიკულ საშუალებათა აწარმოებელი პირებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა
1 აფხაზეთი 1971 1977 1985	2 ნარკოტიკულ საშუალებათა მფლობელისადმი მიმართული პატივსივლიანი უფლებების დარღვევა	3 მოსხმების მონივრული შესახებ ვადების დარღვევა	4 პროცესის უწყვეტი აღკვეთის უზრუნველყოფის გარეშე	5 თავისუფლების აღკვეთის ვადის დარღვევა
გერმანია 1921 1975	ნარკოტიკულ საშუალებათა მფლობელისადმი მიმართული პატივსივლიანი უფლებების დარღვევა	მოსხმების მონივრული შესახებ ვადების დარღვევა	პროცესის უწყვეტი აღკვეთის უზრუნველყოფის გარეშე	თავისუფლების აღკვეთის ვადის დარღვევა
აფხაზეთი 1973 1981	ნარკოტიკულ საშუალებათა მფლობელისადმი მიმართული პატივსივლიანი უფლებების დარღვევა	მოსხმების მონივრული შესახებ ვადების დარღვევა	პროცესის უწყვეტი აღკვეთის უზრუნველყოფის გარეშე	თავისუფლების აღკვეთის ვადის დარღვევა

საქართველოს კონსტიტუციის 111-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში

1	2	3	4	5
<p>დაცა</p> <p>1955</p> <p>1976</p>	<p>ნარკოტიკულ საშუალებათა მიხედვით არის ანტიკონტრაქტული პოლიტიკის განხორციელება</p>	<p>მოძიარების მიზნით აქტიური აღწერის დაწყების შემდეგ აღიქმება ანტიკონტრაქტული პოლიტიკის განხორციელება</p>	<p>მიზნობრივად განხორციელდა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება</p>	<p>თავისუფლების აღდგენის მიზნით 2 წელიწადში (6 წელიწადში) მიმდინარეობდა კონტრაქტული პოლიტიკის განხორციელება</p>
<p>აქტივობის</p> <p>1971</p> <p>1986</p>	<p>ნარკოტიკულ საშუალებათა მიხედვით არის ანტიკონტრაქტული პოლიტიკის განხორციელება</p>	<p>მოძიარების მიზნით უმეტესად სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება</p>	<p>მოძიარების მიზნით განხორციელდა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება</p>	<p>თავისუფლების აღდგენის მიზნით 14 წელიწადში (6 წელიწადში) მიმდინარეობდა კონტრაქტული პოლიტიკის განხორციელება</p>
<p>დაცა</p> <p>1983</p> <p>1988</p> <p>1992</p>	<p>საჯარი მოხდა იტალიის მიხედვით</p>	<p>მოძიარების მიზნით უმეტესად სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება</p>	<p>1992 წლის 21 თებერვლის კანონის მიხედვით განხორციელდა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება</p>	<p>კანონის - 10-დან 17 წელიწადში; სხვა ნარკოტიკული საშუალებების მიხედვით განხორციელდა კონტრაქტული პოლიტიკის განხორციელება</p>

**კანონდარღვევის ჩადენის მიზნით დანაშაულში
მონაწილეობის მცდელობა, მონაწილეობა
ან მოლაპარაკებაში ჩართვა**

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში კანონმდებლობის შექმნისა და ჯეროვანი საკანონმდებლო ნორმების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის მოშადების, მასში მონაწილეობის და მოლაპარაკების ცნებების ზუსტ განსაზღვრას. სწორედ ამაში გვეხმარება კონვენციის შესაბამისი *იმპრეტული* დებულებები. კერძოდ, 1961 წლის კონვენციის 36-ე *მუხლის 2 (a) (ii)*, 1971 წლის კონვენციის 22-ე *მუხლის 2 (a) (ii)* და 1988 წლის კონვენციის მე-3 *მუხლის I (c) (iv) პუნქტების* დებულებები.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს დებულებები *შიდიღება ეწინააღმდეგებოდეს* ზოგიერთ ქვეყანაში აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებს. ამიტომ სამივე კონვენციაში დათქმულია, რომ სახელმწიფოებმა ისინი უნდა მიიღონ თავისი კონსტიტუციური დებულებების, სამართლებრივი პრინციპებისა და თავისი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით (1961 წლის კონვენციის მე-2 *მუხლის პუნქტი 2*, 1971 წლის კონვენციის 22-ე *მუხლის პუნქტი 2* და 1988 წლის კონვენციის მე-3 *მუხლის პუნქტი 1 (c)*).

ამასთან ერთად, 1961 წლის კონვენციის (გვ. 429 და მომდევნო გვერდები) და 1971 წლის კონვენციის (გვ. 355 და მომდევნო გვერდები) ოფიციალურ კომენტარებში აღნიშნულია, რომ ფედერაციული სახელმწიფო აუცილებელი ზომების მიღებაზე თავის არიდების მიზნით *ვერ დაიმოწმებს კონსტიტუციურ დაბრკოლებას*, თუ მასში შემავალ შტატებს ან პროვინციებს (ავტონომიებს) აქვთ სათანადო უფლებამოსილება.

გარდა ამისა, ამავე კომენტარებში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოთა მოვალეობა – *დამორჩილოს ეროვნულ კანონმდებლობას* – მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კონვენციათა მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად *ვალდებული არ არიან შეცვალონ ადგილზე მოქმედი მცდელობის ან ხელშეწყობისა და წაქეზების იურიდიული კონცეფციები*, მაგრამ, იმავედროულად არ თავისუფლდებიან სათანადო საკანონმდებლო ზომების მიღების ვალდებულებისაგან.

ასევე კომენტარებში აღნიშნულია – *სახელმწიფოები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივ დევნას ითვალისწინებენ, არ არიან ვალდებული შეცვალონ მათთან მიღებული ამ ცნების იურიდიული განმარტება*. ამავე დროს, სახელმწიფოებმა, რომლებიც დასჯას მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე სამართალდარღვევათა ჩადენის მცდელობისათვის ითვალისწინებენ, ამ კატეგორიაშივე უნდა ჩართონ კონვენციებში გათვალისწინებული *მძიმე* სამართალდარღვევები.

ოფიციალურ კომენტარებში აგრეთვე აღნიშნულია, რომ იქ, სადაც გათვალისწინებული არაა სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალდარღვევის მომზადებისათვის, ანუ ქმედებისათვის, რომელიც წამოწყებულია რაიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით, მაგრამ ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ამ დანაშაულის ფაქტობრივი განხორციელების დასაწყისს, ასეთი ქმედება მცდელობად უნდა ჩაითვალოს.

კომენტარების მიხედვით, შეთანხმებად უნდა ჩაითვალოს ორი ან მეტი პირის *გაერთიანება, შეთქმულება ან მოლაპარაკება* ნებისმიერი ნახსენები სამართალდარღვევის *ერთობლივი ძალისხმევით* ჩადენის მიზნით. იქვე მითითებულია, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც ითვალისწინებენ დასჯას სხვა სამართალდარღვევების ჩადენის მიზნით შეთანხმებისათვის, თავი არ უნდა აარიდონ დასჯას *ისეთი* შეთანხმებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა კონვენციებში მოცემული ნებისმიერი სერიოზული სამართალდარღვევის ჩადენას.

§5. დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებანი

ვინაიდან სხვა დანაშაულობებთან შედარებით, ნარკოტიკების უკანონობრუნვა უფრო ხშირად არის დაკავშირებული სხვადასხვა კატეგორიის მძიმე დანაშაულობებთან, ძალიან მნიშვნელოვანია სწორად გაეიაზროთ მათი დამამძიმებელი გარემოებები

დღეს მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მთავარი მოთხოვნაა ადრე ჩადენილ სამართალდარღვევათა და რეციდიული დანაშაულის დადგენის მიზნით სხვა ქვეყნებში გამოტანილი განაჩენების *აღრიცხვის აუცილებლობა*. ეს მოთხოვნა ასახულია 1961 წლის კონვენციის 36-ე *მუხლის 2 (a) (iii)*, 1971 წლის კონვენციის 22-ე *მუხლის 2 (a)* და 1988 წლის კონვენციის მე-3 *მუხლის 5 (h) პუნქტებში*.

გარდა ამისა, 1961 (გვ. 435) და 1971 წლების კონვენციათა (გვ. 360) ოფიციალურ კომენტარებში აღნიშნულია, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში რეციდივი განიხილება როგორც პასუხისმგებლობის *დამამძიმებელი გარემოება*. იმ სახელმწიფოებს, რომელთა კანონმდებლობა *რეციდივის დადგენისას* არ იძლევა სხვა ქვეყნებში გამოტანილ განაჩენთა გათვალისწინების საშუალებას, რეციდივი შეუძლიათ განიხილონ როგორც სასჯელის გამკაცრების საფუძველი.

საგულისხმოა, რომ 1988 წლის კონვენციის მე-3 *მუხლის* მე-5 *პუნქტი* სახელმწიფოებს ავალდებულებს ყურად იღონ კონვენციაში გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა დამამძიმებელი შემდეგი შვიდი გარემოება:

– *ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სამართალდარღვევაში*

მონაწილეობა, რომლის შემადგენლობაში სამართალდამრღვევიცაა;

– სამართალდამრღვევის სხვა სახის საერთაშორისო დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობა;

– სამართალდამრღვევის სხვა სახის არაკანონიერ ქმედებებში მონაწილეობა, რომლებმაც ხელი შეუწყო მოცემული სამართალდარღვევის ჩადენას;

– სამართალდამრღვევის მიერ ძალადობის ან იარაღის გამოყენება;

– ფაქტი, როცა სამართალდამრღვევი თანამდებობის პირია და მოცემული სამართალდარღვევა მის თანამდებობას უკავშირდება;

– არასრულწლოვანთა ჩათრევა და გამოყენება;

– ფაქტი, როცა სამართალდარღვევა ჩადენილია გამასწორებელ, სასწავლო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, ან მათთან უშუალო სიახლოეს, ან სხვა ადგილებში, რომლებსაც მოსწავლეები და სტუდენტები სასწავლო, სპორტული ან საზოგადოებრივ ღონისძიებათა ჩასატარებლად იყენებენ.

გარდა ამისა, სასჯელის გასამკაცრებლად დამამძიმებელ გარემოებას მიაკუთვნებენ იმ გარემოებასაც, როდესაც ნარკოტიკმა სხვა პირთა სიკვდილი გამოიწვია ან მათს ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენა ან იგი შერეული იყო რაიმე ტოქსიკურ ნივთიერებასთან.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ საერთაშორისო კანონმდებლობაში გათვალისწინებულია, აგრეთვე, სასჯელის გამკაცრების შემდეგი გარემოებანი:

– პუმანიტარული ოპერაციისათვის განკუთვნილი რაიმე გზავნილის, დიდი პარტიის, კონტეინერის ან სატრანსპორტო საშუალების გამოყენება ნარკოტიკების, ანალოგების ან პრეკურსორების არაკანონიერი გადაზიდვისათვის;

– კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული პირობების დარღვევით ნარკოტიკების მიწოდება შემცველი თერაპიის ჩატარების დროს; ასეთი ქმედება წარმოადგენს პროფესიული საქმიანობის წესებიდან გადახრას, რაც ნდობას უკარგავს შემცველი თერაპიის პროგრამებს და ხელს უწყობს უკანონო ბაზარზე ნარკოტიკების შეთავაზების პროცესებს;

– ნარკოტიკების მიწოდება პატიმრისათვის იმ პირის მიერ, რომელსაც სამსახურებრივად მისი ნაზვის უფლება აქვს და ბოროტად იყენებს ამ უფლებას.¹⁸

§6. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება და შემამსუბუქებელი გარემოებანი

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მკვეთრმა მატებამ, მისი ტრანსპორტირების გაზრდამ, ამგვარი დანაშაულის სახელმწიფოთაშორისმა ხასიათმა და კანონდარღვევის გზით ნაშოენი უდიდესი თანხების ლეგალიზებამ (გათეთრებამ) ევროპის ბევრ სახელმწიფოს და უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს უბიძგა ასეთ დანაშაულებათა და მათში მონაწილე ყველა პირის გამოაშკარავების ახალი, არასტანდარტული ხერხების ძიებისაკენ, უპირველესად, სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით.

ბევრი სახელმწიფო დაადგა იმ გზას, როდესაც პირი თავისუფლდება ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებათა პასუხისმგებლობისაგან ან ერთგვარად უმსუბუქდება სასჯელი, თუ იგი თავისი მოქმედებით დახმარებას აღმოუჩენს სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოებს ასეთი დანაშაულებრივი ჯგუფების გამოაშკარავებასა და ლიკვიდაციაში.

ანალოგიურმა ზომებმა თავისი ეფექტურობა ტერორიზმთან ბრძოლაშიც დაამტკიცა.

ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო აქტები იმ პირისათვის, ვინც ამხელს თავის თანამზრახველებს ან ხელს შეუწყობს მათ დაკავებას, ასევე საამისო ღონისძიებათა ეფექტურობის გაზრდის მიზნით ითვალისწინებენ *სასჯელის განახევრებას, ჯარიმისაგან და დამატებითი ფაქულტატურად თანმხლები და დამატებითი სასჯელისაგან განთავისუფლებას*.

§7. კონტროლირებადი მიწოდება

ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში ქვეყნების თანასწორუფლებიანი და ეფექტური თანამშრომლობისათვის აუცილებელია მომზადდეს კანონი და შესაბამისი ინსტრუქციები კონტროლირებადი მიწოდების შესახებ. სწორედ ამას ითვალისწინებს 1988 წლის კონვენციის მე-11 მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა კონვენციით განსაზღვრული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მონაწილე პირთა გამოვლენისა და მათი სამართლებრივი ღვევის განხორციელების მიზნით ეროვნული სამართლებრივი სისტემების ძირითადი პრინციპების შესაძლებლობათა ფარგლებში ხელი უნდა შეუწყონ და გაატარონ საერთაშორისო დონეზე კონტროლირებადი მიწოდების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებები, რომელთაც საფუძვლად ურთიერთმისაღები შეთანხმებები და ხელშეკრულებები უდევს.⁹

1990 წლის იანვარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკების საკითხებზე ჩატარებულმა საგანგებო სესიამ ხაზი გაუსვა ამ

ლონისძიების ეფექტურობას.

1988 წლის კონვენციის I (g) მუხლში მოცემულია კონტროლირებადი მიწოდების განმარტება. მასში მსგავსად დასახელებული კონვენციის მე-II მუხლისა, ნებადართულია კონტროლირებადი მიწოდების გამოყენება, მხოლოდ ასეთი სახის ქმედებაში თანამონაწილე დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით.

მაშინ, როდესაც კონვენციის მე-II მუხლით კონტროლირებადი მიწოდების გამოყენება მხოლოდ საერთაშორისო დონეზეა დაშვებული, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ამ მეთოდის გამოყენებას ეროვნულ დონეზეც ითვალისწინებს, რაც კონვენციითა მოთხოვნებს არ არღვევს. ეს იმით აიხსნება, რომ პოლიტიურ სამსახურებს შეიძლება მიღებული ჰქონდეს სიგნალები მათ დაუკითხავად საზღვარგარეთიდან ეროვნულ ტერიტორიაზე გასავრცელებლად შემოსული ნარკოტიკების დიდი პარტიის ტრანზიტის შესახებ.

საერთაშორისო პრაქტიკაში არ დაიშვება კონტროლირებადი მიწოდების გამოყენება ანალოგების მიწოდებასთან დაკავშირებულ შემთხვევებში; ეს უმთავრესად სხვა სახელმწიფოებთან იურიდიული დავის აცილების სურვილით აიხსნება, რადგან ბევრი სახელმწიფოს კანონები არ ითვალისწინებენ დასჯას ანალოგების დამზადებისა და გადაზიდვისათვის.²⁰

კონტროლირებადი მიწოდება უნდა განხორციელდეს მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტების მიერ, რომელთაც სწორი და დროული გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ. ამასთან ერთად, ოპერაციის მსვლელობისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი თანამდებობის პირების ანონიმურობა და უსაფრთხოება.

დაბოლოს, რაც ყველაზე უფრო მთავარია, ასეთი ღონისძიებებისადმი უნდა უზრუნველყოფით ნდობა და თავი აეარიდოთ ყოველგვარ საეჭვო პროცესებს, თუნდაც მათ ღონისძიებათა მიმდინარეობის დაჩქარებას შეუწყონ ხელი.

ვინაიდან კონტროლირებადი მიწოდება სახიფათო და რთული ოპერაციაა, მის ჩატარებაზე ნებართვა ისეთმა ორგანომ უნდა გასცეს, რომელიც სწორად შეაფასებს ასეთი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობას და ამისათვის სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები ჰყავს, ასევე აღჭურვილია ნდობით, საჭიროების შემთხვევაში თავისი გადაწყვეტილებები სხვადასხვა სპეციალური სამსახურების მეშვეობით განახორციელოს და აქვს საშუალება საიმედო კავშირები ჰქონდეს სხვა კომპეტენტურ ორგანოებთანაც.

აუცილებელია, რომ ოპერაციის დაწყებამდე სასამართლო ინფორმირებული იყოს კონტროლირებადი მიწოდების ღონისძიებების ჩატარების თაობაზე, რათა თავიდან აიცილონ ამ ღონისძიებაში სხვა ორგანოების არასაჭირო ჩართვა ან სათანადო ინფორმაციის არქონის შემთხვევაში, პროცესულურად სამართლებრივი დევნის მოქმედების დაწყება იმ პირების მიმართ, რომლებიც ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობენ.

კონტროლირებადი მიწოდების განხორციელებისას აუცილებელია დავრწმუნდეთ ტვირთის უკანონობაში და მასში მოთავსებული ნივთიერების სახეობაში. გარდა ამისა, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ტვირთზე დაკვირვება შესაძლებელი გახდეს მიწოდებამდე ან მიწოდების მთელი დროის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, პარტიაში შემაჯავლი ნივთიერების სახეობის შეცვლა სხვა უვნებელი ნივთიერებით ნარკოტიკის უკანონო ბრუნვაში მოხედრის შესაძლებლობას აკეცავს.

სავსებით ნათელია, რომ ნარკოტიკების საერთაშორისო მიწოდებაზე ან სხვა პროდუქციით მის შეცვლაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სხვა დანიტერესებულ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოების თანხმობით შეიძლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ნარკოტიკი შეიძლება კანონიერი ვაჭრობის საგანი იყოს. მათი გადაგზავნის დროს ნარკოტიკის შეუთანხმებელი ამოღება აუცილებლად იმ სახელმწიფოთა ფინანსურ პრეტენზიებს გამოიწვევს, საიდანაც ეს ტვირთები იყო გამოგზავნილი, ან საითკენაც ეს ტვირთები მიემართებოდა.

საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საქმეების სირთულის გათვალისწინებით, პოლიციის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ სავარაუდო დამნაშავეთა რამდენიმე დღით დაკავების უფლება, რადგან ისინი ჩვეულებისამებრ თავდაპირველად ჩვენებებს არ იძლევიან.

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ თუ სამართალდარღვევის ჩადენაში ორგანიზებული ჯგუფი მონაწილეობდა, ყოველად შეუძლებელია მისი წევრების მოკლე ვადებში დაპირისპირება.

სწორედ ამ მიზნით, ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც პრაქტიკაში აქვთ რომელიმე პირის მხოლოდ მოკლევადიანი წინასწარი პატიმრობა, კანონმდებლობაში მიზანშეწონილად მიიჩნიეს პატიმრობის ვადის გაზრდის გათვალისწინება, თუ რასაკვირველია არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დაკავებული მონაწილეობდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ან ანალოგიურ სამართალდარღვევაში. ამ საქმეთა თავისებურებათა გათვალისწინებით, მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, სადაც ზოგიერთი განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, *ღამის ჩხრეკები* აკრძალული იყო, აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში სამართალდარღვევის ფაქტის დადგენის მიზნით, *ღამის ჩხრეკის* ჩატარება შესაძლებელი გახდა. ეს ხელს შეუწყობს სამართალდარღვევის მომზადების, ნარკოტიკების, ანალოგების ან პრეკურსორების შენახვის ადგილებში მათ დროულად გამოაშკარავებას, ნარკოტიკების უკანონო წარმოების, დამზადების ან ბრუნვისათვის გათვალისწინებული მოწყობილობებისა და მასალების ოპერატიულად დადგენასა და დაკავებას.

§8. ნარკოტიკების ამოღება სამედიცინო გამოკვლევის მეთოდების გამოყენებით

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკების *საერთაშორისო გადაძვევები (კურიერები)* იყენებენ სულ ახალ-ახალ ხერხებს, მათ შორის ძლიერი ნარკოტიკების (*პეროინი, კოკაინი*), საკუთარი სხეულით გადატანის მეთოდს. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც რამდენიმე პირი (*განსაკუთრებით ქალები*) ყლაპავს ნარკოტიკების შემცველ ცელოფანის კაფსულებს და ნაწილ-ნაწილ გადააქვთ დანიშნულების პუნქტამდე. სწორედ ამიტომ საჭირო ხდება პირადი ჩხრეკისა და სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევათა ჩატარება.²¹

დღეს მსოფლიოში მოქმედი კანონმდებლობა სამედიცინო გამოკვლევის მეთოდების დახმარებით პირადი ჩხრეკის განსაკუთრებულ ნაირსახეობას ითვალისწინებს (*რენტგენოსკოპია, ულტრაბგერითი ექოგრაფია, სკენირება და ა.შ.*), რაც ხელს უწყობს ნარკოტიკის აღმოჩენას. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა გვაქვს *დამაჯერებელი სამხილი* იმის შესახებ, რომ რომელიმე პირს გადააქვს მის სხეულში დამალული ნარკოტიკები ან ანალოგები.

სახელმწიფოები, რომლებიც ასეთ კონტროლს ითვალისწინებენ, თვლიან, რომ ნარკოტიკების სხეულში დამალვას *საეჭოვო გარე სამხილს* მიეკუთვნება – *ბარგის არქონა, მცირე ხნით ყოფნა ქვეყანაში, (სადაც კონტროლი ზორციელდება), საავიაციო ბილეთის ღირებულების ანაზღაურების ხერხი და მისი გაყიდვის ადგილის შეუსაბამობა პირის საცხოვრებელ ადგილთან.* საინტერესო ფაქტია პირის *საეჭოვო ქცევა, მისი შეზღუდული გადაადგილება, ბარგში დიდი რაოდენობით ფარმაცევტულ საშუალებათა აღმოჩენა (ასეთი კონტრაბანდისტები მგ ზავრობის დროს ღებულობენ კუჭში შემკერეულ საშუალებებს, ხოლო გამხსნელს დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგ), მესამე სახელმწიფოს მიერ მოწოდებული კონკრეტული ინფორმაცია და ა.შ.*

ზოგიერთ ქვეყანაში გამოკვლევის ასეთი მეთოდების გამოყენება საზღვრის გადამკვეთი პირების მიმართ შეუძლიათ მხოლოდ მებაჟეებს. ზოგან კი საამისო უფლებამოსილ ყველა თანამდებობის პირს შეუძლია შემოწმების ეს მეთოდი ეჭვმიტანილ პირთა მიმართ ეროვნული ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში გამოიყენოს.

უმეტეს ქვეყნებში სამედიცინო გამოკვლევის მეთოდების გამოყენება შესაძლებელია შესაბამისი პირის *წერილობითი* თანხმობით, ხოლო უარის შემთხვევაში – სათანადო *სასამართლო* ორგანოს ნებართვით. რადგან ფაქტობრივად, ნებისმიერი ასეთი გამოკვლევა *პირადი თავისუფლების შელახვას* წარმოადგენს.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში შევეცადე გამეანალიზებინა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში მოქმედი კონვენციების ყველა ის ძირითადი მოთხოვნები და დებულებები, რომელთა საშუალებით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები ქმნიან (ან უკვე შექმნეს) და აყალიბებენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საწინააღმდეგო ეროვნულ კანონმდებლობას.

ნაშრომში მოცემულია მხოლოდ ის ძირითადი და აუცილებელი დებულებები, რომლებიც დღეს საჭიროა ქართული კანონმდებლობისათვის.

დღეს მსოფლიოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზა დამყარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამ უნივერსალურ კონვენციაზე.

– 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ;

– 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ;

– 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ შემუშავებული ეს სამი დოკუმენტი, ის კონსტიტუციური დებულებებია, რომლებიც ქმნის ამ პრობლემის საწინააღმდეგო საერთაშორისო იურიდიულ სისტემას, რომლის ჩარჩოებშიც უნდა იმოქმედონ მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებმა, საერთაშორისო სტრუქტურებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

სწორედ ამ კონვენციებზე დაფუძნებით უნდა შეიქმნას და ჩამოყალიბდეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ უნივერსალიზმსა და საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლის ერთიანი სისტემის შექმნას.

თემატური და საბაზისო ლიტერატურა

1. United Nations International Drug Control Programme "Legal Assistance Now Available From the UNDCP". **Vienna, Austria. 1996.**

2. United Nations. International Narcotics Control Board. "Report of the International Narcotics Control Board for 1995". **New York. 1996.**

3. Програма Организаций Объединенных Наций по международному контролю над наркотиками. "Материалы совещания группы международных экспертов" **Вена, 1996 г.**

4. Организация Объединенных Наций. Программа по международному контролю над наркотиками. "Образец классификаций наркотических средств, психотропных веществ и их препаратов, а также веществ, используемых для их изготовления" (для использования национальными законодательными органами). **Австрия, Вена, 1996 г.**

5. Програма Организаций Объединенных Наций по контролю над наркотиками. Классификация наркотических средств, психотропных веществ и прекурсоров и регламентация законного культивирования, производства и изготовления наркотиков и торговли ими" **Нью-Йорк, сентябрь, 1996 г.**

6. United Nations. International Drug Control Programme. "Measures For Control of Narcotic Drug And Psychotropic Substances Contained in the International Conventions". **Vienna, Austria. 1996.**

7. Report of the International Narcotics Control Board on the implementation of article 12 of the United Nations Convention against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances of 1988, **New York, 1993.**

8. United Nations. "Single Convention on Narcotic Drugs, 1961", article 2. **New York. November 1992.**

9. United Nations. "Convention on Psychotropic Substances, 1971", article 7. **New York. 1977.**

10. Организация Объединенных Наций. Программа по международному контролю над наркотиками. "Перечень нарушений которые должны быть включены в законодательство и степени наказания за них" **Австрия, Вена, сентябрь, 1996 г.**

11. USA. Georgian Law Enforcement Handbook. 1995. Revision. The Harrison Company, Publishers. Crossing Park. 1995.

12. Организация Объединенных Наций. "Конвенция по борьбе против незаконного оборота наркотических средств и психотропных веществ 1988 года. Нью-Йорк, сентябрь, 1991 г.

13. Организация Объединенных Наций. Программа консультативно-правового обслуживания. "Акт об отмывании денег и конфискация в области наркотиков" Австрия, Вена, 1995 г.

14. United Nations. International Drug Control Programme. "Legal Advisory Programme" Vienna, Austria, 1995.

15. United Nations International Drug Control Programme "Legal Assistance, Money Laundering, Model Law, Vienna, November, 1993.

16. Программа Организаций Объединенных Наций по международному контролю над наркотиками. "Сборник документов о борьбе с незаконным хранением наркотических средств и психотропных веществ для личного потребления". Австрия, Вена, 1996 г.

17. Организация Объединенных Наций. Программа по международному контролю над наркотиками. "Законодательство пятнадцати государств - членов ЕС по вопросам о немедицинском использовании наркотических средств по состоянию на 1996 год. Австрия, Вена, 1996 г.

18. Программа Организаций Объединенных Наций по международному контролю над наркотиками. "Типовой закон о незаконном обороте наркотиков и связанных с ними правонарушениях". Австрия, Вена, сентябрь, 1996 г.

19. Программа Организаций Объединенных Наций по международному контролю над наркотиками. "Минимальные положения для включения в (новые) национальные уголовные кодексы. Австрия, Вена, сентябрь, 1996 г.

20. Bureau of International Narcotics Matters. International Narcotics Control Strategy Report, US Department of State, Washington, April 1994.

21. Воробьев И.А.; Князев В.В., Некоторые аспекты борьбы с незаконным оборотом наркотиков зарубежом. МВД РФ. Всероссийский научно-исследовательский институт. Москва, 1995 год.

ნ ა წ ი ლ ი მ ე მ შ ვ ი დ ე

საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ

თავი I

ნარკოტიკული დანაშაულის კვალიზიფიკაცია

...თუ ნამდვილი კაცნი ხართ,
უცებ ნუ აღმართავთ
სასჯელის მახვილს...

*უძველესი ერი
რევაზ ინანიშვილი*

§1. ნარკოტიკუმის უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები

ნარკოტიკების უკანონო წარმოებამ, ტრანსპორტირებამ და მოხმარებამ დღეს მსოფლიოში საშიშ ზღვარს მიაღწია, ხოლო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩართული დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, რომელთაც თანამედროვე ტექნოლოგიები და მისი გავრცელების ყოველგვარი საშუალებები აქვთ, ისე განვითარდა, რომ ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელი გახდა ახალი თანამედროვე ფორმებისა და მექანიზმების შექმნა.

მსოფლიოს სპეციალური სამსახურების პროფესიონალები და წამყვანი მეცნიერები, პოლიტიკოსები და დიპლომატები აყენებენ პირობას, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის – უპირველესად, საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა, აუცილებლად მოითხოვს სხვადასხვა ქვეყნების ოპერატიული და საგამომიებო დანაყოფების *მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას* და იმ ფორმალური ბარიერების მოშლას, რომელიც ასეთ საქმიანობას აბრკოლებს.¹

ამ მიზნით *გაერთიანებული ერების ორგანიზაცია* ქვეყანათა სუვერენიტეტისა და საზღვრების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით ცდილობს ინტენსიურად სრულყოს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა, რათა *სახელმწიფოებმა გამოიმუშაონ ბრძოლისა და მოქმედების ერთიანი სტრატეგია*

თავი I

და პრინციპები.

ჩვენეი მიზანია ამ თვალსაზრისით გავანალიზოთ დღეს საქართველოში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა და გავიაზროთ იგი დღევანდელი, უფრო მეტად კი ხვალისდელი დღის პერსპექტივით.

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორი და ეფექტური სისხლისსამართლებრივი ნორმების შემუშავებას ენიჭება. საამისო კანონი ადეკვატურად უნდა რეაგირებდეს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვაზე. კანონმა ასევე უნდა განსაზღვროს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი საქმიანობის გამოვლენისა და მისი აღკვეთის, ამგვარ საქმეთა ჩამდენი პირების დასჯის იურიდიული საფუძვლები და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობანი.

სწორედ ამის გამო განიცადა კარდინალური ცვლილება საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა, კერძოდ 252-ე და 253-ე მუხლებმა, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულს ეხებოდა და აშკარად აღარ შეესაბამებოდა ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში არსებულ მძიმე მდგომარეობას.²

საქართველოს ახალი 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კერძოდ, მისი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი ნორმები უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია კანონშემოქმედებით საქმიანობაში. მასში წინა – 1960 წლის კოდექსთან შედარებით, მკაფიოდაა განსაზღვრული პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადავზავნის, ან უკანონო გასაღებისათვის, თუმცა სერიოზულ გადაბრუნებას და სრულყოფას ისიც მოითხოვს.³

დანაშაულის ობიექტი და ობიექტური ნიშნები. ნარკოტიკულ საშუალებათა, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების უკანონო წარმოება და გავრცელება მომეტებული საშიშროების წყაროა საზოგადოებისათვის. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ კანონმდებელი დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ცალკეულ კარებად არის დაყოფილი, ხელყოფის გვარობითი ობიექტის მიხედვით.

ამ ნიშნის მიხედვით ცალკე არის გამოყოფილი მე-9 კარი „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის წინააღმდეგ“. მაშასადამე ამ კარში მოხსენიებული ყველა დანაშაულის გვარობითი ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი.

ამ კარის ერთ-ერთი XXXIII თავია „ნარკოტიკული დანაშაული“. ამ დანაშაულის სახეობითი ობიექტია, მოსახლეობის ჯანმრთელობა. იგი საფრთხეს

უქმნის არა მხოლოდ ცალკე ინდივიდს, არამედ მოქალაქეთა ფართო მასას – მათ ჯანმრთელობას ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში სახეობითი და უშუალო ობიექტი ემთხვევა ერთმანეთს.

იმავედროულად ნარკოტიკულმა დანაშაულმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვა სიკეთესაც, მაგალითად საწარმოთა და დაწესებულებათა ნორმალურ მუშაობასაც. ეს ხდება მაგალითად მაშინ, როცა ირღვევა ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მოპყრობის დადგენილი წესი (სსკ-ის მუხლი - 269). საქმე გვაქვს დამატებით ობიექტთან, სახეობით ობიექტთან და უშუალო ობიექტთან.

სხვათა შორის ეს საკითხი ასეა გადაწყვეტილი რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში, იქ ნარკოტიკული დანაშაული მოთავსებულია თავში, რომლის სახელწოდებაცაა „დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობის წინააღმდეგ“.

იურიდიულ ლიტერატურაში ამის თაობაზე სხვადასხვა აზრია: ზოგი თვლის, რომ ამ დანაშაულის ობიექტად გარდა საზოგადოების ჯანმრთელობისა, უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივი წესრიგი და საზოგადოებრივი უშიშროება, რადგან, ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი აბსტინენციის მდგომარეობაში ვერ აკონტროლებს თავის მოქმედებას და სჩადის სხვადასხვა სახის დანაშაულს. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით უფრო მართებული უნდა იყოს. განსაკუთრებით ეს ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას შეეხება.

ამდგავარი საქმიანობა თითქმის ყოველთვის საერთაშორისო ხასიათს ატარებს და ხელს უწყობს საერთაშორისო ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

ამ პრობლემას მიეძღვნა 1999 წლის 1-2 სექტემბერს გერმანიაში ჯორჯ მარშლის ევროპული ცენტრისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარებული კონფერენცია თემაზე – ორგანიზებული დანაშაული და ნაციონალური უსაფრთხოების მასშტაბები. ამ კონფერენციაზე თითქმის ყველა გამომსვლელმა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული და მისი ერთ-ერთი ფორმა – საერთაშორისო ნარკობიზნესი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას დაუკავშირა.⁴

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნარკოტიკული დანაშაულის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დანაშაულის საგნის სწორად განსაზღვრა – მიეკუთვნება თუ არა უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერება ნარკოტიკულ საშუალებებს. ამისათვის ექსპერტიზის გზით უნდა დაზუსტდეს მისი კუთვნილება ნარკოტიკების ჯგუფისადმი.

ნარკოტიკების შემკვლად შეიძლება ჩაითვალოს ის ნივთიერებები, რომლებიც ჩამოთვლილია ნარკოტიკების ნუსხაში (შემუშავებული გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის მიერ შესაბამისი კონვენციების საფუძველზე),

რომელზე დაყრდნობითაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შესაბამისად შეიმუშავა ასეთი ნივთიერებების სპეციალური ნუსხა.⁵

დანაშაულის ობიექტური მხარე, ამ დანაშაულის ობიექტური მხარე თავისი შინაარსის მიხედვით მოიცავს სხვადასხვა პროცესებს: უკანონო დამზადება, წარმოება, შექნა, შენახვა, გადაზიდვა, გადავზავნა ან გასაღება. ყველა ზემოჩამოთვლილი ქმედება სპეციალური ნებართვის გარეშე ითვლება კანონსაწინააღმდეგოდ, ე. ი. ობიექტურ მხარეს შეადგენს ზემოხსენებული ერთ-ერთი ქმედების უკანონო ჩადენაც კი.

უნდა ვიცოდეთ, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებებისა, დღეს მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში ნარკოტიკულ დანაშაულის უკანონო ქმედებათა რიცხვს მიეკუთვნება: ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპიული ნივთიერებების, პრეკურსორების და ასევე ანალოგების გადაზიდვის ორგანიზება და დაფინანსება, უკანონოდ ნაშენი ფულის ლეგალიზება-გათეთრება.

იმავე ქვეყნებში კანონით მკაცრად ისჯება ზემოთ დასახელებული ნივთიერებების და საშუალებების წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობების და მასალის გადაზიდვა (რა თქმა უნდა სათანადო მტკიცებულებათა არსებობისას). ასევე ისჯება ხელშეწყობა უკანონო გზით ამოგებული ფულის იოლად ხარჯვაში. ყველა ზემოჩამოთვლილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის, წაქეზება ან ხელშეწყობა საინფორმაციო კომპიუტერული ქსელის გამოყენებით.

მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობით უკანონო ქმედებად განიხილება ნარკოტიკების გამოყენების საჯაროდ წახალისება, ინჰალატორების შეთავსება (მიწოდება) არასრულწლოვანთათვის.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მსუბუქი სახის კანონდარღვევად – გადაცდომად ითვლება ნარკოტიკების მოყვანა, შექმნა ან შენახვა პირადი მოხმარების მიზნით და უკანონო მოხმარება (აქ გასათვალისწინებელია გამოყენებული ან აღმოჩენილი ნარკოტიკის ოდენობა და არის თუ არ იგი ამ სახის პირველი კანონდარღვევა), ამავე კატეგორიაში გადის გამოყენებული შპრიცების საჯარო ადგილებში გადაღება.⁶

ახლა განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული ყველა უკანონო ქმედება ცალ-ცალკე: დამზადება ნიშნავს რაიმე საშუალებითა და ნებისმიერი კონცენტრაციით ნარკოტიკული ნივთიერების მიღებას. მაგალითად, ნარკოტიკების მიღება ბუნებრივი ნედლეულისგან (კამიში – კანაფისგან, ოპიუმი – ოპიუმის ყაყაჩოსგან, კოკაინი, კოკას ფოთლისგან). დამზადების პროცესში ნარკოტიკების მიღება სხვადასხვა სახით შეიძლება – ფეხნაილი, აბები, შენაერთი ნეიტრალურ ნივთიერებებთან, აირის სახით (ეთერი).

დანაშაულის კვალიფიკაციისათვის ნარკოტიკების დამზადების ადგილს და მისი მიღების ბერებებს მნიშვნელობა არა აქვს.

წარმოებად ჩაითვლება მცენარეული და სხვა სახის ნივთიერებებისგან

პირველადი ნარკოტიკული საშუალების მიღება, გადამუშავებად კი – სხვადასხვა ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით, მინარევებისაგან *გაწმენდის* გზით ნარკოტიკული ნივთიერების *კონცენტრაციის გაზრდა* ამა თუ იმ პრეპარატში.

ნარკოტიკული ნივთიერების მისაღები კომპონენტების შექმნა უნდა დაკვალიფიცირდეს *მკვლელობად*, ხოლო მათ (*ნარკოტიკის*) მისაღებად გამოიხნული უკვე განხორციელებული ქმედება, როგორც *დამთავრებული დანაშაული*. დანაშაული *დამთავრებულად* ჩაითვლება მაშინაც, თუ მიღებული ნივთიერება შეიცავს ნარკოტიკს ისეთი კონცენტრაციით, რომლის გამოყენება *ნარკოტიკულ თრობას* იწვევს, ხოლო *რამდენჯერმე ზმარებას* შეუძლია *ნარკოტიკული დამოკიდებულება* გამოიწვიოს.

ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ნარკოტიკების მსგავსად, ასევე დასჯად ქმედებად განიხილება *ანალოგებისა და პრეკურსორების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადავზავნა და გასაღება*. ასეთი პოზიცია სავსებით შეესაბამება საერთაშორისო კონვენციასთან მოთხოვნებსა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების შესაბამის კანონებს.

და აი, რატომ: ნარკოტიკების *შეზღვევით* პერიოდულად ჩნდება მანამდე უცნობი დასახელებით სრულიად ახალი ნარკოტიკული საშუალებები. ეს საშუალებები *იქმნება სოლიდურად აღჭურვილ სამედიცინო ცენტრებში, ლაბორატორიებში*. მათ შექმნაში დიდი გასამრჯელოს საფასურად კვალიფიციური მეცნიერები და მკვლევარები მონაწილეობენ.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ახალი ნივთიერებები, რომელთაც *ანალოგები* ეწოდა, თითქმის ყოველთვის უფრო *ძლიერი* ნარკოტიკული ეფექტის მქონეა, ვიდრე მათი წინამორბედები, რომელთა მოლეკულური სტრუქტურა მხოლოდ მცირედად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ბოლო დრომდე ასეთი ნივთიერებები ზშირად კონტროლს მიღმა იყო დარჩენილი და ნარკოტიკების მომზადებელთა მიერ მათი ბოროტად გამოყენება სახელმწიფოებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. სწორედ ამიტომ მოიძებნა მათი კონტროლის სფეროში მოსაქცევი საჭირო შექანიზმი, რაც აისახა მთელი რიგი ქვეყნების სისხლისსამართლებრივ ნორმებში.

ეს ნორმა მოცემულია ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში.

იგივე შეიძლება ითქვას პრეკურსორებზეც, რომლებიც იმ 22 ძირითად საწყის ნივთიერებას მოიცავენ ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების საწარმოებლად რომ არის აუცილებელი.⁷

ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნა მოიცავს *უკანონო გარიგებას*, რომლის შედეგადაც შესაბამისი ნივთიერება დამანაშავის *დროებით ან მუდმივ მფლობელობაში* გადადის. გარიგება შეიძლება გამოიხატოს ნარკოტიკული ნივთიერების *ყიდვით, სესხის სახით ან ვალის ანგარიშში მიღებით, საჩუქრად მიღებით და ა.შ.* აღნიშნული

თავი I

დანაშაულის შესახებ საქმის სასამართლო განხილვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნარკოტიკული საშუალებების, როგორც *ნივთმტკიცების* ჩამორთმევას დამნაშავისაგან. დანაშაულებრივი გზით ნარკოტიკული ნივთიერების *მოპოვების* (მაგალითად, *ქურდობით, გამოძალვით, დატაცებით*) შემთხვევაში დამნაშავის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კანონის 264-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაყუთრებისთვის ან *გამოძალვისთვის*.

შენახვა გულისხმობს დამნაშავის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების *ფაქტობრივ ფლობას*. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ნარკოტიკული ნივთიერების *შენახვის* ფორმას – *ლიად თუ ფარულად, საცხოვრებელ ადგილას თუ საქციალურ საცაეში, საგანგებოდაა შენახული თუ თანა აქვს დაშაშავეს*. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება იმის დამოუკიდებლად, თუ ვინ არის ამ ნარკოტიკული ნივთიერების *ნამდვილი მესაკუთრე*.

ამჟამად საქართველოში *მწკავე ღებატები* მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ რა სახის სასჯელი შეიძლება იქნეს გამოყენებული პირის მიმართ, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებას *პირადი მოხმარების მიზნით* ინახავს.

აქ ჩვენის აზრით, ამოსავალ დებულებად უნდა მივიჩნიოთ 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც კონსტიტუციური დებულებებისა და სამართლებრივი სისტემების ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფოთა მიერ ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომ *სამართალდარღვევად ცნონ* 1961 და 1971 წლების კონვენციათა საპირისპირო ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა *შენახვა, შეტენა და კულტივირება პირადი მოხმარების მიზნით*.⁸

როგორც აღვნიშნეთ, ნარკოტიკული ნივთიერებების არასამედიცინო მიზნით გამოყენება *საზოგადოებისათვის საშიში ქმედებაა*, რადგან იგი არა მარტო იმ პირებისთვის არის საზიანო, რომლებიც მას იყენებენ, არამედ პოტენციურად საშიშია *ირველივე მყოფთათვის*. მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკული ნივთიერებების *მოხმარებისათვის*. კანონმდებლობის ასეთი გადაწყვეტილება, ქვეყნისათვის ამ ეტაპზე ვფიქრობთ, სწორი და აუცილებელიცაა.

პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკების მოხმარებელი პირის დაკავება ხდება (მაგალითად, *პაშიშის მოწვევის ან ოპიუმის ხსნარის გაკეთების მომენტში*) და მას ჩამოართმევენ *ნარკოტიკიან პაპიროსს ან ოპიუმის კონცენტრირებულ ხსნარიან შპრიცს*. ამ შემთხვევაში *პაშიშის ან ოპიუმის მოხმარება* და *შენახვა* ერთმანეთისაგან *განუყოფელი* ქმედებებია. გარდა ამისა, მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით მეცნიერები და პრაქტიკოსი მუშაკები ხშირად სვამენ შეკითხვას, *ქრონიკულ ნარკომანს (არაიშვიათად, გამყარცლებელს)*, რომელიც

კარგად ნიღბავს თავის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, რატომ ეკისრება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ახალბედა მომხმარებელს კი, რომელსაც შედარებით იოლად ჩამოერთმევა ნარკოტიკი, სისხლისსამართლებრივი.

ამასვე ადასტურებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა უკანასკნელი ხუთი წლის საგამოძიებო პრაქტიკაც; საქმეთა უმეტესობა აღძრულია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შენახვის გამო – 86 პროცენტი.⁹

მონაცემები მიუთითებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან მეტრძოლი სამსახურების არასწორ სტრატეგიაზე, როდესაც მხოლოდ ყოველ მეცხრე – მეათე შემთხვევაში არის შესაძლებელი ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანის წყაროს – არხების დადგენა და სისხლისსამართლებრივ დევნისას აქცენტი ნარკოტიკების მომხმარებლებზე კეთდება.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ მომენტებს ითვალისწინებს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების შესახებ. ეს მუხლი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ ითვალისწინებს ჯარიმას, ან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ვადით 80-დან 120 საათამდე, ან დატუსაღებას ვადით 3 თვემდე, ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე.¹⁰

კანონის ეს ნორმა პრაქტიკოს მუშაკებს და სასამართლოებს ეხმარება ნარკოტიკების საცალო ვაჭრობაში და საერთაშორისო ნარკობიზნესში ჩართულ პირებს შორის მკაფიო ზღვრის გატარებასა და უკანონო ბრუნვაში ჩართული პირების დასჯის საკითხების გადაწყვეტაში. ერთ-ერთი მთავარი საკითხი კი ნებისმიერი ნარკოტიკოსთვის მდგომარეობს, ეგრეთ წოდებული, დასასჯადი ოდენობის სწორად განისაზღვრაში; ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით გამოყენების შესახებ დღეს საქართველოში თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოს მუშაკთა ორი განსხვავებული აზრი არსებობს:

პირველი – ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა პირადი მოხმარების მიზნით კანონით არ უნდა ისჯებოდეს;

მეორე – ეს ქმედება უნდა ისჯებოდეს სისხლისსამართლებრივი ნორმებით.

ჩემის აზრით კი, საქართველოსთვის, მისი განვითარების ამ გარდამავალ ურთულეს ეტაპზე, კანონის ეს ნორმა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი რა თქმა უნდა მოითხოვს დახვეწას, მაგრამ თითქოს ოქროს შუალელს წარმოადგენს და ორივე მხარის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. იგი რეალურად შეესაბამება დღეს ქვეყანაში არსებულ ვითარებას. მომავალში კი, როდესაც შეიქმნება ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამედიცინო და

თავი I

სოციალური რეაბილიტაციის თანამედროვე, საერთაშორისო დონის ინფრა-სტრუქტურა, ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე დაექვემდებარება მკაცრ კონტროლს და სპეც-სამსახურები ნარკოტიკებთან ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში ჩაერთვება, ჩვენი თვალსაზრისით, მაშინ უკვე აუცილებელი გახდება ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით – მისი დამზადების, შექმნა შენახვისთვის სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის გაუქმება და ისიც *მხოლოდ გარკვეული კრიტერიუმების (მაგალითად, ნარკოტიკების ოდენობის) გათვალისწინებით.*

გადაზიდვა ნიშნავს ნარკოტიკული ნივთიერების გადაადგილებას ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით. ნარკოტიკული ნივთიერების გადატანა კი ნარკოტიკული ნივთიერების შენახვის ერთ-ერთი ხერხია.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა გადაზიდვა თითქმის ყველა შემთხვევაში ქვეყნის (ან ქვეყნების) საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან არის დაკავშირებული და ამიტომ *საერთაშორისო ხასიათს ატარებს. სწორედ ამის გამო, საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში უდავოდ სწორად მიგვაჩნია ახალი 262-ე და 263-ე მუხლების შეტანა, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების საქართველოში უკანონო შემოტანას ან საქართველოდან უკანონო გატანას, ასევე ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას ითვალისწინებს.*

ჩვენი აზრით, ასეთი კატეგორიის საქმეების გამოძიებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლის 1961 წლის კონვენციის 36-ე მუხლის 2 (ა) (i) პუნქტების მოთხოვნები, რომ სახელმწიფოებმა ცალ-ცალკე კანონდარდევად ცნონ სხვადასხვა ქვეყნებში ჩადენილი თითოეული განსახილველი ქმედება.¹¹

გადაგზავნა გულისხმობს ნარკოტიკული ნივთიერების ერთი პუნქტიდან მეორეში ტრანსპორტით, ფოსტით (*აშნათი, ძანდეროლი*) ან ამისათვის *სპეციალურად შერჩეული პირის, ფრინველის (საფოსტო მტრედები) ან ცხოველის გამოყენებით გადაადგილებას.*

ეს დანაშაული შეიძლება *დამთავრებულად* ჩაითვალოს ხსენებული ნივთიერების შემცველი საფოსტო გზაწინილების, სხვა სახის ტვირთების, კავშირგაბმულობის დაწესებულებაში, რკინიგზის სადგურებსა და ნავსადგურებში ტვირთის *ძილების მომენტთან*. უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა გზით განხორციელდა ნარკოტიკული ნივთიერების გადაზიდვა ან გადაგზავნა (*აშნათის, ძანდეროლის, ტვირთის სახით*) და რომელ ტრანსპორტს (*წყლის, რკინიგზის, საჰაერო, საავტომობილო*) იყენებდა დამნაშავე.

გასალება გულისხმობს ნარკოტიკების *რეალიზაციას – გაყიდვას, ჩუქებას,*


სხვა სახის ნარკოტიკებზე ვაკვლას, ვასესხებას. უსასყიდლოდ გადაცემას ერთჯერადი გამოყენებისათვის. აგრეთვე სხვა ქმედებებს, რომელთა შედეგადაც ნარკოტიკი გადაადის სხვა პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში. მაგალითად, *პაშიშის* ან *ოპიუმის* მიცემა მოსაწევად ან დასალეჭად მიესადაგება ცნებას – *ნარკოტიკის გასაღება*. ნარკოტიკული ნივთიერების *გასაღება დამთავრებულ* დანაშაულად ითვლება სხვა პირის მიერ მისი *მიღების* მომენტიდან მიუხედავად იმისა, გადაეცა თუ არა გამავრცელებელს ამ ქმედებისთვის *მატერიალური* სარგებელი.¹²

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 260-ე *მუხლის* მიხედვით ეს ქმედება *დამთავრებულ* დანაშაულად ითვლება, მიუხედავად იმისა, სხვა პირებს *მაყენ* თუ არა ამ ქმედებამ *ზიანი*. პასუხისმგებლობის საკითხი დგება ნარკოტიკულ ნივთიერებათა *შენახვის*, *წარმოების*, *გასაღების*, *შეძენის*, *გადაზიდვის* და *გადაგზავნის* დადგენილი წესების დარღვევის ფაქტის გამო.


დანაშაულის სუბიექტი და სუბიექტური მხარე. მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულის *სუბიექტად* შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელმაც დანაშაულის ჩადენის მომენტში მიაღწია სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ *ასაკს*. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33 მუხლის მიხედვით ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თითხმეტი წელი. თუ დავაკონკრეტებთ, საქართველოს კანონმდებლობით პირს, რომელსაც არ შესრულებია 14 წელი არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენა. ასაკი, ამრიგად სუბიექტის საკითხს კი არ უკავშირდება, არამედ ბრალის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს.

თუნცა ჩემი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების განზოგადება მარწმუნებს ნარკოტიკების მომხმარებლების ძალიან ხშირ მწვავე ფსიქიკურ დარღვევებზე და აშკარა დეგრადაციის ნიშნების არსებობაზე, რის გამოც აუცილებელი ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება გამომძიებლის მიერ პირის შერაცხადობის დასადგენად. შერაცხადობა გულისხმობს ადამიანის ისეთ მდგომარეობას, როდესაც დანაშაულის ჩადენის მომენტში *მას შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს ვითარება და მართოს თავისი ქმედება*. როგორც წესი, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამოყენების შედეგად დანაშაულის ჩამდენი პირები შერაცხადად მიიჩნევა. ნარკოტიკების გამოყენების შედეგად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის შეურაცხადობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, თუ დადგენილია გარკვეული პირობები, რომლებიც მიუთითებენ *მწვავე* ფსიქიკურ დარღვევებზე. ფსიქიკის აშკარა *დეგრადაციის* ნიშნების არსებობისას, ნარკომანი შეიძლება შეურაცხადად ჩაითვალოს. ამის დასადგენად აუცილებელია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის ჩატარებაზე გამომძიებელს საგანგებო დადგენილება გამოაქვს. საქართველოში ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულზე შეურაცხადობის მოტივით შეჩერებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა


ბასამართლებულთა სოციალური სტატუსი



ბასამართლებულთა ასაკობრივი სკეპტრი



დაკავებულ უცხოელთა ეროვნული კუთვნილება



უკანასკნელი 5 წლის მონაცემებით ძალზედ მცირეა და წელიწადში 11-დან 17-მდე მერყეობს. რაც ამ კატეგორიის საქმეებთან მიმართებაში 1,1 1,2 პროცენტს შეადგენს.

დანაშაულის სუბიექტის იურიდიული ნიშნების განსაზღვრის გარდა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დამნაშავის სოციალურ-კრიმინოლოგიურ ნიშან-თვისებებს.

დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიურ შესწავლა ძირითადად მისი იმ თვისებებისა და ჩვევების გამოსავლენად და შესაფასებლად ხდება, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებას გადაებს და რომლის მთავარი მიზანია მისი აღკვეთა-აცილება – პროფილაქტიკა. ამაში გამოიხატება სამი უმთავრესი საკანონო კრიმინოლოგიური პრობლემის მჭიდრო ერთობლიობა:

- დამნაშავის პიროვნება;
- დანაშაულებრივი ქვევების მიზეზები და მექანიზმები;
- დანაშაულთა პროფილაქტიკა.

ამათში უმთავრესი მანძი დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური მახასიათებლებია.¹³

ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი სუბიექტი – დამნაშავე პირი, როგორც წესი. უარყოფითი მორალური ნიშნებით ხასიათდება. დამნაშავე ნარკომანი, ჩვეულებრივ, დაბალი კულტურისა და განათლების, შეზღუდული მოთხოვნილებების, პარაზიტული ბუნების პირები არიან, რომლებიც დანაშაულს თავიანთი პრიმიტიული ინტერესების დასაკმაყოფილებლად – ნარკოტიკულ ნივთიერებათა შესაძენად სჩადიან.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანილ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათგან 54,9 პროცენტი ადრე ნასამართლვე იყო სხვადასხვა დანაშაულისათვის, 33,5 პროცენტი ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის იხდიდა სასჯელს, 27,3 პროცენტს დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს. საქმიანობის მიხედვით: არაკვალიფიციური მუშა 43,3 პროცენტი; კვალიფიციური – 11,7 პროცენტი; მათგან 89,9 პროცენტი არსად არ მუშაობს; 92 პროცენტი მამაკაცია. თუმცა ეს მაჩვენებლები ამ ეტაპზე საზოგადოებაში მიმდინარე არაერთგვაროვანი პროცესების გამო შეიძლება დროის უმცირეს მონაკვეთში სწრაფად შეიცვალოს.

260-ე – 272-ე მუხლების სუბიექტური მხარისთვის დამახასიათებელი პირდაპირი განზრახვა, ე.ი. პირს შეგნებული აქვს თავისი ქმედების მართლ-საწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებს მის შედეგებს და სურს ამ შედეგების მიღწევა.

სავალდებულოა იმის გათვალისწინება, რომ პირს, რომელიც ფალსიფიცირებულ ნარკოტიკებს იძენს, რა თქმა უნდა, განზრახული აქვს დაეუფლოს აღნიშნულ ნივთიერებას. რის გამოც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მას უნდა

თ ა ე ი I

დაეკისროს, იმისდა მიუხედავად, დანაშაული ბოლომდე იქნება მიყვანილი თუ არა.

ნებისმიერი ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საცალო ვაჭრობის, მათი განაწილებისა და გაცემის სწორი, იურიდიული მექანიზმების განსაზღვრას და ჩამოყალიბებას. ჩვენის აზრით, დღეს სისხლის სამართლის კოდექსის 269-ე და 270-ე მუხლებში საკმაოდ დაწვრილებით არის ასახული ასეთი უკანონო ქმედებათა საწინააღმდეგო ნორმები.

სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ კერძო პირებს – ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზღვის, გადაზღვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობაში მიიციეშიან აფთიაქის მმართველები, საფთიაქო საწყობების მეკუჭნაეები, გამყიდველები და ა.შ. ასევე სხვა სუბიექტები, რომლებიც დაკისრებული საქმიანობის გამო ვალდებული არიან დაიცვან ეს წესები. თუ მათ ქმედებაში არის თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობა (თანამდებობის ბოროტად გამოყენება, დაუდევრობა), პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის კვალიფიციენტობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მუხლებით.

დანაშაული, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 269-ე და 270-ე მუხლებით, შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ. ასევე გაუფრთხილებლობით. მიუხედავად ამისა, უნდა დადგინდეს იყო თუ არა დამნაშავისათვის ცნობილი ნარკოტიკების წარმოებისა და მასთან მოპყრობის წესი. თუ აღნიშნულ წესებს დაარღვევს პირი, რომელმაც არ იცოდა მისი არსებობა, პასუხს აგებს თანამდებობის პირი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ხელქვეითებისგან მოქმედი წესების შესრულება. ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთა კვალიფიციენტისათვის მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის ჩადენის მოტივს. რაც შეეხება მიზანს, ეს არის დამნაშავე პირის სურვილი – გამორჩენის მიზნით ან უამისოდ გადასცეს სხვას თავის მფლობელობაში არსებული ნარკოტიკი. შესაბამისად, მიზნის განსაზღვრა აუცილებელია დანაშაულის სწორი კვალიფიციენტისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ერთმნიშვნელოვნად უარყოფილია იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. იგივე გზით წავიდა მსოფლიოს უმეტესი, განსაკუთრებულად ევროპული სამართლის სისტემის ქვეყნები. აი რას წერს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნინელი კუზნეცოვა მისი რედაქციით 1999 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში „**Курс уголовного права**“: „რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლმა დაასრულა პოლემიკა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ. იგი გადაწყვეტილია კატეგორიულად უარყოფითად, რადგან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონიფიცირებულია. არ შეიძლება დანაშაულის სუბიექტად განვიხილოთ ადამიანთა მასა, ესა თუ ის ჯგუფები“.

თუმცა დამოკიდებულება იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ,

თვით რუსეთშიც არაერთგვაროვანია. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესო სტატია „იურიდიული პირი როგორც დანაშაულის სუბიექტი“ 2000 წლის აგვისტოში, ჟურნალ „Государство и право“-ში გამოაქვეყნა ანიკიფოროვმა, რომელიც მეტად საინტერესოდ ასაბუთებს, რომ მომავალში იურიდიული პირი უნდა ვადაროთ დანაშაულის სუბიექტად და დავაკისროთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ასევე არაერთგვაროვანია დამოკიდებულება იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ საზღვარგარეთ. მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საერთო კანონმდებლობის ქვეყნებში გათვალისწინებულია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასეთი ნორმები მოქმედებს აშშ-ში, კანადაში, იაპონიაში, ნორვეგიაში, დანიასა და იუგოსლავიაში. განსაკუთრებით განზოგადოებულად კი ნიდერლანდებსა და საფრანგეთში. ეს ზედმიწევნით კარგად არის გაშუქებული ჟან პრადელის ნაშრომში „მედარებითი სისხლის სამართალი“.

თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებების გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების მასშტაბების გაფართოების ფონზე, საერთაშორისო ნარკობიზნესთან და ტერორიზმთან, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვის სფეროში დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ნარკოტიკებთან ბრძოლის ზახით მსოფლიოს თანამეგობრობას შესთავაზა ახალი რეკომენდაციები.

ამ რეკომენდაციების მრავალმხრივი განხილვის შემდეგ მანვე შეიმუშავა კანონის მოდელი, რომლის მე-7 თავის სათაურია „იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“ და ჩამოყალიბებულია ამგვარად:

იურიდიული პირი, სახელმწიფოს გარდა, რომლის სახელითაც ან რომლის ინტერესებითაც ერთ-ერთი მისი თანამშრომელი ან წარმომადგენელი **де-юре** ან **де-факто** სჩადის შემდეგი სახის კანონდარღვევებს:

- 1) ნარკოტიკების უკანონო დამზადება და წარმოება;
- 2) ნარკოტიკებიდან მიღებული ფულით ფულით გათვითრება;
- 3) ნარკოტიკების უკანონო მოხმარების წახალისება;
- 4) მასობრივი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება წინასწარი აუცილებელი გამაფრთხილებელი ღონისძიებების გარეშე, რომელსაც მოჰყვა ნარკოტიკების მოხმარება;
- 5) ნარკოტიკების მოხმარების წაქეზება ან ხელშეწყობა კომპიუტერული საინფორმაციო ქსელების მეშვეობით.

ისჯება ჯარიმით, რომლითაც არ ზარალდება ის ფიზიკური პირი, რომელიც ამ კანონდარღვევის შემსრულებელია.

გარდა ამისა იურიდიული პირების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი სახის სასჯელი:

თავი I

- ა) ლიკვიდაცია, თუ ეს იურიდიული პირი მიზნად ისახავდა, ზემოთ დასახელებული რომელიმე კანონდარღვევის ხელშეწყობას;
- ბ) ეკონომიკური ან კომერციული საქმიანობის საშუალო ან დროებითი (პერიოდის მითითებით) პირდაპირი ან ირიბი აკრძალვა;
- გ) კანონდარღვევის ჩადენისათვის გამოყენებული ფირმების, შვილობილი კომპანიების, ფილიალების, დაწესებულებების საშუალო ან დროებითი (პერიოდის მითითებით) დახურვა;
- დ) სასამართლო გადაწყვეტილების ბეჭდვითი საშუალებებით, რადიოთი, ტელევიზიით გამოქვეყნება.

მიუხედავად ამისა დასჯის ზომები ლიკვიდაციის სახით არ გამოიყენება, იმ იურიდიული პირების მიმართ, რომელთა საქმიანობა რეგულირდება საჯარო სამართლით. ასევე პოლიტიკური პარტიების და პროფესიონალური გაერთიანებების მიმართ.

ტიპური კანონის ზუსტი და ზედმიწევნით სწორედ გაგებისათვის გაერომ შეიმუშავა კომენტარი №27, რომელიც განმარტავს:

რომელიმე იურიდიული პირის გამომხატველი ფიზიკური პირების მიმართ გამოყენებული შემაკავებელი სანქციების ეფექტურობის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია ისეთი პირობების შექმნა, რათა შესაძლებელი გახდეს ასეთი იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დევნა.

სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით სერიოზული სამართალდარღვევების ჩადენის დროს, გათვალისწინებულია სახელმწიფოს გარდა, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია საჯარო ან კერძო სამართლით.

იმისთვის, რომ იურიდიული პირი განვიხილოთ ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი კანონდარღვევების მთავარ შემსრულებლად ან თანამონაწილედ, აუცილებელია ორი პირობის არსებობა:

1. ასეთი კანონდარღვევა უნდა მოხდეს იურიდიული პირის სახელით ან მისი ინტერესებით;

2. ასეთი კანონდარღვევა ჩადენილი უნდა იქნას იურიდიული პირის ერთ-ერთი თანამშრომლის ან წარმომადგენლის მიერ, რომელიც **de facto** წარმოადგენს მის მმართველს, ან პირის მიერ, რომელიც ამ იურიდიული პირის კომპეტენციის ფარგლებში ანზორციელებს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ დამოუკიდებელ რწმუნებებს. მიუხედავად ამისა იურიდიული პირის მიმართ არ აღიძვრება სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ სამართალდარღვევა ჩადენილია ერთ-ერთი მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი ან მასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულების დროს, რომელიც მოქმედებდა პირადი ინიციატივით, თუნდაც იურიდიულმა პირმა სამართალდარღვევიდან მიიღო სარგებელი.

ქართველმა იურისტებმა გადაწყვიტეს, რომ ჯერ-ჯერობით იურიდიული პირის პასუხისმგებლობა დადგეს სამოქალაქო სამართლებრივი წესით. პრაქტიკის

განზოგადების კვალობაზე გამოირკვევა რამდენად შედეგიანია და ეფექტურია სამოქალაქო სამართლებრივი ღონისძიებები ამ მიმართულებით.

დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნები. ვიდრე დავიწყებდეთ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნების განსაზღვრას, საჭიროა განვაზოგადოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავემ ორი ან მეტი კანონსაწინააღმდეგო დასჯადი ქმედება ჩაიდინა (*მაგალითად, დამზადა, გადაზიდა ან გაყიდა ნარკოტიკი*).

თუ პირმა *პირველად* ჩაიდინა სხვადასხვა სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედება (*ნარკოტიკების დამზადება, გადაზიდვა და გასაღება*) და თუ მოქმედების საგანი ერთი ნივთიერება იყო, მაშინ საქმე გვაქვს ერთ დანაშაულთან. ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ერთი დამთავრებული დანაშაული იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი დანაშაულებრივი ქმედება დამთავრებულია, ხოლო მეორე *შხადების სტადიაში* (*მაგალითად, ნარკოტიკების დამზადება და მისი გასაღების მცდელობა*).

დანაშაული განმეორებით ჩაეთვლება პირს, რომელსაც ადრეც ჩადენილი ჰქონდა ერთ-ერთი დანაშაულთაგანი გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე – 274 მუხლებით.

დანაშაულის მაკვალიფიცირებელი მეორე გარემოებაა, როცა ეს ქმედება პირთა ჯგუფმა ჩაიდინა *წინასწარი შეთანხმებით*. ამ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს, რომ რამდენიმე პირი *წინასწარ* შეთანხმდა თუ არა დანაშაულის ჩასადენად. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ *წინასწარ შეთანხმებაში* კანონმდებელი გულისხმობს არა მარტო პირთა *მორიგეებს* დანაშაულის ჩადენამდე დიდი ხნით ადრე, არამედ უშუალოდ დანაშაულის *ჩადენის მომენტშიც*, ხოლო ის პირები, რომლებიც დანაშაულის *წამტეხველად* გვევლინებიან, პასუხს აგებენ როგორც *თანამონწილენი*. საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, რადგან ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ყველა სტადიაზე (დამზადება, წარმოება, გადაზიდვა – ტრანსპორტირება, დისტრიბუცია, გასაღება, ფულის გათიერება) ახასიათებს გაურთიანება სხვადასხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებებში – ფუნქციების და დავალებების დანაწილება.

საერთაშორისო პრაქტიკაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის *მაკვალიფიცირებელ* ერთ-ერთ ძირითად ნიშნად დღეს ნარკოტიკების ოდენობას მიიჩნევენ. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა როგორც პრაქტიკულ მუშაკებს, ასევე მეცნიერთა შორის. ერთნი ამტკიცებენ, რომ კვალიფიკაციის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ნარკოტიკების *ოდენობასა და ღირებულებაზე*, მეორენი კი აქცენტს აკეთებენ ისეთ გარემოებაზე, როგორცაა *საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენება*.

ცნობილია, რომ ნარკოტიკები ერთმანეთისგან განსხვავდებიან *ზემოქმედების ხარისხით*. ამის შესაბამისად, გარკვეული ეფექტის მისაღებად საჭიროა ამა თუ იმ ნარკოტიკის განსხვავებული დოზით მიღება.

მსოფლიო პრაქტიკაში ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ

ნივთიერებათა ინდივიდუალური მოხმარებისათვის საჭირო ოდენობა განისაზღვრება პიროვნებისათვის გამოსაყენებლად დაშვებული თითოეული ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებისათვის ცალ-ცალკე, ერთჯერადი მოსახმარი მოცულობის საფუძველზე. პირადი მოხმარებისათვის საჭირო ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ოდენობა, როგორც სუფთა სახით, ასევე ნარეუ მდგომარეობაში, შესაბამისად განისაზღვრება ცალ-ცალკე, მათი სადღეღამისო მოსახმარი ოდენობის იმ მოცულობით, რაც აბსტინენციის სინდრომის გასაწყობებად საჭირო. მაგალითად, ევროპული კვალიფიკაციით მარიხუანას მოხმარების შემთხვევაში იგი 10 გრამს შეადგენს, ბარბიტურატებისა – 10 აბს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო როცა საქმე ჰეროინს, კოკაინსა და კანაფის ზეთს ეხება 1–2 გრამს, ლსდ მხოლოდ ერთი დოზა უნდა იყოს.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ევროპული კლასიფიკაციით ნარკოტიკების ერთჯერად და გამოსაყენებელი, ვერეთ წოდებული, მცირე ოდენობის განსაზღვრის ოთხი გავრცელებული ვარიანტი:

პირველი – გამოყენებული ნარკოტიკის ოდენობის შეფასება სასამართლოს მიერ;

მეორე – სასამართლო ეყრდნობა კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილ ოდენობებს;

მესამე – შეფასება ხდება ექსპერტის მიერ, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებელი პირის ნარკომანიით დაავადების სტადიას ითვალისწინებს;

მეოთხე – ყოველი ცალკეული ნარკოტიკის დასაშვები ოდენობა კომპეტენტური ორგანოს მიერ დგინდება.¹⁴

სხვა საკითხია უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკების ოდენობა, რომელიც დამნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრის ერთ-ერთი მთავარი მაკალიფიცირებელი ნიშანია. სხვადასხვა ქვეყნებისათვის ის არ შეიძლება ერთნაირი იყოს, იგი დამოკიდებულია ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანის ინტენსივობაზე, შემოტანილი ნარკოტიკის რაოდენობაზე, მათ სოციალურ სამიშროებაზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში წელიწადში 400 - 500 ტონა ნარკოტიკი შედის, განსხვავებულია ეს ციფრები სხვა ქვეყნებისთვის. ასევე, უნდა გაითვალისწინოთ მოსახლეობის ნარკოტიკებით დაზიანების კოეფიციენტიც, მისი ფასები შავ ბაზარზე და სხვა მრავალი ფაქტორი. ასე რომ, ჩვენი თვალსაზრისით, ნარკოტიკების ის ოდენობა, რომელიც მაკალიფიცირებელი ნიშანია ამერიკის შეერთებული შტატების ან ჰოლანდიის კანონმდებლობით, ან თუნდაც უზბეკეთისა და ყაზახეთისთვის, საქართველოსთვის სრულიად არ გამოდგება, თუმცა უდავოდ საინტერესოა ამ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობა. ამათგან განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაა გამოსაყოფი, რომელსაც უამრავი თავისებურება და საკითხისადმი არასტანდარტული, ნოვატორული მიდგომა ახასიათებს და წინ უსწრებს მსოფლიო პრაქტიკას ამ სფეროში.

§2. სამართაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკა

ნარკოტიკული დანაშაულის საკანონმდებლო პრაქტიკის განხილვისას, დასტურდება, რომ მსოფლიოს ყველა სახელმწიფო თავისი რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე ცდილობს შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მის მოსახლეობას ეფექტურად დაიცავს ნარკოტიკის ზემოქმედებისაგან.

საკითხისადმი მიდგომა პრინციპში ორი სახისაა:

პირველი – მკაცრი, რომელიც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისათვის ითვალისწინებს უაღრესად მკაცრ სანქციებს, – *სამუდამო პატიმრობას* და სიკვდილით დასჯასაც კი. გარდა ამისა სისხლის სამართლის კანონით ისჯება – ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება.

მეორე – ლიბერალური, რომელიც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისათვის არ ითვალისწინებს *სამუდამო პატიმრობას* და რა თქმა უნდა, *სიკვდილით დასჯას*, ხოლო ნარკოტიკის არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება არ ისჯება სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით.

ნარკოტიკული დანაშაულისათვის *მკაცრი* კანონმდებლობის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც კანონის მოქმედებისა და პრაქტიკაში გამოყენების ორი დონეა:

I – ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობა ფედერალურ დონეზე, რომელიც მიღებულია 1990 წლის 2 ნოემბერს;

II – კანონმდებლობა შტატების დონეზე, რომელსაც ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები ღებულობენ.

ორივე მიდგომა *ფედერალური კანონის* პრინციპზეა დამყარებული და დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის *ამერიკულ ვარიანტში* სამართალდარღვევები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში ორი ნიშნით ხასიათდება:

– სამართალდარღვევის ჯგუფით;

– კრიმინალურ ქმედებათა (სისხლის სამართლის დანაშაულის) ხარისხით.

ჯერ განვიხილოთ შტატების კანონმდებლობა ტეხასისა და ჯორჯიას შტატების კანონმდებლობათა მაგალითებზე.

იგი ხასიათდება C, B, A ჯგუფის სამართალდარღვევით გადაცდობით და I, II, III ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაულებით (კრიმინალური ქმედებით).

C ჯგუფის სამართალდარღვევა (შემდგომში – *გადაცდობა*)

ითვალისწინებს 500 დოლარამდე ჯარიმას. ამ კატეგორიის საქმეებს იხილავს მუნიციპალური სასამართლოები.

B – ჯგუფის გადაცდომა – 6 თვემდე საპყრობილეში მოთავსება და/ან ჯარიმა 1500 დღრ-მდე.

A – ჯგუფის გადაცდომა – 12 თვემდე საპყრობილეში მოთავსება და/ან ჯარიმა 3 000 დღრ-მდე.

A და **B** ჯგუფის საქმეებს იხილავს *საგრაფო სასამართლოები*.

ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ შტატების კანონმდებლობით, ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი პირი, რომელიც საშიშროებას უქმნის თავის თავს ან გარშემომყოფთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ან თავისი გარეგნული მდგომარეობით შეურაცხყოფს საზოგადოებას, მისი ასაკის მიუხედავად ექვემდებარება დაკავებას.

გარდა ამისა კანონი ითვალისწინებს I, II და III ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაულებს, რომელთაც ყველა შემთხვევაში განიხილავს საოლქო და ფედერალური სასამართლოები.

ფედერალური კანონით პირველი ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული ითვალისწინებს *სამუდამო პატიმრობას*, ან 5-დან 99 წლამდე სასჯელის მოხდას საპყრობილეში, დამატებით შესაძლებელია ჯარიმა, რომელიც არ აღემატება 10 000 დღრ-ს.

მეორე ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული ითვალისწინებს 2-დან 20 წლამდე სასჯელის მოხდას საპყრობილეში, დამატებით შესაძლებელია ჯარიმა, რომელიც არ აღემატება 10 000 დღლარს.

მესამე ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული ითვალისწინებს 2-დან 10 წლამდე სასჯელის მოხდას *საპყრობილეში* – დამატებით შესაძლებელია ჯარიმა, რომელიც არ აღემატება 10 000 დღრ-ს.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ისჯება სამუდამო პატიმრობით ან სიკვდილით (*ლეტალური ინექციით*).

კანონში *განსაკუთრებული* ყურადღება ეთმობა ნარკოტიკული დანაშაულს. სასჯელის ზომების ძირითადი განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკის სახეობა და ოდენობებია, რომელიც კანონით არის განსაზღვრული. რა თქმა უნდა, იგი განიხილება დანაშაულის და დამნაშავე პირის სხვა მახასიათებლებთან ერთობლიობაში.

ქვემოთყოფანილი სასჯელის ზომები ეხება ყველა იმ პირს, რომელთაც აღმოაჩნდებათ ნარკოტიკული ან ძლიერმოქმედი საშუალებები ექიმის რეცეპტის ან სხვა ლეგალური მფლობელობის დამადასტურებელი უფლების გარეშე, იმისდა მიუხედავად არის პირი ნარკომანი, ნარკოტიკების მომხმარებელი თუ ჯანმრთელი.¹⁵

მარიხუანა:

სასჯელის ზომები განისაზღვრება შესაძახი ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობის მიხედვით:

1. 56,70 გ (2 უნცია) – **B** ჯგუფის გადაცდომა. საპრობილეში სასჯელის მოხდა 6 თვის ვადით და ან გარიმა 1500 ლღრ-მღდე;
2. 56,70 გ – 113,4 გ (4 უნცია) – **A** ჯგუფის გადაცდომა. საპრობილეში სასჯელის მოხდა 12 თვემღდე და ან გარიმა 3 ათას ლღრ-მღდე;
3. 113,4 გ – 2270 გ (4 უნციიდან 5 ფუტამღდე) – III ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული, საპრობილეში სასჯელის მოხდა 2-დან 10 წლამღდე და დამატებით შესაძღლებელია გარიმა არა უმეტეს 10 ათასი ლღრ;
4. 2270 გ – 22700 გ (5 ფუტიდან 50 ფუტამღდე) – II ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული, საპრობილეში სასჯელის მოხდა 2-დან 20 წლამღდე და დამატებით შესაძღლებელია გარიმა არა უმეტეს 10 ათასი ლღრ;
5. 22700 გ – 90800 გ (50 ფუტიდან 200 ფუტამღდე) – I ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული, სამუდამო კატიმრობა, ან 5-დან 99 წლამღდე საპრობილეში სასჯელის მოხდა და დამატებით შესაძღლებელია გარიმა არა უმეტეს 50 ათასი ლღრ;
6. 90800 გ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 908000 გ-ისა (200 ფუტზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 2000 ფუტისა) – სამუდამო კატიმრობა ან 10-დან 99 წლამღდე საპრობილეში სასჯელის მოხდა და გარიმა არა უმეტეს 100 ათასი ლღრ;

- 7 908000 გ-ზე მეტი, – *სამუდამო პატიმრობა*, ან 15-დან 99 წლამდე
(2000 ფუტზე მეტი) საპყრობილეში სასჯელის *მოხდა* და *ჯარი-*
მა არა უმეტეს 250 ათასი ლლრ;

სასჯელის ზომები გადაცემული ნარკოტიკული საშუალების ოდენობის მიხედვით და იმის მიხედვით თუ ვის გადაეცა იგი:

1. 7,88 გ (0,25 უნცია) და ნაკლები, ანგარების გარეშე – **B** ჯგუფის გადაცდომა. დანაშაული არ ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით;
2. 7,88 გ ან ნაკლები, ანგარებით გასამრ-
ჯელოზე – **A** ჯგუფის გადაცდომა. დანაშაული არ ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით;
3. 7,88 გ-ზე მეტი, მაგრამ – III ხარისხის სისხლის სამართლის
არა უმეტეს 113,4 გ-ისა დანაშაული, ისჯება 2-დან 10 წლამდე
საპყრობილეში მოთავსებით და დამატებით შესაძლებელია *ჯარიმა* არა უმეტეს 10 ათასი ლლრ;
4. 113,4 გ-ზე მეტი, მაგრამ – II ხარისხის სისხლის სამართლის
არა უმეტეს 2270 გ-ისა დანაშაული, ისჯება 2-დან 20 წლამდე
საპყრობილეში მოთავსებით და დამატებით შესაძლებელია *ჯარიმა* არა უმეტეს 10 ათასი ლლრ;
5. 2270 გ-ზე მეტი, მაგრამ – I ხარისხის სისხლის სამართლის
არა უმეტეს 22700 გ-ისა დანაშაული – *სამუდამო პატიმრობა*, ან
5-დან 99 წლამდე *საპყრობილეში მოთავსება* და დამატებით შესაძლებელია *ჯარიმა* არა უმეტეს 10 ათასი ლლრ;
6. 22 700 გ-ზე მეტი, მაგრამ – *სამუდამო პატიმრობა* ან 5-დან 99
არა უმეტეს 90800 გ-ისა წლამდე *საპყრობილეში მოთავსება* და
ჯარიმა დამატებით შესაძლებელია არა უმეტეს 50 ათასი ლლრ;

7. 90800 გ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 908000 გ-ისა – *სამუდამო პატიმრობა*, ან 10-დან 99 წლამდე *საპყრობილეში მოთავსება* და დამატებით შესაძლებელია *ჯარიმა* არა უმეტეს 100 ათასი ლარ;

მარიხუანას მიწოდება 17 წელზე უმცროსი ასაკის პირისათვის, დაწყებითი ან საშუალო სკოლის მოსწავლისათვის ან პიროვნებისათვის, რომელიც შემდგომში მას ასეთი კატეგორიის მოზარდებში გაავრცელებს, ითვლება I ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაულად.

კოკაინი – იგი მოიცავს კოკაინის ბაზაზე შექმნილ ყველა ტიპის ნარკოტიკს, მათ შორისაა კრეკი და კრენკი.

სასჯელის ზომები შენახვის მიზნით აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალების ოდენობის მიხედვით:

1. 28 გ-ზე ნაკლები – II ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული, 2-დან 20 წლამდე *საპყრობილეში მოთავსება* და დამატებით შესაძლებელია *ჯარიმა* არა უმეტეს 10 ათასი ლარ;
2. 28 გ-დან 400 გ-მდე – 5-დან 99 წლამდე, *საპყრობილეში მოთავსება* ან *სამუდამო პატიმრობა* და *ჯარიმა* არა უმეტეს 50 ათასი ლარ;
3. 400 გ-ზე მეტი – 10-დან 99 წლამდე *საპყრობილეში მოთავსება* ან *სამუდამო პატიმრობა* და *ჯარიმა* არა უმეტეს 100 ათასი ლარ;

გავრცელება, შენახვა გავრცელების ან წარმოების მიზნით:

1. 28 გ-ზე ნაკლები – I ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული, 5-დან 99 წლამდე *საპყრობილეში მოთავსება* ან *სამუდამო პატიმრობა* და დამატებით შესაძლებელია *ჯარიმა* არა უმეტეს 50 ათასი ლარ;

2. 28 გ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 200 გ-სა - 10-დან 99 წლამდე საპყრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 50 ათასი ლარ;
3. 200 გ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 400 გ-სა - 10-დან 99 წლამდე საპყრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 100 ათასი ლარ;
4. 400 გ-ზე მეტი - 15-დან 99 წლამდე საპყრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 250 ათასი ლარ;

ჰეროინი და მორფინი:

შენახვა:

1. 28 გრ-ზე ნაკლები - პირველი ხარისხის სამართალდარღვევა;
2. 28 გრ-ზე მეტი მაგრამ არა უმეტეს 400 გ-სა - 5-დან 99 წლამდე საპყრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 50 000 ლარ;
3. 400 გრ-ზე მეტი - 10 - დან 99 წლამდე საპყრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 100 000 ლარ.

გავრცელება, შენახვა გავრცელების ან წარმოების მიზნით:

1. 28 გრ-ზე ნაკლები - პირველი ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაული;
2. 28 გრ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 200 გ-სა - 5-დან 99 წლამდე საპყრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 50 000 ლარ;

3. 200 გრ-ზე მეტი და არა უმეტეს 400 გ-სა – 10 - დან 99 წლამდე *საპრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა* არა უმეტეს 100 000 ლლრ;
4. 400 გრ-ზე მეტი – 15 - დან 99 წლამდე *საპრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა* არა უმეტეს 250 000 ლლრ.

ბარბიტურატები:

სასჯელის ზომები შესანახი ნარკოტიკული საშუალებების ოდენობის მიხედვით:

1. 200 გ-ზე ნაკლები – **A** ხარისხის წვრილმანი გადაცდომა არ ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით;
2. 200 გ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 400 გ-სა – 5-დან 99 წლამდე *საპრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა* არა უმეტეს 50 ათასი ლლრ;
3. 400 გ-ზე მეტი – 10-დან 99 წლამდე *საპრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა* არა უმეტეს 100 ათასი ლლრ;

გავრცელება, შენახვა დამზადების ან გავრცელების მიზნით:

1. 200 გ-ზე ნაკლები – დანაშაული ისჯება 2-დან 10 წლამდე *საპრობილეში მოთავსებით* და შესაძლებელია დამატებითი ჯარიმა არა უმეტეს 10 ათასი ლლრ;
2. 200 გ-ზე მეტი მაგრამ არა უმეტეს 400 გ-სა – 5-დან 99 წლამდე *საპრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა* არა უმეტეს 50 ათასი ლლრ;

3. 400 გ-ზე მეტი

– 10-დან 99 წლამდე *საპრობილეში მოთავსება ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 100 ათასი დლრ;*

სტეროიდები:

შენახვა ან გავრცელება

1. 200 გრ-ზე ნაკლები

– **A** კატეგორიის გადაცდომა;

2. 200 გრ-ზე მეტი და არა უმეტეს 400 გრამისა

– 5-დან 99 წლამდე *პატიმრობა ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 50 000 დლრ;*

3. 400 გრ-ზე მეტი

– 10 - დან 99 წლამდე *პატიმრობა ან სამუდამო პატიმრობა და ჯარიმა არა უმეტეს 100 000 დლრ.*

გარდა ამისა, აღნიშნული შტატების კანონმდებლობით ნარკოტიკების *შენახვისათვის C* ხარისხის დანაშაული, *განმეორების* შემთხვევაში გეპიდევს **B** ხარისხის დანაშაულს, ხოლო **A** ხარისხის დანაშაული განმეორებით შემთხვევაში განიხილება III ხარისხის სისხლის სამართლის დანაშაულად.⁶

თუ გავანალიზებთ ხსენებული კანონის ნორმებს და გამოყენებული ნარკოტიკების ოდენობების მიხედვით დაწესებულ სანქციებს, დავრწმუნდებით, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ისინი გაცილებით *მკაცრია* და მათში, ევრეთ წოდებული, *რეპრესიული მიდგომა* ჭარბობს, თუმცა იგი განპირობებულია ამ ქვეყანაში არსებული რეალური ვითარებით. იქაური ხელისუფლება ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემის გადასაწყვეტად წელიწადში 20 მლრდ დოლარზე მეტს ხარჯავს. სიტუაცია კი კვლავ მძიმეა. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანომ ნარკოტიზაციისაგან საზოგადოების შემაკა– ვებელ ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად სხვა ღონისძიებებთან ერთად სამართლებრივი ნორმები გამოეყენებინა და როგორც ამერიკელი მეცნიერები და პრაქტიკოსი მუშაკები თვლიან, *კანონის ეფექტურობის განმტკიცებას დღეს სხვა ალტერნატივა არა აქვს*; ნარკოტიკებთან დაკავშირებული მძიმე დანაშაულისათვის იქ სამუდამო პატიმრობას ან სასჯელის უმაღლეს ზომას *ჩვეულებრივ* მოვლენად მიიჩნევენ.

საქართველოსთვის, სადაც ყოველწლიურად საერთაშორისო მასშტაბებთან

შედარებით უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკები, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოა. გამართლებული იქნებოდა დასჯადად ნარკოტიკის ისეთი ოდენობის მიჩნევა. რომელიც ჩვენს რეალურ ვითარებას შეესაბამება. ასეთი ოდენობების დადგენა ნარკოტიკების სახეობების მიხედვით კანონით უნდა იყოს განმტკიცებული და სავალდებულო ნორმას უნდა წარმოადგენდეს, როგორც ოპერატიული სამსახურებისათვის ისე სასამართლოებისათვის.¹⁷

საინტერესო იქნება თუ ამ საკითხს განვიხილავთ საქართველოს რესპუბლიკის თბილისის დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ გამოვლენილი ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის პრაქტიკულ მაგალითზე. კერძოდ, 1998 წლის 19 ივლისს, საქართველოს მოქალაქეების გ. ცანავას, რ. და ნ. ხაყოშიების მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის II ნაწილით (*ნარკოტიკების უკანონო გასაღება*), რომელთაც 784,6 გრ. *პეროინი* და 4100,5 გრ. *ოპიუმი* აღმოაჩნდათ.




ამ საქმის გამოძიება რამდენიმე თვე მიმდინარეობდა. დადგინდა, რომ დამნაშავეებმა გასაღების მიზნით ნარკოტიკები საქართველოში ცენტრალური აზიის ერთ-ერთი ქვეყნიდან შემოიტანეს. დიდუბის სასამართლომ განიხილა რა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე ცანავას მიუსაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რეზო ხაყოშიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ნუგზარ ხაყოშიას ქმედება გადააკვალიფიცირა (*როგორც ნარკოტიკების უკანონო შენახვა*) და მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ერთი შეხედვით სასჯელი საკმაოდ მკაცრია.

იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკები შეძენილია სხვა ქვეყანაში, სახეზეა მისი საერთაშორისო უკანონო გადაზიდვისა და შემდეგ საქართველოში რეალიზაციის ფაქტი. ასევე, ის გარემოება, რომ ერთ-ერთი დამნაშავე – ცანავა, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი იყო, ჩვენი აზრით, სასჯელი შეიძლება უფრო მკაცრიც ყოფილიყო. ჩვენს მიერ ზემოგანხილული ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით, სადაც უკანონო ბრუნვიდან, როგორც წესი, ნარკოტიკების გაცილებით უფრო დიდ ოდენობებს იღებენ, ასეთი კანონსაწინააღმდეგე ქმედება დაისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით 15 - დან 99 წლამდე ან საშუალო პატიმრობით და *ჯარიმით* 250 ათასი დლრ.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით პირს, რომელსაც უშუალოდ ევალება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა, ამდაგვარი დანაშაულისათვის სასჯელი უორმაგდება.

უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკები



ოპიუმი (კგ)

§3. სიკვდილით დასჯა – პასუხისმგებელი შიშვენი

ნარკოტიკების განვითარების მზარდმა მასშტაბებმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გადაწყვეტინა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის შემოღება. ეს ქვეყნებია – *ბანგლადეში, ბახრეინი, ბრუნეი, ვიეტნამი, გაანა, ეკვატორული ინდონეზია, იორდანია, ირაყი, ირანი, კატარი, ჩინეთი, კუვეიტი, მალაიზია, მანმარი, არაბეთის გაერთიანებული საემირო, კორეა (სამხრეთ კორეა), საუდის არაბეთი, სინგაპური, სირია, ამერიკის შეერთებული შტატები, ტაილანდი, ტაივანი, ფილიპინები, შრილანკა.*

მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისწრაფებისა, შამპიცროს ასეთი კანონმდებლობის მქონე ქვეყანათა რიცხვი, შემოჩამოთვლილი ქვეყნებიდან შვიდმა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა 80-იანი წლების დასასრულს შემოიღო (*კატარი და საუდის არაბეთი – 1987 წ., ბანგლადეში – 1988 წ., გაიანა და სუდანი – 1989 წ., ვიეტნამი – 1992 წ., ფილიპინები – 1994 წ.*).¹⁸

სხვადასხვა ქვეყნებში ნარკოტიკულ დანაშაულთა მიმართ სრულიად განსხვავებული პოზიციებია. ზოგიერთ ქვეყანაში სიკვდილით სჯიან *ოპიუმიდან* წარმოებული ნარკოტიკებისათვის (*ოპიუმი, მორფინი, ჰეროინი*); სხვა ქვეყნებში მკაცრი სასჯელია შემოღებული *მარიუანაზე, კოკაინზე და სინთეზურ ნარკოტიკებზეც*. არის შემთხვევები, როდესაც სიკვდილით *აშშ-ის* გაყიდვისთვისაც კი სჯიან (*ბახრეინი, ბრუნეი, ირანი, კატარი, სინგაპური, ამერიკის შეერთებული შტატები, სუდანი, ტაივანი და სხვ.*), ხოლო *საუდის არაბეთის* კანონებით დაწესებულია, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების შეტანა *სიკვდილით* ისჯება, თუმცა მასში ნარკოტიკის არც ერთი სახეობა არ არის მითითებული; *შრილანკას* კანონით *სიკვდილით* დასჯა 2 გრამი *ჰეროინისთვისაც* დასაშვებია.

შემოდასახლებული ქვეყნიდან თერთმეტში *სიკვდილით* დასჯა მოქმედებს და მრავალი განაჩენი უკვე სისრულეშია მოყვანილი. მარტო *ირანში* 1979 წელს ისლამური რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ 2900 პირი დასაჯეს სიკვდილით, ხოლო ჩინეთში 1000-ზე მეტი. ნარკოტიკული დანაშაულისთვის *მალაიზიაში* 1975 წელს სიკვდილით დასაჯეს 200 ადამიანი, *სინგაპურში* 100, ხოლო *საუდის არაბეთში* 1987 წელს 100 ასეთი განაჩენი მოიყვანეს სისრულეში. მსგავს ფაქტებს ჰქონდა ადგილი *სუდანში, სირიაში, ინდონეზიაში*, ხოლო *ეკვატორში* 1994 წლის 24 აპრილს ქვეყნის ტერიტორიაზე ნარკოტიკების გადატანისათვის სიკვდილით დასაჯეს 10 უცხოელი მოქალაქე.

ნარკოტიკული დანაშაულისთვის *სიკვდილით* დასჯა გათვალისწინებულია *დამოუკიდებელი თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ უზბეკეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკებში*. ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპულ ნივთიერებათა *უკანონო გასაღება* სიკვდილით ისჯება *უზბეკეთში* დღესმოქმედი

სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლით. *თურქმენეთში* რამდენიმე ასეთი განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.¹⁹

სახელმწიფოებში, რომლებმაც ნარკოტიკული დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა შემოიღეს, აღნიშნავენ, რომ ამ გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო მათ ქვეყნებში ნარკოტიკების ნაკადის შემცირებას. ასე მაგალითად, *სუდის არაბეთის* ხელისუფლება ამტკიცებს, რომ 1979 წლიდან ნარკოტიკული დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის შემოღების შემდეგ 50 პროცენტით შემცირდა დანაშაულის რიცხვი. თითქმის იგივეს აღნიშნავს *ირანის* ხელისუფლება, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ *პაკისტანიდან* და *ავღანეთიდან* ნარკოტიკების ტრანზიტი *ირანის* გავლით ევროპისაკენ მიიწივს არ კლებულობს.

არაერთგვაროვანია დამოკიდებულება ამ საკითხისადმი საქართველოშიც – ნარკოტიკებით მოვაჭრეთა სიკვდილით დასჯის მომხრეები ქვეყანაში საკმაოდ მრავალადაა, რაც სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა დაადასტურა. 1995 წელს ასეთი გამოკითხვით მოსახლეობის 39 პროცენტზე მეტი უჭერდა მხარს ნარკოტიკების გამსაღებლების სიკვდილით დასჯას.

და მაინც, ყველგან და ყველასგან დაისმის შეკითხვა, არის თუ არა *სიკვდილით დასჯა* ნარკოტიკებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ მიმართული ეფექტური სამართლებრივი ზომა და რას მოუტანდა იგი საქართველოს? სიკვდილით დასჯის ზომის გამოყენება წაადგებოდა თუ არა ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ ნარკომოვაჭრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში?

ამ *პიპოთეზას* წიგნის ავტორი შეკითხვის სახით სვამს, რადგან, ჩვენის აზრით, ამომწურავი *დადებითი* ან *უარყოფითი* პასუხი ჯერჯერობით არც მცენიერებს და არც პრაქტიკოსებს არ გააჩნიათ.

ცხადია, რომ ასეთი მიდგომა:

პირველი – სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა სამსახურებრივ რისკს დიდად გაზრდიდა; როცა ნარკოტიკების გამსაღებლებს დაკავების შემთხვევაში სიკვდილით დასჯა ელთ, ისინი სასჯელის თავიდან ასაცილებლად ყოველგვარ რისკზე წაელენ. ამის მაგალითია ის 200-ზე მეტი შეტაკება პოლიციასთან, რომელიც *ირანის* ისლამურ რესპუბლიკაში სიკვდილით დასჯის შემოღების შემდეგ მოხდა და რომელსაც 260 პოლიციელი შეეწირა; ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაციის ფოიეში გამოკრულია იმ 190 სპეცაგენტის ფოტოსურათი, რომლებიც დამნაშავეებთან შეტაკებისას დაიღუპა.

მეორე – ნარკოტიკების გასაღების რისკის გაზრდა, თავისთავად გამოიწვევს შავ ბაზარზე მისი ფასების მკვეთრ ზრდას, რაც ასევე ანგარიშგასაწევია;

მესამე – არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, თუ როგორ დაძაბავდა სახელმწიფოთათმორის ურთიერთობებს ჩვენს ქვეყანაში იმ ქვეყნის მოქალაქეთა სიკვდილით დასჯა, სადაც ასეთი კანონები არ მოქმედებს; მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოს მოქალაქეების – დ.ხ.-ის, ზ.გ.-ის და შ.მ.-ის

თურქმენეთიდან საქართველოში ექსტრადიციის საკითხი, რომელთაც თურქმენეთის უზენაესმა სასამართლომ ნარკოტიკების რეალიზაციისა და ყაჩაღობისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვეწა მიუსაჯა. მოლაპარაკება, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდებოდა. შედეგიანად მხოლოდ საქართველოსა და თურქმენეთის პრეზიდენტების ღონეზე გადაწყდა და დამნაშავენი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას გადამოეცა.

ახლა წარმოვიდგინოთ, თუ რა პოლიტიკურ სურათს მივიღებდით *ჩეჩენი, სოშეხი ან აზერბაიჯანელი* ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ საქართველოში სიკვდილით დასჯის კანონმდებლობის გამოყენების შემთხვევაში.

მაგალითი: 1998 წლის აგვისტოში საქართველოს უშიშროების სამინისტროს საერთაშორისო დანაშაულებასთან ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს აზერბაიჯანის მოქალაქეები, რომელთაც საქართველოში სარეალიზაციოდ შემოიტანეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალება – ოპიუმი.

იმავე წლის *ნოემბერში*, თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე აღძრული აღნიშნული რესპუბლიკის მოქალაქეების გულსუნდა აბიევას და სამაია ასლანოვას მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-4 ნაწილით (*ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდა*) და 252-ე მუხლის მე-2 ნაწილით (*ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით გასაღება*), მათ ბრალად ედებოდათ აზერბაიჯანიდან თბილისში სარეალიზაციოდ 7 კგ 397 გრ ოპიუმის შემოტანა.

სასამართლოს დადგენილებით ორივე დამნაშავეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, ქალთათვის განკუთვნილ საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით აღნიშნული დანაშაული სიკვდილით დაისჯებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ორივე დამნაშავე პიროვნება უცხო და, მითუმეტეს, მეზობელი ქვეყნის მოქალაქეები – ქალები არიან, მათ მიმართ სასჯელის ასეთი ზომის გამოყენება შესაძლებელია პოლიტიკური შეფერილობაც კი მიეღო.

სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ სერიოზული მოძრაობა საერთაშორისო თანამეგობრობამ მიმდინარე საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ* გაითვალისწინა რა საერთაშორისო სტანდარტები, სადაც ადამიანის უფლებებში *უპირველესი სიკვდილის უფლება*, მსოფლიოს ერებს სიკვდილით დასჯის გაუქმებისაკენ მოუწოდა, რის შესახებაც 1977 წლის 8 დეკემბერს №32161 რეზოლუცია მიიღო.

1976 წლიდან დაწყებული, ყოველ წელს ორი ქვეყანა მინც აუქმებდა თავის კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯას, ხოლო 1995 წლიდან ბევრმა ქვეყანამ საკუთარ კანონმდებლობაში ან გააუქმა სიკვდილით დასჯა, ან მორატორიუმი

შემოიღო ადამიანის დასჯის ასეთ ფორმაზე.²⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულს თუ შევაჯამებთ, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სიკვდილით დასჯა ნარკოტიკების გასაღებისათვის ეწინააღმდეგება მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციას და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ადამიანის უფლებებს, ხოლო ის რომ *სიკვდილით დასჯას*, ეგრეთ წოდებული, *შემაკავებელი ფაქტორი* გააჩნია და ამით ნარკოტიკების გასაღების აღკვეთას შეუწყობს ხელს – მეცნიერთა კამათის საგანია და ისინი თვლიან, რომ ასეთი *დამაჯერებელი* არგუმენტები ჯერ *ვერც ერთმა* ქვეყანამ ვერ წარმოადგინა.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, *სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე. შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.*²¹

რადგან ქართული კანონმდებლობა ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებს, რაც მრავალი მეცნიერის და პრაქტიკოსის, ასევე საზოგადოების გარკვეული ნაწილის კამათის საგანია, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ნარკოტიკების წარმოების და ტრანზიტის სივრცეში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზეა და რაც უმთავრესია ქვეყანაში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში უსწრაფესი ტემპებით იზრდება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და მოხმარების მასშტაბები, ჩვენი თვალსაზრისით, აუცილებელია ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მიმართული კანონის ნორმების, უწყებრივი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების კიდევ უფრო გამკაცრება, რადგან ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის ეს არის ერის ნარკოტიკებისაგან დაცვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

§4. XXI საუკუნის ნარკოტიკი

ნარკოტიკების მწარმოებელთათვის მუდამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ფარმაცევტული და სამრეწველო ქიმიურ ნივთიერებათა შექმნა. კონსპირაციული ლაბორატორიების მფლობელთა მიერ გამოყენებული ნივთიერებები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლეგიტიმური ქიმიური ინდუსტრიიდანაა მოპოვებული. აცნობიერებენ რა ამ პრობლემას, მსოფლიო საზოგადოებამ და ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებმა (*კერძოდ იმ ქვეყნებისა, სადაც ნარკოტიკებთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი პრობლემებია*) მიიღეს კანონი *საწყისი და ძირითადი ქიმიური ნივთიერებების საბითუმო გაყიდვაზე კონტროლის დაწესების შესახებ*.

1988 წლის ვენის კონვენციის მე-12 მუხლის, ვეროსაბჭოს №3677190

და №900112 მარეგულირებელი დადგენილებები ქიმიურ საქმიანობაზე ოპერატიული კავშირების მიერ კონტროლის განხორციელების შესახებ და სხვა ანალოგიური ეროვნული თუ რეგიონული ინსტრუქციების მთავარი მიზანია არ დაუშვას იმ განსაკუთრებულ ნივთიერებათა ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ხელში მოხვედრა (ოფიციალური არხებიდან გაყონვის შედეგად). რომლებიც შეიძლება არალეგალურ ნივთიერებათა წარმოებისთვის იქნეს გამოყენებული.

ფარული ლაბორატორია – დღეს მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი ექსპერტი თვლის, რომ XXI საუკუნე სინთეზური ნარკოტიკების გამოყენებისა და გავრცელების საუკუნე იქნება. ამას პრაქტიკაც ადასტურებს. ევროპულ არალეგალურ ბაზარზე, მათ შორის დსთ - ს სივრცეში, ბოლო წლებში გამოჩნდა ეფედრინი, პერვიტინი, ფენადონი (მეტადონი) ფენციკლიდინი, ფენტანილი, ტრიმეთილფენტანილი და ფარულ ლაბორატორიებში კუსტარული წესით მიღებული სხვა სინთეზური და ნახევრადსინთეზური ნარკოტიკები. ადამიანზე გამოსაყენებლად გამიზნული აღნიშნულ ნივთიერებათა უმრავლესობა გათვალისწინებულია აკრძალულ საშუალებათა სიაში და ჩვენს ქვეყანაში არ იწარმოება. ჩვეულებრივ, მათი სინთეზის საფუძველი სამკურნალო პრეპარატები და წარმოების მრავალ სფეროში, სოფლის მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებული სპეციფიკური ქიმიური საშუალებებია. ნარკოტიკების ყველა ეს სახეობა უდიდეს საფრთხეს შეიცავს, რადგან ხანმოკლე ვადით მათი მიღებაც კი ადამიანში პათოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევს, უდიდეს ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და მყავს იგი დეგრადაციისაკენ. სინთეზური ნარკოტიკების უკანონოდ მწარმოებელ პირთა დანაშაულებრივი საქმიანობის დადგენასა და დოკუმენტირების განსაკუთრებულ აქტუალობას ის განაპირობებს, რომ ჩვეულებრივ, ეს ქმედებები ორგანიზებული და რეგულარული ხასიათისაა, გამოირჩევა გაძლიერებული კონსპირაციით, დიდი შემოსავლით²²

ფარული ლაბორატორიების გამოსავლენად საკმაოდ რთული ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიძებო ღონისძიებებია განსახორციელებელი, და მთელი რიგი თავისებურებებია გასათვალისწინებელი, რომელთაგანაც მთავარია:


– ზოგიერთი სახეობის ნარკოტიკის მიღების ტექნოლოგიური პროცესების შედარებითი სიმარტივე (ეფედრინი, პერვიტინი), რაც დამნაშავეებს არალეგალური არხებით მათი წარმოების ტექნოლოგიის გავრცელების საშუალებას აძლევს;

– საწყისი კომპონენტების ხელმისაწვდომობა, რადგან მათი უმრავლესობა ფართოდ გამოიყენება როგორც წარმოებაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში;

– იმ ობიექტების სიმრავლე, სადაც იყენებენ ნარკოტიკების დასამზადებლად ვარგის ქიმიურ ნივთიერებებსა და რეაგენტებს (სკოლები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, სხვადასხვა სამონისტრო-დაწესებულებათა, უწყებებისა და ორგანიზაციების ლაბორატორიები). სწორედ ასეთი ობიექტებიდანაა შესაძლებელი მათი გაყონვა და გატაცება;



სინთეზური ნარკოტიკების პლანეტა



– სინთეზური ნარკოტიკების კომპაქტურობა, მათი ტრანსპორტირების მოზერხებულობა, რის გამოც შეიძლება დამნაშავეთა დაკავებისას მათი, როგორც მტკიცებულების სწრაფი განადგურება. ვარდა ამისა, ისინი შავ ბაზარზე გაცილებით ძვირია, ვიდრე კანაფის, ყაყაჩოსა და კოკასგან დამზადებული ნარკოტიკული საშუალებები.

ფარული ლაბორატორიების გამოსავლენად და მათი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის დასაფიქსირებლად აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რისთვისაც, ჩვენი აზრით, დროული და საჭირო იყო ახალი სისხლის სამართლის კოდექსში 266-ე მუხლის შეტანა, რომელიც ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობას ან შენახვას ეხება.

დღესდღეობით, საქართველოში ნარკოტიკების საწარმოებელი ფარული ლაბორატორიების გამოვლენის არც ერთი ფაქტი არ არის დაფიქსირებული, მაგრამ კანონის ეს ნორმა მომავლის ნორმაა, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს სინთეზური ნარკოტიკების უკანონო წარმოებასთან და ბრუნვასთან ბრძოლის ოპერატიულ-სამძებრო, ადმინისტრაციული, საგამოძიებო საქმიანობის სამართლებრივ სრულყოფას.

თავი II

ნარკოტიკულ დანაშაულთა პროფილაქტიკის კომპლექსური ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა

§1. ზოგადპროფილაქტიკური ღონისძიებები

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და მისი გამომწვევე მიზეზების აღმოფხვრაში ძალზედ მნიშვნელოვანია სამართლებრივი იძულების ნორმების სწორი და ეფექტური გამოყენება. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ:

პირველი – დანაშაულის პროფილაქტიკის განმასრუციებელ სამართლის ნორმებში დაფიქსირებულია პროფილაქტიკური საქმიანობის შეცნობის კანონზომიერებანი და ტენდენციები, გათვალისწინებულია მათი ეფექტური გამოყენების რეალური საშუალებები.

მეორე – სამართლის ნორმებში განსაზღვრულია პროფილაქტიკის მიზნები და ამოცანები, ე. ი. გამოხატულია სახელმწიფოს რეალური პოლიტიკა სამართალდარღვევათა სფეროში;

მესამე – სამართლებრივ ნორმებში ასახულია კანონით დაშვებული მაქსიმალურად ეფექტური მეთოდები, ფორმები, ძალები და საშუალებები, ასევე

დასახელებულია პროფილაქტიკური ზემოქმედების როგორც სუბიექტის ისე ობიექტის უფლებები და ვალდებულებები.²³

დანაშაულის პროფილაქტიკა პრაქტიკის განსაკუთრებული სახეა, რომლის მასშტაბები საკმაოდ ფართოა, დაწყებული იმ პირთა გამოვლენით, რომლებსაც შეუძლიათ (*მათი ქცევიდან გამომდინარე*) ჩაიღიზნონ სამართალდარღვევა და დამთავრებული მათ მიმართ ეფექტური პროფილაქტიკური ზემოქმედების განხორციელებით, დანაშაულთა მიზეზებისა და პირობების გამოვლენიდან მათ აღკვეთამდე. მაგრამ დანაშაულს სწადიან სრულიად განსხვავებული პირები და თავად დანაშაულიც მრავალგვარია.

სწორედ ამიტომ პროფილაქტიკა ითვალისწინებს დანაშაულთა და დანაშაულებათა კლასიფიკაციას და ტიპოლოგიას.

პროფილაქტიკაში გათვალისწინებულია დანაშაულებათა სხვადასხვა ჯგუფისა და კატეგორიის სპეციფიკა და დანაშაულებათა თავისებურებები. ამ მხრივ გამონაკლისი არც ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულია. მას თავისი სპეციფიკა აქვს. თავისებურია იმ ადამიანთა ქცევები, რომლებიც ამ (*ნარკოტიკებთან დაკავშირებულ*) დანაშაულს სწადიან. აქ საჭიროა *კომპლექსური მიდგომა*. ამ შემთხვევაში პროფილაქტიკური ზემოქმედება გასათვალისწინებელია არა მარტო დანაშაულებების პირებზე, არამედ ამ და სხვა მოქალაქეთა დაცვა ნარკოტიზმისაგან. რა თქმა უნდა, კომპლექსური მიდგომა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა პროფილაქტიკური ზემოქმედება შემოიფარგლება მარტოდენ მოცემული დანაშაულის აღკვეთით, ნარკომანიასთან საერთოდ, ბრძოლა კი იგნორირებულია. აქ აუცილებელია სხვადასხვა სისტემის ორგანოთა თანამოქმედება, იქნება ეს სამართალდამცავი, სახელმწიფო თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. განსაკუთრებული როლი უნდა დაეთმოს სამართალდამცავ ორგანოებს, კერძოდ, შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს.

ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულის პროფილაქტიკის შემთხვევაში მასალა, რომლის გამოც უნდა განხორციელდეს პროფილაქტიკური ზემოქმედება, ერთგვაროვანი არ არის და ყოველ მათგანს თავისებურებები ახასიათებს. პროფილაქტიკის ობიექტის თავისებურებები კი განსაზღვრავენ მასზე ზემოქმედების სწორი ფორმებისა და მეთოდების შერჩევას. შესაბამისად, როდესაც ლაპარაკია კომპლექსურ ღონისძიებებზე, იგულისხმება არა მარტო ზემოქმედების ისეთი ზოგადი ობიექტი, როგორცაა ნარკომანიის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულები, არამედ ის მიზეზები და გარემოებებიც, რომლებიც განაპირობებს საზოგადოებაში მათ გავრცელებას.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების განხილვა, ამ კატეგორიის საქმეების სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ყოველი მეთაე ან მეოცე ნარკოტიკის მომხმარებელი პირია აღრიცხვაზე აყვანილი, რაც მიუთითებს, რომ ამ მიმართებით პროფილაქტიკური მუშაობა ქვეყანაში საკმაოდ არასათანადოა დონეზეა.²⁴

პროფილაქტიკური ზემოქმედების კონკრეტული ობიექტები არიან ზრდასრული ადამიანები და არასრულწლოვნები, ქალები და მამაკაცები, რეციდივისტები და ადრე სამართალში არყოფილი უსაქმურები, მაწანწალები და ა.შ. პროფილაქტიკა ითვალისწინებს მათ შორის არსებულ განსხვავებას. ამიტომ აუცილებელია განსაზღვრული კლასიფიკაცია და ტიპოლოგია.

აღსანიშნავია, რომ პროფილაქტიკური ზემოქმედების ობიექტთა დაკონკრეტებას უკავშირდება პროფილაქტიკის მიზნის საკითხი. ეს მიზანი კონკრეტდება პროფილაქტიკის ობიექტებსა და სუბიექტებთან მიმართებაში, რადგან იგი დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რომელი კატეგორიის პირთა მიმართ ზორციელდება პროფილაქტიკა, არამედ იმაზეც, თუ ვინ ახორციელებს მას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაიჭრება კონკრეტული ამოცანა და ამიტომ არსებობს კონკრეტული მიზანიც. მაგრამ, ყველა შემთხვევაში თავს იჩენს პროფილაქტიკის კომპლექსურობის, კომპლექსურ ღონისძიებათა პრობლემა. პროფილაქტიკის მიზნის ზორცშესხმა სწორედ კომპლექსური პროფილაქტიკური ზემოქმედების განხორციელება. (იგულისხმება ზემოქმედება სხვადასხვა ღონისძიებით – როგორც სამართლებრივი, ასევე არასამართლებრივი). ეს უშუალოდ ეხება ნარკომანიასთან დაკავშირებულ დანაშაულობებსაც. აქ ვერანაირად ვერ აკუველით გვერდს პროფილაქტიკური ზემოქმედების არასამართლებრივ ღონისძიებებს.



კონკრეტული დანაშაულის მიზეზი გულისხმობს იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებმაც მოცემულ პირს ჩაადენინეს განზრახ დანაშაული ან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანეს. ძალზე რთული და მრავალმხრივია ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობს დანაშაულობას და ყოველ ცალკეულ დანაშაულს. ასე რომ, იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე გვაქვს ნარკოტიკულ დანაშაულთან, ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონოდ დამზადების, წარმოების, შექენის, შენახვის, გადაყვანის, გადატანის (მათ შორის, გასაღების მიზნით) მიზეზებიდან და პირობებიდან უნდა გამოიყოს:

- მანვე გარემოში ფორმირების შედეგად პიროვნების ანტიისაზოგადობერივი ხასიათის ჩამოყალიბება;
- ნარკომანიის არსებობა (სამედიცინო თვალსაზრისით);
- გარკვეული კატეგორიის ადამიანთა პათოლოგიური მისწრაფება ნარკოტიკებისადმი.

კანონმდებელი მკაცრ კონტროლს უწესებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებას, შენახვას და გაცემას. აუცილებელია სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნის ფართო პროპაგანდა, ექიმთა მუდმივი ინფორმირება ახალ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შესახებ, რომელთა მიმართაც შესაძლებელია შეჩვევა; ისეთ ახალ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებათა აღმოჩენა, რომლებიც არ იწვევს ავადმყოფურ ლტოლვას მისკენ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს პროფილაქტიკას და დანაშაულებრივი ქცევის აღკვეთას.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების, შექენის, შენახვის, გადატანის,

ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელი



გადავ ზაენისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა გამოგვეყო რამდენიმე ტიპური პირობა, რომელიც განაპირობებს როგორც დანაშაულის ჩადენას, ასევე თვით ნარკომანიასაც. მათგან ძირითადია:

პირველი – მოზარდი თაობის სწორ აღზრდაში დაშვებული შეცდომები. მათ აღრეულ ასაკშივე უნდა ჩამოეყალიბოთ ქვეყნის სწორი სისტემა, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მიმართ მყარი უარყოფითი განწყობა; მეორე – ხარვეზები, რომლებიც ახასიათებს ნარკოტიკების წარმოების, ტრანსპორტირების, განაწილებისა და გამოყენების ორგანიზაციის სისტემას;

მესამე – ხარვეზები, რომლებიც შეიმჩნევა ნარკომანიასთან დაკავშირებულ დანაშაულთა აღკვეთის, გამოძიების, გასამართლებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დამნაშავე ნარკომანთა გამოსწორების საქმეში;

მეოთხე – ხარვეზები ნარკომანიასთან ბრძოლისას ზოგადადმიკვეთი საშუალების ჩატარებისა და ნარკომანთა მკურნალობის საქმეში (ნარკომანთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია).

ასეთ დანაშაულთა თავიდან აცილების დროს მნიშვნელოვან ფაქტორად წარმოგვიდგება ფარმაცევტულ საწარმოებსა და სამკურნალო დაწესებულებებში ნარკოტიკულ ნივთიერებათა გადაშუშავების, შენახვის, გაყვამისა და აღრიცხვის წესების მკაცრი დაცვა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მრავალი ნარკომანი, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ნარკოტიკებს აფთიაქებში ყალბი რეცეპტებით იძენს. ნარკოტიკმცველი ნივთიერებების გამოწერის შესაბამისი ინსტრუქციების მოთხოვნათა მკაცრი დაცვა ეფექტური ღონისძიებაა, რაც გამორიცხავს ყალბი რეცეპტების გამოყენების შესაძლებლობას.

ნარკოტიკული დანაშაულის აღკვეთის ერთ-ერთი პირობაა მსჯავრდებულ ნარკომანთა აღმზრდელობითი და სამკურნალო საშუალოთა ორგანიზაცია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მათთვის შესაფერისი რეჟიმის უზრუნველყოფა.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღება და გამოყენება შეიძლება თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა ღონისძიებებით, რომელთაგან მთავარია:

რეჟიმთან დაკავშირებული ღონისძიებები: მსჯავრდებულთა სახელზე გამოვ ზაენილი ამანათებისა და ბანდეროლების შემოწმება, პირადი ჩხრეკა ნათესავებთან პაემანის შეზღვევ; ყოველდღიური ჩხრეკა იმ პატიმრებისა, რომლებიც საშუალო ადგილებიდან ბრუნდებიან; საპატიმრო ადგილებში შესული ყოველგვარი ტრანსპორტის და ტვირთის დათვალიერება;

აღმზრდელობითი ღონისძიებები: მსჯავრდებულთა საუბრები და ლექციები, თვითმოქმედი ორგანიზაციების ზემოქმედება, სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები, იმ მსჯავრდებულთა იძულებითი მკურნალობა, რომლებიც ავადმყოფურ მიდრეკილებას იჩენენ ნარკოტიკებისადმი და ამის აუცილებლობის აღნიშვნა

სასამართლო გადაწყვეტილებათაში.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებაა ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებელ პირთა გამოვლენა და მათი აღრიცხვაზე აყვანა. სამართალდამცავი, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ორგანოების მუდმივი ურთიერთკავშირი ამ საბუშართა წარმატების გარანტიაა, მაგრამ აღნიშნულ ორგანოთა მუშაობაში შეიმჩნევა არსებითი ხასიათის ხარვეზები. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, დღეს საქართველოში განსასჯელის სკამზე მოხვედრილ ნარკომანთა ნახევარი არსად არ იყო აყვანილი შესაბამის აღრიცხვაზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში.

ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა გამოვლენა დაკავშირებულია ნარკომანიის, როგორც დაავადების განვითარების პროცესების ცოდნასთან. მხედველობაშია მისაღები, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებები განსაზღვრული უნდა იყოს ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამოყენებისადმი შეჩვევის ხარისხის მიხედვით. მაგალითად, ქრონიკული ნარკომანები პროფილაქტიკური თვალსაზრისით მეტ საშიშროებას ქმნიან. ამ შემთხვევაში სამართალდამცავი და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ურთიერთკავშირი ხორციელდება სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებსა და სპეციალიზებულ სასჯელთა აღმასრულებელი დაწესებულებების ბაზაზე. ასეთი პროფილაქტორიუმების მუშაობას განსაკუთრებული კონტროლი სჭირდება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შინაგან საქმეთა ორგანოების შემდეგი სახის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა ტარდებოდეს განათლების, სპორტის, ხელოვნების მუშაკებთან ერთად:

– ნარკომანიის საჯაროდ დაცობა პრესის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით, რაც გამოიხატება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის არსებული ოპერატიული მდგომარეობის სისტემატური ინფორმირებით, მისი გამომწვევი პირობებისა და მიზეზების განხილვით, ანტინარკოტიკული კანონმდებლობის დარღვევათა გამოვლენილი ფაქტების საქვეყნო გაკიცხვით და სხვ.

– მოსახლეობაში განმარტებითი მუშაობა. აქ უნდა აღინიშნოს ანტინარკოტიკული კანონმდებლობის დაცვის მნიშვნელობა, მისი დარღვევით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები, ნარკომანიის საზოგადოებრივი საშიშროება და ისიც, თუ რამდენად საზიანოა იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის;

– კომპლექსური გეგმების საფუძველზე შიდარაიონული, სარაიონათაშორისო, რეგიონული და რესპუბლიკური ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა სამსახურის პირადი შემადგენლობა. ამ ღონისძიებათა მიზანია ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გავრცელების არხებისა და გზების გამოვლენა, მათი ოპერატიული ზერხებით გადაფარვა და წყაროების ლიკვიდაცია, მათთან დაკავშირებული დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება.

§2. სამართლებრივი იძულების ღონისძიებანი

მოქმედი კანონმდებლობა, როგორც ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძველი, აწესრიგებს პრაქტიკულად ყოველგვარ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოიქმნება ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ქმედებათა გამო.

იმისათვის, რომ სამართლებრივი ზემოქმედება მაქსიმალურად ეფექტური იყოს, აუცილებელია გავითვალისწინოთ ნარკოტიკებთან დაკავშირებული უკანონო ქმედების ჩამდენი პირის *სოციალური საშიშროების* ხარისხი. აღნიშნული კრიტერიუმიდან გამომდინარე, ისინი პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

პირველი: ნარკომანები და ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებლები, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს არ უქმნიან საზოგადოებას, ან პირები, რომლებიც ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების გზას დაადგენენ მათი პირადი მოხმარების მიზნით;

მეორე: ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მონაწილე – საზოგადოებისათვის საშიში დამნაშავეები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ *ზღვარი* პირველ და მეორე ჯგუფს შორის *პირობითია*, რადგან როგორც ნარკომანები, ასევე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩართული მომხმარებლები უმეტესად დანაშაულს სჩადიან ნარკოტიკული საშუალებების ხელში ჩასაგდებად, შემდგომში მათი გასალების ან პირადი მოხმარების მიზნით.

პირველი ჯგუფის პირთა მიმართ სამართლებრივი იძულების მიზანი უნდა იყოს მათი ჩამოშორება დანაშაულებრივი გარემოსგან, სამართალდარღვევებისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების შეწყვეტა, ნარკომანიის მკურნალობა. ამ პირების მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ სამართლებრივი ზემოქმედების სხვადასხვა ღონისძიებანი, რომლებიც ყოველთვის არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ასეთ ღონისძიებებს განეკუთვნება:

ნარკომანით დაკავდებულ და ნარკომანიის ნიადაგზე საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატურად დამრღვევ პირთა გავზავნა იძულებითი მკურნალობისათვის საქურნალო-შრომით პროფილაქტიკურიუმებში (სმპ) ან სხვა ტიპის შესაბამის დაწესებულებებში;

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში, ამავე ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე, იმ პირთა მიყვანა, რომლებიც დაკავდებული არიან ნარკომანით და თავს არიდებენ მკურნალობას;

იმ პირთა დაკავება და სპეციალურ დაწესებულებებში წარდგენა, რომლებიც თავს არიდებენ იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებებს;

დადგენილი წესით ნარკოტიკულ ნივთიერებათა არსებობის დადგენა იმ პირთა ორგანიზმში, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულში ან აღმინისტრაციულ

სამართალდარღვევაში, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ პირთა ვაგ ზანა ან გადაყანა სამედიცინო დაწესებულებებში, თუ შემოწმების შედეგი აუცილებელია სამართალდარღვევის შესახებ ფაქტის დასადგენად ან უარსაყოფად, ან საქმის ობიექტური განხილვისათვის;

ნარკოტიკული ნივთიერების ბოროტად მომხმარებელ პირთა ქმედების შეზღუდვა. ამ ღონისძიებას სასამართლო იყენებს ოჯახის წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროკურორის, სამეურვეო ორგანოების განცხადების საფუძველზე, თუ ნარკოტიკების მომხმარებელი პირი თავის თავსა და ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს;

– მეურვის სარჩელის საფუძველზე სასამართლო უკანონოდ ცნობს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შედეგად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნებისმიერ ქონებრივ გარიგებას;

– მშობლებისათვის მშობლის უფლებების ჩამორთმევა, თუ ეს უკანასკნელნი ნარკომანები არიან და თავიანთი ქმედებით აბრკოლებენ შვილის ნორმალურ აღზრდა-განვითარებას;

– სასამართლოს განკარგულება იმ პირთა გამოსახლებაზე, რომელთაც ჩამოერთვათ მშობლის უფლება, თუ შვილებთან მათი ერთობლივი ცხოვრება მიჩნეულია შეუძლებლად, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შედეგად;

– მშობლების ან მათი მოვალეობის შემსრულებლის გაფრთხილება ან ჯარიმის დაკისრება, თუ მათი არასრულწლოვანი შვილები ექიმისგან დაუნიშნავად ხმარობენ ნარკოტიკულ საშუალებებს;

– ჯარიმის დაკისრება, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის გამოყენება, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი ადმინისტრაციული პატიმრობა ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შენახვისა ან შექმნისათვის, ასევე, არასამედიცინო მიზნით მისი მოხმარებისათვის;

– ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც უკანონოდ მოჰყავთ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე;

– ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიწათმოსარგებლისთვის, რომელმაც არაფერი იღონა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი ველური მცენარეების გასანადგურებლად, კანაფის, ოპიუმისა და კოკას შემცველი ნათესების მოსავლის შენახვისა და გადაამუშავების ადგილების დასაცავად, სათანადო რეჟიმის უზრუნველსაყოფად, ასევე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გადაამუშავების შედეგად მიღებული წარმოების ნარჩენების გასანადგურებლად (ცხადია, თუ პირს ან პირთა ჯგუფს შესაბამისი ნებართვა არა აქვთ).

მცირე ოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერებათა ჩაბარება, როცა პიროვნება ამის შეიძინა ან ინახავდა გასაღების მიზნის გარეშე – კანონით გარანტირებულია ასეთი მოქმედების სტიმულირება; ამ შემთხვევაში პიროვნება თავისუფლდება

ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

მეორე ვჯგუფის პირთა მიმართ სამართლებრივი პოლიტიკა ძირითადად უნდა განხორციელდეს *სისხლისსამართლებრივი ზემოქმედებით*. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხი აუცილებელს ხდის ამ პირთა *იზოლაციას* თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გამოყენებას, რაც საერთაშორისო მოქმედი კონვენციების ერთ-ერთი აღიარებული მთავარი პრინციპია.

სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა *დიფერენცირება* ხდება ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული *დანაშაულებრივი ქმედების ხასიათის, დანაშაულის სიმძიმის, ასეთ დანაშაულთა სუბიექტების, ჩადენის მიზნებისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით*.

§3. ნარკოტიკულ სამართალდარღვევათა ინდივიდუალური პროფილაქტიკა

საერთოდ დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება *ინდივიდუალური პროფილაქტიკაა*, რომლის უმნიშვნელოვანესი პრობლემა, იმ პირთა წრის მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრაა, რომელთა მიმართაც პროფილაქტიკა ტარდება და რომლის განხორციელება დასაშვებია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. დამნაშავის პიროვნების ტიპური მახასიათებლების ერთობლიობის განზოგადება, მისი ქმედება და წრე, რომელთანაც ის მჭირდროდაა დაკავშირებული, ის კრიმინოლოგიური საფუძველია, რომელზეც პროფილაქტიკური ზემოქმედება ხორციელდება.²⁵

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში ინდივიდუალური პროფილაქტიკა ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომელთაც ნარკოტიკული სამართალდარღვევებისკენ აქვთ მიდრეკილება, ასევე ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენებელთა მიმართ.

ინდივიდუალური პროფილაქტიკის შემადგენელი ძირითადი ელემენტებია:

– *ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებში დასაბუთებულად ეჭვმიტანილი, ან ნარკოტიკულ საშუალებათა არასამედიცინო მიზნებით მომხმარებელი და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი ან მოქალაქეთა სხვა უფლებების შემლახავი პირების გამოვლენა და აღრიცხვაზე აყვანა;*

– *მათ შემდგომ ქცევაზე კონტროლის განხორციელება;*

– *აღმზრდელიობით, სამედიცინო, სამართლებრივი და ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება იმ პირთა მიმართ, რომლებისთვისაც განკუთვნილია პროფილაქტიკური სახის ღონისძიებები, რათა მათ ნებაყოფლობით ხელი აიღონ დანაშაულის ჩადენაზე;*

– სამართალდარღვევათა ხელისშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა და აღმოფხვრა;

– იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც საჭიროებენ პროფილაქტიკურ ზემოქმედებას, რაც შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა სამსახურის თანამშრომელთა მოვალეობაა. ასეთი პირების გამოვლენა ხდება ყოველდღიური პროფილაქტიკური, ოპერატიული-სამძებრო, ადმინისტრაციული და საგამობიგო მუშაობის პროცესში. მათი გამოვლენა უნდა ხდებოდეს მიზანდასახულად და იყოს მაქსიმალურად დროული და სრული.

მოცემული კატეგორიის პირები, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდებიან:

– საპატიმრო ადგილებში სასჯელის მომხდელ და სასჯელმოხდელთა შორის და, უწინარესად, ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა შორის;

– იმ პირთა შორის, რომლებსაც შეეფარდათ გამასწორებელი სამუშაოები, პირობითი სასჯელი, ან თავისუფლების აღკვეთა სასჯელის აღსრულების გადავადებით;

– კანონდარღვევის ჩამდენ, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან გათავისუფლებულ პირთა შორის;

– მცირე ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებათა შეძენისა ან შენახვისთვის ადმინისტრაციული წესით დასჯილ, ან ნარკოტიკების შეძენილი უკანონო ნათესების შენახვის ან მოყვანისთვის ადმინისტრაციული წესით დასჯილ პირთა შორის;

– საპატიმრო ადგილებში ან სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკორიუმებში ნარკომანიის მკურნალობის კურსის გაძვლეული ან გაველი პირთა შორის;

– ნარკოტიკების მოხმარებაზე ორიენტირებული არასრულწლოვნებისა და ყმაწვილების გაზრდილი რისკის ჯგუფიდან;

– იმათ შორის, რომლებიც უკანონოდ მკურნალობენ (ექიმბაშები), ანდა ეწვეიან თვითმკურნალობას სახალხო მედიცინის ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომლებსაც ნარკოტიკული ზემოქმედების თვისებები აქვთ;

– იმათ შორის, რომლებიც არიან ქიმიურმაკეტული საწარმოებისა და აფთიაქების მუშაკები ან მედპერსონალი და შემწეული არიან ნარკოტიკებთან უკანონო შეხებაში, რისთვისაც ასეთ პირთა შესახებ დროული ინფორმაციის მისაღებად საქმიანი და მუდმივი კავშირები მყარდება აღნიშნულ დაწესებულებებთან;

– ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდადებული და ანალოგიური დანაშაულებრივი ქმედებისათვის თავისუფლებაში გაგრძელების მისწრაფების მქონე პირებთა შორის;

– სასჯელთა აღმასრულებელ სისტემაში ნარკომანიისგან იძულებითი მკურნალობის კურსის გაძვლეული და ნარკოტიკების უკანონო შეძენის მცდელობაში შემწეულ პირთა შორის;

– რაიონული (საქალაქო) ნარკოლოგიური სამსახურის და მისი ქვედანაყოფების თანამშრომელთა ინიციატივით გამოვლენილ იმ მოქალაქეთა შორის, რომლებმაც დაუშვეს ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარება;

– სასწრაფო დახმარების, ტოქსიკოლოგიურ და ტრავმატოლოგიურ სადგურებსა და სარეანიმაციო პუნქტებში იმ პირთა შორის, რომლებიც მათთან შეიმჩნევიან ნარკოტიკული თრობის ძვგომარეობაში;

– ონკოლოგიურ დისპანსერებში და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში იმ ავადმყოფთა შორის, რომელთაც მკურნალი ექიმი ნარკოტიკებს უნიშნავს შინ მისაღებად, რაც არ გამოირიცხავს მოცემული სამკურნალო საშუალებების სხვა პირთა მიერ არასამედიცინო მიზნებით გამოყენების შესაძლებლობას, ამ პირთა ნათესავების ან სხვა მოქალაქეთა რიცხვიდან, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ ნარკოტიკები გარკვეული საზღაურის თუ საჩუქრის სანაცვლოდ;

– სამკურნალო - პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო შემოწმების დროს გამოვლენილ წვევაძელი ასაკის ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის; მოსახლეობის სისტემატური დისპანსერიზაციით მოქალაქეთა იმ ნაწილში, რომლებმაც არაერთხელ ზის ითხოვეს ნარკოტიკული ზემოქმედების პრეპარატების დანიშვნა;

– ზოგადსავანმანათლებლო სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, განათლების სისტემის კერძო სტრუქტურების მდებუნქტებში იმ პირთა შორის, რომლებიც აყვანილი არიან აღრიცხვაზე ნარკოტიკების მოხმარების ან ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების გამო;

– სამხედრო კომისარიატებიდან იმ პირთა შორის, რომლებიც არ არიან გაწვეული შეიარაღებულ ძალებში ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარების გამო;

– სხვადასხვა სამართალდამცველ ორგანოსთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობის დროს ინფორმაციებს ღებულობენ ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებელ პირებზე.

პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე აყვანის საფუძველია:

– პირის მიერ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევა, რისთვისაც მან მოიხადა სასჯელი და მისი შემდგომი მოქმედება მოწმობს შესაძლო რეციდივს;

– ანტისაზოგადოებრივი ქმედება, რომელიც მიუთითებს ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამართალსაწინააღმდეგო საქციელზე;

– პირები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ნარკოტიკულ საშუალებებს, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა მოქალაქეთა უფლებებს; ისინი აუცილებლად აჰყავთ აღრიცხვაზე, უპირველესად, ნარკოტიკების შეძენის წყაროებისა და არხების დადგენის მიზნით.

ასეთ პირთა შესახებ ინფორმაცია უნდა შედგეს და პატაკის სახით მოხსენდეს საქალაქო, რაიონული შინაგან საქმეთა დანაყოფის უფროსს, შემდგომში შესაბამის სამსახურებთან ერთად შესატყვისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

– პროფილაქტიკას დაქვემდებარებულებთან მუშაობისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს მათი დადებითი და უარყოფითი პიროვნული

თვისებები, ხასიათი და მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. ამასთან, დარწმუნების მეთოდები უნდა შეერწყას სამართლებრივ, აღმზრდელობით და სამედიცინო ხასიათის ზემოქმედებას და განხორციელდეს ზუსტად კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობა აგრეთვე ითვალისწინებს:

- ოჯახში, ყოფასა და სამსახურში აღნიშნული პირების ქცევასა და ცხოვრების წესზე დაკვირვებას; სამართალდარღვევებზე რეაგირებას;
- იმ პირთა მიმართ ზომების მიღებას, რომლებიც პროვოცირებას უწევენ პროფილაქტიკური მუშაობის გაულებლის ქვეშ მყოფ პირებს ნარკოტიკების მოხმარებასა და სამართალდარღვევების ჩადენაზე;

პირს, რომელმაც პროფილაქტიკური დახმარება გაიარა, აღმოუჩენენ სათანადო დახმარებას:

- შრომით მოწყობაში (სასწავლებელში მიღებაში), ახალ შრომით (სასწავლო) კოლექტივთან ადაპტაციაში;
- ოჯახურ-ყოფითი ურთიერთობის მოწესრიგებაში;
- ნარკომანიის ან ტოქსიკომანიის ნებაყოფლობითი მკურნალობის კურსის გავლაში;

- საამხანაგო წრის გამოცვლაში;

- სოციალურად სასარგებლო შრომაში ჩაბმში და ა.შ.

აღრიცხვაზე მყოფი პირის მიერ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების ჩადენის შესახებ შეტყობინება და რეაგირება დროული და ადეკვატური უნდა იყოს.

იმ პირთა მიმართ, რომლებიც დასაბუთებულად არიან ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში ოპერატიულ-სამძებრო კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები (მათ შორის პროფილაქტიკურიც).

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს რესპუბლიკაში 1999 წლის 22 ივლისს მიღებული ახალი სისხლის სამართლის კოდექსი და მისი XXXIII თავი *ნარკოტიკული დანაშაული* უდავოდ წინადადებული ნაბიჯია კანონშემოქმედებით საქმიანობაში. ძველი კანონმდებლობა, რომლითაც რეგლამენტირებული იყო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში, დიდი ხნის განმავლობაში უცვლელად მოქმედებდა და, ჩვენი აზრით, ხშირად ვერ უზრუნველყოფდა ნარკოტიკების რეალიზატორების, გამავრცელებლების, მისი უკანონო საერთაშორისო ტრანსპორტირებით დაკავებული პირების მიმართ *ადეკვატური* და *ეფექტური* დამსჯელი ღონისძიებების განხორციელებას. მას სხვა მრავალი ხარვეზიც ჰქონდა, რომელიც არ იყო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში არსებული უმძიმესი მდგომარეობის შესატყვისი, ყოველივე აღნიშნულმა ახალი საკანონმდებლო ნორმების ჩამოყალიბება და ამუშავება განაპირობა.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის უმთავრესი დადებითი თავისებურებები გამოიხატება შემდეგში:

პირველი – კანონით მნიშვნელოვნად გამკაცრდა სამართლებრივი ნორმები იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ეწევიან *ნარკოტიკების გასაღებას* და *უკანონო საერთაშორისო გადაზიდვებს (ტრანზიტს)*. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულია არა მარტო ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვა, არამედ ასეთად მიიჩნევა ფსიქოტროპული ნივთიერებები, *ანალოგები*, რომლებიც ბევრი მეცნიერისა და პრაქტიკოსი მუშაკის აზრით XXI საუკუნის ნარკოტიკი იქნება;

მეორე – იურიდიული პრაქტიკის მიხედვით უდავოდ სადად, მარტივად, მაგრამ პრაგმატულად არის გადაწყვეტილი საკითხი 264-ე მუხლით (*ნარკოტიკული საშუალებებისა და მისი ანალოგების ან პრეკურსორების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა*). აქვე მოცემულია ასეთი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ყველა შესაძლო შემთხვევა. თუ ამ მუხლს შევადარებთ წინა კოდექსის შესაბამის 252¹ მუხლს – *ნარკოტიკულ საშუალებათა და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცების შესახებ*, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი *ართულად* და საგამოძიებო სამსახურებისა და სასამართლო ხელისუფლების სწორ რეაგირებას ამ სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე.

ცალკე განხილვის თემა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი *ნარკოტიკულ საშუალებათა ან სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის, გადავზავნის ან გასაღების შესახებ* (იხ., 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლი). ხსენებულ მუხლში სანქციების *მინიმუმი* და *მაქსიმუმი* იმდენად იყო დამორებული, რომ

კანონმდებელი აშკარად ადეკვატურად ვერ აფასებდა ასეთი სახის მიძიმე დანაშაულს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მისი პირველი ნაწილი, რომელიც გასაღების მიზნით ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადებისთვის, შექმნა – შენახვისთვის, აგრეთვე, უკანონო გასაღებისთვის ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 10 წლამდე, ეს კი ნიშნავდა რომ სასამართლოს ასეთი დანაშაულისთვის შეეძლო პიროვნების გასამართლება 3 თვიდან 10 წლამდე, რის გამოც ასეთი განაჩენის გამოტანისას სასამართლო, არცთუ იშვიათად სცოდავდა.

მესამე – დღეს უკვე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია დანაშაულის ახალი შემადგენლობები და მუხლების მთელი რიგი ახალი ნაწილები. სახელდობრ, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგების ან პრეკურსორების უკანონო შემოტანა, საქართველოდან უკანონო გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (*მუხლი 262*); სრულიად ახალია ასევე *მუხლი 266* – ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგების ან პრეკურსორების ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიების მოწყობა ან შენახვა.

მეოთხე – კანონში გაცილებით მკაცრი და დიფერენცირებული მიდგომაა გათვალისწინებული ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება (*მუხლი 265*). წინა, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში *მუხლი 253*, სრულად არ იყო მითითებული ნარკოტიკების შემცველი მცენარეების სახეობები, რაც პრაქტიკოს მუშაკებს და მოსამართლეებს ბევრ უხერხულობებს უქმნიდა. კერძოდ, იგი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას კანაფის 5 სახეობის დათესვისა და მოყვანისათვის, მაშინ როდესაც მსოფლიოში კანაფის 200-მდე სახეობა არსებობს. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამავე მუხლით საქართველოში ვერ დაისჯებოდა კოკას ბურჯის მოყვანა შემდგომში კოკაინის წარმოების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ეს საკვებით რეალურია.

თუ გავაანალიზებთ უკანასკნელი 5 წლის სასამართლო პრაქტიკას, დავინახავთ, რომ სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილია მხოლოდ 57 საქმეზე, რაც, ამ კატეგორიით განხილული საქმეების მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს და იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში კანონის ეს ნორმა არაეფექტურად მოქმედებს.

მეხუთე – კანონში ასევე მოქმედი კონვენციების მოთხოვნათა ადეკვატურად არის გადაწყვეტილი საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, მისი ანალოგების ან ძლიერმოქმედი ნივთიერებების დამზადების, წარმოების, საცალო ვაჭრობისა და განაწილებისათვის პასუხისმგებლობის საკითხები (*მუხლები 267-270*).

მექვსე – ახალი კანონის უმთავრესი სიახლე და მნიშვნელობა ის არის, რომ ყოველ მუხლში სანქციის განსაზღვრისას დანაშაულის ერთ - ერთ ძირითად მაკვალიფიცირებლად მიჩნეულია უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული

საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ოდენობა – დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რაც სავსებით შეესაბამება დღეს არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

და რაც უფრო ყველაზე მნიშვნელოვანია, მიუხედავად მეცნიერთა და პრაქტიკოსი მუშაკების საკითხისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, ჩვენი თვალსაზრისით, კანონზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფმა მიიღო საქართველოს განვითარების ამ ეტაპისათვის ზუსტად თანადროული კანონის ნორმა, სახელდობრ, 273-ე მუხლით – პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით, ვადით 20-დან 80 საათამდე ან ტუსალობით ვადით 3 თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

ნაშრომის ამ ნაწილზე მუშაობისას გამიჩნდა მთელი რიგი მოსაზრებები და კეთილი სურველები, რომელიც, ჩვენი აზრით, მომავალში ხელს შეუწყობს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ კანონმდებლობით საქმიანობას.

უპირველესად მხედველობაში უნდა მიღებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღესმოქმედი სამი ძირითადი უნივერსალური კონვენცია – 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ, 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ და 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ – თავიანთი მოთხოვნებით:

პირველი – კონვენციებში მოცემულია ნარკოტიკული საშუალებები, მისი ანალოგები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები. ხოლო რაც შეეხება ძლიერმოქმედ ნივთიერებებს, იგი კონვენციებში ცალკე, საზგასმულად არ არის გამოყოფილი და ჩემის აზრით, მათ მიმართ უნდა გამოვიყენოთ იგივე რეჟიმი, როგორც რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებისა და ნივთიერებათა მიმართ. აღნიშნული გაამარტივებდა კანონის მუხლების დასახელებას, დისპოზიციას და დაანალოვებდა მას საერთაშორისო სტანდარტებთან;

მეორე – დღეს მსოფლიოში საკანონმდებლო პრაქტიკა თითქმის ყველა შემთხვევაში ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დანაშაულები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან უდიდეს შემოსავლებს იღებენ. ითვალისწინებს რა ამ გარემოებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს უკანონოდ ნაშონი თანხების ლეგალიზება – გათვორების წინააღმდეგ ბრძოლას და თვლის, რომ ასეულობით მილიარდი დოლარი, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობითაა მოპოვებული და მისი 70-80 პროცენტი ნაღდ ანგარიშსწორებაშია, უდიდეს საფრთხეს უქმნის კანონიერ ეკონომიკას, ფულად – საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკას და კორუფციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტებს, ცნობილ მეცნიერებს მიმართ რომ ამ მიმართულებით ბრძოლის გაძლიერებისათვის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია *კონფისკაცია* ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის გამო, რასაც დღეს საკანონმდებლო სფეროს *ახალ მიმდინარეობას* უწოდებენ. მისი ინიციატივა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლებს ეკუთვნით. *ასეთი მიდგომით კონფისკაციას ექვემდებარება უკანონო ბრუნვაში მყოფი ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები, ასევე მათი უკანონო დამზადებისათვის გამოყენებული ხელსაწყო – დანადგარები, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის შედეგად შეძენილი ქონება და ფინანსური სახსრები.*²⁶

ზემოთ ჩამოთვლილი მკაფიოდ არის მოცემული 1988 წელს კონვენციის მე-4 მუხლს *ა-ქუჩქში*.

ასეთი პროცედურის განხორციელება საკმაოდ ეფექტურად შეიძლება საქართველოს ახალი, 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (თავი XXIV), *ქონებაზე ყადაღის დადებით*, თუმცა სრულად ვერ მოიცავს ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებს.²⁷

მსოფლიო პრაქტიკაში, როგორც წესი, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვასთან მიმართებით ჩატარებული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების შედეგად კონფისკებული ქონება მონიხმარება მხოლოდ ნარკომანიის პროფილაქტიკისა და ნარკომანიის *სენ-შეკრილ* პირთა სამკურნალოდ და სოციალური რეაბილიტაციისათვის და რაც ყველაზე მთავარია, *ამ თანხებით ფინანსდება ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სპეცსამსახურების ბიუჯეტები, რაც საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციების დაფინანსებას ემსახურება.*

ეს პრაქტიკა ჩვენთან დღესდღეობით ძნელად ინერგება. ამის მკაფიო მაგალითია 1998 წლის დეკემბერში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღძრული სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება) მოქალაქეების კახაბერ ბაბუნაშვილის, ზურაბ კვეტენაძის და გივი აბრამიშვილის მიმართ, რომელთაც ბრალი ედებათ ყაზახეთის რესპუბლიკიდან ჯერ დაბა ყაზბეგში, შემდეგ კი თბილისში სარეალიზაციოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოპიუმის შემოტანისათვის.

საგამოძიებო-ოპერატიული მოქმედების შედეგად ზ. კვეტენაძის ავტოფარეხიდან ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ გამოზადებული ნარკოტიკული ნივთიერება – ოპიუმი 5,4 კგ. ასევე დადგინდა სხვადასხვა მოქალაქეებზე მისი რეალიზაციის რამდენიმე ეპიზოდი.

თბილისის საოლქო სასამართლომ, რომელმაც 1999 წლის 18 ოქტომბერს განიხილა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, დაადგინა დასაჩუქებული პირების

ბრალეულობა. კ. ბაბუნაშვილი და ზ. კვეტენაძე ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება), ხოლო გ. აბრამიშვილი. იმავე მუხლის მე-4 ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების შენახვა გასაღების მიზნის გარეშე – განმეორებით).

პირველ ორს მიესაჯათ შესაბამისად ათი და ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გამოღიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ხოლო მესამეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

სისხლის სამართლის საქმის შესწავლამ დაგვანახა, რომ დასახელებული პირები დანაშაულს გევმავდნენ და ახორციელებდნენ საქმოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ხოლო მის სისრულეში მოსაყვანად გამოიყენეს სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები, შენობა-ნაგებობა, ავტოფარეზი. *საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით*, სასამართლოს მიერ კონფისკაციას დაექვემდებარა მხოლოდ დამნაშავეთაგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები.

უფრო მეტიც, აღნიშნულის ერთ-ერთი ორგანიზატორი კახაბერ ბაბუნაშვილი იყო ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის პოლიციის ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის განყოფილების უფროსი, რომელსაც პირადად ევალებოდა ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა.

მიღებული საერთაშორისო პრაქტიკით, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ეს განსაკუთრებით დაამძიმებდა მის მიმართ სასამართლოს განაჩენს, ხოლო მსოფლიოს ბევრი ქვეყნის, მათ შორის ამერიკული კანონმდებლობა გააორმაგებდა მას და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისათვის გამოყენებული ტრანსპორტი, სხვა მატერიალური ფასეულობანი (მაგ: *ავტოფარეზი, სადაც უკანონოდ ინახებოდა ნარკოტიკები*) კონფისკაციას დაექვემდებარებოდა.

ჩვენი აზრით, ასეთი პრაქტიკის დანერგვა მეთოდურად უნდა დავიწყოთ ჩვენს ქვეყანაშიც, რომელიც შესაბამისი ნორმატიული აქტებითა და უწყებრივი ინსტრუქციებით უნდა იყოს განმტკიცებული.

მესამე – ჩვენი აზრით, საკანონმდებლო ნორმების დახვეწის, ასევე ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი სანქციების უფრო ღებულურად განსაზღვრისათვის, შეიძლება უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და პრეკურსორების ოდენობების მეტად დიფერენცირება და სასჯელის გამოტანა მათზე დაყრდნობით, რაც უმეტეს შემთხვევაში უფრო მკაცრი სასჯელის გამოტანის ერთ-ერთი ძირითადი მაკვალისფიცირებელი ნიშანი იქნებოდა. ასეთი თვალსაზრისი ჩვენს მიერ უკვე განხილული იყო ამ თემის პირველი თავის მე-2 პარაგრაფში (*საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკა*).

მეოთხე – ჩვენს მიერ კიდევ ერთხელ გასაანალიზებელია მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის

ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. მისი პირველი ნაწილი ასეთი ქმედებისათვის ითვალისწინებს სასჯელს ვადით სამი თვიდან ათ წლამდე, რაც საკამათოდ მიგვაჩნია. ასეთი დიდი სხვაობა, ჩვენის აზრით არ გამორიცხავს გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოების მიერ არაკანონიერი განაჩენის გამოტანის შემთხვევებს.

მეხუთე – უკანასკნელი წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია უცხოეთის ქვეყნებში. მარტო დსთ–ს სივრცეში მილიონზე მეტი ადამიანია ემიგრირებული დროებით სამუშაოზე, რომელნიც არც თუ იშვიათად კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში არიან ჩართულნი, მათ შორის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში. სწორედ ამიტომ დადგა დრო როდესაც განაჩენის გამოტანისას, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება, უნდა გაეთვალისწინოთ სხვა ქვეყნებში ჩადენილი დანაშაულებიც. ამაზე მიუთითებს 1961 წლის კონვენციის 36–ე მუხლის 2(a)(iii) პუნქტი, 1971 წლის კონვენციის 22–ე მუხლის 2(a) პუნქტი და 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლის 5(n) პუნქტი, რომელიც ადრე ჩადენილი სამართალდარღვევათა და რეციდიული დანაშაულის დადგენის მიზნით სხვა ქვეყნებში გამოტანილი განაჩენის აღრიცხვის აუცილებლობას ეხება.

საბოლოო ჯამში კი მიგვაჩნია, რომ, ალბათ, სულ მალე დადგება დრო, როდესაც გარდუვალი იქნება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი კანონის მიღება. სწორედ ამ გზით წავიდა თანამედროვე საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკა.

ეკონომიკურად უაღრესად ძლიერი დანაშაულებრივი დაჯგუფებების კანონ-საწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა და დაფიქსირება (*დოკუმენტირება*), შემდეგ კი საგამოძიებო და სასამართლო განხილვა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე უდიდეს წინააღმდეგობებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის სწორი სისხლისსამართლებრივი ანალიზი, დანაშაულებრივი დაჯგუფების გამოამჟღავნების, მათი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის მხილების, შემდგომში კი სწორი სასამართლო დასკვნის გამოტანის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

თემატური და საბაზისო ლიტერატურა

1. ჯანაშია ჯ., *ობიუმი – კავკასიური დერეფნის გველეშაპი*, გამომც. „ინტელექტი“, თბილისი, 1999 წ.

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებით და დამატებებით, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 1997 წ.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბილისი, 1999 წ.

4. ჯორჯ მარშლის უსაფრთხოების საკითხების შემსწავლელი ევროპული ცენტრი, ორგანიზებული დანაშაული: ეროვნული უსაფრთხოების მასშტაბები, კონფერენციის მასალები, გარბში, გერმანია, 31 აგვისტო 2 სექტემბერი, 1999 წ.

5. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა, პრეკურსორების, ძლიერმოქმედ ნივთიერებათა და შხამების სიები, თბილისი, 1999 წ.

6. Программа ООН по международному контролю над наркотиками. Законодательство пятнадцати государств членов ЕС по вопросам о немедицинском использовании наркотических средств по состоянию на 1996 год. Австрия. Вена. 1996 г.

7. UNITED NATIONS. *Convention on Psychotropic Substances 1971*, New York, 1977.

8. Организация Объединенных Наций. Конвенция о борьбе против незаконного оборота наркотических средств и психотропных веществ 1988 года, ст. 3. Вена. Австрия. 1989 год.

9. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროთა საგამოძიებო სამსახურების ინფორმაცია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო პრაქტიკის შესახებ (1995-2001 წწ.), თბილისი, 2001 წ.

10. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 1999, ივლისი.

11. UNITED NATIONS. *Single Convention on Narcotic Drugs. 1961, article 36*, New York. 1972.

12. Комментарий к уголовному кодексу РСФСР под редакцией проф. Северина Ю. Д., Москва, Юридическая лит-ра, 1980 г.

13. Криминология, под редакцией акад. Кудрявцева В. Н. и проф. Эминова В. Е., гл. IV - Личность преступника и причины преступного поведения, изд. "Юрист", Москва, 1977 г.

14. Программа Организаций Объединенных Наций по международному контролю над наркотиками. "Сборник документов о борьбе с незаконным хранением наркотических средств и психотропных веществ для личного потребления". **Австрия, Вена, 1996 г.**

15. *Georgian Law Enforcement Handbook. 1995, Revision. Prepared by the editorial staff of the publisher. The Harrison Company, Publisher Crossing Park - Norcross-Georgia. USA. 1995.*

16. **L. Jean Wallace.** What Every 18 - Year-Old Needs to Know about Texas Law. University of Texas Press, First Edition, Austin, 1992.

17. ჯანაშია ჯ., ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა, (სახელმძღვანელო), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო, თბილისი, 1995 წ.

18. Смертная казнь – не решение проблемы наркотиков. Международный секретариат. Великобритания. **Лондон, октябрь, 1995.**

19. Уголовный кодекс Республики Узбекистан. **Ташкент. 1995 г.**

20. Доклад Генерального секретаря ООН. Смертная казнь и выполнение гарантий защиты прав тех, кому грозит смертная казнь. Документ ООН № E, 1995-786, 8 июня, 1995 года, параграф 87.

21. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 წ.

22. Министерство юстиций США. Сборник документов Управления по борьбе с наркотиками. Аспекты химических исследований. **Вашингтон. Июнь, 1993 г.**

23. Игошев К. Е., Устинов В. С., Введение в курс профилактики правонарушений, **Горький, 1977 г.**

24. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, თბილისი, 1999 წ

25. Устинов В. С., Введение в курс профилактики правонарушений, **Москва, 1978 г.**

26. Организация Объединенных Наций. Программа консультативно-правового обслуживания. Типовой законодательный Акт об отмыиваний денег и конфискации в области наркотиков. **Австрия. Вена. Ноябрь, 1995 г.**

27. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. გამომც. იურიდიული კომპანია „ადვოკატი – მეოზი“. თბილისი, 1999 წ.

ნაწილი მერვე

ნარკოკონტროლის ფილოსოფია

თავი I

საერთაშორისო თანხმობა – პრობლემის გადაჭრის სწორი სტრატეგია

„ამ პრობლემას სათავეში უნდა ვებრძოლოთ“.

გაეროს სტრატეგიული მოხსენებიდან

§1. ბრძოლი და მძიმე გზა თანხმობისაკენ

თითქმის საუკუნე მიილია 1909 წლის შანხაის „ოპიუმის“ პირველი კონფერენციიდან 1988 წლის ვენის კონვენციამდე.

შთაბეჭდავია ამ პერიოდში ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ჭიდილში დახარჯული დრო და ენერგია. და მაინც, გაწეული მრავალმხრივი მუშაობის მიუხედავად ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ პრობლემის გადასაჭრელად ერთიანი საერთაშორისო თანხმობის მიღწევა.

მჭიდრო მთავრობათშორისი თანამშრომლობის გარეშე ბრძოლა გამოცდილ კრიმინალურ ორგანიზაციებთან, ფაქტობრივად მსოფლიოში ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვის მონოპოლისტებთან, იმის მცირე იმედს გვიტოვებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობამ დამოუკიდებლად შეძლოს ნარკოტიკების გაერცელების აღკვეთა.

1990 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის მე-17 საგანგებო სესიაზე ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით მიღებული ყოველწლიური სარგებელი 500 მლრდ აშშ დოლარით შეფასდა, რომელიც მსოფლიო ვაჭრობაში ადგილს მხოლოდ შეიარაღებისათვის დახარჯულ თანხას უთმობდა.¹

დღესდღეობით მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ნარკოტიკების საკითხი უპირველესია მათი მუშაობის დღის წესრიგში მშვიდობის განვითარების, გარემოს დაცვისა და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გვერდით.

მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირება და ვაჭრობა მრავალმხრივ საშიშროებას უქმნის ქვეყნის ძირითად ინსტიტუ-

ციონალურ მოწყობას, არაიშვიათად, სახელმწიფოს სტაბილურობას, მთავრობათშორის დამოკიდებულებას და თვით ხალხის კეთილდღეობასაც კი.

ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირება ოპერაციათა რთული ჯაჭვია დაწყებული ნარკოტიკების მწარმოებლიდან მისი მომხმარებლთა დამთავრებული. ჯაჭვი, რომელიც იშვიათად შემოიფარგლება ერთი ნებისმიერი სუვერენული ქვეყნის საზღვრებით – ხშირად ერთი ქვეყნის პროდუქცია მეორეში ნარკოტიკულ თუ ფსიქოტროპულ ნივთიერებად გარდაიქმნება, რათა მომხმარებლამდე საბაზრო ან განაწილებული ქსელებით მიაღწიოს.

ამოგებული სარგებელი თითქმის ყველა სტუმართომოყვარე ქვეყანაში ინვესტირდება.

მრავალი მილიარდი დოლარის მომცველი ეს არალეგალური ბნელი ბიზნესი კრიმინალური სინდიკატების კონტროლქვეშ იდგამდა ფესვებს და რამდენადაც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის სფერო და გავლენა სამშპ სიდიდემდე იზრდებოდა, იგი იმდენად მეტად ექცეოდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში.

უდიდესმა სარგებელმა მოისყიდა პოლიტიკური ელიტა და ეკონომიკური ნათლიმამები, კორუმიტირებული მთავრობები და სახელმწიფო აპარატი.²

უკანასკნელ ათასწლეულში მსოფლიო წესრიგისათვის ნარკოტიკები უკვე მრავალსპექტიანი პრობლემა გახდა – მისმა ბოროტად გამოყენებამ და ტრანსპორტირებამ მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროზე მოახდინა გავლენა, რის გამოც ბოლო საუკუნის მთელ პერიოდში ყოველი პროგრესული საზოგადოება ცდილობდა ქვეყნებშორის ისეთი ეფექტური ჩარჩოებისა და მექანიზმების შექმნას, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისაგან თავდაცვა.

მაგრამ ეს უაღრესად რთულად განსახორციელებელი საქმე გამოდგა. ბევრმა სახელმწიფომ, პირველ რიგში დიდმა ბრიტანეთმა გაანალიზა, რომ მათი ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილი ოპიუმის ვაჭრობასაც შეეძლო შეეტანა. მან კი, თავის მხრივ, ინგლისის პრიორიტეტის ქვეშ მყოფ ჩრდილოეთში და სამხრეთ ჩინეთში დასაბამი მისცა ოპიუმის ყაყაროს მოშენებას – ადგილობრივი მოსახლეობის ოპიუმზე გაზრდილ მოთხოვნილებას ინდოეთი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა. ჩინეთში ნარკოტიკების გაშენებამ და მისმა ინდუსტრიამ უდიდეს მამუტაბებს მიაღწია.³

ამას უდავოდ შეუწყო ხელი დასავლეთის ქვეყნების, პირველ რიგში კი ინგლისის „ოპიუმის ომებში“ შედარებით იოლმა გამარჯვებამ, შედეგად ჩინეთში ოპიუმის მომხმარებელთა რიცხვმა 100 მილიონს გადააჭარბა და მსოფლიო დიდი ჩინელი ერის კოლექტიური ინტოქსიკაციის მიწმე გახდა. ქვეყანა ოპიუმის კვამლში გაეხვია.⁴

სწორედ ოპიუმის მოწვევა იქცა ქვეყნის გარეთ, აზიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩინელთა კულტურის განუყოფელ ნაწილად. უფრო ზუსტად რომ

ვთქვით, ოპიუმის მოწევა ფართოდ გავრცელდა ჩინურ სათვისტომოებში, განვითარდა ოპიუმის ფერმერთა სისტემა, რომელიც იაპაზე და სინგაპურში მთლიანად აკმაყოფილებდა მწვევლთა მოთხოვნებს. ეს საწარმოები – ოპიუმის მცირე მონოპოლიები რეგიონის პოლიტიკური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი გახდა.

მაღე ოპიუმი მთელ მსოფლიოს მოედო.

ოპიუმის ომების სახელწოდებით ცნობილი მოვლენების ანალიზის შედეგებმა ნათელყო, რომ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება და ვაჭრობა ტრანსეროვნული მოვლენაა, რომლის ეფექტურ კონტროლქვეშ მოსაქცევად, უპირველესად მთავრობათა-შორისი მჭიდრო თანამშრომლობა საჭიროა.

მოკლედ, მრავალი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პლანეტა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გათავისუფლებულიყო ოპიუმის სენისაგან.

სწორედ ამისკენ მიაპყრობდა ეპისკოპოსი ჩარლზ ბრენტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის ყურადღებას; თუმცა ცხოვრებამ აჩვენა, რომ იმ ხანად კაცობრიობამ ეს ამოცანა უფრო გაიცნობიერა, ვიდრე განახორციელა.⁵

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სულ უფრო მეტად და მეტად რწმუნდებიან, რომ საჭირო იყო ჩინეთის ოპიუმისაგან დახსნა, რადგან ქვეყანა სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და დინასტიას გაქრობა ელოდა.

1911 წელს მოვლენები კიდევ უფრო გააღრმავა ჩინეთის სამოქალაქო ომმა, რომელმაც ნაწილებად დაშალა მსოფლიოში ოპიუმის უდიდესი მწარმოებელი და მომხმარებელი პირველი სახელმწიფო.

გარდა დიდი ბრიტანეთისა მსოფლიოს სხვა ძლიერ სახელმწიფოებსაც გაუჩნდათ პოლიტიკური ინტერესები აღმოსავლეთ აზიაში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს.

დაიწყო დასავლეთის გავლენა აზიაზე. ცალსახად მომზადდა საფუძველი ოპიუმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო შეხვედრისათვის.

1909 წელს შანხაიში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის ინიციატივით შედგა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ოპიუმის შანხაის კონფერენციის სახელწოდებითაა ცნობილი. მასში მსოფლიოს 13 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა (აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდი, პორტუგალია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, იაპონია, სიამი და სპარსეთი).

ამერიკელები და ჩინელები ევროპელებს ჯიუტად უტევედნენ, რომლებიც თავისი კოლონიური ინტერესების გამო ოპონირებას უკეთებდნენ და უარს ამბობდნენ შემოთავაზებულ წინადადებაზე – ოპიუმის კომერციის აკრძალვაზე. კონფერენციამ მაინც დააყენა მთავარი ფუნდამენტური პრინციპები: ნარკოტიკების კომერცია უნდა გაკონტროლდეს მთავარი ფუნდამენტური პრინციპები: ნარკოტიკების კომერცია უნდა გამხდარიყო მედიცინისა და

მეცნიერების საჭიროებისათვის და კიდევ ერთი — კონფერენციის უმთავრეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, რომ *ოპიუმში*, კერძოდ, კი მისი მოწვევა აღიარეს, როგორც პოლიტიკური და სოციალური პრობლემა.⁶

მიუხედავად ჩინეთ-ბრიტანეთის მცდელობისა, ბოლო მოვლათ ინდოეთის ოპიუმით ვაჭრობისათვის, შანხაის კონფერენციის მონაწილეებმა თავი აარიდეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან დაბრკოლებები შეექმნებოდა საერთოდ ვაჭრობას აღმოსავლეთ აზიაში. შეხვედრაზე არ გაიზიარეს აგრეთვე ის მოსაზრება, რომ ოპიუმი სამრეწველო საქონელია და მას ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

აზიის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ მხარი დაუჭირა მოთხოვნას — წინ აღდგომოდნენ ოკეანის გაღმა მცხოვრები ჩინელი მოსახლეობის კულტურულ თუ ფსიქოლოგიურ მოთხოვნას ოპიუმზე. ამასთან, გამოითქვა ძლიერი ეჭვი — აიკრძალებოდა თუ არა ოპიუმი თვით ჩინეთში. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელსაც წარმოადგენდა ებისკოპოსი ჩარლზ ბრენტი და შორეული აღმოსავლეთის ტროპიკულ დაედაფებათა მკვლევარი დოქტორი ჰამილტონ რაიტი, შანხაიში ოპიუმის წარმოების გაფართოებაში დიდი ბრიტანეთი დაადანაშაულა. ამერიკის შეერთებული შტატების ბრალდებით სწორედ დიდ ბრიტანეთს მიუძღოდა დიდი წვლილი ჩინეთში ოპიუმთან დაკავშირებულ პრობლემებში.⁷

1911-1912 წლებში ჰააგის კონფერენციაზე ამჯერად დიდმა ბრიტანეთმა დაადანაშაულა ამერიკის შეერთებული შტატები ჩინეთისათვის ვაშინგტონის გაკლენის თავზე მოხვევისათვის. დიდმა ბრიტანეთმა კონფერენციაზე შემოიტანა პროექტი, რომელშიც შეეცადა მოეცა ფორმალური მონახაზი ნედლეულისა და შუა ოპიუმის არალეგალური ტრანსპორტირების შემცირებისა და აღკვეთის თაობაზე.⁸

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების ამოცანა უფრო შორს მიდიოდა, კერძოდ, მათი სურვილი იყო კონფერენციის ჩარჩოებში კოკაინისა და მორფინის მოქცევა, ისინი მიღწეულითაც დაკმაყოფილდნენ. ჰააგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზებას პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი.

სულ მალე ომი გახდა ნარკოტიკების მასტიმულირებელ და აღმეზნებელ საშუალებად გამოცხადების მძლავრი იმპულსი, რომელიც მის მსოფლიო წარმატებას აიოლებდა, მკვეთრად გაზარდა წარმოება და ფართო გზა გაუხსნა სამხედრო ფარმაცოთერაპიაში. ცის გმირები (1914-1918 წლებში), ისევე როგორც მესამე რეიხის მომავალი მარშალი ჰერმან გერინგი მას შესანიშნავ რეკლამას უკეთებდნენ.

1920-იანი წლების დასაწყისამდე გერმანიის, პოლანდიისა და იაპონიის უდიდესი ლაბორატორიები ნარკოტიკებს ასეული ტონობით აწარმოებდნენ.

1925 წელს ჟენევის ოპიუმის მეორე კონფერენციის შემდეგ მსოფლიოს ყურადღება კვლავ ამ პრობლემის ირგვლივ კონცენტრირდება: ქვეყნები, რომელთაც ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ აქციებთან ჰქონდათ შეხება, კვლავ უშედეგოდ

ითხოვდნენ კოკაინის წარმოების წინააღმდეგ ადეკვატური ზომების მიღებას, რასაც ნიდერლანდებისა და სხვა ქვეყნების მთავრობები პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა.

ერთა ლიგამ განაგრძო მავნე ნარკოტიკების ლიმიტირების სისტემის ძიება და „*ნარკოტიკების მწარმოებელთა საერთაშორისო კარტელის*“ შექმნის იდეა წამოაყენა.

იდეა მაშინვე აიტაცა მსოფლიოს ქვეყნების დიდმა ნაწილმა და 1921-31 წლებში იგი ინტენსიურ კომერციულ მოლაპარაკებათა ცენტრში მოექცა.

მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ფრონტალური ოპოზიციისა, *იუგოსლავების, პოლონელების, იტალიელების და ესპანელების ყოფმანის* ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა (*საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი*) მაინც მიიღეს ოპიუმის შემცველთა საერთაშორისო კონვენცია. იგი ეფუძნებოდა საექსპორტო კვოტებს – ლეგალური კონტროლირებადი ვაჭრობის მსოფლიო სისტემის ნაირსახეობას.

1929-33 წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც *ნარკოტიკებით სპეკულაციას* გარკვეულ მკაცრ შეზღუდვებს უწესებდა, ამან კი სახელმწიფოებს *საბაჟო ბარიერებს მიღმა* მოქმედებისაკენ უბიძგა.

დაიწყო კონტრაბანდის აღზევება.

ერთა ლიგამ, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართული ზომების რეკლამამ და კარტელის მიერ შეთანხმებით მიღწეულმა *ტარიფების ფიქსირებამ*, საქმონებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღება მომგებიანი ნარკოტიკების ინდუსტრიისაკენ მიმართა.

ოპიუმის მწარმოებელი იუგოსლავია და თურქეთი, ასევე პოლონეთი თანამიმდევრობით ჩაერთო აღკალოიდების ინდუსტრიის კონკურენციაში. ბუდაპეშტში *ყაყაჩოს ჩალიდან მორფინის* წარმოება დაიწყო. უნგრელებს წარმოებული პროდუქცია ავსტრიაში, ფინეთსა და ესტონეთში გაჰქონდათ.⁹

მაგრამ ამავე პერიოდში კარტელმა უკანონო კომერციის წინააღმდეგ ზეწოლა განაზოციელა. ამას პირდაპირი შედეგები მოჰყვა – მისმა აქციამ 1930 წლის იანვრიდან 1933 წლის ოქტომბრამდე ოპიუმის *ნომინალური ფასი* 600 პროცენტამდე დააგდო, რამაც ახლო აღმოსავლეთის მრავალი მეწარმე გააკოტრა.

საერთაშორისო ორგანიზაციები და ქვეყანათა მთავრობები გამაბრუებელთა კონტროლისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებებს ახორციელებდნენ. მაგალითად, პოლიტიკოსებმა მხარი დაუჭირეს 1929 წელს ფილიპინებსა და აზიის სხვა ქვეყნებში (*ჩინეთის გარდა*) ლიგის კომისიის ვიზიტს, რომლის მიზანიც ოპიუმის მოწვევის მანებლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება იყო. ლიგის წევრმა ქვეყნებმა უკმაყოფილება გამოთქვა იაპონიის ხელისუფლების მიერ *კვანტუნის* არმიის გათავისუფლებულ ტერიტორიაზე

განხორციელებულ ღონისძიებათა შეფასებისას.

იაპონიის ხელისუფლება მკდარ ინფორმაციას აერცვლებდა ამ ტერიტორიაზე ნარკოწარმოების შესახებ. როგორც მოგვიანებით, ლივის ვიზიტის დროს გაირკვა, ამ ტერიტორიაზე სიტუაცია გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ეს ანგარიშში ჩანდა.¹⁰

იმის გამო, რომ წარმოების შეზღუდვის შესახებ მიღებული კონვენციის გადაწყვეტილებები სათანადოდ არ სრულდებოდა, ლივის საბჭომ 1931 წლის ნოემბერში ბანგკოკში მოიწვია კონფერენცია *დევიზით* – ოპიუმის მწვევლთა რაოდენობის შემცირება.

კონფერენციის მუშაობაში არ მონაწილეობდა ჩინეთი, რამაც თვით კონფერენციის შედეგებზე იქონია ზეგავლენა.

ბანგკოკის შემდეგ აზიის სიტუაციის განსახილველად პოლიტიკოსები იძულებულნი გახდნენ კიდევ რამდენჯერმე მისხდომოდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას – ჯერ ვაშინგტონში, შემდეგ კი ლონდონში.

განვითარებულმა მოვლენებმა, რა თქმა უნდა, შეცვალა მსოფლიო ქვეყნების ნარკოპოლიტიკაც. ნათელი გახდა რომ ოპიუმზე მკაცრი კონტროლის განხორციელებას მხოლოდ ის ქვეყანა შეძლებდა, რომელიც ნარკოტიკებზე ეკონომიკურად არ იყო დამოკიდებული. ჩინეთის პოლიტიკურ ეკონომიკაში ოპიუმი ბატონობდა, რასაც მეორე მსოფლიო ომის მიჯნაზე იაპონიის მილიტარისტულმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. ასეთი სტრატეგიით *მანჯურიაში არალეგალური გზით სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით მორფინი შედიოდა*. ჩინეთი თანდათან მოექცა იაპონიის ეკონომიკური გავლენის ქვეშ.¹¹

საინტერესოა რით იყო განპირობებული იმ წლებში იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკა?

ამისათვის ისტორიას მივუბრუნდეთ.

1868 წლიდან დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებზე დაწვეის მიზნით *იაპონიამ* ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი აიღო. მოდელის ამ *კოპირებამ* იგი აიძულა ექსპანსიური პოლიტიკის გზას დადგომოდა, რომელიც იდეოლოგიურად, ადგილობრივი პირველადი მასალის რესურსების სიმცირის გამო, ნედლეულის სხვა ქვეყნებში მოპოვებას აკანონებდა.

ევროპული იმპერიალიზმის მსგავსად, იაპონური იმპერიალიზმის ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი ნარკოტიკები გახდა.

ევრსალის ტრაქტატის თანახმად *ტერიტორიული მატებით* გაძლიერებული და გათამამებული იაპონია *მორფინის ჩინური ბაზრის მთავარი მწარმოებელი* გახდა.

შედეგი: 1915 წელს 45 კილოგრამიანი წარმოებიდან იაპონური მორფინის წარმოება 1921 წლისათვის 5 ტონამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში მკვეთრად დაეცა ჩინეთში ნარკოტიკების ინგლისური იმპორტი.

სამაგიეროდ, იაპონური ინდუსტრია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული გახდა ოპიუმის იმპორტზე.

1932 წელს მანჯურიაში და 1941 წელს ჩინეთის სანაპიროზე შეიარაღებული შეჭრის წინ იაპონელებს უშუალოდ მხოლოდ ტაივანისა და კორეის ოპიუმზე მიუწვდებოდათ ხელი.¹² ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ ქვეყანაში გარედან შეეტანათ ოპიუმი. კერძოდ, თურქული, რომლის პროცენტული მაჩვენებელი სარეგულარო იყო და ნაცვლად 11-12 პროცენტისა, 14 პროცენტ მორფინბაზას შეიცავდა.

იაპონიამ ნარკოტიკების ექსპორტის კიდევ ერთი ქსელი გააბა კალკუტასთან. სადაც 1920 წლის დასაწყისიდან იაპონელები ბენგალის გადაშუშავებელი ოპიუმის პირველ მყიდველებად გვევლინებოდნენ. ოპიუმის ჰერიონიდ გადაშუშავება კობესა და ოსაკაზე მდებარე საიდუმლო ლაბორატორიებში ხდებოდა. საიდანაც ნარკოტიკები კენგდაოში – შინდონგის დიდ პორტში იგზავნებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, იაპონელები არ ცდილობდნენ ნარკოტიკების გავრცელების ოფიციალური ქსელების შექმნას. ჩინეთში დასავლეთიდან შემოტანილი ტექნიკის გამოყენებით და საოკუპაციო არმიასთან თანამშრომლობით ინტენსიურად ავითარებდნენ საიდუმლო, დახურულ ნარკოკომერციას, რასაც მათთვის მეტი მოგება მოჰქონდა.


ტაივანიდან შემოტანილი ოპიუმით, მორფინით და ჰერიონით მოირწყა სუატოკა და პონკონგი, სადაც ტრადიციულად, სუსტი წინააღმდეგობების გაწევის შემდეგ იაპონურ მმართველ წრეებთან თანამშრომლობა დაიწყო.

იაპონელი სპეკულანტები ასევე ძლიერი ევროპული ფირმების ლეგალური იმპორტის დიდი ნაკადით სარგებლობდნენ, 1925 წელს შვეიცარიის დიდი ფრმაკეეტული ფირმა სანდოზი ტონა ნახევრამდე მორფინის ექსპორტირებას ეწეოდა იაპონიაში.

1925 წელს ჟენევის კონვენციის შედეგად გაჩნდა რა ლეგალური ჰერიონისა და მორფინის ნაკადის შეწყვეტის საფრთხე, იაპონელმა ქიმიკოსებმა საჭიროდ ჩათვალეს აღნიშნულ კონვენციასთან მიერთება. იაპონელი სტუდენტები ევროპაში (გერმანიაში) ჰერიონის ინდუსტრიის შესასწავლად გაგზავნეს, ხოლო 1927 წელს სტამბულში ჰერიონის ფაბრიკა ააშენეს – “The Orient Products Co“, რომელიც აზიაში გაფანტული იაპონელი დისტრიბუტორების მოსამარაგებლად იყო განკუთვნილი.

დასავლეთის ნახევარსფეროში კი ჰაავის კონვენციის გაფართოების თაობაზე, ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობას წინ აღუდგა პერუ და ბოლივია. ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა აზრი, რომ თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები მათი ქვეყნების შინაურ პოლიტიკაში ერეოდა, კერძოდ, ტრადიციული კოკაინის წარმოებაში და მინც, ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიაში შანხაის

თეიშის და პერიონის უკანონო პარზუტები ჩინეთში XX ს.



1909 წლის, პაავის 1912 წლის და ჟენევის 1925 წლის კონფერენციები წინგადადგმული ნაბიჯი იყო ნარკოტიკებთან ბრძოლის საქმეში. ისინი ოპიუმით ვაჭრობის წინააღმდეგ მსოფლიოს სახელმწიფოთა ნებას გამოხატავდა და გარკვეულ ვალდებულებასაც კისრულობდა. კერძოდ, *კონფერენციებმა დააკანონა საბაჟო სამსახურის როლი ოპიუმის იმპორტ-ექსპორტის კონტროლის საქმეში.*

ამ პირველი გაუბედავი ნაბიჯების შემდგომ საერთაშორისო საზოგადოებამ 1920-46 წლებში საფუძველი ჩაუყარა იმ სამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლებიც დღეს მოქმედი საერთაშორისო კონვენციების საფუძველია. ესენია:

- 1925 წლის საერთაშორისო კონვენცია ოპიუმის შესახებ;
- 1931 წლის კონვენცია ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებისა და გავრცელების მოწესრიგების შესახებ;
- 1931 წლის კონვენცია სახიფათო ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების აღკვეთის შესახებ.

არსებულ საერთაშორისო კონვენციათა გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე განსახილველი საკითხები შეთანხმებული უნდა იყოს, ან შეთანხმდეს ერთა ლიგის წევრ ქვეყნებთან, რომელთაც ზედამხედველის როლი უნდა ეკისრათ კონვენციის იმ შეთანხმებათა შესრულებაზე, რომლებიც ოპიუმსა და სახიფათო ნარკოტიკების ტრანსპორტირებას ეხებოდა.

ეს სამი კონვენცია თანდათან აფართოებდა ერთა ლიგისა და მისი სააგენტოების უფლებამოსილებას უკანონო ნარკოტიკების საერთაშორისო ტრანზიტის აღსაკვეთად. ამ დოკუმენტებმა ნარკოტიკების პრობლემასთან ბრძოლის პირველი მრავალმხრივი ადმინისტრაციული მექანიზმი ჩამოაყალიბა.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო 1936 წლის კონვენცია როგორც პირველი საერთაშორისო მცდელობა ნარკოტიკების კანონიერი და უკანონო ტრანზიტის ერთმანეთისაგან გამიჯვნასა და იმ სანქციების აქცენტირებაში, რომლებიც აუცილებელია უკანონო ტრანსპორტირების ასალაგმავად.

ეს იყო პირველი მრავალმხრივი კონვენცია მათი კრიმინალური დასჯის უზრუნველსაყოფად, ვინც დოკუმენტში ჩამოთვლილი ნარკოტიკების უკანონო წარმოებას, გადაზღვრებას, ექსტრაქციას (მინარეგებისაგან გასუფთავებას), მომზადებას, გავრცელებას, შესყიდვას, გაყიდვას, ტრანსპორტირებასა და გადაზიდვას ეწეოდა. კონვენცია 1939 წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში – მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და ერთა ლიგის დე ფაქტო გარდაცვალების შემდეგ.

მეორე მსოფლიო ომმა მეომარი მხარეები ნარკოტიკების პრობლემებიდან სხვა საკითხებზე გადაართო, ხოლო ომისშემდგომი პერიოდის დაპირისპირებას ყოფილი მტრების ორ შეიარაღებულ ბანაკად დაყოფილი მოკავშირეების ახალი დაჯგუფებები მოჰყვა. ჩვენი საუკუნის 90-იან წლებამდე, ევრეთწოდებული ცივი ომის პერიოდში დიდი ძალაუფლების მოპოვებისათვის კონკურენცია დომინირებდა; ნარკოტიკების პრობლემაც საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის რესპუბლიკაში ოპიუმის წარმოებასა და ჰეროინის დამზადებასთან წარმოქმნილი პოლიტიკური დაპირისპირება.

50-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა *ჰეროინის ექსპორტისა* და ნარკოტიკებით *ნაღდი ფულის* მოპოვების მიზნით ჩინეთი *მტრებისათვის* ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა.

60-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის განხეთქილება ჩამოვარდა, *საბჭოთა* კავშირმა მაიის-ტების საწინააღმდეგო *იგივე კამპანია* წამოიწყო, რაზეც *აღრე* პრეტენზია ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა.

ყველას გასაოცრად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩინეთს *დაუჭირა მხარი* და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი ცილს სწამებდა დიდ ჩინელ ხალხს. ცხადია *საერთაშორისო დებოშის* მთავარი ფაქტორი ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის მიმდინარე *ცივი ომის* პოლიტიკა იყო.¹³

ამ დროისათვის სუვერენული ქვეყნები იგნორირებას უკეთებდნენ ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის მოთხოვნებს, რადგან ნარკოტიკების სფეროში ძირითადი მონაწილენი სულ სხვა, ნარკოტიკებზე უფრო დიდი საფიქრალით იყვნენ დაკავებული.

აღნიშნულის მიუხედავად, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებმა მანც გაიცნობიერეს ნარკოტიკების საშიშროება და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოაყალიბეს მასთან ბრძოლის საერთაშორისო ინსტიტუტები.

ომის შემდეგ მოხდა *ერთა ლიგის დელეგირება* გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, რომლის სტრუქტურაშიც *გოზონმიჯურამ* და *სოციალურამ* *საბჭომ* 1946 წლის თებერვალში *ნარკოტიკებთან დაკავშირებული კომისია* ჩამოაყალიბა.¹⁴

1946-60 წლებში კომისიამ მხოლოდ ერთი დამატებითი ოქმი მოამზადა, კერძოდ, 1953 წლის ოქმი *ყაყაჩოს გაშენების შეზღუდვებისა და მოწესრიგების, ოპიუმის წარმოების, საერთაშორისო საბითუმო ვაჭრობისა და გამოყენების შესახებ*.

50-იანი წლების ბოლომდე გაეროს კომისიის ყურადღება გადატანილი იყო ურთიერთგამომრიცხავი წინააღმდეგობების, სხვადასხვა შეთანხმებათა, კონვენციებისა და ოქმებს შორის იდენტურობისა და გაურკვევლობის თავიდან აცილებაზე. საუბარია იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მოგვიანებით შევიდა ძალაში. ამის წყალობით 1960-61 წლებში მომზადდა ახალი სრული დოკუმენტების პაკეტი, რომელიც ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებას იძლეოდა.

ეს იყო 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის ერთიანი კონვენცია *ნარკოტიკებზე კონტროლის შესახებ*, რომლის 44-ე პუნქტი 1912 წლიდან ძალაში მყოფ საერთაშორისო დოკუმენტებს ზღუდავდა.

მოგვიანებით, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ მიღებული იქნა კიდევ ერთი დოკუმენტი – 1971 წლის კონვენცია *ფსიქოტროპული ნივთი-*

ერებების შესახებ, რომელიც მათზე კონტროლს უზრუნველყოფდა.

ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ტრანსპორტირების შესახებ 1988 წელს მიღებულმა პრიორიტეტულმა კონვენციამ მსოფლიო საზოგადოება იმ საშუალებებით აღჭურვა რაც საჭიროა მთავრობათშორისი თანამშრომლობისათვის, პირველ რიგში, ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლაში.¹⁵

ამ იურიდიულ სისტემას უდიდესი მხარდაჭერა გამოუცხადა ერთიანი კონვენციის მონაწილე 135 ქვეყანამ (მათ შორის 108 ქვეყანამ 1972 წლის ოქმის რატიფიცირება მოახდინა), 107-მა დაამტკიცა ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე მიღებული 1961 წლის კონვენცია; 1988 წელს 77 ქვეყანამ ხელი მოაწერა ახალ კონვენციას, რომელიც ძალაში 1990 წლის ნოემბერში შევიდა მას შემდეგ, რაც აღნიშნული კონვენცია 20 ქვეყანამ 1992 წლის ივლისში დაამტკიცა, ხოლო დამატებით 62 ქვეყანამ და ევროგაერთიანებამ მიიღო და მოიწონა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ამ საკითხთან მიმართებაში დღესაც გამორკვევის პროცესშია და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების მიერ მისი განხილვა-დამტკიცებას ელოდება.

ამჟამად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რეკომენდაციას სწორედ ამ სამ უნივერსალურ კონვენციას უწევს. ისინი მსოფლიო მასშტაბით იურიდიული ჩარჩოების შემოღებას ითვალისწინებენ, რათა წარმატებით ებრძოლონ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვა-მოხმარებას.¹⁷

გაეროს ეს სამი დოკუმენტია:

– 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ;

– 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ;

– 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

მრავალმხრივი მოქმედების შედეგად შემუშავებული ეს დოკუმენტები პროგრესულად შეერწყა საერთაშორისო სისტემას, ისინი კონსტიტუციური დონის დოკუმენტებია ამ სფეროში მოღვაწე ყველა სუბიექტისთვის და საუკუნის მანძილზე მსოფლიოს მასშტაბით ნარკოტიკებზე კონტროლის სისტემის შექმნის მცდელობის კულმინაციას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ნარკოტიკებზე მსოფლიო კონტროლის სისტემის შექმნა და მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებები XX საუკუნის ძვირადღირებული პროდუქტია.

შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ და გავაანალიზოთ თითოეული კონვენციის როლი და მნიშვნელობა. საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მათი მოთხოვნების შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები.

§2. 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის მართიანი კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ

კონვენცია აყალიბებს უნივერსალურ სისტემას ნარკოტიკულ ნივთიერებათა სამი ოჯახის – ოპიუმის ყაყაოს, კოკას ფოთლისა და კანაფის კულტივაციის, წარმოების, გადაამუშავების, ექსპორტის, იმპორტის, გავრცელების, ვაჭრობის, გამოყენების და შენახვის კონტროლის შესახებ. კონვენცია მხარეებს ავალდებულებს მოთხოვნათა გავრცელებას არა მარტო თავიანთ ტერიტორიაზე, არამედ სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობასაც. ერთიანი კონვენციის თანახმად, გაკონტროლებული ნარკოტიკები შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონის ფარგლებში – მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის. კონვენციამ ჩამოაყალიბა საერთაშორისო მართვის ორგანო, რათა ამ უკანასკნელს ქვეყნებისათვის განესაზღვრა და გაენაწილებინა გაკონტროლებული ნარკოტიკები კანონიერი კულტივაციის, წარმოების, დამზადების და ა.შ. მიზნებისათვის.

კონვენცია მხარეებისაგან მოითხოვს გაკონტროლებულ ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებასა და დამზადებაზე ლიცენზიის გაცემას, რაც მოგვიანებით მკაცრ წესს ამყარებს იმპორტ-ექსპორტზე, ამავე დროს, ქვეყნებს, რომლებიც ტვირთს ლეგალურად, მოეთხოვებათ იმპორტზე შესაბამისი სერტიფიკატების, ხოლო ექსპორტზე სავაჭრო სამთავრობო სანქციის გაცემა.¹⁵ საქონლის კანონიერი გზით ტრანსპორტირება საიმპორტო სერტიფიკატთან ერთად შესაბამისი საექსპორტო სანქციასაც მოითხოვს. შიდაბაზრებზე ვაჭრობისა და დისტრიბუციისათვის საჭიროა სამთავრობო ხელისუფლების მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია; კერძო მომხმარებელს კი სამედიცინო რეცეპტი მოეთხოვება. ერთიანი კონვენცია აყენებს განსაკუთრებულ პირობას, რომ მხარეებმა არ უნდა დაუშვან ნარკოტიკების ფლობა, თუკი ეს ოფიციალური ხელისუფლების მიერ არ არის ნებადართული. ეს ყველაფერი სამთავრობო ინსპექტირებასა და მეთვალყურეობის სხვა ფორმებს აღგენს ყველა იმ პირზე, ვინც ლიცენზიებს, სანქციებსა და სერტიფიკატებს მოიპოვებს. აღნიშნული საჭიროა იმისათვის, რომ სამთავრობო ხელისუფლების მიერ მოხდეს მწარმოებლების, ვაჭრების, მეცნიერების, სამეცნიერო დაწესებულებათა და საავადმყოფოების რეგისტრაციაში გატარება, მკაცრი აღრიცხვა.

ხაზგასმულია, რომ ერთიანი კონვენციის ზემოხსენებული მოთხოვნა იმისათვის არსებობს, რათა თავიდან აიცილონ ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობა, რაც თავის მხრივ, ამ კონვენციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. მხარეებმა 1912 წლიდან გამოკლივლბაზე დაყრდნობით ეროვნულ დონეზე უნდა შეთანხმონ აკრძალვა და უნდა მიანიშნონ შესაბამისი სააგენტო, რომელიც ამგვარ თანამშრომლობაზეა პასუხისმგებელი.

საჭიროა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის აღსაკვეთად, მათ გამაერცვლებელთა დასასჯელად და უკანონო

ტრანსპორტირების საწინააღმდეგო კოორდინირებული კამპანიის მხარდასაჭერად. ერთიანმა კონვენციამ საერთაშორისო სისტემის ცენტრში შექმნა გაეროს შიგნით არსებული მრავალმხრივი მართვის ორგანო, ეგრეთწოდებული ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის კომისია (INCB), რათა თვალყური ადევნოს კონვენციის განხორციელებას.

INCB არის კონვენციის მონაწილე ქვეყნებიდან წარმოდგენილი 13 სპეციალისტით დაკომპლექტებული ტექნიკური ორგანო, რომლის წევრებიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ (ECOSOC) ზუთწლიანი ვადით აირჩევიან და რომელსაც მხარს უჭერს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) საექსპერტო უწყება. იგი აღჭურვილია უფლებამოსილებით ყოველწლიურად მკაცრად აღნუსხოს კონტროლირებულ ნივთიერებებზე მთელი მსოფლიოს სამეცნიერო თუ სამედიცინო მოთხოვნილება, დაანაწილოს იგი ქვეყნებს შორის კანონიერი კულტივაციის, წარმოების, დამუშავების, ექსპორტის, იმპორტის, დისტრიბუციის, ვაჭრობის, გამოყენებისა და ფლობისათვის. INCB-ს შეუძლია და ადგენს კიდევ ნორმებს, მუშაობის რეგლამენტს და მოთხოვნებს კონვენციის წევრი ქვეყნებისაგან (შემდგომში მხარეებისაგან) ინფორმაციის მიღების თაობაზე.¹⁶

INCB გამოცდილი და პროდუქტიულად მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციაა. სპეციფიკური პროგრამების გადაწყვეტის დროს მას შეუძლია კონსულტაციები გამართოს ნებისმიერ წევრ ქვეყანასთან, შესთავაზოს ამა თუ იმ მხარეს პროფესიული დახმარება და გასცეს საჭირო რეკომენდაციები. საჭიროების შემთხვევაში, პრობლემის მოგვარების მიზნით INCB-ს შეუძლია ორგანიზაცია გაუკეთოს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობას, თუმცა ამგვარი საქმიანობის დროს უმთავრესი და გადამწყვეტი ადგილი სწორედ მონაწილე ქვეყნების მთავრობებს ეკუთვნის. ეს საერთაშორისო ორგანო თავის საქმიანობას მხოლოდ მონაწილე ქვეყნების ნებასურვილის მიხედვით წარმართავს და არა იძულებით.

მოგვიანებით INCB აღჭურვეს კონტროლირებულ ნივთიერებათა სიის შედგენის უფლებით. მხარეთა თანხმობით მას შეუძლია ოქმის შემოწმებაც, საჭიროების შემთხვევაში კი ECOSOC-ის, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისიისა და თვით მხარეების ყურადღების მიპყრობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემებისადმი. იგი უფლებამოსილია მხარეებს მისცეს ინფორმაცია ქვეყნებში არალეგალური ნარკობიზნესის მასშტაბების, ნარკოტიკების უკანონო კულტივაციის, წარმოების, გადამუშავების, მოხმარებისა და ვაჭრობის შესახებ.

INCB-ს არ გააჩნია საკუთარი აღმასრულებელი ორგანო და დამსჯელი მექანიზმები. დასჯის უფლება თითოეული მხარის იურისდიქციას განეკუთვნება. თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური მოთხოვნები განაპირობებს პროფესიულ შეტევის ფორმებს, დამსჯელ ღონისძიებებსა და დამნაშავეთა გასასამართლებელ სხვა მექანიზმებს.

ეროვნულ ტრადიციებსა და ცხოვრებისეულ ნორმებში სხვაობებმა, მთავრობათშორისი და საერთაშორისო შეზღუდულმა თანამშრომლობამ შეასუსტა კონვენციის მოთხოვნათა ცხოვრებაში განხორციელების ეფექტურობა.

ერთიანი კონვენცია მოითხოვს, რომ ქვეყნებმა დასჯითი ღონისძიებებით შეუტონ ნარკოტიკების კულტივაციას, წარმოებას, ვადაშუქვებს, ექსტრაქციას, მოშადებას, ფლობას, გასაყიდად შეთავაზებას, დისტრიბუციას, შესყიდვას, გაყიდვას, მიწოდებას, გაგზავნას, ტრანზიტით გაგზავნას, ტრანსპორტირებას, იმპორტ-ექსპორტს, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მხარეთა აზრით გათვალისწინებული არ არის ამ აქტით.

გარდა ამისა, კონვენცია ითვალისწინებს შესატყვის დასჯულ ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით და ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთა-აცილებას ითვალისწინებს, რაზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.

ამრიგად, მრავალმხრივი იურიდიული პროგრამის შესამუშავებლად, დღის წესრიგშია ნარკოტიკების ლეგალური წარმოების, ტვირთბრუნვისა და ნარკოტიკების გამოყენების პარამეტრების დადგენა მთლიანად ნარკოტიკების მოხმარების სფეროში.

INCB-ი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე თანამშრომლობს გაეროს სპეციალიზებული სააგენტოების სამდივნოებთან და ატარებს კონსულტაციებს. ესმარება და მხარს უჭერს მთავრობათაშორის რეგიონულ თანამშრომლობას მსოფლიოს ბევრ რეგიონში და რეგიონული ორგანიზების ყოველწლიურ შეკრებათა ორგანიზებისათვის მოქმედებს როგორც ნარკოტიკების კომისიის მიერ შექმნილი დამხმარე სამდივნო.

INCB რჩევებს აძლევს მთავრობებს კონვენციითა და დებულებების დანერგვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე, ხელმძღვანელობს სახელმწიფო თანამდებობის პირთა სასწავლო პროგრამებს იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც მათ სამართავად კონვენციებისა და INCB-ის მიხედვით არის დაწესებული.

ნარკოტიკული საშუალებების შესახებ 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის ერთიანი კონვენცია რატიფიცირებულია მსოფლიოს 158 სახელმწიფოს მიერ.

ეს ქვეყნებია:

ავღანეთი, ალჟირი, ანტიგუა და ბარბუდა, არგენტინა, სომხეთი, ავსტრალია, ავსტრია, ბაჰამი, ბაჰრეინი, ბარბადოსი, ბელარუსი, ბელგია, ბენინი, ბოლივია, ბონინა და პორტოგოვინა, ბოტსვანა, ბრაზილია, ბრუნეი, დარ-ეს-სალამი, ბულგარეთი, ბურკინა-ფასო, ბურუნდი, კამერუნი, კანადა, კაბო ვერდე, ჩადი, ჩილე, ჩინეთი, კოლომბია, კოსტა-რიკა, კოტ დ'ივუარი, ზორვატია, კუბა, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, დომინიკელთა რესპუბლიკა, ეკვატორი, ეკვატორი, ესტონეთი, ეთიოპია, ფიჯი, ფინეთი, საფრანგეთი, გაბონი, გამბია, გერმანია, ვანა, საბერძნეთი, გვატემალა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ჰაიტი, ჰოლი სი, ჰონდურასი, უნგრეთი, ისლანდია, ინდოეთი, ინდონეზია,

არანი (ისლამური რესპუბლიკა), ერაყი, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იამაიკა, იაპონია, იორდანია, კენია, კუვეიტი, ყირგიზეთი, ლაოსის სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკა, ლატვია, ლიბანი, ლესოტო, ლიბერია, ლიბია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მადაგასკარი, მაღაყი, მაღაიაზია, მალი, მალტა, მარშალის კუნძულები, მავრიტანია, მავრიკი, მექსიკა, მიკრონეზია (ფედერაციული სახელმწიფო), მონღოლეთი, მონაკო, მაროკო, მანმარი, ნეპალი, ნიდერლანდი, ახალი ზელანდია, ნიკარაგუა, ნიგერი, ნიგერია, ნორვეგია, ომანი, აკისტანი, პანამა, პაპუა-ახალი გვინეა, პარაგვაი, პერუ, ფილიპინები, პოლონეთი, პორტუგალია, კატარი, კორეის რესპუბლიკა, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, რუნდა, სენტ კრისტოფერი და ნევისი, სანტა ლუსია, სან-ტომე და პრინსიპი, საუდის არაბეთი, სენეგალი, სეიშელი, სიერა-ლეონე, სინგაპური, სლოვაკეთი, სლოვენია, სოლომონის კუნძულები, სომალი, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შრი-ლანკა, სუდანი, სურინამი, სვაზილენდი, შვედეთი, შვეიცარია, სირიის არაბთა რესპუბლიკა, ტაილანდი, ყოფილი იუგოსლავიის – მაკედონიის რესპუბლიკა, ტოგო, ტონგა, ტრინიდადი და ტობაგო, ტუნისი, თურქეთი, თურქმენეთი, უგანდა, უკრაინა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, აშშ, ურუგვაი, უზბეკეთი, ვენესუელა, იემენი, იუგოსლავია, ზაირი, ზიმბაბვე, ზამბია, საქართველო.

§3. 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ

ეს არის 1961 წლის ერთიანი კონვენციის მონათესავე დოკუმენტი. მასში ჩამოყალიბებულია საერთაშორისო მექანიზმი ფსიქოტროპულ ნივთიერებათა გასაკონტროლებლად და პასუხისმგებლობას აკისრებს INCB-ს განახორციელოს თავისი გადაწყვეტილებანი WHO-ს ტექნიკური მხარდაჭერით.

ზემოდასახელებული კონვენცია ითვალისწინებს კონტროლს იმ ბუნებრივ თუ სინთეზურ ნივთიერებათა წარმოებაზე, ვაჭრობასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ტოლერანტობას, ცენტრალური ნერვული სისტემის ალგ ზნებას, ან პირიქით, მოღუნებას იწვევს და შედეგები ქალუცინაციაში, ან ფიქრის, ქცევის, შეგრობების, გუნება-განწყობილების დარღვევაში ვლინდება.

კონვენცია გამოყოფს კონტროლირებადი ნივთიერებების ოთხ სიას. პირველსა და მეორეში შეტანილი ნივთიერებები უმკაცრეს კონტროლს ექვემდებარება. სია შეიძლება გაიზარდოს, შემცირდეს ან კორექტირება გაუკეთდეს WHO-ს ნარკოტიკების კომისიის რეკომენდაციით. ნივთიერებანი, რომელთაც ამ ოთხი სიიდან ნებისმიერი შეიცავს წარმოებისა და დისტრიბუციისათვის მთავრობის ლიცენზიას საჭიროებს. მთავრობებმა კი, ყოველწლიურად ამის შესახებ INCB-ს ანგარიშები უნდა წარუდგინონ. ამის გარდა, კონვენცია მოითხოვს, რომ მხარეებმა

გაეროს გენერალური მდივნის საშუალებით ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია ნებისმიერ აკრძალვაზე ან შეზღუდვაზე, რაც შესაძლებელია დაწესდეს რომელიმე გაკონტროლებული ნივთიერების იმპორტ-ექსპორტზე, და კიდევ, მხარეებმა სამედიცინო რეცეპტი უნდა მოითხოვოს I, II, III სიებში შეტანილი ნებისმიერი ნივთიერების მომარაგება-განაწილებისათვის.

კონვენცია იძლევა სათანადო მითითებებს, რათა შეიზღუდოს გაკონტროლებულ ნივთიერებათა გამოყენება სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის.

პირველი სიის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მონაწილე ქვეყნებმა აკრძალონ სამეცნიერო მიზნებისათვის ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამოყენება. ე.ი. ასეთი ნივთიერებების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლის ნებართვის მიღების შემდეგ. სამედიცინო და სამეცნიერო ისტებლიშმენტი მთავრობის კონტროლს უნდა იყოს დაქვემდებარებული ან ჰქონდეს მთავრობის სპეციალური ნებართვა ამა თუ იმ ნივთიერების გამოყენებაზე¹⁷.

კონვენცია მოითხოვს, რომ ყოველმა მხარემ შეზღუდოს II, III, IV სიებში ჩამოთვლილ ნარკოტიკულ ნივთიერებათა სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის წარმოება, ექსპორტ-იმპორტი, დისტრიბუცია და ვაჭრობა.

INCB-ს მინიჭებული აქვს კონვენციის გადაწყვეტილებათა დანართზე მეთვალყურეობის უფლება, თითოეული ქვეყანა კი ვალდებულია გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებში.

კონტროლი, ინსპექტირება და კანონის ცხოვრებაში გატარება – ეს ის ფუნქციებია, რომლებიც თითოეული წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილებაში შედის.

შიდა კანონმდებლობით განისაზღვრება შესაბამისი სანქციები – დამსჯელი მექანიზმები კანონის დარღვევებზე.

INCB იღებს მოხსენებით ანგარიშებს და აგროვებს ინფორმაციებს. მას შეუძლია დაინტერესებულ მხარეს მისცეს რჩევა, გაუწიოს კონსულტაცია, ხელმძღვანელობა და აღმოუჩინოს საჭირო დახმარება.

კონვენცია, მხარეებს დროდადრო ურთიერთთანამშრომლობისაკენ მოუწოდებს, მაგრამ ამავე დროს თავიანთი კონსტიტუციური მოთხოვნებისა და ადგილობრივი სიტუაციის შეფასების საფუძველზე თითოეულ მთავრობას უფლებას უტოვებს დამოუკიდებლად შეარჩიოს ყველაზე უფრო ადეკვატური მექანიზმი.

1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ რატფიციტირებულია მსოფლიოს 146 სახელმწიფოს მიერ.

ეს ქვეყნებია:

ავსტრალია, ალბანეთი, ანტიგუა და ბარბუდა, არგენტინა, სომხეთი, ავსტრალია, ავსტრია, ბაჰამა, ბაჰრეინი, ბანგლადეში, ბარბადოსი, ბელიზი, ბელიზი, ბენინი, ბოლივია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოტსვანა, ბრაზილია, ბრუნეი, დარ-ეს-სალამი, ბულგარეთი, ბურკინა-ფასო, ბურუნდი, კამერუნი, კანადა, კაბო ვერდე, ჩადი, ჩინეთი, კოლუმბია,

კოსტა-რიკა, კოტ დ'ივუარი, ზორვატია, კუბა, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, დომინიკა, დომინიკელთა რესპუბლიკა, ეკვატორი, ეგვიპტე, ესტონეთი, ეთიოპია, ფიჯი, ფინეთი, საფრანგეთი, გაბონი, გამბია, გერმანია, განა, საბერძნეთი, გრენადა, გვატემალა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, გვიანა, პოლი სი, უნგრეთი, ისლანდია, ინდოეთი, ირაკი, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იამაიკა, იაპონია, იორდანია, კუვეიტი, ყარგიზეთი, ლაეტია, ლიბანი, ლესოტო, ლიბიის არაბთა ჯამაჰირია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მადაგასკარი, მალაიი, მალაიზია, მალი, მალტა, მარშალის კუნძულები, მავრიტანია, მავრიკი, მექსიკა, მიკრონეზია, (ფედერაციული სახელმწიფო), მიანმური, ნეპალი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნიკარაგუა, ნიგერი, ნიგერია, ნორვეგია, პაკისტანი, პანამა, პაპუა-ახალი გვინეა, პარაგვაი, პერუ, ფილიპინები, პოლონეთი, პორტუგალია, კატარი, კორეის რესპუბლიკა, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, რუანდა, საქართველო, სეინტ კრისტოფერი და ნევისი, სანტომე და პრინსიპი, საუდის არაბეთი, სენეგალი, სეიშელი, სიერა-ლეონე, სინგაპური, სლოვაკეთი, სომალი, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შრი-ლანკა, სუდანი, სურინამი, სვაზილენდი, შვეცია, შვეიცარია, სირიის არაბთა რესპუბლიკა, ტაილანდი, ყოფილი იუგოსლავიის – მაკედონიის რესპუბლიკა, ტოგო, ტონგა, ტრინიდადი და ტობაგო, ტუნისი, თურქეთი, თურქმენეთი, უგანდა, უკრაინა, არაბთა გაერთიანებული საემიროები, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, აშშ, ურუგვაი, უზბეკეთი, ვენესუელა, იემენი, იუგოსლავია, ზაირი, ზიმბაბვე, ზამბია.

§4. 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უპანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

1988 წლის 20 დეკემბერს ძალაში შევიდა მესამე კონვენცია, რომელიც საგანგებო აქცენტს აკეთებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემებზე. პირველმა ორმა კონვენციამ განსაზღვრა ის მექანიზმები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით შეზღუდავდა კონტროლირებად ნივთიერებათა ლეგალურ კულტივირებას, წარმოებას და გადაამუშავებას. ამ კონვენციებმა, აგრეთვე, ვალდებულებანი დააკისრეს მონაწილე ქვეყნებს INCB-ის მითითებათა შესასრულებლად.

1988 წლის კონვენცია განკუთვნილია პირველი ორის მიხედვით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო მექანიზმის შესამუშავებლად.

70-80-იან წლებში კონტროლირებადი ნივთიერებების უკანონო ბრუნვის ზრდის განსაკუთრებით მაღალმა ტემპებმა გაეროს წევრი ქვეყნები აიძულა შეემუშავებინათ დამატებითი ღონისძიებანი ახალი, გაუმჯობესებული მრავალმხრივი რეგიონული პროგრამის შესადგენად. თითქმის იმავდროულად კოლუმბიამ და

ვენესუელამ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ საბჭოსა და OAS-ის გენერალურ ასამბლეაში შეიტანეს წინადადება არალეგალური ბრუნვის აღსაკვეთად ახალი საერთაშორისო პროგრამის მომზადების თაობაზე.

1985 წლის დასაწყისში ორივე ორგანიზაციამ დაიწყო ამ წინადადებაზე მუშაობა.

OAS-მა პრობლემის გლობალურობის გათვალისწინებითა და გაეროს წინადადების საფუძველზე დაიწყო ახალი რეგიონული პროგრამის შემუშავება. რომლის ამოსავალი წერტილი იყო არა კონვენცია ან რომელიმე სხვა საერთაშორისო დოკუმენტი, არამედ რეგიონული ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი.

ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა არალეგალური ტრანსპორტირების (ან ბრუნვის) წინააღმდეგ მიმართული 1988 წლის გაეროს კონვენცია მომზადდა სარეკორდოდ მოკლე ვადაში. ეს ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო კანონმდებლობაში. კონვენციის მიხედვით ჩამოყალიბებულია მთავრობათშორისი ურთიერთთანამშრომლობის ის სტრუქტურა, რომელიც გამიზნულია კრიმინალური საქმიანობის აღსაკვეთად და წინააღმდეგობაში არ მოდის არც ერთი დამოუკიდებელი ქვეყნის კანონმდებლობასთან.

ის ტემპი, რომლითაც მსოფლიოს საზოგადოება კონსენსუსამდე მივიდა ამ რთული 34 პუნქტიანი დოკუმენტის შედგენის პროცესში, მიუთითებს იმაზე, რომ მთელი მსოფლიოს მთავრობები და მოსახლეობა ღრმად არის დაინტერესებული ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვისა და ბოროტად გამოყენების დინამიკის შენელებაში. გაცნობიერებულია ის, თუ რა დიდ ზიანს აყენებს ეს მანკიერება პოლიტიკურ სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების კეთილდღეობას. კონვენციის მიხედვით „არალეგალური ბრუნვა არის საერთაშორისო კრიმინალური საქმიანობა, რომლის აღსაკვეთად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება და ამ პრობლემის სიმწვავეის უმაღლეს რანგში აყვანა“.¹⁸

კონვენციის 34 პუნქტის უმეტესობა ემყარება იმ ცნებებს, პრინციპებსა და ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად განსაზღვრული იყო 1936 წლის კონვენციით და რომლებიც საზოგადოდ ესებოდა ერთიან კონვენციას ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ.

ახალ კონვენციაში გაკეთდა ჩამოყალიბებული ცნებების სრული ანალიზი, აგრეთვე, შემუშავდა ის მექანიზმები, რომლებიც საჭიროა დასახული მიზნების განხორციელებისა და ცხოვრებაში გატარებისათვის.

ეს არის დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის შეთანხმება, რათა მონაწილე ქვეყნებმა აწარმოონ წარმატებული კამპანია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ. მათი საქმიანობა მხოლოდ

საერთაშორისო პრიზმაში უნდა განხორციელდეს. კონვენციის მიხედვით არ შეიძლება შეიღაზოს არც ერთი დამოუკიდებელი ქვეყნის უფლებები, კონვენციამ არ შეიძლება ზიანი მიაყენოს ადგილობრივ საკანონმდებლო სისტემას და არ შეიძლება ხელყოს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. გადაწყვეტილება ერთობლივი მუშაობის შესახებ მკაფიო გამოხატულებაა იმისა, თუ რამდენად დიდია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური სურვილი – საკუთარ ტერიტორიაზე კანონმდებლობის აღსრულების მიზნით.

კონვენციის უმთავრესი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მონაწილე ქვეყნებმა კანონის დარღვევად მიიჩნიოს ისეთი საქმიანობა, რაც ეწინააღმდეგება გაეროს კონვენციების მიხედვით დადგენილ ნორმებს. კონვენციის მე-3 მუხლი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქვეყანა, რომელმაც კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, ვალდებულია შეიმუშაოს საშინაო კანონმდებლობა და კანონის უწყვეტ დარღვევად მიიჩნიოს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგო შემდეგი ქმედებები: არალეგალური ბრუნვა, კულტივაცია, წარმოება, მანუფაქტურა, ექსპორტაცია, მომზადება, შეთავაზება, შეთავაზება გასაყიდად, დისტრიბუცია, გაყიდვა, მიწოდება ნებისმიერ პირობებში როგორც აგენტურული ქსელით, ასევე სხვა სატრანზიტო საშუალებათა გამოყენებით, ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ექსპორტი, იმპორტი, ასევე მათი გამოყენება და შენახვა. ეს მოთხოვნა ვრცელდება, აგრეთვე ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მისაღებად საჭირო აუცილებელ ტექნიკურ აღჭურვილობაზე, სატრანსპორტო და სადისტრიბუციო საშუალებებსა და ნედლეულზეც, აგრეთვე იმ ნივთიერებებსა და საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა არალეგალური წარმოებისა და მანუფაქტურის დროს. უფრო მეტიც: ჩამოყალიბებულია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს ბრძოლა არალეგალური საქმიანობის მენეჯმენტისა და დაფინანსების წინააღმდეგ, აგრეთვე ხერხები, რომელთა მეშვეობითაც უნდა გამოაშკარავდეს ფულის გათეთრების შემთხვევები და მოხდეს ქონების კონფისკაცია.

კონვენცია ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას მიუთითებს, როგორ ჩამოაყალიბოს საშინაო საკანონმდებლო სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება იმ თანხების ამოღება, რომლებიც მიღებულია არალეგალური ბრუნვის მეშვეობით. კონვენცია განსაზღვრავს წესებსა და მუშაობის რეგლამენტს, რომელთა მიხედვითაც გამოაშკარავდება ამა თუ იმ ნარკოტიკის მისაღებად საჭირო პრეკურსორებისა და ქიმიურ ნივთიერებათა არალეგალური ბრუნვა. ასევე ქმნის საამისო კონტროლის მექანიზმს. კონვენცია მონაწილე ქვეყნებს თავაზობს ხერხებს, რომლის თანხმდაც მოხდება არალეგალურ კულტივაციათა განადგურება და საზოგადოების მხრიდან მოთხოვნის შემცირება. კონვენციის მიხედვით მხარეებს

უფლება აქვთ საჭიროების შემთხვევაში მიმართონ უფრო მკაცრ გადამჭრელ ღონისძიებებს.

კონვენცია მთავრობათაშორისი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველია, რომელიც:

მონაწილე ქვეყნებს კრიმინალური საქმიანობის აღსაკვეთად კარნახობს როგორ შეიმუშაონ საკანონმდებლო სისტემა განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში;

აყალიბებს ექსტრადიციის უმთავრეს წესებს;

განსაზღვრავს ორმხრივი თანამშრომლობის კანონიერ სფეროებს და ისეთ ფორმებს, როგორიც არის თანამშრომლობა იურიდიულ და მაკონტროლებელ სისტემაში (იგულისხმება კონტროლი მოწოდებაზე) და ტექნიკური დახმარების სფეროში.

გამოყოფს უმთავრეს წესებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს განსაკუთრებულ პირობებში ჩადენილი სისხლისსამართლებრივ საქმეთა საგამოძიებო საქმიანობა თავისუფალი ვაჭრობის ზონებში, თავისუფალ პორტებში, ყურეებში, საფოსტო სისტემაში, სავაჭრო გემებსა და კომერციულ ტვირთმზიდებზე მომხდარ კანონსაწინააღმდეგო შემთხვევებზე;

განსაზღვრავს კანონებს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ექსპორტის მარკირება (დათევა) და ნარკოტიკული ტვირთის ამოღება კომერციულ გემებსა და ტვირთმზიდებზე.

გაეროს კომისია ნარკოტიკების შესახებ და INCB უფლებამოსილია გააკონტროლოს როგორ ხორცილდება კონვენციით დასახული ღონისძიებები. მას განსაკუთრებული ფუნქცია აქვს და იგი პასუხისმგებელია ამა თუ იმ ქვეყნის საქმიანობაზე. საბჭოს შეუძლია კონსულტაციისათვის ან ინფორმაციის მიღების მიზნით მოიწვიოს ერთი ან რამდენიმე მხარე. იგი ყოველწლიურად, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, საჭიროებისამებრ ინფორმაციას წარუდგენს კომისიას.¹⁹

1988 წლის კონვენციის მიღებით და ძალაში შესვლით სახელმწიფოები მძლავრი მექანიზმით აღიჭურვა ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვისა და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, საერთაშორისო მრავალმხრივი იურიდიული სტრუქტურა, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩაისახა ორიენტირებულია, ზეგავლენას ახდენს და არაიშვიათად ზემოქმედებს კიდევ მონაწილე ქვეყნების პოლიტიკაზე, საზოგადოებრივ ნორმებსა და მუშაობის რეგლამენტზე, რომელთა გატარებაც აუცილებელია ნარკოტიკულ ნივთიერებათა არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა სამართალდამცავთა ეფექტური საქმიანობის მიზნით თვით დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა საკუთარი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა გადაწყვიტონ

როგორი კანონები და ბრძანებულებები საჭირო თავის ქვეყანაში. სწორედ ამიტომაც კონვენციის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული კონვენციის წევრი ქვეყნების იმ საქმიანობაზე, რომელიც სახელმწიფოს ეროვნულ ნებასა და ინტერესებს უნდა ემყარებოდეს.

ქვემოთ მოცემულია ჩამონათვალი იმ სახელმწიფოებისა, რომლებმაც რატიფიკაცია გაუკეთეს, შეუერთდნენ ან დაამტკიცეს *ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ* გაეროს 1988 წლის კონვენცია.

ეს ქვეყნებია:

ბაჰამი, ჩინეთი, ნიგერია, სენეგალი, ბაჰრეინი, აშშ, ჩილე, ეკვადორი, ინდოეთი, განა, მექსიკა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, იორდანია, ნიკარაგუა, კატარი, კვიპროსი, კანადა, ტონგო, ესპანეთი, ბოლივია, უგანდა, პარაგვაი, ბუტანი, ტუნისი, დანკლადეში, ბელარუსია, ვენეცია, რუსეთის ფედერაცია, გვინეა, საფრანგეთი, იტალია, იუგოსლავია, კოსტა-რიკა, გვატემალა, მადაგასკარი, ომანი, ეგვიპტე, მონაკო, შრი-ლანკა, მუანმარი, დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ვენესუელა, ბრაზილია, შვედეთი, ნეპალი, უკრაინა, სირიის არაბთა რესპუბლიკა, პაკისტანი, კამერუნი, კოტ დ'ივუარი, პორტუგალია, ჰონდურასი, დანია, საუდის არაბეთი, პერუ, საბერძნეთი, ავსტრალია, სეიშელი, ლუქსემბურგი, ბურკინა-ფასო, იაპონია, სლოვენია, ბულგარეთი, ბარბადოსი, კენია, მაროკო, სურინამი, ავსტრალია, ნიგერი, ირანი, რუმინეთი, ბურუნდი, გვინა, ფიჯი, ანტიგუა და ბარბუდა, მალაიზია, სალვადორი, ზამბია, სლოვაკია, არგენტინა, დომინიკა, მავრიტანია, ზორვატია, ზიმბაბვე, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ნიდერლანდი, სომხეთი, დომინიკელთა რესპუბლიკა, აზერბაიჯანი, მაკედონია, ბრუნეი დარ-სალამი, სუდანი, გერმანია, ჩეხეთის რესპუბლიკა, პანამა, ფინეთი, ლატვია, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, პოლონეთი, სიერა-ლეონე, კოლუმბია, ეთიოპია, ნორვეგია, მოლდოვა, ტრინიდადი და ტობაგო, ურუგვაი, ლესოტო, სენტ კრისტოფერი და ნევისი, კაბო ვერდე, ალჟირი, ჩადი, სანტა ლუსია, უზბეკეთი, პაიტი, სვაზილენდი, მალავი, ბელგია, გვინეა-ბისაუ, მალი, იამაიკა, თურქმენეთი, მალტა, ლიბანი, იემენი, თურქეთი, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, ვამბია, ტონგა, ტაჯიკეთი, ფილიპინები, საქართველო, კუბა, სან ტომე და პრინსიპი, ბელიზი, ლიბია, ბოტსვანა, ირლანდია.

თავი II

კონვენციებიდან – სახელმწიფო პროგრამებზე

§1. ახალი დამატებითი ზომები

ჩვენს პლანეტაზე სულ უფრო და უფრო იზრდება ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება და უკანონო ტრანსპორტირება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით. განუხრელი მატების ტემპები ვერ შეანელა ბოლო 30 წლის განმავლობაში გაეროს მიერ მიღებულმა სამმა კონვენციამ, აღჭურვილმა ამოქმედებისა და მათი მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზებისათვის საჭირო საერთაშორისო მექანიზმებით.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საუკუნებრივ გამოცდილებაზე დაყრდნობით მსოფლიო საზოგადოებამ ახალი დამატებითი ზომების მიღება დაიწყო. ისინი საერთაშორისო სარბიელზე გამოყენებული ისეთი მექანიზმების შექმნას გულისხმობენ, რომლებიც ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს გაეროს წევრი ქვეყნების შიდაკონტროლის ეფექტურად ამოქმედებას და ერთიან ძალისხმევას მიმართავენ საერთაშორისო ნარკობიზნესის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.

ამ მექანიზმის ამოსავალი წერტილია კონვენციებთან მიერთებისათვის სათანადო ხელსაყრელი გარემოს შექმნა, როდესაც ნებაყოფილობითა საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების კონსტიტუციურ ნორმებთან შეერთებისა და თავისივე ქვეყნებში მათი ეფექტური ასამუშაებელი მექანიზმების შექმნისაკენ სწრაფვა.

60-იან წლებამდე პრობლემის მოგვარებისათვის საერთაშორისო ძალისხმევა არა სისტემატიური სემინარებით, სასწავლო პროგრამებით და ტექნიკური დახმარებით შემოიფარგლებოდა. ამასთანავე საჭირო იყო ქვეყნის მთავრობებთან, მის მოსახლეობასთან თანამიმდევრული სტრატეგიის შემუშავება და აღეკავებული პროექტების განხორციელება. საამისოდ გაეროს ეგიდით ახალი დანაყოფები ჩამოყალიბდა.

გაეროს პირველი ასეთი ახალი დანაყოფი იყო ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისია (DND), რომელსაც სამდივნოს ფუნქციები უნდა შეესრულებინა.²⁰

1961 წელს ერთიანი კონვენციის მიღებისთანავე დაფუძნდა საერთაშორისო ნარკოკონტროლის საბჭო (INCB), რომელსაც ხელშეკრულებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაზე კონტროლი დაეკალა.²¹

ახალი კონვენციის მიღებით კიდევ უფრო გაფართოვდა INCB-ის ძალაუფლება და მოქმედების არეალი.

1971 წელს დაფუძნდა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის ფონდი (UNFDAC – U.N. Fund for Drug Abuse Control), რომელსაც

სამოქმედო პროგრამები უნდა დაეფინანსებინა.²²

UNFDAC-ის ფონდი გაეროს წევრი ქვეყნების შენატანებისა და სხვა საზოგადოებრივი თუ კერძო ორგანიზაციების ნებაყოფილობითი შემოწირულობების საფუძველზე შეიქმნა. პირველი ათი წლის განმავლობაში შემოწირულობანი მწირი იყო, მაგრამ 1980 წლის შემდეგ შენატანების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და წლიურმა ბიუჯეტმა აშშ 70 მლნ დოლარს გადაჭარბა. ეს თანხა ნარკოტიკების ბრუნვით მიღებულ მოგებასთან შედარებით მცირე იყო და მაინც, ერთობ დიდია UNFDAC-ის როლი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში.

1990 წლის 21 დეკემბერს №45/179 რეზოლუციის თანახმად გენერალურმა ასამბლეამ ზემოხსენებული სამი ერთეული ერთ მთლიან ოპერატიულ მექანიზმში გააერთიანა და მათ ბაზაზე ერთი ორგანო – გაეროს ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამა (UNDCP) შექმნა.²³ ამ პროგრამის პირველი ხელმძღვანელი და აღმასრულებელი დირექტორი გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე, ელჩი ჯორჯო ჯაკომელი იყო. იგი ამ თანამდებობაზე 1991 წლის დასაწყისში აირჩიეს.

UNDCP აერთიანებს DND-ს, UNFDAC-ს და INCB-ს სამდივნოებს.

ამ დროიდან რამდენიმე სამსახურის ნაცვლად მოქმედებას იწყებს ერთი ოპერატიული შენაერთი, რომელიც ხელმძღვანელობს და პასუხს აგებს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ გაეროს ყველა საქმიანობაზე, ადგენს გაეროს სამოქმედო პროგრამებს და კოორდინირებას უკეთებს გაეროს წევრი ქვეყნების ანტინარკოტიკულ საქმიანობას.

1991 წელს საქმიანობის უკეთ და ეფექტურად წარმართვის მიზნით UNDCP ოპერატიულ სამსახურად გადაკეთდა.

UNDCP-ს შექმნის აუცილებლობას პირველად 1987 წლის ივნისის თვეში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და არალეგალური ბრუნვის შესახებ ვენაში გამართულ კონფერენციაზე გაესვა ხაზი. ამ კონფერენციაზე 138 ქვეყნის რეგიონული, სხვადასხვა მთავრობათაშორისი და 200 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოამზადეს და მიიღეს ყოვლისმომცველი მრავალდისციპლინიანი დებულება ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის შემდგომი საქმიანობის შესახებ (CMO);²⁴ ეს იყო პირველი გლობალური პროგრამა, რომელიც შემდგომ საფუძველად უნდა დაედგინა იმ მრავალმხრივ, რეგიონულ და ადგილობრივი მნიშვნელობის თანამშრომლობას, რომელიც მიმართული იქნებოდა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების, მოთხოვნილების შემცირების, მიწოდებაზე კონტროლის, არალეგალური ბრუნვისა და ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს საქმიანობის სრულყოფის მიზნით კიდევ შეიქმნა სხვა საერთაშორისო მექანიზმები: პოლიციის ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაცია (ICPO/INTERPOL)²⁵ და საბაჟო ურთიერთ-

თანამშრომლობის საბჭო (CCC).²⁶ ამ ორგანიზაციების უმთავრეს მოვალეობას ნარკოტიკების პრობლემის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისთვის დახმარების აღმოჩენა წარმოადგენდა.

ასე და ამრიგად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბდა რეგიონული და მრავალმხრივი ორგანოების გლობალური ქსელი, რომელმაც სწრაფად შეიძინა რა გამოცდილება, დაუკავშირა იმ მთავრობებსა და კერძო ჯგუფებს, რომლებთანაც ურთიერთობა პროგრესის განხორციელების იმედს იძლეოდა; განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, თუკი ეფექტური სამუშაო ურთიერთობანი დამყარდებოდა მსოფლიო ორგანოებთან და მობილიზებული იქნებოდა ფინანსური და ტექნიკური რესურსები იმ ქვეყნებისთვის მხარდასაჭერად, რომლებიც ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას საჭიროებდნენ.

ასე რომ, მთავრობასა და მოსახლეობას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობა შედარებით ახალი განზომილებაა მსოფლიო და რეგიონული ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში. იგი ყოველთვის ხელს უწყობს კონვენციის მოთხოვნილებათა უპირობო განხორციელებას და სახელმწიფო ანტინარკოტიკული პროგრამების თვისებრივ გაუმჯობესებას.

რამდენადაც უკეთ ჩასწვდებიან მთავრობები საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას ამ კრიმინალური ქმედების კონტროლის სფეროში, იმდენად ადეკვატურად გაიზრდება მრავალმხრივი მექანიზმის მნიშვნელობა მათ დასახმარებლად.

ახლა გადავხედოთ რამდენიმე პროგრამას, რომელთაგან ზოგი შექმნის, ხოლო ზოგი კი მოქმედების პროცესშია.

§2. გაეროს პროგრამები

გაეროს ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამა UNDCP-ით ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურაა, რომელიც მიმართულია იქეთკენ, თუ როგორ განხორციელდეს პრაქტიკაში CMO-ს გადაწყვეტილებანი. ამ დროს ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან, კონკრეტულ ქმედებებზე, რაც აუცილებელია ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და ნარკოტიკების ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

CMO ხაზს უსვამს, რომ კონვენციები და საერთაშორისო ადმინისტრაციული მექანიზმები იმისთვისაა შექმნილი, რათა სწორად მართოს მსოფლიო საზოგადოების ანტინარკოტიკული მოძრაობა.

CMO დაყოფილია ოთხ შემადგენელ ნაწილად:

– უკანონო მოთხოვნილების თავიდან აცილება და შემცირება;

- მომარაგებაზე კონტროლი;
- უკანონო ტრანსპორტირების აღკვეთა;
- მკურნალობა და რეაბილიტაცია.

საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანები – აქ იდენტიფიცირებულია ის სპეციფიკური მოთხოვნები, რომელთა გადაჭრა რეგიონულ საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს დაუყოვნებლივ ქმედებას მოითხოვს. და მართლაც, ის 35 პუნქტი, რომლებიც CMO-ს ოთხ ნაწილშია ჩამოთვლილი, ვრცელ მსოფლიო სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია მსოფლიო საზოგადოებასა და მოსახლეობაზე ნარკოტიკული პრობლემის უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე შემცირება.

CMO-ს დანართი სამი კონვენციის ლოგიკურ დანამატად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა მსოფლიო, რეგიონული და სახელმწიფო დონეზე შეზღუდულმა დაპროგრამებამ და არასაკმარისმა დაფინანსებამ ხელი შეუშალა მათ სისრულეში მოყვანას.

გაერო ეძიებდა შესაბამის გზებს CMO-ს მხარდასაჭერად.

1990 წლის 19-23 თებერვალს ნიუ-იორკში ჩატარებული გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ CMO-ს გასაძლიერებლად და დაუყოვნებლივი ქმედების აუცილებლობის დასტურად საერთაშორისო სამოქმედო პროგრამა მიიღო.²⁷ ამ პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია 1990 წლის მიწურულში მიღებული გადაწყვეტილება გაეროს ადმინისტრაციული სტრუქტურების ცნობისა და მათი გაერთიანების შესახებ.

გაეროს მნიშვნელოვანი წამოწყებაა მცდელობა CMO-სა და სხვა გლობალური პროგრამების მხარდასაჭერად. იგი მეტად მნიშვნელოვანია და ხორციელდება DND, INCB და UNFDAC-თან ურთიერთკავშირში, რამეთუ იგი გაეროს ისეთ სპეციალურ სააგენტოებს მოიცავს, რომელთა უმრავლესობას დღესდღეობით ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული მხოლოდ შეზღუდული პროგრამები გააჩნია.

ნარკოტიკსაწინააღმდეგო პროექტები სხვებთან ერთად სისრულეში მოიყვანეს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO), საერთაშორისო ლეიბორისტულმა ორგანიზაციამ (ILO), გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP), გაეროს განათლების, სამეცნიერო და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) შეიმუშავა საგანგებო პროგრამა. იგი გახლავთ ნარკოტიკების კომისიისა და INCB-ის ტექნიკური მრჩეველი იმ საკითხების გასარკვევად, რომლებიც ნივთიერებათა კონტროლის სფეროში ცვლილებათა შედეგად წამოიჭრება და მას ნარკოტიკების აღრიცხვის პროცესში წინწამოწყული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება. WHO-მ ასევე უნდა შეაფასოს თითოეული ნივთიერების თერაპიული დანიშნულება. იმ ზიანის შეფასების შემდეგ, რაც ნარკოტიკების გამოყენებას მოსახლეობის ჯანმრთელობისა

და სოციალური პირობებისათვის მოაქვს, **WHO** ნარკოტიკული ნივთიერებების კომისიას რეკომენდაციას აძლევს საჭირო კონტროლის განხორციელების თაობაზე. გარდა ამისა, იგი ერთადერთი *სპეციალიზებული სააგენტოა*, რომელსაც საგანგებო პროგრამა გააჩნია *ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და კონტროლის შესახებ*.

პროგრამის მთელი მომსახურე პერსონალი ნარკომანიის პრობლემებზე მუშაობს. პროგრამა ცდილობს გამოიწვიოს მეთოდები ნარკოტიკებისადმი ტოლერანტობის დასაძლევად და უშუალოდ თანამშრომლობს ცალკეულ ქვეყნებთან მათთვის საჭირო პრობლემების მოსაგვარებლად.

გაეროს სისტემაში *სხვა სპეციალიზებული პროგრამებიც* მუშაობენ, რომლებიც ნარკოტიკების პრობლემის სპეციფიკურ ასპექტებს ეხება. მაგალითად, *დანაშაულის თავიდან აცილებისა და კრიმინალური სამართლის განყოფილება*. ამ პროგრამებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ კანონის ცხოვრებაში გასაძარცვლად ტრადიციულ ქმედებათა გაფართოებაში და უშუალოდ მოსამართლეთა, კანონმდებელთა და პროკურორთა ჩართვაში ქვეყანათშორისი თანამშრომლობის სფეროში.

ასე მაგალითად, *დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და დამნაშავეთა დაკავებისათვის* ჩამოყალიბდა გაეროს ლათინო-ამერიკის ინსტიტუტი (**ILANUD**),²⁸ რისთვისაც საგანგებოდ შემუშავდა ფართოდ გავრცელებული შიდაამერიკული პროგრამა.

თავდაპირველად პროგრამა ითვალისწინებს რეგიონის მოსამართლეებისა და პროკურორების შეკრებას იმ რთული სამართლებრივი, იურიდიული და სხვა დამსჯელი საკითხების გასაანალიზებლად, რაც საჭიროა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მთავრობათაშორისი ურთიერთთანამშრომლობისათვის.

მთავრობათა უშუალო დახმარების წყაროს **UNDCP** წარმოადგენს.

იგი აქტიურად უჭერს მხარს ანტინარკოტიკული პროგრამების თვისებრივად გაუმჯობესებას მსოფლიო, რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე, ქვეყნებისათვის საკუთარი პრობლემების გაანალიზებისა და უმთავრესი ამოცანების დადგენაში დასახმარებლად ჩამოაყალიბა დაპროგრამების სისტემა სახელწოდებით *“მისტერგვემა”*.

UNDCP ტექნიკურად და ფინანსურად უჭერს მხარს სააგენტოებსა და მთავრობებს საგანგებო პროგრამების სისრულეში მოყვანაში. **UNDCP** ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებასა და ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლაში ქვეყნების მთავარი დასაყრდენია და წარმოადგენს მრავალმხრივი დახმარების *მაკოორდინირებელ ორგანოს*, აფინანსებს *გაეროსა* და სხვადასხვა ორგანოების პროექტებს.

UNDCP-ის სახსრები ამჟამად კონცენტრირებულია ისეთ პროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავს:

– *უკანონო წარმოებისა და მსგავსი საქმიანობის აღკვეთას*

მწარმოებელ ქვეყნებში;

- *ჯანონის ცხოვრებაში გატარების ეფექტურობის გაუმჯობესებას;*
- *სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერას განათლების სფეროში*

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და მოსახლეობისათვის პრობლემის გაცნობიერების მიზნით.

სახსრების ასეთი განაწილება სრულად მოიცავს UNDCP-ის ინტერესთა სფეროს და აშკარად შეესაძინება, რომ ეს ახალი პრიორიტეტები ამ ორგანიზაციის წინგადადგმულ ნაბიჯზე მიუთითებენ.

UNDCP-ის პროგრამა რეგიონულ დონეზე სასწავლო სემინარებს ითვალისწინებს ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი პოლიციელებისა და იმ ოფიციალური პირებისათვის, ვინც ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირებისათვის იღვწის; ხელმძღვანელობს მკვლევართა, მეცნიერთა, ტექნიკურ და სამედიცინო-სასამართლო ექსპერტებისათვის საგანგებო სასწავლო პროგრამებს, აწყობს სპეციალურ სწავლებებს და სამი კონვენციით დასახული მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს წინასწარ ჩანაწერებს INCB-ს მოხსენებისათვის. ამას გარდა, UNDCP-ი ასრულებს ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის შესახებ არსებული ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების მსოფლიო ცენტრის როლს; კოორდინირებას უკეთებს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო ძალისხმევას.

§3. კომპლექსური მაროვნული გეგმები – პროგრამები

1990 წლის თებერვალში ნარკოტიკების პრობლემასთან დაკავშირებით მიღებულმა *მსოფლიო პროგრამამ* მთავრობებს მოუწოდა ნარკოტიკების უკანონო მიწოდებისა და მოთხოვნის, აგრეთვე უკანონო ბრუნვის შემცირების მიზნით განეხორციელებინათ შეთანხმებული ღონისძიებები *ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე*. ამ ზომებმა კიდევ უფრო მკაფიოდ გაუსვეს ხაზი კომპლექსური ეროვნული დაგეგმვის აუცილებლობას. იგი სახელმწიფოებს ურჩევდა მოემზადებინათ და თავიანთი ქვეყნების საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე განეხილათ მოქმედების ეს სახელმწიფო პროგრამები.

ამგვარი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამამ* შეიმუშავა ღონისძიებები, რომლებიც ეროვნული სახელმწიფო გეგმების ხელშეწყობისა და წახალისებისკენაა მიმართული.

სახელმწიფო პროგრამა-გეგმა უნდა წარმოადგენდეს მთავრობის მიერ მიღებულ ერთიან დოკუმენტს, რომელშიც ასახულია ნარკოტიკების კონტროლთან დაკავშირებული ყველა არსებული პრობლემა ეროვნულ დონეზე.

მასში მოკლედ უნდა იყოს გადმოცემული ეროვნული პოლიტიკა ამ

სფეროში. ასევე უნდა იყოს განსაზღვრული პრიორიტეტები და მოვალეობები. უნდა გვახსოვდეს! სახელმწიფო პროგრამის მომზადება ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის პროცედურას წარმოადგენს.

სახელმწიფო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებულ საერთო შეთანხმებულ ღონისძიებებს, ისეთ სფეროებში, როგორცაა:

- ბრძოლა უკანონო მიწოდებასთან;
- ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის აღკვეთა;
- მოთხოვნის წინასწარი განსაზღვრა და შემცირება;
- მკურნალობა და რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამა საშუალებას იძლევა მჭიდრო კონტაქტები დამყარდეს იმ დაწესებულებებთან, რომლებიც გეგმავენ, კოორდინაციას უკეთებენ და ახორციელებენ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. ასეთი კომპლექსური მიდგომა ეროვნულ ორგანოებს ეხმარება ყურადღება იმ ურთიერთკავშირის განმტკიცებაზე გაამახვილონ, რომელიც ამ რთული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ეკონომიკური განვითარების, ინფორმაციისა და სამართალდამცავ უწყებებს შორის უნდა არსებობდეს. იგი ასევე საშუალებას იძლევა ყურადღება იმ დაწესებულებათა საქმიანობაზე გამახვილდეს, რომლებიც გეგმავენ, კოორდინაციას უკეთებენ და ახორციელებენ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, განსაზღვრავენ მათი განმტკიცების გზებს.

სახელმწიფო პროგრამა მთავრობებს საშუალებას აძლევს ნარკოტიკებზე კონტროლის მიზნით მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის საერთო სტრუქტურაში ჩართონ და არ განიხილონ ისინი როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებელი ღონისძიებები.

სახელმწიფო პროგრამების მომზადებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული კონკრეტული პირობები, რადგან:

პირველი - ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებასთან და მათ უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც წესი, თავისი ხასიათით სრულიად განსხვავებულია. რიგი ქვეყნებისა უმთავრესად ნარკოტიკების კულტივირებისა და წარმოების პრობლემას აწყდება (ან ამ პრობლემის წარმოშობის რისკს). სხვა ქვეყნები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ან ფულის გათეთრების ცენტრებს წარმოადგენენ. დანარჩენები საბოლოო ჯამში იძულებულნი არიან იბრძოლონ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ და ნარკომანების მკურნალობისა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პრობლემები გადაწყვიტონ, თუმცა ქვეყნების უმრავლესობა ერთდროულად ყველა ამგვარი პრობლემის წინაშე დგას.

მორე – ქვეყნები სრულიად განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან. ზოგიერთ ქვეყანას მდიდარი გამოცდილება გააჩნია ამ სფეროში და უკვე *მზად აქვს სათანადო პროგრამები*. სხვა ქვეყნებისთვის ეს საკითხები ცნობილია და მათ უკვე განსახლდრეს ეროვნული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები და პრიორიტეტულობის კრიტერიუმები, მიუხედავად იმისა, რომ *მათ ჯერ არ დაუწყიათ პროგრამების მომზადება*. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნების დიდი რაოდენობა პირველად წააწყდა ამგვარ პრობლემას. ამიტომ ისინი მნიშვნელოვანწილად განსხვავდებიან ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაგებისა და ამ პრობლემის გადაჭრისათვის მოწოდებული სახელწიფო ორგანიზაციებისა თუ კერძო დაწესებულებების არსებული ღონის მიხედვით.

მესამე – გასათვალისწინებელია, რომ ეს განსხვავებები არა მარტო ნარკოტიკების პრობლემის არსებობის შედეგია, არამედ იგი, აგრეთვე, *ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური განვითარებისა და სახელმწიფო ფინანსური მდგომარეობის შედეგაცაა*. გარდა ამისა, ყოველმა მთავრობამ აუცილებელია გადაწყვიტოს, განიხილავს იგი ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას როგორც ცალკეულ პრობლემას თუ როგორც ნივთიერებათა, მათ შორის ალკოჰოლისა და თამბაქოს ნაწარმის ბოროტად გამოყენების უფრო ფართო კომპლექსური პრობლემის ნაწილს.

დაბოლოს: არსებობს ევრეთწოდებული *დაგვემვის ეროვნული სისტემები*, ანუ *მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამების შემუშავების არსებული მექანიზმების სრულიად განსხვავებული ტერზეები*.

იმის მიხედვით, თუ ქვეყანა როგორ მნიშვნელობას ანიჭებს თავის სახელწიფო პროგრამას, შეიძლება არსებობდეს გვემის რამდენიმე ვარიანტი:

- *მოკლევადიანი ოპერატიული პროგრამა (2 ან 3 წელი);*
- *ეროვნული განვითარების საშუალოვადიანი გვემის შემადგენელი ნაწილი (5 წელი);*
- *პროგრამული გვემა საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაზე (5-10 წელი);*
- *საშუალოვადიანი სექტორული პროგრამები (ჯანდაცვის, განათლების და ა.შ. სისტემებში), როგორც საერთო გვემის – პროგრამის შემადგენელი ნაწილი.*

პირველი გადაწყვეტილება დაკავშირებულია სახელმწიფო პროგრამის წარმოდგენასთან ოპერატიული პროგრამის სახით და მთავრობის მტკიცე ვალდებულებით – დააფინანსოს და განახორციელოს იგი. ამ შემთხვევაში გვემაში ჩართულ ღონისძიებათა განხორციელების ვადები არ უნდა გამოვიდეს სახელმწიფო დაგვემის ვადების ფარგლებიდან, ხოლო შესაბამისი საქმიანობა *სახელმწიფო*

ბიუჯეტში და სახელმწიფო ინვესტირების პროგრამაში უნდა იყოს გათვალისწინებული ან დაფინანსდეს მკაფიოდ მითითებული სპეციალური სახსრების ხარჯზე.

ამგვარი ფორმულირება ფრიად მკაცრია, რამდენადაც იგი სახელწიფოებს ავალდებულებს მკაფიოდ მიუთითოს, რანაირად შეასრულებს იგი სახელწიფო პროგრამას.

მეორე ვარიანტი იმ შემთხვევებს ეხება, როცა სახელმწიფო პროგრამა შეიძლება მომზადდეს როგორც *ეროვნული განვითარების საშუალოვადიანი გეგმის შემადგენელი ნაწილი*. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა ღონისძიებები უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის დაიგეგმოს.

მესამე ვარიანტი კონკრეტული მიზნების მითითებით – *საშუალოვადიანი პერიოდისათვის გამიზნული სპეციალური პროგრამა* უძრავლეს შემთხვევაში ყველაზე უფრო რეალისტურ მიდგომას წარმოადგენს.

დაბოლოს, მეოთხე ვარიანტს, *რომელიც გულისხმობს არა ერთიანი ეროვნული პროგრამის, არამედ სხვადასხვა სექტორალური გეგმების შემუშავებას*, გააჩნია როგორც *უპირატესობა*, ისე *ნაკლოვანება*. უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში შესაბამის სამინისტროთა დეპარტამენტების, აგრეთვე სხვადასხვა ადმინისტრაციული სამსახურების უფრო აქტიურ მონაწილეობას უზრუნველყოფს, ხოლო ნაკლი – დაგეგმვის პროცესის დანაწევრებასა და მუშაობის სხვადასხვა ასპექტების კოორდინაციის სიძნელეში უნდა ვეძებოთ.²⁹

საქართველომ ჯერ კიდევ 1996 წელს მიიღო პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა“. *სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ვერ მოიძებნა მისი დაფინანსების წყაროები* (როგორც ქვეყნის ბიუჯეტიდან, ასევე სხვა რესურსების გამოყენებითაც არ ჩანს დაზმარება არც გავროს შესაბამისი სტრუქტურებიდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან), რის გამოც ეროვნული პროგრამის მოთხოვნები საწყის დონეზეც კი არ არის შესრულებული.

აღნიშნული უშლის ხელს საქართველოს შესაბამის სამსახურებს, აქტიურად ჩაერთონ ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტრუქტურებში.

§4. მსოფლიო სხვადასხვა მრავალმხრივი ორგანიზაციებში

ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სხვა მსოფლიო მრავალმხრივი ორგანიზაციებიც არსებობს, რომლებიც თანამშრომლობენ

მთავრობებთან და უზრუნველყოფენ მათ ტექნიკურ და სხვა სახის მომსახურებას. მათ შორის უნდა გამოყოფთ ორი მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაცია: ICPO/INTERPOL-ი და CCC-ი.

ICPO/INTERPOL-ი 1923 წელს შეიქმნა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა მისი რეორგანიზაცია. სამსახურთან ჩამოყალიბებულია სპეციალური განყოფილება, რომელიც მოწოდებულია ებრძოდეს ნარკოტიკების უკანონო გამავრცელებლებსა და მათ ტრანსპორტირებას. ორგანიზაცია მუდმივად ხელს უწყობს ამ საერთო მსოფლიო სენის თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ მიმართული სააგენტოების საქმიანობას.

ICPO/INTERPOL-ი უზრუნველყოფს ამ სააგენტოების *სასწავლო და ტექნიკურ* დახმარებას, ხელს უწყობს უკანონო ნარკოტიკების ტრანსპორტიორთა დაკავებას და ექსტრადიციამი თანამშრომლობას, ინფორმაციის სწრაფი გაცვლის მიზნით უზრუნველყოფს საერთაშორისო საკომუნიკაციო სისტემას პოლიციის სააგენტოებს შორის.

CCC-ი შეიქმნა 1950 წელს. იგი საერთაშორისო მრავალმხრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავისი სამსახურის 108 წევრს შორის ხელს უწყობს საბაჟო სამსახურის თანამშრომლობას. იგი ყურადღებას ამახვილებს კონტროლის დაწესებაზე *ტვირთის ქვეყნის შიგნით და გარეთ მოძრაობაზე* და კონტრაბანდის აღმოჩენაზე. CCC-მა დააფინანსა *საექსპერტო ჯგუფები*, რომლებმაც სამართალდამცავი სტრუქტურების კოორდინირების, საბაჟო სამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის საჭირო მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავეს; თვალყურს ადევნებს საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული ნომენკლატურის განვითარებას.

CCC-ი *ხელმძღვანელობს სემინარებს და სასწავლო პროგრამებს*, ქმნის ინფორმაციის გაცვლის სისტემებს. ამზადებს სახელმძღვანელოებსა და კატალოგებს საბაჟო პრობლემების გადასაწყვეტად; იგი ასევე აქტიურად ებრძვის ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა კონტრაბანდას.

მსოფლიოს მრავალი ორგანიზაცია და კერძო დაწესებულება ეხმარება და ხელს უწყობს ძალისხმევას ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბევრი მათგანი, როგორცაა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების საერთაშორისო საბჭო (ICAA) სისტემატიურად გამოყოფენ სახსრებს, რითაც მნიშვნელოვანწილად ფინანსდება სახელმწიფოთაშორისო გამოცდილების გაზიარებისათვის საჭირო ღონისძიებები, რომელთა უმრავლესობასაც, სამწუხაროდ, შეზღუდული დაფინანსება აქვს.

როგორც ვხედავთ CMO-მ საერთაშორისო საზოგადოება, კერძო სექტორის ჩათვლით, ხანგრძლივი, კოორდინირებული ქმედებისათვის დეტალურად შედგენილი პროექტით უზრუნველყო, რათა გადაწყვეტილიყო ნარკოტიკებთან დაკავშირებული უპირველესი პრობლემები, მაგრამ საეჭვოა, რომ საჭირო სახსრების გარეშე ევრეთწოდებული, გლობალური ღონისძიებები წარმატებით დაგვირგვინდება.

თავი III

რეგიონული და ქვერეგიონული პროგრამები

§1. ნარკოტიკების უპანონო ტრანსპორტირებისა
და გაემყვამების წინააღმდეგ მიმართული,
CICAD-ის პროგრამა

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ნარკოტიკების პრობლემა რამდენადაც გამწვავდა, მთავრობები უფრო მეტად დაინტერესდნენ მისი გავლენით *პოლიტიკურ სტრუქტურაზე, სოციალურ სფეროზე, ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე*. მთავრობათშორისმა ჯგუფებმა ხელი მოაწერეს რეგიონულ და ქვერეგიონულ ხელშეკრულებებს სახელმწიფო პროგრამების კოორდინირებისა და ერთმანეთთან თანამშრომლობის შესახებ ნარკოტიკების ტრანსპორტირებისა და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ საბრძოლველად. რეგიონული სპეცსამსახურების უმრავლესობის ყურადღება გადატანილია პროფესიულ მუშაობაზე, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა რეგიონული პროგრამის შესაძლებლობანი გააერცვლა ნარკოტიკული ჯაჭვის თითქმის ყველა რგოლის გადასაჭრელად (*წარმოება, გადაამუშავება, ტრანზიტი, დისტრიბუცია, მარკეტინგი, გამოყენება და ფულის გათეთრება*). ეს რეგიონული ორგანოები წარმოადგენს გაეროს, ICPO/INTERPOL-ისა და CCC-ის მსოფლიო ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ფუნქციების დამატებით მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაბამის მრავალმხრივ საქმიანობას, უშუალოდ წევრ ქვეყნებთან ადგილობრივი ნორმების გამოყენებისა და თითოეულის გეოგრაფიულ არეალში მთავრობათშორისი თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ გაეროს 1990 წლის 21 დეკემბერის 45/179 გადაწყვეტილებას *გაეროს* სამი სააგენტოს ერთ თებრატოულ სამსახურად გაერთიანების შესახებ – UNDCP, წინ *გაეროს* რეგიონული ორგანიზაციების რესტრუქტურინაცია უძღოდა, რომელიც მომავალშიც გაგრძელდა.

გაეროს ნარკოტიკების კომისიამ რეგიონული საკუნსულტაციო მექანიზმების მთელი რივი ამოქმედა. პირველი მათგანი ახლო და შუა აღმოსავლეთში ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ქვეკომისია იყო. იგი 1973 წელს შეიქმნა *ახლო და შუა აღმოსავლეთში ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებაზე სპეციალური კონტროლის დაწესებისა და შესწავლის მიზნით*.¹⁰

მოცემულ ტერიტორიაზე, მუშაობის უფრო ეფექტურად წარმართვის ღონისძიებათა გასატარებლად, კომისიამ განსახილველად წარადგინა დამატებითი რეკომენდაციები. გარდა ამისა, კომისიამ დააფუძნა HONLEA – ეროვნულ

სამართალდამცავ სააგენტოთა მეთაურები, მათთან რეგიონული და რეგიონთშორისი თანამშრომლობის მხარდაჭერისა და გაძლიერების, უკანონო ტრანსპორტირების აღკვეთისა და სათანადო კანონების ცხოვრებაში განსახორციელებლად კონსულტაციების ჩატარების მიზნით.

სააგენტოთა მეთაურების უმთავრეს ფუნქციად კომისიისა და წევრი ქვეყნების მთავრობებისათვის სამოქმედო რეკომენდაციების წარდგენა გამოიკვეთა და ამასთან, მათ უნდა შეექმნათ საჭირო პირობები კანონის აღმასრულებელ მეთაურთა შორის დიალოგისა და ქვეყნებს შორის იმ კონტაქტების დასამყარებლად, რაც ასე საჭიროა მთავრობათაშორისი თანამშრომლობისათვის.

პირველი HONLEA შეიქმნა 1974 წელს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონებისათვის.³¹ 80-იანი წლების ნახევრიდან HONLEA დამკვიდრდა აფრიკის, ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვისა და ევროპის რეგიონებისათვის. აღსანიშნავია ქვეკომისია “Inter alia” ახლო და შუა აღმოსავლეთისათვის, რომელიც მოიცავს HONLEA-ს ფუნქციებს სხვა რეგიონებში.

HONLEA-ს წევრები ხშირად ქვეყნების მთავარი სახელისუფლო კანონის აღმასრულებელი ოფიციალური პირებიც არიან, მაგრამ სრულებით არ არის აუცილებელი, რომ იგი თითოეულ ქვეყანაში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებასა და ტრანსპორტირებასთან ბრძოლაში ჩაბმულ ყველა კომპეტენტურ სააგენტოს მოიცავდეს. HONLEA ყოველწლიურად იკრიბება რეგიონულ დონეზე, სამ წელიწადში ერთხელ კი ინტერრეგიონული HONLEA ყველას უყრის თავს, რათა განიხილოს პრობლემები, რომლებიც ინდივიდუალურ რეგიონში კანონის აღსრულების ზღვარს გადასცდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსოფლიოში მოქმედი სპეციალიზებულ ორგანიზაციებში, როგორცაა ICPO/INTERPOL და CCC, ისევე როგორც შემდეგომ პარაგრაფებში განხილული რეგიონული სტრუქტურები აწყობენ თავიანთ ყოველწლიურ რეგიონულ შეხვედრებს, ერთი და იგივე დღის წესრიგით, რომელშიც მონაწილეობენ HONLEA-ს წევრი ქვეყნები.

გაეროს ადმინისტრაციული მექანიზმის რეორგანიზაცია კომისიას საშუალებას აძლევს გადასინჯოს თავისი და HONLEA-ს რეგიონალურ ორგანოებთან, მათ პროგრამებთან ურთიერთობის სტრატეგია და შესაძლებლობანი.

1950 წელს დამკვიდრდა ერთ-ერთი პირველი რეგიონალური ორგანო, ფართო ანტინარკოტიკული პროგრამა COLOMBO-PLAN. 6 განვითარებული და 20 განვითარებადი ქვეყნის მიერ დაარსებულმა 26 წევრიანმა სამთავრობათშორისო ორგანიზაციამ 1973 წელს შექმნა ნარკოტიკების საკონსულტაციო პროგრამა (DAP) და ნარკოტიკების სათათბირო, რათა კონსულტაცია გაეწია წევრი მთავრობებისათვის და დახმარებოდა მათ ნარკოტიკების თავიდან აცილებასა და საკონტროლო პროგრამების გაუმჯობესებაში. DAP-ი მოიცავს კანონის აღსრულებას, პროფილაქტიკას, გაფრთხილებას, მომარაგების შემცირების, მკურნალობისა და

რეაბილიტაციის სფეროებს. იგი წევრ ქვეყნებს უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას, ეხმარება კანონმდებლობის დახვეწასა და შესაბამისობაში მოყვანაში, უზრუნველყოფს საკონსულტაციო სამსახურს, აკანონებს სპეციალური ნარკოტიკების ერთეულს, საკოორდინაციო სისტემებსა და მექანიზმებს. იგი სპეციალისტებისათვის აწინანსებს სასწავლო პროგრამებს ყველა შესაბამის სფეროში. DAP-მა მოსახლეობაში საფრთხის შეგრძნების გათვითცნობიერების მიზნით წამოიწყო კამპანიები, ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ პროგრამებში ჩააბა მასმედია, მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოება. ეს განსხვავებული ზომები შეთანხმებულია გაეროს ნარკოტიკების სააგენტოებთან და ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ICPO/INTERPOL და სხვა მსოფლიო რეგიონული მთავრობათა-შორისი ორგანიზაციები, რომელთაც ეხებათ ნარკოტიკების პრობლემა Colombo Plan-ის წევრ ქვეყნებში.³²

1967 წელს, აზიის ხუთი ქვეყნის მთავრობის მიერ შეიქმნა – ASEAN - Association of South-East Asian Nations – სამხარეო აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია. რომელმაც 70-იან წლებში შექმნა სხვადასხვა რეგიონალური მექანიზმები.³³ მანვე 1975 წელს მანილაში შეხვედრაზე მიიღო ორგანიზაციის პრინციპთა დეკლარაცია ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა შეიქმნა აზიის ნარკო-ექსპერტთა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო დეკლარაციის ბაზაზე შეემუშავებინა სამოქმედო პროგრამები.

1985 წელს ექსპერტთა ჯგუფს სახელი შეეცვალა და მას ნარკოტიკებთან დაკავშირებული საქმეების შესახებ ASEAN-ის უმაღლესი ოფიციალური პირები უწოდეს.³⁴

გარდა ამისა ASEAN-მა ჩამოაყალიბა:

– ნარკოტიკების კათედრა ჯაკარტაში, სადაც თავს იყრის ნარკოტიკების პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციები კვლევის, ექსპერტიზის და სხვა ამგვარ საქმიანობათა შესახებ;

– სამართალდამცავთა მოსამზადებელი ცენტრი ბანგკოკში;

– სასწავლო ცენტრი მანილაში, რომელიც მუშაობს განათლების სისტემისა და საინფორმაციო საშუალებათა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმების დახვეწაზე;

– მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროფესიონალთათვის ცენტრი კუალა-ლუმპურში.

მსგავსმა რეგიონალურმა სტრუქტურებმა არაბული ქვეყნებიც მოიცვა. გარდა ახლო და შუა აღმოსავლეთის ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ქვეკომისიისა, რომელიც გაეროს ნარკოტიკების კომისიამ 1973 წელს შექმნა, 80-იანი წლებში წევრი ქვეყნების მთავრობათა საქმიანობის კოორდინირების მიზნით შეიქმნა არაბეთის შინაგან საქმეთა მინისტრთა საბჭოს სამდივნო, რომელმაც შეიმუშავა:

– ნარკოტიკების პრობლემის წინააღმდეგ დამცავი არაბული კანონის მოდელი (*Model Arab Law*), რომელიც შსს-მ მიიღო და წევრ ქვეყნებს მისაღებად წარუგდინა;

– ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლის არაბული სტრატეგია;

– 1987 წლის ხუთწლიანი სამუშაო სტრატეგიული გეგმა მთავრობათშორისი თანამშრომლობის გასაძლიერებლად.³⁵

გარდა ზემოაღნიშნულისა კაიროში, ჩამოყალიბდა მოქმედი ცენტრი, რომელსაც უნდა უზრუნველყო ნარკოტიკების პრობლემის კონტროლისათვის აუცილებელი სასწავლო შეკრებების ჩატარება, ეგვიპტის შსს აკადემიის ბაზაზე, რომლის უშუალო მონაწილე გახდა ამ წიგნის ავტორიც.

1971 წელს შეიქმნა პომპიდუს ჯგუფი, რომელსაც დასავლეთ ევროპის მთავრობების იმ საქმიანობის კოორდინირება უნდა მოეხდინა, რასაც ისინი უფრო და უფრო გამწვავებული ნარკოპრობლემის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. 80-იან წლებში პომპიდუს ჯგუფი ევროსაბჭოს შემადგენლობაში შევიდა. ჯგუფში გაწევრიანება ნებაყოფილებით პრინციპს ემყარებოდა და მასში მონაწილე ქვეყნების რიცხვი 6-დან 16-მდე გაიზარდა.

ჯგუფის პროგრამას წევრი ქვეყნების მინისტრები ადგენენ. ისინი სამუშაო პროგრამაზე მუშაობისას პერიოდულად ერთმანეთს ხვდებიან და საკუთარ შეხედულებებს უზიარებენ. აგრეთვე ეწყობა სემინარები, სიმპოზიუმები, ექსპერტთა მოსამზადებელი კურსები და სხვ. ჯგუფი მუშაობს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონებზე და ანალიზებს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას. იგი წევრ ქვეყნებს ეხმარება გაეროს 1988 წლის კონვენციის შესახებ ანალიზსა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაში.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავების პროცესში პომპიდუს ჯგუფი თანამშრომლობს ევროგაერთიანების კომისიის სამდივნოებთან. ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია ნარკოტიკების იდენტიფიკაციისა და მათ წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელების კონცეპტუალური და სამოქმედო საფუძველია.³⁶

ჯგუფის მიერ დამუშავებულ საკითხთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

– ევროპული თანამშრომლობა ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის სფეროში;

– ნარკოტიკებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფეროს პრობლემების ადმინისტრაციული მონიტორინგის სისტემის შექმნა;

– იუსტიციის როლი ნარკოტიკების არასწორი გამოყენების პროცესში;

– მეთოდები, თუ როგორ გადაეარჩინოთ ახალგაზრდობა

ნარკომანიისაგან გარკვეული რისკის ფასად;

– პროგრამა უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანების მეურნეობის შესახებ;

– როგორ დაკომპლექტდეს დისპანსერის და სარეაბილიტაციო ცენტრების პერსონალი;

– ნარკომანთა შორის შიდსის გავრცელების მაღალი ალბათობა.

1989 წელს შეიქმნა HONLEA ევროპული ქვეყნებისათვის, რომელიც, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს აერთიანებს.

დასავლეთ ნახევარსფეროში პირველი რეგიონული ინიციატივა იყო სამხრეთ ამერიკის შეთანხმება ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ (ASEP). ინიციატივამ, რომელიც 1976 წელს სამხრეთ ამერიკის 10-მა ქვეყანამ დააფუძნა, მხარი დაუჭირა კონტინენტზე ქვეყნებს შორის თანამშრომლობას და პროგრამების კოორდინირება მოახდინა. ASEP-მა ჩამოაყალიბა სამხრეთ ამერიკის 7 მოსამზადებელი ცენტრი, ესენია:

– სამკურნალო და რეაბილიტაციის ცენტრი ბუენოს აირესში (არგენტინა);

– პროფილაქტიკური საგანმანათლებლო ცენტრი კარაკასში (ვენესუელა);

– ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების აღაგმვის ცენტრი ლიმაში (პერუ);

– დოკუმენტაციის ცენტრი ბუენოს-აირესში (არგენტინა);

– საბაჟო ცენტრი ბრაზილიაში;

– ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლ სამართალდამცავთათვის საჭირო ძალების საწვრთნელი ცენტრი (კინოლოგიური სამსახური) ბუენოს-აირესში (არგენტინა);

– ნარკოტიკების ლეგალური გამოყენების მართვის ცენტრი სანტ იაგოში (ჩილე).

კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების მთავრობის მეთაურებმა CARICOM-ის სამდივნოს მრავალმხრივი სამოქმედო პროგრამების შემუშავება დააკისრეს: სამართალდამცავებისათვის, ეპიდემიოლოგიის, პროფილაქტიკური საქმიანობის, მეურნეობისა და რეაბილიტაციის სფეროში მოღვაწე სტრუქტურებისათვის.³⁷

CARICOM-მა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამ სამ სფეროში ვრცელი პროგრამა წამოიწყო.

1990 წლის დეკემბერში ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე კოსტარიკის ელ სალვადორის, გვატემალას, ჰონდურასის და ნიკარაგუას ხელისუფლების მეთაურებმა შექნეს ცენტრალური ამერიკის მულმივი კომისია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა წარმოების, ტრანსპორტირების, გამოყენების შემცირებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად

(CCP). ეს იყო სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების გაერთიანების პირველი ცდა ნარკოტიკების პრობლემებთან ბრძოლის უფრო მეტად ეფექტურობის მიზნით მთავრობათაშორისი თანამშრომლობის დასამყარებლად.³⁸

90-იანი წლების შუა პერიოდში CCP ორჯერ შეიკრიბა, ჩატარდა სამუშაოები პროგრამის ჩამოსაყალიბებლად და თვით ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით.

1986 წელს ინტერამერიკის რეგიონში სამხრეთ ამერიკის, კარიბის, ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ჩათვლით წამოიწყეს გლობალური რეგიონალური პროგრამის განხორციელება.³⁹ ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციის (OAS) წევრებმა მიიღეს რიო-დე-ჟანეიროს ინტერამერიკული სამოქმედო პროგრამა, რომელიც მიმართული იყო *ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გამოყენების, წარმოებისა და ტრანსპორტირების წინააღმდეგ პროგრამის სისრულეში მოსაყვანად*. მათვე შექმნეს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შიდაამერიკული კონტროლის კომისია (CICAD).⁴⁰

RIO-ს პროგრამა შეიცავს იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რაც მიმართულია სახელმწიფოს უკანონო ნარკოტიკებით მომარაგების შემცირებისაკენ; იგი წევრი ქვეყნის მთავრობებს ურჩევს შექმნან ცენტრალური კომისიები საშიანაო საქმეთა კოორდინირებისათვის. ეს კომისიები განსაზღვრავენ სპეციფიკურ ღონისძიებებს, რაც საჭიროა რეგიონის მთავრობის მხრდასაჭერად. CICAD-ი აღიჭურვა უფლებამოსილებით, რათა დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის ანალიზის შედეგად *შეიმუშაოს, გააერთიანოს, შეაფასოს და გააკეთოს მიზნის მისაღწევ მოქმედებათა ნუსხა*.

1990 წლის 17-20 აპრილს *იქსტაპაში (მექსიკა)* – ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკის კავშირის მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ იქნა CICAD-ის 2-3 წლიანი პროგრამა, RIO-ს გაგრძელება, სადაც ჩამოთვლილი იყო სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრიორიტეტული პრობლემები.⁴¹

როგორც RIO-ს, ასევე Ixtapa-ს პროგრამებში არაერთხელ ხაზგასმულია, რომ CICAD-ი მზად არის ითანამშრომლოს შიდაამერიკულ რეგიონში, ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ყველა დონეზე მებრძოლ მსოფლიო, რეგიონალურ და ქვერეგიონალურ ორგანიზაციებთან. მთავრობებმა განსაკუთრებული ყურადღება მიანიჭეს სააგენტოთა შორის ურთიერთთანამშრომლობას, რადგან ნარკოტიკების პრობლემა ერთიანად უქმნის სირთულეებს როგორც მთელ მსოფლიოს, ასევე შიდაამერიკულ რეგიონს. ნარკოტიკების პრობლემის არსი გაცნობიერებულია ყველა ორგანიზაციის მიერ. RIO-სა და Ixtapa-ს პროგრამები თითქმის მთლიანად აისახა CMO-სა და გაეროს მიერ 1987 და 1990 წლებში მიღებულ გლობალურ სამოქმედო გეგმაში. მიზნებისა და ინტერესების ასეთი თანხვედრა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ერთობლივი თანამშრომლობის აუცილებლობას.

ამ პრინციპების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მომდევნო თავში მოცემულია **CICAD**-ის რეგიონალური პროგრამის დეტალური დახასიათება. შეიძლება მაგალითების მოტანა სხვა რეგიონალური პროგრამებიდანაც. *CICAD-ის პროგრამა იმიტომ იქნა არჩეული, რომ იგი განსხვავებულად უსვამს ხაზს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსოფლიო რეგიონული და ქვერეგიონალური ძალისხმევის კოორდინირება და ინტეგრირება ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებისა და გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში.*

§2. ინტერამერიკული პროგრამები

1984 წელს ნარკოტიკების მწარმოებელი, ტრანზიტისა და მომხმარებელი (ამერიკის – **OAS**-ის) წევრი ქვეყნები კონფონტაციის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ საჭიროა ერთობლივი მუშაობა ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების აღმოფხვრის საქმეში. იმავე წელს ბრაზილიაში **OAS**-ის გენერალური ასამბლეის №699 რეზოლუციით ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირება აღიარეს იმ დანაშაულად, რომელიც მთელ კაცობრიობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. იმავე რეზოლუციით 1986 წლის აპრილში რიო-დე-ჟანეიროში მოიწვიეს *სპეციალიზებული ინტერამერიკული კონფერენცია ნარკოტიკების ტრანსპორტირების საკითხზე*. სწორედ აქ შეიმუშავეს და მიიღეს **RIO**-ს სამოქმედო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იყო მსოფლიო რეგიონული გამოცდილება ხანგრძლივი ინტერამერიკული თანამშრომლობისათვის ჩამოყალიბებული ერთიანი პოლიტიკა, რომელიც კრიტიკულ მომენტებში ითვალისწინებდა ენერგიულ ბრძოლას ნარკოტიკების ტრანსპორტირებისა და ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად.

RIO-ს პროგრამით განსაზღვრულია – *ნარკოტიკებზე მოთხოვნისა და მომარაგების შემცირებისათვის საჭირო ეროვნული და შიდაამერიკული რეგიონული ღონისძიებანი*. უმთავრესი ყურადღება დაეთმო მოთხოვნილების შემცირებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. პროგრამა ეროვნული ნარკოკონტროლის სააგენტოებს მოუწოდებს ეროვნული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას, კოორდინირებას და შიდაამერიკულ რეგიონულ დონეზე ამოქმედებას. **RIO**-ს პროგრამა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს წევრი ქვეყნების *საკანონმდებლო ბაზების შესაბამისობაში მოყვანას* იმ მექანიზმების დადგენის მიზნით, რაც პრაქტიკაში აუცილებელია მოგების ამოღებისა და არალეგალური ბრუნვით მიღებული ქონების კონფისკაციისათვის. ამასთან, უნდა დადგინდეს, თუ როგორ გაირკვეს ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მისაღებად აუცილებელი *პრეკურსორებისა და ქიმიური ელემენტების კონტროლის გზები*, როგორ უნდა განხორციელდეს *ჩანაცვლებისა და არალეგალური ნათესების განადგურების პროგრამა*. ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხების მოგვარება საფუძველს ქმნის წევრი

ქვეყნების ანტინარკოტიკული სააგენტოების ეფექტური თანამშრომლობისათვის.

RIO-ს პროგრამის ძირითადი აზრი და ამოცანები გადაისინჯა მექსიკაში 1990 წელს (Ixtapa-ში) 17-23 აპრილს გამართულ *მინისტრთა შეხვედრაზე*. აქაც დასახეს 1990 წლის შიდაამერიკული პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმო OAS-ის წევრი ქვეყნების მიერ წარსულში რატიფიცირებული ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის შესახებ 1988 წლის გაეროს კონვენციას. CICAD-ს მისცეს რეკომენდაცია გაეროს კონვენციით დასახულ ღონისძიებათა უკეთ შესრულებისა და მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გადაესინჯა წევრი ქვეყნების კანონმდებლობა და საპროცესო ნორმები. ამით თავიდან იქნა აცილებული ის გაუგებრობანი, რაც არცთუ იშვიათია ქიმიური ელემენტებისა და პრეკურსორების კონტროლის დროს, აგრეთვე, ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვით მიღებული ქონების კონფისკაციისა და გაკეთილშობილებული თანხების ამოღების დროს. გარდა ამისა, ნარკოტიკებზე მოთხოვნათა შემცირების, აკრძალვისა და არალეგალური წარმოების განადგურების მიზნით დაისახა შიდაამერიკული თანამშრომლობის დამატებითი ღონისძიებანი, რაც თავისთავად რევიონებისა და ქვეყნების იურიდიულ-სამართალდამცავი სააგენტოებისა და სტრუქტურების თანამშრომლობის გაღრმავებას გულისხმობდა.⁴²

§3. ხუთი პრიორიტული მიმართულება

RIO-ს და IXTAPA-ს პროგრამების განხორციელებისათვის CICAD-მა დასახა მოქმედების ხუთი პრიორიტეტული მიმართულება. ესენია:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- პროფილაქტიკური საგანმანათლებლო სისტემის შექმნა;
- საზოგადოების მობილიზაცია;
- ერთგვაროვანი ინტერამერიკული სტატიისტიკური სისტემის შექმნა;
- ნარკოტიკებთან დაკავშირებული საქმეების ინტერამერიკულ საინფორმაციო სისტემაში ჩართვა.

თუ რა დგას ამ საინფორმაციო სისტემების ყურადღების ცენტრში და როგორ ვითარდებიან ეს სისტემები, შეჯამებულია მომდევნო პარაგრაფებში.

ამ პრიორიტეტულ მიმართულებათა დახასიათებისას დაინახავთ, რომ CICAD-ის მიერ დადგენილი პრიორიტეტები არ ეწინააღმდეგება არც გაეროს კონვენციებს და არც CMO-ს მიღწევებს.

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

ამ პრიორიტეტული მიმართულების სრულყოფის პროგრამა შემუშავდა 1988 წლის მაისში CICAD-ის წევრი ქვეყნების საპეციალისტების მიერ სან ხოსეში, (კოსტა-რიკაში).⁴³ პროგრამა გამიზნულია მთავრობათა შორის ურთიერთობების

საკანონმდებლო საფუძველზე აგებისათვის და ითვალისწინებს შემდეგ ასპექტებს:

– შეთანხმებულ იქნა საკანონმდებლო ბაზის მართვისა და საპროცესო ნორმების ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ამით საფუძველი ჩაეყარა რეგიონში ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა არალეგალური ბრუნვის შესახებ 1988 წლის გაეროს კონვენციის რეალიზაციას;

– ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტიორთა წინააღმდეგ მიმართული გამოძიების დროს უნდა გაუშვობესდეს ინფორმაციის შეგროვების ზერზები და ხარისხი, უზრუნველყოფილი უნდა იქნას მოწმეთა დაცვა და უფრო მოქნილი გახდეს მხილებათა წარდგენის ფორმები;

– აღსრულებაში უნდა იქნას მოყვანილი ნარკოტიკების გამავრცელებელთა წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო განაჩენი;

– ნარკოტიკების გამავრცელებელთა წინააღმდეგ უნდა დაწესდეს ერთგვაროვანი ადეკვატური სანქციები და დამსჯელი ღონისძიებანი;

– უზრუნველყოფილ უნდა იქნას საზოგადოების მხარდაჭერა იმ საკანონმდებლო აქტებისათვის, რომლებიც მიმართულია ნარკოტიკების გამავრცელებლის საქმიანობის წინააღმდეგ.

1988 წლის გაეროს კონვენცია არის იურიდიული ბაზა ზემოჩამოთვლილ მიმართულებათა განხორციელებისათვის. ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ კონვენციის პრაქტიკულად განხორციელების შედეგად უფრო მოქმედი გახდეს წვერი ქვეყნების თანამშრომლობა. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის, მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარმა 12 კაციანმა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა 1988 წლის გაეროს კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლებზე. ჯგუფმა მთავრად მართვის მოდელი იმ პრეკურსორების, ჯიძიური ნივთიერებებისა და ნედლეულის კონტროლის შესახებ, რომელიც განისაზღვრა CICAD-ის 1992 წლის მარტის და 1990 წლის აპრილის მინისტრთა შეხვედრის დროს Ixtapa-ში. ამ მოდელის მიღების შესახებ რეკომენდაცია ჯერ კიდევ ადრე მისცა მონაწილე ქვეყნებს OAS-ის გენერალურმა ასამბლეამ და მართვის მოდელის განხორციელებისათვის CICAD-ი მონაწილე ქვეყნების მთავრობებს სისტემატურ დახმარებას უწევს და თორმეტმა ქვეყანამ მიიღო და უკვე პრაქტიკულად ახორციელებს მართვის მოდელს, შეიღმა ქვეყანამ კი მოდელი განსახილველად თავიანთი ქვეყნების კონგრესებს წარუდგინა.

მართვის მოდელის მომზადების მიზანი იყო უზრუნველყო 1988 წლის კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება, რომელიც ფულის გათეთრებას და ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებით ამოვებული სარგებლის კონფისკაციას ეხებოდა. ექსპერტთა ჯგუფმა, რომელშიც 13 ინტერამერიკული ქვეყანა შედიოდა, 1992 წლის მარტში CICAD-ს ამომწურავი ინფორმაცია წარუდგინა და

ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი ინიციატივა *ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების, ფულის გათეთრებისა და მსგავსი შემთხვევების შესახებ*. CICAD-მა ეს წინადადება OAS-ის გენერალურ ასამბლეაზე მოიწონა. ასამბლეა წევრ ქვეყნებს ურჩევდა მიეღოთ მართვის მოდელი და განხორციელებინათ იგი. CICAD-ი სისტემატურად გვემავს ისეთ დამხმარე პროგრამას, რომელიც წევრ ქვეყნებს მოდელის გაანალიზებაში, მიღებასა და განხორციელებაში ეხმარება.

CICAD-ი ცდილობს დაეხმაროს წევრ ქვეყნებს საკანონმდებლო და სამართლის სფეროში თანამშრომლობაში. იგი ასევე მუდმივად ცდილობს სამართალდამცავთა შესაძლებლობათა გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ეს ეხება სამხილების შეგროვებას, დაცვას და სასამართლო პროცესებზე წარდგენას. CMO-ს რეკომენდაციებიც იგივეს ითვალისწინებს ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებაში მონაწილეთა წინააღმდეგ. CICAD-ის ამ ძალისხმევას მხარი დაუჭირა OAS-ის სხვადასხვა წევრმა ქვეყანამ, UNDCP-მ და INLAUP-მა. პოლიციის სწავლებას უზრუნველყოფს კანადის მთავრობა და კანადის სამეფო ცხენოსანთა პოლიცია.

პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სისტემის შემქმნა

CICAD -ის მიერ დადგენილ პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განათლების სისტემაში განსახორციელებელი გარდაქმნებია. დიდი როლი ეკისრება ისეთ პროგრამებს, რომელთა მიზანია ახალგაზრდებს იმის გაცნობიერებაში დაეხმაროს, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ნარკოტიკების მიღებას. ამ პროგრამების სტრატეგია CMO-ს პროგრამის პირველი თავის რეკომენდაციებს ეფუძნება. პროგრამა ახალგაზრდობისა და მოზარდი თაობებისთვისაა განკუთვნილი, რათა მათ საკუთარი პრობლემები ნარკოტიკების დახმარების გარეშე მოაგვარონ. სასწავლო-პროფილაქტიკური პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ოჯახებმა და საზოგადოების ფართო ფენებმა. პროგრამის გეგმა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის რეგიონული და ქვერეგიონული მექანიზმების შემუშავებასაც ითვალისწინებს.

ოთხი შიდაპერიკული სამუშაო შეხვედრისა და ნახევარსფეროს კონტინენტზე ჩატარებული შეხვედრების დროს 1990 წლის მაისში ქ. ქვიტოში (ეკვადორი) საუბარი იყო მონაწილე ქვეყნების ფინანსურ დახმარებაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ყველა წევრი ქვეყნის ეროვნული ნარკოკომისიის მეთაურები, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრები. კონსულტაციების შედეგად მომზადდა ქვიტოს პროგრამა, ხოლო 1990 წლის ივნისში *ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით მიიღეს პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო პროგრამა*.⁴⁴ ქვიტოს პროგრამა ეროვნულ მთავრობებს ეხმარება ანტინარკოტიკული პროპაგანდის ჩატარებაში. იგი გათვლილია ახალგაზრდა თაობისათვის. პროგრამის მიხედვით შედარებით იოლია შეძლევ ღონისძიებათა განხორციელება:

- შესაფერისი განრიგის შედგენა;
- ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსების ორგანიზება;
- გამოკვლევების წარმოება და შესრულებული სამუშაოების შეფასება;
- დახმარების გაწევა მასწავლებელთა და ხელოვნების კურსების ორგანიზებაში;
- აუდიო-ვიდეო მასალების მომზადება ანტინარკოტიკული პროპაგანდისათვის.
- საჭირო კავშირის უზრუნველყოფა მასმედიაში და საზოგადოებას შორის.

ქვეტოს პროგრამის განხორციელების მიზნით 4 გლობალური ქვერეგიონალური პროგრამა დაგეგმვის სტადიიდან სულ მალე ამოქმედების სტადიაში გადავიდა:

პირველი მოიცავს ცენტრალურ ამერიკაში დომინიკელთა რესპუბლიკასა და პანამას;

მეორე – ანდების რეგიონს;

მესამე – სამხრეთ-ამერიკაში არგენტინა-ურუგვაის ორმხრივი სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე ხორციელდება;

მეოთხე – ინგლისურენოვანი კარიბის ტერიტორიაზე ვრცელდება.

ამ პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის *ინტერამერიკული განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საბჭომ (CIECC)* და *პან ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაციამ (PAHO)* თავიანთი ძალები *CICAD*-თან გააერთიანა. მოსალოდნელია ისიც, რომ მათ შეუერთდეს გაერო და სხვა მრავალმხრივი ორგანიზაციებიც. *OAS*-ის რამდენიმე წევრი ქვეყნის მხარდაჭერით მზადყოფნაშია ნახევარსფეროში მოქმედი შესაბამისი სამსახურები რათა უზრუნველყოს მათი მონაწილეობა სამოქმედო გეგმის შედგენაში, ამ გეგმის აღსრულებისა და სოციალურ-ეკონომიკური კვლევების შეფასებაში, ეპიდემიოლოგიის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და საზოგადოების მობილიზებისათვის საქმიანობაში.

გარდა ამისა, წამოწყებულია პროგრამა, რომლის მიზანია *ბრძოლა ნარკოტიკების პრობლემის წინააღმდეგ ანდების ქვეყნების ქუჩის ბავშვებში*. *IDB*-ს მიერ დაფინანსებული გამოკვლევის მიხედვით ეს პირველი ნაბიჯია მრავალი ქვეყნის იმ პროგრამების განვითარებაში, რომლებიც ამ პრობლემის გადაჭრისაკენ არის მიმართული.

პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ახალგაზრდების ჩაბმას სახელწოდებით – *ახალგაზრდობა იბრძვის (Youth Encounters)*, ხელმძღვანელობს ინტერამერიკული ბავშვთა საზოგადოება. დღეისათვის მეთოდოლოგია, რომელიც ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მოწინავე ახალგაზრდობის ბრძოლაში ჩაბმას ცდილობს, *CICAD*-ის

ფონდმა 12 ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებში გამოსცადა. დაოსტატდა 2500-ზე მეტი ახალგაზრდა და 100 სხვადასხვა ეროვნების პროფესიონალი.

საზოგადოების მოზილიზაცია

ეს პრიორიტეტული მიმართულება გამიზნულია წევრ ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციების – საინფორმაციო საშუალებების, კორპორაციების, სარეკლამო სააგენტოების, კერძო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოზილიზებისათვის, რათა მხარი დაუჭიროს და დააფინანსოს ის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ნარკოტიკების პრობლემებით მოსახლეობის გაცნობიერებისაკენ, გამაფრთხილებელი, სამკურნალო და სარეაბილიტაციო სამსახურების შექმნისაკენ. რამდენადაც კერძო სექტორს ამის უზრუნველყოფა არ ძალუძს, **CICAD**-მა 1989 წლის დასაწყისში წამოიწყო ღონისძიება – სემინარები მოსახლეობისათვის ნარკოტიკების ზიანის გაცნობიერების მიზნით; სემინარები ჟურნალისტიკისათვის და კონსულტაციები სხვადასხვა წევრი ქვეყნების კორპორაციათა და მასმედიის მაღალ ემპლონებთან. ზოგიერთი ქვეყნის საქმიანობა დროთა განმავლობაში სამოქმედო ოპერაციებად ჩამოყალიბდა. კერძოდ:

– *მექსიკის ახალგაზრდობის ინტეგრაციის ცენტრისა და ამერიკის შერთებული შტატების ოკლაჰომას უნივერსიტეტის* მხარდაჭერით შემუშავდა მრავალმხრივი სტრატეგია, რომლის უმთავრეს ფუნქციას საზოგადოებისათვის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების აღმოჩენა იყო. პირველად ეს სტრატეგია განხორციელდა არგენტინაში 1990 წელს, ხოლო 1991 წელს ცენტრალურ ამერიკაში. 1992 წელს მსგავსი პროგრამა ბრაზილიაში იქნა შემუშავებული – ანტინარკოტიკულ პროპაგანდაში საზოგადოების გათვითცნობიერების მიზნით (ეროვნული ნარკოტიკული საკონსულტაციო სამსახურების შექმნა). გარდა ამისა ეკვადორში, ქვიტოში განლაგებულ *ლათინო-ამერიკის უმაღლეს საკომუნიკაციო საერთაშორისო სისწავლო ცენტრთან (CIESPAL)* მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგზე შემუშავდა საკომუნიკაციო სტრატეგიის კვლევისა და განვითარების მოდელი სხვადასხვა ქვეყნების საკომუნიკაციო სისტემებისათვის.

– ამერიკის მასშტაბით იმ ტელეკონფერენციების პირდაპირი ტრანსლაცია, რომლებიც ნარკოტიკების პრობლემებს ეძღვნება. მასში მონაწილეობს სახელმწიფო და სხვა კერძო ორგანიზაციები. პირველი საერთაშორისო ამერიკული ტელეკონფერენცია ჩატარდა 1990 წლის 22 მაისს, იგი მიეძღვნა მასმედიის, საზოგადოებისა და კერძო სექტორის როლს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში. **CICAD**-ის მოწონება დაიმსახურა ურთიერთ-თანამშრომლობის ბაზაზე შემუშავებულმა საუნივერსიტეტო პროგრამამ, ანტინარკოტიკულ პროპაგანდაში კომპიუტერული ქსელის როლის შესახებ.

ერთმხვაროვანი სტატისტიკური სისტემა

RIO-ს პროგრამაში გათვალისწინებულია **CICAD**-ის მიერ შიდაამერიკულ მონაცემთა ბანკის შექმნის აუცილებლობა.⁴⁵ **OAS**-ის წევრ ქვეყნებში მოპოვებული ინფორმაციების ერთმანეთთან შედარება არ ხერხდება იმის გამო, რომ ფუნქციონირებს ერთმანეთისაგან განსხვავებული სისტემები. სწორედ ამის გამო **CICAD**-ში მიმდინარეობდა მუშაობა ერთგვაროვანი სტატისტიკური სისტემის შემუშავებაზე, რომელიც ამ რეგიონისათვისაა განკუთვნილი. **OAS**-ის წევრი ქვეყნების სპეციალიზებულ სააგენტოებთან კონსულტაციების შემდეგ ჩამოყალიბდა ის სტრუქტურა, რომელიც შემდგომში სტატისტიკური სისტემის საფუძველი იქნებოდა. გათვალისწინებულია თანამშრომლობა ინფორმაციის მოგროვების პროცესთან დაკავშირებით. შეთანხმებულია განმარტებები და პროცედურები ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გამოქვეყნების მეთოდის შესახებ რეგიონში ერთგვაროვანი სტატისტიკური სისტემის შექმნის მიზნით. დამუშავების პროცესშია ორი ქვერეგიონალური სტატისტიკური ცენტრის შექმნის იდეა. მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა **UNDCP**-თან.

ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმეთა საინფორმაციო სისტემა

RIO-ს პროგრამით **CICAD**-ი რეკომენდაციას იძლევა შექმნან შიდაამერიკული დოკუმენტაციის ცენტრი. ამ ცენტრში უნდა მოხდეს ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის მოგროვება. ეს ეხება **CICAD**-ის წევრ ქვეყნებში პუბლიკაციებისა და აუდიო-ვიდეო მასალის შეგროვებას. ყველაზე მთავარი დაბრკოლება, რაც ამ სისტემის შემუშავების პროცესში წამოიჭრა არის საკითხი იმის შესახებ, თუ წევრმა ქვეყნებმა როგორ უნდა მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია ნარკოტიკების შესახებ შესაბამისი საინფორმაციო ბაზიდან. ამ დაბრკოლების აღმოსაფხვრელად დაფინანსდა ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საქმეთა შიდაამერიკულ საინფორმაციო სისტემაზე (**IADIS**) მუშაობის პროცესი.

13 რეგიონული და ქვერეგიონული ერთეულის ერთობლივი მუშაობის შედეგად დადგინდა სისტემის ინსტალაციის ტიპი და სტრუქტურა. **IADIS**-ი ამჟამად ინსტალირებული და აპრობირებულია **OAS**-ის თერთმეტ ქვეყანაში. ვეროგაერთიანების კომისიამ გამოყო თანხები **IADIS**-ის ინსტალაციისათვის ევროპის ტერიტორიაზე.

მონაცემთა ბანკი და დოკუმენტაციის ცენტრი ერთად ქმნის რეგიონულ ქსელს, რომელთანაც თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონულ სახელმწიფოთა კერძო სექტორსაც შეუძლია. ეს კი საშუალებას იძლევა ნარკოტიკების შესახებ ინფორმაცია უფრო სწრაფად იქნას მოპოვებული და დროულად მოხდეს საჭირო გაცვლა წევრ ქვეყნებს შორის.

იმისათვის, რომ შესრულდეს **CICAD**-ის მიერ დადგენილი ხუთი

პრიორიტეტული მიმართულება, **CICAD**-ი თანამშრომლობს ეროვნულ ნარკოკომისიებთან და მხარს უჭერს სხვადასხვა ქვეყნების იმ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანათა შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებას. **CICAD**-ი მუშაობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურებთან. ეს არის ორგანო, რომელიც კოორდინირებას უეთებს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობათა საქმიანობას. **CICAD**-ი მხარს უჭერს სხვადასხვა ქვეყნების ქმედებებს რეგიონალურ დონეზე, ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების პროცესებს. ეძებს გზებს პროექტების დასაფინანსებლად და, საერთოდ, **CICAD** ცდილობს ჩაებას ნებისმიერ ისეთ საქმიანობაში, რაც პასუხობს ამ ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ხუთი პრიორიტეტის ინტერესებს.

CICAD-მა, აგრეთვე, დაიწყო იმ გამოცდილების გაანალიზება და შესწავლა, რაც მთელს მსოფლიოში დაგროვდა კოკას ფოთლის, ყაყაროსა და მარიხუანას კულტივირების განადგურების პროცესში. ყურადღება ექცევა, აგრეთვე, არსებული *აღლტერნატიული ნათესების პროგრამებსაც*. ნარკოტიკული ნათესების გადამუშავების შემცირების გრძელვადიანი სამუშაო პროგრამის შემუშავება ბევრმა მთავრობამ *სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური პრიორიტეტების რანგში* დააყენა. ამჟამად შიდაამერიკულ რეგიონში მიმდინარეობს მუშაობა ოპტიმალური ვარიანტის შერჩევაზე, რათა წვერი ქვეყნების მთავრობებმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა შეძლოს საუკეთესო ვარიანტის დაფინანსება. განადგურების პროგრამის განხორციელება ღიძძალ სახსრებს მოითხოვს და მისი შესრულება შეუძლებელი იქნება მაღალი ინვესტიციების, სახელმწიფო და კერძო სექტორის მობილიზების გარეშე, რადგან ამ პროგრამის განხორციელება სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტერესებიცაა.

ამჟამად მსოფლიოში მოქმედი სხვა რეგიონალური პროგრამების მსგავსად დადგენილია, რომ **CICAD**-ის პროგრამა პასუხობს ქვეყანათა ინტერესებს. მისი შინაარსისა და მოქმედების მიხედვით **CICAD**-ი ერთგვარად ავსებს **UNDCP**-ს საქმიანობას, ეხმარება წვერ ქვეყნებს კონვენციისა და **CMO**-ს განხორციელებაში. ამის შედეგად **CICAD**-მა *გაეროს* შესთავაზა ერთობლივი დაპროგრამების მექანიზმი, რათა ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე *გაეროს* დახმარება წვერი ქვეყნებისათვის *თანამიმდევრული* გახდეს.

დასკვნა

ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული მრავალმხრივი საქმიანობა ემყარება გაეროს სამ კონვენციას და ამაჟამად მოქმედი რეგიონული და ქვერეგიონული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ პროგრამებს. ეს ღონისძიებანი შედარებით ახალია და იგი მხოლოდ ახლა იწყებს მოქმედებას. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს თავად ქვეყნები თამაშობენ. არ არსებობს სახელმწიფოზე ზემოთ მდგომი სტრუქტურა, რომელიც აიძულებდა ამა თუ იმ ქვეყანას ცხოვრებაში განეხორციელებინა კონვენციითა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებანი. ეს საერთაშორისო მრავალმხრივი ორგანოები მხოლოდ *მრჩევლისა* და *დამრწმუნებლის* ფუნქციას ასრულებენ. მიუხედავად ამ მოკრძალებული ფუნქციისა, ამ სტრუქტურებმა დიდი როლი შეასრულეს ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნარკოტიკების პრობლემა ხომ საერთაშორისო პრობლემაა და ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ *ერთი ქვეყნის საქმიანობა*, წარმატება მხოლოდ ურთიერთშეთანხმებულმა თანამშრომლობამ შეიძლება მოიტანოს. ასეთი თანამშრომლობის სურვილი სულ უფრო მეტ ქვეყანას უჩნდება, რადგანაც უფრო და უფრო აცნობიერებენ იმას, თუ რა აუნაზღაურებელი ზიანი შეუძლია მოუტანოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას ნარკოტიკების არალეგალურმა ბრუნვამ.

გლობალურ, რეგიონულ და ქვერეგიონალურ დონეზე არსებული მრავალმხრივი თანამშრომლობის მექანიზმი მთლიანად შეესაბამება მთავრობათა შორის თანამშრომლობის პრინციპს. ქვეყანათა შორის კონსენსუსი და ერთიანი მიზნისაკენ სწრაფვა აადვილებს მათს ერთობლივ ბრძოლას ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ, თუმცა ეს პროცესი შეიძლება ნელა მიმდინარეობდეს და წარმატება მხოლოდ გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ გახდეს საცნაური. იმის გამო, რომ ნარკოტიკები გლობალური პრობლემაა, მსოფლიოს საზოგადოებას *თანამშრომლობის* გარდა, სხვა ალტერნატიული გზა არ გააჩნია.

გენერალური ასამბლეის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე წამოწყებულმა *გაეროს რეორგანიზაციამ* შესაძლებელი გახადა საერთაშორისო დონეზე რაციონალური *რეგიონალური ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმის* ჩამოყალიბება. ამ მექანიზმის საშუალებით უფრო გაადვილდება ქვეყანათა შორის თანამშრომლობის კოორდინირება.

ახლა დღის წესრიგში დგება ისეთი *გრძელვადიანი* სამოქმედო პროგრამის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს *ეროვნული პროგრამების* განხორციელებას. ჩვენი ვალია დაეძლიოთ ამჟამად არსებული ნარკოკრიზისი, ქმედითუნარიანი გავხადოთ ანტინარკოტიკული კამპანია და მსოფლიო საზოგადოებას დავანახოთ, რომ უკეთესი მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ ქვეყნებს შორის შეთანხმებულ მოქმედებებს შეუძლია ჰქონდეს.

თემატური და საბაზისო ლიტერატურა

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენება 1990 წლის 20 თებერვალს, გენერალური ასამბლეის მე-17 მოწვევის საგანგებო სესიის ღია სხდომაზე, A/S _ 17/PVI.

2. რ. გოდსონი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სტრატეგიული კვლევის ცენტრის პრეზიდენტი, *ორგანიზებული დანაშაულის გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ტრანსნაციონალურ სტაბილურობაზე*, კონფერენციის მასალები, გერმანია, გარმიშ-პარტენკირხენი, სექტემბერი, 1999 წ.

3. **V. Berridge**, *Opium and the People: Opiate Use in XIX England*, Yale University Press, 1987.

4. **Jonathan Spencer**. "Opium Smoking in Ching China", in, ed. Frederic Wakeman, Jr., and Carolyn Grant, *Conflict and Control in late Imperial China* (Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1975).

5. **Alexander C. Zabriskie**, *Bishop Brent: Crusader for Christian Unity* (Philadelphia: The Westminster Press, 1948).

6. **Carl A Trocki**, *Opium and Empire: Chinese Society in Colonial Singapore, 1860-1910*, Ithaca: Cornell University Press, 1990.

7. **Arnold H. Taylor**, *American Diplomacy and the Narcotics Traffic, 1900-1939: A Study in International Humanitarian Reform* (Durham: Duke University Press, 1969).

8. **Great Britain**, Foreign Office, *The Opium Trade, 1910-1941*, FO₄₁₅: Correspondence Respecting Opium, 6 vols, (Wilmington, DE: Scholarly Resources, 1974), 2 : v, January-June, 1912, no.81.

9. **A.A. Block**, *European Drug traffic and its consequences*, in *Journal of Social History*, vol 23, n⁰², Winter 1989.

10. **Johnson to Stanley K. Hornbeck, 31 May 1934.** *Nelson T. Johnson Papers, General Correspondence, Box 23, Manuscript Division, Library of Congress, Washington, D.C.*

11. **James R. Rush, *Opium to Java: Revenue Farming and Chinese Enterprise in Colonial Java, 1860-1910, Ithaca, Cornell University Press, 1990.***

12. **William O. Walker III, *Opium and Foreign policy: The Anglo-American Search for Order in Asia, 1912-1954 (Chapel Hill:University of North Carolina Press, 1991).***

13. **A.W. McCoy, *The Politics of Heroin: CIA Complicity in the Global Drug Trade, New York, Brooklyn, Lawrence Hill, 1991.***

14. *United Nations Documents E/CN. 7/1991/1 Rev. 1, of December 20, 1990, prepared for the thirty-fourth session in which the history and functions of the Commission on Narcotic Drugs are summarized. The Commission was created by the United Nations Economic and Social Council (ECOSOC) in resolution 9 (1) of February 16, 1946, as the successor to the Advisory Committee on Traffic in Opium and other Dangerous Drugs.*

15. *Single Convention on Narcotic Drugs, 1961, as amended by the Protocol amending the Single Convention on Narcotic Drugs, 1961, Article 33.*

16. *Articles 5,9-20 on scope, composition and functions of INCB.*

17. *Article 7 of the 1971 Convention on Psychotropic Substances.*

18. *The Fourth Preambular clause of the 1988 United Nations Convention against Illicit Traffic in Natcotic Drugs and Psychotropic Substances.*

19. *Article 23 (a) of the 1988 United Nations Convention, and Article 22 for the specification of INCB functions under the 1988 Convention.*

20. *Articles 2 and 16-19 of the 1971 Convention on Psychotropic Substances and articles 22-23 of the 1988 Convention for INCB functions specified in their administration.*

21. *Article 22 (a) of the 1988 United Nations Convention, cited in footnote 5. Also see Article 22 for the specification of INCB functions.*

22. *United Nations Document A/39/646 of November 12, 1984, for a detailed description of the functions of UNFDAC.*

23. *General Assembly resolution 45/179 of 21 December 1990, concerning the "Enhancement of the United Nations structure for drug abuse control."*

24. *United Nations Publication, the Declaration of the International Conference on Drug Abuse and Illicit Trafficking and Comprehensive Multidisciplinary Outline of future Activities in Drug Abuse Control, 1988, UN document ST/NAR/14, UN Sales Publication No. E.88.XI.1, ISBN 92-1-148075-2, 00900P.*

25. *The International Police Cooperation Organization (ICPO/INTERPOL) was founded in 1923 in Vienna, by national police organizations of 1938 and was reorganized after World War II and its Headquarters moved from Vienna to Paris.*

26. *The Custom Cooperation Council (CCC) was created by the Brussels Convention of December 15, 1950, by the customs services of over 40 countries. It is headquartered in Brussels.*

27. *Resolutions A/RES/S-17/2 of February 23, 1990, of the seventeenth special session of the United Nations General Assembly.*

28. *ILANUD was created in 1975 and is headquartered in San Jose, Costa Rica. See 1988 pamphlet published by ILANUD for summary of its program and activities.*

29. *Программа Организаций Объединенных Наций по международному контролю над наркотиками. Формат и руководящие принципы подготовки национальных генеральных планов по контролю над наркотиками. Вена, 1994г.*

30. *The Sub-Commission was created by resolution 6(XXV) of the twenty-fifth session on the Commission of Narcotic Drugs and authorized by the Economic and Social Council (ECOSOC), in its resolution 1776 (LIV) of May 18, 1973.*

31. *HONLEA for the Asia and Pacific Regions was authorized by ECOSOC resolution 1845 (LIV) of May 15, 1974.*

32. *The HONLEA for Africa was authorized by ECOSOC resolution 1985/11 of May 28, 1985, for Latin America, By ECOSOC resolution 1987/34 of May 26, 1987: and, for the European region, ECOSOC resolution 1990/30 of May 24, 1990.*

33. *Abarro P.A., the Role of an intergovernmental Regional Organization in Combatting Drug Trafficking, United Nations Bulletin on Narcotics, Vol. XXX/X, No. 1 January-March 1987.*

34. *O'Hara and Sallek, Recent Developments in Legislative and Administrative Measures in Countries of the Association of South-East Asian Nations to Counter the Illicit Traffic in Drugs, United Nations Bulletin on Narcotics, Vol. XXXIX, No. 1 January-March 1987.*

35. *Report of the Secretariat of the Council of Arab Ministers of the Interior to the thirty-third regular meeting of the United Nations Commission on Narcotics Drugs, January 1989.*
36. *Nagler N.A., The Council of Europe Co-operation Group to Combat Drug Abuse and Illicit Trafficking in Drugs (the Pompidou Group), United Nations Bulletin on Narcotics, Vol. XXXIX, No. 1 January-March 1987.*
37. *Cagliotti C.N., Cooperation between South American Countries in the struggle against Drug Abuse and Illicit Drug Trafficking, United Nations Bulletin on Narcotics, Vol. XXXIX, No. 1, January-March 1987.*
38. *Sherman-Peter A.M., Co-ordinated Countermeasures of Caribbean Countries against the Illicit Drug Traffic: Recent Developments and Prospects, United Nations Bulletin on Narcotics, Vol. XXXIX, No. 1 January-March 1987.*
39. *Declaration of Punta Arenas, Costa Rica, of December 17, 1990, signed by the Chiefs of State of the five countries, in which they resolved: "to create a permanent Central American Commission devoted to the eradication of the production, consumption and abuse of narcotic drugs and psychotropic substances, trafficking therein and related crimes, especially money laundering and legalization of other types of proceeds and to set up a regional mechanism for exchanging information on these matters."*
40. *Tragen Irving, Cooperation of Countries within the Organization of American States to Combat Drug Problems, United Nations Bulletin on Narcotics, Vol. XXXIX, No. 1 January-March 1987.*
41. *Resolution AG-Res. 8₁₃ and 8₁₄ of the OAS General Assembly. OAS Resolution AG/Res. 8₁₃ (XVI-0/86) created CICAD.*
42. *Declaration and the Program of Action of Ixtapa. Resolution AG/Res. 1045 (XX-0/90) of the OAS general Assembly.*
43. *CICAD document CICAD/CR/doc. 17/88, Rev.1 of January 27, 1988 for report on meeting in San Jose, Costa Rica, in which the Legal Development Program was designed.*
44. *CICAD/CIECC/doc. 33/90, rev. 1, for the description of the Inter-American Program of Quito: Comprehensive Education to Prevent Drug Abuse. Recent developments are covered in CICAD doc. 289/91 of February 1991.*
45. *CICAD doc. 289/91, ad.1, for of the development Uniform Inter-American Statistical System and the Inter-American Data Bank.*

ზოგადი დასკვნები

მსოფლიოში ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირებისა და მისი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მიღწევა მთელი კაცობრიობის გადაუდებელი და მეტად აქტუალური ამოცანაა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ მრავალი ახალი მიზანდასახული და შემტევი ზომები მიიღო, რამაც გარკვეული ტაქტიკური გამარჯვებებიც მოიტანა, პლანეტაზე კვლავ შეუწელებლად გრძელდება *ოპიუმის, მარიხუანას, კოკას* წარმოება და, შეიძლება ითქვას, დრამატულ მასშტაბებსაც ღებულობს.

ნარკოტიკების პრობლემის ისტორიული და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შესწავლამ, ფაქტებისა და მოვლენების დროსა და სივრცეში გაანალიზებამ დამარწმუნა, რომ იგი ყველა ცივილიზაციაში არსებობდა როგორც *კულტურული, მერკანტელური და პოლიტიკური* სამიზნე; ყოველთვის ტრიალებდა მედიცინისა და მეცნიერების ფიქრის შუაგულში, ძალაუფლების სტრატეგიებში, საზოგადოებების ისტორიის წიაღში. მსოფლიოს უახლესი ისტორია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და ბოროტად გამოყენების მასშტაბების ზრდა, *მიზეზ-შედეგობრივ* კავშირშია პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობასთან, ეთნიკურ კონფლიქტებთან და სამართლებრივ სისტემათა დაბალ დონესთან. განსაკუთრებით ნათლად ეს ჩანს განვითარებად და პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში სადაც, სამწუხაროდ, ნარკოტიკების უკანონო წარმოება და მოხმარება არაიშვიათად ეკონომიკურად და სოციალურადაა გამაგრებული. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქვეყნებს არ სურთ ან, უარეს შემთხვევაში, თვითონვე უქმნიან დაბრკოლებებს საერთაშორისო ნარკოტიკებსაწინააღმდეგო კოალიციის საქმიანობას.

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ზონები და პორტები, ჩამოყალიბდა გლობალური საფინანსო, ეკონომიკური, სავაჭრო სისტემები,

ზოგადი დასკვნები

მოსხდა მკაცრი სასაზღვრო რეჟიმის გაუქმება (ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის და პოსტკომუნისტური რეჟიმის ქვეყნებში), რამაც ასეულობით მილიონ ადამიანს თავისუფალი გადაადგილების საშუალება მისცა. სწორედ ამ ახალმა მიდგომებმა შეცვალა ძირეულად ის ოფიციალური გარემო, რომელშიც ამ ქვეყნებში არსებული შიდა კრიმინალური ორგანიზაციები მანამდე მოქმედებდნენ და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის და ფინანსური უზრუნველყოფის არარსებობის პირობებში ამ დაჯგუფებათა ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ორგანიზაციებად (TCO) გარდაქმნას შეუწყო ხელი.

დღეს მსოფლიოში მეცნიერთა ერთ-ერთი უმთავრესი კითხვაა როგორ ვებრძოლოთ ამ მრავალ ასეული მილიარდობით მოგების მქონე უკანონო ბიზნესსა და რით შეიძლება ავხსნათ ის, რომ მიუხედავად მსოფლიოს ქვეყნების მიერ გაწეული კოლოსალური ხარჯებისა პრობლემის სიმწვავე არ კლებულობს?!

ახსნა ერთია...

ნარკოტიკებით ვაჭრობას, სხვა კრიმინალურ ქმედებებთან შედარებით უდიდესი მოგება მოაქვს.

აი, ნარკობიზნესისათვის დამახასიათებელი უმთავრესი თვისება – მინიმალური დანახარჯები, მაქსიმალური მოგება!

მაგალითი: კოკასა და ყაყაჩოს ღირებულება მწარმოებელიდან ამერიკელ თუ ევროპელ მომხმარებელამდე შესაბამისად 700-ჯერ და 2 000-ჯერ მატულობს (შეღარებისათვის – ნავთობის ფასის ანალოგიური მამრავლი მხოლოდ 40-ის ტოლია), ხოლო ბამბის, ყავის, კაკაოს და სხვა კულტურების შეღარებით ნაკლები, რომელთაც მეთოდურად დევნიან ნარკოტიკების შემცველი მცენარეები.

შესაბამისი ორგანიზაციების 1997 წლის მონაცემებით ნარკოტიკების შემცველი მცენარეები მსოფლიოში 270 ათას ჰექტარზე იყო დათესილი; მიღებული ნედლეულიდან 5 ათასი ტონა ოპიუმში და 30 ტ ჰეროინი აწარმოეს, შესაბამისად უკანონო ბრუნვიდან ამ ტვირთების მხოლოდ 2300 ტ და 11 ტ ამოიღეს.

მაშინ, როდესაც მსოფლიო ეროვნული შემოსავალი წელიწადში 5 ტრილიონი ამერიკული დოლარია და აქედან ერთი ტრილიონი დოლარი შავ ბიზნესს ეკუთვნის, მისი

ნახევარი ნარკობიზნესზე მოდის. სწორედ ასეთმა კოლოსალურმა თანხებმა უბიძგეს დღეს პლანეტაზე მოქმედი ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც მეცნიერულ დონეზე ორგანიზებული უძლიერესი მართვის სტრუქტურებით მუშაობენ, ფლობენ უახლეს ტექნიკურ აღჭურვილობებსა (კოსმიური კავშირის საშუალებათა ჩათვლით) და იერარქიული შიდასტრუქტურული უსაფრთხოების მაღალ დონეს. აქ ორგანიზაციის მეთაურიდან რიგით შემსრულებლამდე, ყველა თავისი საქმისადმი – იარაღზე, სისასტიკესა და უდიდეს ფულად რესურსებზე დაფუძნებული, ფანატიკური ერთგულებით გამოირჩევა.

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს მყარად ჩამოუყალიბდათ ერთი საერთო აზრი, რომელსაც წინამდებარე ნაშრომიც ადასტურებს, რომ მსოფლიოს სამართალდამცავები ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტენ, თუ ნარკოტიკებით მდიდარ ქვეყნებში არ გააქტიურდა თანამიმდევრული დიპლომატიური ინიციატივები, ეკონომიკური ღონისძიებანი, თუ არ გამოიძენა ერთგვარი მატერიალური სტიმულირება ნარკოტიკების მოშენებით დაკავებული გლეხებისათვის, თუ არ განხორციელდა ნარკოტიკების შემცველი მცენარეების სხვა კულტურებით ჩანაცვლების პროგრამები, თუ არ შემუშავდა პრობლემისადმი ახლებურად მიდგომის გზები, განსაკუთრებით ქიმიურ ნივთიერებათა კონტროლის სფეროში, რომლისგანაც წარმოებული სინთეზური ნარკოტიკები ოცდამეერთე საუკუნის სერიოზული ფიქრის საგანი იქნება.

სამართალდამცავთა მუშაობა არ შეიძლება წარიმართოს მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრებში. არსებობს გამოთქმა – *ნარკობიზნესს საზღვრები არა აქვს*. ამიტომ ნარკოკრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა საერთო ძალისხმევით მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენელმა, რომლებშიც ეს ორგანიზაციები მოქმედებენ. ისეთი პოლიტიკა, როდესაც ერთი ქვეყანა ამ სფეროში თავისი საქმიანობით შელახავს სხვა ქვეყნის ინტერესებს და ამით ზიანს მიაყენებს სტაბილურობას მსოფლიოში, *განწირულია!*

სწორედ ამიტომ, ორგანიზებულ დანაშაულს, მათ შორის,

საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სპეცსამსახურების წინაშე დგას ამოცანა – *იმოქმედონ შემტევი სტრატეგიით, ერთიანი სისტემით და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.*

ნაშრომში სწორედ ამ მოვლენების ფონზეა განხილული მთლიანად ევრაზიულ სივრცეში და, მათ შორის, საქართველოშიც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და მოხმარების პრობლემა, რომელიც მკაფიოდ მიგვანიშნებს საქართველოს, როგორც ევრაზიული დერეფნის *საკვანძო* ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე და იმ მოვლენებზე, რომელიც შეიძლება უახლოეს მომავალში ამ სივრცეში განვითარდეს გამაბრუებლების საერთაშორისო კომერციასთან მიმართებით.

მკაფიოდ ჩამომიყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა დაიწყოს მსოფლიოს ქვეყნების აქტიური თანამშრომლობა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელსაც წინ შეიძლება მხოლოდ შეთანხმებული ტრანსნაციონალური იურიდიული თანამშრომლობა აღუდგეს. მსოფლიოს საზოგადოებას ასეთი თანამშრომლობა პირველი მაგალითი 1999 წლის გაზაფხულზე *გერმანიისა და შვეიცარიის* მთავრობებმა მისცეს, რომლის საფუძველიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1998 წლის ისტორიული დოკუმენტია – *კონვენცია ტრანსნაციონალური კრიმინალურ ორგანიზაციების შესახებ.*

ამ პრობლემის შეფასებაში სრულიად ვეთანხმებით გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტს, იუსტიციის დოქტორს ბ-ნ კლაუს ულრიხ კირსტენს, რომელმაც TCO-ს პრობლემა 1999 წლის 1-2 სექტემბერს გერმანიაში, გარმიშში გამართულ კონფერენციაზე სახელმწიფოთაშორისი ეროვნული უსაფრთხოების რანგში აიყვანა.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ასეთი პოლიტიკის ფუძემდებლები არიან ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი *ჯორჯ ბუში* უფროსი და მისი კონგრესი, რომელმაც ორგანიზებული დანაშაულისა და კერძოდ, საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა *ქვეყნის სამართალსა და საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად ჩათვალა* და იგი მრავალწახნაგოვანი მოვლენის ფენომენად განიხილა;

სახელდობრ, როგორც საგარეო ურთიერთობათა პრობლემა, როგორც ზოგადი განათლების პრობლემა, როგორც სამართალდამცავთა პრობლემა, როგორც სამართალშემოქმედებითი პრობლემა, როგორც რესურსების განაწილების პრობლემა, როგორც სოფლის მეურნეობისა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა პრობლემა, როგორც საბანკო პრობლემა, როგორც დაზვერვის პრობლემა, როგორც სამეცნიერო-კვლევითი პრობლემა, დაბოლოს, როგორც ტერორიზმთან დაკავშირებული პრობლემა.

წიგნზე მუშაობამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო კრიმინალური ორგანიზაციების მუქარა უფრო და უფრო საშიში და რეალური ხდება.

დღეს უკვე თვალნათლივ ჩანს თუ როგორ ებრძვიან კოლუმბიური კარტელები მთავრობას ექსტრადიციის პოლიტიკის შეცვლის მიზნით; რაოდენ ტრაგიკული იყო სიცილიური მაფიის გამოსვლა იტალიის სახელმწიფოს წინააღმდეგ, მექსიკური კარტელების ბრძოლა ქვეყანაში კანონის დამკვიდრების წინააღმდეგ. თანდათან თვალშისაცემია რუსული, ბალკანური და კავკასიური კრიმინალური ორგანიზაციების გამოჩენა მთელს პოსტკომუნისტურ სივრცეში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში; უკანონო გზით ნაშოენი ფულის შესაძლო ლეგალიზაციების ოპერაციები და საეჭვო ტრანსაქციების საერთო მოცულობის არნახული ზრდა; და ყველაზე საშინელი – ბირთვულ ნივთიერებათა დატაცების და ტრანსპორტირების გამოაშკარავება.

გარდა ამისა ცხადზე უცხადესია, რომ იტალიური მაფიები, კოლუმბიური და მექსიკური კარტელები, ჩინური ტრიადები, პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების კრიმინალური ორგანიზაციები ნარკოტიკების ტრანსპორტირებისას კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწევიან არა მარტო რეგიონული, არამედ მსოფლიო მასშტაბით;

ასევე შავით თეთრზე წერია, რომ პლანეტის სხვადასხვა ცხელ წერტილებში განვითარებულმა პროცესებმა, ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ორგანიზაციებს კარგი მოსამზადებელი პირობები შეუქმნეს ხელსაყრელი მდგომარეობის მისაღწევად. ეს კი მრავალმხრივ ემუქრება

ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას.

იგი არღვევს ეროვნულ სუვერენიტეტს, ძირს უთხრის დემოკრატიულ სისტემას ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ეს სისტემები საფუძვლიანად და კარგად არის მოწყობილი, ემუქრება დემოკრატიზაციისა და პრივატიზაციის პროცესებს გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში, უფრო ამწვავებს ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორცაა ბირთვული იარაღის გავრცელება, ტერორიზმი და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად სუსტ ქვეყნებში შეიძლება ავტორიტარული რეჟიმის დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემწყობი ფაქტორიც გახდეს.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მასშტაბის ქსელური ორგანიზაციები მოქმედებენ თანამშრომლობისა და შეჯიბრების მუდმივეცვალეზად პირობებში არა მარტო ერთმანეთის, არამედ მთავრობებისა და არასამთავრობო პირთა მიმართაც. ამ ორგანიზაციათა სიმბიოზური დამოკიდებულება კანონიერ საქმონებთან, კანონიერი სავაჭრო ოპერაციებისა და ფინანსურ დაწესებულებათა გამოყენების უნარი, უზარმაზარი საფინანსო შესაძლებლობები, მათ აძლევს მთავრობებისა და კანონდმასრულებელი ორგანოების მოსყიდვისა და კორუფციის უდიდესი მასშტაბებით განვითარების შესაძლებლობებს, ხოლო ხელისუფლებისა და მთავრობათა მცდელობები ამ ორგანიზაციების ლიდერთა შეცვლის თაობაზე, მეთაურების მიმართ ბრადღების წაყენებიდან მოსპობამდე, მათში მხოლოდ შიდადამინაურების შესაძლებლობას განაპირობებს და სრულიად არ ვნებს ორგანიზაციის შიდასტრუქტურების სიმყარეს. თუ კი იგი დაშლილია, ამ შემთხვევაში ეს გამოიწვევს სხვა ორგანიზაციების მიერ უკანონო საქონლისა და მომსახურების ნაკლებობის სწრაფ მოწესრიგებას, მეტოქე ორგანიზაციის მაგალითზე საკუთარი ხარვეზების აღმოფხვრასა და უკანონო კომერციაში გაჩენილი სიცარიელის სწრაფად შევსებას.

მაგალითი: სწორედ ამ გზით მოიპოვა წარმატება კალის კარტელმა მედელინთან ბრძოლაში; როგორც კოკაინის უმძლავრესმა ტრანსპორტიორმა და გაბატონებულმა ძალამ, მან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო მყარი სტრუქტურები და მექანიზმები შექმნა.

საერთაშორისო მაფიოზურ ორგანიზაციებს შორის არსებული ალიანსებით კრიმინალური ორგანიზაციები რამდენიმე სახის რისკის შემცირებას ახერხებენ, კერძოდ: უკანონო ნაწარმის აკრძალვის რისკი, ნედლეულით მომარაგების რისკი, ორგანიზაციის წევრთა დატუსაღების რისკი, ჯგუფის გაფილტვრის რისკი და ბოლოს, რისკი იმისა, რომ მათ შემოსავალს კონფისკაციას გაუკეთებენ.

მაგალითი: კოლუმბიურ კარტელებსა და ნარკოტიკების გადაძვინებულ მექსიკურ ოჯახებს შორის არსებული ალიანსი; დამინტრიგებელი ალიანსი მექსიკელ კონტრაბანდისტებსა და ჩინელ კრიმინალურ ორგანიზაციებს შორის; ალიანსი ნიგერიის ნარკოტიკებით მოვაჭრე ორგანიზაციებსა და კოლუმბიურ კარტელებს შორის.

ახალ ბაზრებზე გასვლის მოტივით სტრატეგიული ალიანსი კოლუმბიელებსა და სიცილიელთა ურთიერთობაში, ასევე მათი ალიანსი ოპერაციებში, რომელთა საშუალებითაც სიცილიელები უკანონო გზით ნაშოვნ ფულის გათეთრებაში კოლუმბიელ მოკავშირეთა სახელით მოქმედებენ; ალიანსი სიცილიელებსა და რუსეთის ზოგიერთ ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებას შორის კვლავ თანხის გაკეთილშობილების მიზნით, სულ უფრო და უფრო მზარდი ალიანსები, პოსტკომუნისტური ქვეყნების დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შორის.

ალიანსი აფრიკულ-ამერიკულ ჯგუფებთან (დომინიკელები, პუერტორიკელები და სხვ.), რომლებიც საცალო ვაჭრობას ეწევიან. ალიანსი კოკაინით კოლუმბიელ და პერონით ნიგერიელ და ჩინელ ბითუმად მოვაჭრეთა შორის.

დაბოლოს, განსაკუთრებული უფლებების მქონე ალიანსები, რომლებიც საერთაშორისო ექსპერტების აზრით უმეტესად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეა დამყარებული და გლობალური კრიმინალური შეთქმულების ნაწილს არ წარმოადგენს.

საერთაშორისო ნარკობიზნესით დაკავებული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ორგანიზაციებად გარდაქმნა მსოფლიოს ქვეყნებს ახალ სერიოზულ ამოცანებს უსახავს:

პირველი – ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო სფეროში

მიმდინარე დინამიური პროცესებისადმი, ადეკვატური, სტრუქტურული, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური მიდგომა;

მეორე – სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის სისტემატური და უფრო ფრთხილი ინტეგრაცია; ტრანს-ნაციონალური საინფორმაციო ბანკის შექმნა;

მესამე – სახელმწიფოთა მთავრობებისა და აღმასრულებელი ხელისუფლებებისათვის ურთიერთთანამშრომლობის ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბება, დამყარებული ინფორმაციისა და მომსახურე პერსონალის უფრო ფართო გაცვლაზე;

მაგალითი: ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის აღმასრულებელი სააგენტოების შედეგიანი თანამშრომლობა, საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლის სფეროში.

მეოთხე – საკანონმდებლო სისტემის ისეთი სრულყოფა, რომელიც შესაძენვეად გააადვილებს საგამოძიებო ოპერატიული ჯგუფების სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებზე საქმიანობას და მკვეთრად გააძლიერებს ბრძოლას მსოფლიოს ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ორგანიზაციებთან;

მეხუთე – ყოველივე ამის საფუძველზე ტრანს-ნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ ისეთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებელს გახდის ეჭვი დაბადოს, უთანხმოება ჩამოაგდოს და შუღლი გააჩინოს ამ ორგანიზაციებს შორის;

მაგალითი: ნარკოტიკებით მომარაგების უფლების წართმევა უნდა წარმოიხინდეს მოლაღატე პარტნიორის შირმის ქვეშ. სტრატეგიის მიზანია ორგანიზაციები ერთმანეთს ისე დაუპირისპიროს, რომ თანამშრომლობა კონკურენციამ შეცვალოს, ხშირ შემთხვევაში კი კონფრონტაციამ და მტრობამ;

მექექსე – მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ უკანონო ბიზნესის საბაზრო სტრუქტურათა წარმატების მქონე სფეროებზე დარტყმით გამოწვეული შესაძლო შედეგები, რათა ერთი ორგანიზაციის დაბლოკვამ სხვების ხელშეწყობა არ გამოიწვიოს, რაც კიდევ უფრო დიდ პრობლემებს შექმნის (გავიხსენოთ კალის კარტელისა და მედელინის დავა, როცა მედელინის დაბლოკვამ შედეგად კალის აღზევება გამოიწვია).

თელასა ზრისი: უმჯობესი იქნებოდა, თუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კოლუმბიის მთავრობები პაბლო ესკობარის ციხიდან გაქცევის შემდეგ უპირველეს მიზნად მის დაჭერას კი არ დაისახავდა, არამედ ესკობარს თავისი მტრების მიმართ კალიში ეფექტური კომპანიის წამოწყების საშუალებას მისცემდა. მედელინის კარტელის დასუსტებით ხელისუფლებამ კალი ნარკოტიკებით მოვაჭრე ყველაზე დიდ ორგანიზაციად გადააქცია კოლუმბიასა და მთელს მსოფლიოში.

ასეთია, ჩვენის აზრით, ნარკომაფიის ფენომენის შესწავლისა და განზოგადოების შედეგები, რომლებმაც ფუნდამენტურად ახალ, ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე მყოფი ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების შექმნასა და საქმიანობამდე მიგვიყვანა, ხოლო მათი პოტენციურ შესაძლებლობათა და სისუსტეების განსაზღვრა მეცნიერთა გადაუღებელი ამოცანაა.

ასე და ამრიგად: თუ დღეს ენობრივი ბარიერის, პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავების, კორუფციის პრობლემის არსებობისა და ფინანსების მუდმივი ნაკლებობის პირობებში ამ პრობლემის წინააღმდეგ სისტემატური მიზანდასახული მუშაობა არ გვაჯანაღვთ და ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო სამართალდამცავი სტრუქტურები ერთიანი მიზნებისათვის მოღვაწე სპეციალისტთა ერთობად – ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და მოხმარების საწინააღმდეგო კოალიციად არ ჩამოყალიბდა, რომლებიც ქვეყნებს შორის საზღვრების არსებობის მიუხედავად ერთიან სამართლებრივ სივრცეში იმოქმედებენ და ეროვნული საგამოძიებო სამსახურების საქმიანობა საერთაშორისო ხასიათს არ მიიღებს, XXI საუკუნის ამ გამოწვევას ვერ დავამარცხებთ!

ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა ნამდვილი გლობალური კონფლიქტია, რომლის ბრძოლის ველი აზიის და აფრიკის ტერიტორიებზეა, ანდების მაღალმთიანეთში, ევროპის, აზიის და ამერიკის ქუჩებშია.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ნარკოტიკების პრობლემის გადასაჭრელად მიმართული ერთობლივი ძალისხმევის მომავალი დღესმოქმედ სამ უნივერსალურ კონვენციაზე,

მსოფლიო და რეგიონალურ პროგრამებზეა დაფუძნებული.

ისინი ის კონსტიტუციური დებულებებია, რომელნიც ამ პრობლემის საწინააღმდეგო იმ საერთაშორისო იურიდიულ სისტემას ქმნიან, რომლის ჩარჩოებშიც უნდა იმოქმედონ მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნებმა, საერთაშორისო სრტუქტურებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა ჩამოყალიბდეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ უნივერსალურიზაციას და საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლის ერთიანი სისტემის შექმნას.

ნაშრომში იმ გამოჩენილი მეცნიერების, სახელმწიფო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა მოსაზრებათა ანალიზის საფუძველზე, რომელთაც მჭიდრო შეხება აქვთ ნარკოტიკების პრობლემებთან, შევეცადე რაც შეიძლება მკაფიოდ ჩამომეყალიბებინა ნარკოპრობლემის გლობალური განზომილებანი, რომელსაც წითელ ზოლად საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა გასდევს.

დღეს უკვე აღარ არის საეჭვო, რომ თავისი სამართალდამცავი სისტემის და იურისდიქციის ფარგლებში ერთ სახელმწიფოს არ ძალუძს დამოუკიდებლად შეაჩეროს და კონტროლს დაუქვემდებაროს ნარკოტიკების გამოყენების, წარმოებისა და ტრანსპორტირების მასშტაბები. მსოფლიოს ქვეყნები ერთად უნდა აღუდგეს წინ ამ ბოროტებას, რომლის წინამძღვრები უკვე არსებობს, გარხორციელება კი ჩვენი ვალია.

ქ ა რ თ უ ლ ი

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ

ასო	სახელწ.	ასო	სახელწ.	ასო	სახელწ.
ა	ან	მ	მან	ღ	ღან
ბ	ბან	ნ	ნარ	ყ	ყარ
გ	გან	ო	ონ	შ	შინ
დ	ღონ	პ	პარ	ჩ	ჩინ
ე	ენ	ჟ	ჟან	ც	ცან
ვ	ვინ	რ	რაე	ძ	ძილ
ზ	ზენ	ს	სან	წ	წილ
თ	თან	ტ	ტარ	ჭ	ჭარ
ი	ინ	უ	უნ	ხ	ხალ
კ	კან	ფ	ფარ	ჯ	ჯან
ლ	ლას	ქ	ქან	ჰ	ჰაე

ლ ა თ ი ნ უ რ ი

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ

ასო	ქართული შესატყვისი	სახელწ.	ასო	ქართული შესატყვისი	სახელწ.
Aa	ა	ა	Nn	ნ	ენ
Bb	ბ	ბე	Oo	ო	ო
Cc	ც, ს, ც	კა, სი, ცე	Pp	პ	პე
Dd	დ	დე	Qq	კ, ქ	კუ, ქუ
Ee	ე	ე	Rr	რ	რ
Ff	ფ	ეფ	Ss	ზ, ს	ეს
Gg	გ	გე	Tt	ტ	ტე
Hh	ჰ	ჰა	Uu	უ	უ
Ii	ი	ი	Vv	ვ	ვე
Jj	ჯ	იოტ	Xx	ქს	იქს
Kk	კ	კა	Yy	ი	იფსილონ (იგრეკ)
Ll	ლ	ელ	Zz	ზ, ც	ზეტა (ზეტ)
Mm	მ	ემ			

ბიბლიოგრაფია

- ათას ერთი ღამე ათას ერთი ღამე *რჩეული ნოველები* (ზღაპრები), ტ. I-II, გალიმარი, კლასიკური ფოლიო, ფრანგ. ენაზე, პარიზი, 1991წ.
- აისნერი, *კოლუმბ მოკლეს ჰე* აისნერი პეტერ, *კოლუმბიაში მოკლეს კოკაინით მოუჭრე პაბლო ესკობარი*, ინგლ. ენაზე, მაიამი, დეკემბერი, 1993წ.
- ალექსანდერი, *პიცას კ.* ალექსანდერი, *პიცას კემპირები: ადვოკატები, ფული, ნარკოტიკები, მფთა*, ინგლ. ენაზე, ვაიდენფელდი და ნიკოლსონი, ნიუ-იორკი, 1988წ.
- ალექსიძე, *თანამედრ. ს/ს* ალექსიძე ლ., *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი*, თბილისი, 1998წ.
- ლ'ანსიენ, *ბუნებრ. ისტ.* ლ'ანსიენ პლინ, *ბუნებრივი ისტორია*, ფრანგ. ენაზე, ანდრეს თარგმანი, ლე ბელ ლეტრი, პარიზი, 1965წ.
- არიეტა, *ნარკოტ. კოლუმბ.* არიეტა ჯ., ორიუელა ლ., სარმიენტო ე., ტოკატლიანი ფ. — *ნარკოტრანშიტი და ნარკოვაჭრობა კოლუმბიაში: პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო სამართალი*, ესპ. ენაზე, ოუნიანდეს გამოცემა, ბოგოტა, 1991წ.
- არლაკი, *მფთა და კავშ.* არლაკი პ., *მფთა და კავშირები*, ფრანგ. ენაზე, გრენობლის უნივერსიტ. გამოცემა, დელ ფონრო, 1986წ.
- არლაკი, *სინდისგარეცხილი* არლაკი პ., *სინდისგარეცხილი ადამიანები — ნაკვები*, ფრანგ. ენაზე, ალბენ მიშელი, პარიზი, 1992წ.
- აღმ. რვეულები, *ისლამი არ მომკვდარა* აღმოსავლეთის რვეულები: კვლევითი მასალების მიმოხილვა არაბული და ისლამური სამყაროს შესახებ: *ისლამი არ მომკვდარა*, ფრანგ. ენაზე, №27, 1992წ.
- აღმ. რვეულები, *აგენტი გ.* აღმოსავლეთის რვეულები: კვლევითი მასალების მიმოხილვა არაბული და ისლამური სამყაროს შესახებ, *ალოირი: აგენტი ჯოჯოხეთში*, №36-37, 1994წ.
- აშრაფი, *საძილე* აშრაფი მ., *საძილე საშუალებების ბიოლოგიკად გამოყენების საშიშროება ჰაკისტანში*, ინგლ. ენაზე, ჰაკისტანის ნარკოკონტროლის საბჭო, ისლამაბადი, 1987წ.
- ბადენბერგი *ნარკოპოლიტ. პაკ. და ავღ.* ბადენბერგი დ., *ნარკოპოლიტიკა ჰაკისტანსა და ავღანეთში, კომუნიკაციები მსოფლიო ნარკოკოპოლიტიკაში*, ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, ფრანგ. ენაზე, პარიზი, 1992წ.

- ბაღენბერგი, *საძ. ს.ძ. პაისტ.* ბაღენბერგი დ., *საძლე საშუალებების არაღლეალური წარმოება პაისტანში*, ინგლ. ენაზე, ისლამაბადი, 1994წ.
- ბაზენი, *თურქოფონული* ბაზენი ლ., *თურქოფონული ხალხები ევრაზიაში. დიდი ეთნოლინგვისტური ექსპანსია*. ფრანგ. ენაზე, იბ. პეროლოტე: გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მიმოხილვა, ენების გეოპოლიტიკა, №42, პარიზი, 1986წ.
- ბანერი, *ავლ. შორის* ბანერი ა., *ავლანელთა შორის*, ინგლ. ენაზე, დარპემი, დიუკის უნივერსიტ. გამომც., ლონდონი, 1987წ.
- ბარდი, *ჩინელები შინ* ბარდი ე., *ჩინელები შინ*, ინგლ. ენაზე, ნიუნესი, 1901წ.
- ბასკოპე ასპიაზუ, *კ/კ ბოლ.* ბასკოპე ასპიაზუ რ., *კოკა და კოკაინი ბოლივიაში*, ინგლ. ენაზე, გამომცემ. აკი, 1982წ.
- ბახმანი, *შინური დრაკ.* ბახმანი ს., *კოპელი ა., შინური დრაკონი (გველუშაძი), აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საოცარი კავშირების ორი საუკუნე*, ფრანგ. ენაზე, პარიზი, ალბენ მიშელი, 1989წ.
- ბენსუსანი, *ოპიუმი ზ/შ* ბენსუსანი ე., *ოპიუმი, ზოგადი მიმოხილვა: ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, წარმოება, მოხმარება, ეკონომიკური, სოციალური და საკანონმდებლო ნარკვევები*, ფრანგ. ენაზე, ვეოფრერი, პარიზი, 1946წ.
- ბერიჯი, *ოპიუმი და ხალხ.* ბერიჯი ვ., *ოპიუმი და ხალხი: ოპიატების გამოყენება XIX საუკუნის ინგლისში*, ინგლ. ენაზე, იელის უნივერსიტეტ. გამომც., 1987წ.
- ბეტანკური, *კონტრ. და მფ.* ბეტანკური დ., გარსია მ., *კონტრაბანდისტები და მფიოზები, კოლუმბიური მაფიის სოციალური ისტორია*, ესპ. ენაზე, ბოგოტა, 1994წ.
- ბექერი, *იავას ფლორა* ბექერი ს., ბექუიზენი რ., *იავას ფლორა*, ტ. I, ინგლ. ენაზე, გრონიგენი, 1963წ.
- ბიზიუ, *კონტრაბანდისტები* ბიზიუ ი., *კონტრაბანდისტები და თაღლითები, რეპრესიები მონოპოლიაში*, ფრანგ. ენაზე, სადოქტ. დისერტ., პარიზი, 1994წ.
- ბიტი, *კ/კ ბანკები* ბიტი ე., ქეანი ს., *კანონგარეშე ბანკები*, ინგლ. ენაზე, ნიუ-იორკი, 1993წ.
- ბლოკი, *ომებს შორის* ბლოკი ა., *ომებს შორის ევროპული ნარკოტრანზიტი და ნარკოვაჭრები; პოლიტიკური ზეწოლა, განადგურება და მისი შედეგები*, ინგლ. ენაზე, Social History, ზამთარი, 1989წ.

- ბოიზი, *ოპ. ველი* ბოიზი ჯ., პირამანი ს., *ოპიუმის ველი*, სურიონგ ბუქ სენტა, 1991წ.
- ბრეკლერი, *კოკა* ბრეკლერი ვ., *კოკა, კოკაინი და ალორძინება* – თანამშრომლობა ბოლივიასთან, ფრანგ. ენაზე, COTA.პრიუსელი, 1988წ.
- ბრიერი, *ლიბ. – დაუსკ.* ბრიერი ს., *ლიბანი – დაუსკელი ღია ომები, 1920-1985წწ.*, ფრანგ. ენაზე, რამსეი, პარიზი, 1985წ.
- ბრიუთონი, *მაფია* ბრიუთონი ფ., *მაფია, CIA და ჯორჯ ბუში*, ინგლ. ენაზე, ნიუ-იორკი, ბუქსი, 1992წ.
- ბრიტ. ტერიტ. წყლ. ატლ.* ბრიტანეთის ტერიტორიული წყლების ატლასი, ინგლ. ენაზე, პორტერის გამოცემა, რუთლეჯი, ლონდონი, 1994წ.
- ბუთი, *ტრიადები* ბუთი მ., *ტრიადები: ჩინელთა კრიმინალური სამბო*, ინგლ. ენაზე, ლონდონი, 1990წ.
- ბუკო, *ომის გამგ.* ბუკო ა., ბირმა: *ომის გამგებლები*, ლ'არმატანი, ფრანგ. ენაზე, პარიზი, 1985წ.
- ბუსტანი, *პირველი* ბუსტანი ა., რედ., *პირველი ფრანკო-ლიბანური კოლოკიუმები: მოსხლეობის მომართვა, დავიცვათ იგი ფსიქოტროპული ნივთიერებებისგან*, ფრანგ. ენაზე, მოხსენება, ბეირუთი, 1992წ.
- ბუსტანი, *ხელოვნ. სამოთხ. ისტ.* ბუსტანი ა., რედ., *ხელოვნური სამოთხეების ისტორია: ომისა და მშვიდობის ნარკოტიკი*, ფრანგ. ენაზე, აშტი, პარიზი, 1993წ.
- ბუტელი, *ერთი მოხიბვლის ისტ.* ბუტელი პ., *ერთი მოხიბვლის ისტორია*, ფრანგ. ენაზე, პერენი, პარიზი, 1995წ.
- ბუფლი, *ფული* ბუფლი ფ., *ფული და შვეიცარიული ბანკები*, იხ. ა. ლაბრუსი, ა. ვალონი: *ნარკოტიკების პლანეტა*, სეილი, პარიზი, 1993წ.
- გაბიანი, *დანაშ. გეოგრ. ზ/ს* გაბიანი ა., *ნარკოტიკში გუშინ და დღეს. საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრი*, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988წ.
- გალანი, *იღუმტალი მოსაწ.* გალანი ფ., *იღუმტალი მოსაწვეი: იყო და არა იყო რა, იყო კანაბისი*. ფრანგ. ენაზე, ლეზარეს გამომც., პარიზი, 1992წ.
- გოლფენი, *ჩინეთი* გოლფენი ფ., *ჩინეთი და მისი მოსხლეობა*, ფრანგ. ენაზე, ბრიუსელი, 1982წ.

- გრი. ნაპოვნია გრი სლამუს მაქ, პაულო ლიმა, ლაურა ბერნარდტი, ფორმერ მობსტერი, ნაპოვნია ჩამომხრჩვალნი გათიშეილი, ინგლ. ენაზე, თუღეიზ ნიუზ, ნიუ-იორკი, მისი, 1996წ.
- გრინი. კონტრაბანდისტები გრინი ტიმოთი, კონტრაბანდისტები, ინგლ. ენაზე, თუღეიზ ნიუზ, 26 მისი, გვ. 9, ნიუ-იორკი, 1996წ.
- გრინი, ნარკ. კურ. გრინი ტიმოთი, ნარკოტიკების კურიერები (გადამზიღები), ინგლ. ენაზე, ლონდონი, 1991წ.
122. რენსელაერ ლ. III და სკოტ მაკდონალდი - *ნარკოტიკები პოსტკომუნისტურ სივრცეში*, ინგლ. ენაზე, სან ფრანცისკო, ოქსფორდი, 1994 წ.

123. საბაჟო კოორდინაციის საბჭო: *საბაჟო და ნარკოტიკები - 1993წ.*, ინგლ. ენაზე, ბრიუსელი, 1994 წ.

124. საერთაშორისო იურიდიული საკანონმდებლო აქტების დეტალური ანალიზისათვის იხ. *ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის კანონმდებლობის ასპექტები საერთაშორისო ნარკოკომერციის გლობალური მასშტაბების შესახებ: OAS DOC OEA.SER K/XXX.1, CEIN (doc 9), 1986 წ.*

125. სენატორები ჯ. ქენი და პ. ბრაუნი, *BCCI ბანკის საქმე*, მოხსენება აშშ სენატის საგარეო საქმეთა კომისიისათვის, ინგლ. ენაზე, ვაშინგტონი, 1993 წ.

126. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებით და დამატებებით, გამომც. "სამართალი", თბილისი, 1997 წ.

127. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს იუსტიციის

სამინისტრო. საკანონმდებლო მაცნე, თბილისი, 1999 წ.

128. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა, პრეკურსორების, ძლიერმოქმედ ნივთიერებათა და შხამების სიები, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისი, 1999 წ.

129. საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების საგამოძიებო სამსახურების ინფორმაცია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო პრაქტიკის შესახებ (1995 - 1999 წწ.), თბილისი, 1999 წ.

130. საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლოების ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პრაქტიკის განხილვა, თბილისი, 1999 წ.

131. *საქართველოს კონსტიტუცია*, საქართველოს პარლამენტის გამოცემა, თბილისი, 1995 წ.

132. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო, *ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები 1995-2001 წლებში*.

133. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა, თბილისი, 1999 წ.

134. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2000 - 2009 წწ.), პროექტი, თბილისი, 1999 წ.

134. სატრანზიტო ტვირთში საეჭვო ქიმიკატების იდენტიფიკაციის მეთოდები, სპეცმასალა, მოსკოვი, 1998 წ.

135. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, *ნარკოტიკების ევროპული მარშრუტები*, რომის კონფერენციის მასალები, ფრანგ. ენაზე, 27-28 მაისი, 1993 წ.

136. *სიკედილის გზა ჩეჩნეთის პრეზიდენტზე გადის*, რუს. ენაზე, „კომს. პრავდა“, 5 მაისი, 1996 წ.

137. ტერორიზმის ქსელი. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი. *თავდასხმა ცივილიზებულ სამყაროზე. ვაშინგტონი*, 2002წ.

138. სტატისტიკური მონაცემები *ნარკოტიკულ საშუალებათა ექსპორტ-იმპორტის*

შესახებ, ვენის ინტერნაციონალური ცენტრი, II გამოცემა, ნოემბერი, 1990 წ.

139. საერთაშორისო სემინარი *ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და მისი პროფილაქტიკის (თავიდან აცილების) საკითხებზე*, აარონის საერთაშორისო მომზადების ცენტრი, *მშობელთა კლუბის პროექტი – „კარგი მომავლისათვის“*, მაშავი, იერუსალიმი, 1997 წ.

140. უილიამსი ჯ., *პარი ენსლინგერი და ნარკოტიკების ფედერალური ბიურო*, 1930 - 1962 წწ, ინგლ. ენაზე, ნიუ იორკი, დელავერის უნივერსიტეტის გამოცემა, 1990 წ.

141. უოლკერი ო., უილიამ III, *ოპიუმი და საგარეო პოლიტიკა: ინგლისურ-ამერიკული ძიება ჩრდილო აზიაში*, 1912 - 1954 წწ., ინგლ. ენაზე, ჩრდ. კაროლინის გამომც., 1991 წ.

142. უოლკერი ო., უილიამ III, *ნარკოტიკების საგარეო პოლიტიკა XX საუკუნეში*, ანალიტიკური მასალა, ინგლ. ენაზე, სან ფრანცისკო, 1994 წ.

143. ფარა დუგლას, *კოლუმბიაში ნარკოტიკების გავრცელება შენელდა, კალის კარტელი ამეკებს მედეღინს*, ინგლ. ენაზე, ვაშინგტონ პოსტი, სექტემბერი, 1993 წ.

144. ფრანკი ტ., ვაისბანდი ე., *კონგრესის საგარეო პოლიტიკა*, ინგლ. ენაზე, ნიუ იორკი, ოქსფორდის უნივერსიტ. გამომც., 1979 წ.

145. შემეტოვი ი., ტროფიმოვი ა., *ნარკობიზნესი: დანაშაული და სასჯელი ამერიკულად; ყველაზე თავისუფალი ქვეყნის ყველაზე დრაკონული კანონები*, რუს. ენაზე, „სეგოდნია“, 14 მაისი, 1996 წ.

146. შენონი ელეინ, *კოკას ახალი მეფე*, ინგლ. ენაზე, ტაიმსი, 1 ივლისი, 1991 წ.

147. შერმანი არნოლდ, *როგორ შევარჩიოთ ოფშორული ზონის კანონი*, ინგლ. ენაზე, გამომც. „მანიფესტი“, 1994 წ.

148. ჩებაკოვა ტ., *ნარკომაფია ხსნის ბინძური ბიზნესის მათუღხლართებს*, „როს. გაზეთა“, რუს. ენაზე, 24 აპრილი, 1992 წ.

149. ცნობარი – *ოფშორული ზონები და ტრასტული კანონმდებლობა*, ინგლ. ენაზე, იანვარი, 1992 წ.

150. ჯანაშია ჯ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, *საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლის გეოპოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები*. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი. 2001 წ.

151. ჯანაშია ჯ., *სამართალდამცავი ორგანოების პროფილაქტიკური საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის პრინციპები*, რუს. ენაზე, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ბიულეტენი – პროფილაქტიკა და კანონდარღვევები, გამოშვება 13, მოსკოვი, 1982 წ.

152. ჯანაშია ჯ., *სამართალდამცავი ორგანოების პროფილაქტიკური საქმიანობის ხელმძღვანელობის პრინციპები*, მეთოდური რეკომენდაციები, კრიმინოლოგიის კურსის შესწავლისათვის, რუს. ენაზე, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მოსკოვი, 1983 წ.

153. ჯანაშია ჯ., *ნარკომანიის მიზეზით ჩადენილ დანაშაულობასთან ბრძოლის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები*, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიულეტენი №2, თბილისი, 1988 წ.

154. ჯანაშია ჯ., *ნარკომანია და რეკონალური თავისებურებანი*, რუს. ენაზე, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ტაშკენტის საკავშირო სამეცნიერო – ტექნიკური კონფერენციის მასალები. ტაშკენტი, 1989 წ.

155. ჯანაშია ჯ., *ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. საერთაშორისო ნარკობმზნეხის - ტრანსნაციონალური დანაშაული და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხები. ინგლისურ ენაზე*. თბილისი, პირველი კვარტალი, 2001 წ.

156. ჯანაშია ჯ., „ნარკოტიკები დროსა და სივრცეში“ ჟურნალი „ქანუნ“ № 6 ქ. ბაქო, აგვისტო, 2001 წ.

157. ჯანაშია ჯ., *ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. ქართული სამართლის მიმოხილვა. ნარკოტიკებზე საერთაშორისო სამართლებრივი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება. ინგლისურ ენაზე. შესამე-მეოთხე კვარტალი*, თბილისი, 2001 წ.

158. ჯონსონ სტელნი ჰორნბეკი, *ჯონსონ ნელსონის საქმე*, ხელნაწერთა განყოფილება, ინგლ. ენაზე, აშშ კონგრესის ბიბლიოთეკა, 31 მაისი, 1934 წ.

159. *შვეიცარიამ უკანონო ფულის ლეგალიზებაზე კონტროლი გაამკაცრა*, ნიუ-იორკ ტაიმსი, ფ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა, №6, თბილისი, 1999 წ.

160. ჰალსდემირი ო., *ნარკოტიკებიდან ამოღებული ფულის გათეთრება. დიდი სისწრაფით აღმასვლა თურქეთში და თურქეთის მიერ ოკუპირებულ კვიპროსზე*, ინგლ. ენაზე, დელი ნიუსი, აპრილი, 1977 წ.

საცნობარო ლიტერატურა

- მიუგ. იმპ. ატ. — აბიბი ს., *მიუგალის იმპერიის ატლასი*: პოლიტიკური და ეკონომიკური რუკები შენიშვნებითა და ინდექსით, ოქსფორდის უნივერსიტ. გამოც., ინგლ. ენაზე, ნიუ-იორკი, 1986 წ.
- სახელების
ორთ. ლექს. — *ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი*, თბილისი, 1985 წ.
- ინტ. კავშ. ატლ. — ბონიფასი პ., *ინტერნაციონალური კავშირების ატლასი*, დიუნო, ფრანგ. ენაზე, ინტერნაციონალურ და სტრატეგიულ ურთიერთობათა ინსტიტუტი (IRIS), პარიზი, 1993 წ.
- უცნ. სახ./ტერმ. — გილიაროვსკი რ. და სხვ., *უცნობი სახელები და ტერმინები რუსულ ტექსტში*, რუს. ენაზე, III გამოც., მოსკოვი, 1985 წ.
- დ./ს./ე — *დიდი საბჭოთა ენციკლოპედია*, რუს. ენაზე, III გამოც, ტტ. 1-30, მოსკოვი, 1969-1978 წწ.
- ძირ. ატლ. — ვიდალ-ლაბლაში, *ძირითადი ატლასი*: ისტორია და გეოგრაფია, ფრანგ. ენაზე, აკოლენი და სი, პარიზი, 1898 წ.
- თან. ქართ. სალიტ. — *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები*, II გამოც., ქართული ენციკლოპედია, თბილისი, 1986 წ.
- ქართ. ენის
ორთ. ლექს. — თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., *ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი*, II შვეს. გამოც., განათლება, თბილისი, 1998 წ.
- ინგლ. - რუს.
ლექს. — *ინგლისურ-რუსული ლექსიკონი*, III შვეს. და შვესწ. გამოც., მოსკოვი, 1987 წ.
- იურ. ენციკლ. — *იურიდიულ ენციკლოპედიური ლექსიკონი*, II გამოც., „სოვეტსკ. ენციკლ.“, რუს. ენაზე, მოსკოვი, 1984 წ.
- ახ. მსოფლ. ატლ. — კიდრონი მ., სევალი რ., *ახალი მსოფლიო ატლასი*, ფრანგ. ენაზე, გამომც. „ოტრემანი“, პარიზი, 1992 წ.
- მსოფლ. ეკ. — კროზე ი., *მსოფლიო ეკონომიკა 1985 წლიდან დღევანდლამდე*, რუს. ენაზე, მოსკოვი, 1996 წ.

- ნარკ. მსოფლ. ატლ. — *კუტუზისი მიშელ, ნარკოტიკების მსოფლიო ატლასი, ფრანგ. ენაზე, ნარკოტიკების გეოპოლიტიკური ობსერვატორია, საფრანგ. უნივერსიტ. გამომც., პარიზი, 1996 წ.*
- მართლწესრიგის სტატისტიკა — *მართლწესრიგის სტატისტიკა, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 1999 წ.*
- მსოფლ. ისტ. დიდი ატლ. — *მსოფლიო ისტორიის დიდი ატლასი, ფრანგ. ენაზე, უნივერსალური ენციკლ., ალბენ მიშელი, პარიზი, 1979 წ.*
- რუს. ენის ლექს. — *ოფეგოვი ს., რუსული ენის ლექსიკონი, XIV გამომც., რუს. ენაზე, მოსკოვი, 1983 წ.*
- ორგანიზ. დანამ. ენციკლ. — *ორგანიზებული დანაშაულის ენციკლოპედია, ფრანგ. ენაზე, პარიზი, 1991 წ.*
- მსოფლ. ეკ. და სოც. გეოგრ. — *ჟღენტი მ., ხარიტონაშვილი ჯ., მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, თბილისი, 1999 წ.*
- რუს.-ქართ. ლექს. — *რუსულ-ქართული ლექსიკონი, III შესწ. და შესწ. გამოცემა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983 წ.*
- საბჭ. ენციკლ. ლექს. — *საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი, რუს. ენაზე, მოსკოვი, 1986 წ.*
- სსრკ გეოგრ. სახ. ორთ. ლექს. — *საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1987 წ.*
- საზღვ. ქვეყნ. გეოგრ. სახ. ლექს. — *საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, რუს. ენაზე, მოსკოვი, 1986 წ.*
- საზღვ. ქვეყნ. გეოგრ. სახ. ორთ. ლექს. — *საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1989 წ.*
- სასამართლო სტატისტიკა — *სასამართლო სტატისტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 1999 წ.*
- საქ. გეოგრ. სახ. ორთ. ლექს. — *საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1987 წ.*

საცნობარო ლიტერატურა

- სელიე ჟ., სელიე ა. — *აღმოსავლეთ ხალხების ატლასი: შუა აღმოსავლეთი, კავკასია, ცენტრალური აზია, ფრანგ. ენაზე, დეკუვერტი, პარიზი, 1993 წ.*
- უცხო სიტყ. დ./ლექს. — *უცხო სიტყვათა დიდი ლექსიკონი*, გერმ. ენაზე, ლა-იპციგი, 1980 წ.
- უცხ. სიტყვ. ლექს. — *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*, მ. ჭაბაშვილის რედ., III შესწ. და შევს. გამოცემა, განათლება, თბილისი, 1989 წ.
- უცხ. პირთ. სახ. — *უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი*, ქართული ენციკლოპედია, თბილისი, 1989 წ.
- ფრანგ.-რუს. ლექს. — *ფრანგულ - რუსული ლექსიკონი*, VI შესწ. და შევს. გამოც., მოსკოვი, 1971 წ.
- ფრანგ. შემოკლ. ლექს. — *ფრანგული ენის შემოკლებათა ლექსიკონი*, კპარჩევსკის რედ., ფრანგ. და რუს. ენებზე, მოსკოვი, 1968 წ.
- ევრ. ფრაგმენ. — *ფუშე მ.. ევროპული ფრაგმენტები*, ფრანგ. ენაზე, ფეიარი, პარიზი, 1993 წ.
- ქართ. ენის განმარტ. ლექს. — *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტტ. I-8, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1950 წ.
- ქართ. ენის განმარტ. ლექს. — *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ერთტომეული, თბილისი, 1986 წ.
- ქართ. საბჭ. ენციკლ. — *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტტ. I-II, თბილისი, 1975-1987 წწ.
- გეოსტრ. ატლ. — *შალიანი გ., რაჟო შ., გეოსტრატეგიული ატლასი: ძალთა გეოპოლიტიკური თანაფარდობა მსოფლიოში*, ფრანგ. ენაზე, გამომც. „კომპლექსი“, ბრიუსელი, 1991 წ.
- დიასპ. ატლ. — *შალიანი გ., რაჟო შ., დიასპორათა ატლასი*, ფრანგ. ენაზე, ოდილ ჟაკობი, პარიზი, 1991 წ.
- ორგანიზ. დანაშ. მსოფლ. ენციკლ. — *ორგანიზებული დანაშაულის მსოფლიო ენციკლოპედია — როდრიგეს გაჩა, ხოსე გონზალო, (aka: El Mexicano) prom, 1984-1986; col.*

ტირმინთა ბანმარტიბანი

- აბები – ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე, ბურთულის სახით დოზირებული ოდენობა, რომელიც მიღებულია ფარმაცევტული მასალისათვის ცილინდრული ფორმის მიცემით და შემდეგ ცალკეულ დოზებად დაყოფით.
- აბსორბცია – შთანქმა, შეწოვა, შესრუტვა.
- აბსტინენცია – ნარკოტიკის ან მაგარი სასმელების მიღებისაგან თავშეკავება; სქესობრივი თავშეკავება.
- აგენტი – სახელმწიფოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმომადგენელი, რწმუნებული; სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომელი, რომელიც ასრულებს მათ დავალებებს.
- აგრეგატი – სხვადასხვა ნაწილის ან საგნის მექანიკური შენაერთი.
- ადაპტაცია – შეგუება, შეწყობა; ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან არსებობის შესანარჩუნებლად.
- ადეკვატური – სრული შესატყვისი, სრული შესაბამისი.
- ადმინისტრაციული – აღმასრულებელი ან სამართალდამცავი ორგანოების განკარგულებით მომხდარი, მიღებული გადაწყვეტილება (ადმინისტრაციული სასჯელი).
- ადრესატი – პირი, რომელსაც ეგზავნება წერილი, დეპეშა და მისთ; პირი, ვის სახელზეც ადრესია შედგენილი.
- ავანგარდი – რაიმე საზოგადოების, ჯგუფის, კლასის მოწინავე ნაწილი.
- ავანტიურისტი – უპერსპექტივოდ, რეალური ძალებისა და პირობების გაუთვალისწინებლად შემთხვევითი წარმატების იმედით საქმის წამომწყები.
- ავტოქთონური – ადგილობრივი წარმოშობის ძველისძველი მკვიდრი, მოსახლეობა.

- აზიური დრაკონი – ასე იწოდებოდნენ ქვეყნები, რომლებიც ნარკობიზნესის მბრუნავ ლერძებს წარმოადგენდნენ აზიაში.
- ათპარვაველა – ერთ-ერთი ოთხ წმინდა წიგნთაგანი.
- აკურატული – ზუსტად შემსრულებელი, წესიერი (აღამიანი); კარგად გაკეთებული, სუფთა (ნამუშევარი).
- ალიანსი – კავშირი, გაერთიანება (საერთაშორისო) მაგ., კოოპერაციული ალიანსი. დანაშაულებრივი ალიანსი (აქ).
- ალკალოიდები – მცენარეული წარმოშობის ტუტისებური ორგანული ნივთიერებანი; მცირე დოზებით იყენებენ მედიცინაში, გამოირჩევიან ძლიერი ფიზიოლოგიური მოქმედებით.
- ალტერნატივა – რამდენიმე ერთმანეთის საპირისპირო შესაძლებლობა, ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა.
- ამინისტები – მეამბოხენი ბირმაში ბუდიზმის წინააღმდეგ.
- ამპულა № 4 – მაღალი სიწმინდის მორფინი პერმეტულად დახურულ მინის პატარა ჭურჭელში.
- ანალგეტიკები – საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ტკივილგამაყუჩებლად, აღქმის დაურღვევლად.
- ანალოგები – აქ: „ნარკოტიკები შეკვეთით“; მათ არსებული ნარკოტიკის მსგავსი სტრუქტურა და ოდნავ განსხვავებული მოლეკულური ფორმულა გააჩნიათ.
- ანალოგია – მსგავსება საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს შორის.
- ანალოგიური – რაც რისამე ანალოგიას წარმოადგენს.
- ანარქია – უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი; მთავრობის არარსებობა.
- ანდრაგატოს – გულადი აღამიანი, აქედან მაფიოზური ორგანიზაციის სახელწოდება იტალიაში *ნდრანგეტა*.
- ანკეტირება – გამოძიება, კანონით დადგენილი პროცედურა.

- ანონიმური – ხელმოუწერიელი, უსახელო (წერილი, თხზულება).
- ანტიგენი – ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში შეყვანისას წარმოქმნის ანტისხეულებს.
- ანტიკური – ძველი ბერძნული ან რომაული (*კულტურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი წყობა და ა.შ.*); ის რაც სილამაზით და მოხდენილობით ანტიკურ ქანდაკებებს მოგვაგონებს (მაგ: სახის ნაკეთები).
- ანტისანიტარია – უსუფთაობა, სიბინძურე.
- აპლიკაცია – ნახატის, ორნამენტის შექმნა სხვადასხვა ფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით.
- აპოგეა – რისამე განვითარების, აღგზნების უმაღლესი წერტილი; აყვავება.
- არაადეკვატური – ადეკვატურის საპირისპირო მნიშვნელობა.
- არაორდინარული – აქ: უჩვეულო, გამონაკლისი ქცევა ან მოქმედება.
- არბიტრი – მედიატორი, შუაგაცი მოდავე მხარეთა შორის; მთავარი მსაჯი.
- არგუმენტი – საბუთი, რომელიც მოჰყავთ რისამე დასამტკიცებლად.
- არეალი – რაიმეს გავრცელების არე ღეღამიწის ზედაპირზე.
- არსენალი – სამხედრო იარაღისა და საჭურვლის საწყობი; რისამე დიდი რაოდენობა, მარაგი.
- არტერია – სისხლძარღვი, რომელიც გულიდან სისხლს აწვდის სხეულის ყველა ორგანოს; იტყვიან ქვეყნის მიმოსვლის გზებზეც.
- ასკეტიზმი – რელიგიური მოძღვრება, რომელიც ქადაგებს უკიდურეს თავშეკავებას, სხეულის დათრგუნვას და ამ გზით *ზნეობრივი სრულყოფის* მიღწევას; უარის თქმა ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე.

ტერმინთა განმარტებანი

ასპექტი	– შეხედულება, თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს და სხვ.
აუდიტორული (ორგანიზაცია)	– სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ იურიდიულ პირთა საფინანსო-საბუღალტრო ანგარიშების შემოწმებელი ორგანიზაცია, რომელსაც სახელმწიფოსგან მიღებული აქვს შესაბამისი უფლებამოსილების სერტიფიკატი და ემორჩილება მხოლოდ კანონს; აუდიტორული ორგანიზაციის მიერ იურიდიული პირის საფინანსო ბალანსის შემოწმება.
ატაშე	– წარმომადგენელი, წარგზავნილი.
ატრიბუტი	– საგნის ან მოვლენის ძირითადი არსებითი თვისება; რისაშე დამახასიათებელი ნიშანი.
აქსელერაცია	– ბეშეთა და მოზარდთა სქესობრივი მომწიფებისა და სიმაღლის მომატების (ან გონებრივი განვითარების) დაჩქარება.
აქსიომა	– თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; დებულება, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას.
აქტუალური	– თანამედროვეობისათვის დიდად მნიშვნელოვანი; საჭირობოროტო.
აქცენტირება	– რაიმე იღვის ხაზგასმა.
აქციონერი	– აქციების მფლობელი, სააქციო წამოწყების მონაწილე; რაიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება.
აშკენაზი	– ევროპელი ებრაელები.
ბაზუკო	– კოკაინის ნედლეულით „შეკეთებული“ სიგარეტი.
ბაკუტოები	– აქ: პროფესიონალი მოთამაშეები.
ბალანსირება	– წონასწორობის დაცვა.

- ბანდეროლი – საფოსტო გზავნილი, რომელსაც ქალაქი აქვს შემოკრული.
- ბარბიტურატი – სამკურნალო ნივთიერება, აქვს ძილისმომგვრელი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო და ნარკოტიკული მოქმედება.
- ბარელიეფი – სკულპტურულიგამოსახულება, რომელიცამოხურცულია ბრტყელ ზედაპირზე თავისი მოცულობის ნახევარზე ნაკლებად.
- ბარიერი – დაბრკოლება, რომელიც უნდა გადალახონ (მაგ., სპორტსმენებმა); მოაჯირი; რაიმე მოქმედების შემაფერხებელი გარემოება.
- ბაზუსი – რომაულ მითოლოგიაში ღვინის, დროსტარების, მხიარულების ღმერთი (ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება *დიონისე*).
- ბიბლიოგრაფია – მეცნიერულად სისტემატიზებული აღწერა და აღწერა წიგნებისა.
- ბიჰევიალური – ფსიქოლოგიის ობიექტად მიჩნეული გარემოებად გამოვლენილი ქცევა.
- ბლოკადა – მტრული ქვეყნების მიერ რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკური ან ეკონომიკური იზოლაცია მასზე პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით; რომელიმე ორგანოს ან სისტემის ფუნქციის გამოთიშვა.
- ბორიოკუდანი – აქ: იაპონიაში მაფიოზური *იაკუზემის* შეცვლილი სახელწოდება 1992 წლიდან.
- ბუდიზმი – რელიგია, რომელიც წარმოიშვა ძვ.წ. VI საუკუნეში ინდოეთში და გავრცელდა ტიბეტში, მონღოლეთში, ჩინეთში, იაპონიასა და აღმოსავლეთის ზოგ სხვა ქვეყანაში.
- გამა – აქ: ტონების, ჩრდილების, ფერების ცვლის მრავალფეროვნება ან თანამიმდევრობა.

- გამჭოლი — (საზღვრები) ღია, მყიფე; (ქარი) ორპირი, გამკრაავი; (ორგანიზაცია) გამჭვირვალე.
- გამჭსნელები — სითხეები, რომლებიც გასახსნელ ნივთიერებებს ხსნიან, უკეთებენ მას ექსტრაქციას, გამოყოფენ მისი შემადგენლობიდან სხვა მყარ ნივთიერებებს მისი ქიმიური შედგენილობის შეუცვლელად.
- განგსტერი — აქ: კალიფორნიელი მაფიოზი; აშშ-სა და სხვა ქვეყნებში ბანდიტური ბრბოს მონაწილე, ბანდიტი.
- გარანტია — პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რისამე წარმატებას; საწინდარი.
- გენეზისი — წარმოშობა, წარმოქმნა.
- გენერატორი — წარმომშობი; მანქანა, რომელიც მექანიკურ ენერგიას ელექტრულ ენერგიად გარდაქმნის.
- გენერაცია — ცხოველების, მცენარეების, მინერალების ერთი გვარის ან სახეობის ყველა წევრი; წარმოშობა, გაჩენა.
- გერილია — შეიარაღებული რაზმები პერუში.
- გლობალური — საერთო, მთლიანი, ერთად აღებული; ის რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს, მაგ., გლობალური ომი.
- დამოკიდებულება (ნარკოტიკული) — ნარკომანიის სინდრომის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთაგანი, თავს იჩენს ნარკოტიკულ საშუალებათა მიღების შეწყვეტისას და გამოიხატება ნარკოტიკებისადმი გადაულახავი ან ძნელად გადასალახი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ლტოლვით.
- დამოკლეს მახვილი — ითქმის მუდმივ საფრთხეზე (ძველი ბერძნული თქმულების მიხედვით სირაკუზელმა ტირანმა დიონისემ ერთ-ერთ ნადიმზე თავისი ადგილი დაუთმო მოშურნე დამოკლეს და მის თავზე ძუით მახვილი დაკიდა).
- დატო — მიცემული (ფინანს.) დღევანდელი რიცხვით.

- დაფიქსირება – შეგნებულად რაიმე მომენტის ან ფაქტის აღნიშვნა ვინმეს ინფორმირების მიზნით.
- დებატები – რაიმე საკითხის საჯარო განხილვა, აზრთა გაცვლა - გამოცვლა; კამათი, პაექრობა.
- დებოში – აყალ-მაყალი, აურზაური, ჩხუბი, უწესრიგობა.
- დეეოლტი – ვალის გადაუხდელობა, დაუბრუნებლობა.
- დეზინტეგრაცია – მთელის დაშლა, დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად.
- დეზინტოქსიკაცია – ორგანიზმის გაწმენდა მომწამვლელი შხამიანი ნივთიერებებისაგან (ტოქსინებისაგან).
- დეკლარაცია – ოფიციალური, საზეიმო გამოცხადება რაიმე აქტისა, კანონისა, ძირითადი პრინციპებისა მთავრობის ან პარტიის სახელით; ქონების შესახებ შედგენილი დოკუმენტი.
- დეკლარირება – დეკლარაციით გამოსვლა; ოფიციალური, საზეიმო გამოცხადება; ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს განცხადება რაიმე საერთაშორისო საკითხზე.
- დეკომპოზიცია – დაშლა, განცალკევება, გაყოფა; რთულის გამარტივება.
- დეკრეტი – უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს.
- დეკრიმინალიზაცია – კრიმინალისაგან გათავისუფლება, თავის დახსნა, სისხლის სამართლის დანაშაულისაგან გათავისუფლება.
- დელეგაცია – სამხედრო პირების გაერთიანებული სისტემა პერუში.
- დეპარტამენტი – საფრანგეთში: ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეული; აშშ-სა და შვეიცარიაში: სამინისტრო; მეფის რუსეთსა და ზოგ ბურჟუაზიულ ქვეყანაში: სამინისტროს, რაიმე უმაღლესი სახელმწიფო ან სასამართლო დაწესებულების განყოფილება; საქართველოში: სამინისტროს დანაყოფი, ყოფილი სამმართველო ან ცალკე უწყება – მაგალითად საზღვრის დაცვის დეპარტამენტი.

ტერმინთა განმარტებანი

- დეპოზიტური (დეპოზიტი) – თანხა ან ფასიანი ქაღალდები შეტანილი საკრედიტო დაწესებულებაში (ბანკი, შემსალარო) კრედიტორისთვის გადასაცემად (ან შესანახად თუ კრედიტორი უარს ამბობს მიღებაზე).
- დეპორტირებული – გაძევებული პიროვნება მისი მუდმივი ადგილსამყოფელიდან, სხვა ადგილას იძულებით დასახლებული პიროვნება.
- დეპრესანტები – საშუალებები, რომლებიც ამშვიდებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ამუხრუჭებენ მნიშვნელოვან სასიცოცხლო ფუნქციებს, მათ შორის რეფლექსურს.
- დეპრესია – აქ: ავადმყოფური მდგომარეობა, რაც გამოიხატება სულიერი დაძაბუნებით.
- დე-ფაქტო – ფაქტობრივად, სინამდვილეში (*საპირისპ.* დე-იურე).
- დეფიციტი – რაიმე საქონლის ნაკლებობა (მაგ., როდესაც მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას).
- დეცენტრალიზაცია – ცენტრალიზაციის გაუქმება ან შესუსტება; ხელიუფლების ზოგი ფუნქციის გადაცემა თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე.
- დიალექტი – კილო, კილოკავი (ენის).
- დიამეტრალური – აქ: სრული, უკიდურესი წინააღმდეგობა, დაპირისპირებულობა და სხვ.
- დიასპორა – ხალხის (ეთნიკური ერთობის) მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.
- დივერსია – სამხედრო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების დანგრევა, მოშლა მოწინააღმდეგის ზურგში.
- დინამიკური – მოძრაობით, მოქმედებით, შინაგანი ენერგიით აღსაყვ.
- დინასტია – ერთი და იმავე გვარის მეფეები, რომლებიც თანამიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს ტახტზე ნათესაობის ან მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე; აქ: კლანი.

- დისგარო – იტალიური მაფიოზური ორგანიზაცია *კამორას* წევრები – *ჯარისკაცები*.
- დისპანსერიზაცია – ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხორციელდება დისპანსერების (პოლიკლინიკების) საშუალებით.
- დისპოზიცია – *იურისპრუდენტიაში*: თვითქცევის ნორმა, უფლებამოვალეობანი, რომლებიც ურთიერთობის ნორმით რეგულირდება.
- დისტრიბუტორი – გამანაწილებელი.
- დისტრიბუცია – განაწილება, განლაგება, ყველა გარემოცვის ერთობლიობა.
- დიფერენცირება – რაიმე მთელის დაყოფა, დანაწევრება მრავალგვარ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწილებად.
- დოზა – ულუფა, ერთ ჯერზე მისაღები ოდენობა (*შეიძლება დაფასობებულოც*).
- დოპინგი – ნივთიერება, რომელიც დაღლილობას აქარევს და ორგანიზმის შრომისუნარიანობას ზრდის.
- დრაკონული – მკაცრი, ულმობელი.
- ეგიდი (ეგიდით) – ვისიმე ან რისამე მფარველობის ქვეშ, ვისიმე ხელმძღვანელობით.
- ევაკუაცია – ორგანიზებული გამოყვანა ადამიანებისა, გამოტანა ქონებისა იმ ადგილიდან, სადაც საფრთხეა მოსალოდნელი (ომის დროს).
- ეკდეგონიზმი – [*ბერძ. eudaimonia* ბედნიერება, ნეტარება, განცხრომა] – ანტიკურ ხანაში და შემდეგ – ეთიკაში: მორალის, განმარტების და დასაბუთების პრინციპი, რომლის მიხედვითაც ადამიანის სიცოცხლის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ბედნიერება (განცხრომა).
- ევთანაზია – განუკურნებელი ავადმყოფის მოკვლის თეორია.

ტერმინთა განმარტებანი

- ეიფორია – უსაფუძვლოდ მომატებული უდარდებლობის შეგრძნება, რომელსაც თან ერთვის უზრუნველობა და საკუთარი მდგომარეობის კრიტიკული შეფასების უნარის შესუსტება.
- ეკვივალენტი – რისაზე ტოლფასი, თანაბარღირებული რამ.
- ეკიპაჟი – გემის, თვითმფრინავის, ტანკის მომსახურე პერსონალი; საერთო სახელწოდება მსუბუქი სამგზავრო საზიდრებისა (ეტლისა და მისთ).
- ელევატორი – მარცვლეულის შესანახი დიდი ნაგებობა, რომელიც აღჭურვილია ასაწევი, გადასატანი, გასანიავებელი, გასაშრობი და სხვა მოწყობილობებით; ტვირთის ვერტიკალურად ასაწევი მანქანა.
- ელექსირი – მცენარეული ნივთიერების ნაჟური; ჯადოსნური სასმელი, რომელსაც შეეძლო სიცოცხლის გახანგრძლივება.
- ელიტა – საზოგადოების ზედა ფენა, „რჩეული“ საზოგადოება.
- ემბარგო – საქონლის შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა რომელიმე სახელმწიფოში; უცხო სახელმწიფოს კუთვნილი ქონების (უპირატესად, გემების) დაკავება პოლიტიკურ გართულებათა გამო.
- ემბლემა – საგანი, ან საგნის გამოსახულება, გამოყენებული რაიმე იდეის სიმბოლოდ.
- ემიგრანტი – პირი, რომელიც სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლდა, რომელიც ემიგრაციაში იმყოფება.
- ეპიზოდური – შემთხვევითი, არასისტემატური, არაძირითადი, უმნიშვნელო.
- ეპიცენტრი – ადგილი დედამიწის ზედაპირზე, რომელიც მოთაყვებულია რაიმე დამანგრეველი კერის თავზე ან მის ქვეშ (მაგ., მიწისძვრის ეპიცენტრი).
- ეროტიკა – ბილწი ღვთაების – ეროსის შესაბამისი უმდაბლესი გრძნობების გამოვლინება, საიდანაც ანომალური

სიყვარული (გარყვნილება) და ფსიქიური აშლილობა – ეროტომანია ვითარდება, რაც ეროტომანიით შეპყრობილ ადამიანებს ამრავლებს და მთელს საზოგადოებაზე შესაბამის გავლენას ახდენს.

- ესკადრონი – კავალერიის ქვედანაყოფი, რომელიც ქვეითი ჯარის ასეულს შეესაბამება.
- ეფექტი – ძლიერი შთაბეჭდილება, რასაც ვინმეზე ახდენს რამე (ან ვინმე); ხერხი, საშუალება, რომლის მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, რაიმე ილუზიის შექმნა.
- ექსპარატჩიკი – აქ: ხელისუფლების მაღალი ეშელონების ყოფილი ჩინოვნიკი, სახელმწიფოს ცენტრალური აპარატის ყოფილი მუშაკი.
- ექსპანსია – გავლენის სფეროს გაფართოება; ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ მისწრაფება.
- ექსპანსიური – ვინც თავის გრძნობებს ვერ ფარავს, ადვილად ამჟღავნებს.
- ექსპატრიანტი – პირი, რომელიც ნებაყოფლობით ან იძულებით გაასახლეს სამშობლოდან.
- ექპერიმენტი – მეცნიერულად დაყენებული ცდა; საერთოდ, ცდა.
- ექსპერტი – რაიმე საქმის სპეციალისტი, რომელსაც იწვევენ რთულ, სადავო შემთხვევებში გამოკვლევისათვის.
- ექსპერტიზა – სპეციალისტების მიერ რისამე გამორკვევა, განხილვა სწორი დასკვნის მისაღებად რაიმე საკითხის თაობაზე; ექსპერტების კომისია.
- ექსპონატი – საგანი, რომელიც გამოფენილია მუზეუმში ან გამოფენაზე.
- ექსტრადიცია – დამნაშავე პირთა იმ სახელმწიფოზე გადაცემა, სადაც (მაგ., ნარკობიზნესის თემაზე) ძირითადი სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

ტერმინთა განმარტებანი

- ექსტრაქტი – პრეპარატი, რომელსაც იღებენ სამკურნალო ნივთიერების გამოწურვით, მცენარეული და ცხოველური ქსოვილებიდან რაიმე გამხსნელის (*წყლის, სპირტის და სხვ.*) საშუალებით; გამოწურვი.
- ექსტრაქცია – ამოღება, გამოყოფა; (მედიც.) კბილის ამოღების ოპერაცია; (გადატ.) რაიმეს მოცილება, ჩამოცილება, განმხოლოება.
- ექსტრაჰირება – თხევადი ან მყარი ნივთიერებების ნარევის დაყოფა შერჩევით (*ან სელექციური*) გამხსნელებით; უმარტივესი სახის გამოტუტვა; იყენებენ სუფთა ფარმაცევტული პრეპარატების ან ქიმიური პროდუქტების მისაღებად.
- ექსტრემისტული – უკიდურესი შეხედულებების მქონე პირის მოქმედების თვისება.
- ვაკუუმი – თითქმის ცარიელი სივრცე, სივარიელი; აქ: პანკისის ვაკუუმი.
- ვალუტა – ამა თუ იმ ქვეყნის ფულის სისტემა; უცხო სახელმწიფოს ფული.
- ვარიანტი – რაიმე ნაირსახეობა, სახეცვლილება.
- ვაპაბიზმი – ისლამის რელიგიურ-პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც მიზნად ისახავს განდევნას (მაგ., არაბეთიდან თურქების); ამჟამად საუდის არაბეთის ოფიციალური იდეოლოგია; ბოლო დროს გავრცელდა ჩეჩნეთში.
- ვექტორი – სწორზაზოვანი მონაკვეთი, რომელსაც გარკვეული მდგომარეობა და მიმართულება აქვს.
- ვო – საიდუმლო კრიმინალური ორგანიზაცია ჩინეთში.
- ზენიტი – რისაზე განვითარების მწვერვალი, უმაღლესი წერტილი.
- იაკუზა – მაფიოზური საიდუმლო ორგანიზაცია იაპონიაში, რომელთაც სახელმწიფოს ხელისუფალნი ფარულად უჭერდნენ მხარს.

- იამაგუში – იაპონური მაფიოზების – იაკუზების ბანდა, ბაზირებული კუბასა და ოსაკაში.
- იგნორირება – უგულვებელყოფა, უარყოფა.
- იდენტიფიცირება – გაიგივება, გათანაბრება.
- იერარქიული წესი – უმაღლესიდან უმაღლესისკენ წოდებულებათა თანამიმდევრობის წესი.
- იზოლაცია – ცალკე გამოყოფა, გამიჯვნა, გარემოსთან ურთიერთობის საშუალების მოსპობა; განმზოლოება.
- იმპერატიული – რაც აუცილებელ შესრულებას მოითხოვს, ბრძანებითი.
- იმპერია – მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას; მსხვილი იმპერიალისტური კოლონიური სახელმწიფო.
- იმპორტი – საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან.
- იმპორტიორი – საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანი პირი ან ორგანიზაცია.
- იმპულსი – შინაგანი მისწრაფება; ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; აღვზნების ტალღა, რომელიც მთელს ნერვულ სისტემაში ვრცელდება.
- ინაგავა – იაპონელი მაფიოზების – იაკუზების ბანდა, ბაზირებული ტოკიოში.
- ინაუგურაცია – ახალი პრეზიდენტის სახელმწიფოს სათავეში ოფიციალურად ჩადგომის ცერემონია.
- ინგრედიენტი – რაიმე ნაერთის ან ნარევის შემადგენელი ნაწილი, რისაზე შემადგენელი ნაწილი.
- ინდივიდუალური – რაც ცალკეულ პიროვნებას გამოყოფს სხვებისაგან; რითაც ერთპიროვნულად სარგებლობენ; კერძო, ცალკეული პირის მიერ წარმოებული, შესრულებული; არაკოლექტიური.

ტერმინთა განმარტებანი

- ინდივიდუალური მოხმარება – აქ: ნარკოტიკის: ნარკოტიკული ნივთიერების მიღება, ინიცირება მარტო, განცალკევებით, ყველასგან ფარულად.
- ინდუიზმი – ინდური რელიგია, რომელიც შეიქმნა შუა საუკუნეებში ბრაჰმანიზმისა და ბუდიზმის დაახლოების შედეგად.
- ინექცია – სამკურნალო ხსნარის მცირე დოზით შეყვანა სხეულის ღრუებსა და ქსოვილებში, შემხაკუნება.
- ინიციატივა – თაოსნობა რაიმე საქმეში, საჭირო მომენტში დამოუკიდებელი აქტიური მოქმედების უნარი; საკანონმდებლო ორგანოებში კანონპროექტების შეტანის უფლება.
- ინიცირება – აქ: დაყინებითი იძულება რაიმე მოქმედებისაკენ; შემხაკუნება რაიმე სამკურნალო სითხისა მცირე დოზებით.
- ინსტალაცია – რაიმე მოწყობილობის, დანადგარის, საწარმოს დამონტაჟება, გამართვა და სრულყოფა გარკვეული გეგმის, ნახაზის მიხედვით; ცალკეული ნაჭრების (ნაწილების) შერჩევა ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს ერთი მთელი.
- ინსტილაცია – ჩაწვეთება წამლის, სითხის.
- ინსტიტუტი – თანდაყოლილი მიდრეკილება მიზანშეწონილი, მაგრამ არაცნობიერი მოქმედებისადმი, ალღო; შეუგნებელი, ანგარიშმიუცემელი ლტოლვა რაიმესკენ.
- ინსტრუქცია – დარიგება, სახელმძღვანელო მითითებანი, რისამე შესასრულებლად საჭირო წესების კრებული.
- ინტეგრაცია – ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად; დაახლოება ურთიერთგაველების შედეგად.
- ინტეგრირებული – დაახლოებული; აქ: ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- ინტენსიური – დაძაბული, გაძლიერებული; უკეთესი შედეგის, ნაყოფიერების მომცემი.
- ინტერვალი – მანძილი, სივრცე ორ საგანს შორის.
- ინტერვენციული (პოლიტიკა) – ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში (ტერიტორიის დასაპყრობად); აქ: ძალადობრივი, დამპყრობლური პოლიტიკა.
- ინტერპრეტაცია – რისამე აზრის ახსნა, განმარტება; თავისებური შემოქმედებითი შესრულება რაიმე ნაწარმოების, საქმის, როლის.
- ინტერეგიონული – შიდარეგიონული.
- ინტოქსიკაცია – ორგანიზმის მოწამვლა შხამიანი ნივთიერებით.
- ინფილტრაცია – გაყონვა; ორგანიზმის უჯრედებსა და ქსოვილებში უცხო ნივთიერების შეჭრა.
- ინფორმატორი – ცნობების მომწოდებელი; პირი, რომელიც ინფორმაციას იძლევა.
- ინფორმირება – რაიმე ცნობის მიწოდება, ინფორმაციის მიცემა.
- ინფრასტრუქტურა – ზურგის ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებული ჯარების მოქმედებას.
- ინჰალანტები – სამკურნალო ნივთიერება, რომელიც ნარკოტიკულ თრობას იწვევს და შეისუნთქება ზედა სასუნთქი გზებით (გაზად, ორთქლად).
- ინჰალატორი – ინჰალაციით სამკურნალო ხელსაწყო.
- ისლამიზმი – მაჰმადიანთა რელიგია, ისლამის რელიგიური სისტემა;
- ისტებლიშმენტი – საზოგადოების მმართველი, პრივილეგირებული ჯგუფები; ხელისუფლებისა და მმართველობის მთელი სისტემა.

ტერმინთა განმარტებანი

- იურისდიქცია – საქმე, რომელიც ამა თუ იმ დაწესებულების წარმოების წესს ექვემდებარება; სასამართლო საქმის წარმოების უფლება; განსჯადობა.
- კალციარის ცომი – იყენებდნენ კოკას მოხმარების იმ ხერხის დროს, რომელიც ცნობილია ტერმინით *კერჯა აკულეკუ*; ძველი ინდიელები ურევდნენ კოკას გამხმარ ფოთოლში (შუსპა) და ღეჭავდნენ, სანამ პირში პატარა ბურთულა არ წარმოიქმნებოდა, წვენი გამოდენამდე.
- კამორა – იტალიელ მაფიოზთა საიდუმლო ორგანიზაცია კამპანიაში ნეაპოლის რეგიონი, რომელიც მთავრობის ფარული ხელშეწყობით სარგებლობდა.
- კანაბისი – ერთწლიანი მცენარე, რომელიც საქართველოში ცნობილია *კანაფის* სახელწოდებით. კანაფის ყვავილოვანი წვეროები და ნაყოფის მომცემი ნაწილები, მტკერი, ფისი ნარკოტიკულად აქტიურ ნაწილებს შეადგენს. ნარკოტიკული საშუალების დასამზადებლად გამოსადეგია პრაქტიკულად ყველა სახეობის *კანაფი*.
- კანაფი – ერთწლიანი მცენარე, გამოიყენება ნარკოტიკული საშუალების დასამზადებლად, მისგან მიიღება მარიხუანა, ჰაშიში.
- კანონიერი მოთხოვნა – აქ: ასახავს ნარკოტიკულ საშუალებათა სამედიცინო, მეცნიერული და სხვა პროფესიული საჭიროებისათვის გამოყენების მასშტაბებს.
- კანტონები – მაფიოზური *ოჯახის* რეგიონული დანაყოფი იტალიაში.
- კაპობასტონი – იტალიური მაფიოზური *ოჯახის* მეთაური კალაბრიაში.
- კაპოდჩინა – მაფიოზური *ოჯახის* უფროსი, მეთაური, ბელადი იტალიაში.
- კაპომანდამენტი – მაფიოზური *ოჯახის* ხელმძღვანელი იტალიაში, რომლის პირველი პირი პროვინციის წარმომადგენელია და მას სხვა *ოჯახებზეც* აქვს გავლენა.

- კარდინალური – ძირითადი, უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი.
- კარტელი – მრეწველობის რომელიმე დარგის მსხვილ მეწარმეთა გაერთიანება მოგების გადიდებისა და ბაზარზე ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით.
- კასტა – თაობა, გვარი; კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელშიც ადამიანები გაერთიანებული არიან წარმოშობის (პროფესიის) და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით; რომლებიც თავგამოდებით იცავენ თავის განკერძოებულობას და წოდებრივ, პროფესიულ თუ სხვა სახის პრივილეგიებს.
- კატაკლიზმი – გამანადგურებელი გადატრიალება, კატასტროფა.
- კატალიზატორი – ცვლის ქიმიური რეაქციის სიჩქარეს, თვითონ რეაქციის დამთავრების შემდეგ უცვლელი რჩება (არ იხარჯება).
- კატეგორია – ერთგვარ საგანთა, მოვლენათა, ადამიანთა ჯგუფი; თანრიგი.
- კვალიფიკაცია – საგნის ან მოვლენის განსაზღვრა მისი თვისების, თავისებურების მიხედვით; შეფასება, დახასიათება; რაიმე საქმიანობისათვის, პროფესიისათვის ვისიმე მომზადების ხარისხი.
- კვალიფიციური – დახელოვნებული, დაოსტატებული, მაღალხარისხოვანი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე.
- კვოტა – დადგენილი წილი, მიღებული ნორმა, გადასახადის რაოდენობა, დადგენილი წილი საერთო წარმოებაში, გასაღებაში.
- კლანი – გვაროვნული თემი, გვარი.
- კლასიფიკაცია – საგნების (მოვლენების, ცნებების) დაყოფა განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა მიხედვით კლასებად, ჯგუფებად, თანრიგებად.

ტერმინთა განმარტებანი

- კლიენტი – მუდმივი მყიდველი, მუდმივი მომსვლელი.
- კოდეინი – ოპიუმის ალკალოიდი, ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერება.
- კოდირებული – ტელეგრაფით, რადიოთი ინფორმაციის გადაცემა, რაიმეს გაკლენით შეპყრობილი ადამიანი, აზროვნება.
- კოზანოსტრა – იტალიელ მაფიოზთა საიდუმლო ორგანიზაცია სიცილიაში, რომელიც მთავრობის ფარული ხელშეწყობით სარგებლობდა.
- კოკაინი – ნარკოტიკული ფხენილი, ან პასტა, შეიძლება მისი შესუნთქვად ხსნარის სახით ვენაში შეყვანა. გამოიყენება ნარკოტიკულ ნივთიერებად ჟარგონული სახელწოდებით: კოკა, კოქსი, კრეკი, გრაფეტი.
- კოკა – ერთწლიანი მცენარე, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ნარკოტიკულ საშუალებას მიეკუთვნება; კოკაინის ჟარგონული სახელწოდება.
- კოკაინის სევედა – დეპრესიული მდგომარეობა კოკაინური „ლომკის“ – ეიფორიის დროს.
- კოლაბორაციული – თანამშრომლობა, ერთობლივი მოქმედება; სამშობლოს მტრებთან თანამშრომლობა ფაშისტური ოკუპაციის დროს.
- კოლეგა – ამხანაგი სამსახურის, პროფესიის, თანამდებობის მიხედვით, სწავლაში.
- კოლონიზატორი – პირი, რომელიც ყველგან დაპყრობილი ქვეყნების დასახლებულ ადგილებში მშრომელ მოსახლეობას, მასებს.
- კოლოსალური – ძალიან დიდი, უზარმაზარი.
- კომბინაცია – გარკვეული სახის შეერთება, ურთიერთშეფარდება რისამე; რთული ჩანაფიქრი; ზრიკები რაიმე საქმის მისაღწევად.

- კომენტარი – რაიმე ტექსტის ახსნა-განმარტება ან კრიტიკული შენიშვნა, მსჯელობა რისაზე თაობაზე.
- კომერსანტი – ვაჭარი, მოვაჭრე, პირი, რომელიც კომერციას მისდევს.
- კომპანია – ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ერთად ატარებენ დროს; სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობა.
- კომპეტენტური – რაიმე დარგის, რაიმე საკითხის სათანადოდ მცოდნე; ცოდნაზე დამყარებული, საფუძვლიანი, ავტორიტეტული.
- კომპეტენცია – საკითხთა წყება, რომელთა ჯეროვანი ცოდნა მოეპოვება ვისმე; სფერო, რაშიც უფლებამოსილია რომელიმე დაწესებულების ან თანამდებობის პირი.
- კომპლექსი – საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა, შეხამება.
- კომპლექსური – საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა; ერთობლივი, შეხამებული.
- კომპონენტური – რისაზე შემადგენელი ნაწილი, შედგენილობითი.
- კომპრომეტირებული – სახელგატეხილი, რეპუტაციაშეღაცხული.
- კომფორტი – კეთილმოწყობილი ყოფა-ცხოვრების პირობათა ერთობლიობა.
- კონდენსირება – შესქელება, გამკვრივება, დაგროვება; აქ: ორთქლის ან გაზის სითხედ გადაქცევა.
- კონდიცია – დადგენილი ნორმა, სტანდარტი, რასაც უნდა შეეხამებოდეს ესა თუ ის საგანი, საქონელი.
- კონვენცია – სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება.
- კონიუნქტურა – შექმნილი ვითარება, მდგომარეობა; იმ ნიშანთვისებათა ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს სასაქონლო მე-

ტერმინთა განმარტებანი

	ურნეობას (ფასების მოძრაობა, ფასიანი ქაღალდების კურსი).
კონკრეტული	– რეალურად არსებული, საგნობრივად განსაზღვრული, ხელშესახები.
კონკურენცია	– მეტოქეობა უპირატესობის მოსაპოვებლად რაიმე ასპარეზზე.
კონსენსუსი	– სადავო საკითხებზე ზოგადი თანხმობა, რომელსაც მიაღწიეს საერთაშორისო მოლაპარაკების, კონფერენციის მონაწილეებმა; ერთიანობა, ერთსულოვნება.
კონსისტენცია	– ნივთიერების სიმკვრივის ხარისხი (თხევადი, ნახევრად თხევად, ფაფისებრ სხეულებში).
კონსოლიდაცია	– განმტკიცება, გაერთიანება, შემჭიდროება; რომელიმე მოკლევადიანი სახელმწიფო სესხის გრძელვადიანად გადაქცევა.
კონსორციუმი	– რამდენიმე მსხვილი ბანკის ან კაპიტალისტის მონოპოლიური გაერთიანება რაიმე მსხვილი ფინანსური ოპერაციის ერთობლივად ჩატარების მიზნით.
კონსპირაცია	– სისტემა და მეთოდები, რომელსაც იყენებს პირი, არალეგალური ორგანიზაცია თავისი მუშაობის საიდუმლოს შესანახად; საიდუმლოს მკაცრად დაცვა.
კონსული	– თანამდებობის პირი, რომელიც თავისი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესებს წარმოადგენს (იცავს) უცხო სახელმწიფოს რომელიმე პუნქტში (მაგ., საელჩოში).
კონტაქტი	– შეხება, კავშირი, ურთიერთობა.
კონტინენტი	– სტანდარტული სათავსი შეუფუთავი ტვირთის გადასაზიდად.
კონტინუუმი	– მოვლენათა, პროცესების უწყვეტობა, ერთობლიობა; ორ რიცხვს შორის მოქცეული სიმრავლე; მცენარეული საფარის უწყვეტობა.

- კონტრაბანდა – საქონლის ფარულად გადატანა საზღვარზე; თვით ფარულად გადატანილი საქონელი.
- კონტრარგუმენტი – საპირისპირო, საწინააღმდეგო საბუთი.
- კონტრაქტი – წერილობითი ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს. აქ: ჩინელთა ახალი საიმიგრაციო ტალღა ამერიკაში.
- კონტური – საგნის გარემოხაზულობა.
- კონფიდენციალური – რისი გახმაურებაც არ შეიძლება, საიდუმლო.
- კონფიგურაცია – რისამე გარეგანი მოხაზულობა, ფორმა; საგანთა განლაგება ერთმანეთის მიმართ.
- კონფისკაცია – ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ; (რისამე) მიმოქცევიდან, ხმარებიდან ამოღება ხელისუფლების მიერ.
- კონფლიქტი – მოპირდაპირე ძალთა, საწინააღმდეგო ინტერესთა, შეხედულებათა შეხლა - შემოხლა.
- კონცენტრაცია – რისამე მოგროვება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება; (გადატ.) რაიმეზე გამახვილება, მიჰყრობა (ყურადღების); ხსნარის გაჯერების ხარისხი.
- კონცეპტუალური – ძირითადი აზრი, შეხედულებათა სისტემა; მოვლენის ასეთი თუ ისეთი გაგება.
- კორდე – გრძელი თოკი, რომელსაც იყენებენ საჯდომი ცხენების წვრთნის დროს; აქ: ჩაცმის სტილი ანტიკურ ხანაში.
- კოორდინატორი – რაიმე მოქმედების, საქმიანობის შემთანხმებელი; ურთიერთშეფარდება.
- კორუფცია – თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვა.

ტერმინთა განმარტებანი

კოსკა	– იტალიური მაფიოზური ოჯახი, რომელიც 30 - 40 საპატიო კაცების ანუ გარისკაცების ჯგუფს წარმოადგენს.
კოსმოპოლიტიზმი	– იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფადობას და ეროვნულ სუვერენიტეტს, ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს მსოფლიო მოქალაქეობის დაწესების იდეას.
კრეკი	– კოკაინის ფუძე მსხვილი კრისტალების სახით, სინთეზური ნარკოტიკი, აზასიათებს მოქმედების სისწრაფე.
კრიმინალი	– სისხლის სამართლის დანაშაული.
კრიმინალური	– დანაშაულებრივი; სისხლის სამართალთან დაკავშირებული.
კრიტიერიუმი	– ნიშანთვისება, რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, განსაზღვრებენ, რისამე კლასიფიკაციას ახდენენ; საზომი.
კულმინაცია	– უდიდესი აღმავლობის ან უდიდესი დაძაბულობის მომენტი რისამე განვითარებაში.
კულტივატორი	– სასოფლო-სამეურნეო იარაღი მოხნული ნიადაგის გასაფხვიერებლად, სარეველა ბალახების მოსასპობად და სხვ.
კულტივირება	– მოყვანა (<i>მცენარისა, მცენარეულისა</i>); ნიადაგის დამუშავება კულტივატორით; გადატ.: დანერგვა, განვითარება; გაუმჯობესება რისამე.
კუპიურა	– ქალაღის ფულის, ობლიგაციის ან სხვა ფასიანი ქალაღის ნომინალური ღირებულება.
კუპოლი	– მაფიოზური რეგიონი იტალიაში, პროვინციული კომისია, რომლის სათავეში კანტონთა შეფების მიერ არჩეული მდივანი იდგა.

- კურიერი – აქ: ნარკოტიკების გადაზიდვები, ქუჩის მოვაჭრენი.
- კუსტარული – არაფაბრიკული, შინამრეწველური.
- ლაქტოზა – რძის შაქარი, იყენებენ მედიცინასა და ბაქტერიოლოგიაში.
- ლეგალური – კანონით აღიარებული, ნებადართული.
- ლეგიტიმური – კანონიერი.
- ლეთარგია – ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ჰგავს ღრმა ძილს; დამახასიათებელია უმოქმედობა, გარე გამლი-ზიანებლებზე რეაქციის უქონლობა და მისთ.; შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე საათს ან რამდენიმე დღეს (*ქართული ზალზური სახელწოდება: სალათას ძილი*).
- ლეტალური (ინექცია) – სიკვდილის გამომწვევი, სასიკვდილო.
- ლიბერალიზაცია – უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობა; თავისთავად აზროვნება; აქ: ფინანსური სექტორის.
- ლიგა – კავშირი; საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაერთიანება.
- ლიკვიდაცია (-ირება) – რისამე საქმიანობის შეწყვეტა, დახურვა; გაუქმება.
- ლიმიტირებული – ზღვრული ნორმით დაწესებული; ლიმიტით განსაზღვრული.
- ლიცენზია – ნების დართვა საქონლის საზღვარგარეთ გატანა-შემოტანაზე; ამ ნებართვის დამადასტურებელი საბუთი; რაიმეთი შეღავათიანად ან უფასოდ სარგებლობის უფლება.
- ლოგია – მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; აზრის მწყობრად გადმოცემის უნარი.
- ლოგისტიკა – მომარაგებისა და გადაზიდვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ტერმინთა განმარტებანი

- ლოიალური** – შემწყნარებლური; ვინც წესიერად, კეთილსინდისიერად ექცევა ვისმე ან რასმე; არსებული სახელმწიფო ხელისუფლების მომხრე, ერთგული (ხშირად მხოლოდ გარეგნულად).
- ლოკალიზება** – რაიმე ადგილის შემოფარგვლა; გარკვეული ადგილიდან რისაშე გაერთიანებისათვის ხელის შეშლა.
- ლსდ** – სინთეზური ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ამჟამად ცნობილ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ჰალუცინოგენს წარმოადგენს; მზადდება ფარულ ლაბორატორიებში.
- ლუენი** – საიდუმლო კრიმინალური ორგანიზაცია ჩინეთში.
- მაგიური** – ჯადოქრული, ჯადოსნური, გრძნეული.
- მაკლირება** – შუამავლობა.
- მანევრი** – აქ: ეშმაკური, ვერაგული მოქმედება.
- მანიპულაცია** – რაიმე რთული მოქმედება, რთული ხერხი ხელით მუშაობისას; ოინი, ყალბობანდობა.
- მანუფაქტურა** – საფეიქრო მრეწველობის ნაწარმი; ქსოვილები; ხელოსნური ტექნიკა.
- მარიხუანა** – სინონიმი კანაბისი; ნებისმიერი ჯიშის კანაფის გამომშრალი ან ნედლი წვეროების, ფოთლების, (ცენტრალური ღეროს გარდა), ზოგჯერ თესლის გარკვეული რაოდენობის შემცველი ნარევი, იძლევა ძლიერ ნარკოტიკულ ეფექტს.
- მარკეტინგი** – საწარმოს მართვის ერთ-ერთი სისტემა, რომელიც გულისხმობს ბაზარზე მიმდინარე პროცესების გულდასმით აღრიცხვას სამეურნეო გადაწყვეტილების მისაღებად, წარმოების შეგუებას მომხმარებლის საჭიროებასთან.

- მასტერგეგმა – აქ: ქვეყნებისათვის საკუთარი პრობლემების გაანალიზებისა და უმთავრესი ამოცანების დადგენაში დასახმარებლად ჩამოყალიბებული დაპროგრამების სისტემა (გაეროს პროექტი).
- მასტიმულირებელი – აღმგზნები დაქვეითებული, დათრგუნული ნერვული სისტემისა.
- მაფია – ორგანიზაცია, რომელიც ტერორსა და მკვლელობას მიმართავს მიზნის მისაღწევად; აშშ-ში უწოდებენ განგსტერულ (ბანდიტურ) ორგანიზაციას.
- მაფიოზა – პირი, რომელიც მაფიის მიმდევარია.
- მაქსიმალური – ყველაზე დიდი, უდიდესი.
- მედიალური – შუა, შუათანა.
- მედიკამენტი – წამალი.
- მენეჯმენტი – წარმოების მართვა.
- მენტალიტეტი – ჭკუა, გონება, აზროვნება.
- მერკანტილური – გამორჩენასთან დაკავშირებული; ვაჭრული, ანგარებიანი.
- მეტადონი – სინთეზური ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალება.
- მეტამორფოზა – სახეცვლილება, გარდაქმნა.
- მიგრენი – თავის ნერვული დაავადება – თავის ძლიერი ტკივილი, ჩვეულებრივ ცალ მხარეს (ქართ. სინონიმი – შაკიკი).
- მითოლოგია – მითების ერთობლიობა; მითების შემსწავლელი მეცნიერება; მითი – გადმოცემა, ძველი ხალხური თქმულება ღმერთებსა და გმირებსზე, სამყაროს შექმნასა და სიცოცხლის წარმოშობაზე.
- მითოსი – ზღაპრული, ლეგენდარული; შეთხზული, გამონაგონი, მოჩმახული.

ტერმინთა განმარტებანი

- მიკრო – პატარა, პაწაწინა.
- მილიტარისტული – აქ: შეიარაღებისა და ომისათვის მზადების პოლიტიკა.
- მისტერია – ანტიკურ ქვეყნებში (*საბერძნეთში, რომში*) საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება.
- მისტიკა – რწმენა, რომლის მიხედვითაც ადამიანებს თითქოს შეუძლიათ ურთიერთობა დაამყარონ საიქიოსთან; ზებუნებრივი ძალების რწმენა; იღუმალი რამ.
- მიქსტურა – დასალევი წამალი, რომელიც სხვადასხვა ნივთიერების ნარევის წარმოადგენს.
- მობილურობა – მოძრაობის უნარის შექმნა.
- მონიტორინგი – მუდმივი მეთვალყურეობა (სატელევიზიო მონიტორი).
- მონოპოლია – რისამე წარმოების ან გაყიდვის განსაკუთრებული უფლება, რაც ეკუთვნის ერთ პირს, პირთა ჯგუფს ან სახელმწიფოს; უპირატესობა, პირველობა რაიმე საქმეში.
- მონოპოლისტი – ვინც რაიმე დარგში მონოპოლიით სარგებლობს; მსხვილი კაპიტალისტი, მონოპოლიის წარმომადგენელი.
- მორფინი – ოპიუმის ძირითადი ალკალოიდი; ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერება.
- მრჩეველი – იტალიური მაფიოზური ოჯახის საბჭოს საბოლოო წევრი.
- მუნციპალური – მუნციპალიტეტთან, ქალაქის ან სოფლის თვითმმართველობის ორგანოსთან დაკავშირებული.
- მუტაცია – ყოველგვარი ნახტომისებური განვითარება რისამე; რაიმე ახალი ნიშან-თვისების გამოვლენა; ყმაწვილის ხმის შეცვლა ასაკში შესვლის გამო.

- მუჯახიდები – (სარწმუნოებისათვის მებრძოლი, წამებული), დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, დაკავშირებულნი ამიერკავკასიის ბოლშევიკებთან.
- ნარკომანი – ავადმყოფი, რომელსაც დადგენილი წესისამებრ სამედიცინო დაწესებულებამ დაუსვა *ნარკომანიის* დიაგნოზი.
- ნარკომანია – დაავადება ან ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატური მოხმარების შედეგად და ხასიათდება ავადმყოფში გარკვეული ნიშნების, სინდრომების ერთობლიობით.
- ნარკოტიზმი – ნარკოტიკებისადმი ძლიერი, ავადმყოფური მიდრეკილება.
- ნარკოტიკი – ნივთიერება, რომელსაც მედიცინაში იყენებენ ტკივილის გამაყუჩებელ და ძილის მომგვრელ საშუალებად; იწვევს ნარკოტიკულ თრობას.
- ნარკოტიკული საშუალება – საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ სპეციალურ სიებში გათვალისწინებული ის ქიმიური ან ბუნებრივი ნივთიერებანი და მცენარეები, რომლებიც გამოყენებისას იწვევენ განსაკუთრებულ მდგომარეობას (ეიფორიას, ალგზნებას, ჰალუცინაციებს), ასევე ქმნიან ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დამოკიდებულებას.
- ნაპოლეონის კოდექსი – ნაპოლეონის სასამართლო-სამართლებრივი სისტემა; *რეფორმა*, რომელიც მან საფრანგეთის სასამართლო სისტემაში ჩაატარა.
- ნატურალისტი – პირი, რომელიც ბუნებას სწავლობს, ბუნებისმეტყველი. აქ: ნაღდი ფულის მომთხოვნი.
- ნატურალური სახსრები – ნაღდი ფული, ფულადი ნიშნებით ანგარიშსწორება.
- ნაყენები – მცენარეული ნედლეულისაგან, სპირტიანი ან წყლიანი გამონაყოფით მიღებული ნარკოტიკული საშუალებები.

ტერმინთა განმარტებანი

ნახარშები	- წყალში ან სხვა სითხეში ნარკოტიკულ საშუალებათა თერმული დამუშავებით მიღებული ხსნარები.
ნეგატიური	- უარყოფითი.
ნეიტრალური	- ვინც არ ემხრობა არცერთ მხარეს (დავაში, ბრძოლაში და მისთ.).
ნეოლითური ხანა	- ქვის ხანის უკანასკნელი ეპოქა, ახალი ქვის ხანა.
ნეპენტეზი	- კაქშნის მომხსნელი და ტკივილდამაყუჩებელი სითხე.
ნდრანგეტა	- იტალიაში კალაბრიელ ბანდიტთა მაფიოზური ორგანიზაცია.
ნდრინები	- ნათესაურ კავშირზე დამყარებული კლანები კალაბრიელ მაფიოზთა ოჯახებში.
ნოვატორული	- განახლებული, მოწინავე.
ნომენკლატურა	- სია ტერმინთა და სახელწოდებათა; აქ: მაღალჩინოსანნი სახელმწიფო აპარატში.
ნორმალიზება	- ნორმასთან მიახლოება, ნორმისადმი დაქვემდებარება; აქ: დაწყნარება, დამშვიდება, ქვეყნის დალაგება (პოლიტიკურად).
ნორმატიული (აქტი)	- რაც რისაზე ნორმას განსაზღვრავს (მაგ. აქტს).
ნუოვა კამორა ორგანიზაცია	- იტალიური მაფიოზური ორგანიზაცია სიცილიაში.
ნუოვა ფამილია	- იტალიური მაფიოზური ორგანიზაცია სიცილიაში.
ობიექტი	- საგანი; მოვლენა; პირი, ვისკენაც არის მიმართული ვისიმე ყურადღება და სხვ.
ოიაბუნები	- ეგრეთ წოდებული <i>მატები</i> , იაპონურ <i>იაკუზას</i> მაფიოზურ კრიმინალურ ორგანიზაციაში.

- ოკუპანტი – პიროვნება ან შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით იკავებენ სხვა ქვეყნის ტერიტორიას.
- ოლიმპიური – რაც გამოირჩევა სიდიადით, დიდი აღუშფოთველობით; აქ: ოლიმპიური სიმშვიდე.
- ომერტა – საიდუმლოს მკაცრად დაცვა.
- ოპერატიული – პრაქტიკული ამოცანების სწრაფად გადაწყვეტის უნარის მქონე.
- ოპიომანი – ვინც ოპიუმს იკეთებს, ნარკომანი.
- ოპიუმი – ნარკოტიკული საშუალება, რომელიც მიიღება მცენარე ყაყაჩოს ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდების წყლით ან ორგანული გამხსნელებით გამოხდის (ექსტრაქციის) გზით. გარეგნული სახე ბაციდან მუქ ყავისფრამდე – მყარი უფორმო, გუნდები, აბები, სითხე.
- ოპონირება – კამათი, პაექრობა.
- ოპორტუნისტისტი – პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისადმი ღალატი ბურჟუაზიული ინტერესების სასარგებლოდ.
- ორნამენტი – მხატვრული, გრაფიკული ან სკულპტურული სამკაული, რომელიც შედგება გეომეტრიული ფიგურების ანდა სტილიზებული ცხოველების, მცენარეთა გამო-სახულებათაგან; ჩუქურთმა.
- ორფეოსი – ბერძნულ მითოლოგიაში *მომღერალი*, რომლის სიმღერა ხიბლავდა არა მარტო ადამიანებსა და ცხოველებს, არამედ ქვებს, კლდეებს, მდინარეებსა და მისთ.
- ოფშორული – საგადასახადო, ფისკალური პოლიტიკა.
- პათოლოგიური – ავადმყოფური, არანორმალური; მახინჯი.
- პაიზები – კოლუმბიაში სპეკულაციის მთავარი ცენტრების მცხოვრებნი.

- პაპირუსი – ტროპიკული ლერწმის ღეროებისაგან დამზადებული საწერი მასალა, რომელსაც ხმარობდნენ ეგვიპტელები და სხვა ძველი ხალხები (მათ შორის, ქართველებიც); ასეთ მასალაზე შესრულებულია ხელნაწერი.
- პარაზიტული – მუქთახორა, სხვისი შრომის ექსპლუატაციით ცხოვრება.
- პარამეტრი – სიდიდე, რომელიც თავის მუდმივ მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ მოცემული სიტუაციის პირობებში; საგნის ან მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე.
- პარამილიტარისტული – აგრესიული, სამხედრო.
- პარანოია – ერთგვარი ფსიქიური დაავადება; დამახასიათებელია ბოდვები, ზოგჯერ ჰალუცინაციები.
- პაროლი – დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც იყენებენ თავისიანების ამოსაცნობად სამხედრო სამსახურში ან კონსპირაციულ ორგანიზაციებში; აქ: პაროლური სისტემა.
- პარტია – აქ: რაიმე საქონლის, საგნების გარკვეული (ჩვეულებრივ მნიშვნელოვანი) რაოდენობა.
- პარტინორი – თანამონაწილე რაიმე საქმიანობაში.
- პატაკი – ანგარიში, განცხადება, ინფორმაცია (აქ: პოლიციაში).
- პატრულირება – საპატრულო სამსახურის ფუნქციების შესრულება.
- პაუზა – ხანმოკლე შეჩერება მეტყველების დროს; რისამე, შეჩერება, დროებით შეწყვეტა განსაზღვრული ხნით.
- პაჩიოტები – ასე უწოდებდნენ პალერმოში მაფიოზური ორგანიზაცია კამორას წევრების – ჯარისკაცების ჯგუფს.
- პენტაგონი – შენობა, სადაც განთავსებულია აშშ თავდაცვის სამინისტრო; (გადატ.) სამხედრო უწყება.

- პეონები – მოჯამაგირეები უაგარას ნ/კუნძულზე.
- პერსონაჟი – მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირი.
- პიცერია – იტალიური სასაუზმე, სადაც პიცას აცხოზენ და ყიდიან, (პიცა – იტალიური ღვეზელი).
- პლაცდარმი – სივრცე, სადაც მზადდება და იშლება საომარი ოპერაცია; ტერიტორია საომარი მოქმედებისათვის.
- პლუტონი – ბერძნულ მითოლოგიაში ზეესის ძმა, მიწისქვეშეთის ღმერთი, საიქიოს მბრძანებელი, მიწის წიაღის მფლობელი.
- პოლარული – აქ: აზრი, უკიდურესი, რადიკალური აზრი.
- პოპულარული – სახალხო, ხალხური, ფართოდ ცნობილი, ფართოდ გავრცელებული; ვინც ან რაც საყოველთაო მოწონებით, პატივისცემით სარგებლობს.
- პორტი – ნავსადგური.
- პოსტკომუნისტური – კომუნისტურის შემდეგდროინდელი.
- პრაგმატიზმი – აღიარება იმის, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა.
- პრაქტიკული – საყოფაცხოვრებო საკითხებში უნარიანი, საქმიანი, გამოცდილი ადამიანი.
- პრევენცია – წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად.
- პრეზუმცია – ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება; (სამართ.) რისამე ფაქტის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა.
- პრეკურსორები – ნივთიერება, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებათა დამზადებისას მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება მისი მოლეკულის ნაწილი (მაგ., კმრის ანპიდრიდი, ეფედრინი და სხვ.).

გერმინთა განმარტებანი

- პრეპარატი – მცენარის ან ცხოველის ორგანიზმებისთვის, გამოკვლევისათვის, სასწავლო მიზნისათვის, ქიმიური ანალიზისთვის სხვ. მომზადებული ნივთიერება.
- პრეტენზია – რაიმეზე თავისი უფლების გამოცხადება, რისაზე მოთხოვნა; სწრაფვა რისაზე მოპოვებისაკენ; უკმაყოფილების გამოხატვა; საჩივარი.
- პრეფექტურა – (აქ: პოლიციის) ადმინისტრაციული, ტერიტორიული მმართველობის ორგანო.
- პრიმიტიული – მარტივი, არართული, ნაკლებად განათლებული, ნაკლებად კულტურული.
- პრიორიტეტი – უპირატესობა, უპირველესი მნიშვნელობა.
- პროგრესული – რაც მიმართულია საზოგადოებრივი აღმაველობისაკენ, წინსვლისაკენ, ხელს უწყობს მას; პოლიტიკური და სოციალურ ეკონომიკური თვალსაზრისით მოწინავე.
- პროდუქტიული – საგანი, ნივთიერება, რომელიც მიღებულია ადამიანის შრომის შედეგად გაზრდილი ოდენობით, რისაზე შედეგი; ნაყოფი.
- პროვოცირება – წაქეზება, რომელსაც მოჰყვება მძიმე შედეგები.
- პრომელოლი – სინთეზური ნარკოტიკული საშუალება.
- პროცედურა – რისაზე შესასრულებლად საჭირო მოქმედებათა თანმიმდევრობა; ექიმის მიერ დანიშნული სამკურნალო ღონისძიება (აბაზანა, მასაჟი და სხვ.).
- პროსტიტუცია – ქალების მიერ საკუთარი სხეულით ვაჭრობა, მეძავობა.
- პროტეჟე – ვინც რისაზე პროტექციით, მფარველობით სარგებლობს.
- პროტესტანტი – პირი, რომელიც პროტესტს აცხადებს რისაზე წინააღმდეგ.
- პროტექცია – გაკვლენიანი პირის მიერ გაწეული დახმარება, მფარველობა ვისიმე პირადი საქმეების მოგვარებაში.

- პროტექტორატი – სახელმწიფოთა დამოკიდებულების ერთ-ერთი თანამედროვე ფორმა, რომელიც ძლიერ ქვეყნებს საშუალებას აძლევს დაიმორჩილოს უფრო სუსტი.
- პროფილაქტიკა – დაავადების თავიდან აცდენისთვის წინასწარი ღონისძიება; რისამე ნაადრევად გაცვეთის, გაფუჭებისგან დაცვის ღონისძიება.
- პროფილაქტიკური – გაფრთხილებითი, დაცვითი.
- პუშტუნები – ეთნიკური სახელწოდება ავღანელებისა, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ (უპირატესად პაკისტანში, ავღანეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე); ასე უწოდებენ თავის თავს ავღანელები.
- ჟარგონი – თავისებური სიტყვები ან გამოთქმები, რომლებსაც ხმარობენ რაიმე პროფესიულ ჯგუფში, წრეში და სხვ, პირობითი ენა, რომელიც გასაგებია მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის.
- რადარი – შემოკლებული სახელწოდება რადიოლოკატორისა და რადიოლოკაციისა.
- რადიკალური – ძირეული, გადამჭრელი ზომების მიღება თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას.
- რასობრივი – მემკვიდრეობით გადაცემული ზოგი საერთო ნიშანთვისება: სხეულის აგებულება, კანის, თმის ფერი, თავის ფორმა და სხვ.
- რატიფიცირება – სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცება საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილია სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ (აძლევს იურიდიულ ძალას).
- რაფინადი – აქ: ნარკოტიკის ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი პარტია.
- რაფინირებული – დახვეწილი, ნატიფი, გაწმენდილი.

ტერმინთა განმარტებანი

- რაციონალიზაცია – ტექნიკური და ორგანიზაციულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.
- რეაბილიტაცია – უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, პატიოსანი სახელის აღდგენა; ჩამორთმეული უფლების აღდგენა.
- რეაგენტები – ნივთიერებები, რომლებიც მონაწილეობენ ქიმიურ რეაქციაში, მაგრამ არ შეადგენენ საბოლოო პროდუქციის ნაწილს.
- რეაგირება – რაიმე სახის გამომხაურება, პასუხი შთაბეჭდილებაზე.
- რეალიზატორი – პიროვნება, რომელიც ახდენს საქონლის რეალიზაციას (გაყიდვას). აქ: ნარკოტიკების რეალიზატორი.
- რეალიზაცია – რისამე განხორციელება, ცხოვრებაში გატარება.
- რეალისტური (მიდგომა) – რეალიზმით, სიმართლის ასახვით გამსჭვალული.
- რეგიონი – მსხვილი ტერიტორიული ერთეული (ბუნებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ.).
- რეგლამენტირებული – რისამე ზუსტად განსაზღვრა, დადგენა; გარკვეული წესებისადმი დაქვემდებარება, მოწესრიგება.
- რეზიდენტი – დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოს გარკვეულ რაიონში.
- რეზონანსი – გამომხაურება, გამოძახილი.
- რექსპორტი – ექსპორტი (ქვეყნიდან გატანა) საქონლისა, რომელიც შემოტანილია საზღვარგარეთიდან.
- რეინტეგრაცია – ენათა (დიალექტთა) და დიასპორათა ხელახალი დაახლოება ურთიერთგაველენის შედეგად; ნაწილების ხელახალი გაერთიანება ერთ მთელად აღდგენა.
- რეკეტი – გამოძალვა (ფულისა და სხვ.)

- რეკეტიორი - ბანდის წევრი, რომელიც მიმართავს შანტაჟს, გამოძალვას.
- რეკომენდაცია - ვისიმე საქმიანობის დადებითი და ხასიათება (წერილობით ან სიტყვით სამუშაოზე ანუ რაიმე ორგანიზაციაში მისაღებად).
- რეკონდიციონირება - გადახალისება, გასუფთავება, რაფინირება და ა.შ.
- რეკონვერსია - სამხედრო მრეწველობის გადაყვანა მშვიდობიანობის დროისათვის საჭირო საქონლის წარმოებაზე.
- რენტაბელური - რაც გაწეულ ხარჯებს ამართლებს, სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი; სარგებლიანი, შემოსავლიანი.
- რეორგანიზაცია - დაწესებულების, ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლა, გადაკეთება, გარდაქმნა.
- რეპატრირება - ემიგრანტების, ტყვედწაყვანილი პირების, ლტოლვილების დაბრუნება სამშობლოში.
- რეპრესია - სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული დასასჯელი ზომა; დასჯა.
- რეპროდუქცია - ხელახლა გადაღება და გამრავლება ფოტოგრაფიული ან პოლიგრაფიული საშუალებებით; მეხსიერებაში შემონახული რაიმეს აღდგენა, გახსენება.
- რეპუტაცია - ვისიმე (რისამე) ღირსებათა ან ნაკლოვანებათა შესახებ შექმნილი საერთო აზრი, შეხედულება.
- რეჟიმი - სახელმწიფო მმართველობის წესი; შრომის, კვების, დასვენების წესი.
- რესპექტაბელური - პატივსაცემი, ღირსეული, დარბაისლური.
- რესურსი - რისამე მარაგი; ფულადი სახსრები.
- რეტორტა - სითხის გამოსახდელი ხელსაწყო (მსხლის ფორმისა),

ტერმინთა განმარტებანი

იყენებენ ლაბორატორიებში; აქ: სარისკო საქმიანობაში (ნარკობიზნესში) ჩაბმა..

- რეფერენდუმი – საყოველთაო – სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით დიდად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად.
- რეფლექსი – ასახვა; ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე, რაც ხორციელდება ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობით.
- რეციდივი – *(მედიც.)* ავადმყოფობის შებრუნება; *(იურ.)* დანაშაულის განმეორებითი ჩადენა; თითქოს გამქრალი მოვლენის დაბრუნება, გამეორება.
- რეციდივისტი – აღამიანი, რომელმაც განმეორებით (მრავალგზის) ჩაიდინა დანაშაული.
- რიტუალი – სარწმუნოებრივი ხასიათის წესჩვეულებათა ერთობლიობა.
- როტაცია – ბრუნვა, ტრიალი, წრებრუნვა.
- სადისტრიბუციო – გასანაწილებელი.
- საკომუნიკაციო – ერთიმეორესთან დამაკავშირებელი.
- სამურაი – იაპონიის აგრესიული სამხედრო წესების წარმომადგენლის სახელწოდება; პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი ფეოდალურ იაპონიაში.
- სანდისტრი – *(აქ: სანდისტური მოძრაობა)* წარმოიშვა ნიკარაგუაში ნარკოტიკების, ფულსა და იარაღს შორის უწყვეტი კავშირების შედეგად. მათი გამარჯვების შემდეგ მოძრაობამ *სანდისტური მოძრაობის* სახელწოდება მიიღო.
- სანიტარია – სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობა.

- სანოტიფიკაციო – სამაუწყებლო.
- სანტა ლუჩია – ნარკობიზნესთან საბრძოლველი ბაზა პერუში უალაგას ხეობაში, იგი აშშ დეპარტამენტმა დააფინანსა და 3 მლნ დოლარი დაჯდა, ბაზაზე მოქმედებდა კომპანია **NATI**, პენტაგონთან კონტრაქტით.
- სანქცია – დაკანონება, დაწესება; ზემდგომი ორგანოს მიერ რაიმე აქტის დამტკიცება.
- საპატიო კაცები – ასე იწოდებოდა *ჯარისკაცების* ჯგუფი იტალიურ მაფიოზურ ორგანიზაციაში.
- საროსკიპო – დაწესებულება, რომელშიც სახელმწიფოს დაშვებული აქვს მემავი ქალების სხეულით ვაჭრობა.
- სატელიტური – აქ: თანამზრახველი (ქვეყნები).
- სატრანზიტო – აქ: გადასაზიდი ტვირთი ერთი ქვეყნიდან მეორეში.
- საფრაზტო – გემების გაქირავების პუნქტი.
- საჯარო მოხმარება – ნარკოტიკის: ნარკოტიკული ნივთიერების მიღება (*გაკეთება - ინიცირება*) ყველას თვალწინ, დაუფარავად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე; მოწვევის ჯგუფური ფორმა.
- სეგმენტი – მონაკვეთი.
- სეკვესტრი – რაიმე კერძო ქონების გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა, ყადაღა.
- სეპარატისტი – პირი, რომელიც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია და სურს სახელმწიფოსგან გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.
- სერვისი – მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.
- სერტიფიცირება – საგარეო ვაჭრობაში: საბუთის, მოწმობის, წერილობითი ცნობის გაცემა საქონელზე ხარისხის, ფასის და სხვ. მიკუთვნების თაობაზე.

გერმინთა განმარტებანი

- სექტორი – დაწესებულების ან ორგანიზაციის განყოფილება, რომელიც უფრო მცირე დანაყოფებს აერთიანებს.
- სიმბიოზი – სხვადასხვა სახეობის, ორი ორგანიზმის თანაცხოვრება, რაც სასარგებლოა თითოეული მათგანისათვის.
- სიმპოზიუმი – საერთაშორისო თათბირი რაიმე სამეცნიერო საკითხზე.
- სინდიკალიზმი – მე-19 საუკუნის ბოლოს და 20-ე საუკუნის დასაწყისში მუშათა მოძრაობაში არსებული წერილობრუპუაზიული მიმდინარეობა, რომლის მომხრეები უარყოფდნენ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას.
- სინდიკატი – რამდენიმე კაპიტალისტური ბანკის გაერთიანება, რომელიც იქმნება ზანმოკლე დროით მსხვილი ოპერაციის ერთობლივად ჩასატარებლად.
- სინდრომი – რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა.
- სინთეზური – ხელოვნურად შეერთების გზით მიღებული.
- სიროფები – აქ: ნარკოტიკული საშუალება – შაქრის, გლუკოზის და სხვა კომპონენტების ნარევი, კონცენტრირებული წყალხსნართან.
- სისტემა – დაჯგუფება, კლასიფიკაცია.
- სისტემატური – მუდმივი, განუწყვეტელი, რეგულარული.
- სიტუაცია – შექმნილი პირობების ერთობლიობა; გარემოება, მდგომარეობა.
- სკალა – საზომი ხელსაწყო, ხელსაწყოს ასათვლელი მოწყობილობის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს გასაზომი სიდიდის თანამიმდევრული მნიშვნელობების რიგთან შესაბამისი ნიშნულების (გარკვეული თანამიმდევრობით განლაგებული წერტილები, შტრიხები) და ზოგიერთ მათგანთან დასმული ათვლის რიცხვების ან სხვა სიმბოლოების ერთობლიობას.

სოლიდური	–	საიმედო, საფუძვლიანი, სერიოზული.
სოციალური	–	საზოგადოებრივი; რაც ადამიანების ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.
სპაგეტი	–	იტალიური წვრილი მაკარონი.
სპეკულაცია	–	მოგების მიზნით საქონლის უკანონო შესყიდვა და უფრო ძვირად გაყიდვა.
სპეციფიკა	–	საგნის, მოვლენის მახასიათებელი თავისებურებანი, რაც მას სხვებისგან განასხვავებს.
სპეციფიკური	–	თავისებური, განსაკუთრებული.
სპექტრი	–	სხვადასხვა ფერის ზოლი, რომელიც მიიღება პრიზმაში სინათლის სხივის გავლის დროს.
სპონტანური	–	გარეგანი გავლენის გარეშე, თავისთავად, შინაგანი მიზეზებით წარმოქმნილი.
სტაბილური	–	მუდმივი, უცვლელი, მტკიცე.
სტანდარტი (-ული)	–	არაორიგინალური, ტიპობრივი, შაბლონური.
სტატუსი	–	საერთაშორისო სამართალში: მდგომარეობა, მაგ., დიპლომატიური სტატუსი.
სტატუსკვო(ს) (გარანტიები)	–	საერთაშორისო სამართალში: რაიმე გარკვეულ მომენტში არსებული მდგომარეობის გარანტიები.
სტიდები	–	სიცილიური მაფიოზური ორგანიზაცია, რომელიც <i>მომნანიებელმა</i> მაფიოზებმა შექმნეს.
სტილი	–	ამა თუ იმ ხალხის, ეპოქის, მიმართულების ან ცალკეული შემოქმედის დამახასიათებელი გამოშვატველობითი სერხები.
სტიმულატორი	–	ფარმაკოლოგიური ნივთიერებანი, რომლებიც ალაღვენენ დაქვეითებული, დათრგუნული ნერვული სისტემის აღზნებადობასა და ფუნქციებს, აუმჯობესებენ გონე-

ტერმინთა განმარტებანი

	ბრევ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას.
სტიმული	- რაიმე მოქმედებისთვის ხალისის აღმძვრელი ზომები, ბიძგი.
სტიმულირება	- სტიმულის მიცემა, წაქეზება.
სტინგერი	- სითბური რაკეტა.
სტრატეგია	- ომის მომზადებისა და წარმოების ღიდი სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება.
სუბიექტი	- აქ: მსჯელობის საგანი.
სუბიექტური (მხარე)	- აქ: სუბიექტთან დაკავშირებული; მიკერძოებული.
სუბსიდია	- ფულადი ან ნივთიერი დახმარება, რომელსაც უწევს სახელმწიფო ადგილობრივ ორგანიზაციებს, ფირმებს, ცალკეულ პირებს ან სხვა სახელმწიფოებს.
სუბსტანციების აქტი	- რისამე საფუძვლის, არსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
სუვერენი	- უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელი.
სუვერენიტეტი	- სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.
სუვერენული	- დამოუკიდებელი (სახელმწიფო).
სუმოში	- <i>იაკუზების</i> მაფიოზური ბანდა იაპონიაში, ბაზირებული ტოკიოში.
სუნიონი	- საიდუმლო კრიმინალური ორგანიზაცია პონკონგში.
სუნიტი	- მუსლიმანი, რომელიც ყურანთან ერთად სუნასაც აღიარებს.
სუტენიორი	- შუამავალი მეძავსა და კლიენტს შორის.
სუფისტური (შეიარაღება)	- მაკმადიანობის მისტიკურ-ასკეტური მიმართულების წარმონაქმნი; <i>სუფიური საძმო, შეიარაღება</i> - გავერცელებულია ისლამურ ქვეყნებში (მაგ., ჩეჩნეთში).

- სფერო – აქ: საზოგადოებრივი გარემოცვა, გარემო.
- ტაბლეტები – ფხვნილისებრი, კრისტალური, გრანულირებული მასალების დაწნეხით მიღებული მყარი, დოზირებული ნარკოსაშუალება; ტაბლეტებს შეიძლება ჰქონდეს სხვა-დასხვა ფორმა, ზომა, ფერი.
- ტაო იუაი ჯიგო კუშიაი – *იაკუზების* მაფიოზური ბანდა, ბაზირებული ტოკიოში.
- ტარიფი – რისამე დაბეგერის ან ანაზღაურების განაკვეთების ცხრილი, კრებული.
- ტაქტიკა – ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; ბრძოლის წარმოების წესები, ხერხები.
- ტაქტიკური – რაიმე მიზნის მისაღწევად გამოყენებული ხერხები.
- ტენდენცია – მისწრაფება, მიდრეკილება რაიმესადმი; წინასწარ შემუშავებული ცალმხრივი აზრი, რომელსაც თავს ახვევენ მსმენელს, მკითხველს.
- ტერორი – პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორება ძალადობით.
- ტერორიზმი – ტერორის პოლიტიკა, პრაქტიკა და ტაქტიკა.
- ტიპოლოგია – საგნის ან მოვლენების კლასიფიკაცია მათი საერთო ნიშან-თვისებათა მიხედვით.
- ტოლერანტობა – მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება ნარკოტიკულ საშუალებათა მრავალჯერადი მოხმარებისას და რომლის დროსაც ორგანიზმი სუსტდება ან საერთოდ ეკარგება ამ საშუალებისადმი მგრძნობელობა.
- ტოტალიტარული – სადაც, რა დროსაც ბურჟუაზიის აშკარა ტერორის-ტული დიქტატურაა; ფაშისტური. მაგ., ტოტალიტარული სახელმწიფო.
- ტოტალური (ომი) – ყოელისმომცველი, საყოველთაო.

ტერმინთა განმარტებანი

- ტრაიბალის ზონა, (ტრაიბალური) – ეთნიკური და ტომთაშორისი წინააღმდეგობის ზონა, სოციალური განვითარების არქაულობა, ფართოდ იყენებენ კოლონიზატორები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესასუსტებლად.
- ტრაიბალიზაცია (ქვეყნის) – სოციალური განვითარების არქაულობა, ეთნიკური პროცესების დაბალი დონე, ტომთაშორისი წინააღმდეგობანი და სხვ..
- ტრავმა – სხეულის ქსოვილების ან ორგანიზმის დაზიანება რაიმე გარეგანი ზემოქმედების შედეგად.
- ტრავმატოლოგიური – ტრავმასთან დაკავშირებული
- ტრანზიტი – ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყვანა რამოდენიმე ქვეყნის გავლით.
- ტრანკვილიზატორი – დამამშვიდებელი სამკურნალო პრეპარატი.
- ტრანსაგრესია – ხმელეთზე ზღვის გადმოსვლის პროცესი; აქ: წინააღმდეგობის დროს უკანდახევა ან პირიქით, მოწინააღმდეგეზე გალაშქრება მისი უკანდახევის ხარჯზე.
- ტრანსაქცია – პოლიტიკური ან იურიდიული შეთანხმება, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ურთიერთდათმობას.
- ტრანსფერი (ფულის) – უცხოური ვალუტის ან ოქროს გადაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორეში.
- ტრანსფორმაცია – გარდაქმნა, სახეცვლილება.
- ტრაქტატი – მეცნიერული შრომა, რომელშიც განხილულია რაიმე ცალკეული საკითხი, პრობლემა; საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება.
- ტრიადა – საიდუმლო სახიფათო კრიმინალური სტრუქტურა ჩინეთში. ცხოვრების ტრადიციული მოდელის წინაშე უცხოური საფრთხის საწინააღმდეგო ინსტრუმენტი.
- ურბანიზმი – მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარება დიდ ქალაქებში სოფლის საზიანოდ. ხელოვნებასა

- და ლიტერატურაში კაპიტალისტური ქალაქის გაიდულება.
- ულტიმატუმი – საერთაშორისო სამართალში კატეგორიული მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობას მოსდევს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა; მოთხოვნა, რასაც თან ახლავს მუქარა.
- ულტრამემარცხენე – უკიდურესად მემარცხენე.
- უნიკალური უნივერსალური – ძალიან იშვიათი რამ.
– მრავალმხრივი, ყოველმხრივი, ყოვლისმომცველი.
- ფაზა – ცალკეული სტადია, მომენტი რაიმე მოვლენის, პროცესის განვითარებაში, კერძოდ, გარკვეული პერიოდი ისტორიული პროცესის განვითარებაში.
- ფაკულტატიური – არასავალდებულო, საკუთარ არჩევანზე დამოკიდებული.
- ფალსიფიცირებული – გაყალბებული.
- ფანტასმაგორია – ფანტასტიკური წარმოდგენა რისამე შესახებ; ბოღვითი ჩვენებანი, აზარელური მოჩვენებითი რამ.
- ფარაონი – ძველი ეგვიპტელი მეფეების ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი; პოლიციის სალანძღავი მეტსახელი; ბანქოს ძველებური აზარტული თამაშის სახელწოდება.
- ფარმაკოლოგია – მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამკურნალო ნივთიერებათა მოქმედებას ორგანიზმზე; წამალთმცოდნეობა.
- ფატიმიდები – არაბი ხალიფების დინასტია (909-1171).
- ფაქტორი – რაიმე მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა.
- ფედერალისტური მოძრაობა – ცალკეულ საზოგადოებათა, ორგანიზაციათა კავშირის მოძრაობა.
- ფედერალური პოლიცია – გაერთიანებული, მაკოორდინირებული ორგანო, ცენტრალიზებული.

ტერმინთა განმარტებანი

- ფედერაცია** – სახელმწიფო წყობილების ფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე სახელმწიფოსაგან იქმნება ერთი სახელმწიფო; ცალკეულ საზოგადოებათა, ორგანიზაციათა კავშირი.
- ფენომენი** – იშვიათი, უშუალო, განსაკუთრებული მოვლენა (გადატ. არაჩვეულებრივი ნიჭის აღამიანი).
- ფიასკო** – სრული მარცხი, კრაზი.
- ფიბრი** – აქ: კანაფის ძაფის დასამზადებელი მასალა, რისთვისაც *კანაფის* კულტურა ბრიტანელებმა XVIII-ს. ამერიკაში (იამაიკაზე) შეიტანეს. მოგვიანებით კანაფს მექსიკელმა გლეხებმა *მარიხუანა* დაარქვეს, ხოლო 1911 წელს ცნობილი რევოლუციური სიმღერის – *კუკარაჩას* ავტორებმა მას ერთი კუპლეტიც დაუთმეს.
- ფილერი** – პოლიციის აგენტი, მაძებარი.
- ფილტრი** – ხელსაწყო ან ნივთიერება, რომელში გატარებითაც წმენდენ სითხეებს ან გაზებს მინარევებისაგან (მყარი ნაწილაკებისაგან და მისთ.).
- ფისკალური** – საგადასახადო.
- ფიქსირება** – აღნიშვნა, რეგისტრირება.
- ფიქტიური** – ყალბი, გამოგონილი, სინამდვილისთვის შეუფერებელი მდგომარეობა, რომელსაც რაიმე მიზნით იყენებენ, როგორც ნამდვილს.
- ფლანგისტი** – რომელიმე მხარეს მდგომი; ერთი გარკვეული მიმდინარეობის მიმდევარი.
- ფლოტილია** – სპეცდანიშნულების გემების რაზმი.
- ფორმაცია** – გარკვეული სტადია, საფეხური რისაზე განვითარებაში.
- ფორმირება** – ჩამოყალიბება, შედგენა, დაკომპლექტება; ახლად-ჩამოყალიბებული სამხედრო ნაწილი.

- ფსიქოტროპული – სამკურნალო ნივთიერება, რომელიც ზეგავლენას ახდენს უპირატესად ფსიქიკაზე
- ფსონი – მოგება; მოგების განმაპირობებელი.
- ფრანგული კავშირები – ქსელები, ნარკობიზნესის სატრანზიტო მარშრუტები.
- ფრაზტი – გემით ტვირთის გადაზიდვის ქირა, საფასური; დაქირავებული გემით გადაზიდული ტვირთი.
- ფუნდამენტური – გამძლე, მყარი, მაგარი; ღრმამინაარსიანი, საფუძველიანი; ძირითადი, მთავარი.
- ფუნქცია – შესასრულებელი საქმე, მოვალეობა; როლი, მნიშვნელობა, დანიშნულება.
- ფუნქციონერი – ზოგ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიის საზოგადოებრივი ორგანიზაციის აქტივისტის სახელწოდება; იტყვიან მაღალ ემელონებში მოღვაწე ჩინოვნიკებზეც.
- ფზენილები – აქ: დაქუცმაცებით ფზენილისებრ სახემდე მიყვანილი ნარკოტიკული საშუალება.
- ყაზობა – კუჭ-ნაწლავის არასწორი მოქმედება, შეკრულობა.
- ყაყაჩოს ნამჯა – ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდების შემცველი მცენარის დაქუცმაცებული ნაწილები
- ყაყაჩოს ნამჯისა და ოპიუმის ექსტრატი – საშუალება, რომელიც მიიღება ყაყაჩოს ნამჯიდან ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდების წყლით ან ორგანული გამხსნელებით გამოხდის (ექსტრაქციის) გზით.
- შაუზუ – ჩინელი ემიგრანტები; დიალექტზე მოლაპარაკე ჯგუფი ჩინეთში.
- შეფი – წარმოება, დაწესებულება, რომელიც სისტემატურ დახმარებას (შეფობას) უწევს რაიმე კოლექტივის; ხელმძღვანელი, უფროსი.

ტერმინთა განმარტებანი

- შიიზმი – ისლამის რელიგიური მიმართულება, რომელიც აღიარებს მხოლოდ ყურანს და უარყოფს სუნას.
- ცარისტული – რევოლუციამდელ რუსეთში სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება განუსაზღვრელად ეკუთვნოდა თვითმპყრობელ მეფეს.
- ცივილიზაცია – საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურის განვითარების დონე, რომელსაც მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ; მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თანამედროვე კულტურა, განათლება.
- ციტატა – რაიმე ტექსტიდან სიტყვა-სიტყვით, უცვლელად მოყვანილი ადგილი.
- ციტირება – ციტატის მოყვანა.
- წარმომადგენელი – იტალიაში მაფიოზური *ოჯახის* შეფი, თავკაცი, ლიდერი.
- ხარვეზი – ნაკლი, წუნი.
- ჰადავას საძმო – ერთ-ერთი მოხეტიალე ასკეტთა საძმოთაგანი ჩრდილოეთ მაროკოში XIV–XV საუკუნეებში, მათთვის ლიმიტირებული იყო კიფიანი თუ სეზისური ჩიბუხიანი მოსაწევი, რის შედეგად საძმოს წევრები გათანგულები მკვლევლობათა სერიებს ატარებდნენ.
- ჰალუცინაცია – სინამდვილის აღქმის დარღვევა შეგრძნების და გამოსახულების სახით, რომელიც წარმოიქმნება ცნობიერებაში რეალური ობიექტის (საფუძვლის) გარეშე და რომელიც პიროვნებისათვის ობიექტური სინამდვილეა.
- ჰაშიში – მცენარე კანაფის გადამუშავებით მიღებული, *კანაფის* მტერის ფისისაგან გასუფთავებული, სპეციალურად დამზადებული ნარევი ან *კანაფის* წვეროების გადამუშავებით მიღებული ნარევი; აქვს დამახასიათებელი სუნი.

- პაშიშის ჩიბუხი – სპეციალური ჩიბუხი, რომელსაც თავში ძალიან პატარა თასი აქვს – შიგნითა ცხავით, რაც გაფილტვრის მიზნით გამოიყენება, რათა პაშიშის მასის ნაწილი მწველის ორგანიზმში არ მოხვდეს.
- პერბიციდული (შესხურება) – საპაერო მცენარეული შესხურება აქ: ულაგას ხეობაში.
- პერმეტული – რაც ისე მჭიდროდ არის დახურული, დაგმანული, ან ისე იხურება, რომ ჰაერს სრულიად არ ატარებს.
- პეროინი – ოპიუმის გადამუშავებით მიღებული სინთეზური ნარკოტიკული საშუალება, რომელიც თავისი ნარკოტიკული ზემოქმედებით აღემატება *მორფინს*. მოხმარების ხერხი: ინექცია, ცხვირით შესუნთქვა, მოწვევა; მიიღება *ოპიუმის* გადამუშავებით, შეფარდებით 10:1.
- პეროინომანი – პეროინის მოყვარული, გატაცებული პირი, ნარკომანი.
- პიპოთეზა – რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცდით და პრაქტიკით დამტკიცებული.

სახელთა განმარტებანი

- აბრეგო ზუან გარსია – მექსიკელი ნარკომაფიოზი.
- აგირე რიკარდო – მექსიკელი ნათლიმამა, აბრეგოს სამსახურში მყოფი ფულის გამოთვრებელი, რომლის წინააღმდეგ წარმოებულმა DEA-ს გამოძიებამ მარტო კონფისკაციის სახით 30 მლნ დოლარი ამოიღო.
- ავრელიუსი მარკუს – რომის იმპერატორი (ძვ.წ. 161 - 180 წწ.).
- ათათურქი ქემალ – თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი და პირველი პრეზიდენტი (1923 - 1938წწ.).
- ალბუკერკე ალფონსუ დ' ე – პორტუგალიელი დამპყრობელი ადმირალი, (1453 - 1515წწ.); მან წერილით მიმართა პორტუგალიის მეფეს მანუელ პირველს და ოპიუმის ჩინური ბაზრის მნიშვნელობა აუხსნა, თან თავის სუვერენს კომერციის მონოპოლიზება შესთავაზა.
- ალექსანდრე დიდი – მაკედონიის მეფე, მხედართმთავარი და საზოგადო მოღვაწე (ძვ. წ. 356 – 323 წწ.).
- ალიევი ჰეიდარ – აზერბაიჯანის პრეზიდენტი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კასპიის ნავთობსადენის საქართველოსა და თურქეთზე გატარების შესახებ.
- ალფიერი კარმინ – იტალიელი ნარკობარონი, რომელიც 70-იანი წლების მიწურულს ნუოვა ფამილიას დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა.
- ამენხოტენ I – ეგვიპტის ფარაონი (ახ.წ. 1558 – 1530 წწ.).
- ამირეჯიბი ჭაბუა – ცნობილი ქართველი მწერალი. წინამდებარე წიგნის რედაქტორი.

- ანდონიანები, ძმები – ისინი აკონტროლებდნენ საზოგადოებებს: **ABI** და **Nazareth Jewels** და განახორციელებდნენ ფულის გათეთრების ოპერაციებს.
- ანდრეოტი ჯულიო – ქრისტიანულ - დემოკრატიული პარტიის ყოფილი ლიდერი იტალიაში, რომელსაც მაფიოზური მაგნატები დეკნიდნენ და ავიწროებდნენ.
- არანდი მანუელ ღონ ჰედრო – ფილიპინების ესპანელი გუბერნატორი (1754 - 1759 წწ.), მან კუნძულიდან არაკათოლიკე ჩინელთა გამოდევნა დაიწყო.
- არისტოტელე – ძვ.ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი (ძვ. წ. 384 – 322 წწ.).
- არსენიევი ვლადიმერ – ცნობილი რუსი ეთნოგრაფი.
- აუნი მიშელ – ლიბანელი გენერალი, რომელიც სიცილიელებთან აშკარა კონფლიქტში შევიდა. მან გაზეთ *ლე მონდისათვის* მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ *მისი მთავარი მიზანი ტერორიზმის ბუღისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ხელში ჩაგდება იყო. იგი ნარკოტიკებს ომის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიიჩნევდა (ვინც მათ ფლობს, ძალაუფლებაც მის ხელშია).*
- აუნი ტაიკ – პარტიის ლიდერი ბირმაში, ნარკობარონი, რომელმაც ნარკოტიკების ლაბორატორიების ქსელის განვითარების მიზნით ჩინელი ქიმიკოსები მოიწვია, ხოლო ჰეროინის გასასაღებლად ტაილანდთან კავშირები განამტკიცა.
- ახუნდაზები ძმები, მოლები – ისლამური რევოლუციური მოძრაობის მეთაურები. ავღანეთის ომის დაწყებისას, როცა *ჰერატის* რელიგიურმა და ავტორიტეტულმა პირებმა *ყაყაჩოს წარმოების აკრძალვა გააუქმეს*, ახუნდაზები ბეგარის სახით ოპიუმის სპეკულაციით ამოგებული

სახელთა განმარტებანი

- თანხების 5-10 პროცენტს იღებდნენ, რაც პელმანდის პროვინციაში მოყვანილი 1500 ტ ნარკოტიკიდან ამოგებულ 35-70 მლნ დოლარს უტოლდებოდა.
- ბაგარელა ლეოლუკა – 1993 წელს მილანში 10 ადამიანის მკვლელობის ავტორი.
- ბადალამენტი გაეტანო – პალერმოელი ნარკობიზნესის ნათლიმამა, იგი 1937 წლის დასასრულს ფზენილით ვაჭრობაზე გადავიდა, მას პეროინი ჩინეთიდან ჰუნეტა რეზის აეროპორტის მეშვეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში გააქონდა.
- ბასაევი შამილ – ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი (1996 წ.), რომელიც თავის ძმასთან შირვანთან ერთად აფხაზური ნარკომარშრუტის ბატონ-პატრონად ითვლებოდა. ბასაევის ქსელის ნარკოტიკები თურქეთსა და ევროპაში გაედინებოდა, ზოლო უკანა გზაზე ბასაევის რაზმისთვის იარაღსა და ტყვია-წამალს უზიდავდნენ.
- ბატისტა – კუბელი დიქტატორი.
- ბეიკერი ჯეიმს – აშშ სახელმწიფო მდივანი 90-იანი წლების დასაწყისში, რომელმაც ნარკოპოლიტიკა უარყო როგორც ცვალებადი პოლიტიკური პრობლემა და ნარკოკონტროლი ქვეყნებს შორისი ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის ობიექტად გამოაცხადა.
- ბემი პაველ – ნარკოკონტროლის ცნობილი ჩეხი ექსპერტი.
- ბენეტი უილიამ – პირველი ნარკომეფე, სენატში, ნარკოკონტროლის პრობლემების კოორდინატორი იგი ამ პოსტზე 1989 წლის 10 მარტს აშშ სენატმა დაამტკიცა.
- ბენ ლადენი – ტერორისტული ორგანიზაცია ალ-ქაედას დამფუძნებელი. მის მიერ ორგანიზებულია მრავალ ტერო-

რისტული აქტი, მათ შორის 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერორისტული აქტები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში, რომლის დროსაც 4 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

- ბერნასკონი პაულო – *ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ცნობილი მკვლევარი.*
- ბეტანკური დარიო – *კოლუმბიელი ისტორიკოსი, რომელმაც მარტა გარსიასთან ერთად პირველად შეისწავლა და მოგვცა კოლუმბიური მაფიის შედარებითი ანალიზი იტალიურ ფენომენტან მიმართებაში.*
- ბონანო ჯოზეფ – *სიცილიელი ნარკოვაჭარი, ნიუ-იორკელი ბოსი, ლაკი ლუჩიანოს მეგობარი, რომელთან ერთად ჰერონინის საერთაშორისო ქსელი ჩამოაყალიბა ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე; ამერიკული მოდელის მიბაძვით პალერმოში 1957 წელს შექმნა პირველი პროვინციული კომისია, რომლის სათავეშიც 18 კანტონის შეფების მიერ არჩეული მდივანი იდგა. მან მუსოლინის შემოტევის შემდეგ დატოვა კუნძული და ახალ სამყაროში – ამერიკაში გადასახლდა.*
- ბონილა როდრიგო ლარა – *კოლუმბიის შინაგან საქმეთა მინისტრი, მოკლეს 1984 წელს, მკვლელობა დაფინანსებული იყო პაბლო ესკობარის მიერ.*
- ბონტატე სტეფანო – *იტალიელი მაფიოზი, ტომასო ბუსკეტას დაბეზღებით იგი ჯერ კოზა ნოსტრადან, ხოლო მოგვიანებით კუნძულიდან გააძევეს.*
- ბორსელინო პაოლო – *მოსამართლე, ფალკონეს შემცვლელი იტალიაში, რომელიც მისი წინამორბედივით სიკვდილის გზას გაუყენეს.*
- ბრენტი ჩარლზ – *ეპისკოპოსი, რომელმაც თეოდორ რუზველტის*

ყურადღება ნარკოტიკების უკანონო გამოყენების პრობლემებს მიაპყრო და ამოცანად ოპიუმის სენისაგან პლანეტის გათავისუფლება დაუსახა.

- ბუსკეტა ტომასო — კატანიური მაფიის ნათლიმამა, რომლის ფარული ინფორმაციით *გაეტანო ბადალაშენტი კოზა ნოსტრადან* გააძევეს.
- ბუში ჯორჯ უფროსი — აშშ ყოფილი პრეზიდენტი. ბუშის ადმინისტრაციამ სცადა ნარკოკონტროლი განეხორციელებინა იმ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირში და *ორმხრივი ურთიერთობის* პირობებში, რომელთა ტერიტორიებსაც ნარკოტიკების წარმოების, ვაჭრობისა და ტრანზიტისათვის იყენებდნენ.
- ბჰუტო ბენაზირ — პაკისტანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი; როგორც საერთაშორისო ექსპერტები ამტკიცებენ, მისი მომხრეები სხვადასხვა საპარლამენტო და პროვინციული ასამბლეის საარჩევნო კომპანიებს ნარკოფულით აფინანსებდნენ.
- გალანი ლუის კარლოს — პრეზიდენტობის კანდიდატი კოლუმბიაში, რომელიც ნარკობარონების მსხვერპლი გახდა, იგი 1989 წელს მოკლეს; მკვლელობა *ჰაბლო ესკობარს* მიაწერეს.
- გალენუსი კლავდიუსი — ბერძენი ექიმი (175 წ.). იგი ადამიანებს აფრთხილებდა არ გამოეყენებინათ ქერულის მარცვლები ბოროტად და არ შეერიათ იგი ცომში, რამეთუ მათ ჰქონდათ „თვისება დაკოდოს ტვინი თუ გადაჭარბებით მიიღებენ“.
- გალიარდო მიგელ ანჟელ ფელიქს — ყოფილი პოლიციელი, მექსიკური ნარკომაფიის წარმომადგენელი, რომელმაც 70-იანი წლების შუახანებში *გუადალა ხარას* კარტელი დააფუძნა და ჰეროინის გავრცელების ქსელში ინვესტიციები ჩაღო — ააგო საკუთარი ლაბორატორიები.

- გამბინო კარლო – უძლიერესი ნარკობარონი, რომელმაც მუსოლინის შემოტევის შემდეგ დატოვა კუნძული და ახალ სამყაროში – ამერიკაში გადასახლდა.
- გარიბალდი – იტალიელი რევოლუციონერი.
- გარსია ალან – პერუს ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც სპეციალურად ჩამოაყალიბა გლეხთა დაცვის არმია *რონდას კამპესინას*, რომელიც *სანტიე ლუმინოს* და **MRTA**-ს დაუპირისპირდა.
- გარსია მარტა – კოლუმბიელი ისტორიკოსი, რომელმაც *დარიო ბეტანკურთან* ერთად პირველად შეისწავლა და მოგვცა კოლუმბიური მაფიის შედარებითი ანალიზი იტალიურ ფენომენტან მიმართებაში.
- განა როდრიგეს ხოსე – იგივე *მექსიკელი* – ცნობილი ნარკობარონი, *მედელინის კარტელის ერთ-ერთი* ნათლიმამა.
- გერინგი პერმან – ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი მთავარი სამხედრო დამნაშავე (1893–1946წწ.), რომელმაც მძლავრი იმპულსი მისცა ნარკოტიკების მასტიმულირებელ აღმგზნებ საშუალებად გამოცხადებას და მას სამხედრო ფარმაკოთერაპიაში ფართო გზა გაუხსნა.
- გი მინ – ჩინეთის პირველი იმპერატორი.
- გოვორუხინი სტანისლავ – რუსეთის ფედერაციის საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი, რომლის ოფიციალურ ანგარიშშიც პირველად დადასტურდა ჩეჩნეთში ნარკობაზის არსებობის ფაქტი.
- გრაციო აუგუსტ – იგივე *პატარა ოჯი*, წარმოშობით იტალიელი ნარკომოვაჭრე ამერიკაში, რომელიც ჩიკაგოდან ნიუ-იორკამდე ნარკობაზარს აკონტროლებდა.
- გრეკო მიკელე – იგივე *პაპი*, პალერმოს კომიტეტის პირველი

პროვინციული კომისიის მდივანი, რომელმაც თავის კუთვნილ ტერიტორიაზე პერონის გადამამუშავებელი საიდუმლო ლაბორატორიები შექმნა.

- გრიფი დე გუსტავო — კოლუმბიის გენერალური პროკურორი, რომელმაც ნარკოტიკების — *ჰაბლო ესკობარის* სიკვდილის მერე დღეს ტელევიზიით ასეთი სიტყვებით მიმართა კოლუმბიელ ხალხს: „*დაე, ეს იყოს მწარე მაგალითი დამნაშავეთათვის, იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან მათაც დაეჭვდნენ*“.
- გუზაკი ჯონ — ამერიკული პოლიციის შეფი, რომელმაც 70-იან წლებში დაანგრია მარსელის რაიონში მდებარე პერონის გადამამუშავებელი *ათამდე* ლაბორატორია.
- გურევიდსი დავიდ — ბერძნულ-რუსული წარმოშობის ებრაელი ნარკოვაჭარი, რომელსაც ჩინეთში თავისი კავშირები და გასასვლელები ჰქონდა.
- დარიოს I — ძვ. ბერძენი პოეტი (სავარაუდოა ძვ.წ. VIII ს.).
- დევინიო — იტალიელი წარმოშობის ნარკომოვაჭრე, რომელმაც სტამბულში *ელიოპულოსთან* და *მიშლერთან* ერთად ახალი კომპანია *კუსკუნჯუკი* დააფუძნა და პირდაპირი კავშირი დაამყარა ცენტრალური თურქეთის ყაყაოს მწარმოებელ რეგიონებთან, ცოტა ხნის შემდეგ ნარკოფული *ახალ საქმეში* ჩალო და პარალაში გემების გაქირავების *საფრანგო* გახსნა, რომელსაც თავისი ფილიალები ჰქონდა *სტამბულსა* და *ჰამბურგში*.
- დემეტრე — ზევისს და, ძველი ბერძნული ღვთაება, ნაყოფიერების ქალღმერთი; ოლიმპოს მთაზე აღმართულია დემეტრესადმი მიძღვნილი *ელევისინის* ტაძარი.

- დემირელი — თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი.
- დე სტეფანო — იტალიური მაფიის *ოჯახის* ნათლიმამა, რომლის ხელმძღვანელობითაც *რეჯიო დი კალაბრიში* ნარკოტიკების გადაზიდვის *საზღვაო ქსელის* განვითარება დაიწყო.
- დეფტერი გასტონ დიამონდი *ლუგს* — მარსელის მერი 30-იან წლებში.
— 30-იან წლებში ალკოჰოლური ბიზნესის ორგანიზატორი, ებრაელი განგსტერი.
- დიონისე — ბერძნულ მითოლოგიაში ღვინისა და დროსტარების ღმერთი. რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება ბახუსი.
- დობოში — ალბანელი ნარკოვაჭარი, რომელსაც *პერონინო* ვაჭრობისათვის 12 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს ნორვეგიის ციხეში. გაქცევის შემდეგ მის ბინაში ჩხრეკის შედეგად მოძიებულ იქნა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ დობოში *კოსოვოს გათავისუფლების არმიისათვის* იარაღს ყიდულობდა და ამარაგებდა მას.
- დროზდოვი ედუარდ — მოსკოვის მთავარი ნარკოლოგი 90-იან წლებში.
- დუდაევი ჯოხარ — ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტი, რომლის მოღვაწეობის პირველ ეტაპზე პრიორიტეტთა სუბიექტს დიდმასშტაბიანი ნარკობიზნესი არ წარმოადგენდა.
- ეგე ვალტერ — შვეციის პოლიციის სპეცსამსახურის ნარკობიზნესთან ბრძოლის განყოფილების უფროსი, რომელმაც თავისი სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით უეჭველი ვარაუდი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ *„არსებობს კავშირი ნარკომაფიის ფულსა და კოსოვოს გათავისუფლების არმიას შორის: ის არხები რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ძლიერმოქმედი ნარკოტიკებით*

სახელთა განმარტებანი

ვაჭრობა, იარაღის ბიზნესისათვის გამოიყენება“; – აცხადებს შვედეთის პოლიციის მაღალი ოფიცერი.

ელიოპულოსები,
ძმები

– ბერძენი კომერსანტები, ნარკობიზნესის ევროპული მაფიის წარმომადგენლები. მათ 1927 წელს ჰერონინის ქსელი დააფინანსეს სამხრეთ ამერიკელი ბანკირის მეშვეობით, ხოლო სტამბულში ახალი კომპანია *კუსკუნჯუკი* დააფუძნეს და პირდაპირი კავშირი დაამყარეს თურქეთის ყაყაჩოსმწარმოებელ რეგიონებთან. მოგვიანებით პრალაში გემების გაქირავების საფრახტო გახსნეს, რომლის ფილიალები *სტამბულსა* და *კამბურე ში* ჰქონდათ.

ენსლინგერი
ჯონ

ჰარი

– აშშ ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ფედერალური სამსახურის პირველი ხელმძღვანელი; 30-იან წლებიდან დაწყებული იგი ოთხი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში 20 წელი ედგა სათავეში ნარკოტიკებთან ბრძოლის ფედერალურ ბიუროს. მის ბაზაზე 1973 წელს *პრეზიდენტ ნიქსონის* უშუალო მხარდაჭერით ნარკობიზნესთან ბრძოლის ადმინისტრაცია – **DEA** დააარსდა რომელმაც დღემდე მხოლოდ ერთი მიმართულებით მომუშავე სააგენტოს იმიჯი შეინარჩუნა, რადგან იგი, არ არის ჩართული ქვეყნის უშიშროებისათვის წარმოებულ დაზვერვით საქმიანობაში.

ეროსი (ეროტი)

– (*კუპიდონი, ამური*) ბერძნულ მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთი, რომელიც ყველას – მოკვდავს და უკვდავს მწვავე სამრუშო ვნებებს უფორიაქებდა.

ერიმი

– თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

ესკობარი ჰაბლო

– ცნობილი ნარკობარონი, კოლუმბიის ნარკომაფიის სიმბოლო, *მედელინის კარტელის* ნათლიმაჰა.

- ვანგ პაო – გენერალი, ნარკობიზნესით აქტიურად დაკავებული სეპარატისტ მემბროხეთა მოძრაობის ბელადი *ოქროს სამკუთხედის* რეგიონში.
- ვასკესი ლუის ოჩოა – ცნობილი ნარკომავაჭრე, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა *კარლოს ლეპდერ ვივასისთან*, მედელინის კარტელის ერთ-ერთ თანადამა-არსებელთან.
- ვივასი რაულ – ნარკობიზნესმენი, *ფულის გათეთრების* ერთ-ერთი უპირველესი ოპერაციის – *ლა მინას* განმახორციელებელი.
- ვენტურები, ძმები – *ჟანი* – 1994 წლიდან კანადაშია დაფუძნებული, ხოლო 1987 წლამდე ჩრდილოეთ ამერიკაში *ჰატრის რიკარდოს* საზოგადოების იმპორტიორ-დისტრიბუტორი იყო. *დომინიკე (ნიკი)* – მარსელის მერის გარსონ დეფტერის *პროტეჟე*.
- ვიზინი კალოგერო – იგივე *დონ კალო*, იტალიური მაფიის ორგანიზაციის *კოზა ნოსტრას* ლეგენდარული ფიგურა.
- ვოლფი ლესთერ – ამერიკის კონგრესის ძველი წევრი, რომელიც **SLORC**-ს ეხმარებოდა და კონგრესის *წარმომადგენლის* სტატუსი ჰქონდა ბირმაში.
- ვოიაცი იანის – ბერძენი ნარკობარონი.
- თანატოსი – ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში *სიკვდილის* ღმერთი. ძილის ღვთაების – ჰიპნოსის ძმა, ტყუპისცალი.
- თეოკრიტე – ძვ. ბერძენი პოეტი (ძვ.წ. IV ს. დასასრული, III ს. დასაწყისი).
- იანგი ე. – **GAFI**-ის პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ცნობილი მკვლევარი, რომელმაც გამოკვეთილად

სახელთა განმარტებანი

დაახასიათა *ფულის გათეთრების* ძირითადი საშიშროებანი. ასევე მოგვცა ამ პროცესთან დაკავშირებული კონტრარგუმენტები იმის თაობაზე, რომ პოსტკომუნისტურ სივრცეში ბევრი პოლიტიკოსი ცდილობდა *ფულის გათეთრება* პრობლემად არ წარმოედგინა, რომ *ფულს სუნი არ ასდის, ფული ფულია, მიუხედავად იმისა, კანონიერი თუ დანაშაულებრივი გ ზითა იგი მოპოვებული*.

- ინცერილო
სალვატორე — იტალიური მაფიის უძლიერესი წარმომადგენელი, რომელსაც *ტომასო პუსკეტას* დასმენის შედეგად მაფიიდან ფეხი აუღაგმეს.
- ირანის შაჰი — თავის მმართველობის პერიოდში მან ორჯერ მიიტანა იერიში ჰერონის კომერციაზე: *პირველი აკრძალვის* შედეგად ირანის რევოლუციის დროს შეწყდა *თურქულ-იტალიური* ქსელების მომარაგება, ხოლო 1968 წელს ხელახლა წამოჭრა *აკრძალვის* საკითხი.
- ისახაზა გილერმო
კანო — გაზეთის რედაქტორი, რომლის სიკვდილი ნარკობარონების მიმართ მწვავე ინფორმაციის ბეჭდვის გამო *როდრიგეს გაჩა-მექსიკელმა* განახორციელა; იგი რედაქციის წინ მანქანაში ჩაცხრილეს.
- კაზარასი ანტონიოს — მობილური პოლიციის ბრიგადის შეფი იტალიაში, იგი მაფიოზებმა მოკლეს 1985 წელს.
- კალდერონე ჯუზეპე — კატანიური მაფიის შეფი, იგი პალერმოში ძველ მაფიოზებთან (*მოხუცებთან*) ახლობლობდა და პალერმოს პროვინციული კომისიის კომიტეტის მდივანი იყო; მოკლეს 1978 წელს ახალი მაფიის ომის დროს.
- კამარენა ენრიკო — DEA-ს სპეცაგენტი და მექსიკაში ჩატარებული ოპერაციის ხელმძღვანელი. მან ის მაღალჩინოსნები გამოავლინა, რომლებიც *გეადალასარას*

კარტელით სარგებლობდნენ. დაილუპა ოპერაციის ჩატარების დროს.

- კარბონე პოლ — ალექსანდრიაში მოღვაწე „კუსკუნჯუკის“ ქარხნების მფარველ დამნაშავეთა სამყაროს შეფი. თეთრის (იგულისხმება ჰეროინი) ვაჭრობის მეფე კორსიკაში, რომელმაც სპირიტოსთან ერთად მბრუნაე ღერძებად აქცია მარსელი, ტანჟერი, კაირო და ბეირუთი. იგი საფრანგეთის ოკუპაციის დროს კორსიკული ორგანიზაციის წმენდაში მოჰყვა და გადასახლებაში უკრეს თავი.
- კარილო ამანდო პუერტო — მექსიკაში იუკატანის მმართველი, რომელმაც 1923 წლის თებერვალში გამოაქვეყნა დეკრეტი ოპიუმის შემცველთა ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.
- კარო კვინტერო რაფაელ — მექსიკელი ნარკოსპეკულანტი; გეადალაზარას კარტელის ერთ-ერთი შეფი, იგი მარინხუანას წარმოების ექსპორტის სოლიდურ ნაწილს აკონტროლებდა.
- კასტანიო ფაბიო — მედელინის კარტელის ცნობილი ნათლიმამა; პაბლო ესკობარის მეგობარი.
- კასტრო ფიდელ — კუბის სოციალისტური პარტიის ლიდერი, მთავრობის თავმჯდომარე.
- კვინტერო პაიან ემელიანო — ცნობილი მექსიკელი ნარკობიზნესის განმახორციელებელი ერთ-ერთი სონორას ჯგუფის ხელმძღვანელი.
- კეი ნორმან — ცნობილი კოლუმბიელი ნათლიმამის კარლოს ლეჰდერის „პატრონი“.
- კიეზა დალა — იტალიელი გენერალი, რომელიც ნარკობარონებმა 1982 წელს მოაკვლევინეს.

სახელთა განმარტებანი

- კოლოზიო ლუის დონალდო – პრეზიდენტობის კანდიდატი მექსიკაში, რომელიც 1994 წლის 23 მარტს აშშ სასაზღვრო ქალაქ ტინუანაში საარჩევნო მიტინგის მსვლელობისას მოკლეს.
- კოიომეჟიანები, ძმები – ბიჟუტერიით მოვაჭრე სომხური ოჯახი ლოს ანჟელესიდან. ისინი ლა მინას ოპერაციის ხელმძღვანელის რაულ ვივასის საყრდენ ძალას წარმოადგენდნენ, აკონტროლებდნენ საზოგადოებებს **Ropex** და **JSK Bullion**, რათა ურუგვაიში დიდი რაოდენობის ნარკოდოლარის შედინებისთვის კანონიერი სახე მიეცათ.
- კოლინზი ჯეკ – თანამედროვე ამერიკელი მწერალი, ავტორი გახმაურებული რომანებისა „ბესტია“ და „ლაკი“.
- კონსტანტინი თომას – აშშ ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; მანამდე ნიუ-იორკის პოლიციის შეფი.
- კსინიანგ კო – ცნობილი ნარკოტიკტანი და განგსტერი *ფუჯიანში*. მან ჩინეთის საზღვარზე კონტრაბანდა გააბატონა და იმასაც კი მიაღწია, რომ 1661 წელს პოლანდიელებს *ფორმოზის (ტაივანი)* კუნძული წაართვა და იქ *იავადან ოპიუმი* შეიტანა.
- კუტოლო რაფაელე – იტალიური წარმოშობის ნარკოსაქმოსანი, რომელიც 70-იანი წლების დასასრულს *ნუოვა კამორა ორგანიზატას* დაჯგუფებებს ხელმძღვანელობდა.
- კუტუზისი მიშელ – ფრანგი მეცნიერი, რომელსაც მრავალი ნაშრომი აქვს დაწერილი ნარკოტიკების გეოპოლიტიკაზე და რომელმაც *ვეროპა – აზიის დამაკავშირებელ დერეფანს* ისტორიულ კონტექსტში *პირველმა* უწოდა *აპრეშუმის გზა... – ოპიუმის გზა*. წინამდებარე წიგნის კონსულტანტი.
- ლაგამარი ჯოვანი – *პიცას კავშირებთან* დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის მთავარი ფიგურა – ერთ-ერთი

ბრალდებული. იგი საქმეში თავის ვაჟთან *პიეტროსთან* ერთად გადიოდა. ლაგამარს 15 წლით პატიმრობა მიესაჯა, 8 წელი მოიხადა და ციხიდან გამოსვლიდან რამდენიმე დღეში მამა-შვილი საკუთარ სახლში *ჩამომხრჩველი* იპოვეს; როგორც ამბობენ ისინი იყვნენ **Capo di Capi**.

- ლანსკი მეიერ – *ფულის გათეთრების მოდერნისტული მეთოდების ინიციატორი და კუბის კაზინოების პაპი; ლაკი ლუჩიანოს მეგობარი.*
- ლედერმანი – *აღმომჩენი ე.წ. ალკოჰოლური კანონისა: რაც უფრო მეტია მომხმარებელი მით უფრო მეტია ავადმყოფი.*
- ლევინი კურტ – *ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგი (1890 – 1947 წწ.) იბეჭდებოდა ამერიკაში.*
- ლევინცი მელვინ – *საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აშშ-ს ნარკოტიკსაწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება განვითარება სრულყოფაში.*
- ლექდერი კარლოს – *მედელინის კარტელის ცნობილი ნათლიმამა. მედელინის კარტელის თანადამარსებელი 70-იან წლებში.*
- ლი ტორეს – *იტალიის პარლამენტის დეპუტატი, რომელიც მოკლეს 1982 წელს.*
- ლენგ ჯონ კონგ იუ – *ბანდის ხელმძღვანელი ჰონკონგში, რომლის ბანდამ 1988 წელს ამერიკაში 500 კგ ჰეროინი შეიტანა და რამდენიმე საიდუმლო მარშრუტი გახსნა.*
- ლეჟავა გელა – *საქართველოს ნარკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი.*

სახელთა განმარტებანი

- ლერუა ბერნარდ – გაეროს ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საკანონმდებლო სფეროს ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი.
- ლილი ჯეიმს პადრო – მემარცხენე პოლიტიკოსი, ადვოკატი კოლუმბიაში, რომლის მკვლევლობაშიც *გაჩაშ* 30 მლნ პესო გადაიხადა.
- ლიმო სალვო – იტალიური დემოკრატიის რიგებში მაფიის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც 1985 წელს მოკლეს, რადგან პალერმოში 1986-87 წლებში მიმდინარე დიდი პროცესის მსვლელობაში ვერ მოახერხა 474 მაფიოზისთვის გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება.
- ლინდერი პერმან – ცნობილი კომპანია ცვილონზე, რომელმაც 1876 წელს კოკაიერის პირველი საექსპერიმენტო ექსპონატები ამსტერდამში გაგზავნა.
- ლოზანო ანტონიო – პროკურორი კოლუმბიაში, პრეზიდენტ *ემესტო ზედილოს* პერიოდში, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: *წლებია საჭირო, რომ ფედერალური პოლიცია და პროკურორები ნარკოინდუსტრიას ჩამოაშორონ, ინდუსტრიას, რომელსაც ყოველწლიურად მილიონობით დოლარი მოაქვს.*
- ლონდონო ხოსე სანტა კრუზ – იგივე – *სტუდენტი*, მაფიოზი, *კალის კარტელის* უძლიერესი ნარკობარონი.
- ლუჩიანო სალვატორე – იგივე *ლაკი*, სიცილიელი ნარკომაფიოზი, 1930-31 წლებში იტალიურ-ამერიკული მაფიის ახალი თაობის ტიტანი. მან 1938 წლიდან დაიწყო *პეროინით* ვაჭრობა და 40-იანი წლებისათვის მისი მოგება 1 მლრდ დოლარს გაუტოლდა, რამაც იტალია პეროინის სპეკულაციის *მბრუნავ ღერძად* აქცია.

- მაზარელა დე — ნათლიმამა, რომელსაც *კოზა ნოსტრა* უწევდა მფარველობას.
- მაკდონალდი სკოტ — ამერიკელი მეცნიერი; ვაშინგტონში ვალუტის კონტროლის ოფისის საერთაშორისო ეკონომიკური მრჩეველი, აბრიუს ზაგარისთან ერთად „*ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის*“ სახელმძღვანელოს თანაავტორი.
- მაკედონელი ალექსანდრე — მაკედონიის მეფე, მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე (ძვ. წ. 323-356).
- მაკ-კეი დონალდ — ავსტრალიელი დეპუტატი, რომელიც 1974 წელს იტალიელმა მაფიოზებმა მოკლეს, იგი მწვავედ იბრძოდა ავსტრალიაში იტალიური ნარკოქსელების წინააღმდეგ.
- მაკ-კოი ალფრედ — ამერიკელი კონგრესმენი, რომელმაც 1972 წელს გამოაქვეყნა ექვსასვერდიანი წიგნი *ჰეროინის პოლიტიკა სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიაში*, რომელშიც ფუნდამენტურად გააანალიზა ნარკოტიკების პოლიტიკურად გამოყენების ისტორია მისი აღმოჩენიდან დღემდე, ნარკოტიკების მნიშვნელობა *ინდოჩინეთის, ვიეტნამის* და სხვ. ომების პერიოდში.
- მანუელ პირველი — პორტუგალიის მეფე XV ს.
- მარკეს მახა — გენერალი, კოლუმბიის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამსახურის ხელმძღვანელი 90-იან წლებში.
- მარტენი — იგივე — *ჯანი*, საფრანგეთის პოლიციის ფუნქციონერი და ნარკობიზნესის ნათლიმამა, რომელიც მფარველობდა *ელიოპულოსის წრედს* 1928-30 წწ.
- მარტიუსი — შვედი ნატურალისტი, რომელმაც 1940 წელს აღწერა კოკას ხმარების წესი მთელს დასავლეთ ბრაზილიაში.

სახელთა განმარტებანი

- მასერია ჯო – უძლიერესი ნარკობარონი, რომელმაც *მუსოლინის* შემოტევის შემდეგ დატოვა კუნძული და ახალ სამყაროში – ამერიკაში გაემგზავრა.
- მასიო ხოსე ფრანცისკო – **PRI**-ს გენერალური მდივანი, რომელიც 1994 წლის 28 სექტემბერს მექსიკის დედაქალაქის ქუჩაში ჩაცხრილეს.
- მუსტო ფ. დევიდ – აშშ ბავშვთა სწავლების ცენტრის პროფესორი, *თეთრი სახლის* სტრატეგიული საბჭოსა და კონგრესის ყოფილი წევრი, ავტორი ნაშრომისა *ამერიკული დაავადება – ნარკოტიკების კონტროლის წარმოშობა*.
- მასხადოვი ასლან – ჩეჩნეთის პრეზიდენტი.
- მებრი ჯ. დონალდ – ისტორიის პროფესორი და მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი, ლათინურ-ამერიკული ნარკოვაჭრობის ცნობილი ექსპერტი.
- მილერი არტურ – ცნობილი ამერიკელი დრამატურგი (1915 – 1998 წწ.).
- მისასი დიეგო ეჩავერა – კოკაინის ინდუსტრიით გატაცებული ბიზნესმენი – მაგნატი კოლუმბიაში, რომლის გამოსასყიდი ფულით დაიწყო თავისი ნარკობიზნესი ცნობილმა კოლუმბიელმა ნათლიმამამ – *ჰაბლო ესკობარმა*.
- მიშლერი პოლ – ცნობილი *ბელგიელი* სპეციალისტი, იგი *მორფინით* მომარაგების საქმეს ხელმძღვანელობდა *ელიო-პულოსების წრედის* ალკალიდთა ფრანგულ დაწესებულებებში.
- მორი ცეზარე – ფაშისტი პრეფექტი, რომელმაც მაფიოზურ ნარკობარონებს შეუტია და ისინი სიცილიიდან განდევნა.
- მუსოლინი – იტალიელი ფაშისტი, რომელმაც განახორციელა

პირველი მსვლელობა მაფიის განადგურებისაკენ; მან ვერ აიტანა ქვეყანაში პარალელურად ისეთი ძალაუფლების არსებობა, რომლის გამჭრიახობა და მეთოდები მისას ძალზე წააგავდა.

- ნე ვინი — ბირმელი გენერალი, რომელმაც 1962 წელს ქვეყანაში სოციალისტურ - ბუდისტური დიქტატურა დაამყარა და სოციალისტური პარტიის პროგრამით *სანების* ენისა და ლიტერატურის სწავლება გააუქმა (*სანები* – დახვეწილი კულტურისა და ბუდიზმის მიმდევარი ხალხი, რომლის 33 სამთავროს პრინციპის შთამომავლები მართავენ, მოსახლეობა კი 3,5 მლნ აღწევს). *ნე ვინის* მოღვაწეობა 1986-1987 წლებში ბირმის ეკონომიკის მკვეთრი დაცემით აღინიშნება.
- ნიუმანები, ძმები — 30-იან წლებში ალკოჰოლური ბიზნესის ორგანიზატორები, ებრაელი განგსტერები.
- ნიუნტ კინ — ბირმის სადაზღვევო სამსახურის შეფი, სახელმწიფო კანონმდებლობისა და წესრიგის აღდგენის საბჭოს (SLORC) პირველი მდივანი. მან ეშმაკურად დაიწყო მოლაპარაკებები *ოქროს ფსკერის* დაყოფაზე (ლაპარაკია ნარკოტიკებით ვაჭრობაზე).
- ნიქსონი რიჩარდ — აშშ ყოფილი პრეზიდენტი; ამ პოსტზე არჩევაში ნაწილობრივ წილი მის კანონიერებისა და სამართალდამცავ სისტემაში ენერგიულ მოღვაწეობასაც მიუძღვის. ნიქსონმა კოკაინისა და ჰეროინის პროდუქციის ზრდასთან დაკავშირებით კონგრესს შეუთანხმა სარეორგანიზაციო გეგმა № 2, რომელიც სახელმწიფოს ყველა ნარკოტიკსაწინააღმდეგო ძალების კონსოლიდაციას მოახდენდა, ხოლო 1973 წლის ივლისში უშუალოდ მისი მხარდაჭერით შეიქმნა *ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ადმინისტრაცია (DEA)*.

სახელთა განმარტებანი

- ნორიეგა მანუელ — კოლუმბიელი ნარკობარონი, ოპერაცია **Tust Cous**-ის მთავარი ობიექტი; ეს ოპერაცია გენერალმა *მაქსველ სერმანმა* განახორციელა, რის შედეგადაც *ნორიეგა* 1989 წელს გადააყენეს და მართლმსაჯულებას წარუდგინეს; ნორიეგას 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.
- ოჩოა, ძმები — *მედელინის კარტელის* ცნობილი ნათლიმაძეები.
- პასტრანა ანდრესი — კოლუმბიის პრეზიდენტი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისაგან 1 მილიარდი დოლარი დახმარება მიიღო, ქვეყანაში წესრიგისა და მშვიდობის დასამყარებლად, ნაციონალური ტელევიზიით პრეზიდენტის სასახლიდან მიმართა ამბოხებულებს, რომ დაეტოვებინათ უსაფრთხოების გაფართოებული ზონა.
- პენია კლემენტე კოტო — ცნობილი მექსიკელი ნარკობიზნესის განმახორციელებელი, ერთ-ერთი *სონორას* ჯგუფის ხელმძღვანელი.
- პერლი რაფაელ — მეცნიერი, აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის კვლევითი სამსახურის ხელმძღვანელი, არაერთი სამეცნიერო შრომის ავტორი.
- პლუტონი — ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი (დაახლ. 204/205 – 269/270 წწ.).
- პორტერი — ამერიკელი კონგრესმენი, რომელმაც აშშ კონგრესს დასამტკიცებლად წარუდგინა კანონი ფინანსთა დეპარტამენტში ნარკოტიკების ფედერალური ბიუროს შექმნის შესახებ (**FBN**), რომლის ხელმძღვანელად ჯონ ენსლინგერი დაინიშნა.
- პოსადა ოკამპო იესუს — კარდინალი-არქიეპისკოპოსი მექსიკაში, რომელიც 1993 წლის მაისში გვადალახარას საერთაშორისო აეროპორტის ავტოსადგომზე დაცხრილეს.

- პრუსი რიჩარდ – ინგლისელი მეცნიერი.
- პტოლომეის დინასტია – სამეფო დინასტია ელინისტურ ეგვიპტეში (ძვ. წ. 305-300).
- ჟურადო ფრანკლინ – კოლუმბიელი ნარკოვაჭარი, *კალის კარტელის* ერთ-ერთი ფინანსისტი, რომლის *გათეთრების* ოპერაციები მიმართული იყო 68 ევროპული ბანკის 135 ანგარიშზე არსებული 36 მლნ დოლარის *გასათეთრებლად*. ჟურადოს *გათეთრების* სისტემა საბანკო დაწესებულებათა დიფერენცირებაში მდგომარეობდა. იგი ჭკვიანურად ახდენდა ქვეყნებისა და ბანკების გრადაციას. ცნობილია მისი გამო-თქმა: *საბანკო სისტემის შუაგულში შესაღწევად, საჭიროა მოთმინება*. ჟურადოს ფულის გათეთრების განხორციელებული საქმის გახსნის შედეგად ამოგებულმა ნაღდმა ფულმა, უძრავმა ქონებამ, უცხოეთისა და შიდა ბანკებში გაყინულმა ანგარიშებმა, ოქრომ და ძვირფასმა თვლებმა 112 მლნ დოლარი შეადგინა.
- რენსელაერ ლი – ამერიკელი მეცნიერი, ალექსანდრიის (*ვირჯინია*) საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი, ავტორი წიგნებისათ – *თეთრი ლაბირინთი; კოკაინი და პოლიტიკური ძალაუფლება*, რომლებიც ნარკოტიკების საერთაშორისო ვაჭრობას ეხება.
- რიინა სალვატორე ტოტო – იტალიური წარმოშობის ნარკონათლიმამა პალერმოში, რომელიც დაპატიმრებამდე პირველ პროვინციულ კომისიას ხელმძღვანელობდა 1986-1993 წწ.
- რიინსი ემა – ნიდერლანდელი მეცნიერი.
- როდრიგეს ორეხუელა, ძმები – *ჟილბერტო* – იგივე *მოჭადრაკე* და *მიგელი* – იგივე *მოცურავე*, ცნობილი ნარკობარონები სამხრეთ კოლუმბიაში; *ჰაბლო ესკობარისა* და *როდრიგეს გაჩას* მეგობრები, კალის კარტელის ლიდერები, რომელთა წარმატება არა სოციალური წარმოშობის,

სახელთა განმარტებანი

არამედ თავდაჭერისა და ადგილობ რივი ბურჟუაზიის წიაღში შეღწევისათვის მოთმინებით მუშაობის ლოგიკური შედეგი იყო.

- რუზველტი თეოდორ — ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც აქტიურად იბრძოდა ნარკოტიკების წინააღმდეგ, თუმცა ცხოვრებამ დაადასტურა, რომ იმხანად კა-ცობრიობამ ეს ამოცანა უფრო გააცნობიერა, ვიდრე განახორციელა. თეოდორ რუზველტის ინიციატივით 1909 წელს შედგა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც *ოპიუმის შანხაის კონფერენციის* სახელწოდებითაა ცნობილი და მასში მონაწილეობა მსოფლიოს 13 ქვეყანამ მიიღო.
- რუსო ჯენკო — პალერმოს პროვინციული კომისიის მდივანი, რომელმაც *ჯო ბონანისთან* ერთად 1956 წელს ამერიკული მოდელის მიბაძვით პირველი *პროვინციული კომისია* შექმნა; იგი 1977 წლის აგვისტოში *კორლეონეებმა* მოკლეს.
- სალინარი დე კორსარი კარლოს — მექსიკის პრეზიდენტი.
- სალინარი რაულ — მექსიკის პრეზიდენტის ძმა, იგი აშშ-ში დააპატიმრეს.
- სამპერი ერნესტო — 1994 წელს მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული, რომელსაც ნარკობიზნესთან ურთიერთობას აბრალებდნენ.
- სანიკიძე ლევან — ცნობილი ქართველი მწერალი. მრავალი ისტორიული რომანის ავტორი.
- სანტა პაოლა ნიტო — კატანიური მაფიის ნარკობარონი და ერთ-ერთი შეფი; *ჯუზეპე კალდერონეს* განადგურების შემდეგ ნარკოტიკებით ვაჭრობის ქსელების კონტროლი მან აიღო ხელში.

- სანტინი უმბერტო – ცნობილი იტალიელი სოციოლოგი. მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: *მაფია რჩება სახელმწიფოს შიგნით და მის გვერდით.*
- სანტო ტრაფიკანტე – კოლუმბიელი ნათლიმამა, მაფიოზი, კუბელი დიქტატორის *ბატისტას* გულითადი მეგობარი, რომელსაც ხელში ეჭირა *პროტექციები* და *ლოგისტიკა.*
- სედო ერნესტო – მექსიკის ყოფილი პრეზიდენტი.
- სერმანი მაქსველ – აშშ გენერალი, რომელმაც გენერალ ნორიეგას გამოსააშკარავებელი ოპერაცია **Tust Cous-**ი განახორციელა, რომლის შედეგად ნორიეგა გადაყენებული და სამართალში იქნა მიცემული – *ნორიეგას 40 წლით თავისუფლების აღკვეთა* მიესაჯა.
- სიგალი ბენუამენ – იგივე *ბაგ სი*, 30-იან წლებში ალკოჰოლური ბიზნესის ორგანიზატორი, ებრაელი განგსტერი. მის პოპულარობაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ მასზე წიგნიც კი დაიწერა: *ბენუამენ სიგალი – ბაგ სის ვნებიანი ცხოვრება*, ლას ვეგასის შემქმნელი.
- სილვიუს დე ბოე – პოლანდიელი ექიმი, რომელიც პირდაპირ აცხადებდა, რომ ოპიუმის გარეშე მას მედიცინაში მოღვაწეობა არ შეეძლო.
- სკალიონე პიერო – პალერმოს რესპუბლიკის პროკურორი. იგი 1971 წელს მოკლეს. მკვლელობა *გაეტანო ბადალამენტის* მიაწერეს.
